Kote Chrelashvili

TSOVA-TUSH LANGUAGE

Tbilisi 2002

კოტე ჭრელაშვილი

წოვა-თუშური ენა

თბილისი 2002



კოტე ჭრელაშვილი

შრომაში განხილულია ნოვა-თუშური ენის ფონოლოგიისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხები. პირველად ამ მონოგრაფიაში დადგენილია ზმნის უღლების მწყობრი თანმიმდევრული სისტემა. გამოელენილია აგრეთვე ზმნათა უღლების ქრონოლოგიური ტიპები, რომლებიც, რაც მეტად საყურადღებოა, ფუნქციონირებენ სინქრონულ ჭრილში ერთმანეთის პარალელურად. არქაული და ინოვაციური გრამატიკული ფორმების თანაარსებობა მეტად საყურადღებო ფაქტია თეორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით.

ნაშრომში დადგენილია „მონოპერსონალური" ზმნების „პოლიპერსონალურში" გადასვლის პროცესი. აქვეა გაანალიზებული ახალი თვალთახედვით ასპექტის, გვარის, კაუზატიეის მორფოლოგიური კატეგორიები.

კვლევით ნანილს წინ უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც საუბარია ამ ენის შესწავლის ისტორიაზე და ბოლოს ახლავს სხვადასხვა კრებულებში გამოქვეყნებული სტატიები, სათანადო ტექსტები და მცირე ლექსიკონი, რომელშიც შესულია მხოლოდ საკუთრივ ნოვა-თუშური სიტყვები.

ნაშრომს, იმედია, ყურადღებით შეეკიდებიან იბერიულ-კავკასიური ენებით დაინტერესებული ლინგვისტები.

УДК 809.463.1
ძ 741

В труде рассматриваются основные вопросы фонологии и морфологии цова-тушинского (бацбийского) языка. Впервые в данной монографии установлена полная симметричная система спряжения глагола цова-тушинского языка. Также фиксированы хронологические типы спряжения глаголов, уникальные в том смысле, что в настоящее время на синхронном уровне параллельно функционируют архаичные и инновационные морфологические формы, которые с точки зрения теоретической лингвистики являются весьма примечательным фактом.

В работе описываются глагольные формы, иллюстрирующие процессы возникновения в языке „полиперсональных" глаголов, которые заслуживают особого внимания языковедов.

К труду прилагается статьи опубликованные в разных лингвистических сборниках, краткий словарь, а также тексты исследуемого языка с переводом на грузинский язык.

Данная работа в основном предназначена для читателей, заинтересованных иберийско-кавказскими языками.

Major phonological and morphological problems of the Tsova-Tushuri language will be discussed in this work.

For the first time a full symmetrical system of verb-conjugation in Tsova-Tushuri is formulated in this book; chronological types of verb-conjugation are fixed; they are unique in the sense, presently, archaic and innovative morphological forms function in parallel and from the viewpoint of theoretical linguistics this is rather important.

The translation process of monopersonal verbs into polipersonal forms is described in the work. Morphological categories of aspect, voice and causation are analysed here by taking a new approach.

The research is preceded by a foreword in which the history of Tsova-Tushuri is discussed.

Corresponding texts and a special vocabulary of Tsova-Tushuri words are attached.

The work will appeal to anyone with a particular interest in Iberio-Caucasian languages.

რედაქტორი აკად. თ. გამყრელიძე

რეცენზენტები: პროფ. რ. ასათიანი
პროფ. ტ. სიხარულიძე
დოც. ბ. შავხელიშვილი

ძ 4602020200
608(06)-02

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002

ISBN 99928-931-8-4

წინასიტყვაობა

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ყველაზე სვებედნიერი აღმოჩნდა წოვა-თუშური ენა. მხედველობაში გვაქვს კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის ისტორია. აღნიშნულ ენებს შორის პირველი მეცნიერული გრამატიკა დაინერა წოვა-თუშური ენისა, რომლის ავტორიც გახლავთ ცნობილი ორიენტალისტი, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ანტონ შიფნერი (1817-1879).

ეს ფაქტი არ ყოფილა შემთხვევითი. როგორც ცნობილია, ენა თავისი ექსპრესიული და სოციალურ-საზოგადოებრივი ფუნქციით შინაგან კავშირშია ამ ენის მატარებელი ხალხის ისტორიასთან. ამიტომ, სანამ მისი შესწავლის ისტორიის შესახებ ვიტყოდეთ რამეს, მანამდე, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება წოვა-თუშების ვინაობის შესახებ ითქვას მოკლედ.

როგორც ცნობილია, ენისა და ეთნიკური ერთობის ისტორიული კავშირი რეალური ფაქტია. უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება მოკლებული იქნება ჭეშმარიტ მეცნიერულ ინტერესს, თუ ენას არ განიხილავს ხალხის გონის ჩამოყალიბებასთან და მის ევოლუციასთან შინაგან კავშირში.

ხალხის გონში ჩვენ ვგულისხმობთ აზროვნებას. ენისა და აზროვნების ურთიერთობა ზოგადი ენათმეცნიერების ერთერთი ცენტრალური და რთული პრობლემაა (ჰუმბოლდტი). უფრო მეტიც, ენა აუცილებელი პირობაა ინდივიდის აზროვნებისათვის განმარტოებულ მდგომარეობაშიც კი. ენა აუცილებელია განსაკუთრებით ვერბალური კომუნიკაციის დროს, აზრის გამოხატვა და გადაცემა მეტყველის მიერ მსმენელისათვის ენის გარეშე შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, უთუოდ გასათვალისწინებელია დე-

ბულება, რომლის მიხედვითაც, „აზროვნების მოქმედება და ენა ერთმანეთისგან განუყოფელია“ (ვ. ზვეგინცევი).

ერთი სიტყვით, აზრის ფორმირება და განვითარების პროცესი მიმდინარეობს იმ საზოგადოებაში, იმ გარემოცვაში, რომელსაც ემსახურება შესაბამისი ენა.

ამიტომ, როცა ამა თუ იმ ეგზოტიკური მიკროენის გრამატიკულ სტრუქტურაზეა საუბარი, მას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს მცირე ეთნოგრაფიული შტუდიები მაინც.

ალბათ ამიტომაც, ა. შიფნერს განზრახული ჰქონდა წოვათუშური ენის მოკლე ეთნოგრაფია დაემუშავებინა, მაგრამ შემდგომ ეს გადაიფიქრა იმ საბაბით, რომ ამ ამოცანას უკეთ შეასრულებდა გეოგრაფიული საზოგადოება თბილისშიო.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა უსლარის მონოგრაფიების სახელწოდებებიც. მაგალითად: „კავკასიის ეთნოგრაფია, ჩეჩნური ენა“, ასევე ყველა მის მონოგრაფიას, ამა თუ იმ ენის შესახებ, წინ უძღვის „კავკასიის ეთნოგრაფია“. ეს·ჩვენი აზრით ნიშანდობლივი ფაქტია, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამიტომ ჩვენ ქვემოთ მოგვყავს ცნობები იმ ლიტერატურული წყაროებიდან, სადაც საუბარია თუშებზე, სატომო სახელების წოვა და თუშის ურთიერთმიმართებისა და მათი სასაუბრო ენის შესახებ.

ხოლო თუშთა ეთნოგრაფიულ პრობლემებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მკითხველს კი ვურჩევდით, გასცნობოდა ივ. ცისკარიშვილის საყურადღებო ნაშრომს „Записки о Тушетии“, გაზ. „Кавказ“, N 8-12, 1849; აგრეთვე ს. მაკალათიას მონოგრაფიას „თუშეთი“, თბილისი, 1983.

იოანე ბაგრატიონის თხზულების „კალმასობის“ მთავარი პერსონაჟი ი. ხელაშვილი XVIII საუკუნის დასასრულს ალვანში ხვდება თუშებს. იმართება მათ შორის მეტად კოლორიტული

დიალოგი. იგულისხმება წოვა-თუშები, რადგანაც ამ დროს სხვა თემების თუშები ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოსულები ბარად.

აი, აქ ერთ მეტად საგულისხმო ცნობას გვაწვდის ავტორი. თუში ცისკარიშვილი ხელაშვილს წარუდგენს თავის ვაჟს და სთხოვს მას, შეამოწმოს მისი ცოდნის დონე. აინტერესებს მამას, მისი შვილი მღვდლად გამოდგება თუ არა. ხელაშვილი გამოცდის ვაჟს და მამას ასეთ შეფასებას აძლევს შვილის ცოდნის დონის შესახებ: „ცოდნა კარგი აქვს, მაგრამ მე ასე ვატყობ სახეზედ, რომ ეს მღვდლად არ ეკურთხება და არც თქვენში ენდომება ცხოვრება, და ვერც თქვენსავით ერთგული იქნება ბაგრატიონთი“.

ჩვენი აზრით, ეს ის ყმაწვილი უნდა იყოს, რომელიც შემდგომ სათანადო აღზრდა-განათლებას მიიღებს სამეფო კარზე, ბაგრატიონთა სამეფო კარს კი დიდ ერთგულებას გაუწევს და, როდესაც ერეკლე მეფის მთელ ოჯახს პეტერბურგში გადაასახლებენ, ისიც დარეჯან დედოფლის ამალას თან გაჰყვება. დ. ცისკარიშვილი (დიმიტრი თუში, თუში ფოცხვეროვი, ასე იხსენიება ის ქართულ ისტორიოგრაფიაში) პეტერბურგში თავის ცოდნას უფრო გაიღრმავებს და ჩაებმება ქართული ეროვნული კულტურის საქმიანობაში. ეს ჩანს ნიკოლოზ ჩუბინოვის წერილიდანაც, რომელიც მან მისწერა საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს 1820 წ. 4 ივნისს: „მდივანი ცისკაროვი, რომელიც სამეგრელოს დედოფლის ამალაშია, ცნობილია როგორც საუკეთესო კალიგრაფი და ქართულ დამწერლობას ხელოვანად დაუფლებული. ის ცოტა ხნის წინათ თბილისში იყო და სიამოვნებით დათანხმდა ჩემს წინადადებას, **გადაეწეროს ათონის მთაზე დაცული ქართული ბიბლია**“ (*ხაზი ჩვენია. კ.ჭ.*).

არც აკად. მ. ბროსეს გამორჩენია ყურადღების გარეშე დ. ცისკარიშვილის პიროვნება. მისი ცნობით, „დიმიტრი ცისკაროვი, იოანეს ვაჟი, გუბერნიის სეკრეტარი და ორდენებით

დაჯილდოებული, გარდაიცვალა 62 წლისა 10 აგვისტოს, 1841 წელს. იგი დიდხანს ახლდა პეტერბურგში დედოფალ ნინას".

ამ ცნობის საფუძველზე მ. ბერძენიშვილი ასკვნის: „რაკი ის 1841 წელს 62 წლისა ყოფილა, მაშ დაბადებულა 1779 წელს. დასაფლავებულია ზემო ალვანში — სამების ეკლესიაში".[1] აი, ამ დ. ცისკარიშვილის შემწეობით თუშებმა ხელი მოჰკიდეს სწავლა-განათლებას. მან თავისი ორი ძმისწული, ბასილი და ივანე ცისკარიშვილები, ჩაარიცხვინა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ორივემ თავი გამოიჩინა ქართულ სიტყვიერებაში. გაზ. „კავკაზში" აქვეყნებდნენ ეთნოგრაფიულ წერილებს. პროფ. ე. არჯევანიძის დასკვნით, „ცისკარიშვილები დგანან ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან".[2]

დ. ცისკარიშვილის მიერ გაკვალულ გზას დაადგა მრავალი თუში სწავლა-განათლების მისაღებად. ზოგმა მათგანმა საზღვარგარეთაც კი მიიღო განათლება. თუში ინტელიგენციის შესახებ დასაბეჭდად მომზადებული აქვს მონოგრაფია პროფ. ბერდო გოიშვილს, ამიტომ ჩვენ ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით.

იმის გამო, რომ წოვა-თუშების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე ტერმინი შემოვიდა ხმარებაში, პროფ. ნ. ქადაგიძემ სპეციალური წერილი უძღვნა ამ საკითხს, რომლის პათოსსაც და დასკვნასაც ჩვენ ვიზიარებთ, ამიტომ საჭიროდ ვცანით მისი აქ სრული სახით გამოქვეყნება: „გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში" გამოქვეყნდა პროფ. კ. ჭრელაშვილის სტატია „ბაცავ" ტერმინის ხმარებისათვის ქართულ ენაში", სადაც სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისათვის შეუფერებელია ტერმინი „ბაცბური ენა". ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაში, რომ წოვა-თუშური-

1. იხ. მ. ბერძენიშვილის „მასალები XIX საუკუნის..." თბილისი, 1983, გვ. 230.
2. იხ. ეთ. არჯევანიძე. ქართული ხალხური სიტყვიერების შესწავლის საკითხი რევოლუციამდელი საქართველოს რუსულ პერიოდიკაში, თბილისი, 1978, გვ. 96.

სათვის აღვადგინოთ უახლოეს დრომდე მსოფლიო ენათმეცნიერებაში მიღებული ტერმინი „თუშური ენა". გაუმართლებელია აგრეთვე ტერმინი „ქართული ენის თუშური დიალექტი (ენა)", რომელსაც ბოლო დრომდე მიმართავს ზოგიერთი ქართველი ენათმეცნიერი იმ დიალექტის აღსანიშნავად, რომელზედაც არანოვა-თუშები, ე.ი. ჩაღმა, პირიქითელი და გომენრელი თუშები მეტყველებენ. ენციკლოპედიაში უნდა შევიდეს ისეთი ტერმინები, რომლებიც ასახავენ ამ უძველესი ქართული ტომის — თუშების რაობას და მის თემთა განსხვავებულ ენათა არსებობის ფაქტს. ასეთი ობიექტური ტერმინები შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იყოს:

1. ქართული ენის ჩაღმა-თუშური დიალექტი (პირობითად აქვეა პირიქითური და გომეწრული).

2. წოვა-თუშური ენა.

რამდენიმე სიტყვა ამ ტერმინების დასაბუთებისათვის.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში უძველესი დროიდანვე ცნობილია ქართველ მთიელთა ერთ-ერთი ძირითადი ტომი — თუშები, რომლებიც ოდითგანვე ქართული ენის დიალექტზე თუ დიალექტებზე მეტყველებდნენ.

ალაზნის ხეობაში დასახლების მიხედვით თუშები განასხვავებენ ოთხ თემს: ჩაღმა-თუშები, პირიქითის თუშები (იგივე ფარსმანები ანუ ფარსმელები), გომეწრის თუშები და წოვა-თუშები. ესენი მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილთან, რომელსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თუშეთსა და მის მცხოვრებლებზე. გარდა თუშებისა, ამ თემობრივ სახელებს არც ერთი მათი მეზობელი — კახელი, ხევსური, ფშაველი, ქისტი, დიდო არ იცნობს. ორი თემის სახელწოდების ეტიმოლოგია თავისთავად გარკვეულია — ჩაღმა თუშეთი და პირიქითის თუშეთი; გაურკვეველია ორი დანარჩენი თემისა — „გომეწრის თუშეთი" და „წოვა-თუშეთი". აქ შეიძლება მხოლოდ ვარაუდის გა-

მოთქმა. „გომენარი“ შეიძლება რომელიმე საკუთარ სახელს უკავშირდება ან შედგენილია „გომ(ური)“ და „ენრისაგან“ (ირიბ. ბრ. გომენრის). რაც შეეხება ტერმინს „წოვა“, იგი ეტიმოლოგიურად უფრო ნათელი ჩანს: კაცის საკუთარი სახელი „წოვა“ დადასტურებულია ხევსურეთში (იხ. ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, 1967 წ., გვ. 181). ბუნებრივია, რომ ნოვას შთამომავლებისათვის ეწოდებინათ წოვა-თუშები. ეს სახელწოდება გავრცელდებოდა იმათზეც, ვინც წოვათა ადგილებში დასახლდებოდა. ამ სახელს ხმარობენ მხოლოდ ჩაღმები, გომენრელები და პირიქითლები, რომელთა მეტყველებაში ის გამოითქმის „წუა“-დ. შეიძლება სწორეა მეორე დაშვება: ინგუშურად „წუვ“ ნიშნავს „ქურუმს“, ხოლო ჩაჩნურად „წუ“ — „ქურუმს“ და „ღვთაებას“ (божество у язычников). შეიძლება ჩაღმური „წუა“ აღნიშნავდა იმ კერპთაყვანისმცემელ თუშებს, რომელთაც ჰყავდათ ქურუმი „წუვ“ თუ „წუ“, ან თაყვანსა სცემდნენ ამავე სახელწოდების ღვთაებას, ანდა „წუს“ ან „წუვის“ შთამომავლად ითვლებოდნენ.

ვახუშტი ბატონიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ ის თუშები (თუ ფარსმანები?), რომლებიც ქისტებთან ახლოს ცხოვრობენ, შერეულ ქართულ-ქისტურ ენაზე მეტყველებენ. ძველი გადმოცემით ესენი იყვნენ: წოვები, პირიქითლები და გომენრელები. დღეისათვის კი მხოლოდ წოვა-თუშებს აქვთ ის შერეული ენა, რომელსაც წოვურად უწოდებენ „ბაცბურ მოტტ“, ხოლო დანარჩენი სამი თემის თუშები — ჩაღმა, გომენრელები და პირიქითლები მეტყველებენ ქართული ენის ჩაღმა-თუშურ დიალექტზე (სამივეს პირობითად ეწოდება ჩაღმა-თუშური).

ქართულ ენციკლოპედიაში უნდა შევიტანოთ ქართული ტერმინები და არა კუთხური — ისიც არაქართული წარმოშობისა. ამიტომ ობიექტური სინამდვილის ამსახველია მხოლოდ ის ტერმინები, რომლებიც ზევით უკვე დავასახელეთ:

1) ქართული ენის ჩაღმა-თუშური დიალექტი და
2) წოვა-თუშური ენა.

ამ ტერმინებით დაცულია ოთხივე თემის საერთო ტომობრივი სახელი „თუში“, რომელიც მათ ძმურად გამოატარეს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ამასთანავე ანგარიში ეწევა მათი ენების თავისებურებებსაც“ (გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968, 15 მარტი).

წოვა-თუშებისა და მათი ენის შესახებ სხვადასხვა დოზით ცნობებს გვაწვდიან უცხოელი მკვლევრებიც: გიულდენ შტედტი (1745-1781), იულიუს კლაპროტი (1783-1835), პეტრე უსლარი (1816-1875), ანტონ შიფნერი (1817-1879), ნიკო მარი (1864-1934).[1]

1914 წელს ნ. მარმა იმოგზაურა კავკასიაში. მოინახულა თუშებიც. თელავში ის შეხვდა საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს დ. ცისკარიშვილს — თუშს, რომელმაც გააცნო მას ალვანში თავისი ნათესავი ლეგა ცისკარიშვილი, რომლის ბინაშიც ის მოეწყო და შეუდგა თუშური ენის (ნ. მარის ტერმინით) შესწავლას. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ლეგას შვილიშვილის, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის დ. ცისკარიშვილის მოგონება თავისი მამის ნაამბობიდან: „ნ. მარი ჩვენთან დარჩა ერთი თვე. კარგად მახსოვს, თუ როგორი მონდომებით შეუდგა ის ჩვენი ენის შესწავლას. იმ ერთ თვეში ისე აითვისა თუშური, რომ უნებლიეთ დაშვებულ ჩვენ შეცდომებსაც კი გვისწორებდა ხოლმე...“

მართლაც, ეს კარგად ჩანს აქა-იქ ეპიზოდურად მოცემული შენიშვნებიდან თუშური ენის ფონეტიკური საკითხების შესახებ. მაგალითად, სრულიად მართებულად წერს მარი, რომ არც ერთი თუშური სიტყვის ბოლოს „ნ“ ბგერა ვერა ძლებსო. აღნიშნული აქვს აგრეთვე „ა“-ს გადასვლა „ო“-ში.

---

1. არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965 წ.

საგულისხმოა აგრეთვე მართან თუშური ენის ფონეტიკურ მოვლენათა მსგავსების აღნიშვნა მეგრულ-ჭანურთან. ასევე ტერმინი „ბერწი" მიაჩნია, რომ თუშურიდან არის შემოსული ქართულში და სხვ. ყოველივე ამის შესახებ ნ. მარი ფიქრობს, რომ თუშები (წოვა-თუშები) არიან აბორიგენები თუშეთის ტერიტორიაზე: „Как они думают, первоначальная родина их, на высотах Кавказского хребта, смотрящих в сторону Дагестана, где они по сей день проводят время пастбы, одинаково отдалены от долины Арагви, по которой шел великий исторический Кавказский проход. И здесь тушинами оставлен не один след пребывания". ყოველივე ამის საფუძველზე ნ. მარი უფრო გაბედულ დასკვნას გვთავაზობს წოვა-თუშური ენის სოციალური სტატუსის შესახებ. მისი აზრით „одна половина тушинского народа двуязычна, говорит на родном тушинском и на усвоенном грузинском, другая половина совершенно утратила родную тушинскую, говорит на особом тушинском говоре грузинского языка".[1]

თუ რამდენად დამაჯერებელია დიდი მეცნიერის, აკად. ნიკო მარის ეს მოსაზრება, კვლავ ძიებას ითხოვს, მაგრამ მისი იგნორირება და გვერდის ავლა არამეცნიერული მიდგომა იქნებოდა აღნიშნული მეტად რთული პრობლემისადმი.

დიდი ივ. ჯავახიშვილი წოვა-თუშების ისტორიულ განსახლებას უფრო ფართო მასშტაბურ სივრცეში წარმოგვიდგენს, რაც მეტად საყურადღებო და გასათვალისწინებელი მოსაზრებაა.

აი, რას წერს ის ამის თაობაზე: „განა დასაჯერებელია, რომ ძველი წობენის, ხატის-წობენის და სოფლების თანამედროვე სახელების წუბენი, წობონი და წობონო-მთას და თუშეთში მოსახლე ტომის წოვას სახელების მსგავსების უარყოფა? რაკი მსგავსება ცხადია, შემთხვევითი ხომ არ იქნება ეს მსგავსება?

1. Н.Я. Мар. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа. Петроград, 1916.

ამიტომ თავისთავად იბადება აზრი, რომ ეს სახელები წოვათა ტომის ლეხურ-ქსნისა და არაგვ-იორის ხეობათა შორის მდებარე ფართობზე ოდინდელი სახლობისა და ბინადრობის მაუწყებელ-გამომჟღავნებული ნაშთი უნდა იყოს.

მაგრამ უეჭველია, არც საქართველოს მიწაწყლის ზემო აღნიშნული შუა ნაწილის ზოლი იყო ამ წოვათა ტომის თავდაპირველი ბინადრობის ადგილი...“

შემდეგ ავტორი ასკვნის: „ამრიგად ამ ქვეყნისა და ერის სახელად წოფანი და წოფენი გვრჩება. საკმარისია ქართული წობენი გავიხსენოთ, რომ წოფენი და წოფანი-ს ტომობრივ-გეოგრაფიული რაობის მასთან იგივეობის აზრმა გაგვიელვოს, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ ორი სხვადასხვა ტომის სრულებით მსგავს სახელთან გვქონდეს საქმე. მაშასადამე, წობენნი, ანუ წოვანი ლეხურა-იორის შუა მოქცეულ მიწაწყალზე დასახლებამდე მრავალი საუკუნის უწინარეს გაცილებით უფრო სამხრეთით, ტიგროსისა და მის შემდინარეების არეში ყოფილა დაბინავებული“.[1]

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ავტორიტეტის ივ. ჯავახიშვილის აზრს წოვა-თუშთა განსახლების ისტორიული სათავეების შესახებ ვიმოწმებთ იმ ვაი ისტორიკოსთა საყურადღებოდ, რომელთა აზროვნების თვალსაწიერი ორიოდე საუკუნის მიღმა ველარ სწვდება და, რაც საოცარია, აქვთ კი პრეტენზია, იმუშაონ ხალხთა ეთნოგენეზისის პრობლემებზე.

საერთოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეთნოგენეზისის პრობლემა ისტორიოგრაფიის ურთულესი პრობლემაა და ყველა მოკვდავს არ ძალუძს მის სიღრმისეულ შრეებს ჩასწვდეს.

იმის გამო, რომ ამ მეტად რთულ და ამავე დროს ფაქიზ პრობლემას, ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ მავანთა

---

1. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები. თბილისი — 1950, გვ. 48-49.

მიერ ეძლევა დილეტანტური ინტერპრეტაციები, რაც საზიანოა ქართული ეროვნული ინტერესების თვალთახედვითაც, ამის გამო აკად. აკ. შანიძემ, ქართველ მთიელთა ისტორიის, ყოფა-ცხოვრების საუკეთესო მცოდნემ, გამოაქვეყნა სპეციალური წერილი „თუშები". რადგანაც ამ წერილს აქვს ეროვნულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ამავე დროს ყველასთვის ხელმისაწვდომიც არ არის, ამიტომ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ მისი აქ გამოქვეყნება:

თუშები[1]

თუშების სახელით ცნობილი ტომი დღეს უმთავრესად კახეთში ცხოვრობს, ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში, რომლებიც დიდი სოფლებია, ერთმანეთზე გადაბმული, ალაზნის მარცხენა ნაპირას, ალავერდს გაღმა (ოდნავ ზემოთ), ახმეტიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით. ყველა ეს თუში ჩამოსულა, სხვადასხვა დროს თუშეთიდან, რომელიც კავკასიონის მთავარი გრეხილის გადაღმა მდებარეობს, დაახლოებით ახმეტა-ყვარლის ხაზის სიგრძეზე, თუშეთი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან უფრო მაღალი და მიუვალი მთებით არის მოზღუდული, ვიდრე სამხრეთიდან.

თუშეთი მაღალი მთების ხეობებში მოქცეული კუთხეა, რომლის მდინარეს ადგილობრივ ალაზანს ეძახიან; ეს ალაზანი, მაშასადამე, სხვაა, ვიდრე ის მდინარე, რომელსაც ამ სახელით უმეტესად ვიცნობთ და შიგნი კახეთში მიედინება. ის თუშეთის ალაზანია, ეს კი — კახეთისა.

თუშეთის ალაზანი ორ მთავარ ტოტად გამოდის მთებიდან: ერთია ჩრდილოეთისა, ტებულოს მთიდან (ანუ დაქუეხის მთიდან) გამომდინარე, რომელიც პირიქით თუშეთში ჩამოივლის

1. აკ. შანიძე. ჟურნ. „მნათობი", N 2, 1970.



აკადემიკოსი აკაკი შანიძე

(1887-1987)

და სამხრეთის ტოტს შეუერთდება ომალოს ქვემოთ. ეს სამხრეთის ტოტი გამოდის ბორბალოს ძირას და გზად შეიერთებს ნოვათის ხევს, შეიერთებს სხვა შენაკადებსაც და უერთდება ჩრდილოეთის ტოტს, რის შემდეგ ორივე ერთად შეერთებული მალე დატოვებს თუშეთს, შეიერთებს ანდის წყალს, ჩაივლის დაღესტანზე და სულაკის სახელით კასპიის ზღვას ერთვის.

თუშების კახეთს ჩამოსახლება ალვანის მინდვრებში და ბახტრიონის მიდამოებში, სადაც მათ წინათ საძოვრები ჰქონდათ, ადრე დაიწყო, მე-18 საუკუნიდან. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და ამჟამად ალვანში გაცილებით მეტი მცხოვრებია, ვიდრე მთელი თუშეთის სოფლებში. მარტო ქვემო ალვანში 1300 კომლამდეა, მთაში დარჩენილი თუშები კი 1963 წლისთვის 110 კომლი ყოფილა.[1]

ბოლო ხანებში ძალიან გაძლიერდა თუშეთიდან ბარად გადმოსვლა. ამის გამო თუშეთი თანდათან უკაცრიელდებოდა და იყო შემთხვევები, რომ დიდოები ამოსულიყვნენ და თუშების ნასოფლარები დაეკავებინათ. 1963 წ. ივლისში ომალოდან ჩიღოს ასულ სამეცნიერო ექსპედიციის წევრებს იქ აღარავინ დახვედრია: „სოფელი დაცარიელებულია. დარჩენილია სახლებიო", წერდა ექსპედიციის ერთი წევრთაგანი და ნაღვლიანად დასძენდა: „წელს ორი მოაგარაკე ამოსულა, მომავალ წელს, ალბათ, ესენიც აღარ ამოვლენო".[2]

საქართველოს სსრ-ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად,[3] ორივე ალვანი (ზემო და ქვემო) და მთელი თუშეთი ახმეტის რაიონში შედის. ამ დაყოფის თანახმად თუშეთში ნაჩვენებია ერთი სასოფლო საბჭო, ომალოსი, რომელშიც 22 სოფელი შედის: ომალო, შენაქო, დიკლო, ჯვარბო-

1. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. 1967. შესავალი.
2. იქვე.
3. საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის. 1966.

სელი, ვაკისძირი, ვესტმო, ილურთა, ვესტომთა, გოგლურთა, დოჭუ, ბოჭორმა, ქუმელაურთა, ხისო, შტროლთა, ნაციხარი, ჩიგლაურთა, ხახაბო, დართლო, დანო, კვავლო, ჭეშო და ჟველურთა. აქ აღარ არის ნაჩვენები სოფლები, რომელთა სახელები მე ჩაწერილი მაქვს 1913 წელს და რომლებიც 1907 წელს დაბეჭდილ რუსულ ხუთვერსიან რუკაზედაც არის აღნიშნული; ესენია პირიქითში: ჭონთიო, დაქიურთა, გირევი, ფარსმა. სამციხში: ჩიღო; გომენარში: საბუე, ჩირდილი, საჩიღოლო, ბუხურთა, ბელელა, ბიქუურთა, გუდანთა, ვერხოვანი, დადიკურთა, კოკლათა, ვეძისხევი, ალისგორი; ჩაღმაში: აგეურთა, ცოკალთა.

თუშების ძველ სამყოფ ადგილს თუშეთი ეწოდებოდა და ახლაც ეწოდება, მაგრამ, მას შემდეგ, რაც თუშობა კახეთშიც გაჩნდა, „თუშეთის“ ნაცვლად ხშირად „მთათუშეთს“ ამბობენ. ეს მთათუშეთი დღეს საკმაოდ დაცლილია მოსახლეობისაგან: უკანასკნელი (1959 წლის) აღწერის თანახმად, მთაში, ომალოს საზოგადოების 22 სოფელში, ნაჩვენებია სულ 543 მცხოვრები, ზემო ალვანში კი, სადაც ცხოვრობენ წოვა-თუშები და ნაწილი ჩაღმა-თუშებისა (პირიქითლების სახით), ნაჩვენებია 4266 სული, ხოლო ქვემო ალვანში — 2876 სული.[1] ზემო ალვანის მოსახლეობის უმეტესობა (დაახლოებით ორი წილი) წოვა-თუშებია.

ძველად, ვიდრე თუშები მთიდან დაიძვროდნენ და ბარად ჩამოსახლდებოდნენ, მთელი თუშეთი ოთხ თემად იყო გაყოფილი; ესენი იყო: პირიქითი, ჩაღმა, გომეწარი და წოვათა.[2] წოვათაში შემდეგი სოფლები შედიოდა: საგირთა, მოზართა, ეტელთა, ინდურთა და წარო.

მე-18 საუკუნეში ქართული ენა თუშეთში ყველგან გავრცელებული იყო, მაგრამ წოვათის სოფლებს თავის ენაც ჰქონ-

1. ცნობები მივიღეთ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოდან.
2. ზოგნი ამჟამად ცალკე თემად გამოჰყოფენ ჭანჭახოვანს და ივანაურთას.

დათ, რომელიც მათ კახეთში ჩამოსახლების შემდგომაც არ დაივიწყეს, თუმცა ქართულიც კარგად შეითვისეს და სხვა თუშებზე ნაკლებ არ იციან.[1] ამიტომ დღეს თუშების ნაწილი მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობს, ნაწილს კი შემოჰრჩა მამა-პაპების ენაც, რომელიც ადრე თუშეთის ყველა თემში უნდა ყოფილიყო საერთოდ გავრცელებული, როგორც ამას ქართულად მოუბარ თუშთა ენაზე დაკვირვება და მისი ანალიზი გვიჩვენებს.

წოვა-თუშთაგან ყველანი კახეთში სახლობენ, ზემო ალვანში. რაც შეეხება ჩაღმა-თუშებს, ვინც ბარად ჩამოვიდა, ძირითადად ქვემო ალვანში ცხოვრობენ, ზოგნი კი ლალისყურშიც (რომელიც თელავის რაიონში შედის), ზემო ალვანშიც (აქ პირიქითლები არიან) და ბირკიანშიც (პანკისის ხეობის თავში).[2] ჩაღმა-თუშებიო, რომ ვამბობ, ვგულისხმობ საკუთრივ ჩაღმა-თუშებს და მათთან ერთად სხვა თუშებსაც, გარდა წოვებისა.

რიცხვობრივად წოვა-თუშები და ჩაღმა-თუშები თითქმის თანაბარნი არიან. ოდნავ უნდა სჭარბობდნენ ჩაღმანი, რომლებშიც ყველა სხვა თუში იგულისხმება, მთაში დარჩენილებიცა და ბარად ჩამოსახლებულებიც.

ჩაღმა-თუშების ქართულში უხვად ურევია ელემენტები, რომლებიც უტყუვრად მოწმობს, რომ ერთ დროს მათი მამა-პაპანიც წოვა-თუშურად ლაპარაკობდნენ და შემდეგ თანდათან გადმოვიდნენ ქართულზე. ასეთი ელემენტებია, უპირველეს ყოვლისა, ადგილის სახელები, ფონეტიკური მოვლენები და შემდეგ ცალკეული სიტყვები.

თ. უთურგაიძემ სწორად აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თუშეთის ტოპონიმიკა: „ბევრი სახელი წოური ენის მეოხებით აიხსნებაო", მაგრამ აქედან მან სწორი

---

1. ოლონდ წოვა-თუშების ქართული საკმაოდ განსხვავდება სხვა თუშების ქართულისაგან. იგი უფრო კახური მეტყველებაა.
2. ცნობა მომანოდა ვასო ცისკარიშვილმა.

დასკვნა ვერ გამოიყვანა: „უდავოა, რომ წოვების მეზობლობას თუშურ კილოზე საკმაოდ შესამჩნევი კვალი დაუტოვებიაო“.[1] არა, მეზობლობას კი არა, არამედ ქართულად მოუბარი თუშების მამა-პაპებიც ძველად იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც შემოჰრჩა წოვა-თუშებს და რომელმაც დანარჩენ თუშეთში ადგილი დაუთმო ქართულს.

თ. უთურგაიძის წიგნს უძღვის წინ მისი რედაქტორის ა. შანიძის მოკლე ცნობა, სადაც გარკვევით არის ნათქვამი: „ქართული ენის თუშური კილო ერთი იმ კილოთაგანია, რომელშიც ცხადად ჩანს სუბსტრატი ენის ელემენტები, განსაკუთრებით ფონეტიკასა და ლექსიკაში. ეს სუბსტრატი ენაა წოვა-თუშური, რომელიც ამჟამად მხოლოდ ზემო ალვანში გაისმის“. „ამჟამადო“, ვამბობდი, რადგანაც იგულისხმება, რომ ძველად იგი გაისმოდა წოვათის სოფლებშიც და უფრო ადრე თუშეთის სხვა თემთა სოფლებშიც: პირიქითისა, გომეწრისა და ჩაღმისაშიც; აი იმ ენამ დატოვა კვალი არა მარტო ტოპონიმიკაში, ე.ი. ადგილის სახელებში, არამედ თვით იმ ენის შემცვლელ ქართულში, რომელიც თუშეთის მოსახლეობის ჩვეულებრივ სასაუბრო ენად იქცა. მაგ., ჩაღმა-თუშურში აფე „მწვანეს“ ნიშნავს. საიდან მოდის ეს სიტყვა ქართულად მოლაპარაკე თუშებში? რა თქმა უნდა, მათი ძველებისაგან, რომელთათვისაც ეს სიტყვა ჩვეულებრივი იყო „მწვანის“ აღსანიშნავად. წოვა-თუშურში „მწვანე“ სწორედ „აფე“ არის, ოღონდ ოდნავ სხვაგვარი გამოთქმით. ბოლოს რომ ე არის, იგი ცხვირისმიერი ბგერაა (ე.ი. იმის გამოთქმის დროს ჰაერი ცხვირიდან გამოდის). და განა მარტო „აფე“! მთელი რიგი სიტყვებისა ჩაღმა-თუშურში[2] წოვა-თუშურის მასალებით აიხსნება; მაგალითად, „ქოკები“ (სა-

1. თ. უთურგაიძე, თუშური კილო. 1960 (თ. უთურგაიძემ შემდეგ გამოასწორა თავისი შეცდომა: „ცისკარი“, 1966, N 2, გვ. 109-115).

2. ჩაღმა-თუშურიო, რომ ვამბობ, იგულისხმება, ვიმეორებ, არა მარტო საკუთრივ ჩაღმური, არამედ სხვა თემების მოსახლეობის მეტყველებაც: პირიქითელებისა და გომენრელებისა.

ციგურაოები), „ერაწი“ (ქვაბი), „გახერება“ (გაქვავება) და სხვა. განა სალიტერატურო ენაში არა გვაქვს შემოტანილი (უმთავრესად ფშაურის გზით) წოვა-თუშური სიტყვები, როგორიცაა „ეხი“ (გამოქვაბული კლდეში), „ბედენა“ (განსხვავება) და სხვა? ამიტომ, როცა აკადემიკოსმა ა.შიფნერმა ამ ას თოთხმეტი წლის წინათ (1856 წ.) გამოსცა გერმანულ ენაზე ვრცელი ცნობები, რომლებიც შეიცავს წოვა-თუშურის გრამატიკულ მიმოხილვას, ტექსტებსა და ლექსიკას, და წიგნს დააწერა „ცდა თუშური ენის შესახებ“, ეს არ იყო შეცდომა, ისტორიულად მაინც, იმიტომ, რომ ისტორიულად „თუშური“ სწორედ ის უნდა ყოფილიყო, რომლის ჩამომავალია წოვა-თუშური. როცა ქართულად ამეტყველდა თუშების ნაწილი და მათი მამა-პაპების ენის ხმარების არე შემცირდა და წოვათის სოფლებსღა შემოჰრჩა, გაჩნდა საჭიროება, რომ ამ ენას დარქმეოდა წოვათ თუშური ანუ წოვა-თუშური (შემოკლებით წოვური). რომ აგრეა, ამას ყველაზე უფრო ნათლად ქართულად მოუბარი თუშების კილო ამტკიცებს. კახელმა რომ თუშის ლაპარაკს ყური დაუგდო და ხორხისმიერი ბგერების ხშირი ხმარება შენიშნა, ჰკითხა: თუშო, რას იხრჩობიო? არა, თუში არ იხრჩობა, იგი თავისუფლად გამოთქვამს თავის კილოს ბგერებს, მათ შორის ხორხისმიერ ბგერებსაც. როგორც ჩვენ არ გვიჭირს „ბაყაყის“ გამოთქმა, ისე ჩაღმა-თუშს არ უჭირს „მეტი/ღ/“ სიტყვის გამოთქმა, „ჭილტა/ღ/-ისა“ („კალიას“ ნიშნავს) და სხვებისა. ამას გარდა, ხშირია სიტყვის ბოლოს უმარცვლო ხმოვნის ხმარება, რაც ჩაღმა-თუშურს შეეძლო მიეღო მხოლოდ წინაპართა ენისაგან, რომელიც იგივე უნდა ყოფილიყო, რაც წოვა-თუშების წინაპრებისა.

როდის მოხდა თუშეთის სამი თემის საბოლოოდ გადმოსვლა ქართულ მეტყველებაზე, ეს ამჟამად ძნელი დასადგენია სათანადო მასალის უქონლობის გამო, მაგრამ ის კი შეიძლება

ითქვას, რომ ძალიან შორეული ამბავი არ უნდა იყოს. მე, მაგალითად, იმისი თქმაც კი მიჭირს გადაჭრით, თუ რა იყო შინაური სასაუბრო ენა ბახტრიონის გმირის ზეზვა გაფრინდაულისა, რომელიც ვაკისძირიდან იყო: წოვა-თუშური თუ ჩაღმა-თუშური (ვაკისძირი წოვა-თუშების წყაროდან ხუთიოდე კილომეტრითაა დაშორებული).

წერილობითი ისტორიული ცნობები თუშების შესახებ ცოტაა შემონახული და, რაც შემონახულია, არ არის შეკრებილი და ერთად გამოცემული, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ თუშეთის ისტორიული ამბები. რამდენადაც ვიცი, ისტორიულ წყაროებში არსად არ არის გარჩეული თუშები, ყველანი თუშებად იწოდებიან. „თუში“ საერთო სახელია ყველასი, ვინც თუშეთის ალაზნის ხეობაში ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1682 წელს უნდა იყოს დაწერილი, ნათქვამია: „ერთობით თუშებისათვის — წოვასა და ჩაღმისთვის“.

ჩაცმა-დახურვითაც, ზნე-ჩვეულებითაც და ყველა ეთნოგრაფიული ნიშნის მიხედვით თუშები ერთი ტომია. „თუშური ქუდიო“, რომ ვამბობთ, ან „თუშური ყველიო“, ჩვენ არ ვიცით, ვისი გაკეთებულია ქუდი თუ ყველი, ნოვა-თუშისა თუ ჩაღმა-თუშისა; არც ის ვიცით, ვინ მოქსოვა ჩითა (ერთგვარი წინდა): ეგევე ითქმის თუშური ცხვრის შესახებაც.

თუშური ლექსებიდან კარგად ჩანს, რომ წოვანი და სხვა თუშები ერთად მოქმედებდნენ საფრთხისა და განსაცდელის დროს. მაგალითად, სპეროზას მთას რომ ლეკები დაეცნენ და თუშების შვიდი ფარა გაიტაცეს, წოვა, ჩაღმა და პირიქითელი თუშები ერთად დაედევნენ მტერს:

კაცი მოვიდა წოვათას:
ლეკის დაგვეცა ჯარია;
სპეროზით ცხვარი წაიღეს,
შავად დაბღერტეს მთანია.

გაჯავრდნენ წოვათ ბიჭები,
აბჯრის გამოდის ჩქამია.
სწრაფ გადიარეს მთის წვერი,
ღმერთო, დასწერე ჯვარია.
წინ უძღვის ბერი სამება:[1]
უნდა გავლახო მტერია.
თან გაჰყვა ჩაღმა-პირიქით:
ძმურად ვუჭიროთ მხარია.
.....
ე მაგის მალექსებელი წოვათას თუშის ქალია.

აი ეს ძმური მხარის დაჭერა იყო ძველად ყველა თუშის ერთობლივი მოქმედების საფუძველი. თუშები ერთი ჩამომავლობისა არიან, ძმები იყვნენ და ძმები არიან და ძმებადვე დარჩებიან მომავალში.

კარგად ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველა დიდი მეგობარი იყო თუშებისა. იგი „თუშ-ფშაველთა რწმუნებული“ იყო და ხელს უწყობდა, რომ შირაქში მთიელები ჩასულიყვნენ დასასახლებლად.[2] ამ დიდი პოეტის ხსოვნის შეურაცხყოფა იქნებოდა, გვეკვლია, თუ რომელი თუშების რწმუნებული იყო, წოვა-თუშებისა, თუ ჩაღმა-თუშებისა. ვაჟა ყველა თემის რწმუნებული იყო, განურჩევლად იმისა, თუ რომელ თემს ეკუთვნოდა ესა თუ ის თუში.

ქართული კულტურის განვითარების საქმეში ყველა თუში იღებდა და იღებს მონაწილეობას, განურჩევლად თემისა. მაგალითად, მცირე როდია შემონატანი ამ კულტურაში წოვა-თუშების მხრითაც. მეცნიერები, ინჟინრები, პროფესორები, დოცენტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები წოვა-თუშთაგან — ცისკარიშვილები, ქადაგიძეები, ჭრელაშვილები, ბუქურაუ-

1. სალოცავია წოვათაში; აქ იგულისხმება მისი დროშა.
2. ვაჟა-ფშაველა (თხზულებანი). ტომი მეშვიდე, 1956, გვ. 293.

ლები, ბაძოშვილები, აბაშიძეები და სხვები, რომელთაც თვალსაჩინო წილი უძევთ ჩვენი ქვეყნის პროგრესის საქმეში, უდაოდ შემადგენელი ორგანული ნაწილია ქართული ინტელიგენციისა, ისე როგორც ჩაღმა-თუშებიდან გამოსული მწერლები და მეცნიერები: სულაკაურები, კურდღელაიძეები, გაგოიძეები, უთურგაიძეები, ელანიძეები და სხვები.

ამიტომ დიდი გაუგებრობაა საკითხის დასმაც კი იმის შესახებ, თუ ვის უნდა ეწოდოს თუში. ეს საკითხი კაი ხანია გარკვეულია და არც ჩანს მისი გადასინჯვის საჭიროება. ამიტომ ცოტა უცნაურად მეჩვენა, როცა როსტომ ელანიძის საყმაწვილო მოთხრობა წავიკითხე, რომელიც ბახტრიონის აღებას ეხება და რომელშიც ზეზვა გაფრინდაულის გმირობის ამბებია მოთხრობილი. უცნაურად მეჩვენა იმის გამო, რომ მოთხრობაში საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქო ამ სახელოვან ომში თუშთაგან წოვანი არ იღებდნენ მონაწილეობას. არა, ბახტრიონის აღებაში წოვა-თუშების მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ შველა შველაისძის მეთაურობით და თავიც დიდად ისახელეს. თუ ჩაღმანი ნაქერალის მთით გადმოვიდნენ და ქვემოდან შემოუტიეს ბახტრიონში მდგომ თათრებს, წოვანი პანკისზე დაეშვნენ და ზემოდან მოუარეს:

შველაო შველაისძეო.

პანკისს გასტეხე წყალიო.

ბახტრიონის აღების შემდეგ დიდი ალვანის მინდორი თუშებს დაჰრჩათ.

დააგდებინეს ალვანი,
თუშთ არსი საკუთარიო;
ჯერ ღმერთი, მერმე ბატონი,
სხვა არვინა ჰყავს მცილავი,[1]

---

1. ბახტრიონის აღება თუშთაგან. ხალხური ლექსები, გამოქვეყნებული ი. ბუქურაულის მიერ („ძველი საქართველო", ტ. II, განყ. მე-5, გვ. 12-13.)

ბახტრიონის აღებაში სხვა მთიელებიც იღებდნენ მონაწილეობას (ფშავლები, ხევსურები), რაც კარგად აქვს წარმოჩენილი ვაჟა-ფშაველას თავის „ბახტრიონში". მაგრამ თუშების ღვაწლი ამ ომში განსაკუთრებით დიდია.

როსტომ ელანიძის მოთხრობის შემდგომ გამოცემაში უთუოდ გასწორდება უნებლიე შეცდომა, მაგრამ ეს როგორ მოუვიდა როსტომის ძმისწულს ვ. ელანიძეს, რომელიც თუშთა წარმოშობის ისტორიის საკითხებს იკვლევდა და ასეთი მცდარი დებულება წამოაყენა: „წოვა და თუში, ორივე სხვადასხვა ტომის სახელებია და ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვსო" და „ამიერიდან მაინც „წოვა-თუშის" ნაცვლად „წოვა" და „ჩაღმა-თუშის" ნაცვლად „თუში" უნდა ვიხმაროთო".[1]

გულის სატკენი ამბავია, რომ, როგორც ვ. ელანიძის მიმოხილვიდან ჩანს, ავტორი სათანადოდ ვერ გარკვეულა თუშთა წარმოშობის საკითხებში და მცდარ დასკვნამდე მისულა. საწყენი ამბავია, მაგრამ იმედია, რომ მომავალში ასეთი რამ აღარ გამეორდება.

ენათმეცნიერთაც ჰმართებთ (და ძალიან!) არ დაივიწყონ, რომ წოვანიც თუშებია და, ტერმინებს რომ ხმარობენ, ეს ტერმინები სათანადოდ უნდა ასახავდნენ საქმის ნამდვილ ვითარებას; ნამდვილი ვითარება კი ეს არის: წოვა-თუშური ენა და ჩაღმა-თუშური კილო (ქართული ენისა). ამიტომ, მაგ., პავლე ხუბუტიას წიგნს უნდა დაჰრქმეოდა არა „თუშური კილო",[2] არამედ „ჩაღმა-თუშური კილო", ხოლო წოვა-თუშური უნდა დარჩეს იმ ენის აღსანიშნავად, რომელიც შემოჰრჩათ ერთი თემის თუშებს, რომლებიც ძველად წოვათაში ცხოვრობდნენ და კაი ხანია, რაც ზემო ალვანში სახლობენ.

---

1. ვ. ელანიძე, შენიშვნები თუშთა წარმოშობის ისტორიისათვის (ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1964, გვ. 62).
2. პ. ხუბუტია, თუშური კილო. ლექსიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1969 (თ. უთურგაიძის რედაქტორობით).

თუშების ერთობა, რომელიც კარგად ცნობილია ადრიდანვე, არაფერმა არ უნდა დაარღვიოს და შეარყიოს.

ამიტომ ცხადია, რომ ბახტრიონის აღების 300 წლისთავის აღსანიშნავად 1959 წელს ქვემო ალვანის ცენტრში სოფლის მოედანზე დადგმული ძეგლი ზეზვა გაფრინდაულისა ისევე საამაყოა და სანუკვარია წოვა-თუშთათვის, როგორც საამაყო და სანუკვარია ჩაღმა-თუშთათვის წოვა-თუშების მიერ ბახტრიონში იმავე საზეიმო ამბის აღსანიშნავად ამართული ობელისკი. სადაც კი უნდა იყოს ჩაღმა-თუში, მთაში თუ ბარად, თუშეთში თუ კახეთში (ალვანში, ზემოსა თუ ქვემოში, ლალისყურსა თუ ბირკიანში), მისთვის ბახტრიონის ობელისკიც იმ საერთო ბრძოლით მოპოვებული გამარჯვების მომასწავებელია, რომელსაც ზეზვა გაფრინდაულის ძეგლი ემსახურება.


ჩვენ ქვემოთ წარმოვადგენთ მოკლე ინფორმაციებს იმ მეცნიერთა შესახებ, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს წოვა-თუშური ენის კვლევის ისტორიაში.

პირველ რიგში დავასახელებთ აკად. მარი ბროსეს (1802-1880). აკად. მარი ბროსე ცნობილია, როგორც ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის ფუძემდებელი ს.-პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში. ამ მხრივ განუზომელია მისი დამსახურება, რის შესახებაც ივ. ჯავახიშვილი წერს: „მეცნიერული ქართველთამცოდნეობის დარგში მარი ბროსეს დამსახურება განუზომელია. მისი სახელი, ვითარცა ევროპული მეცნიერების საქართველოში ჩამნერგველის, სამარადისოდ უკვდავი დარჩება“.[1] სპეციალური მონოგრაფია უძღვნა პროფ. შ. ხანთაძემ მარი ბროსეს მეცნიერულ ბიოგრაფიას.[2]

მაგრამ რატომღაც ჩრდილში რჩება მისი დამსახურება მთის კავკასიურ ენათა მეცნიერულ შესწავლაში. ჩვენი ღრმა რწმე-

1. ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1992, ტ. X, გვ. 6.

2. შ. ხანთაძე. მარი ბროსე, თბილისი — 1966.



აკადემიკოსი მარი ბროსე
(1802-1880)

ნით, თუ არა მარი ბროსეს ინიციატივა, არ დაიწერებოდა აკად. ანტ. შიფნერის ცნობილი გამოკვლევა წოვა-თუშური ენის შესახებ, რომლის მეცნიერული ღირსებაც ასე შეაფასა აკად. არნ. ჩიქობავამ: „გადაუჭარბებლივ შეიძლება ითქვას, რომ „ცდა თუშთა ენის შესახებ" — პირველს მეცნიერულ აღწერით გრამატიკას წარმოგვიდგენს იბერიულ-კავკასიურ ენათათვის. არა თუ მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, არამედ ქართულისათვის ასეთ დონეზე შესრულებული შრომა იმ ხანად არ მოგვეპოება".[1]

რაში გამოიხატება მ. ბროსეს წვლილი წოვა-თუშურის მეცნიერული შესწავლის ისტორიაში?

როგორც ცნობილია, 1847-48 წლებში მ. ბროსე ჩამოვიდა საქართველოში. მოიარა მთელი საქართველო. თელავში ის გაეცნო რაფ. ერისთავის მამას — დავით ერისთავს. თავად რაფიელმა კი აქტიური თანამშრომლობა დაიწყო მ. პროსესთან. გააცნო მას კახეთის ისტორიული და აწმყო რეალიები.

რაც ჩვენთვის მთავარია, ალვანში მას გააცნო ფრიად განათლებული მღვდელი იობ ცისკარიშვილი. იობი წოვა-თუში იყო და საფუძვლიანად ფლობდა თუშურ ენას. მ. ბროსემ, რა დაინახა, რომ ეს ენა არის მცირე ხალხის ენა, რომელიც დღეს თუ ხვალე გაქრებოდა, ამიტომ იობ ცისკარიშვილს ურჩია, დაეწერა ამ ენის გრამატიკა გრეჩეს რუსული გრამატიკის მიხედვით. იობიმ რჩევა მიიღო და შეუდგა მუშაობას. როგორც ბროსესადმი მინერილი წერილებიდან ჩანს, იობი მისგან იღებდა კონსულტაციებს. იობიმ, გარდა გრამატიკისა, თუშურად თარგმნა ახალი აღთქმის თავები და შეადგინა ლექსიკონი (3000 სიტყვა). ეს მასალა მ. ბროსემ ჩაიტანა ს.-პეტერბურგში და, მათ შორის მისადმი მინერილი იობის სამი წერილიც, გადასცა აკად. ა. შიფნერს. აი, არსებითად ამ მასალის საფუძველზე, და, რა თქმა უნდა, იობის ძმის გიორგი ცისკარიშვილის დახმარებითაც, რომელიც იმ

1. არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი — 1965.

დროს სწავლობდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, შეადგინა გრამატიკა „ცდა თუშთა ენის შესახებ“, რომელსაც ასე მაღალ შეფასებას აძლევს არნ. ჩიქობავა.

სწორედ ეს ფაქტი გვქონდა მხედველობაში, როცა ზემოთ ვნერდით, რომ თუ არა მარი ბროსეს ინიციატივა, არ დაინერებოდა აკად. ანტ. შიფნერის ცნობილი გამოკვლევა წოვა-თუშური ენის შესახებ.

აქვე, ალბათ, არ იქნება ზედმეტი, თუ ორიოდე სიტყვით წარმოვადგენთ მოკლე ინფორმაციას შიფნერის ბიოგრაფიიდან: „ანტონ ანტონის ძე შიფნერი (1817-1879) წარმოშობით არის რეველიდან, განათლება მიიღო ს.-პეტერბურგში 1836-40 წლებში, შემდეგ 6 წლის განმავლობაში ბერლინში სწავლობდა აღმოსავლურ ენებსა და ფილოლოგიას. შიფნერის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი ფასეული ნაშრომები კავკასიურ ენათა, ფინო-უნგრულ და ტიბეტურ ენებში და ლიტერატურაში. 1852 წელს მან დაბეჭდა ნაშრომი „შესწორებები და დამატებები“ აკად. შმიდტის ტიბეტური ლეგენდების კრებულზე „Мудрец и глупец“. მასვე ეკუთვნის რიგი სტატიები აკადემიის გამოცემებში გამოქვეყნებული: აფხაზური ენა (1862), ჩეჩნური ენა (1864); გერმანულ ენაზე თარგმნა ფინური ეპოსი „კალევალა“ და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მ. ბროსეს დავალებითა და კონსულტაციებით იობი ცისკარიშვილმა შეადგინა წოვა-თუშური ენის გრამატიკა. ამ გრამატიკის საფუძვლიანი ანალიზი იზ. ჯოლბორდმა გამოაქვეყნა. მანვე გამოაქვეყნა აგრეთვე სტატია[1] „ა. შიფნერი და წოვა-თუშური ენის ფონეტიკის საკითხები“, სადაც გაანალიზებული და კრიტიკულად შეფასებულია შიფნერის ნააზრევი წოვა-თუშურის რთული ფონეტიკური სისტემა.

---

1. იზ. ჯოლბორდი. ა. შიფნერი და წოვა-თუშური ენის ფონეტიკის საკითხები, იკე, ტ. XX, 1978, გვ. 191.



იოჰ ცისკარიშვილი მეუღლესთან ერთად



იზ. ჯოლბორდი

სამწუხაროდ, ეს მეტად პერსპექტიული მკვლევარი ნახური ენებისა ნაადრევად წავიდა ჩვენგან.

წოვა-თუშური ენის შესახებ ვრცელი მონოგრაფია გამოაქვეყნა პრ. ფ. ი. დეშერიევმა[1] — ამ მონოგრაფიით წოვა-თუშური ენის გრამატიკული სტრუქტურა ცნობილი გახდა ფართო ლინგვისტურ სამყაროში, როგორც ჩვენთან, ესევე უცხოეთშიაც. გარდა ამისა, ი. დეშერიევს ეკუთვნის მრავალი საყურადღებო სტატია ამ ენის ცალკეული საკვანძო საკითხების შესახებ. ნახოლოგიის დიდი შენაძენია მისი ფუნდამენტური გამოკვლევა — „ნახური ენების შედარებითი გრამატიკა".

განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დოც. რ. გაგუას წოვა-თუშური ენის არა მარტო მეცნიერული შესწავლის სფეროში, არამედ პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც. ის თითქმის 40 წელი კითხულობდა წოვა-თუშური ენის კურსს თსუ-ში. მისი შრომებიდან რამდენიმეს დავასახელებთ მხოლოდ: 1. ძირითადი და ერთთანდებულიანი ბრუნვები ბაცბურში (საკანდ. დისერტაცია), თბილისი, 1941 წ. 2. ერგატივისა და ინსტრუმენტალისის ურთიერთობისათვის ბაცბურ ენაში. იკე, IV, თბილისი, 1948, 3. ზმნის ცვლა გრამატიკული კლას-კატეგორიის მიხედვით ბაცბურ ენაში, იკე, IV, თბილისი, 1953, 4. Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского имени, იკე-ს წელიწდეული, ტ. X, 1983.

ამჟამად წოვა-თუშურ ენაში ინტენსიურად მუშაობენ ლ. სანიკიძე, ბ. შავხელიშვილი და მ. მაჭავარიანი. ასე რომ, ამ ენას მკვლევრები არ აკლდა და არც ახლა აკლია. სწორედ ეს ფაქტი

1. Ю. Дешериев. Бацбийский язык, М., 1953. Ю.Д. Дешериев. Сравнительная грамматика нахских языков. Грозный. 1963.



პეტრე უსლარი (1816-1875)



პროფ. ი. დეშერიევი

გვქონდა მხედველობაში, დასაწყისში რომ ვწერდით: მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ყველაზე სვებედნიერი წოვა-თუშური ენა აღმოჩნდაო. მარტო ის რად ღირს, რომ, როგორც არნ. ჩიქობავა წერს: ა. შიფნერის მონოგრაფია წოვა-თუშური ენის შესახებ არის პირველი მეცნიერული გრამატიკა იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის. უფრო მეტიც, არათუ მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, არამედ ქართულისათვის ასეთ დონეზე შესრულებული შრომა იმ ხანად არ მოგვეპოვება.

ისე რომ, ჩვენი გამონათქვამი წოვა-თუშური ენის სვებედნიერობის შესახებ, საფუძველს მოკლებული არ ჩანს.

ჩვენი ნაშრომი „წოვა-თუშური ენა“ შედეგია ავტორის მრავალი წლის დაუღალავი შრომისა. ჩემთვის (ისე როგორც ყველა ენათმეცნიერისათვის) **ამოსავალი პოსტულატი იყო — ენა სისტემაა.** აქედან გამომდინარე, თუ ვერ დაადგინე საანალიზო ენის დონეების სისტემური არსი, ასეთი ნაშრომი მოკლებულია მეცნიერულ ღირებულებას. ეს კი ურთულესი პრობლემაა. როგორც ცნობილია, ენის გრამატიკული სისტემის ღერძი ზმნაა. თუ მკვლევარმა მიაგნო და დაადგინა ზმნური კატეგორიების სისტემური ხასიათი, ამით მან ძირითად მიზანს მიაღწია. წოვა-თუშურ ენაში განსაკუთრებით **დაუძლე-**



ბაბალე ჭრელაშვილი — რუსუდან გაგუას მასპინძელი
თუშეთში და ინფორმატორი ნოვა-თუშურ ენაში (1893-1972)



რუსუდან გაგუა
(1917-1991)

ველი აღმოჩნდა ზმნის უღვლილების სისტემა. ეს უბანი დღემდე რჩებოდა თეთრ ლაქად. ვინც კი ამ ნაშრომს ყურადღებით წაიკითხავს, ნახავს, რომ ეს პრობლემა დაძლეულია. დადგენილია უღვლილების მეტად რთული, მრავალწევრიანი თანმიმდევრული სიმეტრიული სისტემა.

ავტორი ამას მოკრძალებული დაბეჯითებით აცხადებს. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში ეს ნაშრომი უკმარისობის გრძნობას მაინც ბადებს. ეს, ალბათ, ბუნებრივიცაა. ეს ზღაპრულად მცირერიცხოვანი ტომის ენა ხომ ლინგვისტური თვალსაზრისით იმავე ღირებულებისაა, როგორც მრავალრიცხოვანი ერის ენა. ნოვა-თუშური ენა ისე მიდის ამქვეყნიდან, ჩვენი ცივილიზებული საზოგადოების თვალწინ, რომ ამ ენის ტექსტების გამოქვეყნებაც კი ვერ მოხერხდა. ამიტომ იყო, რომ აკ. შანიძე თავისი დაბადების 100 წლის თავზე ტელევიზიის კორესპონდენტის კითხვაზე -- თუ რას ინატრებდა ის, ეს ღრმად მოხუცებული, ქართველოლოგიის ბერმუხა წუხილით პასუხობს: „ნოვა-თუშური ენის ტექსტები მრჩება გამოუქვეყნებელიო".

ამ ხარვეზს ნაწილობრივ მაინც, ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი შეავსებს. ავტორის ოცნებაც ეს გახლავთ.

ჩვენ ზემოთ ვთქვით მარი ბროსეს წვლილზე მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლაში. ჩვენი ეს თვალსაზრისი ნათლად დასტურდება იობი ცისკარიშვილის მიერ მიწერილი წერილებიდან, რომელთაც აქვე ვაქვეყნებთ. წერილები დაწერილია რუსულ ენაზე. ჩვენ ვთარგმნეთ ისინი. ამ წერილებიდან ჩანს, რომ იობი კონსულტაციებს იღებდა მ. ბროსესგან. ამაშია ამ წერილების ისტორიული მნიშვნელობა.და განსაკუთრებით კი კავკასიური ენების შესწავლის ისტორიაში.

თქვენო აღმატებულებავ,
უმოწყალესო ხელმწიფევ!

თუმცა შევისწავლე თქვენი აღმატებულების უკეთილგანწყობილესი თხოვნა, მაგრამ, რადგანაც ამ დროს ჩვენი თუშები თავის საკუთარ დიალექტზე აღარ მღერიან სიმღერებს, არამედ — ქართულად, ძველ თუშებში შემორჩენილია ძველი სიტყვები, მაგრამ ძალიან ცოტა, აი, თქვენო აღმატებულებავ, ვკადნიერდები და წარმოგიდგენთ თუშურ სიმღერებს ქართულ ენაზე.

თქვენო აღმატებულებავ! საერთოდ ახლა თუშები საკუთარ სიმღერებს, რომლებიც ეხება მათ თავგადასავლებს და ყოფას, როგორც ძველს, ისე ახალს, თხზავენ და მღერიან ქართულ ენაზე.

შემთხვევით ქისტებთან ყოფნისას მოვისმინე მათგან რამდენიმე ლექსი, რომლებსაც ქვემოთ წარმოვუდგენ თქვენს აღმატებულებას. ეს ლექსები მე სიტყვასიტყვით ვთარგმნე თუშურ ენაზე გარითმვის გარეშე. მინდოდა მეთარგმნა რუსულ ენაზე, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

რაც შეეხება ანბანის წესებს, ვიმედოვნებ, მექნება ბედნიერება ვესაუბრო თქვენს აღმატებულებას, როცა თბილისში ჩამოვალ.

თქვენი აღმატებულების წერილი და ამანათი არ მიმიღია, თუმცა ორჯერ მივედი მაზრის კანცელარიის უფროსთან. უარს მეუბნებიან იმ მიზეზით, რომ თითქოს გაუგზავნეს ჩვენი ოლქის თანაშემწეს. იმასაც არა აქვს.

ულირსი (недостойный) —
იობ ცისკაროვი
1847 წელი
ოქტომბრის 20 დღე

თქვენო აღმატებულებავ,
უმოწყალესო ხელმწიფევ!

ჩემს მოვალეობად ვთვლი, მოგილოცოთ, თქვენო აღმატებულებავ, ქრისტეს აღდგომის დღე.

თქვენი აღმატებულების 4 მარტის წერილი მივიღე 13 მარტს, რომელსაც დიდის სიამოვნებით ხშირად ვკითხულობ იმ იმედით, რომ კიდევ მივიღებ თქვენგან ასეთ რჩევა-დარიგების წერილებს, რომლებიც ჩემთვის საჭირო და სასარგებლო იქნება.

თქვენო აღმატებულებავ! მაპატიეთ, რომ აქამდე ვერ გიპასუხეთ თქვენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის მეტად სასურველია, მქონდეს თქვენთან ხშირი წერილობითი საუბარი. მაგრამ, როგორც ცნობილია თქვენი აღმატებულებისათვის, დიდი მარხვის დროს ღვდელი უფრო დიდად დაკავებულია საეკლესიო საქმეებით, ვიდრე სხვა დროს. ამ მარხვის დროსაც ვერაფერი ვერ მოვასწარი.

აი, ამ დროისათვის მოვასწარი დამეწერა მოკლედ თუშური გრამატიკის მეოთხე თავი. ამასთან ერთად თქვენს აღმატებულებას ვუგზავნი წერილს, იმედით, რომ ინებებთ მის წაკითხვას და ყოველ ნაკლს, რაც გააჩნია, აღნიშნავთ და წინანდებურად დამიბრუნებთ უკანვე. დანარჩენ თავებსაც მალე დავამთავრებ.

თქვენი აღმატებულების მიერ ჩემდამი გამოგზავნილი ასეთი მოკრძალებული წერილების გამო სუფთა გულით გამოვხატავ მადლობას, ასევე მთელი სულითა და გულით გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მაღირსოთ ასეთივე წერილები მსგავსი დარიგებით.

თქვენო აღმატებულებავ, როგორც თქვენ უკვე მითხარით, მგონი ახლოვდება თქვენი გამგზავრების დრო ს.პეტერბურგში,

მე კი ვრჩები თქვენი აღმატებულების უნახავი, რისთვისაც მთელი სულით და გულით გთხოვთ, ღირსი გამხადოთ თქვენი ნახვისა. მომწერეთ, რა დროს და რომელ თვეს ჩამოვიდე ქ. თბილისში, რომ გინახულოთ ბინაზე მეგობრული საუბრისათვის.

თქვენო აღმატებულებავ, საქართველოს ეგზარხოსმა თუ იცის, ჩემი თუშური გრამატიკის შესახებ?

უმდაბლესად თავს გიხრით
ჭეშმარიტად პატივისმცემელი
თქვენი უმორჩილესი მსახურის ოჯახი,
იობი ცისკაროვი
20 აპრილი, 1848 წელს
ოლქის უფროსი, თიანეთში
ღვდელს იობი ცისკაროვს
ალვანის მინდორზე, სოფელ გურგალ-ჭალაში

თქვენო აღმატებულებავ,
უმოწყალესო ხელმწიფევ!

ამა თვის 12-ს ჩამოვედი თბილისში იმის იმედით, რომ აუცილებლად ვნახავდი თქვენს აღმატებულებას და ვისაუბრებდით ყველაფერზე, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, თქვენი აღმატებულება, თბილისში არ დამხვდა, რაზედაც გული დამწყდა; ვერ შევძლებდით უკიდურეს შემთხვევაში ერთხელ მაინც გვენახა ერთმანეთი? თქვენი წასვლის დრო კი უკვე ახლოვდება და ჩვენ ერთმანეთს ველარასდროს ველარ ვიხილავთ. ხოლო თბილისში შემდგომ ჩამოსვლას მე ველარ მოვახერხებ იმის გამო, რომ ამ თვეში თუშები მიემგზავრებიან მთაში. ძალაუნებურად მეც მათთან ერთად უნდა წავიდე. უკიდურეს შემთხვევაში თქვენი წერილი მაინც მაღირსეთ, რომელიც ჩემთვის ნუგეში იქნება, შემატყობინეთ ყველაფერი.

თქვენო აღმატებულებავ, ამა წლის 20 აპრილს გამოგიგზავნეთ გრამატიკის მეოთხე თავი, წერილითვე, ჩემი ძმის ხელით, მაგრამ დღემდის იმასვე ჰქონია, ვერ შესძლო მიეტანა კანცელარიაში. მე კი მეგონა, რომ მეოთხე ნაწილი გრამატიკისა წერილთან ერთად თქვენ მიღებული გექნებოდათ და ველოდებოდი თქვენგან ზაფხულში პასუხს. ბოლოს მე თავად ჩამოვედი აქ (ე.ი. თბილისში. კ.ჭ.) და დამხვდა აქვე ჩემი გამოგზავნილი მასალა. წერილებს და გრამატიკის სხვა თავებს მეორე ნაწილამდე გიგზავნით „შესავალთან" ერთად. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, წინანდებურადვე წაიკითხოთ და გაუკეთოთ შენიშვნები, განსაკუთრებით „შესავალი". მე მგონია მთლათ გასაგები არ უნდა იყოს. გთხოვთ მეტი ყურადღება მიაქციოთ განსაკუთრებით იმას, რაც ჩემია, ზედმეტი ამოიღეთ, საჭირო კი დატოვეთ, თუ საჭიროდ ჩათვალოთ, მთლიანათ შეცვალოთ, მაშინ დაწერეთ, თქვენთვის მისაღები როგორც იქნება.

არა მაქვს აღნიშნული, რომ წყაროდ მე გამოყენებული მაქვს გრეჩის გრამატიკა, თუ საჭიროა, გთხოვთ ესეც აღნიშნოთ.

მეორე ნანილზე ახლავე დავიწყებ მუშაობას, თუ თქვენი აღმატებულება მიბრძანებს. ამის შესახებ დაველოდები თქვენგან ცნობას.

ჭეშმარიტად პატივისცემით და ერთგულებით
თქვენი აღმატებულების კეთილისმსურველი და მსახური
ღვდელი იობი ცისკაროვი
15 ივნისი 1848 წელი

ფოტოზე: ვლადიმერ ჯაფარიძე, ალექსანდრე ჯაფარიძე, ალექსანდრე ჯაფარიძის ბავშვები: ვლადიმერ (1891 წ.) და ალექსანდრე (1895 წ.).

წოვა-თუშური ენის თანხმოვანთა პარადიგმატული სისტემა

წოვა-თუშური ენის კონსონანტური სისტემა ითვლის 41 ბგერას. ეს ბგერა-სეგმენტები გამოიყოფა მეტყველების ნაკადში. რა თქმა უნდა, მეტყველების პროცესში პოზიციების მიხედვით ეს ერთეულები განიცდიან მრავალნაირ ფონეტიკურ ცვლილებას, რომელთა ცალ-ცალკე აღრიცხვა, თუნდაც მიახლოებით, შეუძლებელია. ჩვენი კვლევის მიზანს ეს არც შეადგენს.

სამეტყველო ბგერებს ვსწავლობთ ორი რიგის ნიშნების მიხედვით: ფიზიოლოგიური და აკუსტიკური. ამისდა მიხედვით გვაქვს ფიზიოლოგიური ფონეტიკა და აკუსტიკური ფონეტიკა. პირველი სწავლობს ბგერებს სამეტყველო აპარატში წარმოების ადგილისა და წარმოების რაგვარობის მიხედვით; ადგენს იმ სამეტყველო ორგანოებს, რომელთა არტიკულაციითაც წარმოიქმნება ესა თუ ის ბგერა. ხოლო მეორე — „Акустическая фонетика изучает звук как колебание, как реакцию человеческого уха, отождествляющего в определенных условиях звуковую волну с актом речи".[1]

წარმოდგენილ ნაშრომში, ბგერის ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ დახასიათებასთან ერთად, გარკვეულია მისი ფონოლოგიური სტატუსი, ფონოლოგიური შინაარსი, რასაც ბინარული მეთოდის გამოყენებით ვახერხებთ.[2]

როგორც წარმოდგენილი ტაბულიდან ჩანს, წოვა-თუშური ენის ფონეტიკური შედგენილობა შეიცავს ჰომორგანულ ხშულთა სამეულებრივ სისტემებს. განსაკუთრებული მნიშვ-

1. Б. Мальберг, Проблема метода в синхронной фонетике. Новое в лингвистике, вып. II, М., 1962, стр. 343.
2. Р. Якобсон, Г.М. Фант, М. Халле, Введение в анализ речи. Новое в лингвистике, вып. II, М., 1962.

სერიები \ რიგები		1	2	3	4	5		6	7		8		9	10		11	
მუღერები		ბ	ვ	დ		ძ	გ		ჯ	ჟ	გ	ღ		ჴ	ჭ	ც	
ფრუსი	არაინტენსიური	ფ		თ	ლ̃	ც	ს		ჩ	შ	ქ	ხ	პ		პ$_{ა}$		პ
	ინტენსიური			თ$_{ა}$			ს$_{ა}$					ხ$_{ა}$	პ$_{ა}$				
აბრუპტივები	არაინტენსიური	პ		ტ		ნ			ჭ		კ		ყ				
	ინტენსიური			ტ$_{ა}$									ყ$_{ა}$				
სონორები	არაინტენსიური	მ		ნ	ლ			რ									
	ინტენსიური				ლ$_{ა}$												

1. ბაგისმიერები 2. კბილბაგისმიერები 3. კბილისმიერები 4. ლატერალურები 5. წინაენისმიერები 6. ვიბრანტი 7. უკანასნიბილანტები 8. წინაველარულები 9. უკანაველარულები 10. ფარინგალურები 11. ლარინგალურები

ნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ სამეულთა დენტალური ფრაგმენტის ყრუ ერთეულებს აქვთ ინტენსიური კორელატებიც. ინტენსიური კორელატები მოეპოვებათ, აგრეთვე, ყრუ პოსტველარულებსაც. ჩვენ ამ რიგის ფონეტიკურ ერთეულებზე ცალკე შევჩერდებით, რადგანაც მათ ფონოლოგიურ სტატუსს სინქრონიულ დონეზე ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება ნახურ-დაღესტნურ ენათა ერთიანობის დონის ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციისათვის. ამჯერად კი წარმოვადგენთ ტაბულაში მოცემული დანარჩენი კონსონანტების ფონეტიკურ-ფონოლოგიურ მოკლე დახასიათებას.

/ბ/ სიმბოლოთი აღვნიშნავთ ბგერას, რომელიც იწარმოება ბაგეების ძლიერი ხშვით და სკდომით. წარმოების ადგილის მიხედვით ის არის წყვილბაგისმიერი ხშული. /ბ/-ს წარმოთქმი-

სას სახმო სიმები პერიოდულად ჟღერენ, რაც სმენითაც შეიგრძნობა; თუ ყურები დავიცავით თითებით, გავიგონებთ ერთგვარ ზუზუნს.

როგორც ფონემათა დისტრიბუციული მატრიციდან[1] ჩანს, /ბ/ გრაფემით აღნიშნული ფონეტიკური ერთეული ფუნქციონირებს ძირეული მორფემის როგორც თავკიდურ, ასევე ბოლოკიდურ პოზიციაში — დასტურდება მორფემის შიგნითაც.

/ბ/-ს გრამატიკული მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ ის გამოხატავს სახელთა მესამე გრამატიკულ კლასს. მაგალითად, დო[6] ბოჟე[6] „ცხენი ნაიქცა"; ფჰხუ ბჰევი[6] „ძაღლი მოკლეს".

/ბ/ იხმარება ბრძანებითის მფორმებშიც, ღობ! „წადი"! თაგდებ! „გააკეთე"! გიბ! „ნახე"!..

/ბ/ ფუნქციონირებს რიგ ფონოლოგიურ ოპოზიციებში, როგორც მინიმალური ფონოლოგიური ერთეული; მაგალითად: **ბო** „ნიორი" — **შო** „წელი"; **ბაქ** „პირი" — **მაქ** „ზედ"; **აბარ** „კერვა" — **ათარ** „ნაყვა"; **დიბ** „ფიცი" — **დიკ** „ცული".[2]

საილუსტრაციო მასალის საფუძველზე /ბ/ სიმბოლოთი აღნიშნული ფონეტიკური ერთეული განიხილება როგორც წოვათუშური ენის ფონოლოგიური სისტემის ერთეული.

ბაგისმიერ სამეულთა მეორე წევრს აღვნიშნავთ /ფ/ გრაფემით. მისი წარმოთქმისას ბაგეები ნაკლებ დაჭიმულია, ხშვა სუსტია, ამიტომ განხშვა ნაკლებ ენერგიას მოითხოვს. ბაგეების განხშვას თან ახლავს ასპირაცია. სახმო სიმები ინდიფერენტულ მდგომარეობაშია, ამიტომ აკუსტიკურად ის არის ყრუ.

/ფ/ გრაფემით აღნიშნული ფონეტიკური ერთეული, როგორც დისტრიბუციული მატრიციდან ჩანს, გვხვდება ძირეული მორფემის ფარგლებში და ფუნქციონირებს როგორც თავ-

1. კ.ჭრელაშვილი. ნახური ენების თანხმოვანთა სისტემა, თბილისი, 1975, გვ. 230
2. აქაც და ქვემოთაც სიტყვებს ვთარგმნით მხოლოდ ერთი მნიშვნელობით.

კიდურ, ასევე ბოლოკიდურ პოზიციაში. ეს დასტურდება, აგრეთვე, ძირეული მორფემის შიგნითაც.[1]

/ფ/ ბგერა დასტურდება მინიმალურ წყვილებში, როგორც დისტინქციური ერთეული; **ფე** „მხარე" — **გე** „ციდა"; **ფეხ** „ახლო" — **ჰხეხ** „გამოქვაბული"; **ყაფარ** „გამოყოფა" — **ყაჭარ** „გამოჩენა"; **აფე**^{ნ} „მწვანე" — **ახე**^{ნ} „ნახევრის".

საილუსტრაციო მასალა იძლევა საფუძველს **ფ** გრაფემით აღნიშნული ფონეტიკური ერთეული მივიჩნიოთ ფონემურ ერთეულად. განხილულ /ბ/ და /ფ/ ფონემეთა ჰომორგანულია /პ/ გრაფემით აღნიშნული ბგერა. მაშასადამე, წარმოების ადგილის მიხედვით ისიც ლაბიალურია. მისი წარმოთქმისას ბაგეები დაჭიმულია და ხშვა უფრო ძლიერია, მტკიცეა, ვიდრე შესაბამის ჰომორგანულ და ჰომოგენური ფონემებისა.

როგორც ცნობილია, ბგერის წყაროა ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადი, რომელსაც ექსპირატორული არხის ამა თუ იმ წერტილზე უხდება დაბრკოლების გადალახვა. /პ/ ბგერის წარმოთქმისას ყელი დახშულია და მისი რეალიზაციისათვის საკმარისია ჰაერის ის მარაგი, რომელიც იმყოფება ზესადგამ მილში. ბგერათა ასეთ წარმოებას უწოდებენ უსუნთქველ ბგერათწარმოებას.[2] ამ დროს სახმო სიმები დაკეტილია, ამიტომ აკუსტიკურად /პ/ ბგერა არის ყრუ. მეცნიერებაში ამ რიგის ბგერებს სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ. ჩვენ მათ გ. ახვლედიანის მიხედვით ვუწოდებთ აბრუბტივებს.[3] /პ/ ბგერის ხმარების სიხშირე ძალზე დაბალია. ჩვენ იგი დავადასტურეთ 15 ლექსიკურ ერთეულში. მიუხედავად ამისა, მაინც ხერხდება მინიმალური წყვილების დაძებნა, რაც საფუძველს იძლევა /პ/ ფონეტიკური სეგმენტი მივიჩნიოთ ფონემატურ ერთეულად: **პჭა**^{ნ} „ფრთა" — **ბჭა**^{ნ} „წვერი"; **პალრ** „დღეიდან მეოთხე დღე"

1. კ.ჭრელაშვილი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 247
2. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 77.
3. გ. ახვლედიანი, იქვე, გვ. 77.

— **კალრ** „მეხუთე დღე“; **პირ** „ფარა“ — **ქირ** „შრატი“; **ლაპ** „კიბე“ — **ლაჭ** „ჩააწებე“.

აქ მოყვანილ მაგალითებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ნახური ენების, არამედ ნახურ-დაღესტნურ ენათა ფონოლოგიური სისტემის შესწავლაში დიაქრონიული თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, აღნიშნული ერთეული რიგ დაღესტნურ ენაში იმდენად სპორადულია, რომ მისი ფონემურ ერთეულად მიჩნევა ამ ენათა მკვლევრებსაც უჭირთ.[1]

/დ/ გრაფემით აღნიშნული ბგერის წარმოთქმისას წინა ენა ებჯინება კბილებს და კეტავს ფილტვებიდან ამონადენ ჰაერნაკადს, ხდება ხშვა, რომელსაც მოსდევს მეყსეული განხშვა, სკდომა. ამიტომ წარმოების ადგილის მიხედვით მას შეიძლება ვუწოდოთ წინაენისმიერი (აქტიური ორგანოს მიხედვით), პასიური ორგანოს მიხედვით კი — კბილისმიერი; ხოლო რაგვარობის მიხედვით ხშულია. /დ/-ს წარმოებისას სახმო სიმები ჟღერენ, რაც კარგად შეიგრძნობა თვითდაკვირვებითაც. მაშასადამე, აკუსტიკურად /დ/ მჟღერია. ამდენად, /დ/ შეიძლება დავახასიათოთ როგორც წინაენისმიერი (დენტალური) ხშული, მჟღერი ბგერა.

/დ/ ბგერის ხმარების სიხშირე შედარებით მაღალია (იხ. დისტრიბუციული მატრიცა[2]). მისი დისტრიბუცია შეზღუდული არ არის, გვხვდება ძირეული მორფემის ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში.

/დ/ ბგერა მონაწილეობს მინიმალურ წყვილებში, როგორც დისტინქციური ფუნქციის მატარებელი ერთეული, რაც საფუძველს გვაძლევს მივიჩნიოთ ის წოვა-თუშური ენის ფონოლოგიური სისტემის ფონემურ ერთეულად, **დოს** „შეშა“ — **ბოს** „ფერი“; **დოკ** „გული“ — **ქოკ** „ფეხი“; **ბედ** „ცალკე“ — **ბეჯ**

1. არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი, 1962.
2. კ.ჭრელაშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 232

„თმა“; ბოდ „მახე“ — ბოს „ფერი“; დოხკ „ღრუბელი“ — მოხკ „ფილი“.

/თ/ გრაფემით აღვნიშნავთ /დ/-ს ჰომორგანულ და ჰომოგენურ ბგერას. აღნიშნული ბგერა იწარმოება ენის წინა ნაწილის მიბჯენით კბილებზე, რითაც ექმნება დაბრკოლება ფილტვებიდან ამონადენ ჰაერნაკადს და იქმნება ბგერის ხშულობის მომენტი. ხშვას მოსდევს სწრაფი განხშვა, რასაც თან ახლავს ასპირაცია ანუ ფშვინვა. სახმო სიმები ამ დროს პერიოდულად არ ირხევიან.

აქედან გამომდინარე, /თ/ გრაფემით აღნიშნული ფონეტიკური ერთეული შეიძლება დავახასიათოთ როგორც წინაენისმიერი ყრუ, ხშული ბგერა.

დისტრიბუციულად ეს ბგერა შეზღუდული არ არის, გვხვდება ლექსიკური მორფემის როგორც ანლაუტში, ასევე ინლაუტსა და აუსლაუტში.

/თ/ ბგერის ფონოლოგიური იდენტიფიკაცია ხერხდება კვლავ მინიმალური წყვილებით, რომლებსაც ჩვენ საკვლევ ენაში ვადასტურებთ; ესენია: **თაკარ „შეკერვა“ — მაკარ „შეძლება“; თეგარ „შერიგება“ — ზეგარ „მოსინჯვა“** (საჭმლისა); **თეტარ „ჭრა“ — ყეტარ „ჩენა“; თივარ „დასვენება“ — დივარ „თესვა“; ჴეთარ „ცოდნა“ — ჴელარ „წაყვანა“; თეშ! „ენდე“ — დეშ! „დაუჯერე“...**

/ტ/ გრაფემით აღვნიშნავთ /დ/ და /თ/ ბგერების ჰომორგანულ და ჰომოგენურ ბგერას, რომელიც მათგან განსხვავდება არტიკულაციის მეტი დაჭიმვით, ძლიერი ხშვით. /ტ/ -ს არტიკულაციის დროს ყელი დახშულია; მის წარმოსათქმელად საკმარისია პირის ღრუში მოთავსებული ჰაერი; სახმო სიმები ინდიფერენტულ მდგომარეობაშია.

აქედან გამომდინარე, /ტ/ ბგერა ფონეტიკურად შეიძლება დავახასიათოთ როგორც წინაენისმიერი აბრუბტივი.

ძირეულ მორფემაში /ტ/ ბგერის განაწილება თავისუფალია, გვხვდება როგორც ანლაუტში, ასევე ინლაუტსა და აუსლაუტში.

/ტ/ ბგერის ფონოლოგიური ღირებულება ნათელია მინიმალური წყვილებით, სადაც აღნიშნული ბგერა დისტინქციურ ფუნქციას ასრულებს. ესენია: **ატარ „გაჩუმება“ - აბარ „კერვა“; თეტარ „ჭრა“ — თელ̃არ „მიცემა“; ჴეტ „ნიჩაბი“ — ჴერ „ქვა“; ტა „მხარი“ — წა „სახლი“; შატ „ნასკვი“ — შათ „დორბლი“.**

ხშულთა სამეულს ქმნის ველარული (უკანაენისმიერი) ბგერები: /გ/, /ქ/, /კ/. წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით ეს ბგერები ერთმანეთის მიმართ არიან ჰომორგანულნი და ჰომოგენურნი. მათი წარმოთქმისას უკანა ენა უახლოვდება რბილ სასას, ებჯინება მას, ხშავს ფილტვებიდან ამონადენ ჰაერნაკადს, რის შემდეგაც ხდება სწრაფი განხშვა.

/გ/-ს წარმოთქმისას სახმო სიმები აქტიურად მონაწილეობენ, ჟღერენ. ამიტომ აკუსტიკურად მას მივაკუთვნებთ მჟღერთა რიგს; ფონეტიკურად გ ბგერა არის ველარული, ხშული, მჟღერი.

ძირეულ მორფემაში /გ/ ბგერის განაწილება თავისუფალია, ფუნქციონირებს როგორც ანლაუტში და აუსლაუტში, ასევე მორფემის შიგნითაც.

/გ/ ბგერას ვადასტურებთ მინიმალურ წყვილებში, სადაც ის გვევლინება როგორც დისტინქციური ელემენტი: **გამ „ხონი“ — ჩამ „გემო“; გაკ „ბალთა“ - თაკ „შეკერე“; ჯაგ „ძაფი“ — ჯამ „ტბა“; თეგარ „შერიგება“ - თეკარ „კერვა“.**

/ქ/ ბგერის წარმოთქმისას სახმო სიმები არ ჟღერენ, განხშვისას ისმის ფშვინვა. აკუსტიკურად მას მივაკუთვნებთ ყრუფშვინვიერთა რიგს. ფონეტიკურად ის შეიძლება დავახასიათოთ როგორც ველარული, ხშული, ყრუფშვინვიერი ბგერა.

დისტრიბუციულად ის დასტურდება ძირეული მორფემის თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციებში.

/ქ/ ბგერა მონაწილეობს მინიმალურ წყვილებში, როგორც მნიშვნელობის მადიფერენცირებელი ელემენტი, რაც მის ფონემურ ერთეულად მიჩნევის საფუძველს იძლევა: **ქატარ „ჩივილი“ — ყატარ „ამოჩენა“; ქაკდარ „მორევა“ — დაკდარ „დაწვა“; ქესარ „შრომა“ — ლესარ „ცრა“; ქით „ტიკი“ — დით! „დატოვე!“; ქორ „ხელთათმანი“ — ჴორ „ვაშლი“; ქოკ „ფეხი“ — დოკ „გული“; ბაქ „პირი“ — ბაკ „ბაკი“; მაქ „ზედ“ — მად „იარა“; ლაქდარ „გადაგდება“ — ლაწდარ „ტკენინება“.**

/კ/ ბგერის წარმოთქმისას ყელი დახშულია, სახმო სიმები კი ინდიფერენტულ მდგომარეობაშია. მის წარმოსათქმელად საკმარისია პირის ღრუში მოთავსებული ჰაერი. არტიკულაცია უფრო დაჭიმულია შესაბამისი კორელატების წარმოქმნასთან შედარებით. ამრიგად, ფონეტიკურად ის არის ველარული ხშული აბრუბტივი.

დისტრიბუციულად /კ/ ბგერა შეზღუდული არ არის, გვხვდება ძირეული მორფემის როგორც თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში, ასევე მორფემის შიგნითაც.

/კ/ მონაწილეობს მინიმალურ წყვილებში, როგორც სიტყვის მნიშვნელობის მადიფერენცირებელი ერთეული: **კოკ „ქურქა“ — დოკ „გული“; კატე^{ნ} „რბილი“ — ტატე^{ნ} „სველი“; კორ „ნახშირი“ — ჴორ „ვაშლი“; კირდარ „დამიზნება“ — შირდარ „დაძველება“; ჳკარ „ცვენა“ — ჳთარ „დანაყვა“; თაკარ „კერვა“ — თაგარ „მოხდენა“; მაკარ „შეძლება“ — მალარ „დალევა“.**

ახლა ჩვენ განვიხილავთ ბგერებს, რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში აფრიკატებს უწოდებენ. ესენია: **ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ**. აფრიკატებს მიიჩნევენ რთულ ბგერებად. „რთული“ გულისხმობს შემადგენელ ელემენტებს. ამგვარი ინტერპრეტაცია

აღნიშნული ბგერებისა მართებული იქნებოდა მხოლოდ გენეტურ პლანში, რადგანაც შედეგის მიხედვით ისინი ერთ ფონეტიკურ ერთეულს უტოლდებიან. ამიტომ სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია მ.ვ. პანოვის გამონათქვამი /ც/ აფრიკატის მიმართ რუსულში: „Поэтому (ц) не надо считать совершенно особой звуковой единицей — не простым слиянием (т) и `с`".[1] ამ კონკრეტული დასკვნის განზოგადება სავსებით შესაძლებლად გვეჩვენება.

წინაენისმიერ სისინა აფრიკატთა მჟღერი კორელატი /ძ/ ბგერა ჩვენ დავადასტურეთ სულ რამდენიმე სიტყვაში. ესენია: **ძუძ „პატარა გოგო"; ბაძრ „კაცის საკ. სახელი"; კაძიკ „ცოტა"; ძენძადარ „წეწვა"; ძანძღრ „ძარღვიანი (ხე)"; გარდა ამისა, გვხვდება ქართულიდან ნასესხებ სიტყვებშიც: ძოლ „ძვალი"; ძმარ „ძმარი"; ძონძ „ცხვირსახოცი"; ძიძ „ძუძუ"** და სხვ.

ფონეტიკურად ის მსგავსია შესაბამის ქართული მჟღერი აფრიკატისა. /ძ/ იწარმოება წინანუნებთან ენის წვერის მიბჯენით, — ხშულია. მისი წარმოთქმისას სახმო სიმები პერიოდულად ირხევიან. ამდენად, /ძ/ გრაფემით აღვნიშნავთ წინაენისმიერ (ნუნისმიერ) ხშულ, მჟღერ აფრიკატს.

დამოწმებული ლექსიკური მასალის მიხედვით /ძ/ გვხვდება როგორც ანლაუტსა და აუსლაუტში, ასევე მორფემის შიგნითაც.

მოყვანილი მასალა, ძირითადად, პერიფერიულ ლექსიკურ სფეროს მიეკუთვნება, გარდა ორი სიტყვისა - „კაძიკ" და „ძანძღ"-ისა. ამიტომ, განსხვავებით წინა განხილული ფონემატური ერთეულებისაგან, ჭირს /ძ/ ბგერის ფონოლოგიური იდენტიფიკაცია, თუმცა აქაც ხერხდება მინიმალური წყვილების დაძებნა, თუკი მათ ექნებოდათ ისეთივე ფონოლოგიური ღირებულება, რომელიც საფუძველს მოგვცემდა /ძ/ ბგერის

1. М.В. Панов, Русская фонетика, Москва, 1967, стр. 33.

ფონემურ ერთეულად მიჩნევისა: **ძუძ „პატარა გოგო“; ტუტ „ბუზი“; ბაძრ „კაცის საკ. სახელი“; ბადრ „ობოლი“.**

/ძ/ ბგერის კორელაცია — ყრუფშვინვიერი აფრიკატი **/ც/** ბგერა. წარმოების ადგილის მიხედვით **/ც/** ჰომორგანული და ჰომოგენურია **/ძ/** ბგერისა; მხოლოდ მისი წარმოთქმისას სახმო სიმები არ ჟღერენ. **/ც/** ბგერა გვხვდება უპირატესად ანლაუტში და აუსლაუტში. იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება მორფემის შიგნითაც.

/ც/ ბგერის ფონოლოგიური იდენტიფიკაცია ხერხდება მინიმალური წყვილებით, სადაც საანალიზო ბგერა დისტინქციურ ფუნქციას ასრულებს: **ცო „არა“ — სო „მე“; ცუ „ქუმელი“ - შუ „თქვენ“; ბუც „ბალახი“ — ბუთ҃ „მთვარე“; ლაცარ „დაჭერა“ — ლასარ „გაცრა“; ეცარ „აღება“ — ეჭ҃არ „გადახტომა“.**

/წ/ გრაფემით აღვნიშნავთ წინაენისმიერ აბრუბტივს. მისი წარმოთქმისას ენის წვერი წინა ალვეოლებს ებჯინება და ქმნის ძლიერ ხშვას, რასაც მოსდევს ასეთივე სწრაფი და ძლიერი განხშვა, სკდომა. ამ დროს ყელი დახშულია და სახმო სიმები ინდიფერენტულ მდგომარეობაშია. **/წ/** ბგერის წარმოთქმისათვის საკმარისია, ისე როგორც სხვა აბრუბტივებისათვის, პირის ღრუში მოთავსებული ჰაერის მარაგი. ამრიგად, **/წ/** შეიძლება დავახასიათოთ როგორც ნუნისმიერი ხშული, აბრუბტივი ბგერა.

სამეულთა მომდევნო ჯგუფს ქმნის შიშინა აფრიკატები: **/ჯ/, /ჩ/, /ჭ/.**

აქედან მჟღერ აფრიკატ **/ჯ/**-ს სიხშირე ძალზე დაბალია — დავადასტურეთ სულ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულში. ესენია: **ჯა[ნ] „ქალამანი“; ბეჯ „თმა“; ბღაჯ „ზღარბი“; ჯარ „გუნდა“; ჯა! „ჰარიქა“; ჯამარ „კაცის საკუთარი სახელი“; ჯიჯ „ხორცი (ბავშვის ენაზე); გარდა ამისა, ქართულიდან შესულ**

სიტყვებში ყველგან შენარჩუნებულია /ʒ/ ბგერა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ წოვა-თუშურის ენობრივი კოლექტივის საარტიკულაციო ბაზისისათვის ის უცხო არ არის.

/ʒ/ ბგერა იწარმოება ალვეოლებთან ენის წვერის ზურგის მიბჯენით, სადაც ხდება ფილტვებიდან ამონადენი ჰაერის დაბრკოლება, სრული ხშვა. მისი წარმოთქმისას სახმო სიმები ჟღერენ. ამრიგად, /ʒ/ ფონეტიკურად არის ალვეოლარული ხშული, მჟღერი ბგერა.

მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო ბგერა ძალზე შეზღუდულია დისტრიბუციულად, მაინც ხერხდება მინიმალური ფონოლოგიური წყვილების დაძებნა, რაც /ʒ/ ბგერას გამოგვაყოფინებს, როგორც ფონემურ ერთეულს: **ʒან** „ქალამანი“ — **ღან** „სიზმარი“; **ბეʒ** „თმა“ - **ბედ** „ცალკე“; **ʒარ** „გუნდა“ — **მარ** „ქმარი“.

ალვეოლარული სამეულის მეორე წევრს აღვნიშნავთ /ჩ/ გრაფემით, რომელიც ფიზიოლოგიურად /ʒ/ ბგერის ჰომორგანული და ჰომოგენურია. მხოლოდ, მისი წარმოთქმისას სახმო სიმები არ ჟღერენ, ამიტომ ის არის /ʒ/ ბგერის ყრუ კორელატი. /ჩ/ ბგერა ძირეული მორფემის ფარგლებში ფუნქციონირებს როგორც ანლაუტში, ასევე აუსლაუტში. იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება მორფემის შიგნითაც.

/ჩ/ ბგერის ფონემურ ერთეულად გამოყოფის საფუძველს იძლევა ქვემოთ მოხმობილი მინიმალური წყვილები, სადაც /ჩ/ ფუნქციონირებს, როგორც დისტინქციური ელემენტი: **ქაჩ** „საყელო“ — **ქაშ** „მწიფე“ (ვაშლებზე იტყვიან); **ჩა** „დათვი“ — **წა** „სახლი“; **ჩაჴ** „შორს“ — **ნაჴ** „ნაქი“; **ჩიმ** „ნავლი“ — **ქიმ** „ნესტო“; **ჩუ** „შინ“ — **გუ** „ხედავს“.

ალვეოლთა რიგის მესამე წევრია გლოტალი /ჭ/ ბგერა. მისი წარმოთქმისას ენის წვერის ზურგი მაგრად ებჯინება ალვეოლებს, არტიკულაცია დაჭიმულია, ხშვა ძლიერია. სახმო სიმები

ამ დროსაც, ისე როგორც სხვა აბრუბტივების წარმოთქმისას, ნეიტრალურ მდგომარეობაშია, ხოლო ყელი დახშულია. /ჭ/ ბგერის წარმოთქმისთვის საკმარისია ის ჰაერი, რომელიც პირის ღრუშია მოთავსებული.

/ჭ/ ბგერის ფონოლოგიური იდენტიფიკაციისათვის მოვიყვანთ მინიმალურ წყვილებს, სადაც აღნიშნული ფონეტიკური სეგმენტი დისტინქციურ ფუნქციას ასრულებს: **ჭამაღ „ლოყა“ — დამაღ „დამაღი“; ჭარ „თევზი“ — შარ „დო“; ჭიმ „ბალახია ერთგვარი“ — ჩიმ „ნავლი“; ჰ₀ეჭარ „ყურება“ — ჰ₀ეტარ „გაქცევა“; ჭად „ჭდე“ — მად „იარა“.**

ჩვენი დაკვირვებით, წოვა-თუშური ენის ფონეტიკურ სისტემაში დასტურდება სპირანტთა სამეულებრივი სისტემა. მესამე წევრად გამოვყოფთ შესაბამის ინტენსიურ კორელატებს.

ეს სპირანტებია: 1. ზ ს ს₀
2. ჟ შ შ₀(?)
3. ღ ხ ხ₀

პირველი ლოკალური რიგის სპირანტებია წინაენისმიერები.

/ზ/ გრაფემით აღნიშნული თანხმოვანი იწარმოება წინაალვეოლებთან ენის წვერის მიახლოებით. ენის კიდეები ებჯინება გვერდით კბილებს. ენის გასწვრივ იქმნება ერთგვარი არხი, სადაც გამოივლის ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადი. წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით ამ ბგერას ვუწოდებთ წინაალვეოლურ სპირანტს. აკუსტიკური შთაბეჭდილებით ის მჟღერია.

/ზ/ ბგერის დისტრიბუცია შეზღუდულია, ძირითადად თავკიდურ პოზიციაში გვხვდება. მიუხედავად ამისა, მაინც ხერხდება მინიმალური წყვილების დადასტურება, სადაც /ზ/ ბგერა ფუნქცირებს, როგორც მნიშვნელობის განმასხვავებელი ელემენტი, რაც მისი ფონოლოგიური იდენტიფიკაციის საფუძველს იძლევა: **გაზა^{ნ} „თხა“ — გაგა^{ნ} „კვერცხი“; ზარო^{ნ} „მოც-**

ხარი“ — შარო̃ „თვითონ“; ზეგარ „ჭაშნიკის აღება“ — თეგარ „შერიგება“; ზიკ „შიბი“ — დიკ „ცული“.

/ზ/ ბგერის ჰომორგანულია მისი ყრუ კორელატი, რომელსაც აღვნიშნავთ /ს/ ასოთი. ფონეტიკურად /ს/ არის წინაალვეოლური ყრუ სისინა სპირანტი. /ს/ ბგერის ხმარების სიხშირე საკმაოდ მაღალია /ზ/ ბგერასთან შედარებით. ძირეული მორფემის ფარგლებში მისი განაწილება ასეთია — გვხვდება როგორც თავკიდურ, ასევე ბოლოკიდურ პოზიციაშიც. იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება მორფემის შიგნითაც.

/ს/ ბგერა მონაწილეობს მინიმალურ წყვილებში, როგორც დისტინქციური ელემენტი, რაც მას ფონემურ ერთეულებად გამოგვაყოფინებს: ჴოსარ „სროლა“ — ჴოთჱარ „შესხმა“; სო „მე“ — შო „წელი“; თასარ „ჩამოგდება“ — თაკარ „შეკერვა“; სა „სული“ — წა „სახლი“; საბდარ „მომატება“ — ჰჱაბდარ „გახსენება“; ქესარ „შრომა“ — ქეკარ „რევა“; საგ „ირემი“ — ღაგ „სასთუმალი“.

/ჟ/ და /შ/ გრაფემებით აღნიშნული ფონემების არტიკულაცია ჰომორგანულია. მათი წარმოთქმისას ენის წვერი აწეულია ზევით და უახლოვდება ალვეოლებს ისე, რომ არ ებჯინება მათ. ენას აქვს ღარისებური ნაპრალი. განსხვავება იმაშია, რომ /ჟ/ ბგერის წარმოთქმისას ხდება სახმო სიმების ვიბრაცია, ხოლო /შ/ ბგერის წარმოთქმისას კი სახმო სიმები ნეიტრალურ მდგომარეობაშია. ამდენად, აკუსტიკური შთაბეჭდილებით /ჟ/ მჟღერია, /შ/ კი — ყრუ. წარმოების ადგილის მიხედვით მათ ვუწოდებთ ალვეოლარულ შიშინა სპირანტებს.

/ჟ/ ბგერის ხმარების სიხშირე შედარებით დაბალია. ფუნქციონირებს ძირეული მორფემის როგორც თავკიდურ, ასევე ბოლოკიდურ პოზიციებში. რამდენიმე მაგალითში დასტურდება მორფემის შიგნითაც.

/ჟ/ ბგერის ფონოლოგიური იდენტიფიკაციის საფუძველს

იძლევა მინიმალური წყვილები, სადაც აღნიშნული ფონეტიკური სეგმენტი დისტინქციურ ფუნქციას ასრულებს: **ჟაბ „ნახშირი“ — ნაბრ „წმინდანი“; ჟაგნრ „წიგნი“ — თაკნრ „მისაკერებელი“; დაჟარ „ბალახი“ — დაყარ „საჭმელი“; ჟერრ „ქვრივი“ — დერრ „ქატო“; ჟე „ცხვარი (კრებითი)“ - გე „ცივა“; დოჟარ „წაქცევა“ — დოწარ „გაბმა“; ჟინ „თირკმელი“ — შინ „ცური“.**

/შ/ სპირანტი უფრო ხშირად გვხვდება. ის დასტურდება ძირეული მორფემის თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციებში. რამდენიმე შემთხვევაში მორფემის შიგნითაც ფუნქციონირებს.

/შ/ ბგერას ფონემურ ერთეულად გამოგვაყოფინებს ლექსიკური წყვილები, სადაც მნიშვნელობის მადიფერენცირებელ ფუნქციას აღნიშნული სეგმენტი ასრულებს: **დოშ „სიტყვა“ — დოკ „გული“; იშ „ხმა“ — იტʁ „ათი“; ჰʁაშ „სტუმარი“ - ჰʁაკ „შუბლი“; შატ „ნასკვი“ — ქატ „ჩივის“; შათხ „ორმაგი“ — მათხ „მზე“; შარი^{ნ} „თავისი“ — დარი^{ნ} „იარა“; ში^{ნ} „ცური“ — ჟინ „თირკმელი“; შო „წელი“ - სო „მე“; შურ „რძე“ — თურ „ხმალი“; შორი^{ნ} „განიერი“ — ღორი^{ნ} „გათოშილი“; ფშა „ყინული“ — ფხა „ძარღვი“.**

სპირანტთა მომდევნო ლოკალურ რიგს ქმნის /ღ/, /ხ/, (ʁ)[1] ბგერები. აღნიშნული ბგერები ინარმოება უკანა ენასა და რბილ სასას შორის გასწვრივი ნაპრალით. /ღ/ ბგერის წარმოთქმისას სახმო სიმები ჟღერენ, ხოლო /ხ/-ს წარმოთქმისას კი ნეიტრალურ მდგომარეობაშია.

/ღ/ ბგერის დისტრიბუცია ასეთია — გვხვდება ძირეულ მორფემაში, როგორც თავკიდურ, ასევე ბოლოკიდურ პოზიციაში. მორფემის შიგნით დავადასტურეთ 2-3 მაგალითში. საერთოდ /ღ/ ბგერის ხმარების სიხშირე დაბალია.

აღნიშნული ფონეტიკური ერთეულის ფონოლოგიური

1. (ʁ) ვიხილავთ ქვემოთ (გვ.).

იდენტიფიკაციისათვის მოვიყვანთ ლექსიკურ წყვილებს, სადაც /ღ/ გვევლინება, როგორც მნიშვნელობის მადიფერენცირებელი ელემენტი: **ღაგ „სასთუმალი“ — საგ „ირემი“; ღაწ „ნაკაწრი“ — მაწ „ტილი“; ჰɜაღარ „ყორნები“ — ჰɜახარ „ჯიხვები“; ღორი^{ნ} „გაყინული“ — შორი^{ნ} „განიერი“; ღრუტ „ხვრელი“ — ბრუტ „რეტი“; ჰɜაღ „შური“ — ჰɜად „ტვინი“.**

წოვა-თუშური ენის მეტყველების ნაკადში გამოიყოფა ჰომორგანული ფარინგალები /ʕ/და /ყ/ შესაბამისი ინტენსიური კორელატებით /ʕʁ/, /ყʁ/. ამ კორელატების ფონეტიკურ-ფონოლოგიურ ინტერპრეტაციაზე ქვემოთ გვექნება საუბარი /ʕ/-ს წარმოთქმისას ენის ძირი მიებჯინება ხახის კედელს (ფარინგს) და ფილტვებიდან ამონადენ ჰაერს უქმნის დაბრკოლებას, რომელსაც მოსდევს სწრაფი განხშვა.

აკუსტიკური შთაბეჭდილებით /ʕ/ ყრუა, რადგანაც მისი წარმოთქმისას სახმო სიმები არ განიცდიან ვიბრირებას. ამგვარად, /ʕ/ ბგერის ფონეტიკური დეფინიცია ასეთი იქნება — ფარინგალური ყრუფშვინვიერი ხშული.

/ʕ/-ს ფონეტიკურ ერთეულად გამოგვაყოფინებს შემდეგი მინიმალური წყვილები, სადაც ფონოლოგიური ოპოზიციის მინიმალურ ერთეულად გვევლინება /ʕ/: **ʕო „სამი“ — ბო „ნიორი“; ʕა „ღორი“ — სა „სული“; ʕავ „ყანა“ - ტავ „ტოტი“; ჴეფსარ „ყრა, სროლა“ — „თეფსარ“ „ჩამოგდება“; მეʕ „ტახტი“ — მელ „რამდენი“; მოʕ „სიმღერა“ — მოწ „თაფლი“; თაʕარ „თრევა“ — ლაʕარ „ჩაწებება“.**

/ʕ/-ს ლოკალურ რიგს განეკუთვნება შესაბამისი აბრუბტივი, რომელსაც აღვნიშნავთ /ყ/ გრაფემით.

ეს ფარინგალური ბგერა საკმაოდ გავრცელებულია. ის მორფემის ფარგლებში ფუნქციონირებს, ძირითადად — ანლაუტში და აუსლაუტში. რამდენიმე მაგალითში მორფემის შიგნითაც დასტურდება.

/ყ/ ბგერის ფონოლოგიური იდენტიფიკაცია შესაძლებელია მინიმალური წყვილებით, სადაც ლექსიკური მნიშვნელობის მადიფერენცირებელია აღნიშნული ელემენტი. ასეთი მინიმალური წყვილებია: **ყარ „წვიმა“ — მარ „ქმარი“; ყა „ცოდვა“ — სა „სული“; ბუყ „წელი“ — ბუხ „ძირი, ნალექი“; ყაჭ „ძაფი“ — მაჭ „ულვაში“; ნიყ „გზა“ — ნიტ„ „ჭინჭარი“; თოყარ „ყოფნა“ — თოლარ „გამარჯვება“; დაყარ „ჭამა“ — დაკარ „წვა“.**

/ყ/ ბგერას აქვს ინტენსიური კორელატი, რომლის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ ინტერპრეტაციას ვიძლევით ქვემოთ სხვა ინტენსიურებთან ერთად.

წოვა-თუშური ფონეტიკური სისტემის ერთეულები — ფარინგალები და ლარინგალები, როგორც კერძო, ისე ზოგადი თვალსაზრისით, გარკვეულ ინტერესს იწვევს. ეს ინტერესი შეპირობებულია პირველ რიგში იბერიულ-კავკასიურ ენათა დიაქრონიული პრობლემატიკის თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ ენათა სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ მსგავსებათა თვალსაზრისით; მხედველობაში გვაქვს სემიტური ენები, სადაც აღნიშნული ტიპის ფონეტიკური ერთეულები ფონოლოგიის დონეზე ინტერპრეტირდება როგორც ფონემური ერთეულები; ხოლო ინდო-ევროპულ ენათა განვითარების უძველეს საფეხურზე რიგი მეცნიერები ვარაუდობენ ლარინგალურ ფონემურ ერთეულებს.

ჩვენი დაკვირვებით წოვა-თუშური მეტყველების ნაკადში გამოიყოფა სამი ფარინგალი, რომელთაც აღვნიშნავთ /ჴ/, /ჰ/, /ჰ₂/ სიმბოლოებით. განვიხილოთ ცალ-ცალკე.

რადგანაც სპეციალურ ლიტერატურაში ამ ბგერა-სეგმენტების შესახებ არ არსებობს ერთიანი გარკვეული აზრი, ამიტომ ჩვენ მოკლედ წარმოვადგენთ სხვადასხვა ავტორთა შეხედულებებს საანალიზო ფონეტიკურ ერთეულთა შესახებ.

ა. შიფნერი /ʢ/ ბგერას აღნიშნავს /ʜ/ აპოსტროფით. ადასტურებს შემდეგ სიტყვებში: ღუნალ „ჯამაგირი“, ღამურ „ღამე“: ღემურ „საფლავი“, ღოფინ „მიუშვირა“. საყურადღებოა, რომ ავტორი /ʢ/ დამოუკიდებელ ბგერად არ გამოყოფს და მიიჩნევს ხმოვანთა მაგარ შემართვად (Spiritua lenis).[1]

ი. დეშერიევი გამოყოფს სამივე ფარინგალს /ʢ, ʜ, ʜ₀/. მხოლოდ (ʜ←ʢ) პოზიციური ბგერათცვლილების საფუძველზე. ის წერს, „Фонема /I/ переходит в глухой фрикативный звук Iъ в позиции после звонкого согласного и сонорного перед гласным“.[2]

ავტორის ფონეტიკური ინტერპრეტაციით /I/ არის „Гортанная смычная звонкая фонема. Встречается в начале слова: Iув „пастух“, Iа „зима“, Iаг „нитка“, Iупал „зарплата“.[3]

ი. დეშერიევი წერს: „Фонема /I/ в бацбийском языке в начале слова часто переходит в глубокозаднее /а/ (говорят Iалии и Алии „Алвани“ и в звук /хь/ после глухих согласных и в конце слова (вохь „сын“, вместо во, в остальных вейнахских языках)“.[4]

/ʢ/ ბგერა — სეგმენტის ფონეტიკური დახასიათება გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ისე როგორც სხვა მისი შესაბამისი ჰომორგანული ფონეტიკური ერთეულებისა. ეს სიძნელე გამოწვეულია იმით, რომ მისი წარმოების ადგილი ფარინქსის უკანა არეშია მოთავსებული, რაც აძნელებს მისი არტიკულაციის ზუსტ დადგენას. ჩვენი დაკვირვებით აღნიშნული ბგერა იწარმოება ენის ძირის მიბჯენით ფარინქსის უკანა კედელთან. /ʢ/-ს არტიკულაცია იმდენად ახლოსაა ლარინქსის ზედა კიდესთან, რომ მისი წარმოთქმისას მოძრაობს ბეჭდისებრი ხრტილი,

1. A. Schiefner. Versuch über die Thusch-sprache... St. Peterburg, 1856, გვ. 7
2. Ю.Д. Дешериев, „Бацбийский язык“, Москва, 1953, стр. 29.
3. Ю.Д. Дешериев, указ.с. стр. 29.
4. Ю.Д. Дешериев, указ.с. стр. 29.

რაც აშკარად იგრძნობა ხელის შეხებითაც. ამიტომ, შეიძლება დაგვეშვა, რომ მისი არტიკულაცია ხდება ფარინქსისა და ლარინქსის საზღვართან. /ʢ/ მჟღერი ბგერაა. სახმო სიმების ვიბრირება აშკარად იგრძნობა სასუნთქ მილზე თითის მიდებით, როცა მას წარმოვთქვამთ. /ʢ/ აშკარად მჟღერია, მაგრამ რამდენადაც მას არა აქვს მეწყვილე ყრუ კორელატი, ამდენად დიფერენციალური ნიშანი მჟღერობა-სიყრუე მის მიმართ ჭარბია; ასევეა /„ხ"/-ს მიმართ რუსულში იგივე დიფერენციალური ელემენტი. /ʢ/ ბგერის ფონოლოგიური ღირებულების შესწავლა და გარკვევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ნახურ ენათა ფონოლოგიურ სისტემათა სრულყოფილად შესწავლაში.

/ʢ/ ბგერა-სეგმენტი წოვა-თუშურ ენაში ფუნქციონირებს მხოლოდ ანლაუტში, — ხმოვნის წინ. ამდენად მისი დისტრიბუცია შეზღუდულია ერთი პოზიციით. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, სრულებით არ შეგვიშლის ხელს მის ფონოლოგიურ ინტერპრეტაციაში. ამისათვის საკმარისია, წარმოვადგინოთ თუნდაც ის მინიმალური წყვილები, სადაც /ʢ/-ს ჩანაცვლება სიტყვას მნიშვნელობას უცვლის. **ʢირინ** „გალესილი" — **შირინ** „ძველი"; **ʢამ** „ტბა" — **ლამ** „მთა"; **ʢა** „ზამთარი" — **ყა** „ცოდვა"; **ʢუვ** „მწყემსი" — **ყუვ** „ქურდი"; **ʢავარ** „კვლა" — **დავარ** „დაკარგვა".

მოყვანილი ლექსიკური მაგალითები იძლევა ფონოლოგიურ საფუძველს იმისას, რომ /ʢ/ სიმბოლოთი გამოხატული ბგერა-სეგმენტი მივიჩნიოთ ფონემურ ერთეულად.

ენის სისტემური ხასიათიდან თუ ამოვალთ, ლოგიკური იქნებოდა /ʢ/ ფონემას ჰქონოდა შესაბამისი ყრუ ჰომორგანული კორელატი, მაგრამ ასეთი ბგერა წოვა-თუშური ენის ფონეტიკურ სისტემაში არ დასტურდება. სამაგიეროდ ფუნქციონირებს ჰომორგანული სპირანტების მჟღერი და ყრუ კორელატები, რომელთაც ჩვენ /ʕ/ და /ʜ/ სიმბოლოებით აღვნიშნავთ.

/ჰ/ ბგერა-სეგმენტი, როგორც აღვნიშნეთ, /ʢ/-ს ჰომორგანულია, მისგან განსხვავდება ჰეტეროგენურობით. ექსპირატორული არხის იმ წერტილში, სადაც /ჰ/ ბგერის ფორმირება ხდება, ენის ძირსა და ფარინქსის უკანა კიდეს შორის რჩება ნაპრალი. /ჰ/-ს წარმოთქმისას სახმო სიმები პერიოდულად ირხევა. /ჰ/ ბგერა არის ფარინგალური, მჟღერი სპირანტი. /ჰ/ ბგერა ძირითადად ფუნქციონირებს მჟღერი ხშულებისა და ნაზალების მომდევნო პოზიციაში, მაგრამ გვხვდება გლოტალთა მეზობლობაშიც.

/ჰ/-ს ფონემურ ერთეულად გამოგვაყოფინებს რამდენიმე მაგალითი მინიმალური წყვილებისა: **ბჰან** „წვერი" — **ბჟან** „ძროხა"; **ტჰაკ** „ტალახი„ — **ტყაკ** „მხოლოდ ოცი"; შეიძლებოდა მოგვეყვანა ისეთი მაგალითებიც, სადაც /ჰ/-ს ჩამატება ან ჩანაცვლება სიტყვას მნიშვნელობას უცვლის: **ბჰო** — **ბო** „ნიორი"; **დჰაც** „იარა" — **დაც** „მოიტანე"; **ბჰა** „ყოველთვის" — **ბა** „არის".

მაგრამ, როცა /ჰ/-ს ფონოლოგიურ ინტერპრეტაციას ვიძლევით, უნდა გავითვალისწინოთ განსხვავებული თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც (ჰ←ʢ) კომბინატორული ბგერათცვლილების საფუძველზე.[1] ამ აზრს აქვს გარკვეული საფუძველი. საქმე ისაა, რომ როგორც აღვნიშნეთ, /ʢ/ და /ჰ/ ბგერები ჰომორგანულ მიმართებაში არიან ერთმანეთთან; განსხვავდებიან წარმოების რაგვარობის მიხედვით, — პირველი ხშულია, ხოლო მეორე ნაპრალოვანი; აკუსტიკურად ორივე მჟღერია. ჩვენ ვერ დავადასტურეთ წოვა-თუშურ ლექსიკაში ვერც ერთი მაგალითი, სადაც ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდეს. ეს ორი ბგერა დამატებით დისტრიბუციულ მიმართებაშია. ასეთ შემთხვევაში საკითხი დგება მათი ალოფონების დონეზე ინტერპრეტაციისა. ამ ეჭვს აღრმავებს ერთი გარემოებაც: წოვა-თუშურ ენაში რიგ ზმნებს აწმყოს ფორმებში (resp. და მისგან ნაწარმოებ ფორმებ-

1. Ю.Д. Дешериев, Бацбийский язык, Москва, 1953, стр. 29.

ში) გრამატიკული კლასის ნიშანი არა აქვთ. მაგალითად, ⵊავრ „კლავს", ხოლო იგივე ზმნა თუ გადავიყვანეთ ნამყოში, დაირთავს გრამატიკული კლასის ნიშანს. მაგალითად: **დჩევი**^{ნ} „მოკლა". დავაკვირდეთ ამ ორივე მაგალითს. შთაბეჭდილება რჩება, რომ აწმყოს ზმნური ფორმის ანლაუტისეული /ⵊ/ ნამყოში გრამატიკული კლასის მორფემის მეზობლობაში მოხვედრისას სპირანტდება, ე.ი. ადგილი აქვს ფონეტიკურ პროცესს (**ⵊ→ჭ**), რასაც ი. დეშერიევიც ვარაუდობს.

ჩვენ რომ მარტო ამ რიგის მაგალითები გაგვაჩნდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, /ⵊ/ და /ჭ/ ფონეტიკურ სეგმენტებს მივიჩნევდით ერთი ფონემის ალოფონებად; მაგრამ, როგორც ზევითაც ვაჩვენეთ, /ჭ/ ბგერა-სეგმენტს აქვს დისტინქციური ფუნქცია, რაც საფუძველს იძლევა მისი ფონემურ ერთეულად მიჩნევისა.

წოვა-თუშური ენის ფონოლოგიური სისტემისათვის ძალზე დამახასიათებელია /ჭ/ ბგერის ყრუ კორელატი /ჰ₂/, /ჭ/ და /ჰ₂/ ჰომორგანულ მიმართებაში არიან. რაგვარობის მიხედვით ორივე ნაპრალოვანია. /ჰ₂/-ს წარმოთქმისას სახმო სიმები არ ვიბრირებენ. /ჰ₂/ იწარმოება ენის ძირის მიახლოებით ფარინქსის კედელთან, ისე რომ მათ შორის რჩება ნაპრალი, საიდანაც ამოდის ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადი. როგორც ზემოთ განხილული ფარინგალურები /ⵊ/ და /ჭ/, ასევე /ჰ₂/-ც იწარმოება ფარინქსის სიღრმეში. აღნიშნულ ფარინგალთა წარმოების ადგილის ზუსტი დადგენისათვის საჭიროა რენტგენოგრაფიული გამოკვლევა, ისე როგორც ეს გაკეთდა დარგუული ენის მიმართ.[1]

/ჰ₂/ ბგერა-სეგმენტი გვხვდება ძირითადად ძირეული მორფემის ანლაუტსა და აუსლაუტში. იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება მორფემის შიგნითაც. /ჰ₂/-ს ფონემურ ერთეულად

1. Ш.Г. Гаприндашвили, Фонетика даргинского языка, Тбилиси, 1966, стр. 132.

გამოგვაყოფინებს მინიმალური წყვილები, სადაც აღნიშნული სეგმენტი დისტინქციურ ფუნქციას ასრულებს.

მაგალითად: 1. **ჰ**ъ**ათხ** „წინ“ — **შათხ** „ორმაგად“; 2. **ჰ**ъ**ად** „ტვინი“ — **მად** „ნაიარევი“; 3. **ბუჰ**ъ „ომი“ - **ბუთ**ъ „მთვარე“; 4. **ჰ**ъ**ეხ** „გამოქვაბული“ — **ფეხ** „ახლოს“.

წოვა-თუშური ენის ფონეტიკურ სისტემაში გამოიყოფა ორი ლარინგალი, რომელთაც ჩვენ აღვნიშნავთ /ჴ/ და /ჰ/ სიმბოლოებით. აქედან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პირველი, რადგანაც ის გააჩნია მთის ქართულ დიალექტებსაც, როგორც ფონემური ერთეული[1] და ფუნქციონირებს მეგრულშიც. გ. ახვლედიანის დახასიათებით, მეგრულის /ჴ/ არის ლარინგალური მჟღერი, ხშული ბგერა.[2]

ა. შიფნერი /ჴ/ ბგერას ცალკე ფონეტიკურ ერთეულად არ გამოყოფს, ხოლო ი. ცისკარიშვილი თავის გრამატიკაში აღნიშნულ ფონეტიკურ ერთეულს იძლევა. ა. შიფნერს კი ამ უკანასკნელის გრამატიკა ხელნაწერის სახით ხელთ ჰქონდა და იყენებდა თავისი მონოგრაფიის წერისას.

ი. დეშერიევი საანალიზო ბგერას აღნიშნავს (') აპოსტროფით და უწოდებს მას „междусвязочная мгновенная глухая фонема“.[3]

თ. უთურგაიძემ წოვა-თუშურის /ჴ/ ბგერა დაწვრილებით შეისწავლა და მოგვცა მისი როგორც ფონეტიკური, ასევე ფონოლოგიური ინტერპრეტაცია. ავტორმა რენტგენოგრაფიულად დაამუშავა /ჴ/ ბგერა და ასეთ ფიზიოლოგიურ დახასიათებას იძლევა:

„1. ჴ-ს წარმოთქმის დროს ენის ძირი არ ეხება ხახის კედელს; 2. ხორხსარქველი არ ეხება ენის ძირს და 3. ჴ-ს არტიკუ-

---

1. თ. უთურგაიძე, „ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება“, თბილისი, 1966 წ. გვ. 36.
2. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949 წ. გვ. 37.
3. Ю.Д. Дешериев, Батбийский язык, М., 1953, стр. 31.

ლაცია კონფიგურაციულად იმ ხმოვანს მოგვაგონებს, რომელთანაც იგი წარმოითქმის". მოყვანილ ფიზიოლოგიურ მონაცემებზე დამყარებით თ. უთურგაიძე ასკვნის: „ჳ არის ლარინგალური ბგერა, ე.ი. სახმო სიმებისმიერი ხშული". ცოტა ქვემოთ ავტორი წერს: „მიკროფონისა და ლარინგოფონის-სინქრონიული ჩანაწერით ნათელი ხდება, რომ /ჳ/ არის მჟღერი ბგერა, რაც უთუოდ განპირობებულია მისი პოზიციით — ის ყოველთვის ხმოვანთან დგას".[1]

თ. უთურგაიძის მიერ /ჳ/ ბგერის შესახებ მიღებულ ექსპერიმენტულ დასკვნებს ჩვენ ვიზიარებთ და ვემყარებით აღნიშნული ბგერის ინტერპრეტაციას.

თ. უთურგაიძე /ჳ/ ბგერის ფონეტიკური დახასიათების შემდეგ იძლევა მის ფონოლოგიურ იდენტიფიკაციას. ამისათვის ავტორი იყენებს დისტრიბუციულ მეთოდს. /ჳ/ ბგერის დისტრიბუციულ ანალიზს იძლევა სიტყვის ფარგლებში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ის აღნიშნული სეგმენტის მიმართ იღებს დისტრიბუციულად მრავალფეროვან სურათს. მისი დაკვირვებით /ჳ/ გვხვდება როგორც ანლაუტში, ასევე ინლაუტსა და აუსლაუტში, უპირატესად, ვოკალთა წინაპოზიციაში და ინტერვოკალურ პოზიციაში.

წარმოდგენილ ნაშრომში ფონემურ ერთეულებს ვიხილავთ მხოლოდ მარტივი მორფემის (resp. ძირეული მორფემის) ფარგლებში, ამიტომ ჩვენ /ჳ/-ს დისტრიბუციული სურათიც განსხვავებული მივიღეთ, ვიდრე თ. უთურგაიძემ. გამოირკვა, რომ ძირეული მორფემის ფარგლებში /ჳ/ ფუნქციონირებს მხოლოდ აუსლაუტში.

აქედან გამომდინარე, ვერ გავიზიარებთ ავტორის კატეგორიულ დებულებას იმის შესახებ, რომ „ანლაუტში ხმოვანს ყოველთვის წინ უძღვის ლარინგალური ჳ; ჳ ბაცბურში ფონემაა

1. თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი, 1966, გვ. 21-22.

და იგი უნდა გამოიყოს ანლაუტში, ისევე როგორც ინლაუტსა და აუსლაუტში".[1]

ჩვენი დაკვირვებით, ანლაუტში, ხმოვნის წინ, ბგერა-სეგმენტი /ჳ/ ვერ გამოიყოფა როგორც ფონეტიკური ერთეული და მით უფრო როგორც ფონოლოგიური ერთეული. საქმე ისაა, რომ თავკიდურ პოზიციაში ვოკალური ერთეულები საერთოდ მაგარი შემართვისა წოვა-თუშურში. ასეა ეს ხუნძურშიც: „ყოველი თავკიდური (ასევე ცალკე წარმოთქმული) ხმოვანი ხუნძურში — მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოდ სხვადასხვა დიალექტებში — მაგარ შემართვიანია".[2]

მაგრამ ამის გამო ხუნძურში ელემენტს მაგარი შემართვით ცალკე ფონემურ ერთეულად არავინ გამოყოფს. როგორც აღვნიშნეთ, /ჳ/ როგორც ფონემური ერთეული ფუნქციონირებს ძირეული მორფემის აუსლაუტში, ხოლო თუ სანალიზო ერთეულად სიტყვა ავიღეთ, მაშინ /ჳ/ აღმოჩნდება ინტერვოკალურ პოზიციაშიც, კერძოდ — ლექსიკური და გრამატიკული მორფემების შესაყარში.

მაგალითად, სიტყვაში — ლაჳარ „სურვილი", პირველი ნაწილი ლექსიკური ელემენტია და მის ფარგლებში საკვლევ ბგერას ბოლოკიდური პოზიცია უკავია; ხოლო „-არ„ გრამატიკული ელემენტის დართვისას /ჳ/ აღმოჩნდება ინტერვოკალურ პოზიციაში. ასეა ეს სხვა შემთხვევაშიც. ისე რომ /ჳ/-ს დისტრიბუციული სურათი განსხვავებული იქნება ძირეული მორფემისა და სიტყვის ფარგლებში. სიტყვები, სადაც /ჳ/ ბგერა გვხვდება, მოგვყავს ქვემოთ.

აღნიშნულ პოზიციაში /ჳ/ ბგერა-სეგმენტის ფონემურობა ეჭვს არ იწვევს, რაც თ. უთურგაიძესაც დამაჯერებლად აქვს ნაჩვენები თავის ნაშრომში და ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოყვა-

1. თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურებანი, თბილისი, 1966, გვ. 45.

2. არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი, 1962, გვ. 23.

ნილ მინიმალური წყვილებიდანაც, სადაც /ჴ/ დისტინქციურ ფუნქციას ასრულებს: **ლაჴარ** „სურვილი" — **ლაწარ** „ტკივილი"; **ჯაჴარ** „მოხვედრა" — **ჯასარ** „გადაყრა"; **ხაჴარ** „ცოდნა" — **ხაწარ** „გაგონება"; **დაჴარ** „მოტანა" — **დაგარ** „ნახვა"; **ეჴ** „მინდორი" — **ეც!** „იყიდე"...

წოვა-თუშურ ენაში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ლარინგალური ყრუფშვინვიერი სპირანტი /ჰ/, რომელიც /ჴ/ ფონემასთან ერთად ქმნის ერთ ლოკალურ რიგს. ტრუბეცკოის აზრით, ფონემა /ჰ/ — „в большинстве языков является неопределенной согласной фонемой вообще, во многих же других языках она входит в состав того или иного локального ряда: либо в „гуттуральный„ (который в этом случае характеризуется неучастием кончика языка и губ), либо в особый ларингальный ряд. Эта последняя возможность реализуется там, где в той же системе имеется ларингальный взрывный (гортанный смычный), образующий вместе с h одномерную опозицию".[1]

მართლაც, წოვა-თუშურ ენაში, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, დასტურდება ლარინგალთა ლოკალური წყვილი, /ჴ/ და /ჰ/. /ჰ/ დისტრიბუციულად ფუნქცირებს მხოლოდ თავკიდურ პოზიციაში ხმოვნის წინ. აღნიშნულ ბგერა-სეგმენტს ფონემურ ერთეულად გამოგვაყოფინებს ლექსიკური წყვილები, სადაც /ჰ/ გვხვდება, როგორც მნიშვნელობის განმასხვავებელი უმცირესი ელემენტი: **ჰიკ „ტარი" — დიკ „ცული"; ჰაპტი[ნ] „ახალი" — ჯაპტე „მისწვდა"; ჰაც „დიახ" — დაც! „მოიტანე".**

წოვა-თუშური ენისათვის დამახასიათებელია სონანტთა ფონემური კლასი, რომლის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ ინტერპრეტაციას ქვემოთ ვიძლევით. ეს ფონემებია: /მ/, /ნ/, /ლ/, /ლ̓/, /რ/, /რჰ/ და /ვ/.

---

1. Н. Трубецкой, Основы фонологии (перевод с немец.), М., 1960, стр. 166.

ბგერათა ამ ჯგუფიდან ცალკე გამოვყავით /მ/ და /ნ/, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ნაზალების სახელით. ესენი წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით ჰგვანან ქართულის შესაბამის ბგერებს. /მ/ ბგერის წარმოთქმისას ბაგეებთან ისეთივე ხშვა ხდება, როგორც /ბ/-ს წარმოთქმისას, მხოლოდ ამ დროს რბილი სასა დაშვებულია და ცხვირის ღრუ ღიაა, საიდანაც გამოედინება ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადი. ამდენად, წარმოების რაგვარობის მიხედვით, /მ/ არის შერეული რაგვარობისა. /მ/-ს მჟღერობის ხარისხი მაღალია. ეს კარგად ჩანს სათანდო ოსცილოგრამიდან. ხშვის მომენტში ყელის სახმო სიმების რხევა იმდენად ძლიერია, რომ ოსცილოგრამაზე იძლევა მაღალი სიხშირის დაბალ ამპლიტუდებს, რომლებიც განხშვის მომენტისას უფრო იხვეწება, გამოკვეთილი ხდება და ერწყმის მომდევნო ხმოვნის რხევათა მოხაზულობას. ამგვარად, ჭირს მკვეთრი საზღვრის გავლება სონანტისა და ვოკალის ოსცილოგრამას შორის. /მ/ ფუნქციონირებს ძირეული მორფემის ანლაუტსა და აუსლაუტში. /მ/ მონაწილეობს რიგ მინიმალურ წყვილებში, როგორც მნიშვნელობის განმასხვავებელი უმცირესი ელემენტი; **მარ „ქმარი“ — შარ „დო“; მაქ „ზედ“ — წაქ „ისარი“; მოთʁ „ლოგინი“ — ბოთʁ „ქარქაში“; მატენ „მწიფე“ — კატენ „რბილი“; ʒამ „ტბა“ - ʒაგ „ძაფი“; ლამ „მთა“ — ლახ! „მოძებნე!“...**

/ნ/ შერეული რაგვარობის ბგერაა. მისი წარმოთქმისას საარტიკულაციო ორგანოთა ხშვა ხდება ენის წვერის მიბჯენით კბილებთან. ამ ნიშნის მიხედვით ის /დ/ ბგერის ჰომორგანულია. ოღონდ განსხვავებით დენტალების არტიკულაციისგან, მის წარმოთქმაში მონაწილეობას იღებს ცხვირის ღრუც, საიდანაც გადის ჰაერნაკადი.

/ნ/ თავისი სონორობით უახლოვდება ხმოვნებს. ინტერვოკალურ პოზიციაში მისი ამპლიტუდები ემსგავსება ხმოვნის ამპ-

ლიტუდებს, ისე რომ ხშირად ჭირს მათ შორის საზღვრის დადგენა, უფრო მეტიც, /ნ/-ს ამპლიტუდები თითქოს წინამავალი ხმოვნის ამპლიტუდების ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. ალბათ, /ნ/-ს ვოკალური სონორობაა მიზეზი იმ ფონეტიკური მოვლენისა წოვა-თუშურ ენაში, რომელსაც ხმოვანთა ნაზალიზაციას ვუწოდებთ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს /ნ/-ს სუსტი პოზიცია ხმოვნის მომდევნო პოზიციაში საერთოდ, და განსაკუთრებით კი აუსლაუტში, სადაც აღნიშნული ბგერა სუსტდება; როგორც ფონეტიკური სეგმენტი, ის ნულის ტოლი ხდება. თუმცა უკვალოდ არ ქრება, ის თავის რეფლექსს იძლევა წინამავალ ხმოვანში, რის შედეგადაც ვიღებთ თვისობრივად ახალ ფონემას — **ნაზალურ ვოკალს**. ამგვარად, ნაზალიზაციის შედეგად წოვა-თუშური ენის ფონოლოგიური სისტემა რთულდება ახალი ფონემური ერთეულებით — ნაზალური ფონემებით. ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი ზოგ სხვა მონათესავე ენებშიც (ჩაჩნური, ინგუშური). ამ მხრივ ტიპოლოგიური პარალელის გავლება შეიძლება ფრანგული ენის ნაზალურ ვოკალთა სისტემასთან, სადაც აღნიშნული ფონემები მიღებულია ნაზალური /ნ/-ს შერწყმით წინამავალ ვოკალთან.[1]

/ნ/-ს დისტრიბუცია განსაზღვრა ზემოთ აღწერილმა ფონეტიკურმა პროცესმა; ის გვხვდება ძირითადად თავკიდურ პოზიციაში, ხოლო აუსლაუტში, ხმოვნის შემდეგ, რამდენიმე შემთხვევაში მაინც დასტურდება, რაც ახსნას მოითხოვს.

/ნ/-ს ფონოლოგიური ინტერპრეტაცია ხერხდება მინიმალური წყვილებით, სადაც აღნიშნული ფონეტიკური სეგმენტი ფუნქციონირებს, როგორც მნიშვნელობის მადიფერენცირებელი ელემენტი: **ნაჴ „ნაქი“ — ჩაჴ „შორს“; ნახ „ხალხი“ — მახ „ფასი“; ნეკ „დანა“ — ჭეკ „ურდული“; ნჭან „მატლი“ - ნჭაპ „ძილი“.**

1. Проф. М.В. Сергиевский, История французского языка, Москва, 1947, стр. 47.

სონანტთა ფონემური კლასის წევრია ვიბრანტი ბგერა /რ/. ფონეტიკური ნიშანთვისებით ის მსგავსია ქართული ვიბრანტისა. მისი არტიკულაცია ხდება ნუნებთან ენის წვერის სწრაფი განმეორებითი მიბჯენით (ვიბრაციით). /რ/-ს წარმოთქმისას ერთდროულად პერიოდულ ხშვასაც აქვს ადგილი და ნაპრალსაც, რაც მისი გაგრძელების საშუალებას იძლევა.

/რ/ ბგერა საკმაო სიხშირით ხასიათდება. აქვს შედარებით თავისუფალი დისტრიბუცია — ფუნქცირებს ინლაუტში და აუსლაუტში. ხშულებთან ერთად ქმნის კომბინატორულ ჯგუფებს, განსაკუთრებით თვალში საცემია /რ/-ს პოზიციური სიხშირე აუსლაუტში. ნოვა-თუშურში დასტურდება ლექსიკური წყვილები, სადაც მნიშვნელობის მადიფერენცირებელი ელემენტია /რ/, რაც მას გამოგვაყოფინებს ფონემურ ერთეულად; ესენია: **მარ „ქმარი“ — მად „ნაიარევი“; ქირ „შრატი“ — ქით „ტიკი“; ქორთ „თავი“ — ქოლთ „სახელური“; ყარ „წვიმა“ — ყაჭ „ძაფი“; შარ „დო“ — შატ „ნასკვი“; ჴერ „ქვა“ — ჴელ „წესი“...**

ნოვა-თუშური ენის თანხმოვანთა ფონეტიკურ ტაბულაში შევიტანეთ ყრუ ვიბრანტი /რჰ/ ბგერა. შევიტანეთ იმიტომ, რომ ნოვა-თუშური ენის მეტყველების ნაკადში ის გამოიყოფა როგორც ფონეტიკური ერთეული.

ახლა საკითხი დგას მისი ფონოლოგიური იდენტიფიკაციის შესახებ. საქმე იმაშია, რომ ეს ბგერა-სეგმენტი ფუნქცირებს მხოლოდ განსაზღვრულ პოზიციაში, კერძოდ /ლ/ ფონემის უშუალო მეზობლობაში. აკუსტიკური შთაბეჭდილებიდან თუ ამოვალთ, ორივე ეს ბგერა ყრუა. მათი წარმოთქმისას აშკარად ისმის ფშვინვა, სახმო სიმები ინდიფერენტულ მდგომარეობაშია.

გასარკვევია, აქ ფონეტიკურ პროცესთან — ასიმილაციასთან გვაქვს საქმე თუ ორ დამოუკიდებელ ყრუ ფონემასთან. თუ პირველს დავუშვებთ, მაშინ რომელია მაასიმილირებელი

ბგერა? ხოლო თუ მეორეს — მაშინ ფონოლოგიური მეთოდებით **უნდა დასაბუთდეს ცალ-ცალკე თითოეულის დისტინქციური ფუნქცია.**

თუ ფონეტიკურ პროცესს დავუშვებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ვიბრანტს მოსდევს ყრუ ლატერალი ფონემა /ლ‘/, რომლის ფონოლოგიურ ღირებულებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ შემთხვევაში ვითარება ადვილად იხსნება **/რჰ/←/რ/** ასიმილაციის გზით, ე.ი. აქ საქმე გვაქვს მჟღერი სონანტი /რ/ ფონემის პოზიციურ ალოფონთან. როგორც ჩანს, არსებითად ასეც უნდა იყოს, ამის საწინააღმდეგოდ ერთი გარემოება რომ არ გვიბიძგებდეს. აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი დუბლეტური შემთხვევები, როცა /ლ/ ჩავარდნილია და **/რჰ/** მაინც არ კარგავს სიყრუეს. ასეთი შემთხვევა ეჭვის ქვეშ აყენებს დებულებას **/რჰ/←/რ/**. მაგალითად, როცა ცალკე ვამბობთ სიტყვებს **მარჰლ̃** „ცხვირი“, **ვორჰლ̃** „შვიდი“, **ბარჰლ̃** „რვა“, მაშინ ბგერათა კომპლექსი — **/რჰლ̃/** დაცულია და აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით ორივე წევრი კომპლექსისა ფშვინვიერია; სახმო სიმები ინდიფერენტულ მდგომარეობაშია მათი წარმოთქმისას. მაგრამ თუ იგივე სიტყვები კომპოზიტებში ვიხმარეთ, მაშინ აუსლაუტის /ლ̃/ თანხმოვანი ეკვეცებათ, კომპლექსი **/რჰლ̃/** მარტივდება და რჩება მხოლოდ **/რჰ/** ვიბრანტი, რომელიც ამ პოზიციაშიც აკუსტიკურ ნიშანს, სიყრუეს, მაინც ინარჩუნებს. მას რომ ეს ნიშანი შეძენილი ჰქონოდა პოზიციით, მაშინ სათანადო პოზიციის მოხსნის შემდეგ, ისიც უნდა დაეკარგა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, **/რჰ/** ბგერის დამოუკიდებელ ფონემად მიჩნევა ენის განვითარების დღევანდელ ეტაპზე მაინც გაჭირდება. ამას ხელს უშლის განსაკუთრებით მისი დისტრიბუციული მოდელი. როგორც აღვნიშნეთ, **/რჰ/** გვხვდება მხოლოდ მომდევნო ლატერალის /ლ̃/-ს უშუალო მეზობლობაში: **მარჰლ̃** — „ცხვირი“; **ვორჰლ̃** — „შვიდი“;

ბარჰლ — „რვა"; თარჰლარ — „მსგავსება"; ჴერჰლარ — „შიში" (ეშინია).

თუმცა ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ /რჰ/ ფონემიზაციის პროცესს იგუებს წოვა-თუშური ენის ფონოლოგიური სისტემის სტრუქტურა. მხედველობაში გვაქვს ცარიელი უჯრის შევსება და ამით სონატი /რჰ/ ფონემის ფონოლოგიური შინაარსის გამდიდრება; კერძოდ, ერთგანზომილებიანი პროპორციული ოპოზიცია /რ/ — /რჰ/, სადაც ოპოზიციის პირველი წევრი გამოდის როგორც მარკირებული — მჟღერი წევრი. ტიპოლოგიურად შეიქმნება ისეთივე ფონოლოგიური ოპოზიცია, როგორც ჩეხურს აქვს.[1]

ამოვდივართ რა /რჰ/ თანხმოვნის აღნიშნული დახასიათებიდან, შეგვაქვს ის წოვა-თუშური ენის ფონოლოგიურ პარადიგმაში და ფრჩხილებში ვსვამთ.

ჩვენ ამ თანხმოვნის ანალიზზე იმიტომაც შევჩერდით, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ინგუშურში მას უკვე მოპოვებული აქვს ფონოლოგიური სტატუსი, რაც საყურადღებო ფაქტია თეორიული ფონოლოგიის თვალსაზრისით.

წოვა-თუშურ ენას გააჩნია ლატერალთა წყვილეული — მჟღერი /ლ/ და მისი ყრუ კორელატი /ლ̃/. /ლ/-ს წარმოთქმისას ენის წვერი ებჯინება ნუნებს, ხოლო ჰაერნაკადი გამოდის ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შორის. მაშასადამე, /ლ/-ს წარმოთქმისას ხშვაც არის და ნაპრალსაც აქვს ადგილი. ამდენად, წარმოების რაგვარობის მიხედვით ის არის შერეული ბგერა.

როგორც თანხმოვანთა დისტრიბუციული მატრიციდან და შესაბამისი საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, /ლ/ ფუნქციერებს ძირითადად თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში. ზოგჯერ გვხვდება ძირეული მორფემის შიგნითაც; /ლ/ მო-

1. Н. Трубецкой, Основы фонологии, Москва, 1960, стр. 170.

ნაწილეობს ლექსიკურ წყვილებში როგორც მნიშვნელობის მადიფერენცირებელი მინიმალური სეგმენტი, რაც მას გამოგვაყოფინებს ფონემურ ერთეულად: **ლავ „თოვლი" — ტავ „ტოტი"; ლახ! „ძებნე" — მახ „ფასი"; ლეთარ „ჭიდაობა" — ხეთარ „პოვნა"; ჴელ „წესი" — ჴერ „ქვა"; თოლარ „ჯობნა" — თოხარ „დარტყმა"; ქოლთ „სახელური" — ქორთ „თავი"...**

/ლ/-ს ჰომორგანულია ყრუ კორელატი /ლ̓/. ეს ბგერა გამოყოფილი აქვს შიფნერსაც და აღნიშნავს (hx) სიმბოლოთი, მისი აზრით, (hx) ფშვინვიერი ბგერაა, რომელიც გერმანულად დაახლოებით შეიძლება (chl) გრაფემებით გამოიხატოს.[1]

ნ. ტრუბეცკოიმ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ჩრდილო კავკასიურ ენათა ლატერალურ თანხმოვნებს, სადაც ის წოვა-თუშურ საანალიზო ბგერასაც ეხება. ის აღნიშნულ ბგერას ახასიათებს როგორც ყრუ ლატერალურ სპირანტს.[2] გ. მაჭავარიანმა საფუძვლიანად შეისწავლა წოვა-თუშურის ყრუ ჩქამიერი ლატერალი /ლ̓/, როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში.[3]

საყურადღებო დიაქრონიული ინტერპრეტაცია აქვთ მოცემული საკვლევი ფონემური ერთეულების შესახებ თ. გონიაშვილსა და ლ. სანიკიძეს.[4]

/ლ'/ ფონემისადმი ასეთი ინტერესი შემთხვევითი არ არის, რადგანაც ივარაუდება, რომ ის უნდა იყოს ნახურ-დაღესტნურ

---

1. A. Schiefner. Versuch üder die Thusch-sprache, St.-Petersburg, 1956, s. 9.
2. ნ. ტრუბეცკოი, ჩრდილო კავკასიურ ენათა ლატერალური თანხმოვნები. მიმომხილველი, 6-9, თარგმანი ფრანგულიდან, თბილისი, 1972, გვ. 266.
3. გ. მაჭავარიანი, ლატერალურ თანხმოვანთა სისტემის ევოლუციის ზოგიერთი საკითხი ნახური ჯგუფის ენებში, იკე XIV, 1964, გვ. 261-270.
4. თ. გონაშვილი, თანხმოვანთა ზოგი კომპლექსი ნახური ჯგუფის ენებში. მაცნე I, 1976; ლ. სანიკიძე, ბაცბური ლ/ და რ/ თანხმოვანთა შესატყვისობისათვის ჩაჩნურ-ინგუშურში. ენათმეცნიერების ინსტ. ასპირ. და ახლგაზრდ. მეცნ. მუშაკთა სამეცნ. კონფერენცია. თეზისები, 1968.1. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 125.

ენათა ერთიანობის დონის ფონოლოგიური სისტემის წევრი, რომელიც ნახურ ენათა სინამდვილეში შემოგვინახა წოვა-თუშურმა ენამ. თუ ეს თეორია გავიზიარეთ, მაშინ გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ნახურ-დაღესტნურ ენათა საერთო ფონოლოგიური სტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის წოვა-თუშურ ენაში დადასტურებულ /ლ'/ ფონემას.

/ლ'/-ს დისტრიბუცია ასეთია: ფუნქციონირებს ძირეული მორფემის აუსლაუტში; სხვა პოზიციაში ჩვენ ის ვერ დავადასტურეთ. რა თქმა უნდა, თუ სანალიზოდ ავიღებთ სიტყვის ფარგლებს, მაშინ აღნიშნულ პოზიციას დაემატება ინტერვოკალური პოზიციაც. (ლ') ბგერის ფონოლოგიური ინტერპრეტაცია არ არის ძნელი. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ლექსიკურ წყვილებს, სადაც მნიშვნელობის მადიფერენცირებელი უმცირესი სეგმენტია (ლ'): **დალ'არ „მიცემა" — დალარ „სიკვდილი"; ალ'არ „თქმა" — აკარ „ცვენა"; თელ'არ „ძლევა" — თეყარ „ხვეწნა"; მალ'არ „სმა" - მაკარ „შეძლება"; ხილ'არ „ყოფნა" — ხიტარ „გაწყვეტა"...**

დასასრულ, წოვა-თუშური ენის ფონეტიკურ სისტემაში გამოიყოფა კბილბაგისმიერი მჟღერი სპირანტი /ვ/, რომელიც თავისი ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური დახასიათებით სპირანტებსა და სონანტებს შორის დგას. ეს ბგერა წარმოითქმის ქვედა ბაგის მიახლოებით ზედა კბილებთან.

ინტენსიური თანხმოვნები. საერთოდ, ყოველი ფონემა ხასიათდება ორი რიგის დიფერენციალური ნიშნებით. ეს ნიშნებია ფიზიოლოგიური (არტიკულატორული) და აკუსტიკური. ამ ნიშანთა (იგულისხმება რელევანტური ნიშნები) ერთობლიობა იძლევა ფონოლოგიური სისტემის ერთეულებს.

ეს არის უნივერსალური კრიტერიუმი ნებისმიერი ფონემის პარადიგმატული იდენტიფიკაციისათვის. გარდა აღნიშნული რელევანტური ნიშნებისა, ზოგიერთი ენის ფონოლოგიური

სისტემის ფონემურ ერთეულთა დიფერენციალურ ნიშნად გვევლინება „ბგერათრაოდენობა ანუ ბგერის სიგრძე-სიმოკლე".[1] ბგერათრაოდენობაში ვგულისხმობთ იმ დროს, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ბგერის წარმოსათქმელად. თითოეული ბგერის წარმოსათქმელად კი საჭიროა დროის განსაზღვრული მონაკვეთი. მაგრამ ზოგიერთ ენაში გვხვდება ისეთი ბგერები, რომლებიც მეტი ხანგრძლივობით ხასიათდებიან შესაბამის კორელაციურ ერთეულებთან შედარებით. ეს ხანგრძლივობა განპირობებულია ან ფონეტიკური პოზიციით, ანდა ენის ფონოლოგიური სისტემის ერთეულთა პარადიგმატული მიმართებებით.

ფონეტიკური პოზიციით განპირობებულ ხანგრძლივობას ფონოლოგიური ღირებულება არა აქვს. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგებოდა, თუნდაც, ნიმუშები სვანურიდან, სადაც სონანტებისა და სპირანტების წინ ხმოვანი გრძელდება. მაარე „კაცი", ვეერე „წვერი"...[2]

გრძელი ხმოვნები გვხვდება მორფემათა საზღვარზე, მაგალითად: ფინურში, პარტიტივის ფორმაში: kuka „ყვავილი" — kukää, leifä „პური" — leifää — ქართულში: აკეთა — გააკეთა, დააწერა და სხვ.

ამ რიგის მაგალითებზე სავსებით სამართლიანად წერს ტრუბეცკოი: „Во всех этих случаях долгие гласные следует рассматривать как сумму двух кратких гласных того же качества".[3]

ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ისეთი ბგერათრაოდენობა, რომელსაც ფონოლოგიური ღირებულება აქვს. ამ მხრივ შედარებით ნათელია სურათი ვოკალურ სისტემაში, მთელ რიგ ენებში გრძელი და მოკლე ხმოვნები კორელაციურ ოპოზიციას

1. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 125.
2. ს. ჯანტი, „სვანური ფონეტიკის ძირითადი საკითხები", თბ., 1949 წ. გვ. 1-21.
3. Н. Трубецкой, Основы фонологии, Москва, 1960, стр. 211.

ქმნიან. სიგრძე მარკირებული ნიშანია ხმოვანი ფონემისა და მას დისტინქციური ფუნქცია აქვს.

ზოგიერთ ენაში ბგერათხანგრძლივობა თანხმოვანი ფონემებისთვისაცაა დამახასიათებელი. ისინი, როგორც უკვე ვთქვით, ფონეტიკურად განსხვავდებიან შესაბამისი „მარტივი" კორელატებისაგან მეტი სიგრძით, ენერგიული არტიკულაციით. ნ. ტრუბეცკოი მათ უწოდებს გემინირებულ თანხმოვნებს, თუმცა ხედავს მათ შორის მსგავსებასაც.[1]

გემინირებული ფონემები (ანუ გემინატები) გვხვდება მორფემათა შესაყარში და ძირეულ მორფემებში. პირველ შემთხვევებში ჩვენ საქმე გვექნება არა ფონოლოგიურ ერთეულთან, არამედ ფონემურ ჯგუფთან, რომელიც შედგება ორი ერთნაირი თანხმოვნისაგან. მაგალითად: სკამმა, მმართველი, თბილისს, ქუთაისს და ა.შ.

გრძელი თანხმოვანი ანუ გემინატი, რომელიც მორფემათა შესაყარში გვხვდება, შეიძლება ასიმილაციის შედეგად ორი განსხვავებული ბგერისაგან მომდინარეობდეს. მაგალითად, ჩაჩნურში: **დადა** „გაქცევა" — **დედდა←დედ-ნა** „გაიქცა"; **ლეთა** „ჩხუბობს" — **ლეთთა←ლეთ-ნა** „იჩხუბა"; **ალა** „თქმა" — **ალლა←ალ-ნა** „თქვა" და ა.შ.[2]

ზოგ ენაში კი გემინირებული თანხმოვნები გვხვდება არა მარტო მორფემათა საზღვარზე, არამედ მორფემის შიგნითაც, ან მხოლოდ მორფემის საზღვრებში. ასეთ შემთხვევაში გემინატი არის ამ ენის ფონოლოგიური სისტემის დამოუკიდებელი ერთეული და მისი პარადიგმატული იდენტიფიკაცია იმავე მეთოდით შეიძლება, რა მეთოდითაც პარადიგმის დანარჩენი წევრებისა.

ნ. ტრუბეცკოი წერს: "Геминированные согласные

1. Н. Трубецкой, დასახ. ნაშრ. გვ. 194.
2. Ю. Д. Дешериев, Современный чеченский литературный язык, фонетика, Грозный, 1960, стр. 5.

занимают промежуточное положение между фонемой и группой фонем".[1]

წოვა-თუშური ენის ფონეტიკურ სისტემაში ჩვენ ცალკე გამოვყოფთ ბგერებს: **სჲ, ხჲ, ჴჲ, ყჲ,** რომლებიც თავისი ფიზიოლოგიურ-არტიკულატორული და აკუსტიკური ნიშნებით ანალოგიურნი არიან გრძელი ანუ გემინირებული თანხმოვნებისა.

ეს ბგერები შენიშნული აქვთ ამ ენის მკვლევრებს და იძლევიან მათ ფონეტიკურ დახასიათებას.

ი. დეშერიევის აზრით: „В современном бацбийском языке мы находим факты, указывающие на существование в прошлом геминированных (усиленных) согласных".[2] მაგრამ საგულისხმოა ის, რომ მას აღნიშნული ერთეულები ენის ფონეტიკურ ტაბულაში არ შეაქვს როგორც დამოუკიდებელი ფონემური ერთეულები.

ბუნებრივია, როცა ფონეტიკურ დონეზე გამოიყოფა გარკვეული სეგმენტები, დგება საკითხი ამ ერთეულთა იდენტიფიკაციისა ფონოლოგიის დონეზე. წოვა-თუშურშიც გასარკვევია, აქვთ თუ არა ამ ძლიერი, დაყოვნებული არტიკულაციის მქონე თანხმოვნებს დისტინქციური ფუნქცია. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, მაშინ ეს ბგერები თავის ადგილს დაიკავებენ ფონოლოგიური სისტემის პარადიგმაში.

შევჩერდეთ ამ რიგის ბგერათა აღმნიშვნელ ტერმინებზე: ბგერები, რომელთა არტიკულაცია უფრო ხანგრძლივია შესაბამის კორელატებზე, გვხვდება როგორც კავკასიურ ენებში, ისე სხვა ჯგუფის ენებშიც (ფინურში, იაპონურში, დაღესტნის ენებში).

ამ რიგის ბგერებს ზოგი მკვლევარი „მაგარს" უწოდებს „არამაგარ" თანხმოვანთან დაპირისპირებით, ამავე მნიშვნელობით იხმარება — „ძლიერი"- „სუსტი".[3]

---

1. Н. Трубецкой, დასახ. ნაშრ. გვ. 194.
2. Ю.Д. Дешериев, Бацбийский язык, Москва, 1953, стр. 35.
3. ა. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი, 1982, გვ. 48.

ეს ტერმინები ემყარება აკუსტიკურ შთაბეჭდილებას, არტიკულაციის დაჭიმულობას. ხოლო ლ. ზინდერი და მ. მატუსევიჩი, ამოდიან რა დროის კრიტერიუმიდან, მათ „გრძელ" თანხმოვნებს უწოდებენ.[1]

ჩვენი აზრით, „გრძელი" და „ინტენსიური" თანხმოვნების კვალიფიკაციისას უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან პოზიციურად შეპირობებული, ე.ი. ორი მსგავსი ბგერის შეერთებით მიღებული გრძელი თანხმოვნები, რომელთა სეგმენტაცია შესაძლებელი ხდება მორფოლოგიური ოპერაციის შედეგად და **გრძელი, მყოვარი** თანხმოვნები, რომელთა სეგმენტაცია შეუძლებელია. პირველნი, როგორც უკვე ვთქვით, გვხვდება ოდენ მორფემათა ზღვარზე, ხოლო მეორენი კი მორფემის ფარგლებში, მის შიგნით. ეს პრინციპი უნდა იყოს ამოსავალი ამ რიგის ბგერათა კვალიფიკაციისას.[2]

წოვა-თუშური ენის ფონეტიკურ სისტემაში შეგვაქვს ისეთი თანხმოვნები, რომლებიც შესაბამის ჰომორგანულ და ჰომოგენურ ბგერებთან კორელაციურ ოპოზიციას ქმნიან, ფუნქციონირებენ მხოლოდ ძირეული მორფემის ფარგლებში. მათი სეგმენტაცია რაიმე მორფოლოგიური ოპერაციების გზით შეუძლებელია როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ ასპექტში. ამდენად, მათი ფონოლოგიური ინტერპრეტაცია შეიძლება როგორც ერთიანი, განუყოფელი ერთეულისა.

რადგანაც ტერმინი „გემინატი", „გემინირებული", გულისხმობს გაორმაგებულ ერთეულს, მათ გენეტურ ასპექტს, ამდენად წოვა-თუშური ენის აღნიშნული ბგერებისათვის ეს ტერმინი შეუფერებელი იქნებოდა.

---

1. Л.Р. Зиндер, Общая фонетика, Л-л., 1960, стр. 130. М.И. Матусевич, Введение в общую фонетику, Москва, 1959, стр. 91.

2. ევგ. ჯეირანიშვილი პოზიციურად შეპირობებულ გრძელ თანხმოვანს უწოდებს „გემინირებულ (მყოვარ) თანხმოვანს", ხოლო ისეთ გრძელ თანხმოვნებს, რომელთა ეტიმოლოგია ვერ ხერხდება, უწოდებს პირველად გემინირებულ (თავიდანვე მყოვარ) თანხმოვნებს; იხ., მისი უდიური ენა, თბილისი, 1971, გვ. 15-16.

ჩვენ ამოვდივართ ცნობილი ფონეტიკოსის მ. მატუსევიჩის დეფინიციიდან: „Второй совершенно иной тип (его можно назвать фонологическим) представляет собой такой случай, когда в языке можно установить особые противопоставляющие друг другу долгие и краткие фонемы. Долгота или краткость этих звуков является их неизменным признаком, независящим от чисто фонетических факторов речи, и они могуть быть использованы в целях семантической дифференциации, что и делает их особыми фонемами в данном языке".[1]

თუ „ინტენსიურის" ცნებაში ვიგულისხმებდით არტიკულაციის ძლიერ დაჭიმვას, ხშვის მომენტის ენერგიულ, ერთიან დაყოვნებას, მაშინ საანალიზო ფონემების აღსანიშნავად ყველაზე შესაფერისი ტერმინი იქნებოდა **„ინტენსიური"**. ამ ტერმინის უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მისგან შეიძლება ვაწარმოოთ ახალი ფორმები, მაგალითად — **ინტენსიურობა**.

ახლა გავაანალიზოთ ის ბგერები, რომლებიც ინტენსიურობით ხასიათდებიან.

ასეთთა რიგს ეკუთვნის დენტალური ყრუფშვინვიერი ბგერა **თ**. ეს ბგერა გვხვდება ძირეული მორფემის აუსლაუტში და უპირისპირდება მარტივ /თ/-ს არტიკულაციის სიძლიერით (ენის წვერი მჭიდროდაა მიბჯენილი კბილებთან), დაჭიმულობით და ხანგრძლივობით. მისი ეს ფონეტიკური ნიშნები დისტინქციურ ფუნქციას ასრულებენ, როგორც ეს ქვემოთ წარმოდგენილი ლექსიკური წყვილებიდან ჩანს: **დითხარ** „გარეცხვა" — **დითარ** „დატოვება"; **ლათხარ** „დგომა" — **ლათარ** „დაჭიდება"; **ჴეთხარ** „ადგომა" — **ჴეთარ** „ცოდნა" და სხვა.

აღნიშნულ პოზიციაში /თხ/-ს კომბინაციური გზით მიღება გამორიცხულია. ყოველ შემთხვევაში, სინქრონულ დონეზე

1. М. Матусевич, იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

მისი მეორეულობა ვერ დასაბუთდება. ამდენად, **(თ᷑)** სეგმენტი შეიძლება მივიჩნიოთ ფონემურ ერთეულად; ამის შედეგად ენის ფონოლოგიურ ოპოზიციათა სისტემაში გამოიყოფა ერთგანზომილებიანი ოპოზიცია: **/თ-თ᷑/** ინტენსიური — არაინტენსიური, სადაც მარკირებული წევრის როლში გამოდის **(თ᷑)**.[1]

მეორე ინტენსიური ფონემა არის ამავე ლოკალური რიგის აბრუბტივის /ტ/-ს კორელატი **/ტ᷑/**; არტიკულაციის ძლიერი, ენერგიული დაჭიმვა და დაყოვნება, რომელსაც ინტენსიურობას ვუწოდებთ, არსებითი ფონოლოგიური ნიშანია ამ თანხმოვნისა. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ქმნის ის ფონოლოგიურ ოპოზიციას შესაბამის კორელატურ ცალთან /ტ/. ეს ნათლად ჩანს აქ მოყვანილი მინიმალური წყვილებიდან: **ატ᷑არ** „გულისრევა“ — **ატარ** „გაჩუმება“; **ხეტ᷑არ** „კითხვა“ — **ხეტარ** „წყვეტა“; **ყატ᷑არ** „გახსნა“ — **ყატარ** „გამოჩენა“; **იტ᷑** „ათი“ — **იტ** „ირბინე“.


დენტალთა ლოკალურ რიგში ინტენსიური ფონემები ქმნიან ინტენსივობის კორელაციას, სადაც მარკირებული წევრის როლში გამოდის ინტენსიური ფონემა. მაშასადამე, ფონოლოგიური ოპოზიცია **ტ᷑-ტ** შეიძლება დავახასიათოთ ასე: **ინტენსიური — არაინტენსიური.**

ინტენსიური ფონემების შემოტანას (წოვა-თუშური ენის ფონოლოგიურ სისტემაში) არსებითი ცვლილებები შეაქვს ამ ენის ფონემათა პარადიგმატულ მიმართებებში. რთულდება ლოკალური რიგის კორელაციური კონა. ამის შედეგად წოვა-თუშურ ენაში იქმნება დენტალთა კორელაციის ხუთწევროვანი კონა.[2]

---

1. აქაც და ქვემოთაც, სხვა ინტენსიურ ფონემურ ერთეულთა ფონოლოგიური ინტერპრეტაციისას, ვემყარებით ტრუბეცკოის ფონოლოგიური ანალიზის ცნობილ წესებს (იხ. მისი დასახ. ნაშრ. გვ. 62).

2. კორელაციური კონების შესახებ იხ. ნ. ტრუბეცკოის დასახ. ნაშრ. გვ. 97.



წოვა-თუშური ენის ფონოლოგიური სისტემის პარადიგმატული სისტემა საფუძველს იძლევა დავუშვათ ამ ენაში ინტენსიურ თანხმოვანთა მეტი რაოდენობა და მეტი გავრცელებულობა. კერძოდ, ამაზე მიუთითებს ცარიელი უჯრების არსებობა პარადიგმაში, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა დიაქრონიის კომპეტენციაში შედის, ჩვენ კი ამჯერად ვიფარგლებით ფონემათა სინქრონიული სისტემის შესწავლით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტენსიურ ფონემებს, რომლებიც თანამედროვე წოვა-თუშური ენის ფონოლოგიურ სისტემაში გვხვდება, ძალზე შეზღუდული დისტრიბუცია აქვთ. ზოგი მათგანი მხოლოდ ერთეულ მაგალითებშიღა დასტურდება. თუ ამოვალთ ა. მარტინეს თეორიიდან, რომლის მიხედვითაც: „Независимо от того, используется ли различие между двумя фонемами в одном случае, или в тысяче, мы должны признать эти фонемы двумя самостоятельными единицами".[1] მაშინ ამ რიგის თანხმოვნები უნდა მივიჩნიოთ დამოუკიდებელ ერთეულებად. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ინტენსიური სიბილანტი /სჳ/, რომელიც მხოლოდ ორ სიტყვაში დავადასტურეთ: **ისჳ** „ცხრა", **მოსჳი**ნ „ცუდი". /სჳ/ მინიმალურ წყვილს ქმნის, რაც მის დისტინქციურ ფუნქციაზე მიგვანიშნებს: **ის** „ეგ"-**ისჳ** „ცხრა"; **მოსჳი**ნ „ცუდი", **მოლი**ნ „როგორი"; /სჳ/-/ს/ კორელაციურ წყვილში პირველი რეალიზდება როგორც ყრუ ინტენსიური სპირანტი. ფონოლოგიური დაპირის-


1. Г.А. Мартине, Принцип экономии в фонетических изменениях, М., 1960, стр. 125.

პირება /სჲ/-/ს/ შეიძლება დავახასიათოთ როგორც ინტენსიური — არაინტენსიური, სადაც მარკირებული წევრის როლში გამოდის ინტენსიური /სჲ/.

ფარინგალურ ყრუხშულს /ʕ/ ფონოლოგიურად უპირისპირდება შესაბამისი ინტენსიური /ʕჲ/ ფონემა, რომელიც გვხვდება შემდეგ ძირეულ მორფემებში: **ეʕარ** „გადახტომა“, **ეʕჲდარ** „გაგდება, მოგლეჯა“; **დაʕჲო**ⁿ „დიდი“. პოზიციურად /ʕჲ/ მხოლოდ მორფემის აუსლაუტში ფუნქციონირებს. /ʕჲ/-/ʕ/ ოპოზიცია შეიძლება დავახასიათოთ: **ინტენსიური — არაინტენსიური**. „ინტენსიური“ არის რელევანტური ნიშანი /ʕჲ/ ფონემისა, რომელიც დისტინქციურ ფუნქციას ასრულებს შემდეგ მინიმალურ წყვილში: **ეʕარ** „ამათ“ — **ეʕჲარ** „გადახტომა“; **ეშდარ** „დაკლება“ — **ეʕჲდარ** „გაგდება“.


მხოლოდ ერთ მაგალითში დავადასტურეთ ფარინგალური მარტივი აბრუბტივის /ყ/ ინტენსიური კორელატ /ყჲ/: **დაყჲდარ** „გასინჯვა“ — **დაყდარ** „გახმობა“. წარმოდგენილი მინიმალური წყვილი იმაზე მიგვანიშნებს, რომ /ყჲ/ ფონემატური ერთეულია.

ამრიგად, ფარინგალთა ლოკალურ რიგში წოვა-თუშურს აქვს ოთხწევროვანი კონა ფონემატური ერთეულებისა.



ფონემატური ერთეულია, აგრეთვე, ჩვენი აზრით, უკანაველარული ინტენსიური ყრუ სპირანტი /ხჲ/, რომელიც დასტურდება შემდეგ ლექსიკურ ერთეულებში: **დახჲარ „დახრჩობა“ — დახარ „წასვლა“; დახჲე**ⁿ **„გრძელი“ — დახე**ⁿ **„წავიდა“.**

ილუსტრირებული ლექსიკური წყვილები /ხ₃/-ს გამოგვაყოფინებს ფონოლოგიური სისტემის დამოუკიდებელ ერთეულად, რის შედეგადაც შესაბამისი ლოკალური რიგი წარმოგვიდგება სამწევროვანი კონით, სადაც ფრაგმენტულ სისტემას აკლია ერთი წევრი.



რიგ სიტყვებში დასტურდება ინტენსიური ლატერალი (**ლ₃**), რომლის დისტრიბუციაც, ისე როგორც სხვა ინტენსიური ფონემებისა, შეზღუდულია ძირეული მორფემის აუსლაუტით: **დოლ₃არ „ჩადება" — დოლარ „მოსულიყავ"; ჴელ₃ რ „გაისად" — ჴელრ „მიყავს"; ჯალ₃ი⁵ „შეჭამა" — ჯალი⁵ „სამიანი".**

ამრიგად, დაპირისპირება /ლ₃/ჶ/ლ/ ემყარება დისტინქციურ ნიშანს: **ინტენსიურობა — არაინტენსიურობას.**


ჩატარებული ფონეტიკურ-ფონოლოგიური ანალიზის საფუძველზე წოვა-თუშურში გამოიყოფა 41 თანხმოვანი ფონემა (იხ. გვ. 2).


ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი ფონოლოგიური სისტემის პარადიგმატული მოდელი შედგენილია ა.მარტინეს „სერიებისა" და „რიგების" მიხედვით (გვ. 42). დავახასიათეთ თითოეული ბგერა ფონეტიკურ-ფონოლოგიური ნიშნების მიხედვით.


ახლა კი კვლავ დავუბრუნდებით **გლოტალთა სისტემას** ვაინახური (ჩაჩნურ-ინგუშური) ენების შესაბამის ფონემებთან შეპირისპირების ფონზე, რადგანაც ეს პრობლემა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკვლევართა შორის.

გლოტალთა სერია კი ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ სწორედ მათი დისტრიბუციული მოდელის მიხედვით უპირისპირდება ერთმანეთს ერთი მხრივ ვაინახური ენები, ხოლო მეორე მხრივ კი წოვა-თუშური ენა. საქმე ის არის, რომ არაანლაუტის პოზიციაში ვაინახურ ენებში გლოტალები არ გვხვდება, რაც კარგადაა ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან, ხოლო ამავე პოზიციაში კი **წოვა-თუშურ ენას შენარჩუნებული აქვს გლოტალები**. ჩაჩნურ-ინგუშურ ენებს ამავე პოზიციაში აქვთ შესაბამის გლოტალთა ჰომორგანული მჟღერები, რის შედეგადაც დასტურდება რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობა **გლოტალი~მჟღერი. ეს შესატყვისობა მკაცრადაა შეზღუდული პოზიციით**. აღნიშნული რეგულარული ფონოლოგიური შეფარდება ცნობილია, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მათ შორის ქრონოლოგიური მიმართების დადგენაში. ამასთან დაკავშირებით არსებობს ორი ერთმანეთის გამომრიცხავი თვალსაზრისი. ერთის მიხედვით: **გლოტალი←მჟღერი**, ხოლო მეორის მიხედვით; **მჟღერი←გლოტალი**. მესამე გზა გამორიცხულია.

ქვემოთ სქემატურად წარმოდგენილია ორივე თვალსაზრისი.







სქემის ცენტრშია ნახურ ენათა ფუძე-ენის ჰიპოტეტურად რეკონსტრუირებული არქიფონემები, ხოლო მარცხენა მხარეს მისი რეალიზაცია ვაინახურში, მარჯვნივ კი წოვა-თუშური ენის შესაბამისი ფონემური ერთეულები. როგორც ვხედავთ, ჩაჩნური და ინგუშური ავლენს ერთნაირ ფონეტიკურ გარდაქმნებს, ხოლო ნოვა-თუშური ენის ფონეტიკური გარდაქმნები სხვა გზით წასულა, რითაც ის უპირისპირდება თავის მონათესავე ენებს.

წარმოდგენილი სქემის მიხედვით წოვა-თუშურს დაუცავს ამოსავალი ე.ი. ფუძე-ენის ვითარება. რამდენად რეალურია ასეთი დაშვება? რა საფუძველი გვაქვს ამგვარი დასკვნისა?

ჩვენ ამოვდივართ იმ ზოგადთეორიული დებულებიდან, რომლის მიხედვითაც დიაქრონიული ენობრივი პროცესები არსებითად ემყარება იმ კანონზომიერებას, რომელსაც საფუძვლად უდევს **ეკონომიის პრინციპი**, რაც გულისხმობს მინიმუმამდე დაყვანას საკომუნიკაციო ფიზიკური ენერგიისა. ენა თავისი ფიზიკური რეალიზაციიდან უკუაგდებს იმას, რაც აზრის ექსპრესიისათვის აუცილებელი არ არის. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, ხანგრძლივად და ქვეცნობიერად მიმდინარეობს ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში. მისი გამოვლენა და ანალიზი შესაძ-

ლებელია მხოლოდ ენობრივ მასალაზე სპეციალური ფონეტიკურ-ფონოლოგიური დაკვირვების შედეგად.

ენის ფონეტიკურ ცვალებადობაში ეკონომიის პრინციპის იდეის შესახებ ფ.დე სოსიური წერს: „Далее, иногда ссылаются на закон наименшего усилия, вследствие которого будто бы две артикуляции заменяются одной, **трудная артикуляция — более легкой**. Что бы ни говорили об этой идее, она все же заслуживает рассмотрения; она до некоторой степени может разъяснить причину явления или покрайней мере наметить пути для ее отыскания".

ჩვენთვის ამ მეტად საყურადღებო თვალსაზრისის გამოხატვის შემდეგ თეორიული ლინგვისტიკის ეს დიდი ავტორიტეტი იმოწმებს კონკრეტულ მაგალითებს აღნიშნული ფონეტიკური კანონის საილუსტრაციოდ: „Закон наименшего усилия, повидимому, объясняет некоторые случаи, как, напрймер, переход смычного согласного в спирант (лат. habēr→франц. avoir)...[1]

ენის ცვალებადობის **ზოგადი კანონზომიერების** ძიება და დადგენა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა თეორიული ენათმეცნიერებისა. ამ მიმართულებით მრავალი გამოკვლევა დაწერილა, რომელთა მიმოხილვითი ანალიზი მოცემული აქვს ბ.სერებრენიკოვს. ჩვენ ვითვალისწინებთ მის პოზიციას: „Большой популярностью у многих лингвистов пользовалась теорня экономии усилий. Экономия усилий некоторыми лингвистами рассматривалась как **главная причина общых языковых явлений**".[2]

---

1. Фердинанд де соссюр. Труды по языкознанию, Москва, „прогресс", 1977. стр. 180-181.
2. Б.А.Серебренников. Вероятностные обоснования в компаративистике, М., 1974, стр. 20-41.

და ბოლოს, ა.მარტინემ ეკონომიის პრინციპის მნიშვნელობა ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემის ევოლუციაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონოგრაფიულად დაამუშავა, სადაც დამაჯერებლად არის ნაჩვენები აღნიშნული მეთოდის მეცნიერული ღირებულება დიაქრონიულ ენათმეცნიერებაში. მარტინესთვის მთავარია არა მოვლენის, ფაქტის კონსტატაცია, არამედ მიზეზი, რამაც გამოიწვია ესა თუ ის ენობრივი ინოვაცია, როგორც ამას ადასტურებს ვ.ზვეგინცევიც: „А.Мартине сосредоточивает свое внимание, не на вопросе о том, как совершаются фонетические изменения, а на вопросе о том, **почему** они совершаются".[1] თუ ჩვენ დიაქრონიულ ფონეტიკურ ტრანსფორმაციების ახსნისას დავემყარებით მარტინეს მიერ შემოთავაზებულ ეკონომიის პრინციპს, მაშინ უნდა დავასაბუთოთ, რომ ფონეტიკური პროცესი **აბრუპტივი → მჟღერი** შეპირობებულია აღნიშნული მიზეზით. ამისათვის კი საჭიროა ვაჩვენოთ, რომ აბრუპტივის ფონოლოგიური შინაარსი უფრო რთულია, ვიდრე შესაბამისი მჟღერი კორელატისა ე.ი. აბრუპტივის დიფერენციალურ ნიშანთა კონა უფრო მრავალწევრიანია, ვიდრე მისგან ტრანსფორმირებული მჟღერი კორელატისა.

ფონოლოგიურ ტრანსფორმაციებს აღვწერთ „გადაწერის წესების" ტერმინებში. აქ კი დიდ სამსახურს გაგვიწევს ფონემათა იდენტიფიკაციის მატრიცები, სადაც ნაჩვენებია თითოეული ფონემური ერთეულის ფონოლოგიური შინაარსი, ე.ი. ფონემათა რელევანტურ-დიფერენციალურ ნიშანთა ერთობლიობა.[2]

„ყოველი დიაქრონიული ფონემური გარდაქმნა შეიძლება

---

1. В.Л.Звегинцев. Структурная лингвистика и теория экономии А.Мартине (предисл. книги А.Мартине, Принцип экономии в фонетических изменениях, М., 1960, стр. 15.


2. კ.ჭრელაშვილი. ნახური ენების თანხმოვანთა სისტემა. თბილისი, 1975, გვ. 61.

გამოვხატოთ „გადაწერის წესის" სახით, სადაც „→" ნიშნის მარცხნივ წარმოდგენილი სიმბოლო ასახავს ენის ადრეული მდგომარეობის ფონემურ ერთეულს, ხოლო მის მარჯვნივ წარმოდგენილი — ამ ფონემის გარდაქმნის შედეგად მიღებულ ერთეულს ენის მომდევნო მდგომარეობაში".[1] ქვემოთ წარმოდგენილი იქნება თ.გამყრელიძის მიერ შემოთავაზებული „გადაწერის წესების" მიხედვით გლოტალთა გარდაქმნები ნახურ ენებში.

-ტ#	+მეყსეული	→	+დ#	+მეყსეული
	-კომპაქტური			-კომპაქტური
	-მძაფრი			-მძაფრი
	+მაღალი ტონალობის			+მაღალი ტონალობის
	-მჟღერი			+მჟღერი
	+გლოტალური			
	-ინტენსიური			

-წ#	+მეყსეული	→	-ზ#	-მეყსეული
	-კომპაქტური			-კომპაქტური
	+მძაფრი			+მჟღერი
	+მაღ. ტონალ.			
	-მჟღერი			
	+გლოტალური			

1. თ.გამყრელიძე. დეზაფრიკატიზაცია სვანურში, „გადაწერის წესები" დიაქრონიულ ფონოლოგიაში, თბილისი, 1968, გვ. 21.



აღნიშნული ფონოლოგიურ გარდაქმნებს ადგილი აქვს ჩაჩნურ-ინგუშურ ენებში. წარმოდგენილი დიაქრონიული გარდაქმნები, როგორც სქემიდან ჩანს, ემყარება ლინგვისტიკაში საერთოდ აღიარებულ „ეკონომიის პრინციპს“, რადგანაც ამოსავალ ფონემათა ფონოლოგიური შინაარსი უფრო რთულია შე-

დარებით მისგან მიღებული ფონემების ფონოლოგიურ შინაარსთან. ეს ერთი თვალის გადავლებითაც ნათელია.

როგორც ვხედავთ, ფონემურ ერთეულთა იდენტიფიკაციის მატრიცს, რომელიც აგებულია ბინარულ-აკუსტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა ტერმინებში, შეუძლია არსებითი როლი შეასრულოს დიაქრონიულ პროცესთა მეცნიერული შესწავლისათვის, რადგანაც მასზე დამყარებით შესაძლებელი ხდება ზუსტი ჩვენება იმისა, თუ რატომ წარიმართა დიაქრონიული ფონემური პროცესი მაინცდამაინც ამ მიმართულებით.

თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნული მეთოდი შესაძლებელია არ იყოს უნივერსალური. ჩვენ ვფიქრობთ, ეს მეთოდი არის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) გააზრებული, ლოგიკურად ჩამოყალიბებული, გარკვეულ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე აგებული მეცნიერული ხერხი დიაქრონიული ფონოლოგიური პროცესების ახსნისა.

მაგრამ ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი მეტად საყურადღებო გარემოება, რომელსაც ერთგვარი დისონანსი შეაქვს ზემოთ წარმოდგენილ რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვისობაში. საქმე ის არის, რომ ფარინგალური მკვეთრი „ყ“ ფონემა ჩაჩნურსა და ინგუშურში დისტრიბუციულად ემიჯნება დანარჩენ გლოტალებს. მხედველობაში გვაქვს დეცესიური ჰარმონიული კომპლექსთა სისტემა (B სისტემა), რომელიც დასტურდება ნახურ ენებშიც, სადაც „ყ“ გლოტალი „ღ“ და „ხ“ სპირანტების რიგში დგება. ეს გარემოება კი თავის მხრივ სვამს საკითხს აღნიშნული ბგერის („ყ“) ფონეტიკურ-ფონოლოგიური იდენტიფიკაციისა.

ანალოგიური პრობლემა დგას ქართული „ყ“ თანხმოვნის მიმართაც. გ.ახვლედიანმა სპეციალური თავი მიუძღვნა ამ საკითხს, სადაც ვრცლად არის მიმოხილული ლიტერატურაც და მოცემული აქვს აღნიშნული ბგერის ფონეტიკურ-ფონო-

ლოგიური დეფინიცია. ამასთან დაკავშირებით ის წერს: „რაც შეეხება ჴ-ყ-ს ფონეტიკურ-ფიზიოლოგიურ კვალიფიკაციას, აქ საკითხი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ტერმინოლოგიური შეუსაბამობა. ბგერათწარმოების რომელი ადგილი ეკუთვნის ჴ-ყ-ს? ე.ი. რომელი ბგერათსაწარმოთქმო ორგანოები იღებენ მონაწილეობას ჴ-ყ-ს წარმოთქმაში?" იქვე ქვემოთ ვკითხულობთ: „მათი (ჴ-ყ-ს) არტიკულაცია ჩვენთვის სავსებით გამორკვეულია: ენისძირი აწარმოებს ხშვას ფარინგსის (ხახის) უკანა კედლის მიმართ; უკანა თაღები უახლოვდებიან ერთმანეთს და წარმოქმნიან ღარისებრ გასავალს; სიმები დახშულია ყ-სათვის, ამიტომ ეს მკვეთრია, როგორც პ-ტ-კ-წ-ჭ"... შემდეგ: „ნაპრალის არსებობას მოწმობს აგრეთვე ყ-ს მეტ-ნაკლებად გაგრძელებული წარმოთქმის შესაძლებლობა. ამდენად ყ არ არის წმინდა მეყსეული"[1] — ასკვნის გ.ახვლედიანი.

საბოლოოდ გ.ახვლედიანი ყ-ს მიიჩნევს სპირანტოიდ ბგერად, რადგანაც ექსპერიმენტით დასტურდება სპირანტული ელემენტი.

ფარინგალთა სისტემას თ.გამყრელიძემ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა, სადაც ის წერს: „განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს B სისტემა, სადაც „მკვეთრი ყ თანხმოვანი" ფუნქციურად იმავე როლს ასრულებს, რასაც შესაბამისად „მჟღერი ღ" და „ყრუ ხ სპირანტები", ე.ი. „მკვეთრი ველარი სპირანტის" ფონოლოგიურ ფუნქციას. ამასთანავე, მას ეს ფუნქცია მას შემდეგ კი არ დაეკისრა, როდესაც ძველი ქართულის ჴ ფონემა ხ სპირანტს შეერწყა და, როგორც ივარაუდებოდა, „მოიშალა" უკანაენისმიერ — -ჴ- — ყ „ხშულთა" რიგი და „ცალად" დარჩენილი ყ მკვეთრი „ხშული" ღ~ხ სპირანტთა „წყვილე-

1. გ.ახვლედიანი — ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი, 1999, გვ. 310 და შემდეგი.

ულს“ მიეკედლა, არამედ იმთავითვე ყ ფონემა ფუნქციურადაც (დისტრიბუციულად) ღ~ხ ველარი არამკვეთრი სპირანტების რიგში შესაბამის ადგილს იმკვიდრებდა და ეს უკვე უძველესი ხანის ქართულში ივარაუდება და, შესაძლებელია, საერთო-ქართველურშიც“.[1]

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე თ.გამყრელიძე იძლევა სამეულთა სრულიად ახალ პარადიგმას:

ღ~ხ~ყ

-~ჯ~-

ჩვენ ეს ქართული ენის მონაცემების გათვალისწინება იმიტომ დაგვჭირდა, რომ წოვა-თუშურ (res. ნახურ ენებში) ენაშიც დასტურდება ქართულის ანალოგიური კომპლექსები თანხმოვნებისა, რომელთა სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ იდენტიფიკაციის შესახებ საუბარი გვაქვს ჩვენს მონოგრაფიაში „ნახური ენების თანხმოვანთა სისტემა“.[2] იგულისხმება დეცესიური ჰარმონიული კომპლექსების B სისტემა. აღნიშნული სისტემის პარადიგმა სამივე ენაში ერთობლივად ასეთ სურათს იძლევა:

I.	ბღ	დღ	ძღ	ჯ
II.	ფხ	თხ	ცხ	ჩხ
III.	პყ	ტყ	წყ	ჭყ

ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს, როგორც ამის შესახებ ზემოთაც აღვნიშნეთ, გლოტალთა კომპლექსები, სადაც ფარინგალური „ყ“ ბგერა დისტრიბუციულად ღ და ხ სპირანტების რიგში დგება. ეს მეტად საგულისხმო ფაქტია ყ ბგერის ფონეტიკურ-ფონოლოგიური იდენტიფიკაციის თვალსაზრისით.

წოვა-თუშური ენის მკვლევარები მხოლოდ ფონეტიკურ დახასიათებას იძლევიან ყ ბგერისა. ა.შიფნერი წერს: „ɑ(ყ)-თი აღ-

---

1. თ.გამყრელიძე. რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი, 2000, გვ. 252.
2. კ.ჭრელაშვილი. ნახური ენების თანხმოვანთა სისტემა, თბილისი, 1975, გვ. 271.

ვნიშნავთ ზოგიერთი აღმოსავლური ხალხისათვის დამახასიათებელ ყელისმიერ ბგერას (kehllaut), რომელიც არაბულ დამწერლობაში ʼ, ხოლო ქართულში ყ-(q)-თი გამოიხატება (ausgedrükt wird)".[1] ი.დეშერიევის მიხედვით, „къ(у) задне-мягконебная фонема с надгортанным выдыханием".[2]

რ.გაგუა ცალკე სპეციალურად არ ჩერდება ყ ბგერის ფონეტიკურ დახასიათებაზე, ოღონდ თანხმოვანთა ტაბულაში ხშული ფარინგალური აბრუპტივის ნიშნებით არის ის წარმოდგენილი და ტაბულაშიც შესაბამისი ადგილი აქვს მისთვის მიჩენილი.[3]

როგორც ცნობილია, ყოველი სამეტყველო ბგერა უნდა დახასიათდეს ორ განზომილებაში — ფონეტიკურსა და ფონოლოგიური თვალსაზრისით. პირველის მიხედვით ყ ბგერა წოვა-თუშურ ენაში არის ფარინგალური ხშული ყრუ მკვეთრი ბგერა, ხოლო ფონოლოგიური ფუნქციით (დისტრიბუციულად) ის „არამკვეთრი ველარი სპირანტების" რიგში გვევლინება. ამის საფუძველზე წოვა-თუშური ენის ფონოლოგიურ სისტემაში გამოიყოფა სამეულთა მეექვსე სისტემა: ღ~ხ~ყ.

ამ ფაქტს კი არსებითი მნიშვნელობა ენიჭება /ყ/-ს ფონეტიკური ბუნების გასარკვევად. მისი დისტრიბუციული ნიშანთვისება გვაფიქრებინებს, რომ ის სპირანტოიდული ბუნების ფონემა უნდა იყოს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს /ყ/ ფონემის ერთი თავისებურებაც, რითაც ის ემიჯნება სხვა დანარჩენ გლოტალთა სისტემას. როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, წოვა-თუშური ენის გლოტალები ვაინახურ ენებში იძლევა შესაბამის

---

1. ა.შიფნერი. დასახ. ნაშრომი (გერმანულ ენაზე), $5.
2. Ю.Д.Дешериев. Бацбийский язык, Москва, 1953, гв. 33.
3. რ.გაგუა, Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского имени, Ежегодник ИКЯ, Тбилиси — 1983, გვ. 195.

ჰომორგანულ მჟღერთა რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვისობებს არაანლაუტის პოზიციაში.

ამ საერთო კანონზომიერებას არ ექვემდებარება /ყ/ ფონემა. აქ **ადეკვატურ შესატყვისობასთან** გვაქვს საქმე: **ყ~ყ**.

ქვემოთ წარმოდგენილია სათანადო მაგალითები.

წოვა-თუშური	**ინგუშური**	**ჩეჩნური**	**თარგმანი**
დᵊყ	დᵊყა	დᵊყა	წილი
ნიყ	ნიყ	ნეყ	გზა
დუტყი^{ნ}	დიტყა^{ნ}	დუტყა^{ნ}	წვრილი
ლეყრ	ლეყ	ლეყ	მწყერი
დეყ-არ	დეყ-არ	დეყ-არ	გაყოფა
დუყ-ი^{ნ}	დიყ-ა	დუყ-ა	ხშირი, სქელი
ბუყ	ბუყ	ბუყ	წელი

და ა.შ.

ბუნებრივია, დგება საკითხი — რით არის განპირობებული აღნიშნული ვითარება? ეს ფაქტი ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ /ყ/ ფონემა მართლაც **სპირანტოიდული** ბგერაა? სპირანტები კი, ამ ენებში, როგორც წესი, ფონეტიკურ შესატყვისობას არ იძლევა.

ამდენად, ზემოთ ილუსტრირებული მაგალითები იმის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს, რომ /ყ/ ფონემა არ არის ფონეტიკურად ისეთივე ყრუ მკვეთრი ხშული, როგორიც დანარჩენი გლოტალები. სწორედ მისი ამ ფონეტიკური თავისე-

ბურებებით ემიჯნება ის დანარჩენ აბრუბტივებს. ამას ემატება მისი დისტრიბუციული ფუნქციაც, რაც დამატებით ინფორმაციას იძლევა მისი სპირანტოიდული ბუნების შესახებ.

აქვე გვინდა ჩვენს მიერ დადასტურებული ერთი მაგალითიც მოვიყვანოთ, რომელიც ასეთ შესატყვისობას იძლევა: ყ → (ც). შდრ: წოვა-თუშური დაყ-არ → და(ც)-არ (ჩაჩნ.).[1] ეს ფაქტი კი ცალკე დაკვირვებას მოითხოვს და ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელებას.

1. Р.Гагуа. Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского языка, Ежегодник ИКЯ. т. X, стр. 189, Тбилиси — 1983.

ენის გრამატიკის შედგენა, როგორც არაერთგზის აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურაში, დაკავშირებულია როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სიძნელეებთან, რადგანაც გრამატიკის მოცულობა და ამოცანები ჯერ კიდევ არ არის ნათლად და მთელი სისრულით შემოხაზული. უფრო მეტიც, გრამატიკის კვლევის ხერხები სხვადასხვა ენათმეცნიერს ხშირად განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს თავად ენათა სტრუქტურითაც და, გარდა ამისა, ამაში გარკვეულ როლს თამაშობს ენის სოციალურ-ფუნქციური სტატუსიც. ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ენის მეცნიერული კვლევა, ბუნებრივია, ეფუძნება ჩამოყალიბებულ ზოგად მეთოდოლოგიას, ხოლო უმწერლობო ენის კვლევა დაკავშირებულია გარკვეულ მეთოდოლოგიურ სიძნელეებთან. ერთ-ერთ სირთულეს ისიც ქმნის, რომ უმწერლობო ენებში ადგილი აქვს ენობრივ ფორმათა **დუბლირებას**; საქმე ის არის, რომ სხვადასხვა ინფორმატორი ერთმანეთისგან განსხვავებულად წარმოთქვამს ერთსა და იმავე სემანტიკურ ელემენტს. ასეთ დროს ჭირს გარკვევა, რომელ ფორმას უნდა მიეცეს უპირატესობა. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც გრამატიკული კლასის კატეგორია ნახურ ენებში. ერთ-ერთი მიზეზი ამისა, ალბათ ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ნახოლოგიაში ის კანონზომიერება, რომელიც ისტორიულად ედო საფუძვლად ამ სპეციფიკური გრამატიკული კატეგორიის ექსპონანტთა განაწილებას.

გარდა ამისა, უმწერლობო ენების მეცნიერულ შესწავლას ართულებს აგრეთვე სათანადო მასალის სიმცირეც. რაც უნდა მრავალი ჩანაწერი ჰქონდეს ხელთ ასეთი ენების მკვლევარს, ის მაინც ვერ შეედრება სამწერლო ენის ბეჭდვური პროდუქციის მოცულობას.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, უმწერლობო ენის ყველა სტრუქტურულ-სემანტიკური ელემენტის ნიუანსები ვერ გამოვლინდება. აქედან გამომდინარე, გამოკვლევები, მონოგრაფიები უმწერლობო ენების შესახებ, რაც უნდა ფართო ლინგვისტური განათლების მკვლევარი იყოს ავტორი, ვერ იქნება რამდენადმე სრულყოფილი. ეს მითუმეტეს მაშინ, თუ ასეთ ენას იკვლევს **ენის პრაქტიკულად უცოდინარი ენათმეცნიერი.**

თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „Рускій языкъ" აკად. ვ.ვ. ვინოგრადოვი წერს: „ფაქტობრივი ენობრივი მასალა, რომელსაც ემყარებიან სრულიად სხვადასხვა მიმართულების რუსი გრამატიკოსები, ღარიბია და ერთგვაროვანი" (გვ. 3).

თუ რუსული ენის გრამატიკული სტრუქტურის მკვლევართა წინაშე ამგვარი პრობლემა დგას, მაშინ რაღა ითქმის ისეთი უმწერლობო ენის მიმართ, როგორიცაა წოვა-თუშური ენა, რომლის მეცნიერულად დამუშავებული ტექსტები ჯერაც არ გამოქვეყნებულა.

ამ პრობლემის მოგვარების აუცილებლობას კარგად ხედავდა აკ. შანიძე, რომელმაც 1920-იან წლებში ორჯერ იმოგზაურა თუშეთში და ჩაიწერა საკმაოდ დიდი რაოდენობის ტექსტები წოვა-თუშური ენისა. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გამოქვეყნება ვერ მოახერხა, რაზედაც ის ამის თაობაზე ხშირად გამოხატავდა წუხილს პირად საუბრებში. ერთი საგულისხმო გახსენება ამასთან დაკავშირებით:

100 წლის იუბილეს დღეებში აკ. შანიძესთან მივიდა ტელევიზიის კორესპონდენტი და ინტერვიუ ჩამოართვა. სხვა კითხვებთან ერთად ასეთი მოკრძალებული კითხვაც დაუსვა მას: — რას ინატრებდით ბატონო აკაკი ახლაო? მან გულის წუხილით დაასახელა ის ძველი ქართული ტექსტები, რომელთა გამოქვეყნება ვერ მოასწრო და მათთან ერთად აღნიშნა თავის მიერ ჩაწერილი **წოვა-თუშურის ტექსტებიც.**

მიუხედავად იმისა, რომ მთის კავკასიურ ენებს შორის ყველაზე ადრე წოვა-თუშური ენის მეცნიერულ შესწავლას ჩაეყარა საფუძველი (იობ. ცისკარიშვილი, ანტ. შიფნერი, ი. დეშერიევი, რ. გაგუა...), ჩვენი აზრით, ამ ენის გრამატიკული სისტემა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გამოვლენილი. ეს განსაკუთრებით ზმნის მეტად რთულ და უაღრესად მრავალწევროვანი უღლების სისტემას ეხება, რომელიც პირის კატეგორიის ჩამოყალიბებით კიდევ უფრო გართულდა.

წინამდებარე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მორფოლოგიური კატეგორიების გამოვლენასა და მათ სრულყოფილ **სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ აღწერას სინქრონიულ ჭრილში**, რიგ შემთხვევაში კი გათვალისწინებული იქნება აგრეთვე დიაქრონიული პროცესებიც; მაგალითად, პირის კატეგორიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

მორფოლოგიის საგანი

მორფოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ფორმაცვალებად სიტყვათა სტრუქტურას, სიტყვის მაწარმოებელ ელემენტებს — მორფემებს — და იმ მნიშვნელობებს, რომლებიც თითოეულ მათგანს მოეპოვება. უფრო რომ დავაზუსტოთ — მორფოლოგია სწავლობს წინადადებაში სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების საშუალებებს (ბერძ. morphe „ფორმა“, logos „სიტყვა“, „მოძღვრება“).

მაშასადამე, მორფოლოგია არის მოძღვრება სიტყვათა ფორმების შესახებ, სიტყვათა გრამატიკული კლასების შესახებ.

რა ნიშნის მიხედვით ერთიანდებიან სიტყვები გრამატიკულ კლასებში?

ეს ის სიტყვებია, რომლებიც კონტექსტების მიხედვით ფორმებს, სტრუქტურას იცვლიან. ეს ფორმათაცვალება კი ემ-

ყარება გარკვეულ სინტაქსურ კანონზომიერებას, რის შედეგადაც ენაში ყალიბდება გრამატიკული კატეგორიები, სიტყვის გრამატიკულ ფორმათა სისტემები (პარადიგმები).

ერთგვაროვანი გრამატიკული მნიშვნელობის მქონე სიტყვაფორმათა ერთიანობა ქმნის შესაბამის გრამატიკულ (მორფოლოგიურ) კატეგორიებს. ცალკეულ სიტყვაფორმებს სხვანაირად გრამემებსაც უწოდებენ. ამ ტერმინის მიხედვით გრამატიკული კატეგორიის დეფინიცია უფრო ზუსტი იქნება და ეკონომიურიც. მაშინ გრამატიკული კატეგორიის განსაზღვრება ასეთ სახეს მიიღებს: **ერთგვაროვან გრამემათა ერთიანობა (პარადიგმა) წარმოადგენს გრამატიკულ კატეგორიას.** რა თქმა უნდა, ყოველი გრამატიკული კატეგორია შეიცავს განსაზღვრული რაოდენობის გრამემებს.

სიტყვის ერთგვაროვან გრამატიკულ ფორმათა ანუ გრამემათა ერთიანობას ეწოდება **პარადიგმა.**

ამგვარად, მორფოლოგიის მიზანია ენაში არსებული მორფოლოგიური კატეგორიების გამოვლენა და მათი სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და ფუნქციური აღწერა როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ ასპექტში.

მორფოლოგიური ანალიზი იწყება ენაში არსებული ლექსიკური ფონდის კლასიფიკაციით, რის საფუძველზედაც გამოიყოფა სიტყვათა ლექსიკურ-გრამატიკული კლასები, რომლებსაც ტრადიციის მიხედვით მეტყველების ნაწილებს ვუწოდებთ. მეტყველების ნაწილებს შორის **მორფოლოგიის ძირითადი ობიექტია ფორმაცვალებადი სიტყვები.**

წოვა-თუშურს აქვს შემდეგი მეტყველების ნაწილები:

1. არსებითი სახელი
2. ზედსართავი სახელი
3. რიცხვითი სახელი
4. ნაცვალსახელი

5. ზმნა
6. ზმნიზედა
7. თანდებული
8. კავშირი
9. ნაწილაკი
10. შორისდებული.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

არსებითი სახელი

არსებითი სახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ფიზიკურ საგანს (ქვა, ხე, სახლი, წიგნი...) ან კიდევ გრამატიკული ნიშნებით მასთან გათანაბრებულ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ადამიანის ფსიქიკურ სამყაროს განეკუთვნება (ღაზოლ „კარგობა“, მოსოლ „სიცუდე“, ხკო „ზაფხული“...).

არსებითი სახელები ორ ჯგუფად იყოფა — მენ? „ვინ“ ჯგუფისა და ვუხ? „რა“ ჯგუფისა. პირველ ჯგუფში შედის გონიერთა კლასის სახელები: ნან „დედა“, დად „მამა“, ვაშრ „ძმა“, ჲაშრ „და“, ფსტუ „ცოლი“, ვოჰთ „ბიჭი“, ჲოჰთ „გოგო“ და სხვ.

მეორე ჯგუფში შედის არაგონიერთა სახელები: ცხოველთა სახელები: ფჰჲუ „ძაღლი“: ჲეთთ „ძროხა“, გაზან „თხა“, დონ „ცხენი“, ბაყრ “კვიცი“ და სხვ. ბუნების მოვლენათა სახელები: ჴერ „ქვა“, დაჟარ „ბალახი“, ქანიზ „ყურძენი“, ჴორ „ვაშლი“, მაჲჴ „პური“, გალ „არყის ხე“ და სხვ.

არსებით სახელს აქვს სამი მორფოლოგიური კატეგორია — რიცხვის, ბრუნებისა და გრამატიკული კლასისა.

რიცხვის კატეგორია

თანამედროვე წოვა-თუშური ენის სახელთა მრავლობითი რიცხვის კატეგორია საკმაოდ მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს შესაბამის აფიქსთა რაოდენობის მხრივ. აფიქსთა ეს სიმ-

რავლე აშკარად მეორეულია და მიღებულია გარკვეული ფონეტიკური პროცესების შედეგად.[1]

ჩვენ აქ დიაქრონიულ ასპექტში ვერ განვიხილავთ ამ კატეგორიას. ჩვენი მიზანი გახლავთ, სინქრონიულ ჭრილში წარმოვადგინოთ სახელთა რიცხვის კატეგორიის ფლექსიები ცალ-ცალკე სათანადო მაგალითებითურთ.

-ი მრავლობითში:

სახელთა უმრავლესობა, როგორც გონიერთა, ასევე არაგონიერთა, მრავლობითში დაირთავს -ი სუფიქსს:

მხოლ. რ.	*მრ. რ.*
დად „მამა“	დად-ი
ნან „დედა“	ნან-ი
ტოტ „ხელი“	ტოტ-ი
ბშარკ „თვალი“	ბშარკ-ი
ცარკ „კბილი“	ცარკ-ი
ნეკ „დანა“	ნეკ-ი
შალთ „ხანჯალი“	შალთ-ი
ჴორ „ვაშლი“	ჴორ-ი
ლაპ „კიბე“	ლაპ-ი
შურ „რძე“	შურ-ი
შარ „დო“	შარ-ი
ტარკ „თითი“	ტარკ-ი
ქანიზ „ყურძენი“	ქაჲნზ-ი
ჯან „ქალამანი“	ჯან-ი
ღან „სიზმარი“	ღან-ი
ბეჯ „თმა“	ბეჯ-ი

და სხვ.

1. ა. ქრელაშვილი. მრ. რიცხვის კატეგორია ნახურ ენებში (საკანდიდატო დისერტ.), თბილისი, 1964.

თუ სიტყვა ერთზე მეტმარცვლიანია, მაშინ მრავლობითის ფუძეში ჩვეულებრივ ადგილი აქვს რედუქციას ან მეტათეზისს, რის შედეგადაც ჩნდება დიფთონგი:

მხ. რ.	*მრ. რ.*
ბუბუკ „ყვავილი“	ბუბკ-ი
მუწუკ „მუწუკი“	მუწკ-ი
მურაბ „მურაბა“	მურბ-ი
წომალ „წამალი“	წომლ-ი
დაჟარ „ბალახი“	დაჟრ-ი
ჩხინდურ „წინდა“	ჩხინდრ-ი

და სხვ.

ზოგ სახელებთან ხმოვანთა მეტათეზისი და ნაწილობრივი რედუქცია სიტყვაში ერთდროულად ხდება. აქ ადგილი აქვს კომბინირებულ ფონეტიკურ მოვლენას: ხმოვანი ფლექსიის (ამ შემთხვევაში მრ. რ. ფორმანტის -ი) დართვისას სახელის ფუძის ბოლო ხმოვანი წინ გადაინაცვლებს და წინამავალ ხმოვანთან ერთად ქმნის დიფთონგს: აი→აჲ:

მხ. რ.	*მრ. რ.*
ქანიზ „ყურძენი“	ქაჲნზ-ი
ლაწიშ „ავადმყოფი“	ლაჲწშ-ი
კრამიტ „კრამიტი“	კრაჲმტ-ი
მაწრი^{ნ} „ტკბილი“	მაჲწრნ-ი
მარდუკ „ძაფის სართავი“	მაჲრდკ-ი
ჰჲაწუკ „ჩიტი“	ჰჲაჲწკ-ი
დახკურ „დამპალი“	დაჲხკრ-ი
ჩამლი^{ნ} „გემრიელი“	ჩაჲმლნ-ი
ჯარჭი^{ნ} „შავი“	ჯაჲრჭნ-ი

აფუშ „ტყუილი“	აჲფშ-ი
	და სხვ.

ზოგი სახელი ბოლოვდება სუსტ /-ო/-ზე, რომლის აღქმა მეტყველების პროცესში ჭირს, მაგრამ -ი ფლექსიის დართვისას ის აღდგება და გადადის -უ-ში, რის შედეგადაც წარმოიქმნება დიფთონგი -უჲ.

მხ. რ.	*მრ. რ.*
კილრ „ქუთუთო“	კილუ-ი→კილუ-ჲ
ჩაკრ „სკამი“	ჩაკუ-ი→ჩაკუ-ჲ
სოკრ „სოკო“	სოკუ-ი→სოკუ-ჲ
დო^{ნ} „ცხენი“	დუ-ი→დუ-ჲ

როგორც ცნობილია, სონორი -ნ აუსლაუტში სუსტია პოზიციურად. ამის გამო ის რედუცირდება და წინამავალ ხმოვანში ტოვებს რეფლექსს ნაზალობის სახით (რ. გაგუა). ასეთ სიტყვაზე რაიმე ფლექსიის დართვისას ის კვლავ თავის ადგილს იკავებს სიტყვის სტრუქტურაში. ეს მოვლენა სპეციფიკურია წოვათუშური ენისათვის.

ანალოგიურ პროცესს აქვს ადგილი ჩვენთვის უკვე ცნობილი მრავლობითობის -ი ფლექსიის დართვისას იმ სახელებზე, რომელთა ფუძეც ნაზალურ ხმოვანზე ბოლოვდება:

მხ.რ.	*მრ.რ.*
გაგა^{ნ} „კვერცხი“	გაგნ-ი
ქარსა^{ნ} „საბელი“	ქარსნ-ი
ღაზე^{ნ} „კარგი“	ღაზენ-ი
ჯა^{ნ} „ქალამანი“	ჯან-ი

მკვლევრებმა, რომლებმაც ვერ შენიშნეს წოვა-თუშურ ენაში ხმოვანთა ნაზალიზაციის პროცესი, ამ რიგის სიტყვებთან მრ. რიცხვის ფლექსიად მიიჩნიეს **-ნი** დაბოლოება, რაც მცდარი დასკვნაა (ა. შიფნერი, ი. დეშერიევი).

-იშ მრავლობითში

წოვა-თუშური ენის სახელთა მცირე ჯგუფი მრავლობითში დაირთავს **-იშ** სუფიქსს. ისტორიულად ამ სუფიქსს უფრო ფართო გამოყენება უნდა ჰქონოდა. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა შინაგანი რეკონსტრუქციები და ამავე დროს ვაინახური ენების ჩვენებაც, სადაც ეს ფორმანტი გაცილებით პროდუქტიულია შედარებით მრ. რ-ის სხვა ფორმანტებთან:

მხ. რ.	*მრ. რ.*
დოს „შეშა“	დას-იშ
ნიყ „გზა“	ნაყ-იშ
მოტᲾ „ენა“	მატᲾ-იშ
ხი „წყალი“	ხი-იშ
მოხ „ქარი“	მახ-იშ
ჟე „ცხვარი“	ჟი-იშ
დე „დღე“	დენ-იშ

და ა.შ.

-აჲრ//-ერ მრავლობითში

თუ მარტო სახელობითი ბრუნვის მონაცემებიდან ამოვალთ, მაშინ ერთი ჯგუფის სახელებთან მრავლობითის მორფემად გამოიყოფა -აჲრ//-ერჩ სუფიქსი:

მხ. რ.	*მრ. რ.*
ჲოფსტ „მიწა“	აფსტ-აჲრ//აფსტ-ერ

ӀопӀу „нацарι“	апӀу-аӀр//апӀу-ер
пӀентӀо „некни“	пӀент-аӀр//пӀент-ер
иш „хма“	аш-аӀр//ашир
нӀус „ржали“	нас-аӀр//нас-ер
нитӀ „ӡинӡари“	натӀ-аӀр//натӀ-ер
нотӀу „ӡирқи“	натӀу-аӀр//натӀу-ер
топ „топи“	тап-аӀр//тапер
нӀапӀ „ӡили“	нӀапӀ-аӀр

да сხვ.

ილუსტრირებულ სახელებს მხოლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვებში ბრუნვათა ფლექსიის წინ სახელობითის ფუძეს ერთვის **-ар** ელემენტი. ამ ელემენტის ისტორიული ფუნქცია ცნობილი არ არის. აქედან გამომდინარე **-аӀр** ფლექსია რთული შედგენილობისა უნდა იყოს: **аӀр←ари←ар-и** (რ. გაგუა):

	მხ. რ.
მოთხ.	апӀар-ӡ „нацармა“
მიც.	апӀар-н „нацарс“
ნათ.	апӀр-и^{5} „нацарис“

-аӀрӀ//-ерӀ. аӀлӀ//-елӀ მრავლობითში

რიგ სახელთა მრავლობითს აწარმოებს სუფიქსი **-аӀрӀ//ерӀ (аӀ→е)**:

მხ. რ.	*მრ. რ.*
тоуӀб „ӡедила“	таӀб-аӀрӀ//таӀб-ерӀ
ӷаӀуӷ „мтредი“	ӷаӷ-аӀрӀ//ӷаӷ-ерӀ
куӀтӀ „катӀа“	котӀ-аӀрӀ//котӀ-ерӀ
кур „болι“	кур-аӀлӀ//кур-елӀ
дахко „тагви“	дахк-аӀрӀ//дахк-ерӀ

ბჰორწ „მგელი“ ბჰარწ-აჲლჩ//ბჰარწ-ელჩ...

იშვიათად გვხვდება აღნიშნული აფიქსის ფონეტიკურად შედარებით გამარტივებული სახე **-არჩ**:

მხ. რ.	*მრ. რ.*
ფჰჱუ „ძაღლი“	ფჰჱ-არჩ
ფსტუ „ხარი“	ფსტ-არჩ
ჩა „დათვი“	ჩა-არჩ...

მხოლოდ ერთი მაგალითი გვაქვს **-რშ** სუფიქსით ნაწარმოები მრავლობითისა:

მხ. რ.	*მრ. რ.*
ჴა „ღორი“	ჴა-რშ

(შდრ. ჩაჩნ ჰჱაჴარჩი და ინგუშ. ჰჱაჴარაშ „ღორები“).

-აჲრჩ სუფიქსი რთული შედგენილობისა ჩანს.[1] მისი გენეზისის კვლევა დიაქრონიის სფეროს განეკუთვნება, ამდენად, ამჯერად ჩვენ ამ მიმართულებით აღნიშნულ საკითხს აღარ განვიხილავთ.

-არ მრავლობითში

რამდენიმე სახელის მრავლობითობას აწარმოებს **-არ** სუფიქსი:

მხ. რ.	*მრ. რ.*
ვაშრ „ძმა“	ვაჟ-არ
აჲაშრ „და“	ჲაჟ-არ
გაზან „თხა“	გაზ-არ...

1. კ. ჭრელაშვილი. იხ. დასახ. საკანდ. დისერტაცია, 1964.

-მი მრავლობითში

სახელთა მცირე რაოდენობა მრავლობითში დაირთავს -მი სუფიქსს:

მხ. რ.	*მრ. რ.*
დოკ „გული“	დაკ-მი
ბოს „ფერი“	ბას-მი
ქორთ „თავი“	ქორთ-მი
ჭოჭ „პირი“	ჭაჭ-მი...

-ბი მრავლობითში

მრავლობითობის ეს სუფიქსი შენიშნული აქვს ჯერ კიდევ ა. შიფნერს (§ 92). ის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართულის **-ებ** სუფიქსთან მიმართებაშიც.[1]

მხ. რ.	*მრ.რ.*	
ქუდ „ქუდი“	ქად-ბი	
ჴერ „ქვა“	ჴერ-ბი	
ვირ „ვირი“	ვარ-ბი	
დურკ „კასრი“	დარკ-ბი	
კახლოვ „კახელი“	კახლო-ბი	
მეგროვ „მეგრელი“	მეგრო-ბი	
შოვ „ფშაველი“	შუ-ჲბ(←შო-ბი)	და ა.შ.

-ში გვხვდება რიგ ატრიბუტულ სახელებში:

მხ. რ.	*მრ. რ.*
ყაჲნ „მოხუცი“	ყაჲნ-ში
წაჲნ „სუფთა“	წაჲნ-ში

1. კ. ჭრელაშვილი. -ბი სუფიქსი ბაცბურ ენაში. თსუ შრომები, ტ. 63, თბილისი, 1956, გვ. 345.

ხეტ*უჲნ „მკითხველი“ ხეტ*ნი-ში
დაბწინ „ნაცნობი“ დაბწნი-ში
ვაღუჲნ „მომსვლელი“ ბაღნი-ში და ა.შ.

-ღარ მრავლობითში

განსხვავებით საზოგადო სახელებისგან, საკუთარ და ნათესაობის აღმნიშვნელ სახელებს მრავლობითი ეწარმოებათ -ღარ ელემენტის დართვით. ეს ელემენტი თავისი სემანტიკით უდრის ქართულ -ანებ-ს, რომელიც საკუთარ სახელებისგან აწარმოებს კრებითი მნიშვნელობის მრავლობითს: დავითი→ დავითიანები, გიორგი→გიორგი-ანები, ფაცო→ფაცო-ანები და სხვ.

მაგ. წოვა-თუშურიდან:

კოტ-ღარ „კოტეანები“, ზაქეჲრ-ღარ „ზაქარიანები“, ბათუკ-ღარ „ბათუკაანები“, ნანი-ღარ „ნანიანები“...

მაგალითები წინადადებაში:

ჰ*ჲაჲნ ბა ე დო[5]? — „ვისია ეს ცხენი?“

ე დონ ბა ბათუკღარ-ი[5] — „ეს ცხენი არის ბათუკაანთი“.

აჰ* მიჩ ვუჲტა? — „შენ სად მიდიხარ?“ ას ნანეშ-ღარ-ი ვუჲტას — „მე დეჲდაანთას მივდივარ“.

-ღარ დაერთვის აგრეთვე ზოგიერთ გვარსაც. გვარს დაბოლოება „შვილი“ მოეკვეცება და მის ადგილს იკავებს -ღარ. მაგ.:

აფშინაშვილი → აჲფშნა-ღარ „აფშინაშვილები“.

ჭარელიშვილი → ჭარლო-ღარ „ჭარელიშვილები“.

შველაშვილი → შველა-ღარ „შველაშვილები“ და ა.შ.

ამგვარად, წოვა-თუშურ ენაში ამჟამად დასტურდება მრ. რიცხვის შემდეგი აფიქსები: -ი, -იშ, -აჲრ//-ერ, -აჲრჩ//-ერჩ, -არჩ, -რშ, -არ, -მი, -ბი, -ში, -ღარ.[1]

1. კ. ჭრელაშვილი. მრავალ. რიცხ. ფორმანტთა გენეზისის საკითხისათვის ბაცბურ ენაში. თსუ შრომები, ტ. 71, თბილისი, 1958.

ბრუნების კატეგორია გააჩნია მხოლოდ ფორმაცვალებად სახელებს. ფორმას კი სახელი იცვლის გარკვეული სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით. სინტაქსური კონსტრუქციები კი უსასრულოა ენაში. ამის გამო ბრუნვათა ფორმების ფუნქციათა დიაპაზონიც ფართოა, იმდენად ფართო, რომ ჭირს კიდეც ამა თუ იმ ბრუნვის ყველა შესაძლებელ ფუნქციათა გამოვლენა და განზოგადება. როგორც ბრუნების კატეგორიის მქონე ენებზე დაკვირვება გვიჩვენებს, ეს თითქმის შეუძლებელი ამოცანაა, რადგანაც ცალკეული ბრუნვის ფორმა გამოხატავს მნიშვნელობათა მთელ კომპლექსს. მაგალითად, წოვათუშურ ენაში სახელის ფლექსია -ვ ერგატივის ნიშანიცაა და მოქმედებითი ბრუნვისაც. გონიერთა კლასის სახელებსაც დაერთვის და არაგონიერთა კლასის სახელებსაც. ეს მაშინ, როცა ამ ენაში გონიერთა და არაგონიერთა დიქოტომია მკაფიოდ გამოხატული საკლასიფიკაციო კრიტერიუმია. ქართულში მიცემითის ბრუნვა კონტექსტების მიხედვით სუბიექტსაც გამოხატავს, პირდაპირ ობიექტსაც და ირიბსაც. რუსულში სახელის ერთი ფორმა სახელობითსაც გამოხატავს და ბრალდებითსაც. ასევეა გერმანულში.

როგორც ხედავთ, აღნიშნულ ბრუნვათა ფუნქციები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ფორმა კი ერთი აქვთ.

პირიქითაც ხდება ენაში — მატერიალურად სხვადასხვა ფლექსია ერთი ფუნქციის გამომხატველია. მაგალითად, მესამე სუბიექტური პირის ნიშნები ქართულში.

ცალკეულ ბრუნვათა მნიშვნელობების დადგენისას ჩვენ ვემყარებით სინტაქსურ მიმართებებს როგორც შესიტყვების, ასევე წინადადების ფარგლებში. ვითვალისწინებთ აგრეთვე იმასაც, რომ ცალკეული **გრამატიკული ფორმა პოლიფუნქ-**

ციურია, სადაც გამოიყოფა დომინირებული და არადომინირებული ფუნქციები.

ერთი გრამატიკული ფორმა რომ მხოლოდ ერთ ფუნქციას ასრულებდეს, მხოლოდ ერთ სემანტიკურ ელემენტს გამოხატავდეს, მაშინ ენას დასჭირდება სიტყვის იმდენი გრამატიკული ფორმა, რამდენ ფუნქციასაც ასრულებს ესა თუ ის გრამატიკული ფორმა სხვადასხვა კონტექსტში.

აღნიშნული სპეციფიკური ვითარება ენისა, რაც მისი ეკონომიურობის ბუნებიდან გამომდინარეობს, მკვლევარს ყოველთვის გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს. ოღონდ ამა თუ იმ გრამატიკული მორფემის ფუნქციის დადგენისას ორიენტაცია უნდა აიღოს ძირითად, დომინანტ ფუნქციაზე და ამის კვალობაზე წარმოადგინოს გრამატიკული მორფემის დეფინიცია და იდენტიფიკაცია.

ჩვენ ქვემოთ წარმოვადგენთ წოვა-თუშურის ძირითად (მარტივ) ბრუნვათა დახასიათებას ზემოთ წარმოდგენილი თეორიული პოზიციიდან ამოსვლით.

წოვა-თუშური ენა მდიდარია ბრუნვათა რაოდენობით. ანტონ შიფნერი გამოყოფს 14 ბრუნვას.[1] ეს ბრუნვებია: 1. ნომინატივი, 2. გენეტივი, 3. დატივი, 4. ფაკტივი, 5. ინსტრუქტივი, 6. ინესივი, 7. აფეკტივი, 8. ალატივი, 9. ილატივი, 10. აბლატივი, 11. ელატივი, 12. კომიტატივი, 13. კარიტივი, 14. ტერმინატივი.

ი. დეშერიევი წოვა-თუშურ ენაში გამოყოფს 22 ბრუნვას. ესენია: 1. Именительный, 2. Родительный, 3. Эргативный, 4. Дательный, 5. Орудный, 6. Совместный, 7. Инессив I, 8. Инессив II, 9. Сравнительный, 10. Элатив, 11. Предназначительный, 12. Лишительный, 13. Направительный I, 14. Направительный II, 15. Направительный III, 16. Локативный,

1. A. Schiepner. Versuch uber die Thusch-Sprache oder die kistische Mundart in Thuschetien St. Petersburg, 1856. გვ. 36-42.

17. Исходный I, 18. Исходный II, 19. Исходный III, 20. Транзитив I, 21. Транзитив II, 22. Предельный.

ი. დეშირევის აზრით, პირველი 4 ბრუნვა ძირითადი ბრუნვებია. ბრუნების სისტემასთან დაკავშირებით ის ასკვნის: „Таким образом, в бацбийском языке обнаруживается три основных типа склонения: 1) склонение имен существительных с аффиксом родительного падежа единственного числа — ē (или одного из его фонетического варианта); 2) склонение имен существительных с аффиксом родительного падежа единственного числа — чо (или одного из его фонетических вариантов); 3) склонение имен существительных префиксально-суффиксального образования типа д-угIр-и-кI (в-угIр-и-кI).[1]

რ. გაგუა წოვა-თუშურ ენაში გამოყოფს ბრუნვათა ორ ჯგუფს — ძირითად ბრუნვებს (სახელობითი, ერგატივ-ინსტრუმენტალური, ნათესაობითი, მიცემითი) და ლოკატიურ ბრუნვებს. ამ უკანასკნელ ბრუნვებს თავის მხრივ ორ ჯგუფად ყოფს — მარტივ ლოკატიურ ბრუნვებად და რთულ ლოკატიურ ბრუნვებად.

რ. გაგუას აზრით, „В бацбийском языке (как и в чеченском и ингушском) одно склонение, поскольку при всех словах окончания одни и те же, различны лишь основы склоняемых слов".[2]

უფრო ადრე კი დ. იმნაიშვილი წერდა: „В вайнахских языках одно склонение, разнообразие же падежных окончаний — результат фонетических процессов".[3]

---

1. Ю.Д. Дешериев, Бацбийский язык, Москва, 1953, გვ. 62.

1. რ. გაგუა, Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского языка, Ежегодник ИКЯ, 1983, X, გვ. 220.

2. დ. იმნაიშვილი, ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები ინგუშურსა და ჩეჩნურში, ენიმკის მოამბე, ტ. XII, 1942.

ჩვენ წოვა-თუშურ ენაში გამოვყოფთ 10 მარტივ ბრუნვას. ესენია:

1. სახელობითი — ∅
2. ერგატივი — ს, -ვ,
3. მოქმედებითი — ვ
4. მიცემითი — ნ
5. ნათესაობითი — ენ, -ი^{ნ}, (-j), -ა^{ნ}
6. ვითარებითი//გარდაქცევითი — ღ
7. გამსჭვალვითი — ხ
8. მიმართულებითი I — გრ
9. მიმართულებითი II — ლრ
10. თანაობითი — ცი^{ნ}

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1. სახელობითი ბრუნვა ფუძის სახითაა წარმოდგენილი. ქართულიდან შესულ სახელებსაც კი ეკვეცებათ სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ამრიგად, მისი ნიშანია „უნიშნობა", რომელსაც ჩვეულებრივ აღნიშნავენ ნულოვანი მორფემით (-∅). სახელობითს აქვს ორი ფუნქცია — გარდაუვალ ზმნებთან ის სუბიექტს გამოხატავს, ხოლო გარდამავალ ზმნებთან კი პირდაპირ ობიექტს. სახ. ბრ. პასუხობს კითხვებზე მე^{ნ}? „ვინ?", ვუხ? „რა?" პირველი გონიერთა კლასის სახელებს დაესმის, მეორე კი არაგონიერთა კლასის სახელებს.

სახელობითი ბრუნვის ფორმასთან დაკავშირებით ერთი თავისებური მოვლენაც უნდა იქნას გათვალისწინებული. კერძოდ — აუსლაუტისეული ნაზალური ხმოვნის დენაზალიზაცია მასზე რაიმე ელემენტის დართვის შედეგად. ნაზალობის ელემენტი ასეთ შემთხვევაში გამოიყოფა და აღდგება.

ნაზალური ფონემა /-ნ/. ეს ფონემა, როგორც ამ ენის მოქმედი ფონეტიკური პროცესი გვიჩვენებს, ისტორიულად შე-

მადგენელი ელემენტი იყო სიტყვისა. სიტყვა, რომელიც ისტორიულად ნაზალურ თანხმოვანზე /ნ/ ბოლოვდებოდა, დროთა-განმავლობაში „გაცვდა“, /ნ/ ფონემამ თავისი პოზიცია დაკარგა და წინამავალ ხმოვანს შეერწყა, რის შედეგადაც მივიღეთ ნაზალური ხმოვანი. ეს პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, ახლაც მოქმედია. ამის ნათელ მაგალითს იძლევა ქართული ენიდან შესული ლექსიკა.

მაგალითები:

საბანი →საბან→საბა^{ნ}

ქარხანა→ქარხან→ქარხა^{ნ}

საპონი→საპონ→საპო^{ნ} და ა.შ.

ამ ფონეტიკურ პროცესს გამონაკლისი არა აქვს.

მაგალითები, სუბიექტი სახელობითშია ერთპირიან ზმნებთან:

1. **ვაშრ** ლომრე^{ნ} ვაღო — ძმა მთიდან მოდის.
2. **ნან** ჩუჯიშე^{ნ} — დედა დაწვა.
3. **დო^{ნ}** დაჰხ ბალი^{ნ} — ცხენი მოკვდა და ა.შ.

პირდაპირი ობიექტი სახელობითში:

1. ჯაშას **მაჯჴ** ჯაყრ — და პურს ჭამს.
2. ნანას **ჟაგნრ** ხატჯი^{ნ} სო^{ნ} — დედამ წიგნი წამიკითხა მე.
3. დონევ **მარდ** ბიშბიე^{ნ} სო^{ნ} — ცხენმა წიხლი მკრა მე და ა.შ.

2. ერგატიული ბრუნვა

ამ ბრუნვას ორი ნიშანი აქვს — **-ს** და **-ვ**. მათი დისტრიბუცია ემყარება სახელთა სემანტიკას. **-ს** დაერთვის გონიერთა კლასის სისხლით მონათესავე უფროსი (ან ტოლი) თაობის აღმნიშვნელ სახელებს. იგივე ნიშანი დაერთვის საკუთარ სახელებს და ზოგჯერ (იშვიათად) პროფესიის აღმნიშვნელ სახე-

ლებსაც. **-ს** დაერთვის აგრეთვე III პირის ნაცვალსახელებს მხოლობითში.

ხოლო **-ვ** ერგატივში დაერთვის ყველა დანარჩენ სახელებს, როგორც გონიერთა, ასევე არაგონიერთა კლასიდან. ოღონდ ერთი პირობით — ზმნა უნდა იყოს გარდამავალი და აქტიური შინაარსისა. **მრავლობით რიცხვში ყველა სახელს -ვ დაერთვის.**

ორივე ეს ნიშანი — **-ს** და **-ვ** გამოხატავს სუბიექტს აქტიური შინაარსის ზმნებთან. ერგატიული ბრუნვა პასუხობს კითხვებზე **ჰ҃ა⁵? სტევ? ჰ҃ა⁵?** კითხვა დაესმის გონიერთა კლასის სახელებს, ხოლო სტევ? არაგონიერთა კლასის სახელებს.

ერგატივის ბრუნვასთან დაკავშირებით წოვა-თუშური ენისათვის დამახასიათებელია ერთი სპეციფიკური ვითარებაც, რაც სხვა ნახურ ენებში არ გვხვდება: I და II პირის ნაცვალსახელები ერგატიულ ბრუნვაშია არა მარტო გარდამავალ ზმნებთან, არამედ **ერთპირიან დინამიკურ ზმნებთანაც.** მაშინ, როდესაც ამ რიგის ზმნებთან III პირის ნაცვალსახელი **სახელობით ბრუნვაშია.**

-ს ერგატივში

მხ. რ.

ნანა-ს მაჲჴ ჲათ҃ჲ რ — დედა პურს აცხობს.
დადა-ს დო⁵ ბიკე⁵ ლოუმ — მამამ ცხენი წაიყვანა მთაში.
აგა-ს ხი მელ҃ო — ბებია წყალს სვამს.
ბაბო-ს დოს დაჰ҃ჲ რ — პაპას შეშა მოაქვს.
ჲაშა-ს ჟაგნ҃რ ხეტ҃ჲ რ — და წიგნს კითხულობს.
ვაშა-ს ქუჲრ დჩევი⁵ — ძმამ ქორი მოკლა.
ვანო-ს ჟე ლარკი⁵ — ვანომ ცხვარი გაპარსა.
თინა-ს ჟაგნ҃რ დალ҃ ი⁵ სო⁵ — თინამ წიგნი მომცა მე.
ნანი-ს ჩხინდრი დიე⁵ — ნანიმ წინდები მოქსოვა.

დუჲხტრე-ს ღაზიშ დაყჲვიესრ — ექიმმა კარგად გამსინჯა.

უჩიტლე-ს ფხილი[5] დაწერადბიე[5] სო[5] — მასწავლებელმა ხუთიანი დამიწერა.

III პირის ჩვენებითი ნაცვალსახელები გარდამავალ ზმნებთან:

ერგ. ეჴუ-ს „ამან"
ოჴუ-ს "იმან„
იცხუ-ს „მაგან

მრ-ში ბრუნვის ნიშანი გაუჩინარებულია:

ეჴარ-/ვ/ „ამათ"
ოჴარ-/ვ/ „იმათ"
იცხარ-/ვ/ „მაგათ"

I და II პირის ნაცვალსახელები ერგატივში გარდაუვალ დინამიკურ (აქტიური შინაარსის) ზმნებთან

1. ას (ერგ.) ჩუ ვიშას — მე ვწვები
   აჰჲ (ერგ.) ჩუ ვიშა/ჰჲ/ — შენ წვები
   ო (სახ.) ჩუ ვიშუ — ის წვება
2. ას (ერგ.) ესე ლჳთჲეს — მე აქ ვდგავარ
   აჰჲ (ერგ. ესე ლჳთჲეჰჲ — შენ აქ დგახარ
   ო (სახ.) ესე ლჳთჲ — ის აქ დგას

ამ რიგის ზმნებთან ერგატივი თითქოს მოულოდნელია, რადგანაც ისინი ერთპირიანებია. მესამე პირის ნაცვალსახელი სახელობითი ბრუნვით არის წარმოდგენილი. ასეთი **ბილაბიალური** კონსტრუქცია ერთსა და იმავე ზმნურ ფორმასთან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნახოლოგებში. არსებობს კიდეც ამის შესახებ სპეციალური გამოკვლევები.[1]

-ვ ერგატივში

1. Ю. Дешериев. Эргативный строй непереходного предложения в бацбийском языке, Сб. „Язык и мышление", вып. XI, 1947. რ. გაგუა. ერგატივი და ინსტრუმენტალისი ბაცბურ ენაში, იკე, II, 1948, გვ. 87.

ფსტუნა-ვ ქეჲრცხ დითჲო — ცოლი ტანისამოსს რეცხავს.
მარა-ვ დო⁵ ბეფხობრ — ქმარი ცხენს კაზმავს.
ვაჰჲო-ვ მაჲჯ ჲაყრ — ბიჭი პურსა ჭამს.
ბადრე-ვ ჟაგნრ ხეტჲრ — ბავშვი წიგნს კითხულობს.
დონე-ვ მარდ ბიშბიე⁵ სტაკონ — ცხენმა წიხლი ჰკრა კაცს.
ჴერე-ვ ვაჰჲი⁵ — ქვამ ჩაიტანა (კლდეზე).
ათჲა-ვ თხა დუჴ შურ ოწი⁵ — ძროხამ დღეს ბევრი რძე მოიწველა.

როგორც ვხედავთ, ერგატივში სახელები ორ ჯგუფად იყოფა — **სან**-იანი და **ვინ**-იანი. ამ დიქოტომიას საფუძვლად უდევს გარკვეული სემანტიკური კანონზომიერება, რომლის ზესახებაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

სამაგიეროდ მრავლობითში ამ ჯგუფის სახელები ერთიანდებიან ერთი ნიშნის ქვეშ. ეს არის **-ვ**.

მაგალითები:
თხე **ნანი-ვ** მაჲჯ ჲაყრ — ჩვენი დედები პურს ჭამენ.
შუ **დადი-ვ** ჟე ლერკრ — თქვენი მამები ცხვარს პარსავენ.
ოჭარ **აგი-ვ** კეჭ ჲეჭრ — იმათი ბებიები მატყლს ჩეჩავენ.
ჲაჟარ-ვ ჟაგნუჲ ხეტჲ რ — დები წიგნებს კითხულობენ.
უჩიტლი-ვ ღაზიშ ჯამდით თხოგრ — მასწავლებლები კარგად გვასწავლიან ჩვენ.

საკუთარი სახელები მრავლობითს აწარმოებენ **-ღარ** ელემენტის დართვით. საყურადღებოა, რომ ამ რიგის სახელებს მრავლობითში ერგატიული ბრუნვის ნიშანი -ვ არ დაერთვის. შესაძლებელია ეს ფონეტიკური პოზიციითაც აიხსნებოდეს: **-რვ** კომპლექსი ამ ენაში არ დასტურდება.

მაგალითები:
ვან-ღარ ჟე ლარკი⁵ — ვანოანებმა ცხვარი გაპარსეს.
ნანი-ღარ ლოუმ დახე⁵ — ნანიანები მთაში წავიდნენ.
ილია-ღარ მეჲჯ ჲაყო — ილიანები პურს ჭამენ და ა.შ.

3. მიცემითი ბრუნვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგი ბრუნვის ფუნქციათა დიაპაზონი მეტად ფართოა, იმდენად ფართო, რომ ზოგჯერ ჭირს ფუნქციათა სიმრავლის სრულად გამოვლენა. ჩვენ ამჯერად ვკმაყოფილდებით ბრუნვის ძირითადი, ამოსავალი ფუნქციის (ან დომინანტი მნიშვნელობის) ფიქსირებით.

მიცემითი ბრუნვის ნიშანია **-ნ**. მისი ძირითადი ფუნქცია არის გამოხატოს ზმნაში **ირიბი ობიექტი**.

მაგალითები:

დადას **ჰხაშე-ნ** ჩუᲂხ დჭევი^{ნ} — მამამ სტუმარს ბატკანი დაუკლა.

დათოს **კოტე-ნ** ჟე გაგდიე^{ნ} — დათომ კოტეს ცხვარი შეუნახა.

სე^{ნ} ᲂაშრ **ნანე-ნ** ლუტუ — ჩემი და დედას ეხმარება.

ნანის **ეკე-ნ** ჟაგნრ დალი^{ნ} — ნანიმ ეკას წიგნი მისცა.

დადე-ნ შარი^{ნ} ვაშრ ვეცენ — მამას თავისი ძმა მოუვიდა.

გარკვეული კლასის ზმნებთან (გრძნობა-აღქმის ზმნებთან) **მიცემითი ბრუნვა სუბიექტსაც** გამოხატავს.

მაგალითები:

კნათე-ნ ᲂოჰხ ᲂეწუ — ვაჟს გოგო უყვარს.

ბადრე-ნ ღაზიშ **გუ** — ბავშვი კარგად ხედავს.

ბადრე-ნ მაკ ნან ჰხალო გაგᲂა^{ნ} — შვილს შეუძლია დედის შენახვა.

„მაკარ" (შეძლება) ზმნით ნაწარმოებ ზმნებთან სუბიექტი ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია.

მაგალითები:

სო^{ნ} ოჴუᲂგრ ცო **ალმაკ** — მე იმას ვერ ვეტყვი.

ბადრე-ნ ე ჟაგნრ ჰხალო ცო **ხატხმაკ** — ბავშვი ამ წიგნს ვერ წაიკითხავს.

აქ მეტად თავისებურ ფორმასთან გვაქვს საქმე: **მაკარ** „შეძლება“ ზმნის აწმყო ფორმა (მაკ) ერთვის მეორე ზმნის აწმყოს ან მყოფადის ფორმას და ვიღებთ შედგენილობით ორწევრიან კომპოზიტს, რომელიც გამოხატავს ერთ ცნებას.

ისე რომ, მიცემითი ბრუნვა ობიექტსაც გამოხატავს და გარკვეული ტიპის ზმნებთან სუბიექტსაც, ისე როგორც ამას ადგილი აქვს ქართულში.

I-ლ და II პირის ნაცვალსახელებს მიცემითში დაერთვის ნაზალური ხმოვანი — **სო̃ დალი̃** — მე (მიც.) მომცა. **ჰხო̃ დალი̃** — შენ მოგცა.

4. ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობითი ბრუნვა ძირითადად გამოხატავს კუთვნილებას და, აგრეთვე, ატრიბუტიკულ ფუნქციას. ეს ბრუნვა გამოირჩევა სათანადო აფიქსთა სიმრავლით. ესენია: -ი̃ (→ჲ̃), -ე̃, -ა̃, -ო̃, -უ̃ (რ. გაგუა).

მაგალითები: **-ი̃-იანი ნათესაობითი**

წენ-ი̃ კედელ ჴერე̃ ჲა — სახლის კედელი ქვისა არის.

ჩა-ჲ̃ თჰხაქ და ე — დათვის კვალი არის ეს.

ჴა-ჲ̃ წოდ ბაყი̃ ოჴუს — ღორის მწვადი ჭამა მან.

კატუ-ჲ̃ ჟაგნრ დაჰხი̃ ოჴუს — კატოს წიგნი წაიღო მან.

ვანუ-ჲ̃ ჲეთჲ ბჰარწავ ჴალხი̃ — ვანოს ძროხა მგელმა შეჭამა.

ბართ-ი̃ ჯოგ ჴეთი ჟეენ — მგლის ჯოგი დაესხა ცხვარს. და ა.შ.

-ე̃-ინიანი ნათესაობითი

ქაჲნზ-ე̃ მურაბ ჩამლი̃ და — ყურძნის მურაბა გემრიელი არის.

ჴერ-ე̃ წა და თხოგო — ქვის სახლი გვაქვს ჩვენ.

ჴორ-ე̃ არაყ დახრ ვანოს — ვაშლის არაყს ხდის ვანო.

-о⁵-иани ნათესაობითი

Маӷ-о⁵ **ҳъаӷӷ** **их** **сон⁵** — პურის სუნი მომდის.

Ши **наҳъ-о⁵** **бӀакъа⁵** **да** **сого** — ორი ყველის გუდა მაქვს.

КалтӀ-о⁵ **котри** **ӷуьгьнатӀ** — ხაჭოს კოტრები ვჭამეთ.

ДитӀ-о⁵ **ҳъаӷӷ** **их** **сон⁵** — ხორცის სუნი მომდის.

Ӏаган-о⁵ **гьда** **да** **е** — წიგნის ყდა არის ეს.

Чуӏ-о⁵ **нан** **ба** **е** — ბატკნის დედაა ეს. და ა.შ.

-у⁵-иани ნათესაობითი

е **да** **ц-у⁵** **бӀакъа⁵** — ეს არის ქუმლის გუდა.

б-у⁵ **ҳъаӷӷ** **их** **сон⁵** — ნივრის სუნი მომდის.

ш-у⁵ **бадри** **даган** **сон⁵** — თქვენი ბავშვები ვნახე მე.

ეს ფორმა დასაზუსტებელია (ასეთი ფორმები იშვიათია და მოითხოვს კვლავ გადამოწმებას).

ნათესაობითის **მრავლობითში** ადგილი აქვს გრამატიკულ ფორმათა **უნიფიცირებას**. სახელთა აბსოლუტური უმრავლესობა მრავლობითში დაირთავს **-ан⁵** სუფიქსს.

მხ. რ.	*მრ. რ.*
ჴორ „ვაშლი“	ჴორ-ан⁵ „ვაშლების“
нек „დანა“	нек-ан⁵ „დანების“
ӄок „ფეხი“	ӄок-ан⁵ „ფეხების“ და ა.შ.

გვხვდება **-о⁵** დართული ნათესაობითიც მრ-ში.

სახ.	*ნათ.*
ӏагӀуьӷ „წიგნი“	— ӏаг-о⁵ — „წიგნების“
ӄенӀуьӷ „სახლები“	— ӄенӀ-о⁵ „სახლების“
дитӀхуьӷ „ხორცები“	— дитӀ-о⁵ „ხორცების“
чуӏхуьӷ „ბატკნები“	— чуӏ-о⁵ — „ბატკნების“

5. მოქმედებითი ბრუნვა

ეს ბრუნვა აქვთ მხოლოდ არაგონიერთა კლასის სახელებს და ნივთთა კლასის საგნებს. მისი ნიშანია **-ვ**. იგივე ნიშანი აქვს აღნიშნული რიგის საგნებს ერგატივშიც. მათ ერთმანეთისგან გავარჩევთ კონტექსტის მიხედვით. ისე რომ, როცა მოქმედებითისა და ერგატივის ურთიერთობის საკითხი დგება, მხედველობაშია მხოლოდ ნივთთა და არაგონიერთა სახელები, ე.ი. ვუხ? („რა?“) ჯგუფის სახელები.

ხოლო რაც შეეხება მენ? („ვინ?“) ჯგუფის სახელებს, მათ მოქმედებითი ბრუნვა არა აქვთ, რაც სწორად აქვს შენიშნული რ. გაგუას.[1]

თუ მთქმელის მეტყველებაში დადასტურდება ვინ? ჯგუფის სახელი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით, ეს კალკად უნდა მივიჩნიოთ. ქართულიდან კალკირებული მაგალითები არცთუ ისე იშვიათად გვხვდება წოვა-თუშურ ენაში. წოვა-თუშები ხომ **ადეკვატური ბილინგვები არიან**.

მაგალითები:

დადას **დონე-ვ** ბარგ ჲეჲე[ნ] — მამამ ცხენით ბარგი მოიტანა.

ას **თოფე-ვ** ჩა ბჽივნას — მე თოფით დათვი მოვკალი.

ივნეს ქოთამ **შალთე-ვ** დჽევი[ნ] — ივანემ ქათამი **ხანჯლით** დაკლა.

ას ყარფუზ **ნეკე-ვ** თიტნას — მე საზამთრო **დანით** დავჭერი.

აღნიშნული ჯგუფის სახელებს მრავლობითში იგივე **-ვ** სუფიქსი დაერთვის:

ათხ ლოუმ **დოჲ-ვ** დაჲხნათხ — ჩვენ მთაში **ცხენებით** წავედით.

ბაცბივ ჰჲათხე **თარბი-ვ** ბორ ბუჰჲ — თუშები ძველად ხმლებით ომობდნენ.

---

1. რ. გაგუა, წელიწდეული, X, 1983, გვ. 208.

მრავლობითში გონიერთა და არაგონიერთა სახელები ერგატივშიცა და მოქმედებითშიც -ვ-ს დაირთავენ. ადგილი აქვს **ორივე ბრუნვის ფორმათა უნიფიცირებას.**

6. ვითარებითი (ან გარდაქცევითი) ბრუნვა

ვითარებითი ბრუნვის ნიშანია -ღ. მისი ფუნქციაა გამოხატოს ერთი საგნის ან მოვლენის გარდაქცევა სხვა საგნად, გარდასვლა სხვა რამეში. თავისი ფუნქციით ახლოს დგას ქართულ ვითარებით ბრუნვასთან.

მაგალითები:

ო **ჴერე-ღ** ვერწინ^{ნ} — ის ქვად იქცა.

ბჰარწა-ღ ვერწინ^{ნ} — მგლად იქცა (გამგელდა).

სო ოჴუს **ჰჲაშე-ღ** ვეხი^{ნ} — მე იმან სტუმრად დამპატიჟა.

ნინოს დავით **მარა-ღ** ვიე^{ნ} — ნინომ დავითი ქმრად შეირთო...

და ა.შ.

7. გამსჭვალვითი ბრუნვა

ამ ბრუნვის ნიშანია **-ხ**. მას მრავალფეროვანი ფუნქცია აქვს. ამდენად, ეს ტერმინი, „გამსჭვალვითი", უფრო სიმბოლური ხასიათისაა. თუმცა ტერმინი ჩვეულებრივ ხომ მაინც სიმბოლურია და შესაბამისი ცნების შინაარსს ის ვერ გამოხატავს.

ძირითადი მნიშვნელობა -ხ ელემენტისა არის, გამოხატოს სუბიექტის ფიზიკური შეხება რაიმე საგანზე (**ას ჴერე-ხ ქოკ ბიშბინას** — მე ქვას ფეხი წამოვკარი), ან ობიექტის შესახებ რაიმე ინფორმაციის გადმოცემას (**ოჴუს კოტე-ხ ჲო ამბუჲ** — ის კოტეს შესახებ ლაპარაკობს).

მაგალითები:

„თელრორ პაჲ **ბჽარკა-ხ**, ბაქა-ხ" — კოცნიდა თვალებში, პირზე.

„ჯუჲ ცერბალენ **ნოტო-ხ**" — მწყემსებმა დაამთავრეს (გაპარსეს) ნოტო.

„**ხორხოშელა-ხ** დოწდალი⁶ ლავ" — ხორხოშელას თოვლი მოყვა.

„კუჲჩრ **საბნე-ხ** ჰჲერჩერ ლამნი" — თეთრ საბანს ეხვეოდა მთები.

„ჯუჲვ ტოტი ჲილენ, **გოგი-ხ** ჩუ ხაბჟე⁶ მალბაჲლნუჲ" — მწყემსებმა ხელები დაიბანეს და დასხდნენ დაღლილები.

„დითხ დეყი⁶ **ნახა-ხ** ტაბაკმაქ ნიფს-ნიფს" — ხორცი გაიყვეს სწორ-სწორად ტაბაკზე.

„**ჯაგე-ხ** წე ლეთერ" — ჯაგს ცეცხლი ეკიდებოდა.

„**საკრე-ხ** მაქ ჰხარჩე⁶" — კისერს მოეხვია.

„**ჲაჰხო-ხ** ხატვალხი⁶" — ქალს შეეკითხა.

„ხაკენ **ბაქა-ხ** ჭმაღოშ დეხკი⁶" — ტომარას პირზე მაგრად მოუკრეს.[1]

„ვანოს პროკურორ ტათბუ-ხ ვუწვიე⁶" — ვანომ პროკურორი ფულით აავსო.

-ხ სუფიქსი პროდუქტიულია. ამდენად, საილუსტრაციო მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. შინაგანი სემანტიკური კავშირის, ერთიანი ფუნქციის დადგენა მათ შორის ვერ ხერხდება. აქ საქმე გვაქვს სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებთან, რომელთა შორის ერთი მათგანი გამოიყოფა როგორც **დომინანტური ნიშანი**, ე.ი. ძირითადი, ყველაზე უფრო არსებითი ნიშანი.

დომინანტია ის სემანტიკური ნიშანი, რომელიც კომუნიკა-

1. მაგალითები ამოწერილია ივ. ბუქურაულის მოთხრობიდან „კაწკო⁶ ჯუ" — „პატარა მწყემსი". ხელნაწერი, 1925 წ.

ციისათვის მუდმივად აუცილებელია. ამ ნიშნისათვის არსებობს მოცემული ესა თუ ის ფორმა (ა. ბონდარკო).

გამსჭვალვითში დასმული სახელი ირიბ ობიექტს გამოხატავს. ქართულში მას ძირითადად მიცემითი ბრუნვა შეესაბამება.

8. მიმართულებითი I (-გრ)

ეს ბრუნვა იწარმოება -გრ სუფიქსით. ძირითადად გამოხატავს მოქმედების მიმართულებას რაიმე საგნისკენ. მაგ.: ხი-გრ ვახე^{ნ} „წყალზე წავიდა". დადე-გრ ალი^{ნ} — „მამას უთხრა", დალე-გრ თეყე — „ღმერთს ეხვეწება". ზმნის კაუზატივის ფორმაში, როგორც წესი, გრ დაერთვის ირიბ ობიექტს, რომელიც ქართულში მიცემით ბრუნვას შეესაბამება:

1. -ას **ბადრე-გრ** ხი დაჲთნას — „მე ბავშვს წყალი მოვატანინე".
2. ნანის **მამუკე-გრ** ქოთამ დჩევითე^{ნ} — „ნანიმ მამუკას ქათამი დააკვლევინა".
3. ვანოს **მუშე-გრ** დოს თეტ-ით-ე^{ნ} — „ვანომ მუშას შეშა დააჭრევინა".
4. პეტრეს **ვანუჲ-გრ** ყუ ლაცვითე^{ნ} — „პეტრემ ვანოს ქურდი დააჭერინა".

9. მიმართულებითი II (-ლრ)

ეს ბრუნვაც S-ის მოქმედების მიმართულებას გამოხატავს **საგნებისაკენ, საგნებს შორის.** ან ისეთი საგნის მიმართ, რომელშიც შეიძლება სუბიექტი შევიდეს ან ობიექტი შეაგდოს სუბიექტმა. ანდა გამოხატავს საგნის მრავალთა შორის (ან სითხეში) მყოფობას.

მაგალითები:

1. კნათ **ხი-ლრ** თასვალი^{ნ} — „ვაჟი წყალში ჩავარდა“.
2. ჴერ **ზღვაჲ-ლრ** ჴოსი^{ნ} — „ქვა ზღვაში ისროლა“.
3. ქატრ **შურე-ლრ** თასბალი^{ნ} — „ქიტი რძეში ჩავარდა“.
4. ყაჩღუჲ **ჰჲუნ-ლრ** ჯებახკჳ — „ყაჩაღები ტყეში სხედან“.

10. თანაობითი (-ცი^{ნ})

თანაობითი ბრუნვის ნიშანია **-ცი^{ნ}**. მისი ფუნქცია ნათელია. წინადადებაში ის დაერთვის **უბრალო დამატებას**, ე.ი. -ცი^{ნ}-ია-ნი სახელი წინადადებაში უბრალო დამატებაა. ის გამოხატავს რაიმე საგანთან მიმართულ მოქმედებას, ან ერთად შესრულე-ბულ მოქმედებას.

-ცი^{ნ} ელემენტი დაერთვის სახელს, როგორც მხოლობით რიცხვში, ასევე მრავლობითში. ფუნქციით ის ძალზე ახლოს დგას ქართულ **-თან** თანდებულთან.

მაგალითები:

ბადერ **ნანე-ცი^{ნ}** დე᷇ენ — „ბავშვი დედასთან მოვიდა“.

ბადერ **ნანე-ცი^{ნ}** დახე^{ნ} — „ბავშვი დედასთან წავიდა“.

ვანრ **დევთე-ცი^{ნ}** ლოუმ ვახე^{ნ} — ვანო დავითთან ერთად მთაში წავიდა“.

ნანის შაჲრ **ჲაშე-ცი^{ნ}** მაჲჴ ჲაყრ — „ნანი თავის დასთან პურს ჭამს“.

შოთა **სო-ცი^{ნ}** ვეჸე ჰჲაშეღ — „შოთა ჩემთან მოვიდა სტუმრად“.

ჩაჩნურსა და ინგუშურში **-ცა** ელემენტი მოქმედებით ბრუნ-ვას გამოხატავს.

რთული ლოკატური ან ადგილობითი ბრუნვები

გარდა წარმოდგენილი მარტივი ბრუნვებისა, წოვა-თუშურ ენას გააჩნია ე.წ. რთული ბრუნვები. რთულია შედგენილობით,

სახელს დაერთვის რამდენიმე ელემენტი, რომლებიც მოქმედებას ან მდგომარეობას **აკონკრეტებს სივრცეში**. ამდენად მათ უწოდებენ აგრეთვე **ლოკატიურ ბრუნვებსაც**.

ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იქნება, გავაერთიანოთ ეს ორი სხვადასხვა ტერმინი და ამ რიგის ბრუნვებს დავარქვათ **რთული ლოკატიური ბრუნვები**. რთული ლოკატიური ბრუნვებია **ორნიშნა და სამნიშნა**.

წოვა-თუშური ენის მკვლევრებს (ა. შიფნერი, ი. დეშერიევი, რ. გაგუა და სხვ.) ამ რიგის ლოკატიური ბრუნვების აღსანიშნავად შემოაქვთ სხვადასხვა ტერმინები. ჩვენ ამ ტერმინთა გამოყენებისაგან თავს ვიკავებთ იმ მოსაზრებით, რომ ჯერ ეს ერთი, ტერმინთა სიმრავლე ართულებს ბრუნების პარადიგმის აღქმას, მეორე, მათ მიერ შემოტანილი ტერმინები შესაბამის **ცნებას ძალიან სუსტად თუ ესადაგება**.

ამიტომ ჩვენ ავირჩიეთ მარტივი გზა. რთული ადგილობითი ანუ ლოკატიური **ბრუნვები დავალაგეთ გარკვეული თანმიმდევრობით და სახელწოდებაც მივეცით რიგის მიხედვით**. ასე მაგალითად — **I ლოკატივი, II ლოკატივი და ა.შ.**

I ლოკატივი

ამ ბრუნვის გრამატიკული მორფემა ორი ნიშნისაგან შედგება: -გო+ჰ₀. პირველი მორფემა /-გო/ ზემოთ განხილული მიმართულებითი I ბრუნვის ნიშანია. მას, როგორც ითქვა, მრავალი ფუნქცია აქვს. ხოლო -ჰ₀ თავისი ფუნქციით უდრის ქართულ -ში თანდებულს.

აქ ასეთ ფონეტიკურ პროცესს აქვს ადგილი: სახელის ფუძეს დაერთვის -გო+ჰ₀ ორშემადგენლიანი მორფემა. -ჰ₀ მორფემას, რომელიც მოქმედების ადგილს გამოხატავს, აუსლაუტში სუსტი პოზიცია აქვს და მეტყველების პროცესში არ გა-

მოითქმის, ეს კი თავის მხრივ კომპენსაციას იძლევა წინამავალი სუსტი ხმოვნის /გრ/ გასრულხმოვნებაში. ამიტომ ამ ბრუნვის ნიშანია **-გო←გო-ჰჲ**. ეს მიჩქმალული **-ჰჲ** კვლავ აღდგება კითხვითი აფიქსის /-ი/ დართვით. ასე რომ, **-ჰჲ** მეტყველის ქვეცნობიერებაში კვლავ ცოცხალია.

მაგალითები:

ჰჲო-გო(←ჰჲო-გო-ჰჲ) წა ცო და — შენ სახლი არა გაქვს.

სე **წენი-გო** (←წენი-გო-ჰჲ) ლꙗთთ დო^{ნ} — ჩემს სახლთან დგას ცხენი.

ვაშე-გო (←ვაშე-გრ-ჰჲ) ღაზე^{ნ} ჟანგუჲ და — ძმას კარგი წიგნები აქვს.

II ლოკატივი

II ლოკატივი დაირთავს ორ მორფემას — **-გრ-ს და -რე^{ნ}-ს**. პირველი **-გრ** მორფემის ხმოვნითი ელემენტი **ო -რე^{ნ}** მორფემის წინ გასრულხმოვანდება და ვიღებთ **-გო←გრ**.

ეს მორფემა /**-გრ**/, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გამოხატავს მოქმედების მიმართულებას რაიმე საგნისკენ.

შესაძლებელია **-გო← -გო-ჰჲ-იდან** და მას დაერთვის **-რე^{ნ}**, რომელიც ქართულ გამოსვლით ბრუნვის /**-დან**/ მნიშვნელობას გამოხატავს. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ **-გო-რე^{ნ}←გო-ჰჲ-რენ**, რაც დასაშვებად მიგვაჩნია, რადგანაც მეტყველებაში აღნიშნული ფორმა იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება. აქედან გამომდინარე, ამ სამწევროვანი მორფემის რთული ფუნქცია ასე ნაწილდება მის შემადგენელ ელემენტებს შორის: პირველი /**-გრ**/ გამოხატავს მოქმედების მიმართულებას, ადრესატს. ხოლო მეორე მორფემა /**-ჰჲ**/ გამოხატავს მოქმედებას რაღაც საგანთა სიმრავლეში, ან საგნის შიგნით. მესამე მორფემა კი /**-რე^{ნ}**/ ამ საგანთა სიმრავლიდან ან სითხიდან გარეთ გამომდი-

ნარე მოქმედებას. თავისი სემანტიკით ის უდრის ქართული გამოსვლითი (დაწყებითი) ბრუნვის /-დან/ მნიშვნელობას.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული რთული მორფემა მოქმედების მიმდინარეობის მეტად კონკრეტულ ეტაპებს გამოხატავს.

III ლოკატივი

ეს ბრუნვა დაირთავს ორ ნიშანს — **-გო და -მცი⁵**. პირველი გამოხატავს რაიმე საგანთან მყოფობას (**ხენ-გო ლ̃ათთ** — ხესთან დგას) ან რაიმე საგანზე ზემოქმედებას (**ოჯუს ბადრე-გო ჟაგნრ დაჯი⁵** — იმან ბავშვს წიგნი წაართვა), ხოლო **-მცი⁵** დაბოლოება გამოხატავს მოქმედების დასასრულს, ბოლო წერტილს.

აღნიშნული ორივე ელემენტი **-გო-მცი⁵** ერთად გამოხატავს რაიმე საგნამდე მოქმედების დამთავრებას.

მაგალითები:

დო⁵ ხი-გო-მცი⁵ ბახე⁵ — „ცხენი წყლამდე მივიდა“.

სო-გო-მცი⁵ ვუ⁵ ცო ვაღრა? — „ჩემამდე რატომ არ მოხვედი?“

წინ-გო-მცი⁵ ცო ვაღოს — „სახლამდე არ მივალ“.

IV ლოკატივი

ამ ლოკალურ ბრუნვას ახლავს სამი ნიშანი — **-გო-ი-ჰ₈→გუ-ჲ-ჰ₈**. ცალკე აღებული **-გუ (←გო)** ელემენტისა და **-ჰ₈** ელემენტის მნიშვნელობის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვით. გაუგებარია **-ჲ←ი** ვოკალის ფუნქცია.

ერთად აღებული ეს რთული შედგენილობის მორფემა გამოხატავს მოქმედების მიმართულებას რაიმე საგნისკენ, ყურადღების მიქცევას, მიპყრობას გარკვეული მიმართულებით.

მაგალითები:

1. ვანრ სო-გუ-ᲓᲮ სო ვე'ე[5] — „ვანო ჩემკენ წამოვიდა“.

2. კნათ ᲓაᲮ-გუ-ᲓᲮ ვახე[5] — „ვაჟი გოგოსკენ წავიდა“.

3. ნან ოჭ-გუ-ᲓᲮ Ხეჭურ — „დედა იმისკენ იყურებოდა“.

4. ლამ-გუ-ᲓᲮ ეპწლა ჟე — „მთისკენ იწევს ცხვარი“.

V ლოკატივი

ეს ბრუნვა დაირთავს ორ ნიშანს: **-ლო** და **-ᲮᲮ-ს**. **-ლო** ცალკე აღებული გამოხატავს სითხეში ან მრავალ საგანთა შორის მყოფობას ან მოქმედებას. მაგალითად: 1. **ხი-ლო დუჭ ჭარი ლელ** — წყალში ბევრი თევზი დაცურავს. 2. **ბადერ ჯერბი-ლო იტე̃** — ბავშვი ქვებ შორის დარბის. 3. **ვს ხენბი-ლო დაჟე̃** — ბოჩოლა ხეებს შორის ძოვს.

ხოლო **-ᲮᲮ** უფრო აკონკრეტებს და აღნიშნავს ამ სიმრავლეში შიგნით მყოფობას ან მოქმედებას. აუსლაუტში **-ᲮᲮ** ფონოლოგიური პოზიცია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სუსტია და გაბმულ მეტყველებაში ის არ ისმის. როგორც კი კითხვით ფორმაში გადავიყვანთ, ე.ი. მას დაერთვის კითხვითობის **-ი** ელემენტი, ეს მიჩქმალული ლარინგალური ყრუ სპირანტი აღდგება: **ჯერ ხი-ლო-ᲮᲮ-ი ლეფჩე̃?** ქვა წყალში დევს? **ხენბი-ლო-ᲮᲮ-ი დაჟ ჟე?** — ხეებს შორის ძოვს ცხვარი?

ეს წესი უგამონაკლისოა.

VI ლოკატივი

ეს ბრუნვაც ორი სხვადასხვა ნიშნის კომბინაციას დაირთავს. ესენია **-ლო და -რე[5]**. ეს ნიშნები ცალ-ცალკე სხვა ნიშნებთანაც შედიან კომბინაციაში, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებში წარმოვადგინეთ. ოღონდ მათი ერთად კომბინაცია მხოლოდ ამ ბრუნვასთან გვხვდება და ფუნქციაც განსხვავებული აქვს აღნიშნულ VI ლოკატივურ ბრუნვას, ამიტო-

მაც მას გამოვყოფთ ცალკე, როგორც დამოუკიდებელ ლოკატივურ ბრუნვას. მისი ფუნქციაა, გამოხატოს სითხიდან ან მრავალ საგნებს შიგნიდან გამომდინარე მოქმედება:

1. **ᲔᲗᲘ ხი-ლო-რე̃ᲜᲭᲔ̀ ბალ̃ე̃ — „ძროხა წყლიდან გამოვიდა“.**
2. **შურე-ლო-რე̃ ჩო ჰᲔალ ბაᲔჴნას — „რძიდან ბეწვი ამოვიღე“.**
3. **დაჟრე-ლო-რე̃ ლᲔჰᲔ გუბალ̃ე̃ — „ბალახიდან გველი გამოჩნდა“.**

და ა.შ.

VII ლოკატივი

ორი ელემენტი — **-ლო-მცი̃** ერთად დაერთვის დროის გამომხატველ სიტყვებს და გამოხატავს დროში მოქმედებას, სიტყვაში აღნიშნულ დრომდე მოქმედებას. **-ლო** ელემენტის ფუნქცია ამ რიგის სიტყვებთან გაუგებარია, ცალკე ის არც დასტურდება აღნიშნულ სიტყვებთან, თუმცა, რა თქმა უნდა, მას ისტორიულად რაღაც მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რომელიც ამჟამად მიჩქმალულია. ხოლო **-მცი̃**-ს მნიშვნელობა ნათელია, ის ზუსტად ესადაგება ქართულ **-მდე//-მდის** თანდებულებს თავისი მნიშვნელობით.

მაგალითები:

ას სტაბ-ლო-მცი̃ აᲔჴცო ვაღოს — „მე შემოდგომამდე არ ჩამოვალ“.

თხა-ლო-მცი̃ მიჩე ვარაᲔჴ? — „დღემდე სად იყავი?“

მაც-ლო-მცი̃ ხეტჴო ე ჟაგნრ̆ — „როდემდე კითხულობ ამ წიგნს“.

VIII ლოკატივი

ეს ბრუნვა დაირთავს ორ ენობრივ ელემენტს — **/ა/ღ-სა** და **-და /Ეჯ/**. პირველი ცალკეც იხმარება და გამოხატავს მოქმედე-

ბას, მოძრაობას რისამე გავლით (через). მაგალითად: 1. **ვანრ ალნი-ღა ვახე** — „ვანო ალვანზე გავლით წავიდა“. 2. **დავით ესე-ღა ვახე**ⁿ — „დავითი აქეთ, ამ ადგილის გავლით წავიდა“.

-და/ჰჲ/ გამოხატავს მოძრაობას მოლაპარაკის საპირისპიროდ. ის ცალკეც იხმარება ზმნისართის ფუნქციით: **დაჰჲ ვახე**ⁿ — „წავიდა (იქით)“.

საანალიზო ორივე ელემენტი ერთად სახელთან გამოხატავს მოქმედებას — „აი, აქ“, ან „იქ გავლით“ საპირისპირო მოძრაობას:

1. გოგი ქალქი-ღ-და/ჰჲ/ ვახეⁿ — „გოგი ქალაქის გავლით წავიდა“.

2. სო**ⁿ** ვაგი**ⁿ** ვანო, დუდახგე ესე-ღ-და/ჰჲ/ ვახერ — „მე ვნახე ვანო, წეღანღა აქეთ გაიარა“.

IX ლოკატივი

ეს ბრუნვა სამ ენობრივ ელემენტს დაირთავს: **-ლო-ღ-და/ჰჲ/.**

პირველის, **-ლო**, მნიშვნელობა ჩვენთვის უკვე ცნობილია. ის სითხეში ან საგანთა სიმრავლეში მყოფობას გამოხატავს. **-ღ-ს** მნიშვნელობის შესახებაც ვთქვით. ასევე გვქონდა საუბარი **-და/ჰჲ/** ელემენტის მნიშვნელობის შესახებაც. აქაც ცალკე აღებულს იგივე მნიშვნელობა აქვს მას. ოღონდ **ერთად აღებული ამ სამი სხვადასხვა ელემენტის მნიშვნელობა განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსს ქმნის, რომელიც არ მეორდება სხვა ლოკატივურ ბრუნვებში.**

მის მიერ გამოხატული შინაარსი ასეთია: მოქმედება, რომელიც მიმდინარეობს ან სითხეში, ანდა საგანთა სიმრავლეში საპირისპირო მიმართულებით.

1. **ფჰჲუ ხი-ლო-ღ-და/ჰჲ/ ბალ̌ე**ⁿ **ჲუჰჲალ** — „ძაღლი წყალზე გავლით გავიდა გაღმა“.

X ლოკატივი

ეს ლოკალური ბრუნვა დაირთავს ორ ელემენტს. პირველია **-მაქ**, რომელიც წარმოშობით ზმნისართია და, როგორც ზმნისართი, აღნიშნავს „ზედ“.

1. **დავით მასთხოვენ მაქ ვახე**ⁿ — „დავითი მტერზე ზედ მივიდა“.

2. **დოხტურ ლაწმრენ მაქ ჰ**ʷ**აჭე**ⁿ — „ექიმმა ავადმყოფს ზედ შეხედა“.

სახელთან ის გამოიყენება როგორც თანდებული და სახელს მოითხოვს მიცემით ბრუნვაში:

1. **ბადერ ჴერენ მაქ ჯედაღ** — „ბავშვი ქვაზე ზის“.

ხოლო მასზე **-ახ** დართვა სახელს **მრავლობითის სემანტიკას** აძლევს, ე.ი. — **მაქ-ახ** ნიშნავს მრავალსა საგანსა ზედა მრავალნი სხედან.

1. **ხენბინ-მაქ-ახ ჰ**ʷ**ეჲწკი ჯედახკ** — „ხეებზე ჩიტები სხედან“.

ეს **-ახ** საინტერესოა და მისი მნიშვნელობა კვლავ კვლევას ითხოვს. ის ცალკე გამსჭვალვითი ბრუნვის ნიშანიცაა.

XI ლოკატივი

XI ლოკატივის გრამატიკული სტრუქტურა შედგება სამი ერთეულისგან: **-გო-რე**ⁿ**-დაჰ**ʷ. თითოეული მათგანის ცალ-ცალკე აღებულის მნიშვნელობა ჩვენთვის უკვე ცნობილია. მათი კომბინაცია მხოლოდ საანალიზო ბრუნვასთან გვხვდება და, ბუნებრივია, ამ ერთობლიობას აქვს თავისი განსხვავებული ლოკალური მნიშვნელობა. ეს არის: მასთან **/-გო/**, მისგან **/-რე**ⁿ**/**, გამო **/-დაჰ**ʷ**/**:

1. **მუჲჩ მეზობლე-გო-რე**ⁿ**-და/ჰ**ᵈ**/ ჰ**ʷ**ალ დახილა ცო და თხოგო** — „ცუდი მეზობლის გამო ცხოვრება არა გვაქვს, ე.ი. ვერ ვცხოვრობთ“.

2. **კოტე-გო-რე**ⁿ **-და/ჰ**ʷ**/ ჰ**ʷ**ო**ⁿ **ცჰ**ʷ**ა'ცომ ხილ̃ რ** — „კოტესგან შენ არაფერი არ მოგივა“.

XII ლოკატივი

ეს ბრუნვა დაირთავს ოთხ მორფოლოგიურ ელემენტს. ამდენად მოქმედების კონკრეტიზაცია მეტად რთულდება, მრავალწახნაგოვანი ხდება. ამ ენობრივი კოლექტივის წევრისათვის ეს მრავალწევრიანი რთული მორფემა გაიაზრება როგორც ერთი მთლიანი მორფემა, თუმცა თითოეული მათგანის მნიშვნელობაც აღიქმება მათ ცნობიერებაში. მაგალითად, წინადადება **„ის ჰ҃ო-გუ-ჲ-ჰ҃-რე⁵ წა თხე⁵** და“ ასე ითარგმნება — „ეგ შენკენ (რომ არის) სახლი, ჩვენი არის“.

ეს ბრუნვა, მიუხედავად თავისი რთული შედგენილობისა, საკმაოდ პროდუქტიულია და მარტივად აღსაქმელი ამ ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში.

XIII ლოკატივი

XIII ლოკატივური ბრუნვაც დაირთავს სამ აფიქსს: **-გო-ღ-დაჰ҃**. ამ სამწევროვან კომბინაციაში ახალია **-ღ-**, დანარჩენები ჩვენთვის უკვე ცნობილია. ეს **-ღ** ცალკეც გვხვდება და გამოხატავს გავლით (через) მოქმედებას. ამ სამივე აფიქსის კომბინატორულ სემანტიკასაც ტონს ის აძლევს. ამიტომაა, რომ ეს ბრუნვა წინადადებაში ასე ითარგმნება: დავით **თხო-გო-ღ-და/ჰ҃ჲ/ ვახე⁵** — „დავითი ჩვენკენ (ჩვენს წინ) გავლით წავიდა“.

ფარინგალური ყრუ სპირანტი **/ჰ҃ო/** აუსლაუტში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მისთვის სუსტ პოზიციაშია და მეტყველების პროცესში არ ისმის; აღდგება მაშინ, როცა მას რაიმე აფიქსი დაერთვის. მაგალითად, **კითხვითი -ი**:

თხო-გო-ღ-დაჰ҃-ი? — ჩვენზე გავლით?

XIV ლოკატივი

ამ ბრუნვას ორი აფიქსი დაერთვის — **-გო/დოლი⁵**. გამოხატავს დროის მომდევნო მონაკვეთს. მაგალითად:

სო-გო-დოლინ ლეცე ჯერ ჯერემაქ მა ბისალ — „ჩემს შემდეგ თუნდაც ქვა ქვაზე აღარ დარჩეს".

ანდა: **სე დადე-გო-დოლი**ნე თხე**ნ ნა დაჰ**ხ დუ**ა**ხ — „მამაჩემის შემდეგ ეს ჩვენი სახლი დაინგრევა".

ცალკე აღებული „**-დოლი**ნ" არ გვხვდება, ამდენად მისი ამოსავალი მნიშვნელობა ჩვენთვის გაუგებარია. შესაძლებელია ის ქართულ „შემდეგს" ნიშნავდეს. ამას გვაფიქრებინებს ის ფორმები, სადაც სიტყვის ფუძეს მარტო ის ახლავს: **თხა-დოლი**ნ — „დღეის შემდეგ". **ჯა**ნ**-დოლი** „ხვალის შემდეგ", **ლამ-დოლი**ნ„ზეგის შემდეგ" და ა.შ.

აღნიშნული ბრუნვა ხმარების სიხშირით ხასიათდება.

ამრიგად, წოვა-თუშურ ენაში ჩვენი დაკვირვებით გამოიყოფა სულ 24 ბრუნვა, აქედან 10 ბრუნვა ე.წ. მარტივი ბრუნვაა, ხოლო 14 რთული შედგენილობის ბრუნვებია, **რომლებიც გამოხატავენ სუბიექტის მოქმედებას სივრცეში, სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა მიმართულებით.** მათ სხვანაირად თანდებულიან ბრუნვებსაც უწოდებენ.[1]

ასეა თუ ისე, წოვა-თუშურ ენაში ბრუნვათა სიმრავლე ასახავს აზროვნების კონკრეტიზაციას, რაც საერთო მოვლენა ჩანს მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის.

1. Ю. Д. Дешериев. Бацбийский язык. Москва — 1953. Р.Р. Гагуа. Основные вопросы фонетики и морфологии бацбийского имени. Ежегодник, X, Тбилиси — 1983.

ზედსართავი სახელი

მეტყველების ნაწილთა შორის ზედსართავი სახელი ყველაზე რთული და ნაკლებად შესწავლილი ენობრივი ერთეულია. ეს გამოწვეულია, პირველ რიგში, როგორც მისი სემანტიკით, ასევე ტექსტში მისი გამოყენებით. როგორც ცნობილია, ზედსართავ სახელს არა აქვს თავისი უშუალო საგნობრივი მიმართება, არა აქვს თავისი **კონკრეტული რეფერენტი**. ის ასახავს ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია **დენოტატთა მთელი წრისათვის**. ამიტომ ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ზედსართავ სახელს არა აქვს თავისი საკუთარი ექსტენსიონალი. სწორედ ამით განსხვავდება ის არსებითი სახელისაგან.

იმის გამო, რომ ზედსართავს არა აქვს თავისი ექსტენსიონალი, ის ავტომატურად იღებს იმ არსებითი სახელის ექსტენსიონალს, რომელთანაც პრედიკატიულ მიმართებაშია, რომელსაც ის განსაზღვრავს. სწორედ ამის გამო ამა თუ იმ ზედსართავის ხმარების სიხშირე დამოკიდებულია იმ საგნების თუ მოვლენების რაოდენობაზე, რომლებიც ატარებენ შესაბამის ნიშანს.

ზედსართავი სახელი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თავისი მრავალპლანიანი სემანტიკით. არ არის სხვა ისეთი მეტყველების ნაწილი, რომელიც ისე ღრმად იყოს შეჭრილი (ან განფენილი) პრაქტიკულად ყველა გამონათქვამის სემანტიკურ ასპექტში. **ზედსართავები ასახავენ როგორც საგნის ნიშან-თვისებას, ასევე მოქმედებასთან დაკავშირებულ ნიშნებს** (ნაზმნარი ზედსართავები, მიმღეობები მსაზღვრელის ფუნქციით, რომლებიც ადვილად გადადიან ზედსართავების კლასში).

მიუხედავად მნიშვნელობათა და გამოყენების მრავალფეროვნებისა, ზედსართავები მაინც ფლობენ ერთ ზოგად სემანტიკურ მახასიათებელს, რომელიც იძლევა საფუძველს მათი ერთ კლასში გაერთიანებისა.

ზედსართავები განეკუთვნებიან **პრედიკატულ სიტყვებს.** ისინი საგანზე კი არ მიუთითებენ, არამედ მიაწერენ მათ, ე.ი. საგნებს, რაღაც ნიშანს. როგორც ცნობილია, ზედსართავის ორი ჯგუფია: **ვითარებითი და მიმართებითი.**

ვითარებით ზედსართავებს მიიჩნევენ აგრეთვე **კლასიკურ პრედიკატივებად,** რადგანაც აღნიშნავენ საკუთრივ საგნის ნიშანს.

სწორედ ეს პრედიკატული თვისება არის ზედსართავი სახელის ძირითადი თავისებურება, რომელიც განსაზღვრავს მის მნიშვნელობას და გამოყენებას. ზედსართავი ორიენტირებულია არსებითის სემანტიკაზე და გვევლინება ტექსტში როგორც მსაზღვრელი.

ამგვარად, ზედსართავის ძირითადი თავისებურება, რომელიც განაპირობებს მის შესწავლას როგორც სემანტიკურად, ასევე კონტექსტში მისი გამოყენების ასპექტში, მდგომარეობს იმაში, რომ სიტყვათა ეს კლასი სემანტიკურად დამოუკიდებელი არ არის. **თვისება, ნიშანი არ არსებობს თავისთავად, იმ საგნის თუ მოვლენის გარეშე, რომელსაც ის ატარებს.** სწორედ ამიტომ ზედსართავის მნიშვნელობა პროეცირებულია ნიშნის მატარებელი საგნის მნიშვნელობაზე.

ზედსართავი, როგორც აღვნიშნეთ, არის მეტყველების ისეთი ნაწილი, რომელიც საგნის ან მოვლენის ნიშანს ან თვისებას გამოხატავს. წოვა-თუშურში ზედსართავთა ორი ჯგუფი არსებობს — **ვითარებითი და მიმართებითი.**

ვითარებითია პირველადი სახელი: **კუᲹ⁵** „თეთრი", **ɛარჭი⁵** „შავი", **ლაჯე⁵** „მაღალი", **ლახუ⁵** „დაბალი", **ყაჰხე⁵** "მწარე", **დუტყი⁵** „წვრილი", **დახხე⁵** „გრძელი" და სხვ.

ამ ჯგუფის ზედსართავები ბოლოვდებიან ნაზალური ხმოვნებით: **-ი⁵, -ე⁵, -უ⁵, -ო⁵.**

ვითარებით ზედსართავ სახელებს აქვს ე.წ. **ხარისხის ფორ-**

მები. ეს ნიშნავს იმას, რომ ზედსართავს შეუძლია გამოხატოს საგნის თვისება მეტ-ნაკლები ოდენობით.

ხარისხის **ოთხი ფორმა** დასტურდება ამ ენაში.

1. დადებითი: **კუᲯᵑ** „თეთრი“, **დახɜᵑ** „გრძელი“, **ლაჴᵑ** „მაღალი“.

2. ოდნაობითი: **კუᲯ კა** „მოთეთრო“, **დახɜᵑ-კა** „მოგრძო“, **ლაჴე-კა** „მომაღლო“.

3. უფროობითი ან შედარებითი: **კუᲯ-ხ** „შედარებით უფრო თეთრი“, **დახɜე-ხ** „შედარებით უფრო გრძელი“, **ლაჴი-ხ** „შედარებით უფრო მაღალი“, **ლახუ-ხ** „შედარებით უფრო დაბალი“.

4. აღმატებითი ხარისხისა: **კუᲯᵑ-ჭ** „უთეთრესი“, **ლაჴᵑ-ჭ** „უმაღლესი“, **ყაჰɜᵑ-ჭ** „უმნარესი“.

ხარისხის ეს ოთხივე ფორმა ერთად ქმნის პარადიგმას, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ **კომპარატივის კატეგორიას**. ამრიგად, წოვა-თუშურ ენებში ზედსართავ სახელს აქვს ოთხი მორფოლოგიური კატეგორია: **ბრუნების, რიცხვისა, გრამატიკული კლასის კატეგორია და კომპარატივისა**.

მიმართებითია ზედსართავი, თუ საგნის ნიშანი, რომელსაც ის გამოხატავს, სხვა საგანთან მიმართებით არის ნაგულისხმევი. მაგალითად, როდესაც ვამბობთ „**ხავსიანი ქვა**“-ო, ვასახელებთ ქვის ისეთ ნიშანს („**ხავსიანობას**“), რომელიც სხვა საგნის („**ხავსის**“) წარმოდგენასთანაა დაკავშირებული“ (აკ. შანიძე).

წოვა-თუშურ ენაში მხოლოდ ორი სუფიქსი აწარმოებს მიმართებით ზედსართავ სახელებს. მათი გავრცელების არე შეზღუდულია. ორივე ეს სუფიქსი სემანტიკურად ერთმანეთთან ახლოს დგას. ეს სუფიქსებია **-ᵑ** და **-რᵑ**.

მაგალითები:

ხი „წყალი“ — **ხი-ᵑ** მაჭარ „წყლიანი ღვინო“.

შურ „რძე“ — **შურ-ე**ⁿ **ბრინჯ** „რძიანი ბრინჯი“ (იგულისხმება რძეში მოხარშული ბრინჯი).

-რეⁿ სუფიქსი ასევე არსებითებისაგან აწარმოებს მიმართებით ზედსართავ სახელებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ის დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას:

ნაჩხ „ყველი“ — **ნაჩხო-რე**ⁿ კოტორ — „ყველიანი ხაჭაპური“.

დითხ „ხორცი“ — **დითხო-რე**ⁿ ხინკლი — „ხორციანი ხინკლები“.

მუჲტ „ჭუჭყი“ — **მუტო-რე**ⁿ ქეჲრცხ — „ჭუჭყიანი სარეცხი“.

ხი „წყალი“ — **ხიე-რე**ⁿ მაჭარ „წყლიანი ღვინო“ და ა.შ.

არსებითი სახელისაგან **-ლი**ⁿ, **-ღე**ⁿ და **-წი**ⁿ სუფიქსის დართვით იწარმოება აგრეთვე ატრიბუტული სახელები:

-ლიⁿ:

ჩამ „გემო“ — **ჩამ-ლი**ⁿ — „გემრიელი“.

ჟაბო „ძროხა“ (კრებ.) **ჟაბ-ლი**ⁿ — „ძროხების მეპატრონე“.

დოⁿ „ცხენი“ — **დონ-ლი**ⁿ — „კაცი, რომელსაც ცხენი ჰყავს“.

დაჟარ „ბალახი“ — **დაჟრა-ლე**ⁿ **ლამნი** — „ბალახიანი მთები“.

-ღეⁿ:

ვაჲ-ღეⁿ მოტხ — „ჩვენებური ენა“.

შუ-ღეⁿ **ჲეთხ** — „თქვენებური ძროხა“ და ა.შ.

-წიⁿ:

ტოტ „ხელი“ — **ტოტ-წი**ⁿ კნათ — „უხელო ვაჟი“.

ჟე „ცხვარი“ — **ჟე-წი**ⁿ სტაკ — „უცხვრო კაცი“.

ჲეთხ „ძროხა“ — **ათხ-წი**ⁿ — „უძროხო ოჯახი“ და ა.შ.

აფიქსთა პოლიფუნქციური პრინციპებიდან თუ ამოვალთ, მაშინ აქ მოყვანილ აფიქსებს კონტექსტის მიხედვით განსხვავებული ფუნქციებიც ეკისრება, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზედსართავ სახელთა ბრუნება

ბრუნვათა ფლექსიების მიხედვით ზედსართავი სახელები არსებით სახელთა ბრუნებას იმეორებენ. ოღონდ ერთი განსხვავებით — ყველა ატრიბუტულ სახელს ბრუნვის ნიშნის წინ უჩნდებათ **-ჩო** ელემენტი (გარდა სახელობითი ბრუნვისა). ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ ახლავს არსებით სახელს, რომელსაც ის რაღაც ნიშნის მიხედვით ახასიათებს.

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ზედსართავის ბრუნება შესაბამის სახელთან ერთად, ე.ი. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება. როგორც ბრუნების პარადიგმიდან ვნახავთ, ზედსართავი სახელი (მსაზღვრელი) ბრუნვათა ნიშნებს არ დაირთავს; გარდა სახელობითისა, დანარჩენ ბრუნვებში დაერთვის **-ჩო** ელემენტი, ხოლო აუსლაუტისეული ხმოვანი, რომელიც ზედსართავის მაწარმოებელია, მარტივდება, ე.ი. ხდება მისი **დენაზალიზაცია**. მხედველობაში გვაქვს ვითარებითი ზედსართავი სახელი, ხოლო **მიმართებით ზედსართავ** სახელთა ბრუნებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

მაგალითები:

1. სახ.	მაწრი^ნ ქანიზ — *„ტკბილი ყურძენი“*	მუსტ-ი^ნ შური — *„მჟავე რძე“*
2. ერგ.	მაწრი-ჩრ ქაꞑზე-ვ	მუსტი-ჩრ შურე-ვ
3. მიც.	მაწრი-ჩრ ქაꞑზე-ნ	მუსტი-ჩრ შურე-ნ
4. ნათ.	მაწრიჩრ ქაꞑზ-ე^ნ	მუსტი-ჩრ შურ-ე^ნ

5. მოქ.	მაწრიჩრ ქაჲნზე-ვ	მუსტ-ი-ჩრ შურ-ე-ვ
6. გარდაქ.	მაწრიჩრ ქაჲნზე-ღ	მუსტ-ი-ჩრ შურ-ე-ღ
7. გამსჭვ.	მაწრიჩრ ქაჲნზე-ხ	მუსტ-ი-ჩრ შურ-ე-ხ
8. თანაობითი	მაწრიჩრ ქაჲნზე-ცი^{ნ}	მუსტი-ჩრ შურე-ცი^{ნ}

ატრიბუტული სახელი ცალკეც იბრუნვის. მაშინ ის ბრუნვათა ნიშნებს ისევე დაირთავს, როგორც საზღვრული შესაბამისი არსებითი სახელი.

მაგალითები:

სახ.	მაწრ-ი^{ნ} — *„ტკბილი“*	მუსტ-ი^{ნ} — *„მჟავე“*
ერგ.	მაწრ-ი-ჩო-ვ	მუსტ-ი-ჩო-ვ
მიც.	მაწრ-ი-ჩო-ნ	მუსტ-ი-ჩო-ნ
ნათ.	მაწრ-ი-ჩო-ო^{ნ}	მუსტი-ჩო^{ნ}
მოქ.	მაწრ-ი-ჩო-ვ	მუსტი-ჩო-ვ
გარდაქ.	მაწრ-ი-ჩო-ღ	მუსტი-ჩო-ღ
გამსჭვ.	მაწრ-ი-ჩო-ხ	მუსტი-ჩო-ხ
თანაობ.	მაწრ-ი-ჩო-ცი^{ნ}	მუსტი-ჩო-ცი^{ნ}

თუ სახელთა გარკვეულ ჯგუფთა მიხედვით ერგატივში ორი ნიშანი **/-ს, -ვ/** გვაქვს, ცალკე მდგომ ზედსართავ სახელთან ერგატივი მხოლოდ -ვ ნიშნით არის წარმოდგენილი.

ზედსართავ სახელთა მრავლობითს აწარმოებს **-ში** და **-ი** ელემენტები.

მაგ., **ჯარჭი^{ნ}** „შავი“ — მრ. ჯაჲრჭნი-ში „შავები“. **კუჲ^{ნ}** „თეთრი“ — **კუჲნი-ში** „თეთრები“, **წეგე^{ნ}** „წითელი“ — **წეგნი-ში** „წითლები“ და ა.შ.

ცალკე მდგომი ზედსართავი სახელი მრავლობითში ისევე იბრუნვის, როგორც მხოლობითში. ბრუნვის ნიშნის დართვა ფუძეში იწვევს გარკვეულ ფონეტიკურ პროცესებს, რის შედეგადაც იქმნება დიფთონგები. სახელობითში რიცხვის ნიშანია **-ი**, ხოლო დანარჩენ ბრუნვებში ბრუნვის ნიშნის წინ მრ. რ.

ფორმანტად ჯდება -იშ. როგორც ჩანს, სახელობითში -ი← -იშ. „შ“ მოეკვეცა.

მრ. რ.

1. სახ.	წეგნ-ი — *„წითლები“*	კაწკან-ი — *„პატარები“*
2. ერგ.	წეგ-ჩუ-ჲშ-ვ	კაწკე-ჩუ-ჲშ-ვ
3. მიც.	წეგ-ჩუ-ჲშ-ნ	კაწკე-ჩუ-ჲშ-ნ
4. ნათ.	წეგ-ჩ-ორ^{ნ}	კაწკე-ჩ-ო^{ნ}
5. მოქ.	წეგ-ჩუ-ჲშ-ვ	კაწკე-ჩუ-ჲშ-ვ
6. გარდაქც.	წეგ-ჩუ-ჲშ-ღ	კაწკე-ჩუ-ჲშ-ღ
7. გამსჭვ.	წეგ-ჩუ-ჲშ-ხ	კაწკე-ჩო-ხ
8. თანაობ.	წეგ-ჩუჲ-შ-ცი^{ნ}	კაწკე-ჩუ-ჲშ-ცი^{ნ}
9. მიმართ. I	წეგჩუ-ჲშ-გრ	კაწკე-ჩუ-ჲშ-გრ
10. მიმართ. II	წეგ-ჩუ-ჲშ-ლო	კაწკე-ჩუ-ჲშ-ლო...

რაც შეეხება საზღვრულთან ერთად ბრუნებას, ზედსართავები არც მრ. რიცხვის ნიშნებს დაირთავენ და არც ბრუნვის ნიშნებს. აქ ისეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე, როგორიც წარმოვადგინეთ მხოლობით რიცხვში, ამიტომ მას აღარ გავიმეორებთ.

ზედსართავ სახელებს გრამატიკული კლასის ნიშნები დაერთვის პრეფიქსად. ამასთან დაკავშირებით საუბარი გვექნება ცალკე გრამატიკული კლასის კატეგორიასთან დაკავშირებით.

პირის ნაცვალსახელები

პირის ნაცვალსახელებია: **სო** „მე“, **ჰჲო** „შენ“, **თჲო** „ჩვენ“ (ექსკლუზივი), **ვაჲ** „ჩვენ“ (**ინკლუზივი**), **შუ** „თქვენ“.

მესამე პირისთვის სამი ნაცვალსახელი აქვს წოვა-თუშურ ენას: **ე** „ეს“ (მოლაპარაკე პირთან ახლოს მყოფი), **ის** „ეგ“ (ვისაც ელაპარაკება იმ პირთან ახლოს მყოფი), **ო** „ის“ (მესამე პირთან ახლოს მყოფი).

მრავლობითი: **ები** „ესენი“, **იფსი** (← იბსი) „ეგენი“, **ობი** „ისინი“.

პირის ნაცვალსახელთა ბრუნება

მხ. რ.					
1. სახ.	**სო** „მე“	**ჰჲო** „შენ“	**ე** „ეს“	**ის** „ეგ“	**ო** „ის“
2. ერგ.	**ას**	**აჰჲ**	**ეჴუ-ს**	**იცხუ-ს**	**ოჴუ-ს**
3. მიც.	**ს=ო^{ნ}**	**ჰჲ-ო^{ნ}**	**ეჴუჲ-ნ**	**იცხუჲ-ნ**	**ოჴუჲ-ნ**
4. ნათ.	**ს-ე^{ნ}**	**ჰჲ-ე^{ნ}**	**ეჴუ-ჲ^{ნ}**	**იცხუ-ჲ^{ნ}**	**ოჴუ-ჲ^{ნ}**
5. მოქმ.	—	—	**ეჴუჲ-ვ**	**იცხუჲ-ვ**	**ოჴუ-ვ**

(**ის** — „ეგ“ სახელობითის გარდა სხვა ბრუნვებში იძლევა **იცხ** ფუძეს, რომელიც გარკვეული ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად არის მიღებული: **ისჴუ-ს**→**ისხუ-ს**→**იცხუ-ს**. აღნიშნულ ნაცვალსახელებს მოქმედებითი ბრუნვა არა აქვთ არც მხოლობითში და არც მრავლობითში.)

6. გარდაქც.	**სო-ღ**	**ჰჲო-ღ**	**ეჴუ-ღ**	**იცხუ-ღ**	**იჴუ-ღ**
7. გამსჭვ.	**სო-ხ**	**ჰჲო-ხ**	**ეჴუ-ხ**	**იცხუ-ხ**	**ოჴუ-ხ**
8. თანაობ.	**სო-ცი^{ნ}**	**ჰჲო-ცი^{ნ}**	**ეჴუჲ-ცი^{ნ}**	**იცხუჲ-ცი^{ნ}**	**ოჴუჲ-ცი^{ნ}**
9. მიმართ. I	**სო-გრ**	**ჰჲო-გრ**	**ეჴუჲ-გრ**	**იცხუჲ-გრ**	**ოჴუჲ-გო**

10. მიმართ. II სო-ლო ჰხო-ლო ეჭუჲ-ლო იცხუჲ-ლო ოჭუჲ-ლო

მესამე პირის ფორმები მოქმედებითში აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ისინი გულისხმობენ არაგონიერთა კლასის სახელებს. ასეა ეს მხოლობითში და მრავლობითშიც.

მრ. რ.

1. სახ.	თხო	შუ	ები	იფსი	ობი
	„ჩვენ“	„თქვენ“	„ესენი“	„ეგენი“	„ისინი“
2. ერგ.	ათხ	აჲშ	ეჭარ	იცხარ	ოჭარ
3. მიც.	თხ-ო^{ნ}	შ-უ^{ნ}	ეჭარ-ნ	იცხარ-ნ	ოჭარ-ნ
4. ნათ.	თხ-ე^{ნ}	შ-უ^{ნ}	ეჭრ-ი^{ნ}	იცხრ-ი^{ნ}	ოჭრ-ი^{ნ}
5. მოქ.	—	—	ეჭარ-ვ	იცხარ-ვ	ოჭარ-ვ
6. გარდაქ.	თხო-ღ	შუ-ღ	ეჭარ-ღ	იცხარ-ღ	ოჭარ-ღ
7. გამსჭვ.	თხო-ხ	შუ-ხ	ეჭარ-ხ	იცხარ-ხ	ოჭარ-ხ
8. თანაობ.	თხო-ცი^{ნ}	შუ-ცი^{ნ}	ეჭარ-ცი^{ნ}	იცხარ-ცი^{ნ}	ოჭარ-ცი^{ნ}
9. მიმართ. I	თხო-გრ	შუ-გრ	ეჭარ-გრ	იცხარ-გრ	ოჭარ-გრ
10. მიმართ. II	თხო-ლო	შუ-ლო	ეჭარ-ლო	იცხარ-ლო	ოჭარ-ლო

ჩვენებითი ნაცვალსახელები

მესამე პირის ნაცვალსახელები გამოყენებულია აგრეთვე ჩვენებით ნაცვალსახელებადაც. ისინი ისევე იბრუნვიან, როგორც პირის ნაცვალსახელები. ოღონდ მათგან იწარმოება მეორე რიგის ჩვენებითი ნაცვალსახელები. ესენია: **ეშტრუ^{ნ}** „ესეთი“, **იშტრუ^{ნ}** „ეგეთი“, **ოშტრუ^{ნ}** „ისეთი“. ამ ნაცვალსახელებს ბრუნვათა ნიშნების წინ უჩნდებათ **-ჩო-** ელემენტი, რომლის გენეზისის შესახებ ლიტერატურაში განსხვავებული აზრები არსებობს.[1]

1. Ю.Д. Дешериев. Бацбийский язык, გვ. 184. Д.С. Имнайшвили. Основные и послеложные падежи в ингушском, Тб., 1940. с. 151. К.Т. Чрелашвили. К генезису элемента -ga (-ɣu, -ɣo) в нахских языках, Труды ТГУ, М., 93, Тб., 1960, გვ. 187.

1. სახ.	ეშტრუ⁵	იშტრუ⁵	ოშტრუ⁵
	„ასეთი“	„ეგეთი“	„ისეთი“
2. ერგ.	ეშტრუ-ჩო-ვ	იშტრუ-ჩო-ვ	ოშტრუ-ჩო-ვ
3. მიც.	ეშტრუ-ჩო-ნ	იშტრუ-ჩო-ნ	ოშტრუ-ჩო-ნ
4. ნათ.	ეშტრუ-ჩო-ო⁵	იშტრუ-ჩო-ო⁵	ოშტრუ-ჩო-ო⁵
5. მოქ.	ეშტრუ-ჩო-ვ	იშტრუ-ჩო-ვ	ოშტრუჩო-ვ
6. გარდაქ.	ეშტრუ-ჩო-ღ	იშტრუ-ჩო-ღ	ოშტრუ-ჩო-ღ
7. გამსჭვ.	ეშტრუ-ჩო-ხ	იშტრუ-ჩო-ხ	ოშტრუ-ჩო-ხ
8. თანაობ.	ეშტრუ-ჩო-ცი⁵	იშტრუ-ჩო-ცი⁵	ოშტრუ-ჩო-ცი⁵
9. მიმართ. I	ეშტრუ-ჩო-გრ	იშტრუ-ჩო-გრ	ოშტრუ-ჩო-გრ
10. მიმართ. II	—	—	—

ამ რიგის ჩვენებით ნაცვალსახელებს აქვთ ატრიბუტული სემანტიკა და ამიტომ ტექსტში ისინი იკავებენ მსაზღვრელის ადგილს შესაბამისი საზღვრულის წინ. მათი ამ ფუნქციით არის განპირობებული ის გარემოება, რომ ბრუნების პარადიგმაში ბრუნვათა ნიშნების წინ აქაც, როგორც წესი, ვლინდება **-ჩო-** ელემენტი, რომლის ისტორიული ფუნქციის დადგენა კვლავ დამატებით კვლევას მოითხოვს.

კითხვითი ნაცვალსახელები

კითხვითი ნაცვალსახელებია: **მე⁵ „ვინ“? ვუხ „რა“? მენუხ „რომელი“? მოლუ⁵ „როგორი“? მაცლუ⁵ „როდინდელი“? მიჩრე⁵ „სადაური“? მელ̃ „რამდენი“?**

მე⁵ „ვინ“? გონიერთა კლასის სახელებს დაერთვის, ხოლო ვუხ „რა“? არაგონიერთა კლასის სახელებს. ბრუნების პარადიგმაც განსხვავებული აქვთ მათ. მენ? „ვინ“? კითხვით ნაცვალსახელს მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი) არ აქვს, ხოლო ვუხ? „რა“? ნაცვალსახელს კი აქვს.

ეს საყურადღებო ფაქტია. თუ გონიერთა კლასის სახელები ერგატივის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა (-ს და -ვ ნიშნის მიხედვით), სამაგიეროდ მოქმედებითი ბრუნვა მათ, ე.ი. **გონიერთა სახელებს, საერთოდ არ გააჩნიათ და ამ ნიშნის მიხედვით ისინი ერთიანდებიან, რითაც უპირისპირდებიან საერთოდ არაგონიერთა კლასის სახელებს.** აქედან გამომდინარე, მოქმედებითისა (ინსტრუმენტალისის) და ერგატივის ურთიერთობის პრობლემა ამით აიხსნება. ეს კარგად ჩანს აღნიშნულ კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმიდან, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენთ.

მხ. რ.

სახ.	**მე^{ნ} „ვინ“?**	**ვუხ „რა“?**
ერგ.	**ჰ$_{ჲ}$ა^{ნ}**	**სტე-ვ**
მიც.	**ჰ$_{ჲ}$ა-ნ**	**სტე-ნ**
ნათ.	**ჰ$_{ჲ}$ა-$_{ი}$ნ**	**სტ-ინ**
მოქ.	—	**სტე-ვ**
გარდაქ.	**ჰ$_{ჲ}$ან-ღ**	**სტენ-ღ**
გამსჭვ.	**ჰ$_{ჲ}$ანა-ხ**	**სტენა-ხ**
თანაობ.	**ჰ$_{ჲ}$ან-ცი^{ნ}**	**სტენ-ცი^{ნ}**
მიმართ. I	**ჰ$_{ჲ}$ან-გრ**	**სტენ-გრ**
მიმართ. II	—	—

საგულისხმო ფაქტი: **მე^{ნ}? „ვინ“? და ვუხ? „რა“?** ნაცვალსახელებს მრავლობითის ფორმა აქვთ მხოლოდ სახელობითში — **მენიშ? „ვინები“? ვუხუშ „რაები“?** დანარჩენ ბრუნვებში ისინი მხოლობითის ფორმებს ემთხვევა.

დანარჩენი კითხვითი ნაცვალსახელები (**მოლუ? მაცლუ? მიჩრე? მელ̃?**), რომელთაც ატრიბუტული სემანტიკა გააჩნიათ, იბრუნვიან ზედსართავ სახელთა მსგავსად, კერძოდ ბრუნვის ნიშანთა წინ აქაც თავს იჩენს „ჩო“ ელემენტი.

ქვემოთ წარმოვადგენთ აღნიშნულ კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმას.

მხ. რ.

სახ.	მოლუ „როგორი“?	მენუხ „რომელი“?	მაცლუნ „როდინდელი“?
ერგ.	მოლუ-ჩო-ვ	მენხუ-ჩო-ვ	მაცლუ-ჩო-ვ
მიც.	მოლუ-ჩო-ნ	მენხუ-ჩო-ნ	მაცლუ-ჩო-ნ
ნათ.	მოლუ-ჩ-ო⁵	მენხუ-ჩ-ო⁵	მაცლუ-ჩ-ო⁵
მოქ.	მოლუ-ჩო-ვ	მენხუ-ჩო-ვ	მაცლუ-ჩო-ვ
გარდაქ.	მოლუ-ჩო-ღ	მენხუ-ჩო-ღ	მაცლუ-ჩო-ღ
გამსჭვ.	მოლუ-ჩო-ხ	მენხუ-ჩო-ხ	მაცლუ-ჩო-ხ
თანაობ.	მოლუ-ჩო-ცი⁵	მენხუ-ჩო-ცი⁵	მაცლუ-ჩო-ცი⁵
მიმართ. I	მოლუ-ჩო-გრ	მენხუ-ჩო-გრ	მაცლუ-ჩო-გ/ო
მიმართ. II	—	—	—

მენუხ? „რომელი“? ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმაში ყურადღებას იქცევს ფუძისეული უ-ს მეტათეზისი: მენუხ-ჩო-ვ → მენხუ-ჩო-ვ...

ამ ნაცვალსახელებს გააჩნიათ მრავლობითი რიცხვის ფორმებიც: მუჲლნიში? „როგორები??„ მენხუჲ? „როგორები“? მაცლუნი? „როდინდელი“? იბრუნვიან ისევე, როგორც მრავლობითის ფორმები.

მხ. რ.

1. სახ.	მიჩრე⁵ „სადაური“?	მელ̃? „რამდენი“?
2. ერგ.	მიჩრე⁵-ჩო-ვ	მელ̃ე-ვ
3. მიც.	მიჩრე⁵-ჩო-ნ	მელ̃ე-ნ
4. ნათ.	მიჩრე-ჩ-ო⁵	
5. მოქ.	მიჩრე-ჩო-ვ	მელ̃ე-ვ

6. გარდაქ.	მიჩრე^{ნ}-ჩო-ღ	მელ̃ე-ღ
7. გამსჭვ.	მიჩრე-ჩო-ხ	მელ̃ე-ხ
8. თანაობ.	მიჩრე-ჩო-ცი^{ნ}	მელ̃-ცი^{ნ}
9. მიმართ I	მიჩრე-ჩო-გრ	გრ მელ̃ე-გრ
10. მიმართ. II	—	მელ̃ე-ლო

ეს ბოლო კითხვითი ნაცვალსახელი მელ̃ „რამდენი“? განსხვავებით სხვებისგან, -ჩო ელემენტს არ დაირთავს. შესაძლებელია ეს იმიტომაც, რომ -ჩო ელემენტის დართვით ის სულ სხვა ლექსიკურ მნიშვნელობას იძენს: მელ̃-ჩო-ვ „მსმელმა“: მელ̃-ჩო-ნ „მსმელს“ და ა.შ.

მიჩრე^{ნ}? ნაცვალსახელს გააჩნია მრავლობითი რიცხვიც: მიჩრენი „სადაურები“?

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

წოვა-თუშურ ენას გააჩნია კუთვნილებით ნაცვალსახელთა მრავალი ფორმა, როგორც მხოლობითში, ასევე მრავლობითში. ისინი ცალკე იბრუნვის როგორც ატრიბუტული სახელები, ე.ი. აქაც ბრუნვათა ნიშნების წინ, როგორც წესი, თავს იჩენს -ჩო- ელემენტი.

იმ შემთხვევაში, თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელი საზღვრულს წინ უძღვის, როგორც მსაზღვრელი, მაშინ ბრუნების სისტემაში მას არც -ჩო- ელემენტი დაერთვის და არც ბრუნვათა ნიშნები. უფრო მეტიც, ნაზალური ხმოვანი, რომლითაც ის ბოლოვდება, კარგავს ნაზალობას და სუფთა ხმოვნად იქცევა.

რადგანაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი მეტყველების პროცესში საზღვრულს ახლავს მსაზღვრელის ფუნქციით, ამიტომ ქვემოთ ჩვენ ჯერ წარმოვადგენთ ორივეს ერთად ბრუნების სისტემაში, ხოლო შემდეგ ცალკე ვაბრუნებთ. ამ

ორივე სისტემაში სრულად წარმოჩნდება კუთვნილებითი ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმის მექანიზმი.

მხ. რ.

1. სახ.	სენ ჟაგნრ	ჰჲე⁵ ჟაგნრ	ოჴუჲ⁵ ჟაგნრ
	„ჩემი წიგნი“	„შენი წიგნი“	„იმისი წიგნი“
2. მოთხ.	სე ჟაგნო-ვ	ჰჲე ჟაგნო-ვ	ოჴუჲ ჟაგნო-ვ
3. მიც.	სე ჟაგნო-ნ	ჰჲე ჟაგნო-ნ	ოჴუჲ ჟაგნო-ნ
4. ნათ.	სე ჟაგნ-ო⁵	ჰჲე ჟაგნ-ო⁵	ოჴუჲ ჟაგნ-ო⁵
5. მოქმ.	სე ჟაგნო-ვ	ჰჲე ჟაგნო-ვ	ოჴუჲ ჟაგნო-ვ
6. გარდაქც.	სე ჟაგნო-ღ	ჰჲე ჟაგნო-ღ	ოჴუჲ ჟაგნო-ღ
7. გამსჭვ.	სე ჟაგნო-ხ	ჰჲე ჟაგნო-ხ	ოჴუჲ ჟაგნო-ხ
8. თანაობ.	სე ჟაგნო-ცი⁵	ჰჲე ჟაგნო-ცი⁵	ოჴუჲ ჟაგნო-ცი⁵
9. მიმართ. I	სე ჟაგნო-გ	ჰჲე ჟაგნო-გრ	ოჴუჲ ჟაგნო-გრ
10. მიმართ. II	სე ჟაგნო-ლო	ჰჲე ჟაგნო-ლო	ოჴუჲ ჟაგნო-ლო

მრ. რ.

სახ.	თხე⁵ ჟუგნუ-ჲ	შუ⁵ ჟაგნუ-ჲ	ოჴრი⁵ ჟაგნუ-ჲ
	„ჩვენი წიგნები“	„თქვენი წიგნები“	„იმათი წიგნები“
მოთხ.	თხე ჟაგნუ-ჲ-ვ	შუ ჟაგნუ-ჲ-ვ	ოჴარ ჟაგნუ-ჲ-ვ
მიც.	თხე ჟაგნუ-ჲ-ნ	შუ ჟაგნუ-ჲ-ნ	ოჴარ ჟაგნუ-ჲ-ნ
ნათ.	თხე ჟაგნ-რ⁵	შუ ჟაგნ-რ⁵	ოჴარ ჟაგნ-რ⁵
მოქმ.	თხე ჟაგნუ-ჲ-ვ	შუ ჟაგნ-უ-ჲ-ვ	ოჴარ ჟაგნუ-ჲ-ვ
გარდაქც.	თხე ჟაგნ/უ/-ჲ-ღ	შუ ჟაგნუ-ჲ-ღ	ოჴარ ჟაგნუ-ჲ-ღ
გამსჭვ.	თხე ჟაგნრ-ხ	შუ ჟაგნო-ხ	ოჴარ ჟაგნო-ხ
თანაობ.	თხე ჟაგნუ-ჲ-ცი⁵	შუ ჟაგნუ-ჲ-ცი⁵	ოჴარ ჟაგნუ-ჲ-ცი⁵
მიმართ. I	თხე ჟაგნუჲ-გრ	შუ ჟაგნუ-ჲ-გრ	ოჴარ ჟაგნუ-ჲ-გრ
მიმართ. II	თხე ჟაგნუჲ-ლო	შუ ჟაგნუ-ჲ-ლო	ოჴარ ჟაგნუ-ჲ-ლო

როგორც ზემოთ მოყვანილ ბრუნვათა პარადიგმიდან ჩანს, კუთვნილებითი ნაცვალსახელები ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავენ; ასევე აღსანიშნია ისიც, რომ თუ სახელობით ბრუნვაში კუთვნილებითი ნაცვალსახელი ნაზალურ ხმოვანზე ბოლოვდება, შემდგომ ყველა ბრუნვაში ხდება აღნიშნული ნაზალური ხმოვნის დენაზალიზაცია, რაც ახსნას მოითხოვს — რა იწვევს ხმოვნის ამგვარ ფონეტიკურ ტრანსფორმაციას?

ახლა ვნახოთ, როგორ სურათს იძლევა ცალკე ბრუნება კუთვნილებითი ნაცვალსახელისა. ვაბრუნოთ როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში.

მხ. რ.

1. სახ.	სე^{ნ} „ჩემი“	ჰ̃ე^{ნ} „შენი“	ოჷუ^{ნ} „მისი“
2. მოთხ.	სე-ჩო-ვ	ჰ̃ე-ჩო-ვ	ოჷუ-ჩო-ვ
3. მიც.	სე-ჩო-ნ	ჰ̃ე-ჩო-ნ	ოჷუ-ჩო-ნ
4. ნათ.	სე-ჩ-ო^{ნ}	ჰ̃ე-ჩ-ო^{ნ}	ოჷუ-ჩ-ო^{ნ}
5. მოქ.	სე-ჩო-ვ	ჰ̃ე-ჩო-ვ	ოჷუ-ჩო-ვ
6. გარდ.	სე-ჩო-ღ	ჰე-ჩო-ღ	ოჷუ-ჩო-ღ
7. გამსჭ.	სე-ჩო-ხ	ჰ̃ე-ჩო-ხ	ოჷუ-ჩო-ხ
8. თანაობ.	სე-ჩო-ცი^{ნ}	ჰ̃ე-ჩო-ცი^{ნ}	ოჷუ-ჩო-ცი^{ნ}
9. მიმართ. I	სე-ჩო-გ	ჰ̃ე-ჩო-გ	ოჷუჩო-გრ
10. მიმართ. II	სე-ჩო-ლ	ჰ̃ე-ჩო-ლ	ოჷუ-ჩო-ლ

მრ. რ.

სახ.	თხე^{ნ} „ჩვენი“ (ექსკლ.)	ვაჷ^{ნ} „ჩვენი“ (ინკლ.)	შუ^{ნ} „თქვენი“	ოჷრი^{ნ} „მათი“
მოთხ.	თხე-ჩო-ვ	ვაჷ-ჩო-ვ	შუ-ჩო-ვ	ოჷარ-ჩო-ვ
მიც.	თხე-ჩო-ნ	ვაჷ-ჩო-ნ	შუ-ჩო-ნ	ოჷარ-ჩო-ნ
ნათ.	თხე-ჩ-ო^{ნ}	ვაჷ-ჩ-ო^{ნ}	შუ-ჩ-ო^{ნ}	ოჷარ-ჩ-ო^{ნ}

მოქმ.	თხე-ჩო-ვ	ვაჲ-ჩო-ვ	შუ-ჩო-ვ	ოჭარ-ჩო-ვ
გარდაქც.	თხე-ჩო-ღ	ვაჲ-ჩო-ღ	შუ-ჩო-ღ	ოჭარ-ჩო-ღ
გამსჭვ.	თხე-ჩო-ხ	ვაჲ-ჩო-ხ	შუ-ჩო-ხ	ოჭარ-ჩო-ხ
თანაობ.	თხე-ჩო-ცი^{ნ}	ვაჲ-ჩო-ცი^{ნ}	შუ-ჩო-ცი^{ნ}	ოჭარ-ჩო-ცი^{ნ}
მიმართ. I	თხე-ჩო-გ	ვაჲ-ჩო-გ	შუ-ჩო-გ	ოჭარ-ჩო-გ
მიმართ. II	თხე-ჩო-ლ	ვაჲ-ჩო-ლ	შუ-ჩო-ლ	ოჭარ-ჩო-ლ

როგორც ბრუნების პარადიგმიდან ჩანს, ცალკე ნაბრუნები კუთვნილებითი ნაცვალსახელი, გარდა სახელობითისა, ყველა დანარჩენ ბრუნვაში ავლენს -ჩო - ელემენტს ბრუნვის ნიშანთა წინ.

ერგატივში მხოლობითში და მრავლობითშიც დაერთვის -ვ. თავისებურებას ავლენს კვლავ ნათესაობითი ბრუნვა. ჩვენ ბრუნვის ნიშნად გამოვყოფთ ნაზალურ -ო^{ნ}-ს.

წოვა-თუშურ ენაში გამოვყოფთ ნაცვალსახელთა ერთ ჯგუფს, რომელსაც აღვნიშნავთ ტერმინით — **უკუქცევითი ნაცვალსახელები**. ესენია: საჲ^{ნ} „ჩემი", ჰხაი^{ნ} „შენი", შარი^{ნ} „თავისი" (свой). პირველისა და მეორის თარგმანი მთლად ზუსტი არ არის, ქართულს ეს სიტყვები არ გააჩნია, ხოლო მესამე „შარი^{ნ}", ვფიქრობთ ქართული „თავისი" მისი ზუსტი შესატყვისია. თუ ეს ასეა, მაშინ ქართულ ენაშიც უნდა დავუშვათ უკუქცევითი ნაცვალსახელის არსებობა, როგორც ეს გერმანულშია sich, ხოლო რუსულში ზმნასთან — ся. იმ განსხვავებით, რომ აღნიშნულ ენებში ეს ელემენტები (sich და -ся) ზმნას ახლავს, წოვა-თუშურ ენაში კი ზემოთ წარმოდგენილი ნაცვალსახელები (საჲ, ჰხაჲ, შარი^{ნ}) შესაბამის არსებით სახელს ახლავს და წინადადებაში გვევლინება **მსაზღვრელის ფუნქციით**. არსებითი სახელი, რომელსაც უკუქცევითი ნაცვალსახელი უძღვის წინ და ამ საგნის კუთვნილებას გამოხატავს, წინადადებაში ის პირდაპირი ობიექტის ფუნქციას ას-

რულებს. მაგალითად: ას **საჲ** ჟაგნრ ხაჲტჱნას — მე **ჩემი** (და არა სხვისი) წიგნი წავიკითხე.

როგორც ვხედავთ, უკუქცევითი ნაცვალსახელები (საჲ, ჰჱაჲ, შარი^{ნ}) თავისი სემანტიკით ახლოს დგას კუთვნილებით ნაცვალსახელებთან (სე^{ნ}, ჰჱე^{ნ}, ოჴუჲ^{ნ}), ოღონდ მათი გამოყენება ენის სისტემაში განსხვავებულია, მათი ერთმანეთის ჩანაცვლება წინადადებაში იწვევს შინაარსის დიფერენცირებას.

უკუქცევით ნაცვალსახელებს აქვთ მრავლობითის ფორმები: თხაჲ^{ნ} „ჩვენი", შუჲ^{ნ} „თქვენი", „თავიანთი". მრავლობითში მეორე და მესამე პირის უკუქცევითი ნაცვალსახელები ფორმით ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ III პირის ბრუნვათა ფორმებს აქ აღარ გავიმეორებთ.

ქვემოთ წარმოვადგენთ უკუქცევით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმებს, როგორც მხოლობითში, ასევე მრავლობითში.

მხ. რ.

სახ.	საჲ^{ნ} „ჩემი"	ჰჱაჲ^{ნ} „შენი"	შარი^{ნ} „თავისი"
ერგ.	საჲ-ჩო-ვ	ჰჱაჲ-ჩო-ვ	შაჲრ-ჩო-ვ
მიც.	საჲ-ჩო-ნ	ჰჱაჲ-ჩო-ნ	შაჲრ-ჩო-ნ
ნათ.	საჲ-ჩო-ო^{ნ}	ჰჱაჲ-ჩ-ო^{ნ}	შაჲრ-ჩ-ო^{ნ}
მოქ.	საჲ-ჩო-ვ	ჰჱაჲ-ჩო-ვ	შაჲრ-ჩო-ვ
გარდაქ.	საჲ-ჩო-ღ	ჰჱაჲ-ჩო-ღ	შაჲრ-ჩო-ღ
გამსჭვ.	საჲ-ჩო-ხ	ჰჱაჲ-ჩო-ხ	შაჲრ-ჩო-ხ
თანაობ.	საჲ-ჩო-ცი^{ნ}	ჰჱაჲ-ჩო-ცი^{ნ}	შაჲრ-ჩო-ცი^{ნ}
მიმართ. I	საჲ-ჩო-გ	ჰჱაჲ-ჩო-გ	შაჲრ-ჩო-გ
მიმართ. II	საჲ-ჩო-ლ	ჰჱაჲ-ჩო-ლ	შაჲრ-ჩო-ლ

მრ. რ.

სახ.	თხაჲ^{ნ} „ჩვენი" (ექსკლ.)	ვაჲ^{ნ} (ინკლ.)	შუჲ^{ნ} „თქვენი" თავიანთი

ერგ.	თხაჲ-ჩო-ვ	ვაჲ-ჩო-ვ	შუჲ-ჩო-ვ
მიც.	თხაჲ-ჩო-ნ	ვაჲ-ჩ-ონ	შუჲ-ჩო-ნ
ნათ.	თხაჲ-ჩ-ო^{ნ}	ვაჲ-ჩ-ო^{ნ}	შუჲ-ჩ-ო^{ნ}
მოქ.	თხაჲ-ჩო-ვ	ვაჲ-ჩო-ვ	შუჲ-ჩო-ვ
გარდაქ.	თხაჲ-ჩო-ღ	ვაჲ-ჩო-ღ	შუჲ-ჩო-ღ
გამსჭვ.	თხაჲ-ჩო-ხ	ვაჲ-ჩო-ხ	შუჲ-ჩო-ხ
თანაობ.	თხაჲ-ჩო-ცი^{ნ}	ვაჲ-ჩო-ცი	შუჲ-ჩო-ცი^{ნ}
მიმართ. I	თხაჲ-ჩო-გ	ვაჲ-ჩო-გ	შუჲ-ჩო-გ
მიმართ. II	თხაჲ-ჩო-ლ	ვაჲ-ჩო-ლ	შუჲ-ჩო-ლ

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები

წოვა-თუშურ ენას აქვს ორი კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი. ესენია: ჰჯაჲნ „ვისი"? სტჩნ „რისი"? ორივე მომდინარეობს კითხვითი ნაცვალსახელებისაგან — მე^{ნ} „ვინ"? ვუხ „რა"?

პირველი — **ჰჯაჲნ** — გონიერთა კლასის სახელთა მიმართ დაისმის. მაგალითად: ჰჯაჲნ და ე ჟაგნო? ვისია ეს წიგნი? ანდა — ჰჯაჲნ ჲეთჲ ბალი^{ნ}? ვისი ძროხა მოკვდა?

ხოლო სტჩნ? დაისმის არაგონიერთა კლასის სახელთა მიმართ. მაგალითად: სტჩნ ბა ე ჯაბიკ? რისაა ეს კოვზი? ე ბა ხენე^{ნ} ჯაბიკ — ეს არის ხის კოვზი.

ეს ორივე ნაცვალსახელი იბრუნვის, ოღონდ გონიერთა კლასის კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელს (ჰჯაჲნ?) არ გააჩნია **მოქმედებითი ბრუნვის ფორმა**. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ეს ბრუნვა არ გააჩნია აგრეთვე გონიერთა კლასის კითხვით ნაცვალსახელს მე^{ნ} „ვინ"? რომლისგანაც მომდინარეობს **ჰჯაჲნ**?

ქვემოთ წარმოვადგენთ აღნიშნულ ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმას.

	მხ. რ.	
სახ.	ჰჲაჲნ „ვისი“	სტინ „რისა“
ერგ.	ჰჲაჲნ-ჩო-ვ	სტინ-ჩო-ვ
მიც.	ჰჲაჲნ-ჩო-ნ	სტინ-ჩო-ნ
ნათ.	ჰჲაჲნ-ჩ-ო^{ნ}	სტინ-ჩ-ო^{ნ}
მოქ.	—	სტინ-ჩო-ვ
გარდაქ.	ჰჲაჲნ-ჩო-ღ	სტინ-ჩო-ღ
გამსჭვ.	ჰჲაჲნე-ჩო-ხ	სტინ-ჩო-ხ
თანაობ.	ჰჲაჲნ-ჩო-ცინ	სტინ-ჩო-ცინ
მიმართ. I	ჰჲაჲნ-ჩო-გ	სტინ-ჩო-გ

ამ ნაცვალსახელთა ბრუნვათა ფორმები შედარებით ნაკლებად იხმარება. პარადიგმაში გამოვლენილი -ჩო- ელემენტი კი იმის მანიშნებელია, რომ კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები ატრიბუტულ სიტყვათა სემანტიკასაც ითავსებენ.

მიმართებითი ნაცვალსახელები.

წოვა-თუშურ ენას გააჩნია აგრეთვე მიმართებითი ნაცვალსახელებიც, რომლებიც იწარმოება კითხვით ნაცვალსახელებზე ჲ←ი ნაწილაკის დართვით. ეს „ი“ ნაწილაკი თავის ფუნქციით ქართულ „ც“ ნაწილაკს უდრის.

მიმართებითი ნაცვალსახელებია: მენა-ჲ „ვინც“, ვუნე-ჲ „რაც“, მენუხა-ჲ „რომელიც“, მოჰჲე-ჲ „როგორც“, მერ̃ე-ჲ „რამდენიც“, ჰჲენა-ჲ „ვისიც“, სტინე-ჲ „რისიც“, მიჩრენა-ჲ „სადაურიც“, „საიდანაც“.

ზოგიერთ მიმართებით ნაცვალსახელს მრავლობითის ფორმაც აქვს. მაგალითად. მხ. მენა-ჲ „ვინც“, მრ. მენ-იშ-აჲ „ვინებიც“, მხ. მენუხა-ჲ „რომელიც“, მრ. მენხუ-ჲ-ა „რომლებიც“.

აქედან იბრუნვის მხოლოდ მენუხაჲ „რომელიც“ და მენხუ-ჲ-ა „რომლებიც“.

ქვემოთ წარმოვადგენთ ამ ორი ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმას.

	მხ. რ.	*მრ. რ.*
სახ.	მენუხა-ჲ „რომელიც“,	მენხუ-ჲ-ა „რომლებიც“
ერგ.	მენხუ-ჲ-ჩო-ვ-ა-ჲ	მენხუ-ჩუ-ჲშ-ვ-ა-ჲ
მიც.	მენხუ-ჲ-ჩო-ნ-ა-ჲ	მენხუ-ჩუ-ჲშ-ნ-ა-ჲ
ნათ.	მენხუ-ჲ-ჩ-ო^{ნ}	მენხუ-ჩუ-ჲშ-ნ-აჲ
მოქმ.	მენხუ-ჲ-ჩო-ვ-ა-ჲ	მენხუ-ჩუ-ჲშ-ვ-აჲ
გარდაქ.	მენხუ-ჲ-ჩო-ღ-ა-ჲ	მენხუ-ჩუ-ჲშ-ღ-აჲ
გამსჭვ.	მენხუ-ჲ-ჩო-ხ-ა-ჲ	მენხუ-ჩუ-ჲშ-ხ-ა
თანაობ.	მენხუ-ჲ-ჩო-ცინ-აჲ	მენხუ-ჩუ-ჲშ-ცინ-აჲ
მიმართ. I	მენხუ-ჲ-ჩო-გოჰჲ-აჲ	მენხუ-ჩუ-ჲშ-გო-ჲ
მიმართ. II	—	მენხუ-ჩუ-ჲშ-ლოჰჲ-აჲ

მრავლობითში -ჩუ ელემენტი არის -ჩო ელემენტის ფონეტიკური ვარიანტი: ჩო-ჲშ→შუ-ჲშ.

მოქმედებითი, გარდაქცევითი და გამსჭვალვითი ბრუნვათა ფორმები იშვიათად იხმარება მეტყველებაში.

წოვა-თუშურს გააჩნია ურთიერთობითი ნაცვალსახელი „ვაშა“ — „ერთმანეთი“, რომელიც საკმაოდ პროდუქტიულია; ამ ნაცვალსახელს არ გააჩნია ერგატივი, მოქმედებითი და გარდაქცევითი.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია შარო^{ნ} „თვითონ“, ჴენა „სხვა“. პირველს არ გააჩნია მოქმედებითი ბრუნვა, ხოლო მეორე (ჴენა) სრულად იბრუნვის, როგორც მხოლობითში, ასევე მრავლობითში:

	მხ. რ.	*მრ. რ.*
სახ.	ჴენა „სხვა“	ჴენ-ი „სხვები“
ერგ	ჴე-ჩო-ვ	ჴე-ჩუ-ჲშ-ვ
მიც.	ჴე-ჩო-ნ	ჴე-ჩუ-ჲშ-ნ
ნათ.	ჴე-ჩ-ო^{ნ}	ჴე-ჩ-ო^{ნ}
მოქ.	ჴე-ჩო-ვ	ჴე-ჩუ-ჲშ-ვ
გარდაქ.	ჴე-ჩო-ღ	ჴე-ჩუ-ჲშ-ღ
გამსჭვ.	ჴე-ჩო-ხ	ჴე-ჩუ-ჲშ-ხ
თანაობ.	ჴე-ჩო-ცი^{ნ}	ჴე-ჩუ-იწ-ცი^{ნ}
მიმართ. I	ჴე-ჩო-გრ	ჴე-ჩუ-ჲშ-გრ
მიმართ II	—	ჴე-ჩუ-ჲშ-ლო

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: მემლი „ვინმე“, ვუმ „რამე“, მენახ „ვიღაცა“, ვუნახ „რაღაცა“.

აქედან მრ. რ. აქვს ორს: მხ. რ. მენახ „ვიღაცა“. მრ. მენახ-ი//მენახ-ში — „ვიღაცები“. მხ. რ. ვუნახ „რაღაცა“, მრ. რ. ვუნახ-ი//ვუნახ-ში „რაღაცები“, იბრუნვის „მენახ“ და „ვუნახ“. ირიბ ბრუნვებში ყველას ბრუნვათა ნიშნების წინ უჩნდებათ აბრუბტივებისთვის დამახასიათებელი „-ჩო-“ ელემენტი, რომლის გენეზისი და ისტორიული ფუნქცია გაურკვეველია.

	მხ. რ.	*მრ. რ.*
სახ.	მენახ — „ვიღაცა“	მენახ-ში
ერგ.	ჰჲანახ-ჩო-ვ	ჰჲანახ-ჩუ-ჲშ-ვ
მიც.	ჰჲანახ-ჩო-ნ	ჰჲანახ-ჩუ-ჲშ-ნ
ნათ.	ჰჲანახ-ჩ-ო^{ნ}	ჰჲანახ-ჩ-ო^{ნ}
მოქ.	—	ჰჲანახ-ჩუ-ჲშ-ვ
გარდაქ.	ჰჲანახ-ჩო-ღ	ჰჲანახ-ჩუ-ჲშ-ღ
გამსჭვ.	ჰჲანახ-ჩო-ხ	ჰჲანახ-ჩუ-ჲშ-ხ

	მხ. რ.	*მრ. რ.*
სახ.	**ვუნახ**	**ვუნახ-ში**
ერგ.	**სტენახ-ჩო-ვ**	**სტენახ-ჩუ-ąш-ვ**
მიც.	**სტენახ-ჩო-ნ**	**სტენახ-ჩუ-ąш-ნ**
ნათ.	**სტენახ-ჩ-ო^{ნ}**	**სტენახ-ჩ-ო^{ნ}**
მოქ.	**სტენახ-ჩუ-ąш-ვ**	**სტენახ-ჩუ-ąш-ვ**
გარდაქ.	**სტენახ-ჩუ-ąш-ღ**	**სტენახ-ჩუ-ąш-ღ**
გამსჭვ.	**სტენახ-ჩო-ąш-ხ**	**სტენახ-ჩუ-ąш-ხ**

უარყოფითი ნაცვალსახელები: ცომენა „არავინ“, ცჰხაცომ „არაფერი“, ცომ „არაფერი“.

ამ ნაცვალსახელებში იბრუნვის მხოლოდ ცომენა — „არაფერი“. თუმცა მისი ბრუნვების ფორმები ცალ-ცალკე იშვიათად იხმარება. იბრუნვის მხოლოდ მხოლობით რიცხვში, მრ. რ. მას საერთოდ არ გააჩნია:

სახ.	**ცომენა**
ერგ.	**ცოჰხან-ე**
მიც.	**ცოჰხან-ნა**
ნათ.	**ცოჰხან-ი^{ნ}**

ინკლუზივ-ექსკლუზივი

წოვა-თუშურ ენას პირველი პირის მრავლობითში ორი ნაცვალსახელი აქვს, რომელთაც სპეციალურ ლიტერატურაში ინკლუზივ-ექსკლუზივს უწოდებენ.

ინკლუზივი — ვაą „ჩვენ“ — გამოხატავს მოლაპარაკეს და მეორე პირს, ვისაც ელაპარაკება, ე.ი. მე და შენ (თქვენ) ერთად აღებული არის **ინკლუზივი**.

მაგ.: **ვაą** (ე.ი. მე და შენ, ან მე და ჩვენ) ჩუ ხაბჟუą, მეąწაą ąაყო — ჩვენ (მე და შენ) დავსხდეთ და პური ვჭამოთ.

ექსკლუზივი — თხო „ჩვენ“ — გამოხატავს მოლაპარაკესა და მესამე პირს ერთად აღებულს. მაგ.: „ათხ (ე.ი. მე და ისინი) ცჰჲაღ ფჰჲე ბახე^{ნ} — ჩვენ (მე და ის, ისინი) ერთად სოფელში წავედით.

გარდა აღნიშნული სემანტიკური სხვაობისა, ეს ორი ნაცვალსახელი გრამატიკული ფუნქციითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, კერძოდ ექსკლუზივი „თხო“ ზმნასთან გაფორმდა **მეორე პირის ნიშნად მრავლობითში**, ხოლო ინკლუზივი „ვაჲ“ კვლავ **დამოუკიდებელი** ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებს. მაგ.: ათხ ჟაგნო **ხეტჰოთხ** — ჩვენ წიგნს ვკითხულობთ. მაჲწ **ჲაყოთხ** — პურს ვჭამთ. და ა.შ.

ბრუნების პარადიგმაშიც ავლენენ ისინი გარკვეულ სხვაობას. ექსკლუზივი **თხო** ფუძეში ხმოვანთმონაცვლეობას გვიჩვენებს, მაშინ, როცა ინკლუზივი ვაჲ ბრუნების სისტემაში უცვლელია. მაგ.:

1. სახ.	**თხო**	**ვაჲ**
2. ერგ.	**ათხ**	**ვაჲ**
3. მიც.	**თხ-ო^{ნ}**	**ვაჲ-ნ**
4. ნათ.	**თხ-ე^{ნ}**	**ვა-ჲ^{ნ}**
5. მოქ.	—	—
6. გარდაქ.	**თხო-ღ**	**ვე-ღ**
7. გამსჭვ.	**თხო-ხ**	**ვე-ხ**
8. თანაობ.	**თხო-ცი^{ნ}**	**ვე-ცი^{ნ}**
9. მიმართ. I	**თხოგრ**	**ვე-გრ**
10. მიმართ. II	**თხო-ლო**	**ვეჲ-ლო**

დერივაცია

ნოვა-თუშურ ენაში აწმყოსა და მყოფადის ფორმებზე **-ილა** სუფიქსის დართვით იწარმოება ახალი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გამოხატავენ მოქმედების ადგილს, მოქმედების შესაძლებლობას და გადაჰკრავს აბსტრაქტულობის ნიუანსიც დროის თვალსაზრისით.

მაგალითები:

1. **ესე ჟაგნუჲ ხეტჱუ-ჲლა და** —
   აქ წიგნებს კითხულობენ.
2. **მეჲჴ ჲაყუ-ჲლა მაცაᵑ და?** —
   პურის ჭამის დრო როდის არის?
3. **ლოუმ იხუ-ჲლა მაცაᵑ და?** —
   მთაში ასვლის დრო როდის არის?
4. ნინუᵑ შო **ჴაჩუ-ჲლა** დიჴნუჲცეჲშ, მარა ღაზიშ მო დინუჲშ
   — ნინოს წლისთავი გადაგიხდიათ, რა კარგი გიქნიათ.
5. **თეყ-ილა** „აღდგომა“ (სამხვეწრო)...

მასდარის ფორმაზე **-იკ** სუფიქსის დართვით იწარმოება მოქმედებითი გვარის მიმღეობა:

დულ-არ „ყვირილი“ → დულ-არ-იკ
→ **დულრიკ** „მყვირალა“.
დათხ-არ „ტირილი“ → დათხ-არ-იკ
→ **დათხრიკ** „მტირალა“.
ხეტჱ-არ „კითხვა“ → ხეტჱარ-იკ
→ **ხეტჱრიკ** „კითხვის მოყვარული“.

აბსტრაქტული სახელები

წოვა-თუშურ ენას აბსტრაქტულობის სამი მაწარმოებელი აქვს: **-ოლ, -ლობ** და **-ა**.

-ოლ და **-ა** იხმარება ატრიბუტულ სახელებთან, ხოლო **-ლობ** კი არსებით სახელებთან.

მაგალითები:
ღაზე^{5} „კარგი“ — **ღაზ-ოლ** „სიკარგე“.
მოსჲი^{5} „ცუდი“ — **მოსჲ-ოლ** „სიცუდე“.
წეგე^{5} „წითელი“ — **წეგ-ოლ** „სიწითლე“.
დური^{5} „მლაშე“ — **დურ-ოლ** „სიმლაშე“.
ყაჰჲე^{5} „მწარე“ — **ყაჰჲ-ოლ** „სიმწარე“ და სხვ.

-ლობ სუფიქსით აბსტრაქტული სახელები იწარმოება არსებითი სახელებისგან. ეს სუფიქსი რთული შედგენილობისაა: **-ლობ←ოლ+ობ. -ობ←ობა** ქართულიდან შესული აბსტრაქტულობის სუფიქსია. ორი სხვადასხვა ენის სუფიქსთა შერწყმით მივიღეთ ახალი სუფიქსი აბსტრაქტულობისა.[1]

მაგალითები:
სტაკ „კაცი“ — **სტაკ-ლობ** „კაცობა“.
ɐოჰჲ „გოგო“ — **ɐაჰჲ-ლობ** „ქალობა“.
კნათ „ვაჟი“ — **კნათ-ლობ** „ვაჟობა“.
ნან „დედა“ — **ნან-ლობ** „დედობა“ და სხვ.

ზედსართავ სახელთა გარკვეულ ფორმებს აწარმოებს **-ა** სუფიქსი.

---

1. კ. ჭრელაშვილი. ქართულიდან ნასესხები ერთი სუფიქსი ბაცბურ (წოვა-თუშურ) ენაში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 152.

მაგალითები:
ღაზე^{ნ} „კარგი“ — **ღაზნ-ა** „სიკარგე“.
მოსჲი^{ნ} „ცუდი“ — **მუჲსნ-ა** „სიცუდე“.
ლახუ^{ნ} „დაბალი“ — **ლააჲხნ-ა** „სიდაბლე“.
ლაჭე^{ნ} „მაღალი“ — **ლაჭნ-ა** „სიმაღლე“.
ყარჭი^{ნ} „შავი“ — **ყაჲრჭნ-ა** „სიშავე“ და ა.შ.

ამ ენის მკვლევრები აღნიშნულ ელემენტს **(ა)** აბსტრაქტულობის ფუნქციას მიაწერენ. ა. შიფნერი მის გვერდით გამოყოფს აგრეთვე **-ნა** სუფიქსსაც, რაც **ლ. სანიკიძის** საფუძვლიანი შენიშვნით სინამდვილეს არ შეესაბამება. მისი აზრით, **-ნა←ნ+ა**. აქ **-ნ** არის ზედსართავი სახელის მაწარმოებელი ფორმანტის **შემადგენელი ელემენტი**.[1]

ჩვენი აზრით, დამატებით ძიებას მოითხოვს ორი სხვადასხვა აფიქსის (**-ოლ** და **-ა**) მნიშვნელობათა განმასხვავებელი ნიუანსები. თუ ამოვალთ იმ ზოგადი თეორიული პოსტულატიდან, რომლის მიხედვითაც ენა ადეკვატური ფუნქციის მქონე ორ ან მეტ ერთეულს ვერ იტანს, რადგანაც ეს მისი სისტემურობის არსიდან გამომდინარე, **სიჭარბეა**.

ენის სისტემურობა კი, როგორც ცნობილია თეორიული ლინგვისტიკიდან, ემყარება ეკონომიის პრინციპს. ამ ზოგადი დებულების მიხედვით, რომელიც ლინგვისტიკაში არსებითად აღიარებულია, წოვა-თუშურში **-ოლ** და **-ა** მნიშვნელობათა ადეკვატურობა მოხსნილია.

მაშ რა სემანტიკური ნიშნით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან? აი კითხვა, რომელიც პასუხს მოითხოვს.

ჩვენი დაკვირვებით, **-ა** ფორმანტი, გარდა აბსტრაქტულობისა, უნდა გამოხატავდეს საგნის ან მოვლენის თვისების მა-

1. ლ. სანიკიძე. -ოლ, -ალლა, -ალ, -ა სუფიქსები ნახურ ენებში, იკე, ტ. 25. თბილისი, 1986, გვ. 221.

რადიულობას, „სიმრავლეს“. ალბათ ამის გამოა, რომ ასეთ ფორმებს მრავლობითის მაწარმოებელი არ დაერთვის, როგორც ამას ადგილი აქვს -ოლ სუფიქსით ნაწარმოებ აბსტრაქტულ ზედსართავ სახელებთან.

წოვა-თუშური ენის ზმნა არის ყველაზე რთული და მრავალი გრამატიკული კატეგორიის მქონე მეტყველების ნაწილი. მისი ძირითადი ფუნქციაა მოქმედების პროცესის ან მდგომარეობის გამოხატვა.

წოვა-თუშურ ზმნას გააჩნია შემდეგი მორფოლოგიური კატეგორიები: უღლილება, კლასკატეგორია, პირის კატეგორია, კაუზატივის კატეგორია, კილოს კატეგორია, გვარის კატეგორია, ასპექტის კატეგორია.

ზმნის რიგი გრამატიკული კატეგორიები გამოიხატება როგორც სინთეზური, ასევე ანალიზური ფორმებით ანუ მეშველი ზმნებით.

უღლების სისტემა

წოვა-თუშური ენის ზმნათა უღლების სისტემა ხასიათდება დრო-კილოთა ფორმების საოცარი სიუხვით. ენის გლობალური სისტემის ეს ყველაზე რთული და ცენტრალური პრობლემა, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ არ არის სათანადო სისრულით შესწავლილი. დღემდე არ არის დადგენილი უღლების სრული სისტემა.

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ჩვენ მიერ დადგენილი წოვა-თუშური ენის ზმნათა უღლების პარადიგმა. საილუსტრაციოდ ვიღებთ ისეთ ზმნებს, რომელთაც გამონაკლისი არა აქვთ და გააჩნია ყველა მწკრივის ფორმა, ე.ი. პარადიგმა სიმეტრიული აქვთ.

როგორც ცნობილია, წოვა-თუშურმა ზმნამ გაიჩინა პირის კატეგორია, თუმცა მის პარალელურად კვლავ ფუნქციონირებს ამოსავალი უპირისნიშნო ფორმებიც. რამდენადაც თანამედრო-

ვე წოვა-თუშურ ენაში გაბატონებულია პირიანი ფორმები, ამიტომ პარადიგმაში წარმოდგენილი გვაქვს ზმნის პირიანი ფორმები. ზმნურ ფორმებს ვიძლევით როგორც მხოლობითში, ასევე მრავლობითში. წოვა-თუშური ენის ზმნას გააჩნია რამდენიმე კილო: 1. თხრობითი, 2. ბრძანებითი, 3. კაუზატიური, 4. თხოვნითი, 5. ვნებითი.

ქვემოთ ნაუღლები იქნება თხრობითი კილოს ოდენპიროვანი ზმნები, რომელთაც გააჩნია ყველა მწკრივის ფორმა. ამით წარმოდგენილი იქნება წოვა-თუშური ზმნის უღლების სრული სიმეტრიული პარადიგმა.

რადგანაც წოვა-თუშურ ენას გააჩნია ისეთი მწკრივებიც, რომლებიც ქართულში ან სხვა ენებში არ გვხვდება, ამის გამო კი მათი სემანტიკის პირდაპირ, ცალსახად თარგმნა ძნელია, ამიტომ ჩვენ ვარჩიეთ საუღლებელი ზმნა მეტწილად წინადადებაში წარმოგვედგინა. ამით, რა თქმა უნდა, უღლების პარადიგმა მოცულობით იზრდება, ოღონდ, სამაგიეროდ ზმნურ ფორმათა სემანტიკის აღქმა მკითხველს არ გაუჭირდება.

უღლების სისტემის შიგნით გამოვყოფთ მწკრივთა სამ ჯგუფს, რომელთაც, მიღებული ტრადიციის მიხედვით, სერიებს ვუწოდებთ. **თითოეული სერიის მწკრივებს აერთიანებს საერთო საყრდენი (ამოსავალი) ფუძე. საყრდენი ფუძეებია აწმყოს, მყოფადისა და ნამყოსი.**

მწკრივებთან დაკავშირებით თავს იჩენს ტერმინოლოგიური ხასიათის სიძნელეები, კერძოდ კი, რა შეიძლება ეწოდოს ამა თუ იმ მწკრივს (ნაკვთს). ქართული ენის უღლების სისტემის წევრებთან დაკავშირებით ტერმინოლოგიურ სიძნელეებს ეხება აკაკი შანიძეც. ის წერს: „არსად ტრადიციული ტერმინები ისე ხელის შემშლელი არ ყოფილა, როგორც ზმნათა უღლების დარგში. ტრადიციის უგელებელყოფა რომ შესაძლებელი იყოს, სულ შესაცვლელია მთელი კომპლექტი მწკრივთა სახე-

ლებისა. იდეალური იქნებოდა, რომ მწკრივთა სახელების დარქმევის დროს მხედველობაში არ ყოფილიყო მიღებული მათი შემადგენელი ელემენტები, როგორიცაა დრო, კილო, ჯგროობა და სხვა, არამედ მონახულიყო სრულიად ნეიტრალური სახელები, — თუნდაც ხელოვნური, — რომლებიც მიეკუთვნებოდა ამა თუ იმ მწკრივს; ვთქვათ, სახელები დარქმეოდათ მათ ხეების სახელების მიხედვით: არყისა, ფიჭვისა, ნაძვისა, სოჭისა, წიფლისა, რცხილისა, წაბლისა, მუხისა და სხვა, რაც არსებითად ერთგვარი რეფორმა იქნებოდა, მაგრამ რადგანაც ამის შესაძლებლობა ამჟამად არ არის, ისეთი ხერხი მაინც უნდა იქნეს მოძებნილი, რომ მოვლენის არსებითი მხარე არ დაიჩრდილოს. მწკრივების სახელების დარქმევის დროს შეიძლება შემდეგი პრინციპით ვიხელმძღვანელოთ: როდესაც მწკრივში ელემენტთაგან მარტო დრო და კილო არის, თხრობით კილოიან მწკრივებს დროის მიხედვით დავარქვათ სახელი, სხვა კილოიან მწკრივებს კი — კილოთა მიხედვით. როდესაც მწკრივში დროსა და კილოს სხვა ელემენტებიც ემატება, მაშინ სახელის არჩევის დროს მთავარი ყურადღება ამ დამატებულ ელემენტს მიექცეს. თუ სადმე ნეიტრალური სახელი მოიძებნება, ტრადიციულად შემუშავებული, ის თავის ალაგას იქნეს გამოყენებული. ამ შემთხვევაშიც მწკრივის ცნება არ უნდა ავრიოთ დროის ან კილოს ცნებასთან". (იხ. ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 217.) ეს სიძნელე განსაკუთრებით ხელშესახებია ისეთი მწკრივების მიმართ, რომელთა ანალოგიც სხვა ენებში ვერ დასტურდება. ჩვენ ამ ტექნიკურ სირთულეს იმით დავაღწიეთ თავი, რომ საჭირო ტერმინების ძიებისას ორიენტაცია ავიღეთ **საყრდენი მწკრივის სახელწოდებაზე**. მაგალითად, აწმყოს სერიის მწკრივებს, რომლებიც უნახავ მოქმედებას (თურმეობითებს) გამოხატავს, ვუწოდეთ: 1. **აწმყოს პირველი თურმეობითი**, 2. **აწმყოს მეორე თურმეო-**

ბითი, 3. აწმყოს მესამე თურმეობითი. ამავე თანამიმდევრობით ვასახელებთ სხვა სერიების შესაბამის მწკრივებსაც.

რა თქმა უნდა, ისე როგორც ყოველი ტერმინი, ამ შემთხვევაშიც ჩვენ მიერ გამოყენებული ტერმინებიც პირობითია, მთავარი მაინც „ზმნის საუღლებელ ფუძეთა (ნაკვთთა) სისტემის დადგენა-დაზუსტებაა“ (არნ. ჩიქობავა).

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ცდა წოვა-თუშური ზმნის უღლების სისტემის სრული, სიმეტრიული პარადიგმის წარმოდგენისა. პარადიგმის სერიებს სახელებს ვარქმევთ ასეთი თანმიმდევრობით: 1. პირველი სერია, 2. მეორე სერია, 3. მესამე სერია.

თითოეული სერია თავისთავში უღლების ორ ტიპს შეიცავს — **სინთეზურსა** და **ანალიზურს**. პირველი ტიპის უღლებაში ზმნას მეშველი ზმნა არ ახლავს; პირის ნიშნები და მწკრივის მაწარმოებლები უშუალოდ დაერთვის ზმნის ძირს; ამიტომ ვუწოდებთ მას **სინთეზური უღლების ტიპს**.

ხოლო მეორე ტიპში საუღლებელ ზმნას დაერთვის მეშველი ზმნა „და-არის“; მწკრივების მიხედვით შესაბამის მორფოლოგიურ ელემენტებს, როგორც წესი, დაირთავს ეს მეშველი ზმნა;

ამის გამო მეშველზმნიან ზმნათა უღლებას ვუწოდებთ **ანალიზური უღლების ტიპს**.

ანალიზური უღლება ძირითადად დამახასიათებელია თურმეობითის მწკრივებისათვის. არის ისეთი ზმნებიც, რომლებიც ორივე ტიპის უღლებას განეკუთვნებიან. ამ მხრივ საჭიროა ზმნათა კლასიფიკაცია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წოვა-თუშურ ენაში პირის კატეგორია ახალია, მეორეულია. პირის ნიშნები მომდინარეობენ შესაბამისი ნაცვალსახელებისგან, რაც არაერთგზის არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში (ა. შიფნერი, რ. გაგუა,

ი. დეშერიევი). ამჟამად უპირისნიშნო ფორმები ზმნისა ხმარებიდან მთლად არ არის გასული. გაბმულ მეტყველებაში ისინი კვლავ იხმარება, ოღონდ ასეთ შემთხვევაში ზმნას, როგორც წესი, **წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი პირის ნაცვალსახელი.**

პირის ნიშანი **სუბიექტურია,** თუმცა ჩნდება ტენდენცია ენაში **ობიექტური** პირის ნიშნის გაჩენისა. მასალა აქაც ნაცვალსახელურია. თუ პირველ შემთხვევაში ნაცვალსახელის **ერგატიული** ფორმა მკვიდრდება პირის ნიშნად, მეორე შემთხვევაში, ე.ი. ობიექტის ნიშნად იქცევა შესაბამისი ნაცვალსახელის **სახელობითის** ფორმა.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტისა და ობიექტის ნიშნები მასალობრივად საერთო წარმომავლობისანი არიან, **სტრუქტურის მიხედვით დიფერენცირებულნია.** ამაში გარკვეულ როლს **მახვილის** ადგილიც ასრულებს ზმნაში. ობიექტური წყობისას მახვილი ფუძის **პირველ მარცვალზეა,** ხოლო სუბიექტური წყობისას მახვილი სიტყვის **ბოლო მარცვალზეა.**

მესამე პირში ზმნას საერთოდ პირის ნიშანი არა აქვს. ის პირველ და მეორე პირს **უნიშნობით უპირისპირდება.**

იმის მიხედვით, თუ როგორ აისახება ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში სუბიექტი და ობიექტი, წოვა-თუშურ ენაში გამოვყოფთ უღლების ოთხ ტიპს: 1. ნეიტრალურს, 2. ოდენპიროვანს, 3. კლასოვანს და 4. კლასოვან-პიროვანს.

ნეიტრალური ტიპის ზმნათა უღლების პარადიგმაში პირის ნიშნები — არც ობიექტისა და არც სუბიექტისა — არ აისახება. ასეთი ვითარებაა **უკლასნიშნო** ზმნებთან. აქ საქმე გვაქვს ყველაზე მარტივ პარადიგმასთან. სამივე პირში, როგორც მხოლობითში, ასევე მრავლობითში, ზმნური ფორმა უცვლელია.

მაგალითად:

I პ.	ას	„მე“
II პ.	აჰო	„შენ“

III პ. ოჴუს	„მან“	
I პ. ათხ	„ჩვენ“	ხატ^ʁ =
II პ. აჲშ	„თქვენ“	„წავიკითხე, წაიკითხე, წაიკითხა.
III პ. ოჴარ	„მათ“	წავიკითხეთ, წაიკითხეთ, წაიკითხეს“.

როგორც ვხედავთ, ილუსტრირებულ მაგალითში ქართულის **ექვს ფორმას** წოვა-თუშურში **მხოლოდ ერთი ფორმა შეესაბამება**. ეს ერთი ფორმა საერთოა, **ნეიტრალურია** პირისა და რიცხვის მიმართ. ამიტომ ვუწოდებთ მას **ნეიტრალურს**.

ოდენპიროვან ზმნებს ვუწოდებთ ისეთ ზმნურ ფორმებს, რომლებსაც **მხოლოდ პირის ნიშნები აქვთ**, კლასის ნიშნები კი საერთოდ არ გააჩნიათ. ზმნის მწკრივის ელემენტები იცვლება **პირისა და რიცხვის** მიხედვით. ამრიგად, ამ რიგის ზმნათა უღლების პარადიგმა შედარებით ნეიტრალურთან **რთული და მრავალწევრიანია**.

ასევე რთული და მრავალწევრიანია **კლასოვან-პიროვან** ზმნათა უღლების სისტემა. ეს ტიპი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ აქ ნათლად ჩანს **მონოპერსონალური ზმნიდან პოლიპერსონალური სტრუქტურის ზმნის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების მეტად მნიშვნელოვანი** პროცესი, რომელსაც, გარდა კონკრეტულისა, გააჩნია **ზოგადენათმეცნიერული** ღირებულებაც.

უღლების მეოთხე ტიპს ქმნის კლასოვანი ზმნები პირის ნიშნების გარეშე. წოვა-თუშური ენის ლინგვისტური ღირებულებაც სწორედ იმაშია, რომ ამ ენაში მეტყველების პროცესში ადგილი აქვს სხვადასხვა ფორმათა დუბლირებას, **ე.ი. სინქრონიულ ჭრილში ერთმანეთს ენაცვლება ძველი და ახალი ენობრივი ფორმები ისე, რომ მეტყველის ცნობიერებაში ეს მონაცვლეობა ბუნებრივი პროცესია.**

ჩვენ აქ საქმე გვაქვს ენის ცვალებადობის ცოცხალ უნიკალურ ფაქტთან.[1] იმისათვის, რომ უღლების პარადიგმა სიმეტრიული იყოს, წარმოდგენილი გვაქვს უკლასნიშნო პიროვან ზმნათა უღლება ყველა მწკრივში.

უღლების პარადიგმა მხოლოდ მწკრივების დასახელებით მოცემულია ქვემოთ;

ამის შემდეგ წარმოდგენილია ოდენპიროვან ზმნათა უღლება ყველა სერიაში და მწკრივში. ამით სახეზე გვეძლევა უღლების სრული სიმეტრიული სისტემა.

პირველი სერია

აწმყოს წყება — სინთეზური წარმოება

1. აწმყო
2. აწმყოსგან ნაწარმოები ნამყო უსრული
3. ნამყო უსრულისაგან ნაწარმოები თურმეობითი

აწმყოს წყება — ანალიზური წარმოება

1. აწმყო
2. აწმყოსგან ნაწარმოები ნამყო უსრული
3. ნამყო უსრულისაგან ნაწარმოები თურმეობითი

აწმყოს წყება — ანალიზური წარმოების თურმეობითები

1. აწმყოს პირველი თურმეობითი
2. აწმყოს მეორე თურმეობითი
3. აწმყოს მესამე თურმეობითი

---

1. К.Т. Чрелашвили. Хронологические типы спряжения глаголов баскского языка и вопрос „полиперсонализма" в плане структурно-типологического сопоставления с грузинским полиперсональным глаголом. Ежегодник, ИКЯ, т. IX, Тбилиси, 1982.

მეორე სერია

მყოფადის წყება — სინთეზური წარმოება

1. მყოფადის პირველი
2. მყოფადის მეორე
3. მყოფადის მესამე

მყოფადის წყება — ანალიზური წარმოება

1. მყოფადის პირველი
2. მყოფადის მეორე
3. მყოფადის მესამე

მყოფადის თურმეობითები — ანალიზური წარმოება

1. მყოფადის პირველი თურმეობითი
2. მყოფადის მეორე თურმეობითი
3. მყოფადის მესამე თურმეობითი

მესამე სერია

ნამყოს წყება — სინთეზური წარმოება

1. ნამყო პირველი
2. ნამყო მეორე
3. ნამყო მესამე

ნამყოს წყება — სინთეზური წარმოების თურმეობითები

1. ნამყოს პირველი თურმეობითი
2. ნამყოს მეორე თურმეობითი
3. ნამყოს მესამე თურმეობითი

ნამყოს წყება — ანალიზური წარმოება

1. ნამყო პირველი
2. ნამყო მეორე
3. ნამყო მესამე

ნამყოს წყება — ანალიზური წარმოების თურმეობითები

1. ნამყოს მეოთხე თურმეობითი
2. ნამყოს მეხუთე თურმეობითი
3. ნამყოს მეექვსე თურმეობითი

წოვა-თუშური ზმნის უღლების სქემები

პირველი სერია

აწმყოს წყება — სინთეზური წარმოება

1. აწმყო

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ̆ ხერც-ო-ს — მე წიგნს ვცვლი.
II პ. აჰჲ ჟაგნრ̆ ხერც-ო-/ჰჲ/ — შენ წიგნს ცვლი.
III პ. ოჴუს ჟაგნრ̆ ხერც-რ̆-Ø — ის წიგნს ცვლის.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ̆ ხერც-ო-თხ — ჩვენ წიგნს ვცვლით.
II პ. აჲშ ჟაგნრ̆ ხერც-უ-ჲშ — თქვენ წიგნს ცვლით.
III პ. ოჴარ ჟაგნრ̆ ხერც-რ̆-Ø — ისინი წიგნს ცვლიან.

2. აწმყოსაგან ნაწარმოები ნამყო უსრული

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხერც-რ-ას — მე წიგნს ვცვლიდი.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხერც-რ-ა/ჰჲ/ — შენ წიგნს ცვლიდი.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხერც-ო-რ-Ø — ის წიგნს ცვლიდა.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხერც-რ-ათხ — ჩვენ წიგნს ვცვლიდით.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხერც-რ-აჲშ — თქვენ წიგნს ცვლიდით.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხერც-ო-რ — ისინი წიგნს ცვლიდნენ.

3. ნამყო უსრულისაგან ნაწარმოები თურმეობითები

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხერც-რ-ალო-ს —
მე წიგნს ვცვლიდი თურმე.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხერც-რ-ალო-ჰჲ —
შენ წიგნს ცვლიდი თურმე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხერც-რ-ალრ-Ø —
ის წიგნს ცვლიდა თურმე.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხერც-რ-ალო-თხ —
ჩვენ წიგნს ვცვლიდით თურმე.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხერც-რ-ალუ-ჲშ —
თქვენ წიგნს ცვლიდით თურმე.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხერც-რ-ალრ-Ø —
ისინი წიგნს ცვლიდნენ თურმე.

4. აწმყო

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხერც-დ-ო-ს — მე წიგნს ვცვლი.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხერც-დ-ო-ჰჲ — შენ წიგნს ცვლი.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხერც-ო-დ-რ — ის წიგნს ცვლის.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხერც-დ-ო-თხ — ჩვენ წიგნს ვცვლით.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხერც-დ-უ-ჲშ — თქვენ წიგნს ცვლით.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხერც-ო-დ-∅ — ისინი წიგნს ცვლიან.

5. აწმყოსაგან ნაწარმოები ნამყო უსრული

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხერც-დ-ო-რ-ას — მე წიგნს ვცვლიდი.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხერც-დ-ო-რ-ა/ჰჲ/ — შენ წიგნს ცვლიდი.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხერც-დ-ო-რ — ის წიგნს ცვლიდა.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხერც-დ-ო-რ-ათხ — ჩვენ წიგნს ვცვლიდით.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხერც-დ-ო-რ-აჲშ — თქვენ წიგნს ცვლიდით.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხერც-დ-ო-რ — ისინი წიგნს ცვლიდნენ.

6. ნამყო უსრულისაგან ნაწარმოები თურმეობითი

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ̆ ხერც-დ-ო-რ-ალო-ს —
მე წიგნს ვცვლიდი თურმე.

II პ. აჰ̆ ჟაგნრ̆ ხერც-დ-ო-რ-ალო-/ჰ̆/ —
შენ წიგნს ცვლიდი თურმე.

III პ. ოჴუს ჟაგნრ̆ ხერც-დ-ო-რ-ალრ̆-Ø —
ის წიგნს ცვლიდა თურმე.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ̆ ხერც-დ-ო-რ-ალო-თხ —
ჩვენ წიგნს ვცვლიდით თურმე.

II პ. აჲშ ჟაგნრ̆ ხერც-დ-ო-რ-ალუ-ჲშ —
თქვენ წიგნს ცვლიდით თურმე.

III პ. ოჴარ ჟაგნრ̆ ხერც-დ-ო-რ-ალრ̆-Ø —
ისინი წიგნს ცვლიდნენ თურმე.

აწმყოს წყება — ანალიზური წარმოების თურმეობითები

7. აწმყოს პირველი თურმეობითი

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ̆ ხერც-დ-ა-ნ-ო-ს —
მე წიგნს ვცვლი თურმე.

II პ. აჰ̆ ჟაგნრ̆ ხერც-დ-ა-ნ-ო-/ჰ̆/ —
შენ წიგნს ცვლი თურმე.

III პ. ოჴუს ჟაგნრ̆ ხერც-დ-ა-ნ-ო-Ø —
ის წიგნს ცვლის თურმე.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-თხ —
ჩვენ წიგნს ვცვლით თურმე.

II პ. აჲშ ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-უ-ჲშ —
თქვენ წიგნს ცვლით თურმე.

III პ. ოჴარ ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-რ-Ø —
ისინი წიგნს ცვლიან თურმე.

8. აწმყოს მეორე თურმეობითი

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-რ-ას —
მე წიგნს ვცვლიდი თურმე.

II პ. აჰჱ ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-რ-აჰჱ —
შენ წიგნს ცვლიდი თურმე.

III პ. ოჴუს ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ორ-Ø —
ის წიგნს ცვლიდა თურმე.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-რ-ათხ —
ჩვენ წიგნს ვცვლიდით თურმე.

II პ. აჲშ ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-რ-აჲშ —
თქვენ წიგნს ცვლიდით თურმე.

III პ. ოჴარ ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-რ-Ø —
ისინი წიგნს ცვლიდნენ თურმე.

9. აწმყოს მესამე თურმეობითი

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-რ-ალო-ს —
მე წიგნს ვცვლიდი თურმე.

II პ. აჰჲ ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-რ-ალო-/ჰჲ/ —
შენ წიგნს ცვლიდი თურმე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-რ-ალო-Ø —
ის წიგნს ცვლიდა თურმე.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-რ-ალო-თხ —
ჩვენ წიგნს ვცვლიდით თურმე.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-რ-ალუ-ჲშ —
თქვენ წიგნს ცვლიდით თურმე.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნ-ო-რ-ალო —
ისინი წიგნს ცვლიდნენ თურმე.

როგორც წარმოდგენილი პარადიგმიდან ჩანს, წოვა-თუშური ზმნის უღლების **პირველი სერია** ცხრა მწკრივს შეიცავს. თითოეული მწკრივი შედგება ექვსი ელემენტისაგან (სიტყვაფორმისაგან), სამი მხოლობითში, სამი მრავლობითში. პირის ნიშნების მიხედვით წარმოდგენილი ზმნური ფორმები სუბიექტური წყობისაა, ე.ი. **პირის ნიშნები გამოხატავენ სუბიექტს.**

როგორც ზემოთ არაერთგზის გვაქვს აღნიშნული, პირის კატეგორია მეორეულია, ახალია. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სუბიექტური პირის გვერდით იმავე პოზიციაში ყალიბდება **ობიექტური პირის ნიშნები** და მასალობრივად სუბიექტისა და ობიექტური პირის ნიშნები საერთო წარმომავლობისანი არიან.

თითოეული მწკრივის სიტყვაფორმა (გრამემა) პარადიგმაში მოცემულია მორფოლოგიური სეგმენტაციის სახით. ცალკეული გამოყოფილი მორფოლოგიური ელემენტი ასრულებს ენაში გარკვეულ ფუნქციას. ეს ბუნებრივიცაა, **რადგანაც ენაში არ არსებობს უფუნქციო ერთეული. ენა სიჭარბეს ვერ იტანს.**

ქვემოთ აღნიშნული გვაქვს სიტყვაფორმაში გამოყოფილი

თითოეული ელემენტის მორფოლოგიური ფუნქცია, ამის გარეშე ენის მორფოლოგიურ ანალიზს აზრი არ ექნება. მორფოლოგიური ანალიზის მიზანიც ეს გახლავთ.

აწმყო მწკრივის პირველი პირის ფორმაა **„ხერც-ო-ს“**: **ხერც-** ძირია, **„ო“ მწკრივის მაწარმოებელია**, ხოლო **„-ს“** პირველი სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოობითში, რომელიც მომდინარეობს პირველი პირის ნაცვალსახელიდან **„სო—მე“**. პირის ნიშნად იქცა ერგატივის ფორმით **„ას“**, ოღონდ აქ მან განიცადა გარკვეული ფონეტიკური პროცესი, კერძოდ აფიქსისეული **„ა“** ამოვარდა. რიგ ზმნებთან კი ის სრული სახითაა წარმოდგენილი **(-ას)**; მაგალითად, **ვუჲტ-ას** „მივდივარ“.

მეორე პირის ფორმაა **„ხერც-ო-ჰხ“**. აქაც ძირია **„ხერც-“**, ხოლო **„ო“** აწმყო მწკრივის მაწარმოებელია. პირის ნიშანი **„ჰხ“** ნაცვალსახელური წარმოშობისაა, მომდინარეობს მეორე პირის ნაცვალსახელიდან **„ჰხო“** — „შენ“. შესაბამის ზმნას ის დაერთვის აგრეთვე ერგატივის სახით **„აჰხ“**. ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში აფიქსისეული **„ა“** აქაც რედუცირდება და პირის ნიშნად რჩება მხოლოდ **„ჰხ“**. ფონეტიკური პროცესი ამით არ მთავრდება. აქ **ადგილი აქვს ლინგვისტურად მეტად მნიშვნელოვან მოვლენას, რომლის ფიქსირებაც აუცილებელია**. საქმე ის არის, რომ ლარინგალურ ყრუ სპირანტს /ჰჲ/ აუსლაუტში სუსტი ფონეტიკური პოზიცია აქვს. ორმარცვლიან და, მითუმეტეს, უფრო მეტმარცვლიან სიტყვებში ის უჩინარდება, სამაგიეროდ, მისი რედუცირება უკვალოდ არ ქრება — ერთგვარ კომპენსაციას იძლევა წინა ვოკალის გასრულხმოვნებით. აი, აქაც მეორე პირის ზმნურ ფორმაში ანალოგიურ ფონეტიკურ პროცესთან გვაქვს საქმე. მეორე პირის ნიშნისეული **„ჰხ←აჰხ“** გაბმულ მეტყველებაში აღარ გამოითქმის, სამაგიეროდ აწმყო მწკრივის ნიშანი სუსტი **„რ“** გასრულხმოვანდება. ამ სრული ხმოვნით უპირისპირდება მეორე პირის ფორ-

მა პირველი და მესამე პირის ფორმებს. ამ ელემენტში („ო") **შერწყმა ხდება ორი მორფოლოგიური ფუნქციისა — მწკრივის კატეგორიისა და პირის კატეგორიისა.**

ეს მოვლენა შეიძლება დაკვალიფიცირდეს არა მარტო კონკრეტული, ე.ი. წოვა-თუშური ენობრივი სტრუქტურის დინამიკის თვალსაზრისით, არამედ საერთოდ ენათა დიაქრონიული პროცესების თვალსაზრისითაც, როგორც **უნიკალური მოვლენა ენათა გრამატიკული სტრუქტურის განვითარებაში.**

იმის გამო, რომ მეორე პირის ნიშანი („ჰჲ") ამ რიგის მაგალითებში რედუცირებულია, ოღონდ სხვა ენობრივი ელემენტის დართვისას კვლავ აღდგება, ამიტომ ჩვენ მას ფრჩხილებში ვსვამთ.

რაც შეეხება მესამე პირის ფორმას **„ხერც-რ"**, აქ ზმნა მხოლოდ მწკრივის ნიშნითაა წარმოდგენილი („რ"). ის დანარჩენ ორ პირს, პირველსა და მეორეს, უპირისნიშნოდ უპირისპირდება. ჩვენ, მიღებული წესის თანახმად, აქ ვწერთ „Ø", რომელიც ნულოვანი მორფემის სახელწოდებითაა შესული გრამატიკულ ტერმინოლოგიაში.

ჩვენ ცალკე დამოუკიდებელ სერიად გამოვყოფთ **მყოფადი დროის მწკრივებს.** ამის საფუძველს იძლევა მწკრივთა საკუთარი მყოფადის ფორმები. მწკრივთა სამი თავისთავადი, დამოუკიდებელი ტიპი; თითოეული მათგანი შეიცავს **სამ-სამ მწკრივს.** მთლიანად ეს სერია **ცხრა მწკრივისგან** შედგება, ისე როგორც პირველი სერიის აწმყოს ფუძისგან ნაწარმოები მწკრივთა რაოდენობა.

მეორე სერიის მწკრივთა ფორმები აწმყოს შესაბამის ფორმებისაგან განსხვავდებიან **ფუძისეული ხმოვნის აბლაუტით** ან ფუძეთა მონაცვლეობით. ჩვენ მიერ უღლების პარადიგმაში საილუსტრაციოდ წარმოდგენილი ზმნა **აბლაუტიან ზმნათა** ჯგუფს განეკუთვნება.

საყურადღებოა, რომ მყოფადის მწკრივებს იგივე ნიშანი აქვთ, რაც აწმყო მწკრივებს. ეს ფაქტი კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მყოფადი სერიის მწკრივები აწმყოს სერიის მწკრივების გამონაყოფი უნდა იყოს ფუძისეული ხმოვნის აბლაუტის გზით. თუმცა გვხვდება ისეთი ზმნებიც, რომელთაც აწმყოსა და მყოფადში იდენტური ფორმები აქვთ. მათ სემანტიკურ სხვაობას განარჩევს შესაბამისი კონტექსტები.

მეორე სერია

მყოფადის წყება — სინთეზური წარმოება

1. მყოფადის პირველი

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-ო-ს — მე წიგნს გავცვლი.
II პ. აჰ ჟაგნრ ხარც-ო-/ჰ/ — შენ წიგნს გაცვლი.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-რ-Ø — ის წიგნს გაცვლის.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხარც-ო-თხ — ჩვენ წიგნს გავცვლით.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხარც-უ-ჲშ — თქვენ წიგნს გაცვლით.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-რ-Ø — ისინი წიგნს გაცვლიან.

2. მყოფადის მეორე

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-რ-ას — მე წიგნს გავცვლიდი.
II პ. აჰ ჟაგნრ ხარც-რ-ა/ჰ/ — შენ წიგნს გაცვლიდი.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ო-რ-Ø — ის წიგნს გაცვლიდა.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხარც-რ-ათხ — ჩვენ წიგნს გავცვლიდით.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხარც-რ-აჲშ — თქვენ წიგნს გაცვლიდით.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-ო-რ — ისინი წიგნს გაცვლიდნენ.

3. მყოფადის მესამე

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-რ-ალო-ს — მე წიგნი გამეცვალა.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-რ-ალო-/ჰჲ/ — შენ წიგნი გაგეცვალა.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-რ-ალრ-Ø — მას წიგნი გაეცვალა.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხარც-რ-ალო-თხ — ჩვენ წიგნი გაგვეცვალა.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხარც-რ-ალუ-ჲშ — თქვენ წიგნი გაგეცვალათ.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-რ-ალო-Ø — მათ წიგნი გაეცვალათ.

მყოფადის წყება — ანალიზური წარმოება

1. მყოფადის პირველი

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-დ-ო-ს — მე წიგნს გავცვლი.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-დ-ო-/ჰჲ/ — შენ წიგნს გაცვლი.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ო-დ-Ø — ის წიგნს გაცვლის.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხარც-დ-ო-თხ — ჩვენ წიგნს გავცვლით.

II პ. აჲშ ჟაგნრ ხარც-დ-უ-ჲშ — თქვენ წიგნს გაცვლით.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-ო-დ-Ø — ისინი წიგნს გაცვლიან.

2. მყოფადის მეორე

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-ას — მე წიგნს გავცვლიდი.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-ა/ჰჲ/ — შენ წიგნს გაცვლიდი.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-Ø — ის წიგნს გაცვლიდა.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-ათხ — ჩვენ წიგნს გავცვლიდით.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-აჲშ — თქვენ წიგნს გაცვლიდით.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-Ø — ისინი წიგნს გაცვლიდნენ.

3. მყოფადი მესამე

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-ალო-ს —
მე წიგნს გავცვლიდი (თურმე).
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-ალო-/ჰჲ/ —
შენ წიგნს გაცვლიდი (თურმე).
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-ალრ-Ø —
ის წიგნს გაცვლიდა (თურმე).

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-ალო-თხ —
ჩვენ წიგნს გავცვლიდით (თურმე).
II პ. აჲშ ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-ალუ-ჲშ —
თქვენ წიგნს გაცვლიდით თურმე.

III პ. ოჯარ ჟაგნრ ხარც-დ-ო-რ-ალრ-Ø —
ისინი წიგნს გაცვლიდნენ (თურმე).

მყოფადის თურმეობითები — ანალიზური წარმოება

ისე როგორც აწმყოს თურმეობითებს, მყოფადის თურმეობითებსაც აწარმოებს მეშველი ზმნის „და"— არის" თურმეობითის ფორმა დანრ — „ყოფილა"-ს დართვა მყოფადის ფუძეზე, რაც მთლიანობაში ზმნას აძლევს თურმეობითის ანუ უნახავი მოქმედების სემანტიკას მყოფადში.

ამრიგად, ორი დამოუკიდებელი სიტყვაფორმის — **„ხარცრ"** და **„დანრ"** — შეერთება ქმნის ერთ სემანტიკურ ერთეულს თურმეობითის შინაარსის მქონეს. ანალიზური წარმოების მყოფადში ასეთი თურმეობითი სამია, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მკაცრად დაცული ქრონოლოგიური სუბორდინაციის პრინციპის მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეული მომდევნო მწკრივი ფუძედ იყენებს წინა მწკრივის სრულ ფორმას (ე.ი. თავისი გრამატიკული მორფემებით), როგორც ეს ზემოთაც გვაქვს აღნიშნული პირველი სერიის მწკრივთა ფორმების წარმოებასთან დაკავშირებით.

ამ რიგის თურმეობითები მეტად სპეციფიკურია წოვა-თუშური ენისათვის და ამავე დროს ბუნებრივია ამ ენაზე მეტყველის ცნობიერებისათვის.

სწორედ ამ სპეციფიკურობის, კოლორიტულობის გამო აღნიშნულ სიტყვაფორმათა ზუსტი, ცალსახა თარგმანი სხვა ენაზე (თუნდაც ქართულად) ვერ ხერხდება.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მყოფადის წყების თურმეობითი სამი წევრისაგან შედგება. ესენია: 1. მყოფადის პირველი თურმეობითი, 2. მყოფადის მეორე თურმეობითი, 3. მყოფადის

მესამე თურმეობითი. ქვემოთ სამივე მწკრივში წარმოვადგენთ იმავე ზმნას — ხარცხ „გაცვლის“.

1. მყოფადის პირველი თურმეობითი

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-ს —
მე წიგნს გავცვლი თურმე.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-/ჰჲ/ —
შენ წიგნს გაცვლი თურმე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-რ —
ის წიგნს გაცვლის თურმე.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-თხ —
ჩვენ წიგნს გავცვლით თურმე.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხარც-დ-ან-უ-ჲშ —
თქვენ წიგნს გაცვლით თურმე.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-დ-ან-რ-Ø —
ისინი წიგნს გაცვლიან თურმე.

2. მყოფადის მეორე თურმეობითი

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ-ას —
მე წიგნს გავცვლიდი თურმე.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ-ა/ჰჲ/ —
შენ წიგნს გაცვლიდი თურმე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ-Ø —
ის წიგნს გაცვლიდა თურმე.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ-ათხ —
ჩვენ წიგნს გავცვლიდით თურმე.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ-აჲშ —
თქვენ წიგნს გაცვლიდით თურმე.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ — Ø
ისინი წიგნს გაცვლიდნენ თურმე.

3. მყოფადის მესამე თურმეობითი

მხ. რ.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ-ალო-ს —
მე წიგნს გავცვლიდი თურმე.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ-ალო-/ჰჲ/ —
შენ წიგნს გაცვლიდი თურმე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ-ალრ —
ის წიგნს გაცვლიდა თურმე.

მრ. რ.

I პ. ათხ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ-ალო-თხ —
ჩვენ წიგნს გავცვლიდით თურმე.
II პ. აჲშ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ-ალუ-ჲშ —
თქვენ წიგნს გაცვლიდით თურმე.
III პ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნ-ო-რ-ალრ — Ø
ისინი წიგნს გაცვლიდნენ თურმე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მორფოლოგიურ ელემენტებს ასეთი კვალიფიკაცია მიეცემათ: **ხარც** ძირია, -დ- გრამატიკული კლასის ნიშანია, -ა- მეშველი ზმნის ძირია, -ნ- თურმეობითის მაწარმოებელი მორფემა, -ო- მყოფადის მაწარმოებე-

ლი (საერთო აწმყო მწკრივთან). **-რ-** გამოხატავს მიკრო სისტემაში ქრონოლოგიურად მეორე მწკრივს, რომელიც **სუბორდინაციის წესის** მიხედვით ყველგან გადადის მომდევნო მესამე მწკრივში როგორც ფუძის შემადგენელი ელემენტი. **-ალრ** მოცემული მწკრივის, ე.ი. მიკრო სისტემის მესამე მწკრივის მაწარმოებელია ყველა სერიაში. ენაში მოქმედი ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით ის **გამოხატავს დროის მიხედვით უწინარეს მოქმედებას წინამავალ მწკრივთან შედარებით.**

პირის ნიშნებში ყურადღებას იქცევს მეორე პირის ნიშანი /ჰი/, რომელსაც ჩვენ ფრჩხილებში ვსვამთ. ეს იმიტომ, რომ მეტყველების პროცესში ის არ გამოითქმის, მაგრამ საკმარისია მას დაერთოს სხვა რომელიმე ენობრივი ელემენტი, მაშინ ის აღდგება. მისი გაუჩინარება აუსლაუტში გამოწვეულია **სუსტი ფონეტიკური პოზიციით.**

მკითხველი ალბათ მიაქცევს ყურადღებას თარგმანს, სადაც სხვადასხვა მწკრივი ქართულად თარგმნილია ერთნაირად, მიუხედავად იმისა, რომ წოვა-თუშურ ენაში ასეთ მწკრივთა სემანტიკა განსხვავებულია. საქმე ის არის, რომ **წოვა-თუშურში მწკრივთა შორის სემანტიკური სხვაობა ემყარება მოქმედების ქრონოლოგიას, რაც ამ სახით ქართულს არ გააჩნია.** ამიტომ გვიხდება მათი ერთნაირი ფორმით თარგმნა.

თუმცა აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ **„თანამდევრობის"** კატეგორია ქართულში, რომლის მიხედვითაც გრამატიკული დროის გაგება ემყარება ორი მოქმედების ერთმანეთთან შეფარდებას.

ამასთან დაკავშირებით აკ. შანიძე წერს: „ამგვარად, დრო ერთი კატეგორიაა და თანამდევრობა — სხვა. წამძღვარებული მოქმედებაცა და მომდევნოც ენაში საზოგადოდ შეიძლება ორივე წარსულში იყოს ან ორივე მომავალში, ქართულში კი მხოლოდ წარსულშია შესაძლებელი".[1]

1. აკ. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი — 1973, გვ. 212.

ვფიქრობთ, შესაძლებელია, აქ ტიპოლოგიურ იზომორფიზმთან გვქონდეს საქმე. წოვა-თუშურში მწკრივთა შორის ქრონოლოგიურ პრინციპზე დამყარებული სემანტიკური კავშირი **ეხმიანება აკ. შანიძის მიერ ქართულში დადგენილი „თანამდევრობის“ კატეგორიის არსს.**

მესამე სერია

განსხვავებით პირველი და მეორე სერიის პარადიგმებისაგან, წოვა-თუშურ ზმნას მესამე სერიაში აქვს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული პარადიგმა — **სრული ასპექტური ზმნური ფორმებისა და უსრული ასპექტური ზმნური ფორმებისა.** აღნიშნული დიქოტომია ემყარება ზმნის ფუძის აბლაუტს. რადგანაც ამ ორი რიგის პარადიგმის წევრთა მორფოლოგიურ სტრუქტურაში ადგილი აქვს განსხვავებულ ფონეტიკურ პროცესებს, ამიტომ ჩვენ მათი უღლების პარადიგმებს ცალ-ცალკე წარმოვადგენთ. ამის საფუძველს იძლევა აგრეთვე ისიც, რომ აღნიშნული დიქოტომიური ერთეულები **განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს წარმოადგენენ.**

გარდა აღნიშნული თავისებურებისა, მესამე სერია, შედარებით პირველსა და მეორე სერიასთან, ხასიათდება **მწკრივთა სიმრავლით.** სიმრავლეს ქმნის თურმეობითის მწკრივთა ნაირგვარობა. თურმეობითების ეს სიმრავლე იწვევს ტერმინოლოგიურ სიძნელეებსაც, ისე როგორც ქართულის მიმართ აღნიშნავს აკ. შანიძე.

ჩვენ ამ სიძნელეებიდან გამოსავალი ვნახეთ ქართული ზმნის თურმეობითების სახელწოდებათა მიხედვით, სადაც მათ აღსანიშნად გამოყენებულია უბრალოდ რიგითი რიცხვითი სახელები: პირველი, მეორე და მესამე.

რადგანაც მესამე სერიის ყველა მწკრივის **საყრდენი ფუძეა**

ნამყო ძირითადის ფორმა, ამიტომ აქედან გამომდინარე ყველა მწკრივის სახელწოდებაც მას ემყარება.

მესამე სერია, განსხვავებით პირველი და მეორე სერიებისა, შედგება თორმეტი მწკრივისაგან მხოლობითში და ასევე თორმეტი მწკრივისაგან მრავლობითში; ე.ი. სულ ოცდაოთხ მწკრივს შეიცავს მესამე სერია. ეს მწკრივები ქმნიან ოთხ ჯგუფს ანუ ოთხ წყებას. ესენია: 1. ნამყოს წყება — სინთეზური წარმოება, 2. ნამყოს წყება — სინთეზური წარმოების თურმეობითები, 3. ნამყოს წყება — ანალიზური წარმოება, 4. ნამყოს წყება — ანალიზური წარმოების თურმეობითები.

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ერთმანეთის პარალელურად სრული და უსრული ასპექტის ზმნათა უღლების პარადიგმები:

მესამე სერია

1. ნამყოს წყება — სინთეზური წარმოება

ნამყო პირველი

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ას←ხარც-ი^{ნ}-ას
მე წიგნი გავცვალე.
უსრ. ას ჟაგნუჲ ხᲂრც-ნ-ას←ხერც-ი^{ნ}-ას
მე წიგნები ვცვალე.

II პ. სრ. აჰო ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ა/ჰჲ/←ხარც-ი^{ნ}-აჰო
შენ წიგნი გაცვალე.
უსრ. აჰო ჟაგნუჲ ხᲂრც-ნ-ა/ჰჲ/←ხერც-ი^{ნ}-აჰო
შენ წიგნები ცვალე.

III პ. სრ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ი^{ნ} —Ø
იმან წიგნი გაცვალა.

უსრ. ოჴუს ჟაგნუჲ ხერც-ი^{ნ}—Ø
იმან წიგნები ცვალა.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ათხ←ხარც-ი^{ნ}-ათხ
ჩვენ წიგნი გავცვალეთ.
უსრ. ათხ ჟაგნუჲ ხრრც-ნ-ათხ←ხერც-ი^{ნ}-ათხ
ჩვენ წიგნები ვცვალეთ.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნრ ხაჲრც-ნ-აჲშ←ხარც-ი^{ნ}-აჲშ
თქვენ წიგნი გაცვალეთ.
უსრ. აჲშ ჟაგნუჲ ხრრც-ნ-აჲშ←ხერც-ი^{ნ}-აჲშ
თქვენ წიგნები ცვალეთ.

III პ. სრ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-ი^{ნ}—Ø
იმათ წიგნი გაცვალეს.
უსრ. ოჴარ ჟაგნუჲ ხერც-ი^{ნ}—Ø
იმათ წიგნები ცვალეს.

ნამყო მეორე

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნრ ხაჲრც-რ-ას←ხარც-ი^{ნ}-რ-ას
მე წიგნი გავცვალე.
უსრ. ას ჟაგნუჲ ხრრც-რ-ას-←ხერც-ი^{ნ}-რ-ას
მე წიგნები ვცვალე.

II პ. სრ. აჰჲ ჟაგნრ ხაჲრც-რ-ა/ჰჲ/←ხარც-ი^{ნ}-რ-ა/ჰჲ/
შენ წიგნი გაცვალე.
უსრ. აჰჲ ჟაგნუჲ ხრრც-რ-ა/ჰჲ/←ხერც-ი^{ნ}-რ-აჰჲ
შენ წიგნები ცვალე.

III პ. სრ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ი-რ-←ხარც-ი⁵-რ—Ø
იმან წიგნი გაცვალა.
უსრ. ოჴუს ჟაგნუჲ ხერც-ი-რ←ხერც-ი-რ—Ø
იმან წიგნები ცვალა.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნრ ხაჲრც-რ-ათხ←ხარც-ი⁵-ათხ
ჩვენ წიგნი გავცვალეთ.
უსრ. ათხ ჟაგნუჲ ხჳრც-რ-ათხ←ხერც-ი⁵-რ-ათხ
ჩვენ წიგნები ვცვალეთ.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნრ ხაჲრც-რ-აჲშ←ხარც-ი⁵-რ-აჲშ
თქვენ წიგნი გაცვალეთ.
უსრ. აჲშ ჟაგნუჲ ხჳრც-რ-აჲშ←ხარც-ი⁵-რ-აჲშ
თქვენ წიგნები ცვალეთ.

III პ. სრ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-ი-რ←ხარც-ი⁵-რ
იმათ წიგნი გაცვალეს.
უსრ. ოჴარ ჟაგნუჲ ხერც-ი-რ←ხერც-ი-რ—Ø
იმათ წიგნები გაცვალეს.

ნამყო მესამე

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნრ მაცანკ ხაჲრც-რ-ალო-ს←ხარც-ი⁵-რ-ალო-ს
მე წიგნი როდის გამიცვლია ნეტავ.
უსრ. ას ჟაგნუჲ მაცანკ ხჳრც-რ-ალო-ს←ხერცრ-ი⁵-ალო-ს
მე წიგნები როდის მიცვლია ნეტავ.

II პ. სრ. აჰთ ჟაგნრ მაცანკ ხაჲრც-რ-ალო/ჰჲ/←ხარცი-ი^{ნ}-რ-ალო-ჰთ

შენ წიგნი როდის გაგიცვლია ნეტავ.

უსრ. აჰთ ჟაგნუჲ მაცანკ ხრ̄ც-რ-ალო-/ჰჲ/←ხერც-ი^{ნ}-რ-ალო-ჰთ

შენ წიგნები როდის გიცვლია ნეტავ.

III პ. სრ. ოჴუს ჟაგნრ მაცანკ ხაჲრც-რ-ალრ—Ø

იმან წიგნი როდის გაცვალა ნეტავ.

უსრ. ოჴუს ჟაგნუჲ მაცანკ ხრ̄ც-რ-ალრ—Ø

იმან წიგნები როდის ცვალა ნეტავ.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნრ მაცანკ ხაჲრც-რ-ალო-თხ←ხარც-ი-რ-ალო-თხ

ჩვენ წიგნი როდის გაგვიცვლია ნეტავ.

უსრ. ათხ ჟაგნუჲ მაცანკ ხრ̄ც-რ-ალო-თხ←ხერც-ი-რ-ალო-თხ

ჩვენ წიგნები როდის გაგვიცვლია ნეტავ.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნრ მაცანკ ხაჲრც-რ-ალუ-ჲშ←ხარც-ი^{ნ}-რ-ალო-აჲშ

თქვენ წიგნი როდის გაგიცვლია ნეტავ.

უსრ. აჲშ ჟაგნუჲ მაცანკ ხრ̄ც-რ-ალუ-ჲშ←ხერც-ი-რ-ალო-აჲშ

თქვენ წიგნები როდის ცვალეთ ნეტავ.

III პ. სრ. ოჴარ ჟაგნრ მაცანკ ხაჲრც-რ-ალრ←ხარც-ი^{ნ}-რ-ალრ

იმათ წიგნი როდის ცვალეს ნეტავ.

უსრ. ოჯარ ჟაგნუჲ მაცან ხ̄რც-რ-ალრ̆←ხ̄ერც-ი-რ-ალრ̆-Ø
იმათ წიგნები როდის ცვალეს ნეტავ.

2. ნამყოს წყება — სინთეზური წარმოების თურმეობითები

ნამყოს პირველი თურმეობითი

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნრ̆ ხაჲრც-ნო-ს←ხარც-ი^{ნ}-ნო-ს
მე წიგნი გამიცვლია.
უსრ. ას ჟაგნრ̆ ხ̄რც-ნო-ს←ხერც-ი^{ნ}-ნო-ს
მე წიგნი მიცვლია.

II პ. სრ. აჰჲ ჟაგნრ̆ ხაჲრც-ნო-/ჰჲ/←ხარც-ი-ნო-ჰჲ
შენ წიგნი გაგიცვლია.
უსრ. აჰჲ ჟაგნუჲ ხ̄რც-ნო-ჰჲ←ხერც-ი-ნო-ჰჲ
შენ წიგნები გაგიცვლია.

III პ. სრ. ოჯუს ჟაგნ/ო ხარც-ი-ნო-Ø
იმას წიგნი გაუცვლია.
უსრ. ოჯუს ჟაგნუჲ ხერც-ი-ნრ̆-Ø
იმას წიგნები უცვლია.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნრ̆ ხაჲრც-ნო-თხ←ხარც-ი-ნო-თხ
ჩვენ წიგნი გაგვიცვლია.
უსრ. ათხ ჟაგნუჲ ხ̄რც-ნო-თხ←ხერც-ი-ნო-თხ
ჩვენ წიგნები გვიცვლია.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნრ̆ ხაჲრც-ნუ-ჲშ←ხარც-ი-ნო-აჲშ-Ø
თქვენ წიგნი გაგიცვლიათ.

უსრ. აჲშ ჟაგნუჲ ხᲘრც-ნუ-ჲშ←ხერც-ი-ნო-აჲშ
თქვენ წიგნები გაგიცვლიათ.

III პ. სრ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-ი-ნრ←ხარც-ი-ნო-Ø
იმათ წიგნი გაუცვლიათ.
უსრ. ოჴარ ჟაგნუჲ ხერც-ი-ნრ←ხერც-ი-ნო-Ø
იმათ წიგნები უცვლიათ.

ნამყოს მეორე თურმეობითი

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ-ას←ხარც-ი^{ნ}-ნო-რ-ას
მე წიგნი გამიცვლია.
უსრ. ას ჟაგნუჲ ხᲘრც-ნო-რ-ას←ხერც-ი^{ნ}-ნო-რ-ას
მე წიგნები მიცვლია.

II პ. სრ. აჰჲ ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ-ა/ჰჲ/←ხარც-ი^{ნ}-ნო-რ-აჰჲ
შენ წიგნი გაგიცვლია.
უსრ. აჰჲ ჟაგნუჲ ხᲘრც-ნო-რ-ა/ჰჲ/←ხერც-ი^{ნ}-ნო-რ-აჰჲ
შენ წიგნები გიცვლია.

III პ. სრ. ოჴუს ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ←ხარც-ი^{ნ}-ნო-რ-Ø
იმას წიგნი გაუცვლია.
უსრ. ოჴუს ჟაგნუჲ ხᲘრც-ნო-რ←ხერც-ი^{ნ}-ნო-რ-Ø
იმას წიგნები უცვლია.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ-ათხ←ხარც-ი^{ნ}-ნო-რ-ათხ
ჩვენ წიგნები გაგვიცვლია.
უსრ. ათხ ჟაგნუჲ ხᲘრც-ნო-რ-ათხ←ხერც-ი^{ნ}-ნო-რ-ათხ
ჩვენ წიგნები გვიცვლია.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ-აჲშ←ხარც-ი⁵-ნო-რ-აჲშ
თქვენ წიგნი გაგიცვლიათ.
უსრ. აჲშ ჟაგნუჲ ხრრც-ნო-რ-აჲშ←ხერც-ი⁵-ნო-რ-აჲშ
თქვენ წიგნები გიცვლიათ.

III პ. სრ. ოჯარ ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ←ხარც-ი⁵-ნო-რ-Ø
იმათ წიგნი გაუცვლიათ.
უსრ. ოჯარ ჟაგნუჲ ხრრც-ნო-რ←ხერც-ი⁵-ნო-რ-Ø
იმათ წიგნები უცვლიათ.

ნამყოს მესამე თურმეობითი

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ-ალო-ს←ხარც-ი⁵-ნო-რ-ალო-ს
მე წიგნი გამიცვლია.
უსრ. ას ჟაგნუჲ ხრრც-ნო-რ-ალო-ს←ხერც-ი⁵-ნო-რ-ალო-ს
მე წიგნები გამიცვლია.

II პ. სრ. აჰჲ ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ-ალო-/ჰჲ/←ხარც-ი⁵-ნო-რ-ალო-ჰჲ
შენ წიგნი გაგიცვლია
უსრ. აჰჲ ჟაგნუჲ ხრრც-ნო-რ-ალო-/ჰჲ/←ხერც-ი⁵-ნო-რ-ალო-ჰჲ
შენ წიგნები გიცვლია.

III პ. სრ. ოჯუს ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ-ალრ←ხარც-ი⁵-ნო-რ-ალრ-Ø
იმას წიგნი გაუცვლია.
უსრ. ოჯუს ჟაგნუჲ ხრრც-ნო-რ-ალრ←ხერც-ი⁵-ნო-რ-ალრ-Ø
იმას წიგნები უცვლია.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ-ალო-თხ←ხარც-ი^{ნ}-ნო-რ-ალო-თხ

ჩვენ წიგნი გაგვიცვლია.

უსრ. ათხ. ჟაგნუჲ ხრ̄რც-ნო-რ-ალო-თხ←ხერც-ი^{ნ}-ნო-რ-ალო-თხ

ჩვენ წიგნები გვიცვლია.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ-ალუ-ჲშ←ხარც-ი^{ნ}-ნო-რ-ალო-აჲშ

თქვენ წიგნი გაგიცვლიათ.

უსრ. აჲშ ჟაგნუჲ ხრ̄რც-ნო-რა-ალუ-ჲშ←ხერც-ი^{ნ}-ნო-რ-ალო-აჲშ

თქვენ წიგნები გიცვლიათ.

III პ. სრ. ოჴარ ჟაგნრ ხაჲრც-ნო-რ-ალრ-Ø

იმათ წიგნი გაუცვლიათ.

უსრ. ოჴარ ჟაგნუჲ ხრ̄რც-ნო-რ-ალრ-Ø

იმათ წიგნები უცვლიათ.

3. ნამყოს წყება — ანალიზური წარმოება

ნამყო პირველი

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ს

მე წიგნი გამიცვლია (საერთოდ).

უსრ. ას ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ს

მე წიგნები მიცვლია.

II პ. სრ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-/ჰჲ/

შენ წიგნი გაგიცვლია.

უსრ. აჰთ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-/ჰჲ/
შენ წიგნები გიცვლია.

III პ. სრ. ოჴუს ჟაგნრ̆ ხარც-ინ-დ-ა-Ø
იმას წიგნი გაუცვლია.
უსრ. ოჴუს ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-Ø
იმას წიგნები უცვლია.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნრ̆ ხარც-ინ-დ-ა-თხ
ჩვენ წიგნი გაგვიცვლია.
უსრ. ათხ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-თხ
ჩვენ წიგნები გვიცვლია.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნრ̆ ხარც-ინ-დ-ა-ჲშ
თქვენ წიგნი გაგიცვლიათ.
უსრ. აჲშ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ჲშ
თქვენ წიგნი გიცვლიათ.

III პ. სრ. ოჴარ ჟაგნრ̆ ხარც-ინ-დ-ა-Ø
იმათ წიგნი გაუცვლიათ.
უსრ. ოჴარ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-Ø
იმათ წიგნები უცვლიათ.

ნამყო მეორე

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნრ̆ ხარც-ინ-დ-ა-რ-ას
მე წიგნს გავცვლიდი.
უსრ. ას ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-რ-ას
მე წიგნებს ვიცვლიდი (менял).

II პ. სრ. აჰ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-რ-აჰ
შენ წიგნს გაცვლიდი.
უსრ. აჰ ჟაგნუ ხერც-ინ-დ-ა-რ-აჰ
შენ წიგნს იცვლიდი (менял).

III პ. სრ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-რ-Ø
ის წიგნს გიცვლიდა.
უსრ. ოჴუს ჟაგნუ ხერც-ინ-დ-ა-რ-Ø
ის წიგნებს გაცვლიდა მრავალგზის.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-რ-ათხ
ჩვენ წიგნს გავცვლიდით.
უსრ. ათხ ჟაგნუ ხერც-ინ-დ-ა-რ-ათხ
ჩვენ წიგნებს ვიცვლიდით.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-რ-აჲშ
თქვენ წიგნს გაცვლიდით.
უსრ. აჲშ ჟაგნუ ხერც-ინ-დ-ა-რ-აჲშ
თქვენ წიგნებს იცვლიდით.

III პ. სრ. ოჴარ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-რ-Ø
ის წიგნს გაცვლიდა.
უსრ. ოჴარ ჟაგნუ ხერც-ინ-დ-ა-რ-Ø
ისინი წიგნებს გაცვლიდნენ მრავალგზის.

ნამყო მესამე

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-რ-ალო-ს
მე წიგნი გამეცვალოს.

უსრ. ას ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-რ-ალო-ს
მე წიგნები მეცვალოს მრავალგზის.

II პ. სრ. აჰჱ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-რ-ალო-/ჰჲ/
შენ წიგნი გაგეცვალოს.
უსრ. აჰჱ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-რ-ალო-/ჰჲ/
შენ წიგნები გეცვალოს მრავალგზის.

III პ. სრ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-რ-ალრ-Ø
იმას წიგნი გაეცვალოს.
უსრ. ოჴუს ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-რ-ალრ-Ø
იმას წიგნები ეცვალოს მრავალგზის.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-რ-ალო-თხ
ჩვენ წიგნი გაგვეცვალოს.
უსრ. ათხ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-რ-ალო-თხ
ჩვენ წიგნები გვეცვალოს მრავალგზის.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-რ-ალუ-ჲშ
თქვენ წიგნი გაგეცვალოთ.
უსრ. აჲშ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-რ-ალუ-ჲშ
თქვენ წიგნები გეცვალოთ მრავალგზის.

III პ. სრ. ოჴარ ჟაგნრ ცოკი ხარც-ინ-დ-ა-რ-ალრ-Ø
ისინი წიგნს ნეტა არ გაცვლიდნენ.
უსრ. ოჴარ ჟაგნუჲ ცოკი ხერც-ინ-დ-ა-რ-ალრ-Ø
ისინი წიგნებს ნეტავ არ ცვლიან.

ნამყოს მეოთხე თურმეობითი

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-ს
მე წიგნი გამიცვლია.
უსრ. ას ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-ს
მე წიგნები მიცვლია.

II პ. სრ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-/ჰჲ/
შენ წიგნი გაგიცვლია
უსრ. აჰჲ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-/ჰჲ/
შენ წიგნები გიცვლია.

III პ. სრ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნრ-Ø
იმას წიგნი გაუცვლია.
უსრ. ოჴუს ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნრ-Ø
იმას წიგნები უცვლია.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნო-თხ
ჩვენ წიგნები გაგვიცვლია.
უსრ. ათხ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-თხ
ჩვენ წიგნები გვიცვლია.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნუ-ჲშ
თქვენ წიგნები გაგიცვლიათ.
უსრ. აჲშ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნუ-ჲშ
თქვენ წიგნები გიცვლიათ.

III პ. სრ. ოჴარ ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნრ-Ø
იმათ წიგნები გაუცვლიათ.
უსრ. ოჴარ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნრ-Ø
იმათ წიგნები უცვლიათ.

ნამყოს მეხუთე თურმეობითი

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-ას
მე წიგნი გამიცვლია.
უსრ. ას ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-ას
მე წიგნები მიცვლია.

II პ. სრ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-ა-/ჰჲ/
შენ წიგნი გაგიცვლია.
უსრ. აჰჲ ჟაგნრ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-ა-/ჰჲ/
შენ წიგნი გიცვლია.

III პ. სრ. ოხუს ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-Ø
იმას წიგნი გაუცვლია.
უსრ. ოჴუს ჟაგნრ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-Ø
იმას წიგნი უცვლია.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-ათხ
ჩვენ წიგნები გაგვიცვლია.
უსრ. ათხ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-ათხ
ჩვენ წიგნები გვიცვლია.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-აჲშ
თქვენ წიგნები გაგიცვლიათ.

უსრ. აჲშ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-აჲშ
თქვენ წიგნები გიცვლიათ.

III პ. სრ. ოჴარ ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-Ø
იმათ წიგნები გაუცვლიათ.
უსრ. ოჴარ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-Ø
იმათ წიგნები უცვლიათ.

ნამყოს მეექვსე თურმეობითი

მხ. რ.

I პ. სრ. ას ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალო-ს
მე წიგნები გამიცვლია.
უსრ. ას ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალო-ს
მე წიგნები მიცვლია.

II პ. სრ. აჰჱ ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალო-/ჰჲ/
შენ წიგნები გაგიცვლია.
უსრ. აჰჱ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალო-/ჰჲ/
შენ წიგნები გიცვლია.

III პ. სრ. ოჴუს ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალრ-Ø
იმას წიგნები გაუცვლია.
უსრ. ოჴუს ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალრ-Ø
იმას წიგნები უცვლია.

მრ. რ.

I პ. სრ. ათხ ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალო-თხ
ჩვენ წიგნები გაგვიცვლია.
უსრ. ათხ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალო-თხ
ჩვენ წიგნები გვიცვლია.

II პ. სრ. აჲშ ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალუ-ჲშ
თქვენ წიგნები გაგიცვლიათ.
უსრ. აჲშ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალუ-ჲშ
თქვენ წიგნები გიცვლიათ.

III პ. სრ. ოჴარ ჟაგნუჲ ხარც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალრ-Ø
იმათ წიგნები გაუცვლიათ.
უსრ. ოჴარ ჟაგნუჲ ხერც-ინ-დ-ა-ნო-რ-ალრ-Ø
იმათ წიგნები უცვლიათ.

იმის მიხედვით, თუ როგორ არის ასახული ზმნის სტრუქტურაში სუბიექტი და ობიექტი, წოვა-თუშურ ენაში დასტურდება უღლების 4 ტიპი. ეს ტიპებია: კლასოვანი, ოდენპიროვანი, პიროვან-კლასოვანი და ნეიტრალური, ე.ი. ზმნათა უღლების ის ტიპი, სადაც ზმნაში არც კლასის ნიშანია წარმოდგენილი და არც პირისა.[1]

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ეს ოთხივე ტიპი თანამედროვე ენის სინქრონულ ჭრილში ერთმანეთის გვერდით ფუნქციონირებს. თუმცა აშკარად იგრძნობა ხმარების სიხშირის მხრივ **ერთგვარი იერარქია. გაბატონების ტენდენცია აქვს პიროვანი უღლილების ტიპს**, მიუხედავად მისი აშკარა მეორეულობისა.

ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ პიროვანი უღლების ტიპის სრული პარადიგმა, როგორც მხოლოობით რიცხვში, ასევე მრავლობითში. განხილული ზმნები გარდამავალია და პირის ნიშნებიც გამოხატავენ სუბიექტს. ამდენად, ზმნაში მხოლოდ სუბიექტია გამოხატული პირის ნიშნებით. პირის ნიშნები კი, როგორც ეს ცნობილია, შესაბამისი პირის ნაცვალსახელების-

1. კ. ჭრელაშვილი, „წელიწდეული", IX. ასეთი ზმნები კი საკმაო რაოდენობითაა წოვა-თუშურ ენაში.

გან მომდინარეობს. რადგანაც განხილული ზმნები გარდამავალია, ამიტომ პირის ნაცვალსახელი **ერგატივის ბრუნვით** ფორმდება პირის ნიშნად. ოღონდ ამასთან დაკავშირებით ადგილი აქვს ფონეტიკურ პროცესებსაც. კერძოდ, პირის ნიშნის ხმოვნითი ელემენტი გარკვეულ პოზიციაში რედუცირდება. მაგალითად: **ხერც-ო-ას→ხერც-ო-ს** „ვცვლი“, **ხერც-ო-აჰ→ხერც-ო-ჰ** „ცვლი“ და ა.შ.

-ო-ს მომდევნო პოზიციაში პირისნიშნისეული /ა/ რედუცირდება. ისე, რომ პირველ სერიაში ამ რიგის ზმნებთან (ასევე მყოფადშიც) პირის ნიშნებად გვევლინება **-ს** და **-ჰ**. ეს იმიტომ, რომ აღნიშნული მწკრივების მაწარმოებელია **-ო**.

ხოლო მესამე სერიაში, სადაც **ფონეტიკური გარემოცვა იცვლება**, პირის ნიშნებად ზმნასთან ფორმდება შესაბამისი ნაცვალსახელის ერგატივის სრული ფორმა. მაგალითად: **ხარც-ი^{ნ}-ას→ხაᲶრცნ-ას „გავცვალე“, ხარც-ი^{ნ}-აჰ→ხაᲶრცნ-აჰ „გაცვალე“.**

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში პირის ნიშნად გაფორმდა ერგატივის სრული ფორმა **-ას** და **-აჰ**. ეს წესი უღლების პარადიგმას ბოლომდე გასდევს.

აქ ერთ მნიშვნელოვან მორფო-ფონეტიკურ მოვლენასაც უნდა შევეხოთ; მხედველობაში გვაქვს ფონეტიკური პროცესების შედეგად **ახალი მორფემის** წარმოშობა. რადგანაც ამ ფაქტს აქვს ზოგადთეორიული ღირებულებაც, ამიტომ ღირს მასზე აქ შეჩერება.

საქმე ის არის, რომ ფარინგალური ყრუ ხშული სპირანტის /ჰᲶ/, აბსოლუტურ ბოლოში სუსტი პოზიცია აქვს. ის გაბმულ მეტყველებაში არც წარმოითქმება. მაგალითად, ლოკალურ ბრუნვაში **ხი-ლო-ჰ** „წყალში“, მეტყველებაში **-ჰ**, როგორც წესი, არ გამოითქმის. ამის საკომპენსაციოდ მის წინა სუსტი ხმოვანი /ო/ სრულად წარმოითქმის, რადგანაც ის ამ შემთხვე-

ვაში **მორფოლოგიური ფუნქციით იტვირთება**, მაშინ, როცა აუსლაუტში მას ასეთი განსაკუთრებული ფუნქციური დატვირთვა არა აქვს; ხდება პროცესი: -ო←<რ.

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ მეორე პირის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტი /ჰ₂/ გაბმულ მეტყველებაში იკარგება, ხოლო მის წინა ხმოვანი ამის საკომპენსაციოდ გასრულხმოვანდება და პირის ნიშნის ფუნქციით იტვირთება. ამრიგად, ჩნდება ახალი ნიშანი მეორე პირისა. მაგალითად, **ხერც-რ-ჰ₂→ხერც-ო** „ცვლი". ამ ფორმაში /-ო/ არის აწმყოს მწკრივის ნიშანი, რომელიც /ჰ₂/-ს წინ იძლევა სრულ ხმოვანს /ო/-ს.

(-ჰ₂)-ს დაკარგვის შედეგად მეორე პირის ზმნური ფორმა იქნება **აჰ₂ ხერც-ო** „შენ ცვლი„, სადაც **-ო** იტვირთება II პ. ფუნქციით, მაშინ, როცა მესამე პირში, სადაც პირის ნიშანი საერთოდ ზმნას არ გააჩნია, აუსლაუტში გვაქვს სუსტი /რ/. ამდენად, სრული **(-ო) მეორე პირში კვალიფიცირდება როგორც პირის ნიშანი.** ფონეტიკური პროცესის შედეგად მივიღეთ ახალი მორფემა /ო/, მეორე სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქციით. ამრიგად, ენის შინაგანი განვითარების შედეგად ჩვენ თვალწინ ყალიბდება ახალი მორფოლოგიური ელემენტი /ო/, რომელსაც ამოსავალში მწკრივის ფუნქცია ეკისრებოდა. ე.ი. -ო ელემენტი იტვირთება ორმაგი ფუნქციით — ერთი მხრივ მწკრივის ნიშანიც არის და ამავე დროს პირის ნიშანიც.[1]

ობიექტური წყობის ზმნები ნოვა-თუშურ ენაში

ახლა განვიხილოთ ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში გარდამავალ ზმნასთან **პირდაპირი ობიექტური პირის** მორფემის საკითხი. ერთ საგულისხმო ფაქტსაც აქვს ადგილი ამ მოვლენასთან დაკავშირებით, კერძოდ, ზმნა ობიექტური პი-

1.იხ. აქვე, გვ. 117.

რის ნიშნის გაჩენასთან ერთად **კარგავს სუბიექტის ნიშანს.** ამდენად, ამ რიგის ზმნები (უკლასნიშნო ზმნები) **კვლავ მონო-პერსონალურადვე რჩება.**

ობიექტური პირის ნიშნებიც შესაბამისი ნაცვალსახელებიდან მომდინარეობს. რადგანაც პირდაპირი ობიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია, ამიტომ მისი ნაცვალსახელური პირის ნიშანიც **სახელობითის ფორმით** ყალიბდება ზმნასთან, განსხვავებით სუბიექტური პირის ნიშნებისაგან, რომლებიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, **ერგატივის** ფორმით ერთვის ზმნას აუსლაუტში.

ისე რომ, ერთი და იმავე მასალისგან მომდინარე S და O პირთა ნიშნები ერთმანეთისგან განსხვავდება ფონეტიკური სტრუქტურით, რაც განპირობებულია სახელობითი და ერგატივის ბრუნვებით. **ობიექტის ნიშანი სახელობითის ბრუნვით არის გაფორმებული, სუბიექტისა კი — ერგატივის ბრუნვით.**

გარდა აღნიშნული დიფერენციალური ნიშნისა (ერგატივისა და სახელობითის ფორმისა), არის მეორე ნიშანიც, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობს სუბიექტურისა და ობიექტურ პირთა ნიშნების დიფერენცირებაში. ეს არის **მახვილის ადგილი** ზმნაში. ობიექტური წყობის ზმნაზე **მახვილი ეცემა** სიტყვის **პირველ მარცვალზე,** ხოლო სუბიექტური წყობის ზმნაზე კი მახვილი აქვს **ბოლოდან პირველ მარცვალზე.** მაგალითად, **ხერც-ო'-ს** „ვცვლი", **ხერც-ო-სრ** „მცვლის". პირველ შემთხვევაში **-ს** I პ. სუბიექტური ნიშანია, მეორე შემთხვევაში **-სრ** პირდაპირი ობიექტის ნიშანია.

ქვემოთ საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ობიექტური წყობის ზმნას. როცა ობიექტზეა საუბარი, ყოველთვის იგულისხმება **პირდაპირი ობიექტი,** რადგანაც **ირიბი ობიექტი,** როგორც წესი, **ზმნაში საერთოდ არ აისახება.** ქვემოთ წარმოვადგენთ ზმნათა უღლების პარადიგმას პირველ სერიაში. და-

ნარჩენ სერიებში სურათი არ იცვლება. ამდენად ჩვენ საჭიროდ არ მივიჩნევთ მათი პარადიგმების ჩვენებას:

აწმყოს მწკრივი

	მხ. რ.	*მრ. რ.*
I პ.	**ხერც-ო-სრ „მცვლის“**	**ხერც-ო-თხრ „გვცვლიან“**
II პ.	**ხერც-ო-ჰ ხ რ „გცვლის“**	**ხერც-უ-ჲშ „გცვლიან“**
III აპ.	**ხერც-ო-Ø „ცვლის მას“**	**ხერც-ო-Ø „ცვლის“**

გარეგნულად I და II პირში სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნები თითქოს ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, სუბიექტის ნიშანი **-ს←ას, რ-ს** მომდევნო პოზიციაში პირისნიშნისეული **-ა** რედუცირდება და რჩება მხოლოდ /ს/. ხოლო პირდაპირი ობიექტის ნიშანი **სრ←სო**. პირის ნიშნად გაფორმებული ნაცვალსახელის **სო** „მე“ ვოკალი /ო/ სუსტდება: **სო→სრ**.

ამრიგად, ფონეტიკური პროცესის შედეგად სხვადასხვა ენობრივი ერთეული მატერიალურად ერთმანეთს ემსგავსება, ოღონდ გრამატიკული ფუნქციები განსხვავებული აქვთ.

სხვა ფონეტიკურ გარემოცვაში სუბიექტისა და ობიექტის ნიშნები აშკარად დიფერენცირებულია. მაგალითად, **ჴაჲლხნ-ას** „შევჭამე“, **-ას** სუბიექტური პირის ნიშანია. ასევეა II პირშიც — **ჴაჲლხნ-აჰხ** „შეჭამე“. **ობიექტური წყობა** კი ასეთ ფორმას იძლევა: **ჴჳლჲი̯-სრ** „შემჭამა“, **ჴჳლჲი̯-ჰხ რ** „შეგჭამა“. აქ სუბიექტური პირის ნიშნებია **-ას, -აჰხ**, ხოლო ობიექტურისა კი **-სრ** და **-ჰხ რ**.

წარმოვადგინოთ პირველი სერიის მომდევნო ორი მწკრივიც.

აწმყოს წინარეწარსული I

	მხ. რ.	*მრ. რ.*
I პ.	**ხერც-რ-ას/ო/ „მცვლიდა“**	**ხერც-რ-ათხ/ო/ „გვცვლიდა“**

II პ.	ხერც-რ-ა-ჰ₀/ო/ „გცვლიდა“	ხერც-რ-ა-ჲშ/უ/ „გცვლიდათ“
III პ.	ხერც-ო-რ „ცვლიდა“	ხერც-ო-რ „ცვლიდნენ მათ“

აწმყოს წინარეწარსული II

	მხ. რ.	მრ. რ.
I პ.	ხერც-რ-ალო-ს/რ/ „მცვლიდა“	ხერც-რ-ალო-თხ/ო/ „გვცვლიდა“
II პ.	ხერც-რ-ალო-ჰ₀/რ/ „გვცვლიდა“	ხერც-რ-ალუ-ჲშ(/უ/) „გცვლიდათ“
III პ.	ხერც-რ-ალრ „ცვლიდა“	ხერც-რ-ალ/ო/ „ცვლიდნენ

ამრიგად, წოვა-თუშურ ენაში მოხდა მეტად საინტერესო ინოვაციური მორფოლოგიური პროცესი — **მახვილისა და ნაცვალსახელური ძირის კომბინაციით ჩამოყალიბდა ახალი გრამატიკული მორფემა — პირდაპირი ობიექტური პირის ნიშანი, მეორე და პირველი პირისა.**

გრამატიკული კლასის კატეგორია

კავკასიოლოგებისათვის გრამატიკული კლასის საკითხის კვლევას აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა, რადგანაც ის უაღრესად სპეციფიკური პრობლემაა იბერიულ-კავკასიურ ენათა გრამატიკულ სტრუქტურაში. ამიტომ, ბუნებრივია, ამ ენების მკვლევრებმა იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მას და კვლევის ობიექტად გაიხადეს.

როგორც ცნობილია, გრამატიკული კლასის კატეგორია გულისხმობს სინამდვილის მოვლენათა დაჯგუფებას გარკვეული

ენობრივი ნიშნების მიხედვით. მაგრამ დღემდე არ არის დადგენილი ის საკლასიფიკაციო პრინციპი, რომელიც ამ მოვლენას უძევს საფუძვლად.

ამ მხრივ საგულისხმოა ცნობილი კავკასიოლოგის პ.კ. უსლარის გამონათქვამი: „Несмотря на все старания, я не мог раскрыть законов, которые распределяют такавые слова по различным категориям".[1]

წოვათუშურ ენაში გრამატიკული კლასის კატეგორია ამჟამად ცოცხალი, მოქმედი მორფოლოგიური მოვლენაა.

აღნიშნული საკითხის შესახებ არსებობს სპეციალური გამოკვლევებიც და ზოგადი გამონათქვამებიც.

წარმოდგენილი სტატია ეძღვნება გრამატიკული კლასების რაოდენობის დადგენას სინქრონიულ პლანში.

გრამატიკული კლასის კატეგორია მორფოლოგიური კატეგორიაა. მას რამდენიმე მორფემა აქვს. ისინი პრეფიქსის სახითაა წარმოდგენილი უმთავრესად ზმნაში და ზედსართავ სახელებში. აქ ისინი მონაცვლეობენ იმის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფის სახელი შეეწყობა მათ. სხვა რიგის მორფემებისგან განსხვავებით სიტყვას მათ გარეშე ლექსიკური მნიშვნელობა არა აქვს. ამრიგად, აღნიშნული მორფემები გრამატიკულ მნიშვნელობასაც ატარებენ და სიტყვასთან ერთად ლექსიკურ მნიშვნელობასაც ქმნიან. ეს არის ერთ-ერთი **სპეციფიკური ნიშანი** გრამატიკული კლასის მორფემებისა.

საკვლევი კატეგორიის მორფემათა რიცხვის დადგენა მარტივია. თითქოს გრამატიკული კლასების რაოდენობაც მათი შესაბამისი უნდა იყოს, მაგრამ საქმეს ართულებს **მრავლობითის ჩვენება**, სადაც სახელთა **ხელახალი გადაჯგუფება** ხდება.

ამასთან დაკავშირებით მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხი ჩნდება: გრამატიკული კლასის კატეგორიის მორფო-

1. П.К. Услар, Чеченский язык, Тифлис, 1888.

ლოგიური სტრუქტურის ანალიზი მხოლობითისა და მრავლობითის ჩვენების გათვალისწინებით უნდა მოხდეს, თუ მკაცრად გაიმიჯნოს ეს ორი ასპექტი ერთმანეთისგან.

იმის მიხედვით, თუ რომელ თვალსაზრისზე დადგება მკვლევარი, შედეგებსაც განსხვავებულს მიიღებს.

აკად. ა. შიფნერი ასეთ სქემას გვთავაზობს:

მხოლ.	ვა	ჲა	ბა	და
მრავლ.	ბა	და, ჲა	და. ბა, ჲა	და[1]

ა. შიფნერი თავად არ იძლევა ამ სქემის ანალიზს. სქემის მიხედვით ჩვენ ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება: მხოლობითში ავტორი ოთხ გრამატიკულ კლასს გამოყოფს, ხოლო მრავლობითში თითქოს — შვიდს. ა. შიფნერი ერთმანეთისგან უნდა მიჯნავდეს მხოლობითისა და მრავლობითის ჩვენებას.

რ. გაგუა სხვა საკითხთან დაკავშირებით წერს: „ბაცბურ (sic. წოვათუშურ) ენაში გრამატიკული კლასების გადმოსაცემად გამოყენებულია ოთხი აფიქსი: **თ, ბ, ჲ, დ**. ამათგან მრავლობითში იხმარება **ბ, ჲ, დ**, ხოლო **ვ** ოდენ მხოლობითში".[2]

ი. დეშერიევს სპეციალური გამოკვლევები აქვს მიძღვნილი გრამატიკული კლასის სისტემის შესასწავლად. თავის გვიანდელ მონოგრაფიაში ის წერს: „Всего в бацбийском восемь грамматических классов".[3] ამის შემდეგ ავტორი იძლევა ასეთ სქემას:

---

1. A. Schiefner, Versuch uber die Thusch Sprache. S.T. Peterburg, 1856, § 82.
2. რ. გაგუა, ზმნის ცვლა გრამატიკული კლას-კატეგორიის მიხედვით ბაცბურ ენაში, იბერ. კავკ. ენათმეცნ. ტ. IV, 1952, გვ. 129.
3. Ю.Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков, Грозный, 196 В, გვ. 377.

		Грамматические классы							
Число	Обозначение классов	класс мужчин	класс женщин	Классы неразумных существ, природы, вещей, предметов и понятий					
		1	2	3	4	5	6	7	8
Единств.	Звуковые показат. грам. классов	в	й	й	б	д	б	б	д
Множ.	Звуков. показат. грам. классов	б	д	й	б	д	д	й	й

როგორც წარმოდგენილი სქემიდან ჩანს, პროფ. ი. დეშერიევი წოვათუშურში სახელთა რვა გრამატიკულ კლასს გამოყოფს. კლასთა ეს სიმრავლე შეპირობებულია მხოლობითისა და მრავლობითის ფორმების შეწყვილებით. ამგვარ საკლასიფიკაციო პრინციპს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული საფუძველი, კერძოდ, ის უფრო აკონკრეტებს და შედარებით ვიწროდ ფარგლავს სახელთა გრამატიკულ ჯგუფებს. ეს კი, თავის მხრივ, გააადვილებდა საერთო კრიტერიუმის დაძებნას კლასებს შიგნით, რომლის მიხედვითაც ისინი გაერთიანდნენ. მაგრამ ამ საკლასიფიკაციო პრინციპის მიხედვით ერთი კლასის გამოსახატავად ორი მორფემა გამოდის. კითხვა ისმის: რამდენად იქნებოდა მეთოდურად გამართლებული ორი **სხვადასხვა** მორფემის ქვეშ გაგვეერთიანებინა სახელთა წყება და მათი გრამატიკული ინტერპრეტაცია ამის მიხედვით მოგვეცა? ორი სხვადასხვა მორფემის ქვეშ ვგულისხმობთ სახელის მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებთან შეწყვილებული ზმნის პრეფიქსებს, მაგალითად:

მხოლ. რ. **ნან Გ-აღრ „დედა მოდის“**

მრავლ. რ. **ნანი დ-აღრ „დედები მოდიან“**

გარდა ამისა, ამ სქემის მიხედვით **სხვადასხვა კლასში ექცევა** ერთი კლასის რიგი მოვლენები და საგნები (მხოლობითის მიხედვით).


ავტორი ამ ორი **(Ბ-, დ-,)** მორფემის ქვეშ გაერთიანებულ სა-

ხელთა კლასს უპირისპირებს სახელთა სხვა კლასებს, რომლებსაც ანალოგიური პრინციპით გამოყოფს.

ყურადღებას იქცევს ნ. ანდღულაძის დებულება დასმული საკითხის შესახებ:

„კლასთა რაოდენობის დადგენისას უნდა ამოვიდეთ მხოლობითი რიცხვის ჩვენებათაგან და იქვე მივუთითოთ, მრავლობითის წარმოების რა ტიპს განეკუთვნება ამა თუ იმ ენის გრამატიკული კლასების სისტემა“.[1]

ამ დებულების პირველი ნაწილი სავსებით გასაგებია და ლოგიკური, თუ გრამატიკული კლასის კატეგორიის ფუნქციებიდან ამოვალთ, მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა იყოს აუცილებელი მრავლობითის წარმოების ტიპის გათვალისწინება კლასთა რაოდენობის დადგენასთან დაკავშირებით. ზემოთ მოყვანილი დებულების შესაბამისად ნ. ანდღულაძე გვთავაზობს ასეთ გართულებულ სქემას:



ჩვენ ვფიქრობთ, გრამატიკული კლასის კატეგორიაზე მსჯელობისას, რა თვალსაზრისითაც უნდა გვაინტერესებდეს ის, ამოსავალი უნდა იყოს **მხოლობითის ჩვენება**, რადგანაც

1. ნ. ანდღულაძე, გრამატიკული კლასების რაოდენობა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1953, გვ. 27 (საკანდიდატო დისერტაცია — ხელნაწერი).

2. იქვე.

სწორედ ამ ასპექტშია ჩადებული მთელი საიდუმლოება ამ კატეგორიის სპეციფიკისა.

მრავლობითში სათანადო აფიქსების რეინტერპრეტაცია ხდება. აქ ისინი თავისი გრამატიკული მნიშვნელობით არ ფარავენ შესაბამის აფიქსებს მხოლობითში. მაგალითად:

1. მხოლ. რ.	ბადერ	დ-აღრ	„ბავშვი მოდის“
2. მრავლ. რ.	დუჲ	დ-აღრ	„ცხენები მოდიან“

პირველ სინტაგმაში ზმნური პრეფიქსი (დ-) ოდენ კლასის ნიშანია, მეორე სინტაგმის იგივე წევრი სტრუქტურულად უცვლელია, მაგრამ სხვა კონტექსტში ზის და სწორედ ეს განსაზღვრავს მისი მნიშვნელობის ღირებულების ხარისხს; კერძოდ, აქ ზმნას მრავლობითის შინაარსი აქვს. ამ შინაარსს ის სინტაგმის პირველ წევრთან (დუჲ) მიმართებაში გამოხატავს იმავე მორფემის (დ) საშუალებით. როგორც კი მას მხოლობითში გადავიყვანთ, სინტაგმის მეორე წევრის მორფოლოგიური შინაარსიც იცვლება, მაგალითად, დო ბ-აღრ „ცხენი მოდის“. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ სახელის მრავლობითის ფორმასთან შეწყვილებული ზმნის პრეფიქსში იჩრდილება მისი თავდაპირველი გრამატიკული მნიშვნელობა, ე.ი. ხდება ფორმანტის მორფოლოგიური რეინტერპრეტაცია. სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს, გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ზმნის მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები და გრამატიკული კლასების რაოდენობის დასადგენად ამოვიდეთ მხოლობითის ჩვენებიდან.[1] თუ საკითხს ამ მეთოდით მივუდგებით, წოვათუშურში სულ ოთხი გრამატიკული კლასი გამოიყოფა შესაბამისი მორფემებით:

I.	ვ —	III.	ბ —
II.	ჲ —	IV.	დ —

1. ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დღეს (14.11.62 წ.) პროფ. ა. შანიძემ აზრი გამოთქვა, რომ კლასთა რაოდენობა იმდენია რომელსამე ენაში, რამდენი კლასის ნიშანიც ამ ენას მოეპოვებაო.

როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს მრავლობითში გამოვლენილ ზმნურ პრეფიქსებს?

როგორც ცნობილია, წოვათუშური ზმნა ისტორიულად რიცხვის მიმართ ნეიტრალური ბუნებისა იყო. ამჟამად მიმდინარეობს ამ კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესი. ამ მიზნით ენა იყენებს პირის ნაცვალსახელებს (პოსტპოზიციაში) და გრამატიკული კლასის ნიშნებს (პრეპოზიციაში).

როგორ გაფორმდება ზმნის გრამატიკული სტრუქტურა ამ მიმართულებით, — მომავლის საკითხია.

P.S. 2001 წელი

აქვე გვინდა საკითხის დასმის წესით დავუმატოთ შემდეგი: რიგ ზმნებთან ძირს გამოეყოფა პრეფიქსული ელემენტები, რომლებიც მატერიალურად არ ემთხვევა ამჟამად მოქმედი ცოცხალი გრამატიკული კლასის ნიშნებს. მაგალითად, **ლᲐთᲮ** „დგას“. წარსულსა და მყოფადის ფორმებში ანლაუტის ლ- ჩამოსცილდება წარმოდგენილ აწმყოს ფორმას: **ოთᲮე⁶** „დადგა“, **უᲐთᲮ** „დადგება“.

ბუნებრივია, დგება საკითხი — რატომ ჩამოსცილდა ლ- ელემენტი წარსულისა და მყოფადის ფორმებს? ხომ არ ჰქონდა მას ისტორიულად მორფოლოგიური ფუნქცია? ამ ეჭვს აღვიძებს ვაინახურ ენათა მონაცემები. მაგალითად, ზ. მალსაგოვის აზრით: „Л является типа классных элементов в, й, д, б“.[1]

ხ. ოშაევი უფრო შორს მიდის. ის სპეციალურად განიხილავს გრამატიკული კლასების რაოდენობის პრობლემას ვაინახურ ენებში და ამის საფუძველზე აკეთებს სრულიად ახლებურ დასკვნას: „Многочисленные примеры классных глаголов, приведенные выше, дают основание полагать, что **вглубокомпрошлом**

1. З.К. Мальсагов. Грамматика ингушского языка, издание 2-е, Грозный, 1963, гр. 154.

грамматических классов в чечено-ингушском языке было несколько больше, чем четыре класса й, в, б, д. Но все ли элементы **л, хь, х, м, т, кх, къ** являлись показателями классов — сказать трудно. На этот вопрос можно дать ответ после длительного сравнительного изучения других кавказских языков, в коих грамматические классы существовали или существуют.

С большей уверенностью можно утверждать, что префиксы **л, хь, м, т, п, кх** являлись показателями грамматических классов. Основанием для утверждения этого являются примеры, приведенные выше".[1]

ნახოლოგთა ამ მოსაზრებას გავიზიარებთ თუ არა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ არც მისი გაუთვალისწინებლობა იქნებოდა მიზანშეწონილი, მით უმეტეს, რომ ზმნებთან და სახელებთან მართლაც გამოიყოფა პრეფიქსული ელემენტები, რომლებიც ისტორიულად ძირის კუთვნილება არ უნდა ყოფილიყო.

ჩვენი დაკვირვებით, ვერც ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებულად ჩაითვლება ისინი, **რადგანაც ერთ და იმავე პოზიციაში ერთი ელემენტის დიფერენცირება სხვადასხვა ფონეტიკურ ერთეულებში ნაკლებ დასაჯერებელია.**

ნურც იმისა შეგვეშინდება, რომ ამ ახალი ჰიპოთეზის მიღების შემთხვევაში, ისტორიულად გრამატიკულ **კლასთა რაოდენობა გაიზრდება,** რაც ეწინააღმდეგება ამჟამად მიღებულ თვალსაზრისს.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ბანტუს ენები, სადაც სახელების კლასთა რაოდენობა აღწევს 14-20-მდე. აღნიშნულ ენებში სახელთა გრამატიკული კატეგორია არის ერთ-ერთი ძირითადი მორფოლოგიური კატეგორია: „Наиболее заметной чертой грамматического строя языков банту, одним из его важнейших компонентов является **система именных классов.**

1. Х.Д. Ошаев. К вопросу о рудиментальных классных показателях в чеченском и ингушском языках. Известия, т. I, выпуск второй, Языкознание, Грозный, 1959, გვ. 202.

Часто ее называют **доминантой грамматического строя**, а языки банту — просто языками с именными классами".[1]

ამდენად, ისტორიულად გრამატიკულ კლასთა სიმრავლის თეორიული დაშვება, როგორც **მეცნიერული ჰიპოთეზისა** და ამ მიმართულებით გამოწვლილვითი კვლევა-ძიება ნახურ-დაღესტნური ენებისა, არ უნდა იყოს მთლად საფუძველს მოკლებული. ამის სტიმულს გვაძლევს გრამატიკულ კლასთა ექსპონატების სიმრავლეც ნახურ-დაღესტნურ ენებში, რომელთა ფონეტიკური დიფერენციაციის გზით მიღება ნაკლებად დამაჯერებელია.[2]

ასე რომ, ამ თვალსაზრისის ჰიპოტეტური პოსტულატი იქნება ძიება **„რთულიდან გამარტივებისაკენ", კონკრეტულიდან აბსტრაქციისაკენ**, რაც ადამიანის აზროვნების განვითარების ლოგიკური თვისებაა, რომელიც, როგორც წესი, აისახება ენაშიც.

კაუზატივი

კაუზატივის (კონტაქტის) კატეგორიას განსაკუთრებული ადგილი უკავია წოვა-თუშური ენის მორფოლოგიურ კატეგორიებს შორის. მისი ერთი ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ იგი დრო-კილოთა მთელ სისტემას გასდევს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კაუზატიურ ფორმებს აწარმოებს როგორც **გარდამავალი**, ასევე **გარდაუვალი** ზმნებიც.

კაუზატივური ფორმები აქვს აგრეთვე ზმნის **ვნებითი გვარის ფორმებსაც**.

კაუზატივის მაწარმოებელი ყველგან არის **-ით** ნიშანი.

ამ ერთ ნიშანს **(-ით)** მის ძირითად ფუნქციასთან ერთად აქვს **პერიფერიული ფუნქციებიც**, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი შესაბამისი მასალის ანალიზის ფონზე.

1. Л.З. Сова. Эволюция грамматического строя в языках банту, Ленинград, изд. „Наука", 1987, გვ. 12-20.
2. ნ. ანდღულაძე. კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში. თბილისი, 1968.

როგორია კაუზატივის ძირითადი ფუნქცია?

კაუზატივის ფორმა გამოხატავს ზმნის ისეთ ფუნქციას, როცა სუბიექტი მოქმედებას ასრულებს სხვა პირის საშუალებით, სხვა პირის მეშვეობით. ამდენად ძირითადი სუბიექტის გვერდით ზმნის სემანტიკურ სტრუქტურაში შემოდის მეორე სუბიექტი, მოქმედების უშუალო შემსრულებელი.

აქედან გამომდინარე, ზმნის სემანტიკურ სტრუქტურაში ორი პირი მოქმედებს — ერთი უშუალოდ შემსრულებელი, ხოლო მეორე პირი მოქმედებას ხელმძღვანელობს. „ხელმძღვანელი პირი — ეს არის საქმის მოთავე, ინიციატორი, მისი ორგანიზატორი, ხოლო ვინც უშუალოდ მოქმედებს, ერთგვარი იარაღია საქმის ორგანიზატორის ხელში“ (აკ. შანიძე).

ამგვარად, კაუზატივში სემანტიკის დონეზე მოქმედებს ორი პირი; გამოდის, რომ ზმნას ორი სუბიექტი აქვს; თუ ეს ასეა, მაშინ ეს ვითარება უნდა აისახოს მორფოლოგიის დონეზედაც. წოვა-თუშურ ენაში **გარდამავალ** ზმნასთან სუბიექტის ბრუნვაა **მხოლოდ ერგატივი**, ე.ი. სუბიექტია ის სახელი, რომელიც ერგატივშია. თუ კაუზატივის ფორმაში ორივე სუბიექტი ერგატივშია, მაშინ მართლაც, ორ სუბიექტთან გვქონია აქ საქმე.

ახლა ვნახოთ ზმნის კაუზატივის ფორმებთან შეწყობილ სახელთა ბრუნვები.

ოღონდ ამას წინ უნდა უძღოდეს გარჩევა ორი გრამატიკული ცნებისა. მხედველობაში გვაქვს **უშუალო კონტაქტი** და **შუალობითი კონტაქტი**.

უშუალოა კონტაქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე **უშუალოდ**, სხვა პირის ჩაურევლად: **ნანი-ს ჟაგნრ ეცი**ⁿ — „ნანიმ წიგნი იყიდა“. **ვანო-ს ჭარ ლაცბიე**ⁿ — „ვანომ თევზი დაიჭირა“... მოყვანილ მაგალითებში სუბიექტია „ნანის“ და „ვანოს“. ორივე ეს სახელი

ერგატივშია, რაც ბუნებრივია, ხოლო „ჟაგნრ“ და „ჭარ“ პირდაპირი ობიექტია და სახელობითშია.

ახლა ვნახოთ შუალობითი კონტაქტის მაგალითში ე.წ. ორი „სუბიექტის“ ბრუნვები:

1. ნანი-ს თინე-გრ ჟაგნრ ეც-ით-ე⁵ — ნანიმ თინას წიგნი აყიდვინა. 2. ვანო-ს ოთრე-გრ ჭარ ლაცბ-ით-ე⁵ — ვანომ ოთარს თევზი დააჭერინა.

პირველ მაგალითში ხელმძღვანელი სუბიექტი **„ნანი-ს“** ერგატივშია, ხოლო უშუალო შემსრულებელი სუბიექტი **„თინე-გრ“** მიმართულებით ბრუნვაშია, რომელიც თავისი ფუნქციით ქართულ მიცემითს ესადაგება. ასევეა მეორე წინადადებაშიც, ხელმძღვანელი სუბიექტი **„ვანო-ს“** ერგატივშია წარმოდგენილი, ხოლო უშუალო შემსრულებელი კი მიმართებითის ბრუნვაშია — **ოთრე-გრ**.

აქედან დასკვნა — წინადადებაში, სადაც ზმნა-შემასმენელი კაუზატივის ფორმაშია, იქ გრამატიკული **სუბიექტია ერგატივში წარმოდგენილი** სახელი, ე.ი. ის სახელი, რომელიც მოქმედების ამოსავალია, ხელმძღვანელია. ამის ნათელი დასტურია მისი ბრუნვის (ერგატივის) ფორმა, ხოლო მეორე სახელი, მოქმედების უშუალო შემსრულებელი გრამატიკული ფორმით ირიბი ობიექტის როლში გამოდის. აქ თითქოს ერთგვარ პარადოქსთან გვაქვს საქმე, რადგანაც მოქმედების უშუალო შემსრულებელი სუბიექტის ბრუნვით არ არის გაფორმებული, **რეალურად ხომ ის მოქმედებს**, ამდენად ის სუბიექტის ნიშნით უნდა ყოფილიყო გაფორმებული.

მაგრამ ეს ასე არ არის, რადგანაც თუ ღრმად დავუკვირდებით, კაუზატიურ წინადადებაშიც **სუბიექტი ერთია**; ეს არის ის პირი, რომელიც მოქმედების ინიციატორია, წამომწყები მოქმედებისა. უშუალო შემსრულებელი კი იარაღია მის ხელში, მისი სურვილის შემსრულებელია მხოლოდ.

თუ ამ კუთხით შევხედავთ და გავაანალიზებთ კაუზატიურ წინადადებას, მაშინ აქაც ფაქტობრივად სუბიექტი ერთი იქნება. ეს არის ის პირი, რომლის გარეშეც მოქმედება ვერ განხორციელდებოდა, ხოლო **„უშუალო შემსრულებელი“ ობიექტია მის ხელში**. ამიტომაა, რომ „უშუალო შემსრულებელი“ ირიბი ობიექტის ბრუნვაშია (მიმართულებითი, მიცემითის ვარიანტი) წარმოდგენილი. ამდენად, წინადადების წევრთა მორფოლოგიურ სტრუქტურაში ასახულია ზმნა-შემასმენელში ჩადებული ობიექტური ვითარება სინამდვილისა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კაუზატიური ფორმები პროდუქტიულია, ისინი დრო-კილოთა მთელ სისტემას გაყვება. ქვემოთ წარმოვადგენთ შესაბამის მასალას, როგორც **თხრობით კილოში**, ასევე **კავშირებით-პირობით კილოში**, ამჯერად მაგალითებს მოვიტანთ მხოლოდ მესამე პირში, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით საკმარისი იქნება კაუზატივის კატეგორიის არსის საჩვენებლად. საანალიზო ფორმები ილუსტრირებულია აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში.

მაგალითები:

1. ოჯუს ჟაგნრ ხეტჲ რ → ოჯუს ოჯუჲგრ ჟაგნრ ხეტჲ-ით-რ.

ის წიგნს კითხულობს → ის მას წიგნს აკითხვინებს.

2. ოჯუს ჟაგნრ ხეტჲ-ო-რ → ოჯუს ოჯუჲგრ ჟაგნრ ხეტჲ-ით-ო-რ.

ის წიგნს კითხულობდა → ის მას წიგნს აკითხვინებდა.

3. ოჯუს ჟაგნრ ხეტჲ-რ-ალრ → ოჯუს ოჯუჲგრ ჟაგნრ ხეტჲ-ით-რ-ალრ.

ის წიგნს კითხულობდა → ის მას წიგნს აკითხვინებდა.

1. ოჯუს მაჯოხ ნაჩხ ხერც-რ → ოჯუს ოჯუჲგრ მაჯოხ ნაჩხ ხერც-ით-რ.

ის პურზე ყველს ცვლის → ის იმას პურზე ყველს აცვლევინებს.

2. ოჯუს მაჯოხ ნაჩხ ხერც-ო-რ → ოჯუს ოჯუჲგრ მაჯოხ ნაჩხ ხერც-ით-ო-რ.

ის პურზე ყველს ცვლიდა → ის პურზე ყველს აცვლევინებდა.

3. ოჯუს მაჯოხ ნაჩხ ხერც-რ-ალრ → ოჯუს ოჯუჲგრ მაჯოხ ნაჩხ ხერც-ით-რ-ალრ.

ის პურზე ყველს ცვლიდა → ის იმას პურზე ყველს აცვლევინებდა.

აწმყოს თურმეობითის კაუზატივი

1. ოჯუს ჟაგნრ ხეტჱ-დ-ა-ნო → ოჯუს ოჯუჲგრ ჟაგნრ ხეტჱ-ით-დ-ა-ნო

ის წიგნს კითხულობს თურმე → ის მას წიგნს აკითხვინებდა თურმე.

2. ოჯუს ჟაგნრ ხეტჱ-დ-ა-ნო-რ → ოჯუს ოჯუჲგრ ჟაგნრ ხეტჱ-ით-დ-ა-ნო-რ

ის წიგნს კითხულობდა თურმე → ის მას წიგნს აკითხვინებდა თურმე.

3. ოჯუს ჟაგნრ ხეტჱ-დ-ა-ნო-რ-ალრ → ოჯუს ოჯუჲგრ ჟაგნრ ხეტჱ-ით-დ-ა-ნო-რ-ალრ

ის წიგნს კითხულობდა თურმე → ის მას წიგნს აკითხვინებდა თურმე.

1. ოჯუს ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნო → ოჯუს ოჯუჲგრ ჟაგნრ ხერც-ით-დ-ა-ნრ

ის წიგნს ცვლის თურმე → ის მას წიგნს აცვლევინებს თურმე.

2. ოჯუს ჟაგნრ ხერც-დ-ა-ნო-რ → ოჯუს ოჯუჲგრ ჟაგნრ ხერც-ით-დ-ა-ნო-რ

ის წიგნს ცვლიდა თურმე → ის მას წიგნს აცვლევინებდა თურმე.

3. ოჯუს ჟაგნო ხერც-დ-ა-ნო-რ-ალრ → ოჯუს ოჯუჲგრ ჟაგნრ ხერც-ით-დ-ა-ნო-რ-ალრ

ის წიგნს ცვლიდა თურმე → ის მას წიგნს აცვლევინებდა თურმე.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, კაუზატივის ფორმები იწარმოება უშუალო კონტაქტის ფორმაზე **-ით** სუფიქსის დართვით. ეს წესი ვრცელდება ზმნის უღლების მთელ სისტემაში.

შუალობით კონტაქტში გადაყვანისას ზმნის სემანტიკური შინაარსის სტრუქტურაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შემოდის ახალი წევრი; ეს არის მოქმედების **უშუალო შემსრულებელი**. თუ უშუალო კონტაქტის ზმნას ახლავს ორი აქტანტი — ერთი ერგატივში (S), ხოლო მეორე სახელობითში (პირდ. O), შუალობით კონტაქტის ფორმაში ზმნას ემატება ახალი აქტანტი, რომელიც მიმართულებით ბრუნვაშია (მიცემითის ვარიანტი) წარმოდგენილი. **გრამატიკული ფორმით ეს ობიექტია, თუმცა მისი მორფოლოგიური სტატუსი დამატებით ძიებას მოითხოვს.**

-ით სუფიქსს დაირთავს ერთპირიანი ზმნებიც როგორც დინამიკური, ასევე სტატიკური შინაარსისა. ამასთან დაკავშირებით ეს სუფიქსი ამ რიგის ზმნებთან **განსხვავებულ ფუნქციასაც ასრულებს** შედარებით მის ძირითად ფუნქციასთან. მხედველობაში გვაქვს **-ით სუფიქსის** კაუზატიური ფუნქცია.

თუ გარდამავალ ზმნაში „ხელმძღვანელი" სუბიექტი აიძულებს „შემსრულებელ" სუბიექტს იმოქმედოს პირდაპირ ობიექტზე, აქ, ე.ი. ერთპირიან ზმნებთან, **პირთა ურთიერთობის ასეთი მექანიზმი გამორიცხულია**, რადგანაც ამგვარ ზმნებში „ხელმძღვანელიცა" და „შემსრულებელიც" ერთი და იგივე პირია. **-ით** სუფიქსის დართვით ზმნის სემანტიკურ სტრუქტუ-

რაში შემოდის ახალი სახელი, რომელიც გრამატიკულად პირდაპირი ობიექტის როლში გამოდის და არა „შემსრულებლის“. ამიტომაა, რომ ზმნაში გრამატიკული კლასის ნიშანს ის აჩენს, ხოლო სუბიექტის კლასის ნიშანი, როგორც წესი, იკარგება, რაც კანონზომიერი მოვლენაა ამ ენის ზმნათა გრამატიკული კლასის კატეგორიის მორფოლოგიური თავისებურებების მიხედვით.

კაუზატივი (კონტაქტი) ერთპირიან ზმნებთან

1. ბადერ ნაყმაქ ლᲔთᲛ ე̃ — ბავშვი გზაზე დგას.
ნანას ბადერ ნაყმაქ ლᲔთᲛ-ით-რ — დედა ბავშვს ნებას (უფლებას) რთავს, რომ გზაზე იდგეს.
2. ბადერ მეჴმაქ დიშ/უ/ — ბავშვი ტახტზე წევს.
აჰᲛ მაყლიბ, დიშ-ით — შენ თავი დაანებე, იწვეს.
3. ბადერ ჩაკუᲜნმაქ ჯედაღ — ბავშვი სკამზე ზის.
დ-ით, ჯედაღ-ით — იყოს, იჯდეს, ნუ უშლი.

ილუსტრირებულ ზმნებში: **ლᲔ-თᲛ-ით, დიშ-ით, ჯე̃დაღ-ით** და სხვა ერთპირიან ზმნებში **-ით** სუფიქსი აძლევს ერთგვარ ზემოქმედების ელფერს მეორე პირზე, რომელიც ზმნაში გამოხატულ მოქმედებას წინ არ უნდა აღუდგეს. ე.ი. შენ მას მიეცი უფლება „იჯდეს“, „იდგეს“.

საყურადღებოა, რომ კონტაქტის **-ით** მორფემა ვნებითის ფორმებსაც დაერთვის. მაგალითად:

დაყრ „ჭამს“ → დაყ-ლა „იჭმევა“ → დაყ-და-ლ-ით
ვაჯოვ „ზრდის“ → ვაჯ-ლა „იზრდება“ → ვაჯვალ-ით

რა თქმა უნდა, ამ რიგის ფორმებში **-ით** სუფიქსის გრამატიკული ფუნქცია განსხვავებულია ზემოთ განხილული გარდამა-

.ვალი ზმნებისგან ნაწარმოები შუალობითი კონტაქტის **-ით** სუფიქსის მნიშვნელობისაგან... თუმცა აქაც იგულისხმება სუბიექტის ზემოქმედება ობიექტზე: შენ მიეცი საშუალება, რომ „გაიზარდოს“.

კაუზატივი, გარდა იმისა, რომ გამოხატავს მოქმედების იძულებას, ის აგრეთვე გამოხატავს სხვა ფუნქციასაც, კერძოდ სუბიექტი საშუალებას აძლევს „მეორე სუბიექტს“ იმოქმედოს: **ას ოჴუჲგ მაჲჴ ჲაყ-ით — მე უფლებას ვაძლევ მას პური ჭამოს.**

ამგვარად, კაუზატივის კატეგორია წოვა-თუშურ ენაში მეტად პროდუქტიულია, ის ვლინდება როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში, რაც საგულისხმოა, სტატიკურ ზმნებშიაც.

გვარი

ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის თავისი სირთულით და თავისებურებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გვარის კატეგორია, რომელიც თავისი ბუნებით დგას ლექსიკოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის მიჯნაზე.

ზოგადი დეფინიცია გვარის კატეგორიისა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: **ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს გრამატიკული და რეალური სუბიექტის მიმართებას ზმნით აღნიშნულ მოქმედებასთან, გვარი ჰქვია.** ანდა ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში გამოხატულ ურთიერთობას გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის გვარის კატეგორია ეწოდება. თუ სუბიექტიდან მომდინარე მოქმედება უშუალოდ გადადის სამოქმედო პირზე, ზმნა აქტიური შინაარსისაა, ე.ი. მოქმედებითი გვარისაა. მაგალითი: **ბადრევ ჴერ კერჩობ** — „ბავშვი ქვას აგორებს“.

ხოლო თუ სუბიექტი იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირი ობიექტი სათანადო მოქმედებითში და ზმნის ფორმიდან არა ჩანს, ვისგან ან რისგან მომდინარეობს ეს მოქმედება, მაშინ ვნებით (პასიურ) გვართან გვაქვს საქმე. მაგალითისთვის ავიღოთ იგივე ზმნა:

ჴერ კერჩ-ლა — ქვა გორდება.

ჩვენი დაკვირვებით, წოვა-თუშურ ზმნას აქვს ჩამოყალიბებული გვარის მორფოლოგიური კატეგორია, როგორც ეს ნათლად გამოჩნდება ქვემოთ საანალიზოდ წარმოდგენილ მასალაში. ვნებითი გვარის მაწარმოებელია -ლა ელემენტი. თუმცა ეს კატეგორია მეტწილ მთის კავკასიურ ენებში სუსტად არის განვითარებული, ის ამჟამად აღნიშნულ ენებში „ჩასახვის მდგომარეობაშია“ (არნ. ჩიქობავა).

წოვა-თუშურ ენაში გვარის კატეგორია პირველად შენიშნა იობ ცისკარიშვილმა თავის გრამატიკაში, რომელიც ხელნაწერის სახით ინახება ამჟამად სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

ი. დეშერიევი მონოგრაფიაში „Бацбийский язык“ გვარის კატეგორიას ცალკე არ გამოყოფს, მაგრამ ზმნურ სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებით ის ვნებითი გვარის ფორმანტს გამოყოფს, ოღონდ მას უწოდებს უკუქცევითი მოქმედების აღმნიშვნელ აფიქსს და არა გვარის კატეგორიის ფორმანტს.[1]

იმისათვის, რომ გვარის კატეგორიის სრული სურათი გამოვლინდეს, საჭიროა მოვახდინოთ ზმნათა კლასიფიკაცია გარკვეული მორფოლოგიურ-სემანტიკური ნიშნების მიხედვით.

I-ლ ჯგუფს ჰქმნიან ანალიზური წარმოების გარდამავალი ზმნები. ეს ის ზმნებია, რომლებიც იწარმოებიან **„დარ“** მეშველი ზმნის დართვით. უღვლილების სისტემაში მწკრივების მი-

1. Ю. Д. Дешериев. Бацбийский язык, М., 1952, გვ. 82.

ხედვით ძირითადი ზმნა იცვლება აღნიშნული მეშველი ზმნის მეშვეობით.

ვნებითი გვარის კატეგორიის მიხედვით ზმნათა უღვლილება ისეთივე ტიპისაა, როგორც ეს აქვს მოქმედებითი გვარის ზმნებს. ვნებითის ფორმა გაჰყვება **უღვლილების მთელ სისტემას.**

ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ მოქმედებითი გვარის შესაბამისი კონვერსიული ფორმების სრულ პარადიგმას პირიან ფორმებში ვნებითი გვარისა. როგორც ცნობილია, წოვა-თუშურ ენაში სინქრონულ ჭრილში ფუნქციურებს არქაული (კლასოვანი) და ინოვაციური (პიროვანი) უღვლილების ტიპები.

პირიანი ფორმების უღვლილების პარადიგმა გაცილებით რთულია და მრავალწევრიანი. პარადიგმას ართულებს ის გარემოებაც, რომ პირის ნიშანთა დართვა ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში იწვევს გარკვეულ ფონეტიკურ პროცესებს, რომელთა აღწერა და ფიქსირება აუცილებელია, რათა მკითხველისთვის გასაგები გახდეს პარადიგმის წევრთა ფონეტიკური ტრანსფორმაციები.

აქ ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: ვნებითის უღვლილების სისტემაში ხდება ანალიზურ და სინთეზურ ზმნათა უნიფიცირება, რის შედეგადაც უღლების პარადიგმა ერთ ტიპს ქმნის. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება მოქმედებითისა და შესაბამის ვნებითის ფორმათა უღლების **პარადიგმა მხოლოდ მესამე პირში.**

აწმყოს სერია

აწმყოს მწკრივი

კერჩობ „აგორებს“ → კერჩე „გორავს“, კერჩ-ლა — გორდება.
ყეგრ „ამტვრევს“ → ყეგ-ლა „იმტვრევა“.
ჲაყრ „ჭამს“ → ჲაყ-ლა „იჭმევა“.

აწმყოს წინარეწარსული I

კერჩბო-რ „აგორებდა“ → კერჩე-რ „გორავდა“, კერჩ-ლა-რ — გორდებოდა.
ყეგო-რ „ამტვრევდა“ → ყეგ-ლა-რ „იმტვრეოდა“.
ჲაყო-რ „ჭამდდა“ → ჲაყ-ლა-რ „იჭმეოდა“.

აწმყოს წინარეწარსული II

კერჩბო-რ-ალრ „აგორებდა“ → კერჩ-ლა-რ-ალრ —
ყეგ-რ-ალრ „ამტვრევდა“ → ყეგ-ლა-რ-ალრ „იმტვრეოდა“.
ჲაყ-რ-ალრ „ჭამდა“ → ჲაყ-ლა-რ-ალრ „იჭმევოდა“.
ეს ფორმები იშვიათად იხმარება.

მყოფადის სერია

მყოფადის I მწკრივი

კარჩობ „გააგორებს“ → კარჩ-ლა „გაგორდება“.
დჭოგრ „დაამტვრევს“ → დჭოგ-ლა „დაიმტვრევა“.
ჴალჲ რ „შეჭამს“ → ჴალჲ-ლა „შეიჭმევა“.

მყოფადდის II მწკრივი

კარჩბო-რ „გააგორებდა“ → კარჩ-ლა-რ „გაგორდებოდდა“.
დშოგ-რ „დაამტვრევდა“ → დშოგ-ლა-რ „დაიმტვრევოდა“.
ჴალ-რ „შეჭამდა“ → ჴალ-ლა-რ „შეიჭმევოდა“.

მყოფადის III მწკრივი

კარჩბო-რ-ალრ „გააგორებდა“ → კარჩ-ლა-რ-ალრ „გაგორდებოდა“.

დშოგ-რ-ალრ „დაამტვრევდა → დშოგ-ლა-რ-ალრ „დაიმტვრევოდა“.

ჴალ-რ-ალრ „შეჭამდა“ → ჴალ-ლა-რ-ალრ „შეიჭმევოდა“.

საგულისხმოა, რომ ზმნას „გაგორება“ — **კარჩარ** აქვს გვარის მიხედვით სამი ფორმა: კარჩბარ „გაგორება“, კარჩარ „გორება“ და კარჩლა „გაგორდება“, „გორება“.

ნამყოს (აორისტის) სერია

(III სერია)

III სერიის მწკრივებია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლებასთან დაკავშირებით, ნამყო წყვეტილი ანუ სრული ასპექტისა და ნამყო უწყვეტელი ანუ უსრული ასპექტისა. ამ ორ მწკრივს ერთმანეთისგან განარჩევს **ფუძისეული ხმოვნის აბლაუტი**, რაც დამახასიათებელია ზმნათა უმრავლესობისათვის. ზმნათა გარკვეული ჯგუფი კი სუპლეტური წარმოებისაა, ფუძეთა მონაცვლეობით აწარ-

მოებს აღნიშნულ მწკრივებს. ეს ვითარება აისახება ვნებითი გვარის ფორმებთანაც.

თითოეული მწკრივისგან იწარმოება ქრონოლოგიური მიმართების საფუძველზე ორი სხვა მწკრივი ვნებითისა. ისე რომ ქრონოლოგიური მიმართების პრინციპი ვნებითშიც დაცულია, ისე, როგორც ეს უკვე ვაჩვენეთ გარდამავალ (მოქმედებითი) და კაუზატიურ ზმნებთან.

სათანადო ვნებითის ფორმებს წარმოვადგენთ მხოლოდ მესამე პირში, თუმცა სამივე პირში თანაბრად იწარმოება ვნებითი გვარის ფორმები.

III სერიის პირველი მწკრივი

უსრ. კერჩბიე^{5} „აგორა“ → კერჩბა-ლ-ი^{5} „იგორა“.
სრ. კარჩბიე^{5} „გააგორა“ → კარჩბა-ლ-ი^{5} „გაგორდა“.
უსრ. ყეგი^{5} „ამტვრია“ → ყეგდა-ლ-ი^{5} „დაიმტვრა მრავალი“.
სრ. დჩოგი^{5} „დაამტვრია“ → დჩოგდა-ლ-ი^{5} „დაიმტვრა“.
ჲაყი^{5} „ჭამა“ → ჲაყჲა-ლ-ი^{5} „შეიჭამა“.
სრ. ჴალჲი^{5} „შეჭამა → ჴალჲჲა-ლ-ი^{5} „შეიჭამა“.

III სერიის მეორე მწკრივი

უსრ. ყეგი-რ „ამტვრია“ → ყეგდა-ლ-ი-რ „დაიმტვრა მრავალი“.
სრ. დჩოგი-რ „დაამტვრია“ → დჩოგდა-ლ-ი-რ „დაიმტვრა“.
უსრ. კერჩბიე-რ „აგორა“ → კერჩბა-ლ-ი-რ „გორდებოდა“.
სრ. კარჩბიე-რ „გააგორა“ → კარჩბა-ლ-ი-რ „გაგორდა“.
უსრ. ჲაყი-რ „ჭამა“ → ჲაყჲა-ლ-ი-რ „შეიჭამა“.
სრ. ჴალი-რ „შეჭამა“ → ჴალჲჲა-ლ-ი-რ „შეიჭამა“.

უსრ. ყეგ-რ-ალრ „ამტვრევდა“ → ყეგ-ლ-ა-რ-ალო „იმტვრეოდა“.

სრ. დჩოგ-რ-ალრ „დაამტვრევდა“ → დჩრგ-ლ-ა-რ-ალო „დაიმტვრეოდა“.

უსრ. კერჩ-რ-ალრ „აგორებდა“ → კერჩ-ლ-ა-რ-ალრ „გორდებოდა“.

სრ. კარჩ-რ-ალრ „გააგორებდა“ → კარჩ-ლ-ა-რ-ალრ „გორდებოდა“.

უსრ. ჲაყ-რ-ალო „ჭამდა“ → ჲაყ-ლ-ა-რ-ალრ „იჭმეოდა“.

ვნებითის ფორმები თურმეობითებსაც ეწარმოებათ, თუმცა იშვიათად გვხვდება ამგვარი ფორმები. მაგალითად: ყეგ-დ-ა-ნო „ამტვრევს თურმე“. ამისი ვნებითია ყეგ-ლა-დ-ა-ნო „იმტვრევა თურმე“ და ა.შ.

ჩვენ დანარჩენ ფორმებს აქ აღარ დავიმოწმებთ. ფაქტი ის არის, რომ ვნებითის ფორმები, ე.ი. -ლა ფორმანტით ნაწარმოები ზმნური ფორმები, უღვლების მთელ სისტემას გასდევს სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციებით.

-ლა სუფიქსი ერთპირიან ზმნებთან

ნოვა-თუშური ენა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ ერთპირიანი დინამიკური და სტატიკური ზმნები ზემოთ წარმოდგენილ ვნებითის -ლა სუფიქსს დაირთავენ და აწარმოებენ განსხვავებული სემანტიკური შინაარსის ზმნებს. ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ -ლა სუფიქსის დართვა იძლეოდეს ამოსავალი ზმნის კონვერსიულ ფორმას (კორელატს), როგორც ამას ადგილი აქვს რელატიურ გარდამავალ ზმნებთან.

ერთპირიანი ზმნა -ლა სუფიქსის დართვითაც, ბუნებრივია,

კვლავ ერთპირიანად რჩება. ოღონდ ამ შემთხვევაში იცვლება ზმნის სემანტიკური შინაარსი. რაში გამოიხატება ეს ახალი სემანტიკური ნიუანსი ზმნისა აღნიშნული აფიქსის დართვით გამოწვეული, განსხვავებით რელატიური ზმნებისგან ნაწარმოები ვნებითის ფორმებისაგან?

აქ ცალ-ცალკე უნდა შევეხოთ დინამიკურ და სტატიკურ ვნებითებს. საქმე ის არის, რომ ეს ორი სხვადასხვა ტიპის ვნებითები თანაბრად დაირთავენ ვნებითის -ლა სუფიქსს. აქ თითქოს ენობრივ პარადოქსთან გვაქვს საქმე — **ვნებით** ზმნას დაერთვის **ვნებითობის მაწარმოებელი** აფიქსი. თუ ვნებითია, მაშინ რაღა საჭიროა ვნებითის ნიშნის დართვა? ენა მიდის ამ პარადოქსზე და აწარმოებს კვლავ ვნებითს, ოღონდ განსხვავებული სემანტიკური შინაარსის ვნებითს.

მაგალითები მოგვყავს სამივე პირში, რადგანაც ამ შემთხვევაში ნათლად გამოვლინდება დინამიკური ზმნისა და მისგან ნაწარმოები -ლა სუფიქსის დართვით გამოწვეული ფორმობრივი და სემანტიკური სხვაობა:

•

I პ. ას ლ̃ითხ-ას „მე ვხტები“ → სო ლეთხ-ლა-სრ
„მე ვხტები ჩემდა უნებურად“.
II პ. აჰ ლ̃ითხ-ა/ჰ/ „შენ ხტები“ → ჰო ლეთხ-ლა-ჰრ
„შენ ხტები შენდა უნებურად“.
III პ. ო ლ̃ითხ „ის ხტება“ → ო ლეთხ-ლა
„ის ხტება თავისდა უნებურად“.

I პ. ას ვათხე-ს „მე ვტირი“ → სო ვათხ-ლა-სრ
„მე მეტირება“.
II პ. აჰ ვათხე-ჰ „შენ ტირი“ → ჰო ვათხ-ლა-ჰრ
„შენ გეტირება.
III პ. ო ვათხ̃ „ის ტირის → ო ვათხ-ლა — „მას ეტირება“.

მოყვანილ მაგალითებში პირველ რიგში ყურადღებას იქცევს სუბიექტის ბრუნვა. დინამიკურ ვნებითში I და II პირის ნაცვალსახელები **ერგატივის ბრუნვაშია წარმოდგენილი,** ხოლო III პირის ნაცვალსახელი **სახელობით** ბრუნვაშია წარმოდგენილი.

ეს სპეციფიკური ვითარება ცალკე სპეციალურ დაკვირვებასა და შესწავლას მოითხოვს.

. დინამიკური ვნებითისგან განსხვავებით **-ლა სუფიქსიან** ვნებითს სუბიექტი სამსავე პირში სახელობითშია. ეს ფორმობრივი სხვაობა, რაღა თქმა უნდა, განპირობებულია წარმოდგენილი ზმნების შინაარსობრივი სხვაობით.

-ლა სუფიქსიანი ვნებითი გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ხდება სუბიექტის სურვილის, ინიციატივის გარეშე, ე.ი. უნებურად.

„სო ვათხ-ლა-სო“ ნიშნავს იმას, რომ მე მეტირება ჩემდა უნებურად, წინასწარი განზრახვის გარეშე. ამდენად სუბიექტი ზმნაში გამოხატული მოქმედების მიმართ **ნეიტრალურია.** ეს ფორმა — **„სო ვათხ-ლა“**, ზუსტად ითარგმნება ქართულად — „მე მეტირება“.

საერთოდ ნოვა-თუშურ ენაში **ერგატივი დაკავშირებულია ზმნის აქტიურ შინაარსთან.** ოღონდ გასარკვევია მესამე პირის ფორმა, სადაც ამ რიგის ზმნებთან სუბიექტი **სახელობითშია,** განსხვავებით I და II პირთაგან. ამ ორ პირთან სუბიექტი **ერგატივშია.**

აქ ჩნდება მეტად საგულისხმო ენობრივი მოვლენა, რომელიც სპეციალურ ძიებას მოითხოვს. მხედველობაში გვაქვს ფორმალური **დაპირისპირება ერთი მხრივ I და II პირებსა და მეორე მხრივ მესამე პირს შორის.**

ამგვარი დაპირისპირება სხვა ენებშიც დასტურდება (სემიტურ ენებში, თურქულში...). „В семитских языках третье лицо

единственного числа перфекта не имеет флексии. В турецком языке, как правило, третье лицо единственного числа имеет нулевой показатель при показателе первого лица единственного числа -т и второго лица единственного числа -п". აქედან გამომდინარე ბენვენისტი ასკვნის: „Третье лицо" не есть „лицо"; это именно глагольная форма, функция которой состоит в том, чтобы выражать не-лицо".

დაბოლოს ე. ბენვენისტი გვთავაზობს საყურადღებო დებულებას: Теперь мы видим, в чем состоит оппозиция между двумя первыми лицами глагола и третьим лицом. Они противопоставлены как члены одной корреляции, корреляции личности: „я-ты" обладает признаком лица, „он" лишено этого признака".[1]

ჩვენი აზრით, შესაძლებელია ბენვენისტის ამ თვალსაზრისზე დამყარებით აიხსნას წოვა-თუშურ ენაში ზემოთ მოცემული კორელაცია სო „მე" — ჰთო „შენ" და ო „ის".

ეს საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერგატიული კონსტრუქციის პასიურობა-აქტიურობის თვალსაზრისითაც.

სტატიკური ზმნები

ახლა ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხრივ სტატიკურ ზმნებთან.

როგორც ცნობილია, დინამიკური ვნებითი გამოხატავს მოქმედების პროცესს, სტატიკური კი — მოქმედების შედეგს.

სტატიკური ვნებითი

ჴეჲწ/ჳ/ — „ჰკიდია" → ჴებწ-ლა „ეკიდება უნებურად".
ლებჲჳ — „სხლტება" → ლებჟ-ლა „სხლტება უნებურად".

1. Эмиль Бенвенист. Общая лингвистика, Москва, 1974. гв. 264-265.

ლ̃ათთ̃ე̃ — „დგას“ → ლ̃ათ-ლა „დგას უნებურად“.
ვათხ̃ე̃ — „ტირის“ → ვათხ-ლა „ეტირება“ და ა.შ.

სტატიკურ ვნებითებზე -ლა სუფიქსის დართვით ზმნა ასევე უნებურად, სუბიექტისაგან დამოუკიდებელ მოქმედებას გამოხატავს, ისე როგორც ეს დინამიკურ ზმნებთან ვნახეთ. ქართულად პირდაპირი თარგმნა ერთი სიტყვით აღნიშნული ფორმების შინაარსისა ვერ ხერხდება. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე ზმნა. მაგალითად, **ვათხ-ლა** ზმნას შეესატყვისება ქართული თარგმანი „ეტირება“. I-ლ პირში: **ვათხ-ლა-სრ** „მეტირება“, II პირში: **ვათხ-ლა-ჰ̃ რ** „გეტირება“, III პირში: **ვათხ-ლა** „ეტირება“.

რა შეიძლება ვუწოდოთ დინამიკური და სტატიკური ვნებითებიდან განსხვავებული შინაარსის „ახალი" ვნებითების წარმოებას. ეს მეტად სპეციფიკური მოვლენაა წოვა-თუშურ ენაში, რასაც, ალბათ, ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ეს მოვლენა შეიძლება დაკვალიფიცირდეს ასე: გარდამავალი ზმნებიდან ნაწარმოებ ვნებითებს ვუწოდოთ **I -ლი ტიპის ვნებითები,** ხოლო დინამიკური და სტატიკური ვნებითებისგან ნაწარმოებ ფორმებს **-ლა სუფიქსის** დართვით — **II ტიპის ვნებითები.**

თუმცა ამ მეორე ტიპის ფორმებს შორის — დინამიკურსა და სტატიკურს — არსებობს განსხვავებაც. კერძოდ, დინამიკურ ვნებითებს აქვთ ლაბილური სინტაქსური კონსტრუქცია, ხოლო სტატიკური ზმნებიდან ნაწარმოებ ვნებითებს სამივე პირში სუბიექტი **სახელობითშია.**

დინამიკური ვნებითები და სტატიკური ვნებითები კვლავ ადასტურებენ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც **ერგატიული კონსტრუქცია განპირობებულია ზმნის აქტიური შინაარსით.**

ლათ ნაწილაკიანი ზმნური ფორმები

წოვა-თუშური ენის ზმნის უღვლილებას აქვს კიდევ ერთი ტიპი, რომელიც იწარმოება **-ლათ** ნაწილაკის დართვით ინფინიტივის ფორმაზე. უღვლილების სისტემაში მწკრივების მიხედვით იცვლება ეს ნაწილაკი, ისე როგორც მეშველზმნიან ფორმებში მეშველი ზმნა (დარ — „ქმნა“), ხოლო ძირეული ზმნის ინფინიტივი **უცვლელად** გადაყვება სისტემის ყველა მწკრივში.

ცალკე აღებულს **-ლათ** ელემენტს რაიმე მნიშვნელობა არ გააჩნია, ხოლო ზმნის ინფინიტურ ფორმასთან ერთად ის იძენს მოქმედების დაწყების მნიშვნელობას. მაგალითად, **ხეტჲა⁵ ლათი⁵** ნიშნავს „კითხვა დაიწყო“. უფრო ზუსტად ესადაგება მას რუსული — начал читать. ასეთ ფორმებს შვიძლება ვუწოდოთ **ინგრესიული აორისტი, ან მოქმედების დამწყები აორისტი.**

ეს **ლათ** ელემენტი დაერთვის როგორც გარდამავალ ზმნებს, ასევე გარდაუვალ ზმნებსაც.

ქვემოთ წარმოვადგენთ **ლათ-ით** ნაწარმოებ ზმნათა უღვლილების სისტემას. საუღლებლად ვიღებთ იგივე ზმნებს, რამდენადაც ზმნათა შეცვლას არ შეაქვს რაიმე ახალი კორექტივი უღლების სისტემაში, როგორც ამას ქვემოთ წარმოდგენილი უღლების პარადიგმა გვიჩვენებს.

ლათი⁵ ნაწილაკს ყველა მწკრივი არ გააჩნია. ის არ იხმარება **აწმყო-მყოფადის მწკრივებში**; გააჩნია აორისტის ფორმები. აგრეთვე თურმეობითებიც. საინტერესოა ის, რომ ზმნის ინფინიტურ ფორმას, რომელსაც ის ახლავს, შეიძლება მოსდევდეს ან წინ უძღოდეს აღნიშნული „ლათი“ ნაწილაკი. მაგალითად, **მაჲჴ ლათი⁵ ჲაყა, ან ლათი⁵ ჲაყა⁵ მაჲჴ** — პურის ჭამა დაიწყო საერთოდ.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, მწკრივების მიხედვით იცვლება მხოლოდ ეს ნაწილაკი, ხოლო ზმნის ინფინიტიური ფორმა უცვლელია. მაგალითად:

აორისტის I მწკრივი

I პ. ას ხეტხა^{5} ლაჲთნ-ას — მე კითხვა დავიწყე.
II პ. აჰხ ხეტხა^{5} ლაჲთნ-ა/ჰხ/ — შენ კითხვა დაიწყე.
III პ. ოჴუს ხეტხა^{5} ლათი^{5} — მან კითხვა დაიწყო.

აორისტის II მწკრივი

I პ. ას ხეტხა^{5} ლაჲთ-რ-ას — მე კითხვა დავიწყე.
II პ. აჰხ ხეტხა^{5} ლაჲთ-რ-ა/ჰხ/ — შენ კითხვა დაიწყე.
III პ. ოჴუს ხეტხა^{5} ლათირ — მან კითხვა დაიწყო.

აორისტის III მწკრივი

I პ. ას ხეტხა^{5} ლეთ-რ-ალო-ს — მე კითხვას ვიწყებდი თურმე.
II პ. აჰხ ხეტხა^{5} ლეთ-რ-ალო-/ჰხ/ —
შენ კითხვას იწყებდი თურმე.
III პ. ოჴუს ხეტხა^{5} ლეთ-რ-ალრ —
ის კითხვას იწყებდა თურმე.

აორისტის თურმეობითები

აორისტის I თურმეობითი

I პ. ას ხეტხა^{5} ლაჲთნო-ს — მე კითხვა დამიწყია თურმე.
II პ. აჰხ ხეტხა^{5} ლაჲთნო-/ჰხ/ —
შენ კითხვა დაგიწყია თურმე.
III პ. ოჴუს ხეტხა^{5} ლათინრ —
იმას კითხვა დაუწყია თურმე.

აორისტის II თურმეობითი

I პ. ას ხეტხა^{5} ლაჲთნ-ო-რა-ს — მე კითხვა დამიწყია თურმე.
II პ. აჰხ ხეტხა^{5} ლაჲთნ-ო-რ-ა-/ჰხ/ —
შენ კითხვა დაგიწყია თურმე.

III პ. ოჴუს ხეტჱან ლაჲთნ-ო-რ —
იმას კითხვა დაუწყია თურმე.

აორისტის III თურმეობითი

I პ. ას ხეტჱან ლაჲთნო-რ-ალო-ს —
მე კითხვა დამიწყაი თურმე.

II პ. აჰჱ ხეტჱან ლაჲთნო-რ-ალო-/ჰჱ/ —
შენ კითხვა დაგიწყია თურმე.

III პ. ოჴუს ხეტჱან ლაჲთნო-რ-ალო-Ø —
მას კითხვა დაუწყია თურმე.

აორისტის III თურმეობითი იშვიათად იხმარება. სხვადასხვა მწკრივთა **ერთნაირი თარგმანი** გამოწვეულია იმით, რომ ქართულს არ გააჩნია შესაბამისი ფორმები. მათ შორის სემანტიკურ სხვაობას ქმნის **დროული მიმართების იერარქია.**

კავშირებით-პირობითი კილო

კავშირებით-პირობით კილოს აწარმოებს ზმნის ძირზე დართული **-ჰჱ** ელემენტი, რომელიც ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც რაღაც პირობას უშვებს იმისათვის, რომ მოქმედება შესრულდეს, ან რომლის გარეშეც მოქმედება არ შესრულდება. აღნიშნული კილო პროდუქტიულია და გაყვება ზმნის უღლების მთელ სისტემას.

საგულისხმოა, რომ მას **გააჩნია თურმეობითის მწკრივებიც.**

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ამ კილოს უღლების სრული პარადიგმა სამივე სერიაში.

აწმყოს სერია

აწმყოს I მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხეტჰ-ო-ჰჰ-ე-ს — მე თუ წიგნს ვკითხულობ.
II პ. აჰჰ ჟაგნრ ხეტჰ-ო-ჰჰ-ე-/ჰჰ/ —
შენ თუ წიგნს კითხულობ.
III პ. ოჭუს ჟაგნრ ხეტჰ-ო-ჰჰ — ის თუ წიგნს კითხულობს.

I პ. ას ჟაგნრ ხერც-ო-ჰჰ-ე-ს — მე თუ წიგნს ვცვლი.
II პ. აჰჰ ჟაგნრ ხერც-ო-ჰჰ-ე-/ჰჰ/ — შენ თუ წიგნს ცვლი.
III პ. ოჭუს ჟაგნრ ხერც-ო-ჰჰ — ის თუ წიგნს ცვლის.

აწმყოს II მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხეტჰ-ო-ჰჰ-რ-ას —
მე რომ წიგნს ვკითხულობდე.
II პ. აჰჰ ჟაგნრ ხეტჰ-ო-ჰჰ-რ-ა/ჰჰ/ —
შენ რომ წიგნს კითხულობდე.
III პ. ოჭუს ჟაგნრ ხეტჰ-ო-ჰჰ-ე-რ —
ის რომ წიგნს კითხულობდეს.

I პ. ას ჟაგნრ ხერც-ო-ჰჰ-რ-ას — მე რომ წიგნს ვცვლიდე.
II პ. აჰჰ ჟაგნრ ხერც-ო-ჰჰ-რ-ა-/ჰჰ/ —
შენ რომ წიგნს ცვლიდე.
III პ. ოჭუს ჟაგნრ ხერც-ო-ჰჰ-ე-რ —
ის რომ წიგნს ცვლიდეს.

აწმყოს III მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხეტჰ-ო-ჰჰ-რ-ალო-ს —
მე რომ წიგნს ვკითხულობდე.
II პ. აჰჰ ჟაგნრ ხეტჰ-ო-ჰჰ-რ-ალო-/ჰჰ/ —

შენ რომ წიგნს კითხულობდე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხეტჱ-ო-ჰჱ-რ-ალრ —
ის რომ წიგნს კითხულობდეს.

I პ. ას ჟაგნრ ხერც-ო-ჰჱ-რ-ალო-ს —
მე რომ წიგნს ვცვლიდე.
II პ. აჰჱ ჟაგნრ ხერც-ო-ჰჱ-რ-ალო-/ჰჱ/ —
შენ რომ წიგნს ცვლიდე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხერც-ო-ჰჱ-რ-ალრ —
ის რომ წიგნს ცვლიდეს.

მწკრივებს შორის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის კანონზომიერი პრინციპი ილუსტრირებულ მაგალითებშიც დაცულია, როგორც ეს ზემოთ მოცემულ თხრობითი კილოს ზმნებთან დავადასტურებთ.

აწმყოს თურმეობითები

აწმყოს თურმეობითების მწკრივები იწარმოება მეშველი ზმნის „დანო“-ს — ყოფილა დართვით. აღნიშნულ მწკრივებში ფაქტობრივად იულლის მეშველი ზმნა და ის გამოხატავს თურმეობითის სემანტიკასაც.

აწმყოს თურმეობითი I

I პ. ას ჟაგნრ ხეტჱდანო-ჰჱ-ე-ს —
მე თუ წიგნს ვკითხულობ თურმე.
II პ. აჰჱ ჟაგნრ ხეტჱდანო-ჰჱ-ე-/ჰჲ/ —
შენ თუ წიგნს კითხულობ თურმე.
III პ. ოხუს ჟაგნრ ხეტჱდანო-ჰჱ-Ø —
ის თუ წიგნს კითხულობს თურმე.

I პ. ას ჟაგნრ ხერცდანო-ჰᲒ-ე-ს —
მე თუ წიგნს ვცვლი თურმე.
II პ. აჰᲒ ჟაგნრ ხერცდანო-ჰᲒ-ე-/ჰᲓ/ —
შენ თუ წიგნს ცვლი თურმე.
III პ. ოჯუს ჟაგნრ ხერცდანო-ჰᲒ-Ø —
ის თუ წიგნს ცვლის თურმე.

აწმყოს თურმეობითი II

I პ. ას ჟაგნრ ხეტᲒდანო-ჰᲒ-რ-ას —
მე თუ წიგნს ვკითხულობდე თურმე.
II პ. აჰᲒ ჟაგნრ ხეტᲒდანო-ჰᲒ-რ-ა-ჰᲓ/ —
შენ თუ წიგნს კითხულობდე თურმე.
III პ. ოჯუს ჟაგნრ ხეტᲒდანო-ჰᲒ-ე-რ-Ø —
ის თუ წიგნს კითხულობდეს თურმე.

I პ. ას ჟაგნრ ხერცდანო-ჰᲒ-რ-ას —
მე თუ წიგნს ვცვლიდე თურმე.
II პ. აჰᲒ ჟაგნრ ხერცდანო-ჰᲒ-რ-აჰᲒ —
შენ თუ წიგნს ცვლიდე თურმე.
III პ. ოჯუს ჟაგნრ ხერცდანო-ჰᲒ-ე-რ-Ø —
ის თუ წიგნს ცვლიდეს თურმე.

აწმყოს თურმეობითი III

I პ. ას ჟაგნრ ხერცინდანო-ჰᲒ-რ-ალო-ს —
მე თუ წიგნს ვცვლიდე თურმე.
II პ. აჰᲒ ჟაგნრ ხერცინდანო-ჰᲒ-რ-ალო-/ჰᲓ/ —
შენ თუ წიგნს ცვლიდე თურმე.
III პ. ოჯუს ჟაგნრ ხერცინდანო-ჰᲒ-რ-ალრ-Ø —
ის თუ წიგნს ცვლიდეს თურმე.

I პ. ას ჟაგნრ ხეტ⁵ინდანო-ჰ⁵-რ-ალო-ს —
მე თუ წიგნს ვკითხულობდე თურმე.
II პ. აჰ⁵ ჟაგნრ ხეტ⁵ინდანო-ჰ⁵-რ-ალო-/ჰ₃/ —
შენ თუ წიგნს კითხულობდე თურმე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხეტ⁵ნდანო-ჰ⁵-რ-ალრ-Ø —
ის თუ წიგნს კითხულობდეს თურმე.

მყოფადის სერია

(კავშირებით-პირობითი კილო)

კავშირებით-პირობითი კილოს შინაარსის ზმნურ ფორმებს მყოფადის მწკრივებიც გააჩნია. ეს მწკრივები გამოხატავს მომავალში ჩასადენ პირობით მოქმედებას. აქაც ზმნას აქვს სამივე მწკრივის ფორმები, რომლებსაც პირობითად აღვნიშნავთ სიმბოლოებით: I, II, III. თითოეულ ამ სიმბოლოს შეესაბამება სამ-სამი პირიანი ფორმა, როგორც ეს აწმყოს სერიაში დავადასტურეთ.

მყოფადის I მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხატ⁵-ო-ჰ⁵-ე-ს — მე თუ წიგნს წავიკითხავ.
II პ. აჰ⁵ ჟაგნრ ხატ⁵-ო-ჰ⁵-ე-/ჰ₃/ —
შენ თუ წიგნს წაიკითხავ.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხატ⁵-ო-ჰ⁵ — ის თუ წიგნს წაიკითხავს.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-ო-ჰ⁵-ე-ს — მე თუ წიგნს გავცვლი.
II პ. აჰ⁵ ჟაგნრ ხარც-ო-ჰ⁵-ე-/ჰ₃/ — შენ თუ წიგნს გაცვლი.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ო-ჰ⁵ — ის თუ წიგნს გაცვლის.

მყოფადის II მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხატხ-ო-ჰხ-რ-ას —
მე თუ (რომ) წიგნს წავიკითხავდე.
II პ. აჰხ ჟაგნრ ხატხ-ო-ჰხ-რ-ა/ჰჲ/ —
შენ თუ (რომ) წიგნს წაიკითხავდე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხატხ-ო-ჰხ-ე-რ-Ø —
ის რომ (თუ) წიგნს წაიკითხავდეს.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-ო-ჰხ-რ-ას —
მე რომ (თუ) წიგნს გავცვლიდე.
II პ. აჰხ ჟაგნრ ხარც-ო-ჰხ-რ-ა/ჰჲ/ —
შენ რომ (თუ) წიგნს გაცვლიდე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ო-ჰხ-ე-რ-Ø —
ის რომ წიგნს გაცვლიდეს.

მყოფადის III მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხატხ-ო-ჰხ-რ-ალო-ს —
მე თუ წიგნს წავიკითხავდე.
II პ. აჰხ ჟაგნრ ხატხ-ო-ჰხ-რ-ალო-ჰხ —
შენ თუ წიგნს წაიკითხავდე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხატხ-ო-ჰხ-რ-ალრ-Ø —
ის თუ წიგნს წაიკითხავდეს.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-ო-ჰხ-რ-ალო-ს —
მე თუ წიგნს გავცვლიდე.
II პ. აჰხ ჟაგნრ ხარც-ო-ჰხ-რ-ალო-ჰხ —
შენ თუ წიგნს გაცვლიდე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ო-ჰხ-რ-ალრ-Ø —
ის თუ წიგნს გაცვლიდეს.

მყოფადის პირობით-კავშირებითის თურმეობითები

მყოფადის პირობით-კავშირებითის თურმეობითებიც იწარმოება მეშველი ზმნის საშუალებით, ისე როგორც ეს აწმყოს შესაბამის მწკრივებში დავადასტურეთ. სათანადო ფლექსიები დაერთვის მეშველ ზმნას მწკრივების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება სამივე მწკრივის სრული პარადიგმა პირების მიხედვით.

მყოფადის პირობით-კავშირებითის I თურმეობითი

I პ. ას ჟაგნრ ხატᲐ-დ-ა-ნო-ჰᲐ-ე-ს —
მე თუ წიგნს წავიკითხავდე.
II პ. აჰᲐ ჟაგნრ ხატᲐ-დ-ა-ნო-ჰᲐ-ე-/ჰᲘ/ —
შენ თუ წიგნს წაიკითხავდე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხატᲐ-დ-ა-ნო-ჰᲐ-Ø —
ის თუ წიგნს წაიკითხავდეს.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნო-ჰᲐ-ე-ს —
მე თუ წიგნს გავცვლიდე.
II პ. აჰᲐ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნო-ჰᲐ-ე-/ჰᲘ/ —
შენ თუ წიგნს გაცვლიდე.
III პ. ოხუს ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნო-ჰᲐ-Ø —
ის თუ წიგნს გაცვლიდეს.

მყოფადის პირობით-კავშირებითის II თურმეობითი

I პ. ას ჟაგნრ ხატᲐ-დ-ა-ნო-ჰᲐ-რ-ას —
მე თუ წიგნს წავიკითხავდე.
II პ. აჰᲐ ჟაგნრ ხატᲐ-დ-ა-ნო-ჰᲐ-რ-აჰᲐ —
შენ თუ წიგნს წაიკითხავდე.

III პ. ოჴუს ჟაგნრ ხატჲ-დ-ა-ნო-ჰჲ-ე-რ-Ø —
ის თუ წიგნს წაიკითხავდეს.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ას —
მე თუ წიგნს გავცვლიდე.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-აჰჲ —
შენ თუ წიგნს გაცვლიდე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნო-ჰჲ-ე-რ-Ø —
ის თუ წიგნს გაცვლიდეს.

ჩყოფადის პირობით-კავშირებითის III თურმეობითი

I პ. ას ჟაგნრ ხატჲ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ალო-ს —
მე თუ წიგნს წავიკითხავდე.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხატჲ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ალო-/ჰჲ/ —
შენ თუ წიგნს წაიკითხავდე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხატჲ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ალო —
ის თუ წიგნს წაიკითხავდეს.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ალო-ს —
მე თუ წიგნს გავცვლიდე.
II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ალო-/ჰჲ/ —
შენ თუ წიგნს გაცვლიდე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ალო —
ის თუ წიგნს გაცვლიდეს.

სემანტიკური სხვაობა II და III მწკრივებს შორის ემყარება მოქმედების თანამდევრობის ანუ ქრონოლოგიურ პრინციპს. ეს პრინციპი ქართულში ისე გამოკვეთილად, ფორმობრივად არ დასტურდება, ამიტომ მათი თარგმანი ქართულ ენაზე ერთ-

მანეთს ემთხვევა. შესაბამისი კონკრეტული ფორმები ქართულს არ გააჩნია.

მყოფადის სერიას, ანუ II სერიას, გარდა ზემოთ წარმოდგენილისა, გააჩნია კავშირებითი კილოს განსხვავებული ფორმებიც. სხვაობას ქმნის ფუძეში -ჩე- ნაწილაკი, რომელიც პირობითი კილოს -ჰხ- ელემენტთან ერთად გამოხატავს მოქმედებას, რომელიც ისეთ პირობას ითვალისწინებს, რომლის შესრულების გარეშეც შეუძლებელია ზმნით აღნიშნული მოქმედების შესრულება.

როგორც ვხედავთ, მყოფადის სერიას გააჩნია ორი კავშირებითი. პირველი კავშირებითის უღლების ფორმები ზემოთ უკვე წარმოვადგინეთ, ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ამ II კავშირებითის შესაბამისი უღლების პარადიგმა.

მყოფადის II კავშირებითი
მყოფადის II კავშირებითის I მწკრივი

I პ. ას ჟაბოხ ჟე ხაჲრც-ჩე-ჰხ-ას, ეჰხათ სე⁵ საქმ ღაზიშ ღო — მე თუ ძროხაზე ცხვარს გავცვლი, მაშინ ჩემი საქმე კარგად წავა.

II პ. აჰხ ჟაბოხ ჟე ხაჲრც-ჩე-ჰხ-ა/ჰჲ/, ეჰხათ ჰჲე⁵ საქმ ღაზიშ ღო — შენ თუ ძროხაზე ცხვარს გაცვლი, მაშინ შენი საქმე კარგად წავა.

III პ. ოჭუს ჟაბოხ ჟე ხაჲრც-ჩე-ჰხ, ეჰხათ ეჭუჲ⁵ საქმ ღაზიშ ღო — ის თუ ძროხაზე ცხვარს გაცვლის, მაშინ მისი საქმე კარგად წავა.

მყოფადის II კავშირებითის II მწკრივი.

I პ. ას ჟაბოხ ჟე ხაჲრც-ჩე-ჰხ-რ-ას, ეჰხათ სე⁵ საქმ ღაზიშ

ღორ — მე თუ ძროხაზე ცხვარს გავცვლიდი, მაშინ ჩემი საქმე კარგად წავიდოდა.

II პ. აჰხ ჟაბოხ ჟე ხაჲრც-ჩე-ჰხ-რ-ა/ჰჲ/, ეჰხათ ჰხეⁿ საქმ ღაზიშ ღორ — შენ თუ ძროხაზე ცხვარს გაცვლიდი, მაშინ შენი საქმე კარგად წავიდოდა.

III პ. ოჴუს ჟაბოხ ჟე ხაჲრც-ჩე-ჰხ-ე-რ, ეჰხათ ოჴუჲⁿ, საქმ ღაზიშ ღორ — ის ძროხაზე თუ ცხვარს გაცვლიდა, მაშინ მისი საქმე კარგად წავიდოდა.

მყოფადის II კავშირებითის III მწკრივი

I პ. ას ჟაბოხ ჟე ხაჲრც-ჩე-ჰხ-რ-ალო-ს, ეჰხათ სეⁿ საქმ ღაზიშ ღორ — მე თუ ძროხაზე ცხვარს გავცვლიდი, მაშინ ჩემი საქმე კარგად წავიდოდა.

II პ. აჰხ ჟაბოხ ჟე ხაჲრც-ჩე-ჰხ-რ-ალო-ჰხ, ეჰხათ ჰხეⁿ საქმ ღაზიშ ღორ — შენ თუ ძროხაზე ცხვარს გაცვლიდი, მაშინ შენი საქმე კარგად წავიდოდა.

III პ. ოჴუს ჟაბოხ ჟე ხაჲრც-ჩე-ჰხ-რ-ალო, ეჰხათ ოჴუჲⁿ საქმ ღაზიშ ღორ — ის თუ ძროხაზე ცხვარს გაცვლიდა, მაშინ მისი საქმე კარგად წავიდოდა.

აქ წარმოდგენილი პარადიგმების ზმნათა მორფოლოგიური სტრუქტურის ელემენტები ჩვენთვის ნაცნობია ზემოთ თხრობით კილოს ზმნათა უღლების პარადიგმების მიხედვით, გარდა -ჩე- ელემენტისა. ეს ელემენტი, -ჩე-, თავს იჩენს მყოფადის II კავშირებითში. (-ჩე-)-ს ფუნქცია ჯერჯერობით აუხსნელია. ის სხვა მწკრივებშიც გვხვდება. ჩვენი აზრით, საჭიროა მისი კომპლექსური ანალიზი, მით უმეტეს, რომ იგივე ელემენტი დასტურდება ჩაჩნურ-ინგუშურ ენებშიც.

რაც შეეხება -ჰხ- ელემენტს, მისი მორფოლოგიური ფუნქცია ნათელია — ის გამოხატავს პირობით-კავშირებით კილოს.

აორისტის სერია

მწკრივთა რაოდენობის მიხედვით აორისტის სერია გამოირჩევა სხვა სერიებისაგან. იგი შეიცავს ოთხ ქვესისტემას. თითოეული ქვესისტემა შედგება სამ-სამი მწკრივისაგან. ჯამში ვიღებთ 12 მწკრივს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წოვა-თუშურ ენას გააჩნია ასპექტის ჩამოყალიბებული კატეგორია, მაშინ მწკრივთა აღნიშნული რაოდენობა (12 მწკრივი) გაორმაგდება და მივიღებთ **24 მწკრივს**.

ეს რაოდენობა გათვლილია უკლასნიშნო ზმნებზე, როცა ისინი წარმოდგენილია პირისა და რიცხვის კატეგორიის გარეშე.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამჟამად წოვა-თუშურ ენაში ერთმანეთის გვერდით ფუნქცირებს არქაული და ინოვაციური ფორმები ზმნისა. მხედველობაში გვაქვს პირიანი და უპირო ფორმები ზმნისა.

პირის კატეგორიის გაჩენამ ზმნის უღლების პარადიგმა მეტად გაამდიდრა. იგივე ზმნები პიროვანი უღლების სისტემაში იძლევა 72 გრამემას. ხოლო თუ ამას მრავლობითი რიცხვის ფორმებიც მივუმატეთ, მაშინ პარადიგმის წევრთა რაოდენობა გაორმაგდება და მივიღებთ 144 ერთეულს.

ამ სისტემის ნევრები გამოხატავს წარსულ დროში შესაძლებელ, პირობით მოქმედებას, რომლის ფორმანტიც იგივეა **(-ჰ)**, რაც სხვა სერიებში უკვე წარმოვადგინეთ.

აქაც ვაწყდებით ტერმინოლოგიურ სიძნელეებს. გამოსავალი ვნახეთ იმაში, რომ პარადიგმის შიგნით მწკრივებს ვასახელებთ თანმიმდევრულად: I, II და III. სხვა საშუალება არ არსებობს.

აორისტის სერიაში ზმნები ფორმათა წარმოების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: **სინთეზური უღლების ზმნები და ანალიზური უღლების ზმნები**. ანალიზურს ვუწოდებთ მეშველზმნიან ზმნათა უღლებას, ხოლო სინთეზური უღლებისა ის ზმნე-

ბია, რომლებიც მეშველი ზმნის (და — „არის") გარეშე იუღლებიან. აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება სხვადასხვა ფორმები. ერთი და იგივე ზმნური ფუძე უღლების ორივე ტიპს იძლევა, იმის მიხედვით, მეშველი ზმნით არის წარმოდგენილი თუ მის გარეშე. მათ შორის მხოლოდ სემანტიკური სხვაობაა.

აორისტის სინთეზური უღლება

I მწკრივი

როგორც ზემოთ, აქაც საუღლებელ ზმნას ვიღებთ პირიან ფორმაში.

I პ. ას ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ო-ჰხ-ე-ს (უსრ. ხრ̄რც-ნ-ო-ჰხ-ე-ს)
მე თუ წიგნი გავცვალე.
III პ. აჰხ ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ო-ჰხ-ე-/ჰჲ/ (უსრ. ხრ̄რც-ნ-ო-ჰხ-ე-/ჰჲ/)
შენ თუ წიგნი გაცვალე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ო-ჰხ (უსრ. ხრ̄რც-ნ-ო-ჰხ)
იმან თუ წიგნი გაცვალა.

I პ. ას ჟაგნრ ხაჲტხ-ნ-ო-ჰხ-ე-ს (უსრ. ხრ̄ტ-ნ-ო-ჰხ-ე-ს)
მე თუ წიგნი წავიკითხე.
II პ. აჰხ ჟაგნრ ხაჲტხ-ნ-ო-ჰხ-ე-/ჰჲ/ (უსრ. ხრ̄ტხ-ნ-ო-ჰხ-ე-/ჰჲ/)
შენ თუ წიგნი წაიკითხე.
III პ. ოჴუს ჟაგნრ ხაჲტხ-ნ-ო-ჰხ (უსრ. ხრ̄ტხ-ნ-ო-ჰხ)
იმან თუ წიგნი წაიკითხა.

II მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხაჲტხ-ნ-ო-ჰხ-რ-ას (უსრ. ხრ̄ტხ-ნ-ო-ჰხ-რ-ას)
მე თუ წიგნი წავიკითხე.

II პ. აჰჲ ჟაგნრ ხაჲტჲ-ნ-ო-ჰჲ-რ-ა/ჰჲ/ (უსრ. ხრ̄ტჲ-ნ-ო-ჰჲ-რ-ა/ჰჲ/)

შენ თუ წიგნი წაიკითხე. შენ რომ წიგნი წაგეკითხა.

III პ. ოჭუს ჟაგნრ ხაჲტჲ-ნ-ო-ჰჲ-ე-რ (უსრ. ხრ̄ტჲ-ნ-ო-ჰჲ-ე-რ)

იმან თუ წიგნი წაიკითხა. იმას რომ წიგნი წაეკითხა.

I პ. ას ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ო-ჰჲ-რ-ას (უსრ. ხრ̄რც-ნ-ო-ჰჲ-რ-ას)

მე თუ წიგნი გავცვალე, ან მე რომ წიგნი გამეცვალა.

II პ. აჰჲ ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ო-ჰჲ-რ-ა/ჰჲ/ (უსრ. ხრ̄რც-ნ-ო-ჰჲ-რ-აჰჲ)

შენ თუ წიგნი გაცვალე, ან შენ რომ წიგნი გაგეცვალა.

III პ. ოჭუს ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ო-ჰჲ-ე-რ (უსრ. ხრ̄რც-ნ-ო-ჰჲ-ე-რ)

იმან თუ წიგნი გაცვალა, ან იმას რომ წიგნი გაეცვალა.

III მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხაჲტჲ-ნ-ო-ჰჲ-რ-ალო-ს (უსრ. ხრ̄ტჲ-ნ-ო-ჰჲ-რ-ალო-ს)

მე რომ თურმე წიგნი წამეკითხა.

II პ. აჰჲ ჟაგნრ ხაჲტჲ-ნ-ო-ჰჲ-რ-ალო-/ჰჲ/ (უსრ. ხრ̄ტჲ-ნ-ო-ჰჲ-რ-ალო-/ჰჲ/

შენ რომ თურმე წიგნი წაგეკითხა.

III პ. ოჭუს ჟაგნრ ხაჲტჲ-ნ-ო-ჰჲ-რ-ალრ (უსრ. ხრ̄ტჲ-ნ-ო-ჰჲ-რ-ალრ)

იმას რომ თურმე წიგნი წაეკითხა.

I პ. ას ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ო-ჰჲ-რ-ალო-ს (უსრ. ხრ̄რც-ნ-ო-ჰჲ-რ-ალო-/ჰჲ/

მე რომ (თურმე) წიგნი გამეცვალა.

II პ. აჰო ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ო-ჰო-რ-ალო-/ჰჲ/ (უსრ. ხრ̄რც-ნ-ო-ჰო-რ-ალო-/ჰჲ/

შენ რომ (თურმე) წიგნი გაგეცვალა.

III პ. ოჴუს ჟაგნრ ხაჲრც-ნ-ო-ჰო-რ-ალრ̆ (უსრ. ხრ̄რც-ნ-ო-ჰო-რ-ალრ̆)

იმას რომ (თურმე) წიგნი გაეცვალა.

აორისტის ანალიზური წარმოება

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ანალიზურ წარმოებას განეკუთვნება ის ზმნები, რომლებიც უღლების სისტემაში დაირთავენ მეშველ ზმნას. მწკრივთა საუღლებელ ფორმებს აწარმოებს ეს მეშველი ზმნა, ძირითადი ზმნა კი არ იცვლება.

I მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხატო-ინ-დ-ა-ჰო-ე-ს (უსრ. ხეტო-ინ-დ-ა-ჰო-ე-ს)

მე თუ წიგნი წამიკითხავს.

II პ. აჰო ჟაგნრ ხატო-ინ-დ-ა-ჰო-ე-/ჰჲ/ (უსრ. ხეტო-ინ-დ-ა-ჰო-ე-/ჰჲ/)

შენ თუ წიგნი წაგიკითხავს.

III პ. ოჴუს ჟაგნრ ხატო-ინ-დ-ა-ჰო (უსრ. ხეტო-ინ-დ-ა-ჰო)

იმას თუ წიგნი წაუკითხავს.

I პ. ას ჟაგნრ̆ ხარც-ინ-დ-ა-ჰო-ე-ს (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ჰო-ე-ს)

მე თუ წიგნი გამიცვლია.

II პ. აჰო ჟაგნრ̆ ხარც-ინ-დ-ა-ჰო-ე-/ჰჲ/ (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ჰო-ე-/ჰჲ/)

შენ თუ წიგნი გაგიცვლია.

III პ. ოჴუს ჟაგნრ̆ ხარც-ინ-დ-ა-ჰო (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ჰო)

იმას წიგნი თუ გაუცვლია.

II მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხატჲ-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ას (უსრ. ხეტჲ-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ას)

მე რომ (თუ) წიგნი წამეკითხა.

II პ. აჰჲ ჟაგნრ ხატჲ-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ა-/ჰჲ/ (უსრ. ხეტჲ-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ა-/ჰჲ/

შენ რომ (თუ) წიგნი წაგეკითხა.

III პ. ოჭუს ჟაგნრ ხატჲ-ინ-დ-ა-ჰჲ-ე-რ (უსრ. ხეტჲ-ინ-დ-ა-ჰჲ-ე-რ)

იმას რომ წიგნი წაეკითხა.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ას (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ას)

მე რომ (თუ) წიგნი გამეცვალა.

II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ა/ჰჲ/ (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-აჰჲ)

შენ რომ (თუ) წიგნი გაგეცვალა.

III პ. ოჭუს ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ჰჲ-ე-რ (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ჰჲ-ე-რ)

იმას რომ (თუ) წიგნი გაეცვალა.

III მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ალო-ს (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ალო-ს)

მე რომ (თუ) წიგნი გამეცვალა (ოდესაღაც).

II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ალო-/ჰჲ/ (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ალო-ჰჲ)

შენ რომ (თუ) წიგნი გაგეცვალა.

III პ. ოჭუს ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ალო (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ჰჲ-რ-ალო) — იმას რომ (თუ) წიგნი გაეცვალა (ოდესღაც).

I პ. ას ჟაგნრ ხატ-ინ-დ-ა-ჰ-რ-ალო-ს (უსრ. ხეტ-ინ-დ-ა-ჰ-რ-ალო-ს)

მე რომ (თუ) წიგნი წამეკითხა (ოდესღაც).

II პ. აჰ ჟაგნრ ხატ-ინ-დ-ა-ჰ-რ-ალო-/ჰ/ (უსრ. ხეტ-ინ-დ-ა-ჰ-რ-ალო-/ჰ/

შენ რომ (თუ) წიგნი წაგეკითხა (ოდესღაც).

III პ. ოჴუს ჟაგნრ ხატ-ინ-დ-ა-ჰ-რ-ალრ (უსრ. ხეტ-ინ-დ-ა-ჰ-რ-ალრ)

მას რომ (თუ) წიგნი წაეკითხა (ოდესღაც).

როგორც ვხედავთ, ანალიზური წარმოების ზმნათა უღლებაში იუღლის მეშველი ზმნა **და** — **„არის"**, ე.ი. მწკრივების მიხედვით იცვლება მეშველი ზმნა, ხოლო ძირეული ზმნა მწკრივების მიხედვით არ იცვლება.

აორისტის თურმეობითები

I მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხატ-ინ-დ-ა-ნო-ჰ-ე-ს (უსრ. ხეტ-ინ-დ-ა-ნო-ჰ-ე-ს)

მე თუ წიგნი წამიკითხავს.

II პ. აჰ ჟაგნრ ხეტ-ინ-დ-ა-ნო-ჰ-ე-/ჰ/ (უსრ. ხეტ-ინ-დ-ა-ნო-ჰ-ე-/ჰ/

შენ თუ წიგნი წაგიკითხავს.

III პ. ოჴუს ჟაგნრ ხატ-ინ-დ-ა-ნო-ჰ (უსრ. ხეტ-ინ-დ-ა-ნო-ჰ)

იმას თუ წიგნი წაუკითხავს.

I პ. ას ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-ე-ს (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-ე-ს)

მე თუ წიგნი გამიცვლია.

II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-ე-/ჰჲ/ (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-ე-/ჰჲ/

შენ თუ წიგნი გაგიცვლია.

III პ. ოხუს ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ)

იმას თუ წიგნი წაუკითხავს.

II მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხატჲ-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ას (უსრ. ხეტჲ-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ას)

II პ. აჰჲ ჟაგნრ ხატჲ-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ა/ჰჲ/ (უსრ. ხეტჲ-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ა/ჰჲ/

III პ. ოჴუს ჟაგნრ ხატჲ-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-ე-რ (უსრ. ხეტჲ-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-ე-რ)

I პ. ას ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ას (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ას)

II პ. აჰჲ ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ა/ჰჲ/ (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ა/ჰჲ/

III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-ე-რ (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-ე-რ)

III მწკრივი

I პ. ას ჟაგნრ ხატჲ-ინ-დ-ა-ნო-ჰჲ-რ-ალო-ს

II პ. აჰო ჟაგნრ ხატო-ინ-დ-ა-ნო-ჰო-რ-ალო-ჰო (უსრ. ხეტო-ინ-დ-ა-ნო-ჰო-რ-ალო-ჰო)

III პ. ოჴუს ჟაგნრ ხატო-ინ-დ-ა-ნო-ჰო-რ-ალო (უსრ. ხეტო-ინ-დ-ა-ნო-ჰო-რ-ალო)

I პ. ას ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-ჰო-რ-ალო-ს (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ნო-ჰო-რ-ალო-ს)

II პ. აჰო ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-ჰო-რ-ალო-ჰო (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ნო-ჰო-რ-ალო-ჰო)

III პ. ოჴუს ჟაგნრ ხარც-ინ-დ-ა-ნო-ჰო-რ-ალო (უსრ. ხერც-ინ-დ-ა-ნო-ჰო-რ-ალო)

თურმეობითების II და III მწკრივებს თარგმანებს არ ვუწერთ, რადგანაც ქართულში ამ მწკრივთა შესაბამისი სემანტიკური ერთეულები არ მოგვეპოვება. ეს სამი მწკრივი ლაგდება ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით, ისე როგორც თხრობით კილოში უკვე ვნახეთ.

II მწკრივი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წინ უძღვის I მწკრივში გამოხატულ მოქმედებას. მისი ნიშანია **-რ-**.

ხოლო III მწკრივი გამოხატავს II მწკრივში გამოხატული მოქმედების წინარეწარსულს, მისი ნიშანია **-ალო**.

ამგვარად, პირობით-კავშირებით კილოშიც დაცულია დროთა თანმიმდევრული წარმოება, რაც ქმნის მწყობრ სისტემას როგორც გამოხატულების პლანში, ასევე შინაარსის პლანში.

ეს არის წოვა-თუშური ენის ზმნის უღლების სისტემის დამახასიათებელი **სპეციფიკური მოვლენა, რომელიც დღემდე არ იყო გამოვლენილი.**

ვფიქრობთ, ანალოგიურ მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი ვაინახურ (ჩეჩნურ-ინგუშურ) ენებშიც. ოღონდ ამ ენებში ჯერ-ჯერობით ასეთ მწყობრი სისტემა არ არის დადგენილი, თუმ-

ცა მრავალი შრომაა დაწერილი ზმნათა უღლებას სისტემის შესახებ.

ბრძანებით-კავშირებითი კილო

წოვა-თუშურ ენაში გამოიყოფა ერთი კილოც, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ **ბრძანებით-კავშირებით კილოს**, რადგანაც კონტექსტის მიხედვით ასეთი ზმნური ფორმები გამოხატავენ მოკრძალებულ, თავაზიან ბრძანებას და ამავე დროს კავშირებითის მნიშვნელობითაც იხმარება. აღნიშნულ კილოს აწარმოებს **-ალ** სუფიქსი და, ამავე დროს, გარკვეულ ფუნქციასაც ასრულებს **მახვილის ადგილი** ზმნაში. მახვილის ადგილი განარჩევს II და III პირებს, რაც საგულისხმო ფაქტია თეორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით. შესაძლებელია ამ ფაქტმაც მისცა სტიმული ენაში პირის კატეგორიის ჩამოყალიბებას.

ბრძანებით-კავშირებითის კილოს გააჩნია როგორც აწმყოს, ასევე მყოფადის სერიები, დაირთავენ პირის ნიშნებსაც.

მაგალითები: **ქანიზ ʁɜ̈ყ-ალ — ყურძენი ჭამე რა.**
დაჰʁ ʃ̈ც-ალ, ვუხ სტეხო — გადაიღე რა, რას ელოდები.

III პირის ფორმაში მახვილი გადაინაცვლებს სუფიქსზე (-ალ):

ოჭუს ქანიზ ʁაყ-ɜ̈ლ — იმან ყურძენი ჭამოს.
ოჭუს ქანიზ ʁაყɜ̈ლ, ვუხ სტეხოგ — იმან ყურძენი ჭამოს, რაღას ელოდება.

პირიანი ფორმები:
აწმყო. **I. ას ქანიზ-ʁაყ-ალ-ას, ოჭუʁნ ვუ⁵ დაყ — მე რომ ყურძენი ვჭამო, იმას რას ვუშლი.**

აჰ ქანიზ ɑაყ-ალ-ɜჰ, სო ვუ დაყე — შენ რომ ყურძენი ჭამო, მე რას მიშლი.

ოჯუს ქანიზ ɑაყ-ɜლ, ჩუ ვით — იმან ყურძენი ჭამოს, დაანებე. და ა.შ.

აწმყო. II. **ას ქანიზ ɑაყ-ალ-რ-ɜს, ვუნკ ვაყრალოს — მე ყურძენი მეჭამა, რას ვუშლიდი.**

აჰ ქანიზ ɑაყ-ალ-რ-ɜჰ, ვუნკ ვაყრალოჰ — შენ ყურძენი გეჭამა, რას გიშლიდა.

ოჯუს ქანიზ ɑაყ-ɜლ-ა-რ, ვუნკ ვაყრა-ალრ — იმას ყურძენი ეჭამა, რას უშლიდა.

ასპექტის კატეგორია

ასპექტის მოძღვრება ამ ბოლო ხანებში ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში დგას. ამაზე მეტყველებს ის უამრავი გამოკვლევა, რომლებიც ეძღვნება ასპექტოლოგიის ფუნდამენტურ პრობლემებს. ამჟამად ენათმეცნიერების ეს დარგი სწრაფად ვითარდება.

წოვა-თუშური ენის ზმნა გრამატიკულად ძალზე რთული, მრავალკატეგორიანი მეტყველების ნაწილია. ის თავისთავში ითავსებს რიგ მორფოლოგიურ კატეგორიას. ესენია: გრამატიკული კლასისა, პირისა, დროისა, რიცხვისა, კაუზატივისა, გვარისა, ასპექტისა და სხვ.

აქ ჩამოთვლილი ყველა კატეგორია ფაქტობრივად წარმოადგენს რეალური სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიმართებათა ენობრივ-გრამატიკულ რეალიზაციას ზმნურ ფორმებში.

ასეა ეს, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ასპექტის კატეგორიაშიც.

რას ეწოდება ასპექტის კატეგორია? როგორი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს მას?

ასპექტი არის ზმნის უნარი ერთი ლექსემის ფარგლებში, ერთი ლექსიკური მნიშვნელობის ჩარჩოში გამოხატოს დაპირისპირება სუბიექტის მოქმედების გრძლიობის ხარისხებს შორის. „გრძლიობაში" ჩვენ ვგულისხმობთ **სუბიექტის მოქმედების ხანგრძლიობას.**

მაშასადამე, ასპექტი ზმნური კატეგორიაა, ზმნაში გამოხატული მოქმედების დახასიათებაა გრძლიობის ხარისხის მიხედვით.

ასპექტის კატეგორიის აქ მოცემული დეფინიცია არსებითად ემიჯნება მის ტრადიციულ გაგებას. მოცემული ინტერპრეტაციის მიხედვით **წოვა-თუშურ ზმნებში დასტურდება სამწევროვანი, ორწევროვანი და ერთწევროვანი ასპექტური ზმნები.**

ამჯერად ჩვენი **ყურადღების ცენტრშია სამწევროვანი ასპექტური ზმნები.** ასპექტის სამწევროვანი კორელაციის შემოტანა არის ის სიახლე, რომელიც ჩვენ პირველად შემოგვაქვს ასპექტოლოგიაში და რომლის დასაბუთების ცდაც მოცემულია ქვემოთ.[1]

ჩვენი ყურადღების ცენტრშია სამწევროვანი ასპექტური კორელაცია. ასპექტის სამწევროვანი კორელაციის წევრებს აღვნიშნავთ შემდეგი ტერმინებით: **სრული I, სრული II, უსრული.** თითოეული მათგანის იდენტიფიკაციისათვის შემოგვაქვს შემდეგი დიფერენციალური სემანტიკური ნიშნები: 1. მომენტურობა, 2. პროცესუალობა, 3. დიურატიულობა, 4. მთლიანობა (целостеость.)

მომენტურობაში ვგულისხმობთ მოქმედების ერთიანობის

1. ანალოგიური სამწევროვანი ასპექტური კორელაცია დავადასტურეთ ქართულშიც. იხ. ჩვენი სტატია „ასპექტის, როგორც ენობრივი კატეგორიის არსი და ასპექტის სამწევროვანი კორელაცია თანამედროვე ქართულ ენაში". კრ. საისტორიო-ფილოლოგიური ძიებანი, ნაწ. I, თბილისი, 1980.

ისეთ ფაქტს, რომელიც დროში არ მიმდინარეობს, ე.ი. მოქმედების დროული გრძლიობა **ნულამდეა** დასული. ამასთან დაკავშირებით ასოცირდება გეომეტრიული ცნების **წერტილის** დეფინიცია, რომლის მიხედვითაც წერტილი არის ისეთი გეომეტრიული ცნება, რომელსაც **განზომილება არა აქვს; ის ნულამდე დასული გრძლიობაა.**

მთლიანობაში ვგულისხმობთ ისეთ პროცესუალურ მოქმედებას, რომელსაც საწყისიც აქვს და ბოლოც. ე.ი. მოქმედების პროცესი არ მიმდინარეობს უსასრულოდ, ის სადღაც ჩერდება და ქმნის ერთ დასრულებულ მთლიან მოქმედებას. ეს ცნება გვაგონებს გეომეტრიული ცნების **წრფის მონაკვეთს, რომელიც ორივე მხრიდან შემოსაზღვრულია ორი წერტილით.**

ამიტომ მოქმედების ამ სახეს ასპექტოლოგები უწოდებენ **მთლიანობას.** აქ იგულისხმება პროცესის მთლიანობა, **დასრულებული პროცესი.**

დიურატიული ეწოდება მოქმედების ისეთ გრძლიობას, რომელსაც აქვს საწყისი წერტილი და არა აქვს ბოლო მოქმედებას, უსასრულოდ გაბმული პროცესია. მოქმედება დიურატიულია, თუ სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი მეთოდიკური პროცედურის ჩატარების შედეგად შესაძლებელი ხდება მისი შეწყვეტა, შეჩერება, ფაზებად დაყოფა. ამას კი მოვახერხებთ სათანადო **საგარემოებო დიაგნოსტიკური ნიშნების მეშვეობით.**

მოქმედების დიურატიულობის ცნების უფრო ნათელყოფის მიზნით კვლავ გეომეტრიული ცნების **სხივის ანალოგიას** მივმართავთ. „სხივი ისეთი წრფეა, რომელიც მხოლოდ ერთი მხრიდან არის შემოსაზღვრული და მეორე მხარეს უსასრულოდ გრძელდება“.

დიურატიული პროცესიც ხომ უსასრულოდ გრძელდება.

ამგვარად, წოვა-თუშური ენის ზმნის ასპექტური შინაარსის

დახასიათებისათვის ვიყენებთ ოთხ დიფერენციალურ სემანტიკურ ნიშანს: **მომენტურობას, მთლიანობას, პროცესუალობას და დიურატიულობას.**

აღნიშნული სემანტიკური ნიშნების დასადგენად მივმართავთ ცნობილ ხერხს, რომელსაც წარმატებით იყენებენ ასპექტოლოგები. მათი აზრით, აღნიშნული სემანტიკური ნიშნების დადგენა შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ როგორ შეეწყობა საანალიზო ზმნური ფორმები „ასპექტუალური ღირებულების" მქონე სიტყვებთან, რომლებიც განსხვავებულ მიმართებაში არიან ასპექტური კორელაციის სხვადასხვა წევრთან.

ამჯერად საანალიზოდ ვიღებთ ისეთ ზმნურ ფორმებს, სადაც ყველაზე სრულად და ნათლად არის გამოკვეთილი ასპექტური ოპოზიცია როგორც შინაარსის, ისე გამოხატულების მიხედვით. უწინარეს ყოვლისა, ვადგენთ სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშნებს, რითაც ერთმანეთს უპირისპირდებიან საანალიზო ზმნათა ასპექტური ოპოზიციის წევრები ერთი ლექსემის ფარგლებში. საძიებელი **სემანტიკური დიფერენციალური ნიშნების ქვეშ იგულისხმება მინიმალური სემანტიკური ელემენტები, რომლებიც მოცემულ ფორმათა პარადიგმის წევრებს განარჩევს ერთმანეთისაგან ასპექტური შინაარსის თვალსაზრისით.**

აღნიშნული სიტყვები გრამატიკულად შეეწყობიან ისეთ ზმნურ ფორმებს, რომლებიც გამოხატავენ მოქმედების პროცესს. ოღონდ ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მოქმედების პროცესი შეიძლება შემოსაზღვრული იყოს, ე.ი. დამთავრებული იყოს, ანდა მოქმედება უსასრულოდ მიმდინარეობდეს, ბოლო არ ჰქონდეს.

მაგალითად: **დადას დენცჰჯა უე ლერკი[5] — მამამ მთელი დღე ცხვარი პარსა.**

ვაშას დენცჰ҃ა ჟაგნო ხეტ҃ი⁵ — ძმამ მთელი დღე წიგნი იკითხა.

ნანას დენცჰ҃ა კეჭ ხერცი⁵ ნაჩხოხ — დედამ მთელი დღე მატყლი ცვალა ყველზე.

აღნიშნული წინადადებები გრამატიკულად სწორია, რადგანაც ზმნური ფორმები სემანტიკურად იგუებენ პროცესის გამომხატველ სიტყვას **„დენცჰ҃ა“ — მთელი დღე.**

ამრიგად, ზმნური ფორმები: **ლერკი⁵, ხეტ҃ი⁵, ხერცი⁵** და სხვა მისთანანი გამოხატავენ მოქმედების პროცესს, ახლა გასარკვევია ეს პროცესი შემოსაზღვრულია თუ არა, ე.ი. პროცესს აქვს თუ არა საწყისი და დასასრული. ამის გასარკვევად ჩვენ ვიყენებთ ასევე დიაგნოსტიკურ სიტყვებს, რომლებიც **პროცესის სასრულობას თუ უსასრულობას აჩვენებენ.**

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზმნით გამოხატული მოქმედება უსასრულოა, ე.ი. დიურატიულია, თუ გარკვეული მეთოდიკური პროცედურის ჩატარების შედეგად შესაძლებელი ხდება მისი შეწყვეტა, ფაზებად დაყოფა. ამისათვის ვიყენებთ სიტყვას **„შევაწყვეტინე“ — „მაყბალ҃ითნას“.**

მაგალითად: **ფსარე დადას ჟე ლერკორე, ჴე⁵ ას მაყბალითნას — გუშინ მამა ცხვარს პარსავდა და მერე მე შევაწყვეტინე.**

ფსარე სე ვაშას ჟაგნო ხეტ҃ორე, ას მაყბალ҃ითნას — გუშინ ჩემი ძმა წიგნს კითხულობდა და მე შევაწყვეტინე.

ფსარე სე ნანას ნაჩხოხ კეჭ ხერცორე, ას მაყბალითნას — გუშინ დედაჩემი ყველზე მატყლს ცვლიდა და მე შევაწყვეტინე.

ეს წინადადებები გრამატიკულად სწორია, რადგანაც მოყ-

ვანილი ზმნური ფორმები გამოხატავენ დიურატიულ პროცესს და ბუნებრივია, შესაძლებელია ამ პროცესში ჩარევა და მისი შეწყვეტა, შეჩერება.

ამდენად, ზმნური ფორმები: **ლერკორ, ხეტჲორ, ხერცორ,** გამოხატავენ უსრულ პროცესს ანუ დიურატიულ მოქმედებას.

დავუბრუნდეთ ზემოთ განხილულ ზმნურ ფორმებს: **ლერკი^{ნ}, ხეტჲი^{ნ}, ხერცი^{ნ}**. ეს ფორმები, როგორც აღვნიშნეთ, გამოხატავენ **პროცესუალურ მოქმედებას**. ამ ნიშნით ისინი ემთხვევიან დიურატიული მოქმედების გამომხატველ ზმნებს, მაგრამ განსხვავდებიან მათგან მით, რომ ეს ფორმები გამოხატავენ ისეთ **პროცესუალურ მოქმედებას, რომელიც დასრულებულია**; ეს ნათლად გამოჩნდება იქიდან, თუ ჩვენ ამ საანალიზო ზმნურ ფორმებს წარმოვადგენთ ისეთ წინადადებაში, სადაც ზმნა იგუებს მხოლოდ დიურატიულობის გამომხატველ დიაგნოსტიკურ სიტყვებს:

დადას ჟე ლერკინე, ას მაყ ბალითნას — მამამ ცხვარი პარსა და მე შევაწყვეტინე.

ვაშას ჟაგნო ხეტჲინე, ას მაყბალითნას — ძმამ წიგნი იკითხა და მე შევაწყვეტინე.

ნანას ნაჩხოხ კეჭ ხერცინე ას მაყბალითნას — დედამ ყველზე მატყლი ცვალა და მე შევაწყვეტინე.

ეს წინადადებები გრამატიკულად სწორი არ არის, რადგანაც ზმნური ფორმები: **ლერკი^{ნ}, ხეტჲი^{ნ}, ხერცი^{ნ}** არ იგუებენ შინაარსობლივად **მაყბალითნას** (შევაწყვეტინე) ზმნურ ფორმებს, რომლებიც მხოლოდ დიურატიული პროცესის გამომხატველ ზმნებს შეეწყობიან, როგორც ეს ზემოთ ვაჩვენეთ. ასეა ქართულშიც.

აქედან გამომდინარე, საანალიზო ზმნური ფორმები მართალია, მოქმედების **პროცესს** გამოხატავენ, მაგრამ ეს პროცესი

დამთავრებულია, მთლიანია, განუყოფელია და ამიტომ მასში **„ჩარევა“** და **„შეწყვეტა“** უაზრობას წარმოადგენს, რადგანაც ის, ე.ი. მოქმედება, თავისთავად დამთავრებულია, შეწყვეტილია.

ამრიგად, ზმნური ფორმები: **ლერკი⁵, ხეტხი⁵** და **ხერცი⁵** და სხვა მისთანანი **პროცესუალობასთან** ერთად შეიცავს კიდევ ერთ **სემანტიკურ დიფერენციალურ** ნიშანს, ეს არის **მოქმედების მთლიანობა** (целостность).

მაშასადამე, აღნიშნული და სხვა ამ ტიპის ზმნები გამოხატავენ **დასრულებულ პროცესუალურ** მოქმედებას.

ასპექტური შინაარსის მიხედვით გამოიყოფა ამავე ზმნებიდან კიდევ ახალი ფორმები, რომლებიც ზემოთ განხილულ **დიურატიულ** და **დასრულებული პროცესის** გამომხატველ ზმნებს უპირისპირდებიან ფუძისეული ხმოვნის აბლაუტით. ამ რიგის ზმნური ფორმები გამოხატავენ ერთბაშ, მომენტობრივ მოქმედებას, ე.ი. ისეთ მოქმედებას, რომელიც დროში არ მიმდინარეობს, ე.ი. **მოქმედების დროული გრძლიობა ნულამდეა დაყვანილი.**

ეს ფორმებია: **ლარკი⁵ — „გაპარსა“, ხატხი⁵ — „წაიკითხა“, ხარცი⁵ — „გაცვალა“** და სხვა.

აღნიშნული სემანტიკის გამოსავლენად ვიყენებთ რიგობით-ჯერობის ზმნიზედას **შაწ** „ორჯერ“, **ჯოწ** „სამჯერ“, **ფხაწ** „ხუთჯერ“ და ა.შ.

თუ აღნიშნულ მეტყველების ნაწილს გრამატიკულად სწორად შეეწყო საანალიზო ზმნური ფორმები (ლარკი⁵, ხატხი⁵, ხარცი⁵...), მაშინ ისინი **გამოხატავენ სუბიექტის მოქმედების მომენტობრიობას,** ე.ი. ასეთ ზმნურ ფორმებში მოქმედების დროული გრძლიობა **ნულამდეა დაყვანილი.**

მაგალითად: **ვანოს ე ჟაგნრ შაწ ხატხი⁵ — ვანომ ეს წიგნი ორჯერ წაიკითხა.**

დადას ბადრენ ქორთ ჯოწ ლარკი⁵ — მამამ შვილს თავი სამჯერ გაუკრიჭა. და სხვ.

მოყვანილი წინადადებები **გრამატიკულად სავსებით სწორია და გამართულია.** აქედან გამომდინარე, ამ წინადადებაში წარმოდგენილი ზმნური ფორმები გამოხატავენ **სუბიექტის მოქმედების მომენტურობას.**

ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ **ნოვა-თუშურ ენას გააჩნია ასპექტის სამწევროვანი კატეგორია.** ამის გვერდით არის ორწევროვანი და ერთწევროვანი ასპექტური ზმნური ფორმებიც.

ჩვენი აზრით, **ნოვა-თუშურ ენაში არ არსებობს უასპექტო ზმნა.** ნებისმიერი ზმნური ფორმა გამოხატავს ასპექტის ზემოთ წარმოდგენილი სამწევროვანი პარადიგმის ან სამივე წევრს, ან ორს, ანდა ერთს.

ამ სამწევროვანი კორელაციის წევრებს აღვნიშნავთ შემდეგი ტერმინებით: **სრული, სრული პროცესუალური და უსრული.**

ასპექტური კორელაციის თითოეული წევრი ხასიათდება საკუთარი დიფერენციალური სემანტიკური ნიშნებით, რომელთა ერთიანობა არ მეორდება მეორე წევრში, რაც კარგად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილი მატრიციდან:

ასპექტი	სემანტიკური ნიშნები			
	მომენტურობა	პროცესუალობა	მთლიანობა	დიურატიულობა
1. სრული	+	-	+	-
2. სრული პროცესუალური	-	+	+	-
3. უსრული	-	+	-	+

ამის შემდეგ დგება საკითხი, ოპოზიციის როგორ ტიპთან გვაქვს საქმე ასპექტური კორელაციის წევრებს შორის.

როგორც ცნობილია, ნ. ტრუბეცკოიმ ფონოლოგიაში წმინდა ლოგიკურ მიმართებათა საფუძველზე დაადგინა ოპოზიციათა კლასიფიკაცია ოპოზიციის წევრებს შორის დაპირისპირების მიხედვით. ესენია:

ა) **პრივატული ოპოზიცია,** რომლის ერთი წევრი ხასიათდება ნიშნის მქონეობით, ხოლო მეორე წევრი ნიშნის უქონლობით. მაგალითად, მჟღერი — არამჟღერი.

ბ) **ეკვიპოლენტურია ოპოზიცია,** რომლის წევრებიც ლოგიკურად თანაბარმნიშვნელოვანია. მაგალითად, p — t, f — k.

გ) **გრადუალურია ოპოზიცია,** რომლის წევრებიც ხასიათდებიან ერთი და იმავე ნიშნის სხვადასხვა საფეხურით ან ხარისხით.[1]

პრივატული ოპოზიციის ცნებამ ფართო გამოყენება ჰპოვა გრამატიკულ გამოკვლევებში, რამაც ამ მიმართულებით დადებითი როლი ითამაშა.

ზოგმა მკვლევარმა ეკვიპოლენტური ოპოზიციის ცნებაც შემოიტანა გრამატიკულ დონეზე კვლევა-ძიებისას.

რაც შეეხება **გრადუალურ ოპოზიციას,** რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, ის გრამატიკულ დონეზე არსებითად არავის გამოუყენებია. პირველად მისი გრამატიკის სფეროში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ წერს ვ. ბონდარენკო (1,87). მისი აზრით, თუ **გრამატიკული** კატეგორია მრავალწევრიანია, **გრადუალური** ოპოზიციის ცნების შემოტანა გამართლებული იქნება და აქ ის შეიტანს გარკვეულობას მის ზუსტ დახასიათებაში.[2]

როგორც გამოირკვა, **წოვა-თუშურ ენაში ასპექტური კატეგორია აღმოჩნდა სამწევროვანი.** ისმის კითხვა: ზემოთ განხილული ასპექტის სამწევროვანი ოპოზიცია ხომ არ ეკუთვნის გრადუალური ოპოზიციის ტიპს?

1. Н.С. Трубецкой. Основы фонологии, Москва — 1960, გვ. 83.
2. А. В. Бондарко. Грамматическая категория и контекст. Ленинград, 1971, გვ. 87-90.

თუ დავაკვირდებით აქ წარმოდგენილი ასპექტური ოპოზიციის წევრთა დიფერენციალურ ნიშნებს, რომელთა საფუძველზედაც მივიღეთ წოვა-თუშურში ასპექტის სამწევროვანი კორელაცია, აშკარაა, რომ ისინი ფაქტიურად **ერთი რიგის სემანტიკური დიფერენციალური ნიშნებია და ერთმანეთს უპირისპირდებიან სუბიექტის მოქმედების გრძლიობის ხარისხით, ე.ი. აქ ოპოზიციის წევრები ხასიათდება ერთი და იმავე ნიშნის (გრძლიობის) თანმიმდევრული მატების ხარისხით.**

თუ ჩვენ კორელაციის წევრებს აღვნიშნავთ A, B, C სიმბოლოებით, მაშინ გრძლიობის ხარისხის მატების მიხედვით ასეთ თანმიმდევრობას მივიღებთ: A<B<C.

ჩვენ მიერ დადგენილ ასპექტური კორელაციის ცნებებს თუ მივუსადაგებთ გეომეტრიულ ცნებებს: წერტილი (a), მონაკვეთი (b), სხივი (c), მაშინ ასეთ შეფარდებას მივიღებთ: **სრული: წერტილს=სრულ პროცესუალური: მონაკვეთს=უსრული: სხივს**. იგივე სიმბოლოებში: A:a=B:b=C:c.

გრძლიობის ხარისხის მიხედვით აქ ერთგვარი ანალოგია მართლაც არის. გავიხსენოთ გეომეტრიული ცნებების შინაარსი: **წერტილი** არის ისეთი გეომეტრიული ცნება, რომელსაც განზომილება არა აქვს, ნულამდე დასული გრძლიობაა. **მონაკვეთი** არის წრფის ნაწილი, რომელიც ორივე მხრიდან შემოსაზღვრულია ორი წერტილით, **სხივი** კი ისეთი წრფეა, რომელიც მხოლოდ ერთი მხრიდან არის შემოსაზღვრული და მეორე მხარეს უსასრულოდ გრძელდება.

გეომეტრიულ ცნებებთან ანალოგიის შემოტანა დაგვჭირდა იმიტომ, რომ უფრო ხელშესახები გაგვეხადა ზემოთ წარმოდგენილი ასპექტური კორელაციის წევრთა სემანტიკური თავისთავადობა და სისტემური ურთიერთმიმართება.[1]

---

1. კ. ჭრელაშვილი. ასპექტის, როგორც ენობრივი კატეგორიის არსი და ასპექტის სამწევროვანი კორელაცია თანამედროვე ქართულ ენაში. იხ. კრებ. Историко-филологические разыскания, часть I, Тбилиси, 1980, გვ. 232

გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები

გარდამავლობა-გარდაუვალობა არის სინტაქსურ-მორფოლოგიური კატეგორია წოვა-თუშურ ენაში. სინტაქსური კატეგორიაა იმიტომ, რომ სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიმართების მოდელი ზმნაში რეგულარულად მეორდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ გარდამავალი ტიპის ზმნებში სუბიექტი **ერგატივშია** ყოველთვის, ხოლო ობიექტი კი **სახელობითში**. სუბიექტისა (ქვემდებარის) და ობიექტის **აღნიშნული სინტაქსური კავშირი არის კრიტერიუმი წოვა-თუშური ზმნის გარდამავლობისა. ეს არის ამ ენის უნივერსალური კანონზომიერება.**

რიგ ზმნებში გარდამავლობა ასახულია მორფოლოგიურადაც. მხედველობაში გვაქვს გრამატიკული კლასნიშნიანი ზმნები. როგორც ცნობილია, წოვა-თუშურ ენაში ზმნები გრამატიკული კლასის კატეგორიის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა — ზმნები, რომელთაც გრამატიკული კლასის ნიშანი არა აქვთ და ზმნები, რომელთაც აღნიშნული კატეგორია შესაბამისი ნიშნით არის ასახული.


უკლასნიშნო გარდამავალი ზმნები:

1. ნანას ჟაგნო ხეტʜო — დედა წიგნს კითხულობს.
დადას ჟე ლერკო — მამა ცხვარს პარსავს.
ბჰარწავ თოუბ ჴალლი⁵ — მგელმა ჭედილა შეჭამა.

კლასნიშნიანი გარდამავალი ზმნები:

2. ნანას კეჭ ჲ-ეჭრ — დედა მატყლს ჩეჩავს.
ლაშას გივინ ჴორ ბ-ა/ლი⁵/ — ლაშამ გივის ვაშლი მისცა.
ვანოს ბუჲღრეხ დო⁵ ბ-ეხკი⁵ — ვანომ პალოზე ცხენი გამოაბა.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, უკლასნიშნო ზმნათა გარდამავლობის კრიტერიუმია **სუბიექტის ერგატიულობა**, ხოლო პირდაპირი ობიექტის — **ნომინატიურობა**. სქემატურად ეს სტრუქტურა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



კლასნიშნიან ზმნებს გარდამავლობის გარდა აღნიშნული კრიტერიუმისა, აქვს კიდევ დამატებითი ნიშანი, კერძოდ კი ზმნაში წარმოდგენილი პრეფიქსი, რომელიც პირდაპირი ობიექტის ნიშანია. ეს ნიშანი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელი კლასის კუთვნილებაა ობიექტი.

გარდამავლობა-გარდაუვალობა შინაგან კავშირშია გვარის კატეგორიასთან — ყველა გარდამავალი ზმნა ამავე დროს მოქმედებითია, რომლისგანაც იწარმოება შესაბამისი ვნებითი გვარის ფორმები.

აქტი

„აქტი ანუ საქმე არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება, თუ არა“.[1]

წოვა-თუშურ ენას, ისე როგორც ქართულს, აქვს საშუალება, მორფოლოგიურად გამოხატოს ორივე სახის აღნიშნული მოქმედება. ამის მიხედვით გვაქვს ორი აქტი: **ნანახი** და **უნახავი**.

ნანახია ისეთი მოქმედება, რომელიც მოუბარმა პირმა თავად ნახა, თავისი თვალით იხილა. მაგალითად, **ვახე⁶ „წავიდა“, ალი⁶ „თქვა“, ხატხი⁶ „ჰკითხა“, დჳჯი⁶ „წაართვა“** და სხვ.

1. აკაკი შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 211.

უნახავია ზმნით გამოხატული ისეთი მოქმედება, რომელიც მოუბარმა პირმა ვერ ნახა და ყვება სხვათა ნაუბარის მიხედვით, ანდა მოქმედების შედეგი მერე იხილა. მაგ: **ვაჲხნორ „წასულა“, აჲლნორ „უთქვამს“, ხაჲტჱნორ „წაუკითხავს“, დაჲჭნორ „წაურთმევია“** და სხვ.

უნახავი მოქმედების გამომხატველ ზმნურ ფორმებს უღვლილების სისტემაში **ეწოდება თურმეობითები**. თურმეობითებით წოვა-თუშური მდიდარია, რაც კარგად ჩანს ნაშრომში წარმოდგენილი უღვლილების პარადიგმებიდან.

თავისებური ზმნები

წოვა-თუშურ ენაში გვხვდება ისეთი ზმნებიც, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი მორფოლოგიური კატეგორიების სიმეტრიული პარადიგმები, აკლიათ პარადიგმის რომელიმე წევრი. მხედველობაში გვაქვს რიცხვის კატეგორია, უღლების კატეგორია, გვარის კატეგორია.

რიცხვში მონაცვლე ზმნები

ზოგიერთ ზმნას მხოლობითსა და მრავლობითში განსხვავებული ძირები აქვთ. ასეთებია:

ხაცე⁵ „დაჯდა“ — ხაბჟე⁵ „დასხდნენ“.
დოჟე⁵ „წაიქცა“ — დებჟე⁵ „წაიქცნენ“.
ჴოსი⁵ „ესროლა“, — ჴეფსი⁵ „ესროლეს“.
დაჴი⁵ „წაართვა“ — დახი⁵ „წაართვა ბევრი“.
დეცე⁵ „მოვიდა“ — დახკე⁵ „მოვიდნენ“.
დილჱე⁵ „დადო“ — დიხკე⁵ „დააწყო“.
ეჴჱი⁵ „გადახტა“ — ლეთხი⁵ „გადახტნენ“.
ჴაცე⁵ „დაეწია“ — ჴათხე⁵ „დაეწივნენ“ და სხვ.

მწკრივში მონაცვლე ზმნები

ვეცენ „მოვიდა“ - ვაღო „მოვა“.
ჴეჰორ „დააქვს“ — ჰოო „წაიღებს“.
თელორ „აძლევს“ — ლო „მისცემს“.
ლივ „ამბობს“ — ალ რ „ეტყვის“.
ყეგორ „ამტვრევს“ — დჩოგორ „დაამტვრევს და სხვ.

სახელზმნები

სახელზმნებით აღინიშნება ის სიტყვები, რომელთაც სახელის კატეგორიაც აქვთ და ზმნისაც.

ტერმინი სახელზმნა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ანტონ I-მა. ეს ტერმინი მიესადაგება წოვათუშურ ენაში არსებულ ლექსიკის იმ ჯგუფებსაც, რომელთაც აღვნიშნავთ მასდარის, მიმღეობის და ინფინიტივის სახელით.

მასდარი

მასდარი იწარმოება ზმნურ ძირზე **-არ** სუფიქსის დართვით. ის გამოხატავს მოქმედების სახეს — პროცესუალურ მოქმედებას ან მომენტობრივ მოქმედებას, იმის მიხედვით, თუ რა სახის მოქმედებისაა საყრდენი ზმნა. თუ ზმნა, რომლის ძირზე **-არ** სუფიქსის დართვით იწარმოება მასდარი, გამოხატავს გაბმულ, უსრულ პროცესს, მაშინ ასეთი **მასდარიც** ანალოგიურ პროცესს, ე.ი. უსრულ პროცესს გამოხატავს, ხოლო თუ მასდარი ნაწარმოებია მომენტობრივი, ერთჯერადი მოქმედების გამომხატველი ზმნისაგან, მაშინ მასდარიც ასეთ მოქმედებას გამოხატავს.

თუ საყრდენი ზმნა კლასნიშნიანია, შესაბამისი მასდარიც

იცვლება სათანადო კლასნიშნების მიხედვით. **მასდარს პირის ნიშნები არ დაერთვის.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულ და უსრულ ასპექტის ფორმებს თავთავისი მასდარი აქვთ.

მაგალითები:

უსრული ასპექტი	სრული ასპექტი
ხერც-არ „ცვლა“	ხარც-არ „გაცვლა“
ხეტʰ-არ „კითხვა“	ხატʰ-არ „წაკითხვა“
ლერკ-არ „პარსვა“	ლარკ-არ „გაპარსვა“
მელ̃-არ „სმა“	მალ̃-არ „დალევა“
დეფლ-არ „ძვრომა“	დოფლ-არ „შეძვრომა“
დეფშ-არ „ფხვნა“	დოფშ-არ „დაფხვნა“
დეფს-არ „ბერვა“	დოფს-არ „გაბერვა“
დეპტ-არ „ყლაპვა“	დოპტ-არ „ჩაყლაპვა“
თეკ-არ „კერება“	თაკ-არ „შეკერვა“
თერქ-არ „რწევა“	თარქ-არ „დარწევა“
თეჴ-არ „თრევა“	თაჴ-არ „გათრევა“
თერს-არ „ჭიხვინი“	თარს-არ „დაჭიხვინება“
ჴესტ-არ „შემოვლა“	„ჴასტ-არ „შემოვლა“ და სხვ.

მრავალჯერ

ზმნათა ერთი ჯგუფი ასპექტურ ოპოზიციას განარჩევს სუპლეტური ფორმებით. მასდარიც შესაბამისად განსხვავებული ძირებისაგან იწარმოება. ასეთებია:

უსრული ასპექტი	სრული ასპექტი
თელ̃-არ „მიცემა“	დალ̃-არ „გაცემა“
თეფხ-არ „რტყმა“	თოხ-არ „დარტყმა“
ჴელ-არ „ტარება“	დიკ-არ „წაყვანა“

ლეთხ-არ „ხტომა“	ეჴ-არ „გადახტომა“
ლევ-არ „მბობა“	ალ̃-არ „თქმა“
დ̃ახ-არ „რთმევა“	დაჴ-არ „წართმევა“
დებლ-არ „დება“	დილჲ-არ „დადება“
დეთჲ-არ „ხეთქება“	დიშდ-არ „დახეთქება“
ჴექ-არ „ძახება“	დექ-არ „დაძახება“
ყეგ-არ „მტვრევა“	დჭოგ-არ „გატეხვა“
ჴეჰჲ-არ „ზიდვა“	დაც-არ „მოტანა“

ზმნათა ერთი ჯგუფი ასპექტს აბლაუტით არ განარჩევს, ამდენად, ამ რიგის ზმნებს მასდარის ერთი ფორმა აქვთ. ასეთებია:

აწმყო	მასდარი
აბრ „კერავს“	აბ-არ „კერვა“
დათჲ რ „წვავს საჭმელს“	დათჲ-არ „წვა“
დაჟე̃ „ძოვს„	დაჟ-არ „ძოვნა“
აყრ „ყოფს“	აყ-არ „გაყოფა“
ა̃ხკრ „აბამს“	ახკ-არ „დაბმა“
აჴრ „იხდის“	აჴ-არ „გადახდა“
აჰჲ რ „პარავს“	აჰჲ-არ „პარვა“
დეთჲ რ „წველის“	დეთჲ-არ „წველა“
ელე̃ „იშლება“	ელ-არ „მოშლა“
დე̃ხრ „თხოვს“	დეხ-არ „თხოვნა“
თეგე̃ „ურიგდება“	თეგ-არ „შერიგება“
ლეჭრ „ფცქვნის“	ლეჭ-არ „ფცქვნა“

და სხვ.

მასდარი იწარმოება კაუზატივის ფორმებიდანაც. წარმოების ფორმალური პრინციპი ისეთივეა, როგორიც მოქმედებითი გვარის ზმნებთან — თუ ზმნა ასპექტს ფუძეში აბლაუტით

აწარმოებს, მაშინ ამ რიგის ზმნებს მასდარი ეწარმოება ცალ-ცალკე — სრულისა და უსრულისა. კაუზატივს აწარმოებს **-ით** სუფიქსი, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. მასდარის **-არ** სუფიქსი დაერთვის ზმნის კაუზატივის ფორმას.

კაუზატივი	მასდარი
ხეტ̈-ით-რ̌	„აკითხვინებს“ → ხეტ̈-ით-არ
ხერც-ით-რ̌	„აცვლევინებს“ → ხერც-ით-არ
ახ-ით-რ̌	„ახვნევინებს“ → ახ-ით-არ
თეფხ-ით-რ̌	„აცემინებს“ → თეფხ-ით-არ
თეკ-ით-რ̌	„აკერინებს“ → თეკ-ით-არ
სტეხ-ით-რ̌	„ალოდინებს“ → სტეხ-ით-არ
დეპტ-ით-რ̌	„აყლაპვინებს“ → დეპტ-ით-არ

კაუზატივი ძალზე პროდუქტიული წარმოებაა ზმნისა და უღვლილების სისტემაში ის ბოლომდე გაყვება.

მასდარის ფორმები ეწარმოება აგრეთვე წარსული დროის ვნებითებსაც, როგორც სრული ასპექტის, ასევე უსრული ასპექტის ზმნურ ფორმებს.

მაგალითები:

ვნებითი		მასდარი	
სრული	უსრული	სრული	უსრული
ხარც-დ-ა-ლ-ი^{ნ} „შეიცვალა“	ხერც-დ-ა-ლ-ი^{ნ}	ხარც-დ-ა-ლ-არ	ხერცდალარ
ხატ̈-დ-ა-ლ-ი^{ნ} „შეეკითხა“	ხეტ̈-დ-ა-ლ-ი^{ნ}	ხატ̈დალ-არ	ხეტ̈-დალ-არ
თაკ-დ-ა-ლ-ი^{ნ} „შეიკერა“	თეკ-დ-ა-ლ-ი^{ნ}	თაკდალ-არ	თეკდალ-არ
ლიჭ-დ-ა-ლ-ი^{ნ} „გაიფცქვნა“	ლეჭ-დ-ა-ლ-ი^{ნ}	ლიჭდალ-არ	ლეჭდალ-არ
			და სხვ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილ ზმნურ ფორმებში „-დალი⁵“ არის „და — „არის“ მეშველი ზმნის **ვნებითის ფორმა წარსული დროის მწკრივებში**. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ლიტერატურაში მის შესახებ განსხვავებული აზრი არსებობს.

ინფინიტივი

განსხვავებით ქართველური ენებისაგან, წოვა-თუშურ ზმნას ეწარმოება ინფინიტივის ფორმები. ინფინიტივი ეს არის ზმნის **უმარტივესი**, შეიძლება ითქვას **ამოსავალი** ფორმა. იგივე შეიძლება ითქვას მასდარის შესახებაც, მაგრამ განსხვავებით მისგან, ინფინიტივი არ იბრუნვის.

ინფინიტივი იხმარება ზმნის სხვადასხვა ფორმასთან და გამოხატავს შესაბამის ზმნაში გამოხატული **მოქმედების მიზანს**. მისი ფორმოლოგიური მაწარმოებელია ნაზალური **-ა⁵**.

მაგალითები: **დავით მეჯ ჲაყა⁵ ვახე⁵** — დავითი პურის საჭმელად წავიდა.

ამ წინადადებაში **ჲაყა⁵** ინფინიტივია და ქართულად ამ კონტექსტში შეესაბამება „საჭმელად“. კითხვა: რისთვის წავიდა დავითი? მეჯ **ჲაყა⁵** — „პურის საჭმელად“. ინფინიტივი ნებისმიერ ზმნას აქვს და ყველგან მისი ნიშანია **-ა⁵** დაბოლოება.

მაგალითები:

შოთა ლოუმ თივ-ა⁵ ვახე⁵ — შოთა მთაში დასასვენებლად წავიდა.

კნათი ჟაბ ლეხა⁵ ბახე⁵ — ბიჭები ძროხების საძებნელად წავიდნენ.

კნათი წა თეგდ-ა⁵ ბოლბალი⁵ — ბიჭებმა სახლის კეთება დაიწყეს.

ლაშენ ჯამდ-ა⁵ ცო ლეც — ლაშას სწავლა არ უნდა.

სე^{ნ} ნან შურ ლეფსა^{ნ} ჲოლჲალი^{ნ} — დედაჩემმა რძის დღევება დაიწყო და ა.შ.

ინფინიტივს ფართო გამოყენება აქვს წოვა-თუშურ ენაში. ის ახლავს ზმნის აწმყოს, მყოფადსა და ნამყოს ფორმებს. გამოხატავს აგრეთვე სრულ და უსრული ასპექტის სემანტიკას ფუძისეული ხმოვნის აბლაუტით, ე.ი. სრული ასპექტის ზმნას თავისი ინფინიტივი შეესაბამება, უსრული ასპექტის ზმნას კი შესაბამისი ასპექტური შინაარსის ინფინიტივი.

მაგალითად: **სრ. ხარცი^{ნ} „გაცვლა“ → ხარც-ა^{ნ} (ინფ.)**

უსრ. ხერცი^{ნ} „ცვალა“ → ხერც-ა^{ნ} (ინფ.) და ა.შ.

მიმღეობა

მიმღეობა არის ზმნისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელი, რომელსაც აქვს ზმნის კატეგორიებიც (გრამატიკული კლასისა, რიცხვისა, ასპექტისა და დროისა) და სახელისაც, კერძოდ კი ზედსართავი სახელისა (გრამატიკული კლასისა, რიცხვისა და ბრუნვის კატეგორიები).

აწმყოს მიმღეობა. აწმყოს მიმღეობა იწარმოება აწმყოს ფორმაზე **-ინ** სუფიქსის დართვით:

ხერცრ „ცვლის“ → ხერც-ო-ინ → ხერცუ-ჲნ — „გამცვლელი“ ან „გასაცვლელი“.

ხეტʷრ „კითხულობს“ → ხეტʷო-ინ → ხეტʷუ-ჲნ „მკითხველი“ ან „წასაკითხი“.

დაყრ „ჭამს“ → დაყო-ინ → დაყუ-ჲნ „მჭამელი“ ან „საჭმელი“.

ლეხ-რ „ეძებს“ → ლეხ-უ-ჲნ → ლეხ-უ-ჲნ „მძებნელი“ ან „საძებნი“.

ლეტჲ-ო „წურავს“ → ლეტ-ო-ინ → ლეტჲ-უ-ჲნ „მწურავი“ ან „საწური“.

თეტ-რ „ჭრის“ → თეტ-ო-ინ → თეტ-უ-ჲნ „მჭრელი“ ან „საჭრელი“.

მოყვანილ მაგალითებში აწმყოს მაწარმოებელია **-რ(←ო)**, მას დაერთვის მიმღეობის მაწარმოებელი **-ინ**, რის შედეგადაც მორფემათა შესაყარში **-ო+ინ→ უჲნ**. ფონეტიკური პროცესი **ო+ი→-უჲ** კანონზომიერი პროცესია წოვა-თუშურ ენაში.

ზოგ ზმნას აწმყოს მაწარმოებლად დაერთვის **-ჳ←ე**. ასეთებია: ვეწ-ე „უყვარს მამაკაცი“, თერქ-ე „ირწევა“, თერს-ე „ჭიხვინებს“, თეყ-ე „ეხვეწება“, კერჩ-ე „გორავს“, ლეთ-ე „ჭიდაობს“ და სხვ.

ამ რიგის ზმნებთან მიმღეობის მორფემის **-ინ** დართვა იწვევს აწმყოს **-ჳ(←ე)** მაწარმოებლის **სრულ რედუქციას.**

მაგალითები:

ვეწ-ჳ „უყვარს“ → ვეწ-ე-ინ → ვეწ-ინ „შეყვარებული“.

თერს-ჳ „ჭიხვინებს“ → თერს-ე-ინ → თერს-ინ „ცხენი, რომელიც ჭიხვინებს“.

თეყ-ჳ „ეხვეწება“ → თეყ-ე-ინ → თეყ-ინ „მახვეწარი“.

ლჳთ-ჳ „ჭიდაობს“ — ლეთ-ე-ინ → ლეთ-ინ „მოჭიდავე“.

ჴეთ-ჳ „იცის“ → ჴეთ-ე-ინ → ჴეთ-ინ „მცოდნე“ და ა.შ.

მყოფადის მიმღეობა

მყოფადის ფორმაზე **-ინ** სუფიქსის დართვით იწარმოება მყოფადის მიმღეობა. *მაგალითები:*

თიტ-რ „დაჭრის“ → თიტ-ო-ინ → თიტ-უ-ჲნ „დასაჭრელი“.

ლიტ-ურ „გაწურავს“ — ლიტ-ო+ინ→ლიტ-უ-ან „გამწურავი“ ან „გასაწური“.

ხატ-ურ „კითხავს“ → ხატ-ო+ინ → ხატ-უ-ან „საკითხავი“ ან „მკითხველი“.

ხარც-ურ „გაცვლის“ → ხარც-ო+ინ → ხარც-უ-ან „გასაცვლელი“ ან „გამცვლელი“.

მალ-ურ „დალევს“ → მალ-უ+ინ → მალ-უ-ან „დასალევი“ ან „დამლევი“.

ე-ზე დაბოლოებული მყოფადის ფორმა მიმღეობის -ინ სუფიქსის დართვით აქაც სრულ რედუქციას განიცდის, ე.ი. -ე უკვალოდ ქრება. თუმცა ამ რიგის ზმნები ძალზე ცოტაა:

ლათ-უ „დაეჭიდება“ → ლათ-ე+ინ → ლათ-ინ „დამჭიდავი“.

ხან-უ „გაიგებს“ → ხან-ე+ინ → ხან-ინ „გამგები“.

სარტ-უ „დაწყევლის“ → სარტ-ე+ინ → სარტ-ინ „დამწყევლი“ და ა.შ.

ნამყოს მიმღეობა

ნამყოს მიმღეობა იწარმოება ნამყო ძირითადის მწკრივის ფორმაზე -ინ სუფიქსის დართვით. ამ მწკრივის ფორმებს აწარმოებს -ინ და ე- დაბოლოება. პირველ შემთხვევაში მიმღეობის -ინ ფორმანტის დართვით მწკრივის მაწარმოებელი -ინ^{5} ელემენტი რედუცირდება, რჩება მხოლოდ მიმღეობის მაწარმოებელი -ინ.

მაგალითები:

სრული ასპექტის ფორმათა

ხარც-ინ^{5} „გაცვლა“ → ხარც-ინ^{5}+ინ → ხარც-ინ „გაცვლილი“.

ხატ-ინ^{5} „კითხა“ → ხატ-ინ^{5}+ინ → ხატ-ინ „წაკითხული“.

დაყ-ინ^{5} „ჭამა“ → დაყ-ინ^{5}+ინ → დაყ-ინ „შეჭმული“.

დოპტ-ი^{5} „ჩაყლაპა“ → დოპტ-ი^{5}+ინ →დოპტ-ინ „ჩაყლაპული“.
ხოტხ-ი^{5} „გადააბა“ → ხოტხ-ი^{5}+ინ → ხოტხ-ინ „გადაბმული“.
დუსტ-ი^{5} „გაზომა“ → დუსტ-ი^{5}+ინ → დუსტ-ინ „გაზომილი“.
ახ-ი^{5} „მოხნა“ → ახ-ი^{5}+ინ → ახ-ინ „მოხნული“ და ა.შ.

ასევე იწარმოება მიმღეობის ფორმები შესაბამისი უსრული ასპექტის ფორმებიდან:

ხერც-ი^{5} „ცვალა“ → ხერც-ი^{5}+ინ → ხერც-ინ „ვინც ცვალა“ ან „რაც გაცვალა“.
დეფხ-ი^{5} „იცვა“ → დეფხ-ი^{5}+ინ → დეფხ-ინ „ჩაცმული“.
თეკ-ი^{5} „კერა“ → თეკ-ი^{5}+ინ → თეკ-ინ „შეკერილი“.
ლეც-ი^{5} „ეჭირა“ → ლეც-ი^{5}+ინ → ლეც-ინ „დაჭერილი“.
ლეჭ-ი^{5} „ფცქვნა“ → ლეჭ-ი^{5}+ინ → ლეჭ-ინ „გაფცქვნილი“.

ნამყო ძირითადიდან ნაწარმოები მიმღეობები მხოლოდ კონტექსტის მიხედვით განარჩევს ვნებითი და მოქმედებითი გვარის მიმღეობებს, ფორმალურად ისინი არ განსხვავდებიან. მაგალითად, **„ახინრ“ მოხნულსაც** ნიშნავს და **მხვნელსაც**. ასევე, **„ხატხინრ“** ნიშნავს **წაკითხულსა** და **წამკითხველსაც**.

აბსოლუტივი (გერუნდივი)

აბსოლუტივი არის ზმნის ისეთი ფორმა, რომელიც გამოხატავს მოქმედების პროცესს და ახლავს ზმნას აწმყოში და მყოფადში.

აწმყოს აბსოლუტივი იწარმოება აწმყოს ფორმაზე **-შ** სუფიქსის დართვით, ხოლო მყოფადის აბსოლუტივი იწარმოება მყოფადის ფორმაზე ასევე **-შ** სუფიქსის დართვით.

ამდენად, წოვა-თუშურ ენას აქვს აწმყოსა და მყოფადის აბსოლუტივი.

აბსოლუტივი იწარმოება როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნებისაგან.

აწმყო მწკრივის აბსოლუტივი

გარდამავალი ზმნები

ჟაგნრ ხეტᵸ-რ — წიგნს კითხულობს.

ჟაგნო ხეტᵸ-ო-შ ჯევაღ — წიგნის კითხვით ზის.

ათხ ჟე ლერკ-რ — ჩვენ ცხვარს ვპარსავთ.

ათხ ჟე ლერკ-ო-შ მოსსი⁵ ყარუᵸ ᵸარ — ჩვენ როცა ცხვარს ვპარსავდით, ცუდი წვიმები იყო და ა.შ.

მყოფადის მწკრივის აბსოლუტივი

ხატᵸ-რ „კითხავს“ → ხატ-ო-შ დეწ ხატᵸა⁵ — კითხვით უნდა კითხოს.

ხარც-რ „გაცვლის“ → ხარც-ო-შ ცუᵸ ლო სო⁵? — გაცვლით არ მომცემს?

ლას-რ „გაცრის“ — ჰᵸაᵸრ ლას-ო-შ ლეᵸტ სო⁵ — ფქვილის გაცრაში დამეხმარება.

თეკ-რ „კერავს“ — თაკ-ო-შ ღო შარნ — კერვით წავა

და სხვ.

მყოფადის მწკრივის აბსოლუტივი ნაკლებ პროდუქტიულია, შედარებით აწმყოს მწკრივის აბსოლუტივებთან. ალბათ, ამის გამო წერს დეშერიევი: „Деепричастие в бацбийском языке имеет морфологически обособившуюся форму только настоящего времени изъявительного наклонения“.[1]

ასევე **-შ** ელემენტით იწარმოება ზოგი ზმნისსართიც, როგორც ეს აღნიშნული აქვს ი. დეშერიევს.[2] მაგ.: **ლაჭყოშ** გაგ-

1. Ю.Д. Дешериев. Бацбийский язык. Москва, 1953, გვ. 157.
2. იქვე, გვ. 158.

დებ — „დამალვით შეინახე“. დაცუშ ქეკდებ ი დოს — „მოკლედ დაჭერი ეს შეშა“ და სხვ.

ზმნიზედა

ზმნიზედა არის სიტყვა, რომელიც ზმნას ახლავს და აზუსტებს, განსაზღვრავს ზმნაში გამოხატულ მოქმედებას სხვადასხვა ვითარებაში. მისი სახელწოდებაც, „ზმნიზედა“, აქედან წარმოდგება.

შინაარსის მიხედვით წოვა-თუშურ ენაში გამოიყოფა ზმნიზედების შემდეგი ჯგუფები:

ადგილის ზმნიზედები

ამ რიგის ზმნიზედები უპასუხებენ კითხვაზე: მიჩ? „სად“?

ასეთებია: ჰ҃ათხ „წინ“, ტყუ҃ჰ҃ „უკან“, ქორთიხ „თავში“, ҃უყე „შუაში“, მაქდა „ზევით“, კიკალდა „ქვემოთ“, ლაჯიშ „მაღლა“, ლახუშ „დაბლა“, გოგეხ „გარშემო“, ფენიხ „გვერდით“, ესე „აქ“, ოსი „იქ“, ისი „მანდ“, ҃უჰ҃ალ „გაღმა“, სივჰ҃ „გამოღმა“, გარგე „ახლოს“, ჩაჯ „შორს“ გარგ-მარგე „ახლო-მახლო“, ჯეჩუ҃ჰ҃ „სხვაგან“, მიჩმე „სადმე“, ცომიჩჰ҃ე „არსად“...

ზმნიზედები, რომლებიც აღნიშნავს სუბიექტის ან ობიექტის მოქმედების მიმართულებას:

ქუ҃რთხილნა „თავიდან“, ბოლორნა „ბოლოდან“, ჰ҃ათხრენა „წინიდან“, ტყუ҃ჰ҃რენა „უკნიდან“, მაქრენა „ზევიდან“, ლახშურნა „ქვემოდან“, ლაჯშირნა „მაღლიდან“, ესერნა „აქედან“, უ҃სრენა „იქიდან“, ჩურენა „შიგნიდან“, ნჩე᾽რენა „გარედან“, ҃უჰ҃ალრენა „გაღმიდან“, ჩაჯრენა „შორიდან“...

დროის ზმნიზედა

დროის გამომხატველი ზმნიზედა გვიჩვენებს დროის გარკვეულ ერთეულს ან დროის გარკვეულ მონაკვეთს კონკრეტულად (აკ. შანიძე).

დროის ზმნიზედა უპასუხებს კითხვაზე: **როდის? ინც „ახლა“, დუდახ „წელან“, თხა „დღეს“, თხაბუს „წუხელ“, ფსარე „გუშინ“, სიფსრე „გუშინწინ“, ჴან „ხვალ“, ლამრ „ზეგ“, პალრ „მაზეგ“, ცენეხ „წელს“, სტოუხკ „შარშან“, ტყოც „ჯერ კიდევ“, ჴენ „მერე, შემდეგ“, ეჰხათ „მაშინ“, წყე „ერთხელ“, მაცახ „ოდესღაც“, ცომაცნე „არასოდეს“, ქიქოც „ადრე“, ქასტენ „მალე“, ბჰა „მუდამ“, დენი „დღისით“, ბუჯს „ღამით“, დუჯჰხრენ „პირველად“:, მაწყ „ხანდახან“, „ზოგჯერ“, ინცლომცინ „აქამდე“, ეჰხათლომცინ „მანამდე“, სახილუშ „განთიადისას“, „გათენებისას“.**

კითხვითი ზმნიზედები

კითხვის გამომხატველი ზმნიზედებია: მიჩე? „სად?“ მაცან? „როდის?“ მიჩრენ? „საიდან?“ მიჩიჰხ? „საითკენ?“ ვუნ? რატომ?“ სტენ? „რად?“ სტენდალლა? „რისთვის?“ მოჰხ? „როგორ?“

მიმართებითი ზმნიზედები

მიმართებითი ზმნიზედები იწარმოება კითხვით ზმნიზედებზე -ი (ქართ. ც) ელემენტის დართვით. ი-ს წინ ჩნდება ჰხ ელემენტი, რომელიც ლოკატივის ფუნქციას უნდა ასრულებდეს:

მიჩჳ (←მიჩე+ი) „სადაც“, მაცნჳ (←მაცან+ი) „როდესაც“, მიჩრენჳ (← მიჩრენა+ი) „საიდანაც“.

ზომა-წონისა და ოდენობის ზმნიზედები

ამ რიგის ზმნიზედებია: ოჯუმფლე^{5} „იმდენი“, ზორეჲშ „მეტად“, ეშუშ „ნაკლებ“, წყე „ერთხელ“ (ერთგზის, ერთჯერ), ორჯერ „შაწ“, ჯოოწ „სამჯერ“, ფხაწ „ხუთჯერ“, ცჰჲაშინღ „ერთიორად“, ცჰჲაჯაეღ „ერთისამად“, კაძკაძიკ „ცოტ-ცოტა“, ვომა „სულ“, დენიც „სრულიად, სავსებით, მთლიანად“.

მიზეზის ზმნიზედები

ამ რიგის ზმნიზედები აღნიშნავენ იმ მიზეზს, რომლითაც გამოწვეულია ესა თუ ის მოქმედება, და მოგვიგებს კითხვაზე: ვუ^{5}? „რატომ?“ სტენდალლა? „რისთვის„? ასეთებია: ეჯუჲნდალლა „ამიტომ, ამის გამო“, იცხუჲნდალლა „მაგიტომ, მაგის გამო“, ოჯუჲნდალლა „იმიტომ, იმის გამო“.

აღნიშნული ზმნიზედები გამოხატავენ აგრეთვე მოქმედების მიზანსაც. მიზეზისა და მიზნის ზმნიზედები მომდინარეობენ ნაცვალსახელებისაგან — დალლა „გამო“ ელემენტის მიმატებით.

განუსაზღვრელობითი ზმნიზედები

მიჩახ „სადღაც“, მიჩიჰჲ „საითკენ“, მიჩახრენა „საიდანღაც“, მიჩმე „სადმე“, მაცნემე „როდისმე“.

უარყოფითი ზმნიზედები

ცომიჩჰჲე „არსად“, ცომიჩე „არსად“, ცომაცნე „არასდროს“, ცოსტენდალლა „არაფრისათვის“, მაცახ „ოდესღაც“, ცომიჩრენა „არსაიდან“.

ზმნისწინები და თანდებულები

ნოვა-თუშურ ენაში არსებობს ისეთი სიტყვები, რომლებიც სახელს ბოლოში დაერთვიან და მართავენ მას გარკვეულ ბრუნვაში, ხოლო იგივე სიტყვები ზმნას წინ დაერთვიან და გამოხატავენ მოქმედების მიმართულებას სივრცეში. სახელთან ასეთი ერთეულები თანდებულის ფუნქციას ასრულებენ და ამდენად ჩვენ მათ პირობითად ვუწოდებთ **თანდებულებს**. იგივე სიტყვები ზმნის ფუძეს წინ უძღვის და წინდებულებს ვუწოდებთ მათ. ოღონდ, განსხვავებით ქართულისაგან, ისინი დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ და გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობაც აქვთ შენარჩუნებული, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ.

ეს თანდებულებია: **მაქ** „ზედ". სახელს მართავს მიცემით ბრუნვაში. 1. **ხენმაქ ჰოაწუკ ჯედაღ** — „ხეზე ჩიტი ზის". **ჩაკუჲნმაქ ჯევაღეს** — „სკამზე ვზივარ". 2. **ბადერ ხენჲუხ დახენ** — „ბავშვი ხის ძირას მივიდა". 3. **ბაცბივ ლამუნჲუხე ნაჟტარ ჲილლენ** — „თუშებმა მთის ძირას ბინა დაიდეს". 4. **ტყუჲჰო** „უკან" — **წენინ ტყუჲჰო ჟე დაჟე** — „სახლის უკან ცხვარი ძოვს".

იგივე ერთეულები (**მაქ, ჲუხ, ტყუჲჰო**) ზმნასთან წინდებულების როლში გვევლინებიან, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი ლექსიკურ დამოუკიდებლობასაც ინარჩუნებენ და აქვთ ცალკე აღებულებს თავისი სემანტიკა. ამიტომ ჩვენ მათ ცალკე ვწერთ, განსხვავებით ქართულისაგან. **შეიძლება მათ ვუწოდოთ ცალკე მდგომი თანდებულებიც.**

მაგ. 1. **დავით მასთხუჲნ მაქ ვახენ** — **დავითი მტერს ზედ მივიდა.**

დოხტურ ლაწმრენ მაქ ჰოაჭენ — **ექიმმა ავადმყოფს ზედ შეხედა.**

2. **ტყუიჰ ჰოეჭურ — უკან იყურებოდა.**

როგორც აღვნიშნეთ, ზმნისწინებს ამჯერად ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ მათსა და შესაბამის ზმნებს შორის თავისუფლად შეიძლება ჩაისვას სხვა სიტყვა, რაც ზმნიზედების თავისთავადობის მაჩვენებელია. მაგალითად, **ქალიქ დაჰო ვახე**ნ — „ქალაქში წავიდა“. შდრ. **ქალიქ დაჰო მაცა**ნ **ვახე**ნ — „როდის წავიდა ქალაქში?“

„დაჰო“ ზმნისწინის შემდეგ ჩაჯდა სიტყვა **„მაცა**ნ**“** და ამით წინადადება გრამატიკულად არ დამახინჯებულა. ეს იმიტომ, რომ აღნიშნული ზმნისწინები კვლავ ინარჩუნებენ ზმნისართულ ფუნქციას, რომლისგანაც ისინი მომდინარეობენ.

კავშირი

როგორც ცნობილია, კავშირის ძირითადი ფუნქციაა, წინადადებაში ერთმანეთს დაუკავშიროს ორი სიტყვა ან ორი წინადადება. იმის მიხედვით, თუ როგორია კავშირი წინადადებებს შორის, გვაქვს **პარატაქსი** ანუ თანწყობა ორი წინადადებისა, ანდა **ჰიპოტაქსი** ანუ ქვეწყობა წინადადებებისა.

რიგ მთის კავკასიურ ენებში რთული ქვეწყობილი წინადადებები არ დასტურდება, შესაბამისად ამისა ასეთ ენებში არც არსებობს მაქვემდებარებელი კავშირები.

განსხვავებით მათგან, თანამედროვე წოვა-თუშურ ენაში არსებობს ჩამოყალიბებული რთული დამოუკიდებელი წინადადება და, ბუნებრივია, სათანადო რელატიური ნაცვალსახელებიც.[1]

თავისი ფუნქციითა და თავისი დისტრიბუციით განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს კავშირი **„ე“**, რომელიც, როგორც ირკვევა, უძველესი საერთო ელემენტია ნახური ენებისა.[2]

აღნიშნული კავშირი დაერთვის სახელებსაცა და ზმნებსაც. დაერთვის აგრეთვე კითხვით ნაცვალსახელებს, რის შედეგადაც იქმნება მიმართებითი (რელატიური) ნაცვალსახელები. ასევე **„ე“** ელემენტი დაერთვის ზმნისართებსაც, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

კავშირი **„ე“** აკავშირებს ერთმანეთს სახელსა და სახელს. მაგ.: **ილო-ე მიტო-ე შიკე ცჰჯალ ბაღო** „ილო და მიტო ორივე ერთად მოდის“. **ვუხ დეცნა? მეჭა-ე ნაჩხა-ე** „რა მოიტანე? პური და ყველი“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, კავშირი **„ე“** დაერთვის შესაერთებელ ორივე სიტყვას. ამიტომაა, რომ მას ქართულში ორი მნიშვნე-

1. დ. იმნაიშვილი, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ჩაჩნური ჯგუფის ენებში, იკე, II, გვ. 60. თბილისი, 1948.

2. რ. გაგუა. კავშირი ბაცბურ სახელთან და ზმნაში, იკე, XII, გვ. 331, თბ., 1960.

ლობა შეესაბამება — „ც“ ნაწილაკისა და „და“ კავშირისა. ზემოთ მოყვანილი მაგალითი **„მეჴა-ე ნაჩხა-ე“** ითარგმნება ორივენაირად: **„პური და ყველი“** ან **„პურიც, ყველიც“**.

კავშირი „ე“ ახლავს ზმნასაც. როგორც სახელს, ზმნაშიც ფუძეს ერთვის. თუ ზმნა აწმყოშია, მაშინ ის ადგილს იკავებს **ფუძის ბოლოს**, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ის ადგილს იკავებს მწკრივის ნიშნის წინ.

მაგალითად: **დადას ჟაგნრ ხეტჱო-ე-რ, ჴე ჩუაე ვიშურ** — მამა წიგნს კითხულობდა და მერე დაწვებოდა. და სხვ.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, **წოვა-თუშურ ენას, განსხვავებით რიგ კავკასიური ენებისაგან, გააჩნია ჩამოყალიბებული რთული ქვეწყობილი წინადადებები.** მათი სტრუქტურისა და შესაბამისი კავშირების ფუნქციების შესწავლა სინტაქსის პრობლემაა, ოღონდ ერთს კი აქვე აღვნიშნავთ, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში ძირითადად გამოყენებულია **რელატიური ნაცვალსახელები**, რომლებიც იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელებისაგან **„ე“** ელემენტის დართვით.[1]

ლე- „ან“ გამოხატავს წინადადებაში ორი სიტყვის განცალკევებას, შეცვლას. ის თავისი ფუნქციით შეესაბამება ქართულ მაცალკევებელ კავშირს **„ან“**-ს და **„თუ“**-ს: **ხიი დაჰჱოს ჰჱო ნ ლე მაჭარ?** - „წყალი მოგიტანო თუ ღვინო?“ **ქოთამი დჩევი ნ ლე ჩუჲხ?** — „ქათამი დაკლა თუ ბატკანი?“ **ლე** ჟაგნრ ლიბ სო ნ, ლე რვეულ — „ან წიგნი მომეცი ან რვეული“. მაგრამ: **ლე** ხი ცო დე'ე ნ სო ნ, ლე მაჭარ — „არც წყალი მომიტანა და არც ღვინო“.

აქ **ლე-ს** ქართულში შეესატყვისება უარყოფითი ნაწილაკი **„არც“**, თუმცა მისი ძირითადი მნიშვნელობა (წინადადებაში სიტყვათა განცალკავება) მაინც არ იცვლება.

ლე-ს სხვადასხვა წინადადებაში დაერთვის სხვადასხვა ნა-

---

1. დ. იმნაიშვილი. ჰიპოტაქსის საკითხისათვის ჩაჩნური ჯგუფის ენებში, იკე II, თბილისი, 1948, გვ. 55.

წილალკი, რომლებიც მას დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითად: ლეკ მიჩ ვაʁხნოლ? — „ნეტავ სად წავიდა?“

ანდა: ლე ჴორ ლიბათ, ლემა ატამ ლიბათ — „ან ვაშლი მიეცით, ანდა ატამი მიეცით“.

ლე᷄ე ქანიზ ʁაყათ, ლე᷄ე ჴორი დაყათ — „თუნდა ყურძენი ჭამეთ, თუნდა ვაშლები ჭამეთ“.

აღნიშნულ ფორმათა სტრუქტურულ-ფუნქციური შესწავლა საერთოდ კავშირების მონოგრაფიული დამუშავების ობიექტია, რაც მომავლის საქმედ რჩება.

მა კავშირი გამოხატავს ორი სიტყვის დაპირისპირებას, ორი მოქმედების დაპირისპირებას. წინადადებაში ის ახლავს მეორე დაპირისპირებულ სიტყვას, ისე როგორც ეს ქართულშია: **ნან ნანეშღარია ʁახენ, დად მა ჰʁულნოე ვახე — „დედა დეʁდაანთას წავიდა, მამა კი (მაგრამ) ტყეში წავიდა“. ას ჟაგნრ დიხრას ჰʁოხ, აჰʁ მა რვეულ დე᷄ნა სონ — „მე წიგნი გთხოვე, შენ კი (მაგრამ) რვეული მომიტანე“...**

ნან ბჰა ლივ ოჭუʁგ მა, ოჭუს ლარკ ცო ჯეფრ — „დედა ყოველთვის ეუბნება მას, მაგრამ ის ყურს არ უგდებს“ (წ.თ. ლექსიკ.).

ამ ბოლო წინადადებაში მა უდრის ქართულ მაგრამ-ს. ზოგ შემთხვევაში „მა“ ქართულ „კი“ კავშირს უფრო შეესაბამება, ვიდრე „მაგრამს“.

მე „რომ“: ნიკოს ალინ მე, ჭან ჰʁაშეღ ვეწეს ვახანენ — „ნიკომ თქვა, რომ ხვალე სტუმრად უნდა წავიდეო“.

ას მე ალირ ჰʁოგ, ვუნ ცო ხაწერ ჰʁონ — „მე რომ გითხარი შენ, რატომ არ გესმოდა“.

წოვა-თუშურ ენას გააჩნია მაქვემდებარებელი ანუ მიმართებითი კავშირებიც, რომლებიც იწარმოება კითხვით ნაცვალსახელებზე -ე-ს დართვით. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ელემენტს ქართულ ენაში შეესაბამება „და“ კავშირი

და „ც“ ნაწილაკი. კითხვით ნაცვალსახელებზე დართული ე იძენს ნაწილაკის ფუნქციას და ვიღებთ მიმართებით ნაცვალსახელებს: მე^{ნ} „ვინ“ → მენაე „ვინც“, ვუხ „რა“ → ვუხე „რაც“, მენუხ „რომელი“ → მენუხე „რომელიც“, მოლუ^{ნ} „როგორი“ → მოლუნე „როგორიც“, მიჩრე^{ნ} „სადაური“ → მიჩრენე „სადაურიც“.

ნაწილაკები

ნაწილაკი არის ენობრივი ერთეული, რომელიც ერთვის სრულმნიშვნელოვან სიტყვას და აძლევს მას განსხვავებულ სემანტიკურ ელფერს. ნაწილაკებს არა აქვთ დამოუკიდებელი რეალური მნიშვნელობა. ის ერთვის როგორც არსებით სახელს, ასევე ზმნას და ზოგ სხვა მეტყველების ნაწილებსაც. ამიტომ ნაწილაკის სემანტიკური მოცულობა მეტად ფართოა. ასეა ეს ნოვა-თუშურ ენაშიც. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია „ნაწილაკთა" მონოგრაფიული შესწავლა ნოვა-თუშურ ენაში. დღემდე არ არის ზუსტად დადგენილი ამ ენაში „ნაწილაკთა" ზუსტი რაოდენობა, მით უმეტეს მათი ფუნქციები ენაში. „ნაწილაკები" ენის განსაკუთრებული ტიპია. ისინი თავისი ენობრივი დანიშნულებით განეკუთვნებიან თანდებულთა და კავშირთა გრამატიკულ-სემანტიკურ წრეს.

ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენ მიერ გამოვლენილ ნაწილაკებს და მათ ფუნქციებს სიტყვის სემანტიკურ არეალში.

-ც ნაწილაკი გამოხატავს როგორც გაძლიერებით, ასევე დადასტურებით ფუნქციას. ის ერთვის როგორც სახელს, ასევე ზმნას:

ოჭუს მაჲჭ ჰჲალ ჲაყინ-ც, სტენგ ჯევაღეგ — „იმან პური ხომ უკვე ჭამა, რისთვისღა ზის".

ვანუჲ-ც ჰჲალრ ვახენრ ლოუმ — „ვანოც წასულა მთაში".

-გ//-გე: ეს ნაწილაკი გამოხატავს სხვადასხვა მნიშვნელობას კონტექსტის მიხედვით. ის დაერთვის სახელსაცა და ზმნასაც. უცვლის მათ მნიშვნელობას რაიმე მხრით:

ას ვანოხ ცო ხატჲინ-გ — „მე ვანოს აღარ ვკითხე".

ოთრეს ჟე ცუჲ ხარცო-გ — „ოთარი ცხვარს აღარ გაცვლის".

ხენე-გრ ვახენ — „ხესთან მივიდა“.
მიჩ ვახენ? „სად წავიდა?“ — მაჯოგ ვახენ — „პურზე წავიდა“.

კითხვითი ნაწილაკები

-ა: ეს ნაწილაკი განმეორებით კითხვას, ჩაკითხვას გამოხატავს. დაერთვის ზმნასაც და სახელსაც.

მიჩ ვახენ-ა? — „სად წავიდაა?“
ჴორ ჴალჲინ-ა? — „ვაშლი შეჭამაა?“
ვან ესე ვა-ა? — „ვანო აქ არისრ?“
მენ დეცენ? ბადერ-ა? — „ვინ მოვიდა? ბავშვი?“

-თურ: თავის მნიშვნელობით ეს ნაწილაკი ქართულ -განა ნაწილაკს ეთანადება. იხმარება კითხვით წინადადებაში.
თურ კაწკონ ვა? სტევ ვათხოვ? — განა პატარა არის? რა ატირებს?
ბადერ თურ სკოლი დახერ? — ბავშვი განა სკოლაში წავიდა?
-ხუმ (← ქართ. ხომ): მაჲჴ ხუმ ჲაყი? — „პური ხომ ჭამა?“
ას ხუმ ლევირ ჰჲოგ? — „მე ხომ გეუბნებოდი შენ?“

მიმართებითი ნაწილაკი

-ე//ი დაერთვის კითხვით ნაცვალსახელებს, ზმნიზედებს და გამოხატავს მიმართებას რაიმესთან.

მენხუჲჩოვა-ე-ალ̃ი᷆ — „რომელმაც თქვა.
სტევა-ე-თიტე᷆ ტარკ — „რითაც დაიჭრა თითი“.
მიჩჰჯ-ე-ვარიც — „სადაც იყო“

განუსაზღვრელობითი ნაწილაკები

მემლი — „ვინმე“. თხა მემლი ღო ქალიქ, ოჴუჲგ დაჰჯით წერილ — „დღეს ვინმე წავა ქალაქში, იმას გაატანე წერილი“.

ვუმ — „რამე“: ლომრე᷆ ვუმ და᾽ სო᷆, ვასე᷆ მა ვაღრ — „მთიდან რამე მომიტანე, ცარიელი ნუ ჩამოხვალ“.

მელ̃მი — „რამდენიმე“: თხა მელ̃მი სტაკ ღო ლოუმ — „დღეს რამდენიმე კაცი წავა მთაში“.

მოჰჯმი — „როგორმე“: ჴა᷆ მოჰჯმი დაჰჯევეწე ვახა᷆ ქალიქ — „ხვალე როგორმე უნდა წახვიდე ქალაქში“.

მიჩმე — „სადმე“: მიჩმე ხილ̃ რ ბადერ ლაჭყდალინრ, ჰჯალ ლახ! — „სადმე იქნება ბავშვი დამალული, მოძებნე“.

უკუთქმითი ნაწილაკები

ცო — „არ“: ჰჯაწუკ ცო დჩევი᷆ — „ჩიტი არ მოკლა“.

სოგო ჟაგნრ ცო და — „მე წიგნი არა მაქვს“.,

მა — „ნუ, არ“: თხა მატრ მა დაყო — „დღეს სადილი არა ჭამო“.

მა ვუჲტუ̆ —„ნუ მიდიხარ“.

ლე მა ღო, ლე მა მალ̃ რ — „ნურც წახვალ, ნურც დალევ“.

„-ადნ“ სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკი

ეს ნაწილაკი გამოხატავს თავისი ან სხვისი ნათქვამის უცვლელად გამეორებას. თავისი მნიშვნელობით უდრის ქართულ -მეთქი, -თქვა, -ო ნაწილაკებს.

ას ალირ ოჴუაგ ჟაგნრ ლოს ჰჲონ-ადნ — „მე ვუთხარი იმას, წიგნს მოგცემო-ო“.

ნანას ჴებლი[ნ] სოგრ, კაძკო მაიჴ ლიბათ თხონ-ადნ — „დედამ დამაბარა, პატარა პური მოგვეცით-ო“.

„ჰაც“ მიგებითი ნაწილაკი

ჰაც — „დიახ“, „ჰო“.

მაიჴ ჲაყინეჲშ? — „პური ჭამეთ?“

— ჰაც, ჲეყნათხ — დიახ, ვჭამეთ.

— ბადერ ესეჰჲი და? — „ბავშვი აქ არის“?

— ჰჲაც, ესე და — დიახ, აქ არის.

გაძლიერებითი ნაწილაკი (ი→ჲ)

— ბაზრე ვუხ იცნა? — ბაზარში რა იყიდე?— ბაზრე ქოთამა-ჲ იცნას, ჴორე-ჲ — ბაზარში ქათამიც ვიყიდე და ვაშლებიც.

— ჰჲე[ნ] ნან-დად ჩუჰჲი და? — შენი დედ-მამა შინ არიან?

— ნანა-ჲ ჩუჰჲ ჲა, დადა-ჲ ჩუჰჲ ვა. — დედაც სახლშია, მამაც.

ამავე მნიშვნელობით იხმარება **-ც** ნაწილაკი. ეს ნაწილაკი შესაძლებელია ქართულიდან იყოს ნასესხები. თუმცა ის გვხვდება ვაინახურ ენებშიც, რაც საკითხის განსხვავებული ახსნის საფუძველსაც იძლევა. მაგალითები:

ვაᲔᵑ ქოთამა-Ე დაჰᲰ დეᲔლნუᲔ-ც — „ჩვენი ქათამიც მომკვდარა“. სე ვაშენ ჟეაᲔ დალინე, დონეᲔ-ც ბოცბიᲔენ — „ჩემ ძმას ცხვარიც მისცეს და ცხენიც მოუყვანეს“.

ამ მაგალითებში წარმოდგენილია ორი ნაწილაკი, ერთი საკუთრივ ნოვა-თუშური **(ი→Ე)**, ხოლო მეორე **-ც**, რომლის გენეზისიც საკვლევია. მას ორი ფუნქცია აქვს, როგორც გაძლიერებითი, ასევე დადასტურებითი:

ოჭუს მაᲔჭ ჰᲰალ Ეაყინ-ც, მაცლომცინკ ჯევაღგელ — იმან ხომ პური უკვე ჭამა, ნეტა როდემდის ზის.

ვანუᲔ-ც ლოუმ ჰᲰალ ვახენრ — „ვანოც მთაში ასულა“.

„მაკ“ ნაწილაკი

ეს ნაწილაკი დაერთვის ზმნის ფუძეს და გამოხატავს მოქმედების შესრულების შეძლებას. ხოლო თუ ასეთ ზმნურ ფორმას წინ უძღვის უარყოფითობის **„ცო“** ნაწილაკი, მაშინ, პირიქით, ზმნა გამოხატავს მოქმედების შეუსრულებლობას:

— ე ჟაგნრ ჰᲰე დადენ დაჰᲰ-მაკი ჰᲰონ — „ამ წიგნს შესძლებ წაუღო მამაშენს“.

— მოჰᲰეც, დაჰᲰ-მაკ სონ — როგორ არა, შევძლებ წავუღო.

ანდა პირიქით: ცო, ცო დაჰᲰ-მაკ სონ — „არა, ვერ შევძლებ წაღებას“.

-მაკ ნაწილაკი დამოუკიდებლადაც იხმარება „შეძლების“

მნიშვნელობით: **სო⁵ მაკ ჰჲალრ მუშებადა⁵** — **„მე შემიძლია ვიმუშაო“.**

„მაკ“ როგორც ზმნა იულვლის კიდეც: **სო⁵-მაკ** — „მე შემიძლია“. **სო⁵-მაკერ „მე შემეძლო“, სო⁵-მაკრალრ** — „მე შემეძლო თურმე“.

„გარი“ ნაწილაკი

გარი „აბა“.
გარი ლარკ ჯოფ სოგრ — „აბა ყური დამიგდე“.
გარი, მიჩ ვუჲტა? — „აბა, სად მიდიხარ?“

„თუკლა“ ნაწილაკი

თუკლა „აკი“.
თუკლა დაჲლრას ოჯუჲნ ჟაგნრ — „აკი მივეცი მას წიგნი“.
თუკლა ვეწრა ვაცა⁵, ვუ⁵ ცო ვაღრა — „აკი უნდა მოსულიყავი, რატომ არ მოხვედი?“

„თუკლა“ დამოუკიდებლადაც იხმარება. არსებითად ზმნას წინ უძღვის: **თუკლა ხეტჲორ ჟაგნრ** — „აკი კითხულობდა წიგნს“.

„თურ“ ნაწილაკი

თურ „განა“.

ეს ნაწილაკი თავისი ფუნქციით უდრის ქართულ **„განა“** ნაწილაკს. ის წინ უძღვის როგორც ზმნას, ასევე სახელს.

მაგალითები:

— **ნანის ჟაგნრ თურ ხატʁ-ინ?** — „ნანიმ წიგნი განა წაიკითხა?“

— **სკოლი თურ გია ვახერ?** — „სკოლაში განა გია წავიდა?„

„ჰʁა“ ნაწილაკი

ჰʁა — „მაშ“. იხმარება ძირითადად კითხვითი ნაწილაკის წინ.

— **ჰʁა მიჩ ვახე?** — მაშ სად წავიდა?

— **ჰʁა ვუნ ლივრა, ვაღოსეʁნ?** — „მაშ რატომ ამბობდი, მოვალო?“

„ჰʁახკე“ ნაწილაკი („ეგების“)

ეს ნაწილაკი გამოხატავს მოქმედების ჩადენის შესაძლებლობას და ჩვეულებრივ ზმნას წინ უძღვის (ასევე სახელსაც).

მაგალითები:

დეხაე, ჰʁახკე ვეცჩე — „თხოვე და ეგების მოვიდეს“.

— **ჰʁახკე ჰʁალრ ხეʁტჩე ლაშას ჟაგნრ, არ** — „ეგების წაიკითხოს ლაშამ წიგნი, უთხარი“.

ვით, ჰʁახკე ცო ლეცეჰʁ — „გაუშვი, ეგების არ უნდა“.

„გერ“ ნაწილაკი („კინაღამ“)

ეს ნაწილაკი ძირითადად ზმნას ახლავს სხვადასხვა დროში და გამოხატავს მოქმედების გამეორებას, ან მოულოდნელობას.

— **ბადერ სკოლი ცუჲ დახენ-გერ?** — „ბავშვი სკოლაში აღარ წავიდა?“

— **ბადერ ხილრ თასლა-გერ** — „ბავშვი კინაღამ წყალში არ ჩავარდა?“

— **თხენ გაზან ბჭარნავ ჴალჲ-გერ** — ჩვენი თხა მგელმა კინაღამ არ შეჭამა.

„დაჩო“ ნაწილაკი („მხოლოდ“, „მარტო“, „სულ“)

— **ლაშას დაჩო მეჲჴ ჲაყორ, ჴეჩ სტემეხ ბაქ ცო ლეჰჲორ** — „ლაშა სულ (მარტო) პურს ჭამდა, სხვა რამეს პირს არ აკარებდა“.

— **ოჴუს დაჩო ჟაგნრ ხეტჲრ, ჴენა ცომ თეგოდრ** — „ის მარტო წიგნს კითხულობს, სხვას არაფერს არ აკეთებს“.

„ვეწ“ ნაწილაკი („უნდა“)

აჰჲ თხა ლოუმ ვეწე ვახან — „შენ დღეს მთაში უნდა წახვიდე“.

ბადრევ დენი ჴოწ მეჲჴ ჲეწ თაყან — „ბავშვმა დღეში სამჯერ პური უნდა ჭამოს“.

აჰჲ თხა ბაზირ ვეწე ვახა^{ნ}=შენ დღეს ბაზარში უნდა წახვიდე.

საგულისხმოა, რომ ეს ნაწილაკი დაირთავს კლასის ნიშნებს **(ვ-, ჲ-, ბ-, დ-)**. თავისი ფუნქციითა და დისტრიბუციით ეს ნაწილაკი ახლოს დგას ქართულ **„უნდა“** ნაწილაკთან.

„გი“ ნაწილაკი („ღა“)

გი „ღა“ ნაწილაკი დაერთვის ზმნას და გამოხატავს ქართული **„ღა“** ნაწილაკის ფუნქციას. ოღონდ ბოლო **-ი** ზმნას აძლევს შეკითხვის სემანტიკას:

სკოლი ღო-გი? — „სკოლაში წავაღა?“

მეჲჭ ჲაყ-გი-ა? — „პურს ჭამ-ღა?“

„კი“ ნაწილაკი

„კი“ დაერთვის სახელს და კითხვით შინაარსს აძლევს წინადადებას:

სე^{ნ} ნაყბისტ ფჰჲე-კი ვაჲხნოლ? — „ჩემი ამხანაგი ნეტავ სოფელში წავიდა?“

ჰჲე^{ნ} ნან მიჩა-კ ჲეხნოლ? — შენი დედა სად წავიდა ნეტავ?

როგორც ჩანს, **„კი“** შედგება ორი ელემენტისაგან: **კი←კ-ი.**

„ჭიკ“ ნაწილაკი

ეს ნაწილაკი თავისი მნიშვნელობით ახლოს დგას ქართულ ნაწილაკთან **„ხომ“**. ჩვეულებრივ ზმნას წინ უძღვის:

— **ნჰეც ჰʜაჭლეგანი, ვაʁⁿ დო⁵ ჭიკ ბეცნოლი** — „აბა გარეთ გაიხედე, ჩვენი ცხენი ხომ არ მოვიდა“.

— **ლაშას ჭიკ დაʁჰʜნოლი სკოლი?** — ლაშამ ხომ არ წაიღო სკოლაში?

„გელ“ ნაწილაკი

ეს ნაწილაკი ძირითადად სახელს დაერთვის და აძლევს მას რაიმის გამოცნობის ან ვარაუდის ელფერს:

— **მე⁵ გელ ვა ის?** — „ვინ უნდა იყოს ეგ?“

— **აჰʜ გელ ვუხ ელ̃რა სოგ, ცო დაკოდაგ სო⁶?** — „შენ რაღა მითხარი მე, აღარ მახსოვს მე“.

— **ფსარე თინ-გელგე ʁეცერ ვაʁჩუ?** — „გუშინ თინაც ხომ არ მოვიდა ჩვენსა?..“

საყურადღებოა, რომ ნაწილაკთა უმრავლესობა კითხვით წინადადებებში იჩენს თავს.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, წოვა-თუშურში ნაწილაკთა საკმაოდ დიდი რაოდენობა დასტურდება. ასეა ეს ვაინახურ ენებშიც (იხ. ფ.ოზდოევას სადოქტ. დისერტაცია „ნაწილაკები ნახურ ენებში“; გროზნო).

ამიტომ შესაძლებელია ჩვენ გამოსავლინებელი ნაწილაკები კიდევაც დაგვრჩა არსებული ტექსტების სიმცირის გამო.

განხილული ნაწილაკები ხასიათდება აგრეთვე პოლისემიითაც. ეს თავისებურება კი მათ მონოგრაფიულ შესწავლასა და დამუშავებას მოითხოვს, რაც მომავლის საქმეა.

წოვა-თუშური გვარების შესახებ

მეტად საინტერესო მასალას იძლევა გვარების წარმოება წოვა-თუშების ისტორიის სიღრმისეული შრეების გამოსავლენად. დღეს მეცნიერებაში ორი ერთმანეთის საპირისპირო თვალსაზრისია წამოყენებული ამ ტომის წარმომავლობის შესახებ. ერთის მიხედვით ის მიგრირებულია ჩრდილოეთიდან საქართველოში, ხოლო მეორე თვალსაზრისის მიხედვით კი **ისინი აქ აბორიგენები არიან და ნახურ ენობრივ სამყაროსთან შერეული ქართული ეთნიკური ერთეულია.**

ამ მხრივ საგულისხმო მასალას იძლევა გვარების წარმოების სტრუქტურა. ეს საკითხი ცალკე მასშტაბური კვლევის ობიექტია. აქ ჩვენ მას შევეხებით მხოლოდ **საკითხის დასმის წესით და წარმოვადგენთ წინასწარ შენიშვნებს.**

როგორც ცნობილია, წოვა-თუშები **იდეალური ანუ ადეკვატური ბილინგვები არიან.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი თანაბრად ფლობენ როგორც ქართულს, ასევე წოვა-თუშურს. მეტყველების პროცესში ბუნებრივად გადაირთვებიან ერთი ენობრივი სისტემიდან მეორე ენობრივ სისტემაში, ისე, რომ ამ გადასვლას ვერც კი გრძნობენ. ეს კი არ უნდა იყოს შემთხვევითი. აქედან გამომდინარე, გვარებიც სტრუქტურის მიხედვით ორ ტიპად იყოფა: **ქართული და წოვა-თუშური ტიპისა.**

ქართული გვარები ძირითადად ბოლოვდება **ძე**-ზე და **შვილ**-ზე, ხოლო შესაბამისი გვარები წოვა-თუშურ ენაზე წარმოების მხრივ ასევე იყოფა ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი იწარმოება **-ღარ** ელემენტის დართვით, მეორე კი **-ურ** ელემენტს დაირთავს. ამ მეორე ჯგუფის გვარებს ბოლოში დაერთვის კიდევ **-ი** სუფიქსი, რომელიც მრავლობითობას გამოხატავს.

ქვემოთ წარმოვადგენთ ქართულად გაფორმებულ გვარებს და მის გასწვრივ იგივე გვარებს წოვა-თუშურ ენაზე, რაც დაკვირვების საინტერესო სურათს იძლევა:

	ქართული	წოვა-თუშური
1.	აფშინაშვილი	აჲფშნა-ღარ
2.	ქავთარიშვილი	ქოვთარ-ღარ
3.	ჭრელაშვილი	ჭრელა-ღარ
4.	ორბეთიშვილი	ორბეთ-ღარ
5.	ჯამარიშვილი	ჯამარ-ღარ
6.	შავხელიშვილი	შოვხელ-ღარ
7.	შველაშვილი	შველა-ღარ
8.	ჯიმშერიშვილი	ჯიმშერ-ღარ
9.	ბეროშვილი	ბერ-ღარ
10.	თორღოშვილი	თორა-ღარ
11.	ჭარელიშვილი	ჭარლო-ღარ

-ღარ ელემენტის სემანტიკა ამჟამად მიჩქმალულია. ცხადია, რომ ისტორიულად მას რაღაც მნიშვნელობა ჰქონდა. შესაძლებელია ის **კრებითობასაც** გამოხატავდეს, რადგანაც ამ სუფიქსით ნაწარმოები გვარი მრავლობითობის შინაარსისაა. რომელიმე გვარი, მაგალითად, **ბერ-ღარ** მოიცავს მთელ **ბეროიანებს**. არ არსებობს გვარი წოვა-თუშურ ენაზე, რომელიც მხოლოდ **ერთ პიროვნებას აღნიშნავდეს**. ის გადმოგვცემს მთელ საგვარეულოს შემადგენლობას. ამ ფაქტის ახსნა, ალბათ, უფრო **ეთნოლოგების ამოცანაა**. ამჯერად ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ აქ თემური ცხოვრების ეპოქის ასახვასთან ხომ არა გვაქვს საქმე, როცა ერთი შტოს ჩამომავლები ერთად ცხოვრობდნენ მრავალწევრიან ოჯახად.

ეს მხოლოდ საკითხის დასმის წესით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ უდიურ ენაზე **ღარ** აღნიშნავს: „ვაჟი, ვაჟიშვილი, ბიჭი" (ევგ. ჯეირანიშვილი).

მეორე ჯგუფის გვარები წოვა-თუშურ ენაში იწარმოება -ურ//-რ(←ურ) ელემენტის დართვით. ასეთი გვარებია:

	ქართული	წოვა-თუშური
1.	მეოტიშვილი	მევტ-ურ-ი
2.	მჭედლიშვილი	ჭედლ-ურ-ი
3.	ბელადიშვილი	ბელდ-ურ-ი
4.	სულხანიშვილი	სულხნ-ურ-ი
5.	შალაფიშვილი	შალფ-ურ-ი
6.	ქადაგიძე	ქადგ-ურ-ი
7.	შაკაშვილი	შაკ-რ-ი
8.	დინგაშვილი	დინგ-რ-ი
9.	ბართიშვილი	ბაჲრთ-ლ-ი
10.	პაპაშვილი	პაპ-რ-ი
11.	შანშაშვილი	შანშ-რ-ი
12.	ბღუჯოშვილი	ბღუჯ-რ-ი
13.	თურქოშვილი	თურქ-ლ-ი
14.	მაჩაბლიშვილი	მაჲჩ-რ-ი
15.	წოტოიძე	წოტ-რ-ი
16.	დაქიშვილი	დაქ-რ-ი
17.	ლაგაზიძე	ლაგზ-ურ-ი...

ამ რიგის გვარებიც თავისი შინაარსით მრავლობითობას გამოხატავს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წოვა-თუშურ ენაზე **მხოლობითის შინაარსით არ არსებობს არც ერთი გვარი.**

ამ მეორე რიგის გვარებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **-ურ//-რ(←ურ)** დაბოლოება.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ელემენტი იდენტურია ქარ-

თველ მთიელთა გვარების დაბოლოებისა. მაგალითად: **გოგოლა-ურ-ი, ვეშაგ-ურ-ი, არაბ-ულ-ი, ჭინჭარა-ულ-ი, წიკლა-ურ-ი** და სხვ.

ზოგ გვარში **-ულ** რომაა წარმოდგენილი, ის დისიმილაციის გზით არის მიღებული: **-ულ←ურ**.

ეს **-ურ** ელემენტი ბარის კილოებშიც გვხვდება. გამოხატავს წარმომავლობას. მაგალითად: **კახ-ურ-ი, თუშ-ურ-ი, სვან-ურ-ი, ფშავ-ურ-ი** და სხვ. ამავე მნიშვნელობით **-ურ** ელემენტი დასტურდება ჭანურსა და ძეგრულში: **სენაკ-ურ-ი** „სენაკელი", **ბანძ-ურ-ი** „ბანძელი" და სხვ. (აკ. შანიძე).

ამავე ფუნქციით მრავლობითში გვხვდება **-არ**. მაგალითები: **ბანძ-არ-ეფ-ი** „ბანძელები", **სენაკ-არ-ეფ-ი** „სენაკელები" (აკ. შანიძე).

ძვ. ქართულში მეგრულ-ჭანურის მსგავსად სადაურობის მაწარმოებლად დასტურდება **-არ** ელემენტი: **ოპიზ-არ-ი** „ოპიზელი", **ოლთის-არ-ი** „ოლთისელი", **სომხით-არ-ი** „სომხითელი" (აკ. შანიძე).

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ნახურ ენებშიც სადაურობის მაწარმოებლად გვხვდება **-რ(ე), -რ(ა)** ელემენტები.

წოვა-თუშურში: **მიჩ-რე ვა ე სტაკ**? — „სადაურია ეს კაცი?" **ლომ-რე ვა ე სტაკ** — „მთიელია ეს კაცი". ქისტურში: **ლამა-რა ვუ** „მთიელია". **უჯაზა-რა** „აქაური"...

ჩვენ ეს ზემოთ მოყვანილი მაგალითები იმისთვის დაგვჭირდა, რომ ფუნქციური პარალელი გაგვევლო გვარებში დადასტურებულ **-ურ//-ულ** ელემენტთან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ისმის კითხვა — ხომ არ გამოხატავს გვარების დაბოლოება **(-ურ//-ულ)** წოვა-თუშურშიც სადაურობას, წარმომავლობას?

გარდა აღნიშნულისა, ეს ფაქტი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ამჯერად ის შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც **ტიპოლოგიური იზომორფიზმი**.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ წოვა-თუშები შესაძლებელია იყვნენ **ნახურ ენობრივ სამყაროსთან შერეული ქართული ეთნიკური ტომი**. თუ ეს ასეა, მაშინ წარმოდგენილი ტიპოლოგიური იზომორფიზმები უნდა მივიჩნიოთ **ქართული ენის სუბსტრატად წოვა-თუშურ ენაში**.

ამ თვალსაზრისს ამაგრებს ის გარემოებაც, რომ წოვა-თუშები თავიანთი ეროვნული შეგნებით, კულტურით, ფსიქიკით და ანთროპოლოგიურადაც ქართულ სამყაროსთან ავლენენ ორგანულ კავშირს.

ეს ფაქტი კარგადაა ცნობილი ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ წოვა-თუშები თავიანთ თავს **ქართველებად მიიჩნევენ** და ერთგულად ემსახურებიან საუკუნეთა განმავლობაში ქართულ ეროვნულ ინტერესებს. ქართულ სულიერ კულტურასთან მათი გენეტური კავშირი იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენს მთიელებს შორის ყველაზე ადრე ისინი ეზიარნენ განათლებას და XIX საუკუნეში მათ უკვე ჰყავდათ ინტელიგენცია, რომელიც კულტურის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობდა.

მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზის პრინციპების საკითხისათვის*

(წინასწარი შენიშვნები)

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს", წერდა გრ. ორბელიანი. ამ სადა პოეტური ფრაზით მან გამოხატა უდიდესი ჭეშმარიტება: ენა და ერი ერთი მთლიანობაა. ერთის არსებობა მეორეს გულისხმობს. ყოველი ადამიანი თავისი სულით, გონით, კულტურით, შეგნებით, ფსიქიკით და ყოველდღიური ცხოვრებით თავის მშობლიურ ენასთან ორგანულად არის შერწყმული. შესანიშნავად წერს XIX საუკუნის პირველი ნახევრის უდიდესი ენათმეცნიერი ვ. ჰუმბოლდტი: „ხალხის გონი არის ხალხის ენა და ხალხის ენა არის ხალხის გონი. ძნელია ამაზე უფრო იგივეობრივი რამ წარმოიდგინოს კაცმა".

მშობლიურ ენასთან ყველაზე მეტად დაკავშირებული არიან მწერალი და ენათმეცნიერი, რომლებისთვისაც ენა, აზროვნებისა და ურთიერთობის საშუალების გარდა, სამუშაო იარაღი და კვლევის ობიექტიც არის. მწერალი და ენათმეცნიერი — ორივენი სალიტერატურო ენის დაცვისა და განვითარებისათვის იღვწიან, ორივენი ამ ფრიად კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან. ოღონდ ამ მიმართულებით მათი მოღვაწეობის გზები განსხვავებულია. ენათმეცნიერი იკვლევს ენაში ობიექტურად მოქმედ სინქრონიულ და დიაქრონიულ კანონებს, ესაა მისი ძირითადი ამოცანა. მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზისას მეცნიერი ემყარება ენის განვითარების კანონებს.

---

* დაიბეჭდა წერილების კრებულში „ქართული ენა", თბილისი — 1984.

განსხვავებით ენათმეცნიერისაგან, მწერალი მხატვრული ტექსტის შექმნისას ქვეცნობიერად ემყარება თავის ენობრივ ალღოს, ენობრივ გრძნობას და ენის ემოციურ-ექსპრესიულ ფუნქციას.

„არავინ ისე ღრმად არ გრძნობს ენის უხილავ წყაროსთვალში დაბუდებულ რიტმებსა და ფარულ აზრობრივ პოტენციას, როგორც შემოქმედის გუმანი" (თ. ჩხენკელი). ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწერლის ენობრივი ალღო, რომელიც მის შემოქმედებით სულთან არის შერწყმული, გარდა მოქმედი, ცოცხალი ენობრივი სისტემისა, ქვეცნობიერად სწვდება აგრეთვე ენის პოტენციურად შესაძლებელ ფორმებსაც, რომლებიც ენის განვითარების მოცემულ ეტაპზე არ ფუნქციონირებენ, მაგრამ საჭიროებისდა მიხედვით შეიძლება მათი გამოვლენა და გამოყენება. **ეს პოტენციური შესაძლებლობანი არის ენის განვითარების უშრეტი წყარო.**

რამდენადაც მწერალი ახალი ფორმების შემოტანისას არსებითად თავის ენობრივ ალღოს, გუმანს ემყარება, ამდენად ის ამავე დროს არ არის დაზღვეული ისეთი სუბიექტური ლაფსუსებისაგანაც, რომელთაც საერთო არაფერი აქვს ენის შინაგანი განვითარების იმანენტურ კანონებთან, ენის გრამატიკულ მოდელთან.

აი, აქ დგება ერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე საკითხი, რომლის ნაწილობრივ გარკვევასაც ისახავს მიზნად წარმოდგენილი სტატია: მხედველობაში გვაქვს ენათმეცნიერის პოზიციისა და მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩვენება, რომელსაც უნდა ემყარებოდეს ის მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზის პრინციპების ძიებისას, რის გარეშეც შეუძლებელია მწერლის ენის ლინგვისტური ანალიზი და ინტერპრეტაცია.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავმიჯნოთ ერთმანეთისა-

გან ცნებები: სალიტერატურო ენა და მხატვრულ ნაწარმოებთა ენა, პირველი უფრო ფართო ცნებაა და თავის თავში მოიცავს მეორესაც: „სალიტერატურო ენა ამ სიტყვის ფართო გაგებით — ესაა არა მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებთა ენა. სალიტერატურო ენაა ის ენაც, რომელზედაც იწერება სამეცნიერო გამოკვლევები, პოლიტიკური ტრაქტატები, სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების ენაც, ერთი სიტყვით, სალიტერატურო ენა ფართო გაგებით — წიგნის ენაა, სამწერლო ენაა“ (არნ. ჩიქობავა).

სალიტერატურო ენის ყველაზე არსებითი ნიშანი ის არის, რომ იგი ნორმირებულია, კოდიფიცირებულია.

ნორმა არის გარკვეულ ენობრივ კოლექტივში გამომუშავებული ენობრივი ჩვევები და წესები. სალიტერატურო ენის ნორმებს ქმნიან დიდი მწერლები, სანამ ამ ენის გრამატიკები შეიქმნებოდეს. მაგალითად, ესპანეთში სერვანტესის ენა იყო ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ეწერათ ესპანურად, ხოლო როცა დაარსდა ესპანეთის აკადემია (1713 წ.), დაიწყეს ესპანური ლიტერატურული ენის ნორმალიზაცია, ლექსიკონებისა და გრამატიკების შედგენა.

ასევე შექსპირმაც, მაგალითად, გაუსწრო თავისი დროის ენისა და სტილის თეორეტიკოსებს. ამდენად „ენის ამა თუ იმ გზით ორიენტაცია დიდი მესიტყვეების საქმეა“ (თ. ჩხენკელი).

ორიოდე სიტყვა მხატვრული ენის სტილის ლინგვისტური ანალიზის შესახებ: მხატვრული ენის სტილისტური ანალიზი ორი მეცნიერების — ლიტმცოდნეობისა და ლინგვისტიკის — მიჯნაზე დგას. დღესაც ჭირს სტილის ლინგვისტური და ლიტმცოდნეობის ასპექტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ცნობილმა ენათმეცნიერმა და ლიტერატურათმცოდნეობის ავტორიტეტმა ვ. ჟირმუნსკიმ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ამ საკითხს („პოეტიკის ამოცანები“, „ლიტერატურის თეორი

საკითხები"). ეს პრობლემა დღესაც საბოლოოდ გადაჭრილი არ არის. „სად მთავრდება ლიტერატურათმცოდნეობითი შესწავლა მწერლის სტილისა და სად იწყება მისი ლინგვისტური ინტერპრეტაცია — ეს არავინ იცის" (რ. ბუდაგოვი, ენა, ისტორია და თანამედროვეობა, მოსკოვი, 1971, გვ. 215).

სალიტერატურო ენის ლინგვისტური ანალიზის პრინციპები უნდა დადგინდეს ენის სისტემურობის ცნებიდან ამოსვლით.

რა არის სისტემა?

სისტემა არის ერთგვაროვან ელემენტთა მოწესრიგებული ერთიანობა, სადაც ყოველი ელემენტის არსი, ფუნქცია განისაზღვრება, კვალიფიცირდება იმავე დონის სხვა ელემენტებთან მიმართებაში, მათთან კავშირში. ენა სისტემაა, რთული სისტემა. ის შედგება ქვესისტემებისაგან. მაშასადამე, ენა არის სისტემათა სისტემა. ქვესისტემებში იგულისხმება ფონოლოგიური სისტემა, მორფოლოგიური სისტემა, ლექსიკური სისტემა და სინტაქსური სისტემა.

ქვესისტემებში თავის მხრივ შეიძლება გამოიყოს ფრაგმენტული სისტემები ან სისტემის ფრაგმენტები. მაგალითად, ფონოლოგიის დონეზე — სამეულთა სისტემა, ვოკალთა სისტემა... მორფოლოგიის დონეზე — გრამატიკული კატეგორიების პარადიგმები (ბრუნების პარადიგმა, რიცხვის კატეგორიის პარადიგმა, პირის კატეგორიის პარადიგმა...).

ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით გავამახვილოთ გრამატიკული კატეგორიის პარადიგმაზე შემადგენელ კომპონენტთა რაოდენობის თვალსაზრისით. ამის გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. კომპონენტთა რაოდენობის მიხედვით გრამატიკული კატეგორიები განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

მაგალითად, ქართულში ბრუნების კატეგორიის პარადიგმა შვიდკომპონენტიანია, რიცხვისა — ორკომპონენტიანი.

ზმნის რიცხვის გრამატიკული კატეგორიის პარადიგმა ორკომპონენტიანია, ხოლო პირისა — სამკომპონენტიანია (თუ მრავლობითის ფორმებსაც გავითვალისწინებთ — ექვს კომპონენტს მივიღებთ).

პარადიგმის ცნების შემოტანას არსებითი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ენის ლინგვისტური ანალიზის დროს, რადგანაც პარადიგმაში ნათლად ჩანს ენის სისტემურობის ბუნება და ჩვენი **საყრდენი პოსტულატი** კი მწერლის ენის ენათმეცნიერული პოზიციებიდან განხილვისას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის **ენა — სისტემა.**

პარადიგმა, როგორც წესი, უმრავლეს შემთხვევაში სრულია, ე.ი. გრამატიკული კატეგორიის პარადიგმაში ყველა შესაძლებელი კომპონენტი წარმოდგენილია (ვგულისხმობთ, მაგალითად, ისეთი ზმნების პარადიგმას, სადაც სამივე პირია წარმოდგენილი), იშვიათად ენაში გვხვდება არასრული პარადიგმებიც, სადაც თეორიულად შესაძლებელი ყველა სიტყვაფორმა რეალიზებული არ არის; ამის მაგალითია პირნაკლი ზმნები.

ჩვენ გვინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ ამ არასრული პარადიგმების ცნებაზე, რადგანაც მისი გაუთვალისწინებლობა მწერლის ენის თავისებურებათა კვალიფიკაციის დროს ენათმეცნიერს შეცდომამდე მიიყვანს.

ახლა დავუბრუნდეთ ქვესისტემის ცნებას. როგორც აღვნიშნეთ, ენის გლობალური სისტემა რთული იერარქიული ცნებაა, რომელიც თავისთავში შეიცავს ქვესისტემებს, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ იყოფა ფრაგმენტულ სისტემებად. როდესაც ჩვენ სისტემაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს **კონკრეტული ენის რეალური სისტემა,** რომელიც ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ფუნქცირებს. ამას ვუწოდოთ **კონკრეტული სისტემა.**

კონკრეტული სისტემის ცნების გვერდით შემოგვაქვს მეორე ცნება — **ბაზისური სისტემა**. ეს ორი ცნება დიალექტიკურ ერთიანობაშია — პირველი გულისხმობს მეორეს, ხოლო მეორე — პირველს. მათ შორის სხვაობა ხელშესახებია. **ბაზისური სისტემა** შედარებით უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს თეორიულად შესაძლებელ ყველა ენობრივ ფორმას. **მასში იგულისხმება ისეთი ფორმებიც, რომლებიც ენის განვითარების მოცემულ ეტაპზე არ ფუნქცირებენ, მაგრამ თეორიულად მათი არსებობა სავსებით დასაშვებია და ლოგიკური.**

მაშასადამე, **ბაზისური სისტემა ენის იმანენტური განვითარების პოტენცია გახლავთ, ენის ცვალებადობის მამოძრავებელი ძალაა.**

ხოლო ენის კონკრეტული სისტემა, განსხვავებით ბაზისური სისტემისაგან, მოიცავს მხოლოდ იმ ენობრივ ელემენტებს, რომლებიც ენის განვითარების მოცემულ ქრონოლოგიურ ეტაპზე ფუნქცირებენ. ამიტომ ბუნებრივია, თუ ენის კონკრეტული სისტემა უფრო ვიწრო ცნება იქნება ბაზისური სისტემის ცნებასთან შედარებით.

როგორც აღვნიშნეთ, ენის კონკრეტულ სისტემაში არ შედის თეორიულად შესაძლებელი ყველა ენობრივი ფორმა. ამის შედეგად კი სისტემის მოდელში ჩნდება ე.წ. **„ცარიელი უჯრები“**; ენის შინაგანი განვითარების ტენდენცია მიმართულია ამ „ცარიელი უჯრების“ შევსებისაკენ, თუმცა არ არის გამორიცხული უკუპროცესიც (შდრ. ჭ-ს დაკარგვის ფაქტი ქართული სალიტერატურო ენის ფონოლოგიურ სისტემაში).

იმის გამო, რომ **ბაზისურ სისტემაში** თეორიულად დასაშვები ენობრივი ელემენტები მაქსიმალურად წარმოდგენილია, **ბუნებრივია, ის** სიმეტრიული სისტემა იქნება, ხოლო **კონკრეტული სისტემა — ასიმეტრიული**, რადგანაც მასში, როგორც აღვნიშნეთ, **„ცარიელი უჯრები“** გვხვდება. ეს ორი სისტემა

მჭიდრო შინაგან კავშირშია ერთმანეთთან. **ბაზისური სისტემა არის კონკრეტული სისტემის განვითარების წყარო**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული სისტემის ყოველი ახალი ენობრივი მოვლენა „სანქცირებული" უნდა იქნეს ბაზისური სისტემის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უდღეური აღმოჩნდება, ფეხს ვერ მოიკიდებს სამწერლო ენაში.

ჩვენი აზრით, **ამ ორი სისტემის — ბაზისურისა და კონკრეტულის — ერთიანობას უნდა ემყარებოდეს მხატვრული ტექსტის ენის ლინგვისტური ანალიზის პრინციპები**. მეთოდოლოგიურად ეს იქნება მხოლოდ ერთადერთი სწორი გზა, თუ გვინდა ლინგვისტურ პოზიციებზე დავრჩეთ.

ის, რაც ენის სისტემით იქნება განპირობებული, სალიტერატურო ენის ნორმის კუთვნილებად იქცევა, ხოლო ის, რაც სისტემაში ვერ ჩაჯდება, სალიტერატურო ენის ნორმის კუთვნილებად ვერ იქცევა.

თუ სალიტერატურო ენის ნორმები ექვემდებარება სისტემის ცნებას, მაშინ გამოდის, რომ მწერალიც უნდა ფლობდეს ენის სისტემის შინაგანი განვითარების კანონებს, რათა სისტემასთან შეუსაბამო ენობრივი ფორმები არ იხმაროს.

არა! საქმე ისაა, რომ, მწერალს, მართალია, ენის სისტემის შესახებ არა აქვს მეცნიერული ცოდნა, მაგრამ, სამაგიეროდ ის მას გრძნობს **ქვეცნობიერად, მხატვრული ალღოთი, ინტუიციით**; „ნიჭითცხებული მწერლისა და პოეტის ორიენტაცია ენობრივ სფეროში ღრმა ეროვნულ გუმანსა და ინტუიციას ეფუძნება, რის გამოც მისი არჩევანი გამართლებულია" (თ. ჩხენკელი). ეს ეროვნული გუმანი და ინტუიცია ქვეცნობიერად ბაზისურ სისტემას ემყარება, მისით საზრდოობს მწერლის ენა.

ამიტომ ლინგვისტმა მწერლის ენიდან უნდა ამოკრიბოს ინოვაციები და ბაზისურ სისტემაში მონახოს, მოძებნოს ისინი.

თუ ბაზისური სისტემით ეს ახალი სიტყვაფორმა „გათვალისწინებულია", ე.ი. მოერგო ამ სისტემას, მაშინ ეს ფორმები უნდა მივიჩნიოთ მართებულად, ენის ბუნებიდან გამომდინარედ. „ყოველი სიახლე, რომელიც გამომდინარეობს ენის შინაგანი განვითარების ტენდენციიდან, შეესაბამება მის სტრუქტურას, არ შეიძლება ჩაითვალოს „არასწორად" (ვ. ვინოგრადოვი).

მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლიტერატურული ენა კონსერვატიულია და, ამის გამო იქმნება კონფლიქტი გრამატიკულ წესებსა და ისეთ ახალ ენობრივ მოვლენებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სალიტერატურო ენაში დაკანონებული, მაგრამ ლიტერატურული მეტყველების პრაქტიკაში საკმაოდ ფეხგადგმულია (მაგ.: ვითარებითი ბრუნვის ფორმა — ად → ათ).

როცა ასეთ ფორმასთან დაკავშირებით მწერალს მიუთითებენ მის არაგრამატიკულობაზე, არალიტერატურულობაზე, ეს მასში მხოლოდ გაუგებრობასა და გაოცებას იწვევს.

ვფიქრობთ, ენათმეცნიერსა და მწერალს შორის ამგვარ „გაუგებრობას" და „გაოცებას" ადგილი არ ექნება, თუ ენის მკვლევარი მხატვრული ტექსტის ენას მიუდგება საღი, ლინგვისტური პოზიციებიდან, ენის სისტემურობის პოზიციიდან. ამის გარეშე ტექსტის ენობრივი (გრამატიკული) ანალიზი იქნება ფაქტების რეგისტრაცია ან ყალბი ინტერპრეტაცია, ფაქტების რეგისტრაცია კი მეცნიერება არ არის.

ახლა მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ ზემოთ მოცემული თეორიული პრინციპები პრაქტიკულ კვლევაძიებაში.

ავიღოთ ქართული ენის პირნაკლი ზმნები. მაგალითად, **„დაღამდა"**. ამ ზმნის პირის კატეგორიის პარადიგმა თანამედროვე ქართულ ენაში ერთწევრიანია, ნაცვლად ექვსწევრიანისა (მხოლ. და მრავლ.).

მხ. რ.	I ———	მრ. რ.	I ———
	II ———		II ———
	III დაღამდა		III ———
შდრ.	I წავედი		I წავედით
	II წახვედი		II წახვედით
	III წავიდა		III წავიდნენ

ქართული ენის მოქმედ კონკრეტულ სისტემაში „დაღამდა" ზმნას პირის მიხედვით ოპოზიციური მეწყვილე არ გააჩნია. მაგრამ **ბაზისური სისტემის მიხედვით** კი მას გააჩნია პირველი პირისა და მეორე პირის ფორმები, როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითშიც. აი, **ეს ფორმები იგულისხმება ენის პოტენციურ შესაძლებლობად**. ბაზისურ სისტემაში აღნიშნული ზმნა ასეთ პარადიგმას გვიჩვენებს:

I დავღამდი	დავღამდით
II დაღამდი	დაღამდით
III დაღამდა	დაღამდნენ

ასე რომ, ამ ზმნას მარაგში აქვს კიდევ ხუთი ფორმა, რომლებიც ამჟამად არ ფუნქცირებენ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ისინი ამოტივტივდებიან და ჩადგებიან თანამედროვე ქართული ენის სამსახურში, როგორც მოქმედი სისტემის სრულუფლებიანი წევრები.

მწერალი ბაზისურ სისტემას არ იცნობს და არც ილუსტრირებულ ზმნურ ფორმებს, როგორც ამ სისტემის წევრებს, მაგრამ ის მათ არსებობას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავისი საოცარი ენობრივი ალღოთი, ინტუიციით, გუმანით გრძნობს, ამიტომ, როგორც კი დასჭირდება მას ხატოვანი ასახვა სათანადო ემოციისა, გრძნობისა პირველი ან მეორე პირის მიმართ, მაშინ ის თავისი ენობრივი გუმანის ძალით აღნიშნულ ფორ-

მებს გამოიყენებს. ასეც მოიქცა ჩვენი დიდებული პოეტი დავით გურამიშვილი:

„ბნელში მგდებარე გამოველ გარე,
ვითა **დავღამდი**, ისე **გავსთენდი**"
(თხზ. სრ. კრებ. 1980, გვ. 151).

ასევე მოიქცა ახალგაზრდა პოეტი გ. არძენაძე:

„ვსუნთქავ შენი
მთა-ხევებით,
ვცოცხლობ შენზე გალობითა,
თუ **დავღამდი, გავთენდები**
შენი მზით და წყალობითა"
(„სოფლის ცხოვრება", 1981, 25.I).

ორიენტაციის გრამატიკული კატეგორიის არასრული პარადიგმა აქვს თანამედროვე ქართულ ენაში ზმნებს: **„წაიღო", „მოიტანა"**. უნდა გვქონოდა ოპოზიციური წყვილები: წაიღო — მოიღო, წაიტანა — მოიტანა. გვაქვს კი ნაკლული პარადიგმები: წაიღო — 0; 0 — მოიტანა. ბაზისური სისტემით კი ეს ორივე პარადიგმა სრულია: წაიღო — მოიღო; წაიტანა — მოიტანა.

ეს პოზიციური წყვილები რომ ქართული ენის ბუნებას, მის სტრუქტურას შეესაბამება, დასტურდება თუშური დიალექტის მონაცემებიდანაც, სადაც მოსალოდნელი წყვილები აღნიშნული ზმნებისა, ცოცხალია და ფუნქციურებენ: წიყიღო — მოიღო, წიყიტან — მოიტან.

ერთი მაგალითიც არსებითი სახელებიდან. საერთოდ ქართული ენის სახელთა გრამატიკული სტრუქტურა მარტივია და გამჭვირვალე. გააჩნია ორი მორფოლოგიური კატეგორია — რიცხვისა და ბრუნებისა. ბრუნებაც მარტივია შედარებით სხვა კავკასიურ ენებთან, მაგრამ გამონაკლისები აქაც გვხვდება, არის ისეთი არსებითი სახელები, რომელთაც მრავ-

ლობითის ფორმები არ მოეპოვებათ. სახელთა ამ ჯგუფს განეკუთვნება „ბინდი“, „სიცილი“ და სხვ. ესენი თანამედროვე ქართულში მხოლოდ მხოლობითის ფორმებით ფუნქცირებენ. ისე რომ მათი რიცხვის კატეგორიის **პარადიგმა ნაკლულია, ერთწევრიანია.** ეს არის თანამედროვე ქართული ენის ლიტერატურული ნორმა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ორი დიდი პოეტის პოეზიაში ვხვდებით ასეთ სტრიქონებს:

„მგლოვიარე **ბინდებით**
იბურება ყვარელი,
ვაზით და სიმინდებით
მიდის გზა საყვარელი“ (გალაკტიონი, რჩ. 1979, გვ. 194)

„... პუშკინს არ უნახავს ამდენი **სიცილები,**
თუმც ბევრი უმასხრია,
ნახვაზეც უზრუნია“
(მ. მაჭავარიანი, ერთტომეული, 1979, გვ. 27).

ანალოგიური მაგალითების მოყვანა ქართული მხატვრული ლიტერატურიდან მრავლად შეიძლება. მაგრამ ილუსტრირებული მაგალითებიც საკმარისია ჩვენი თეორიული დებულებების ემპირიული დასაბუთებისათვის.

აქ დგება ყველაზე პრინციპული ხასიათის საკითხი: როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ზემოთ დამოწმებული მხატვრული ტექსტის მაგალითებს, რომლებიც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში ვერ თავსდება?

დავუწუნოთ ისინი მხატვრული სიტყვის ოსტატებს, როგორც არაგრამატიკული ფორმები?

ალბათ, ასეც მოიქცევა ის ენათმეცნიერი, რომელიც ენის კონკრეტული სისტემის, სინქრონიული სისტემის იქით ვერ იყურება, რომლისთვისაც საერთოდ უცხოა სისტემის ცნების არსი და მისი მნიშვნელობა ენობრივი ფაქტის ლინგვისტური კვალიფიკაციის დროს.

ყოველი ენობრივი ელემენტის იდენტიფიკაცია, მისი ინტერპრეტაცია უნდა ამოდიოდეს სისტემის არსიდან, სისტემა კი ყოველთვის **ასიმეტრიულია**, აბსოლუტურად სიმეტრიული სისტემა სინამდვილეში ალბათ არ არსებობს. თუმცა ყოველი ასიმეტრიული სისტემა მიილტვის აბსოლუტურად სიმეტრიული სისტემისაკენ, მაგრამ არასდროს ემთხვევა მას, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება განვითარების უნივერსალურ პრინციპს.

აბსოლუტურად სიმეტრიული სისტემა მხოლოდ აბსტრაქციაში შეიძლება დავუშვათ. ამის დაშვება კი აუცილებელია, რადგანაც ენის ცვალებადობის მაორიენტირებელი საფუძველი წორედ ეს აბსტრაქტული სიმეტრიული სისტემაა. ჩვენ ამ სისტემას ვუწოდებთ **ენის ბაზისურ სისტემას**, როგორც ეს უკვე ვთქვით.

ენის ბაზისური სისტემის ცნების შემოტანა ძალიან გვშველის ენის ინოვაციური მოვლენების მართებული ლინგვისტური ინტერპრეტაციისათვის.

რა იგულისხმება ნათქვამში?

თუ ენის მოქმედი ლიტერატურული ნორმიდან განსხვავებულ სიტყვაფორმას იხმარს მწერალი, მაშინ ამ **ახალი სიტყვაფორმის ლინგვისტური ინტერპრეტაცია შეიძლება მხოლოდ ენის ბაზისური სისტემიდან ამოსვლით**. იმ შემთხვევაში, თუ ბაზისური სისტემის საანალიზო ფორმა შესაძლებელია, მაშინ ის უდავოდ უნდა მიღებულ იქნეს როგორც ენის მოქმედი სისტემის ახალი წევრი. ასეთი სიტყვაფორმები დამკვიდრდება და დაკანონდება კიდეც ენაში. ამ რიგისაა ზემოთ დამოწმებული ინოვაციები სიტყვაფორმებისა. „გათენდა", „დაღამდა" არის ე.წ. პირნაკლი ზმნები. ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობას გააჩნია სამივე პირი და, ბუნებრივია, რომ ეს მცირერიცხოვანი პირნაკლი ზმნებიც ჩადგეს მათ რიგში და გაიჩინოს

პირველი და მეორე პირის ფორმებიც, რაც სავსებით ლოგიკური შედეგი იქნება ენის შინაგანი განვითარების პროცესისა.

სიტყვის ოსტატი ენის ამჟამად არარსებულ სიტყვაფორმების ბაზისურ სისტემაში არსებობას ინტუიციით, გუმანით გრძნობს და როცა დასჭირდა, გამოიყენა კიდეც.

ამდენად, ზემოთ ილუსტრირებულ პოეტურ სტრიქონებში დადასტურებული ზმნური ფორმები „დავღამდი", „გავსთენდი" (ან „გავთენდები") ენის სტრუქტურულ მოდელში ჯდება, ისინი ავსებენ შესაბამისი პარადიგმის „ცარიელ უჯრებს" და ამით უფრო ამდიდრებენ ქართული ენის ექსპრესიულ ფუნქციას.

იგივე შეიძლება ითქვას გალაკტიონთან და მ. მაჭავარიანთან დადასტურებული არსებითი სახელების — **„ბინდებით", „სიცილები"** — შესახებ. ამ სახელებსაც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით მრავლობითი რიცხვის ფორმები არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, პოეტებმა ისინი მრავლობითის ფორმით მაინც იხმარეს. ეს ფორმები კი სავსებით დასაშვებია იმავე ბაზისური სისტემის საფუძველზე, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

შეიძლება დავასკვნათ: **მხატვრული ენის ლინგვისტური ანალიზის პრინციპები უნდა ემყარებოდეს ენის სისტემურობის ცნებას. ყოველი ენა კი გულისხმობს ორ სისტემას — ბაზისურსა და კონკრეტულს.** პირველი ფართო ცნებაა და შეიცავს თეორიულად შესაძლებელ ყველა ენობრივ ფორმას. ის დედუქციური გზით მიღებული აბსტრაქტული სისტემაა, ენის განვითარების პოტენციაა. მეორე კი დროის გარკვეულ მონაკვეთში მოქმედი კონკრეტული ენობრივი სისტემაა. ეს უკანასკნელი პირველთან შინაგან კავშირშია და მისით საზრდოობს, მას ემყარება.

რა თქმა უნდა, ჩვენ იმას არ ვამტკიცებთ, რომ მარტოოდენ ბაზისურ სისტემაზე დამყარება უნივერსალური საშუალება

იყოს ნებისმიერი ენობრივი მოვლენის ლინგვისტური ინტერპრეტაციისათვის.

არა! ენა მეტად რთული, მრავალწახნაგოვანი საზოგადოებრივი მოვლენაა. მის ცვალებადობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს რიგი ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც. ეს გარემოება კი ენაში ისეთ მოვლენასაც დაამკვიდრებს, რომელთა ახსნა მარტოოდენ ზემოთ მოყვანილი ორი სისტემის შეპირისპირებით ვერ მოხერხდება.

ამგვარი მოვლენების ახსნა კი მოითხოვს სხვა კრიტერიუმების მოშველიებას — სოციალურს, ფსიქოლოგიურს, ეკონომიკურსა და სხვ. ამჯერად ჩვენ მათზე საუბარი არ გვექნება.

ერთი აფიქსის საკითხისათვის ქართველურსა (ქართულსა და სვანურში) და ნოვა-თუშურ ენებში*

თეზისები

1. ძველ ქართულში ვნებითი გვარის ზმნათა ნამყო უსრულის ფორმებში დ- სავრცობის წინ ივარაუდებოდა -ოლ ელემენტი, რომელიც „ძველისძველი სავრცობია ვნებითისა“ (აკ. შანიძე).

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აგრეთვე ვნებითი გვარის წარსულდროიანი მიმღეობის სუფიქსები: -ილ და -ულ: დაწერ-ილ-ი..., გაკეთებ-ულ-ი...

2. სვანურის ბალსზემოურსა, ლენტეხურსა და ლაშხურ დიალექტებში ვნებითი გვარის ზმნათა მწკრივებში (ნამყო უსრულში, კონიუნქტივ I-ში, მყოფადის უსრულში, თურმეობით I-ში და თურმეობით II-ში) დასტურდება -ოლ ელემენტი, რომელიც მიჩნეულია „ვნებითის ერთ-ერთ ფორმანტად“ (ვ. თოფურია).

3. ნოვა-თუშურ ენაში ვნებითი გვარის მაწარმოებელია -ლა//-ლ სუფიქსი: ხეტტო „კითხულობს“ — ხეტტ-ლა „იკითხება“; ხერცო „ცვლის“ — ხერც-ლა „იცვლება“...

4. ბუნებრივია, დგება საკითხი აღნიშნულ ენებში დადასტურებული მატერიალურად და გრამატიკული მნიშვნელობით მსგავსი მორფოლოგიური ელემენტის ურთიერთმიმართების შესახებ როგორც ისტორიულ, ასევე ტიპოლოგიურ ასპექტში.

---

* ნაკითხულ იქნა მოხსენებად აკ. შანიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე. 1986 წ.

ქართული ენის ლექსიკა წოვა-თუშურ ენაში*

(წინასწარი შენიშვნები)

„თანა" თანდებულიანი გეოგრაფიული სახელები წარმოადგენს თუშურის შემონატანს ქართულში. ამ ოდესღაც დიდად გავრცელებული ენისა დღეს ნაშთიღაა მოღწეული წოვა-თუშურის სახით. „შემონატანი" ამ შემთხვევაში თარგმანის საშუალებითაა მოცემული.

აკაკი შანიძე
(ქართ. ენის გრამატ. საფუძვლები, 1973, გვ. 138)

ორი სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის ხანგრძლივი, მჭიდრო კონტაქტების შედეგად ჩვეულებრივი მოვლენაა ლექსიკის სესხება, ერთი ენიდან მეორე ენაში სიტყვების გადასვლა. ამგვარი სიტყვები დროთა განმავლობაში იქცევა მსესხებელი ენის ლექსიკური ფონდის საკუთრებად. რა თქმა უნდა, შემოსული სიტყვები განიცდიან გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებას ამ ენაში მოქმედი ბგერათშეერთების წესების შესაბამისად. ეს ცვლილება მით უფრო შესამჩნევია, რაც უფრო ძველია ნასესხები სიტყვები, ამიტომ უცხო ლექსიკური მასალის ლინგვისტური ანალიზისას უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ქრონოლოგიური ეტაპები, რადგანაც, როგორც ეინარ ჰაუგენი წერს, ძველი ნასესხები მასალა უფრო მეტადაა ფონეტიკურად დაშორებული თავისი პირვანდელი წყაროსაგან, ვიდრე მერმინდელი ნასესხები (6,356).

აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საერთო მასალა ყოველთვის სესხებას არ ვარაუდობს, რა თქმა უნდა, თუ ჩვენ საქმე გვაქვს მონათესავე ენებთან.

ნარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ იმ ლექსი-

* პირველად დაიბეჭდა 1979 წელს. იხ. კრებ. კ. ჭრელაშვილი, „წოვა-თუშური და ქართული ენის მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხი", თბილისი — 1979.

კურ ერთეულებს, რომლებიც ძველ ქართულ ენაში ფუნქცირებდნენ და ახალ ქართულში კი აღარ დასტურდებიან. თავს ვიკავებთ აგრეთვე შორს მიმავალი ეტიმოლოგიური დასკვნებისაგან, რაც, თავის მხრივ, ალბათ, საჭიროა და მეტად მნიშვნელოვანიც ამ ენობრივი კოლექტივების ისტორიული ურთიერთობის კვლევის თვალსაზრისით; თუმცა ისიც, რაც აქ არის წარმოდგენილი, უთუოდ მრავლისმთქმელია ამ მიმართულებით.

მეცნიერული ეტიმოლოგიური ძიება გულისხმობს საკითხის უფრო ფართო მასშტაბით დასმასა და განხილვას, კერძოდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა დონეზე ისტორიულ-შედარებით კვლევა-ძიებას.

1. ძველ ქართულ ენაში დღევანდელი **აღდგომის** მნიშვნელობით იხმარებოდა **აღვსება**. მაგ.: „და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი"; „აღვსებაი ჩუენი დღეს არს" (1).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **აღვსება** არის წარმართული ხანის სარწმუნოებრივი ტერმინი, რომელიც შემდგომ ქრისტიანულმა რელიგიამ გამოიყენა და სხვა შინაარსი ჩადო მასში.

წოვათუშურში ამჟამად **აღდგომის** მნიშვნელობით იხმარება **აჴსებ**. ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვა არის ძველი ქართული ენის **აღვსება** სიტყვის შესაბამისი ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული: **აღვსება → აღსება → აჴსებ**.

სპირანტთა თანმიმდევრობა **ღვს** წოვათუშურისთვის არაბუნებრივია, ამიტომ ენამ ის გაამარტივა ვ-ს ამოგდებით, ხოლო **ღს→ჴს**. ეს უკანასკნელი კომბინაცია (ჴს) ბუნებრივია ამ ენისათვის.[1]

2. ძველ ქართულ ენაში დასტურდება აგრეთვე სიტყვა

---

1. პროფ. ეგ. ჯეირანაშვილის ცნობით, უდიურ ენაში **აღდგომის**, საერთოდ **ლხინის** მნიშვნელობით იხმარება **ახსიბაი** (ნიჯურ დიალექტში) და ამის ტრანსფორმირებული ვარიანტი ახციმა (ვართაშნულ დიალექტში), რასაც ეგ. ჯეირანაშვილი მიიჩნევს ქართული აჴსების ფონეტიკურ და სემანტიკურ ვარიანტად.

მსგეფსი — „შვიდეული", „ერთი კვირა". მაგ.: „ორი მსგეფსი დაყვის ქუე-მწოლარემან" (1). „ამის მეტსა არას გნუკევ: წელიწადსა ერთსა მსგეფსსა აქა ქვაბსა მომნახვიდე მე, ამბავთა ყოვლგნით მკრეფსა" (3, სტროფი 931).

წოვათუშურში ამავე მნიშვნელობით იხმარება სიტყვა **გეფს**. რადგანაც ამ ენაში სიტყვის ანლაუტში სამთანხმოვნიანი კომპლექსი არაბუნებრივია, ამიტომ ამ სიტყვის ქართულ ფორმაში თავკიდურ პოზიციაში წარმოდგენილი თანხმოვანთა კომპლექსი გამარტივდა და შეეფარდა მსესხებელი ენის ბგერათშეერთების ფონეტიკურ კანონს (5,226): მსგეფსი → სგეფსი →გეფსი.

3. **ხორშაკი** — „სიცხე". მაგ.: „ქარნი **ხორშაკნი** და წყალნი მავნებელნი"; „არცა დაეცეს მათ **ხორშაკი**, არცა ავნოს მათ მზემან"; „განრყუნის **ხორშაკმან** ნაყოფი ქუეყანისაი"... (1).

თანამედროვე ქართულ ენაში ეს სიტყვა აღარ იხმარება. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს წოვათუშური სიტყვა **ხორშაც** — „ციება-ცხელება". ვფიქრობთ, ქართული **ხორშაკ**-ისა და წოვათუშური ხორშაც-ის სემანტიკური დაკავშირება არ უნდა იყოს შეუძლებელი, რადგანაც ავადმყოფობა **ციებ-ცხელებაც** ხომ მაღალ სიცხეებთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება ამ სიტყვათა ფონეტიკურ ერთიანობას, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. არც ფონეტიკური გარდაქმნა კ→ც უნდა იყოს შეუძლებელი. ეს სიტყვა მალარიის მნიშვნელობით დასტურდება ჩაჩნურშიც: „**ხორშა**" (2,462).

როგორც ჩანს, მიზანშეწონილია აღნიშნული სიტყვის ეტიმოლოგიური ძიება უფრო ფართო მასშტაბით.

4. **ჴაჴვა** „დაკაწრვა". მაგ.: „**იჴაჴდეს** ღაწუთა მათთა"; „არცა ეტყებდენ მათ, არცა **იჴაჴდენ**" (1,566);

საფიქრებელია, რომ „**იჴაჴდეს** ღაწუთა" ან „არცა **იჴაჴდენ**" ადამიანის კანის (rest. ტყავის) **გაკაწვრას, გაცვლას** გულისხ-

მობდეს. ამდენად ეს ზმნური ფორმა („იჭაჭდეს"(შესაძლებელია სახელური წარმომავლობისა იყოს, კერძოდ, ჭაჭ — ძირიდან. თუ ეს ასეა, მაშინ მისი სემანტიკური შინაარსი თავდაპირველად, ალბათ, კანს, ტყავს გამოხატავდა.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ნოვათუშური სიტყვა ჭაჭაⁿ „ტყავი", რომელიც ფონეტიკურად და სემანტიკურად ქართულ ჭაჭ- ძირს შეესაბამება.

საგულისხმოა, რომ ჩაჩნურ ენაში ცხვრის ტყავს უწოდებენ ჭაჭა (2,236).

5. როგორც ცნობილია, ძვ. ქართულში ივრისა და არაგვის ხეობაში მოსახლე ხალხს **ფხოველებს** უწოდებდნენ, თავად ადგილი კი იწოდებოდა **ფხოვ**-ად. ამჟამად ეს სატომო სახელი ქართულში აღარ იხმარება, ის შეცვალა სხვა სახელებმა: **ფშაველი, ხევსური**. ამათი ძველი სატომო სახელი შემონახულია ამჟამად ტოპონიმში: შუა-ფხო...

საყურადღებოა, რომ ხევსურთა სახელად ნოვა-თუშები დღესაც ხმარობენ **ფხევ**-ს, მრ. **ფხი** (შდრ. ჩაჩნური **ფხი** „ხევსური" 2,352).

ვფიქრობთ, რომ ქართულ **ფხოვ**-ისა და ნოვათუშური **ფხევ**-ის გენეტური ერთიანობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. უფრო მეტიც, შესაძლებელია ეს სატომო სახელი წარმოშობით ნახურ ენობრივ სამყაროს დაუკავშირდეს კიდეც. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მისი გრამატიკული სტრუქტურა, რაც ნოვათუშური ენის საფუძველზე იხსნება. მხედველობაში გვაქვს **ფხევ** სატომო სახელის აუსლაუტის ელემენტი **ვ**, რომელიც ნოვათუშურ ენაში ამჟამად მოქმედი გრამატიკული კატეგორიის, კერძოდ, გრამატიკული კლასის მორფემაა.

როგორც ცნობილია, სინამდვილის მოვლენები ნოვათუშური ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში დიფერენცირებული და კლასიფიცირებულია, რაც სათანადოდ ასახულია ენის გრა-

მატიკულ სტრუქტურაში. მოვლენათა ეს კლასიფიკაცია იძლევა ოთხ ჯგუფს. თითოეულ მათგანს ენაში შეესაბამება შემდეგი მორფემები: **ვ-, ჲ-, ბ-, დ-**. ნახოლოგიის კვლევის თანამედროვე დონეზე აღნიშნულ მორფემათა კლასიფიკაციის პრინციპი დადგენილი არ არის.

ერთი კი ცხადია, რომ მორფემა **ვ-** გამოხატავს მამაკაცის კლასსა და ღმერთის ცნებას. ასე რომ, **ვ**-ს გრამატიკული მნიშვნელობა კონკრეტულია და ნათელი.

ჩვეულებრივ **ვ-** მორფემა ფუნქცირებს ზმნისა და ზედსართავი სახელების ანლაუტში. იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება სიტყვის აუსლაუტში. მაგალითად, სატომო სახელებთან გრამატიკული კლასის ნიშანი **ვ**, როგორც წესი, ფუნქცირებს აუსლაუტში: **ბაცა-ვ** „წოვათუში (მამაკაცი)", **შო-ვ** „ფშაველი (მამაკაცი"), **კოხი-ვ** „ქართველი (მამაკაცი)", **მეგრო-ვ** „მეგრელი (მამაკაცი)" და ა.შ. (4,346).

როგორც ვხედავთ, სატომო სახელებს საკუთარი მოდელი აქვს გრამატიკული კლასის მორფემის ხმარების მხრივ. ამ მოდელში ჯდება სატომო სახელიც **ფხე-ვ**, რომელიც ამჟამად მხოლოდ ხევსურის აღმნიშვნელია.

რამდენადაც **ფხე-ვ** თავისი გრამატიკული სტრუქტურით აღმოჩნდა წოვათუშური ენის მორფოლოგიური სისტემის, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ფრაგმენტული სისტემის (გრამატიკული კლასის კატეგორიის სისტემის) წევრი, ამდენად, ვფიქრობთ, შეიძლება მივიჩნიოთ ის ისტორიულად ამ ენობრივი სამყაროს კუთვნილებად.

რა თქმა უნდა, ეს დაშვება აღძრავს რიგ სერიოზულ ისტორიოგრაფიული და ლინგვისტური ხასიათის პრობლემებს, რომლებიც ლოგიკური თანმიმდევრობით მოითხოვენ მეცნიერულად დასაბუთებული პასუხის გაცემას.

ამითვეა განპირობებული ამ სტატიის ეპიგრამაც. ამ ეპიგ-

რამიდან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული დასკვნები, რაც ჯეროვან ასახვას ვერ პოულობს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. მხედველობაში გვაქვს წოვათუშური ენობრივი კოლექტივისა და ქართველური ენობრივი სამყაროს ძველისძველი და ხანგრძლივი კავშირი.

ახლა მოკლედ განვიხილავთ იმ ნასესხებ სიტყვებს, რომლებიც თანამედროვე ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში შედიან. ამგვარი სიტყვების ლექსიკოლოგიური და ფონეტიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც კონკრეტული, ასევე ზოგადთეორიული თვალსაზრისით.

წოვათუშები ამჟამად ბილინგვები არიან. ისინი თავისუფლად ფლობენ ქართულ ენას. უფრო მეტიც, მათთვის ქართული ენა მეორე მშობლიური ენაა. იმდენად ძლიერია ქართული ენის ფუნქციები ამ ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ მეტყველების პროცესში თავისუფლად გადაირთვებიან ერთი ენობრივი სისტემიდან (წოვათუშური ენისა) მეორე ენობრივ სისტემაში, ანდა პირუკუ. ეს გადასვლა იმდენად ბუნებრივად ხდება მათ ცნობიერებაში, რომ ამ გადასვლას ვერც კი გრძნობენ.

ამგვარ ბილინგვურ კოლექტივში კი, ბუნებრივია, ენათა ურთიერთგავლენა ინტენსიურია. ეს გავლენა კი, როგორც წესი, პირველ რიგში მჟღავნდება ლექსიკაში. ამჟამად წოვათუშური ენის ლექსიკურ ფონდში მეტად დიდი რაოდენობით გვხვდება თანამედროვე ქართულიდან შესული სიტყვები. რიგი ქართული სიტყვები გარკვეულ ფონეტიკურ ტრანსფორმაციებს განიცდიან.

რით არის განპირობებული ეს ცვლილებები?

როგორც ცნობილია, ყოველ ენას აქვს ბგერათშეერთების საკუთარი წესები, რომლებიც არ მეორდება სხვა ენაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ენას აქვს ფონემათა საკუთარი

დისტრიბუციული მოდელი. ენაში მოქმედი დისტრიბუციული წესების მიხედვით სხვა ენიდან შემოსული სიტყვა იცვლის სახეს. ამდენად ნასესხებ სიტყვათა ცვალებადობა გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

აქ ჩვენ განვიხილავთ ქართულიდან ნასესხებ ლექსიკურ ერთეულთა გარკვეულ ჯგუფს, რომლებმაც წოვათუშური ენის ფონემათა დისტრიბუციული მოდელის შესაბამისად გარკვეული ფონეტიკურ-ფონოლოგიური ცვლილება განიცადეს.

წოვა-თუშური ენა სიტყვის ბოლოში ხმოვანს ვერ იტანს, თუ, რა თქმა უნდა, სიტყვა ერთზე მეტმარცვლიანია. გარდა ხმოვნისა, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში სუსტი პოზიცია აქვს აგრეთვე ნაზალურ თანხმოვანს **ნ**-ს. ამიტომ ქართული ენის ისეთი სიტყვები, რომლებიც ბოლოვდებიან ფონემათა თანმიმდევრობით **-ნა**, განიცდიან რთულ საფეხობრივ ფონეტიკურ პროცესს. ეს მოვლენა მეტად საყურადღებოა ფონეტიკის ზოგადი თეორიის თვალსაზრისით. ის ყურადღების გარეშე არ დარჩენია ამ ენის მკვლევარს რ. გაგუას. აი, რას წერს ის აღნიშნული ფონეტიკური პროცესის შესახებ: „აქ უნდა დავინახოთ ფონეტიკური პროცესის ორი საფეხური: ჯერ სიტყვის ბოლოს რედუცირდება ხმოვნები და თუ ხმოვანთა რედუქციის შედეგად სიტყვის ბოლოს აღმოჩნდება **ნ** თანხმოვანი, იგი წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაციას გამოიწვევს".[1]

ქართულიდან წოვა-თუშურ ენაში შესული ისეთი სიტყვები, რომლებსაც ზემოთ აღნიშნული ფონოლოგიური კომბინაცია აქვთ, ე.ი. სიტყვა ბოლოვდება **-ნა** ფონემათა თანმიმდევრობით, მაშინ ასეთი სიტყვები კარგავენ როგორც აუსლაუტის ხმოვანს, ასევე მის წინა თანხმოვანს — **ნ**-ს.

მხედველობაში გვაქვს ასეთი სიტყვები: **ქვეყანა, ქარხანა,**

---

1. Гагуа Р.Р. — Ю.Д. Дешериев. Бацбийский язык (рецензия), Вопросы языкознания, N 4, 1954 г.

საბანი, მადანი, მავანი და სხვა. როგორც აღნიშნავს რ. გაგუა, აქ ხდება ორი საფეხურის ფონეტიკური ცვლილება:

საბანი→საბან→საბა^{ნ};

მადანი→მადან→მადა^{ნ};

ქვეყანა→ქვეყან→ქვეყა^{ნ};

ქარხანა→ქარხან→ქარხა^{ნ};

მავანი→მავან→მავა^{ნ} და სხვა...

ამჟამად ქართული ენიდან ნასესხები ეს სიტყვები წოვათუშურ ენაში ფუნქცირებენ ასეთი ფორმით: საბა^{ნ}, მადა^{ნ}, ქვეყა^{ნ}, ქარხა^{ნ}, მავა^{ნ}...

წოვა-თუშური ენისათვის ძირეული მორფემის შიგნით დამახასიათებელი არ არის თანმიმდევრობა **-ვა-**, ამიტომ ქართულიდან შესული ის სიტყვები, რომელთა ძირშიც **-ვა** თანმიმდევრობაა, გარდაიქმნება ამ ენაში მოქმედი ფონეტიკური პროცესის შესაბამისად: **ვა→ო**.

აღნიშნული ფონეტიკური პროცესის შედეგად გვაქვს: ღვარი→ღორ; კვალი→კოლ; მტკვარი→ტკორ; გვარი→გორ; მწვანილი→წონილ და ა.შ.

ამ ფონეტიკურ მოვლენასთან (**ვა→ო**) დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ქართული ენის მთის დიალექტებში მოქმედი ანალოგიური მოვლენა, სადაც აგრეთვე **-ვა** კომპლექსი იძლევა **-ო-**ს. მაგალითად, გვაქვს, **ცხვარი→ცხორი; თვალი→თოლი; ყვავილი→ყოილი** და ა.შ.

წოვა-თუშურ ენაში მეტად შეზღუდულია სიტყვის ძირეულ მორფემაში თანხმოვანთა კომბინაციები. ასეა ეს საკუთარ ლექსიკურ მასალაში. ეს ფონეტიკური თავისებურება ამჟამადაც მოქმედია. ამიტომაა, რომ ნასესხები სიტყვები, სადაც ძირეული მორფემის ფარგლებში თანხმოვანთა რთული კომბინაციებია ამოსავალ წყაროში, ამარტივებს ამ თანხმოვანთა კომპლექსებს და აქცევს თანხმოვან ფონემათა საკუთარ დის-

ტრიბუციულ მოდელში. მაგალითად: მტკვარი→ტკორ, ფრთხილი→თხილო[5] და სხვა.

როგორც ვხედავთ, ილუსტრირებულ მაგალითებში წოვა-თუშურმა უკუაგდო „ზედმეტი" თანხმოვნები. რიგ შემთხვევაში კი ხდება თანხმოვან კომპლექსთა გახლეჩა და ხმოვნის ჩასმა, თუ, რა თქმა უნდა, თანხმოვანთა ასეთი კომპლექსები არ არის დამახასიათებელი წოვა-თუშურისთვის. ამგვარი ფონეტიკური მოვლენები დასტურდება შემდეგ სიტყვებში: **ცდა→ცადდარ; ჭდე→ჭადრ** და სხვა...

ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში დასტურდება კიდევ ერთი მეტად საინტერესო ფონეტიკური პროცესი, რომელიც შენიშნული აქვს ჯერ კიდევ ამ ენის პირველ მკვლევარს აკად. ა. შიფნერს. საქმე ისაა, რომ წოვა-თუშური ენისათვის არ არის დამახასიათებელი მრავალმარცვლიანი სიტყვები. ამიტომ, როცა ის სესხულობს ქართული ენიდან მრავალმარცვლიან სიტყვებს, ამოკლებს მათ მარცვალთა შემცირების ხარჯზე, კერძოდ კი ხმოვნის დასუსტებით, ან მისი გადასმით წინამავალ ხმოვანთან მეზობლობაში, რაც იძლევა წოვა-თუშურისათვის მეტად დამახასიათებელ ფონეტიკურ მოვლენას – **დიფთონგიზაციას**. ეს მოვლენა სპეციალურად შესწავლილი აქვს დოც. **რ. გაგუას**, რომელიც წერს: „როდესაც ფუძის ბოლო მარცვალში **ი** და **უ** ხმოვნებია, ხმოვნიანი სუფიქსის დართვა იწვევს მათ ნაწილობრივ რედუქციას. ასეთი რედუქციის, ანუ დამოკლების შემდეგ ეს ხმოვნები გადაადგილდებიან წინამავალ მარცვალში და აქ, მოხვდებიან რა სრული ხმოვნის შემდეგ, მასთან ერთად ქმნიან დიფთონგს. ამგვარად, ფუძეში (სიტყვის შუაში) დიფთონგის წარმოშობის ერთადერთი წყაროა რედუცირებულ ხმოვანთა გადანაცვლება".[1]

რედუქციის შედეგად ვიღებთ დიფთონგებს: **გონიერი→გუჲნარ; ღონიერი→ღუჲნარ; კუდიანი→კუჲდე**[5] და სხვა.

1. რ. გაგუა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში, იკე, VIII, თბილისი, 1956, გვ. 469-478.

ისეთ მრავალმარცვლიან სიტყვებში, სადაც ვერ ხერხდება ნაწილობრივი რედუქცია და ამის შედეგად კი დიფთონგიზაცია, ადგილი აქვს სრულ რედუქციას, ე.ი. იკარგება მთლიანად ხმოვანი. ასეთ მაგალითებს განეკუთვნება: **ორაგული→ორგულ; კალატოზი→კალტოზ; აბანო→აბნო; ანგარიში→ანგრიშ; ბოროტობა→ბორტობ** და ა.შ.

ამრიგად, წოვა-თუშურ ენაში დასტურდება ქართულიდან საერთო ლექსიკური მასალის ორი შრე — ერთი უძველესი, მეორე შედარებით ახალი. პირველი რიგის ლექსიკური მასალა საინტერესოა იმ მხრივ, რომ ისინი თანამედროვე ქართულში აღარ დასტურდება და გვხვდება მხოლოდ ძველ ქართულ ენაში. ამ რიგის ლექსიკური მასალის ამოტივტივებას და მათ ლინგვისტურ ანალიზს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ენათა ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით.

უფრო გვიან ნასესხებ სიტყვებში იგულისხმება ისეთი ლექსიკური მასალა, რომლებიც განეკუთვნებიან თანამედროვე ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს. ეს მასალა ინტერესს იწვევს როგორც კონკრეტული ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ასევე **ენათა კონტაქტების ზოგადი თეორიის** შუქზე, რასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

ქართულ-წოვათუშური ენობრივი ურთიერთობა თავისი შედეგებით მეტად საყურადღებო და მრავლისმთქმელი ფაქტია სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც. ენათმეცნიერების ამ ახალ დარგს ძალზე მნიშვნელოვან მასალას მიაწვდის ამ ენათა ურთიერთგავლენის კონკრეტული ფაქტების ემპირიული ანალიზი.

ამდენად, ქართული ენიდან წოვა-თუშურ ენაში ნასესხები ლექსიკური მასალის მეცნიერულ ანალიზს, გარდა კონკრეტულისა, აქვს ზოგადთეორიული და სოციალური მნიშვნელობა.

ლიტერატურა

1. აბულაძე ილ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

2. Мациев А.Г. Чеченско-русский словарь, Москва — 1961.

3. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1951, სტროფი 931.

4. ჭრელაშვილი კოტე. ბი სუფიქსი ბაცბურში, თსუ შრომები, ტ. 63, 1956, გვ. 346.

5. ჭრელაშვილი კოტე. თანხმოვანთა სისტემა ნახურ ენებში, თბილისი, 1975.

6.Хауген Эйнар, Процесс заимствования, Новое в лингвистике. VI, М., 1972, стр. 356.

აწმყო-მყოფადის თურმეობითის შესახებ ნოვა-თუშურ ენაში*

(წინასწარი შენიშვნები)

ნოვა-თუშური ენა მდიდარია დრო-კილოთა ფორმებით, სამწუხაროდ, დღემდე სრულად არ არის გამოვლენილი ამ ენის უღვლილების სისტემის ზმნური ფორმები. იგივე ითქმის ჩაჩნურისა და ინგუშურის მიმართაც. ამ მხრივ ნახოლოგებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი.

ამჯერად ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ აწმყოს თურმეობითებზე. გაკვრით აღვნიშნავთ მყოფადის ფორმათაგან ნაწარმოებ თურმეობითების შესახებაც, თუმცა წარმოების ფორმალური პრინციპი აქ იგივეა, რაც აწმყოს თურმეობითებში.

აწმყოს თურმეობითები ქმნიან მეტად მწყობრ და თანმიმდევრულ მიკროსისტემას. საკვლევი ფორმები იწარმოება აწმყოს შესაბამის ფორმებზე მეშველი ზმნის დართვით. ეს უკანასკნელი იცვლება სათანადო მწკრივების მიხედვით. ამგვარად, აქ საქმე გვაქვს ანალიზურ ზმნათა უღვლილებასთან: ძირეული ზმნა+მეშველი ზმნა+სათანადო გრამატიკული მორფემა.

ქვემოთ წარმოვადგენთ აწმყოს თურმეობითების უღვლილების პარადიგმას რამდენიმე ზმნის მაგალითზე:

თურმეობითი I: **ხეტტდანრ „კითხულობს თურმე"**
ხერცდანრ „ცვლის თურმე"
ვიშვანრ „წევს თურმე"
ვუჲტვანრ „მიდის თურმე"...

---

* პირველად დაიბეჭდა 1996 წელს. იხ. კ. ჭრელაშვილი, „აწმყო-მყოფადის თურმეობითის შესახებ ნოვა-თუშურ ენაში" (წინასწარი შენიშვნები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.14,1979.

თურმეობითი II: **ხეტტდანორ „კითხულობდა თურმე“**
ხერცდანორ „ცვლიდა თურმე“
ვიშვანორ „იწვა თურმე“
ვუჲტვანორ „მიდიოდა თურმე“...

თურმეობითი III: **ხეტტდანორალრ „კითხულობდა თურმე“**
ხერცდანორალრ „ცვლიდა თურმე“
ვუჲტვანორალრ „მიდიოდა თურმე“...

მესამე თურმეობითის ფორმათა სემანტიკა მეორე თურმეობითის ფორმათა სემანტიკისგან განსხვავდება ქრონოლოგიურ მიმართებაში — მესამე თურმეობითის ფორმათა მოქმედება დროში წინ უსწრებს მეორე თურმეობითის ფორმათა მოქმედებას. ხოლო ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ წარმოგვიდგენს უფრო ადრე ჩადენილ მოქმედებას, ვინემ პირველი თურმეობითი. ამდენად, **მწკრივთა ურთიერთმიმართება ქრონოლოგიურ პრინციპს ემყარება.**

ანალოგიურად აწარმოებს აწმყოს თურმეობითებს კაუზატივიც:

თურმეობითი I: **ხეტტითდანრ „აკითხვინებს თურმე“**
ხერცითდანრ „აცვლევინებს თურმე“
ვიშითვანრ „აძლევს ნებას იწვეს“
ვუღითვანრ „აძლევს ნებას იყვიროს“...

თურმეობითი II: **ხეტტითდანორ „აკითხვინებდა თურმე“**
ხერცითდანორ „აცვლევინებდა თურმე“
ვიშითვანორ „წოლის ნებას აძლევდა“
ვუღითვანორ
„ყვირილის ნებას აძლევდა“...

თურმეობითი III: ხეტტითდანორალრ
„აკითხვინებდა თურმე“
ხერცითდანორალრ
„აცვლევინებდა თურმე“
ვიშითვანორალრ
„წოლის ნებას აძლევდა თურმე“
ვუღითვანორალრ
„ყვირილის ნებას აძლევდა თურმე“...

ანალოგიურად აწარმოებს აწმყოს თურმეობითებს ვნებითის ფორმებიც:

თურმეობითი I: ხეტტლადანრ „ეკითხება თურმე“
ხერცლადანრ „იცვლება თურმე“
ვიშლავანრ „წევს უნებურად თურმე“
ვუღლავანრ
„ყვირის, ეყვირება უნებურად თურმე“...

თურმეობითი II: ხეტტლადანორ „ეკითხებოდა თურმე“
ხერცლადანორ „იცვლებოდა თურმე“
ვიშლავანორ „იწვა თურმე უნებურად“
ვუღლავანორ
„ეყვირებოდა უნებურად თურმე“...

თურმეობითი III: ხეტტლადანორალრ
„ეკითხებოდა თურმე“
ხერცლადანორალრ
„იცვლებრდა თურმე“
ვიშლავანორალრ
„იწვა უნებურად თურმე“
ვუღლავანორალრ
„ეყვირებოდა უნებურად თურმე“...

უნდა აღინიშნოს, რომ მესამე თურმეობითი იშვიათად იხმარება, მაგრამ მაინც დასტურდება ენაში. და, რაც მთავარია, უღვლილების სისტემაში მას თავისი კანონზომიერი ადგილი უკავია, სისტემას ავსებს. **პოტენციაში, ე.ი. ბაზისურ სისტემაში ის იგულისხმება.** ამდენად, როცა მოლაპარაკეს დასჭირდება, გამოხატოს შორეულ წარსულში მომხდარი ვნებითური შინაარსის მოქმედება, მაშინ მის ცნობიერებაში ამოტივტივდება მესამე თურმეობითის ზემოთ მოყვანილი ფორმები. ამგვარ ფორმათა შესატყვისი ფორმები ქართულს არ გააჩნია, ამდენად, მასში ჩადებული შინაარსის ქართულად გადმოცემა შეიძლება მხოლოდ აღწერილობით. აღნიშნული ფორმები **ლინგვისტურად მეტად საინტერესო ფორმებია** და ისინი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს მონათესავე ენათა შესაბამის ფორმებთან შედარების გზით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ აწმყოს თურმეობითის ფორმები ქართველური ენებიდან გააჩნია მეგრულ-ჭანურსაც (გ. როგავა).

თავისი თურმეობითები აქვს მყოფადსაც. აღნიშნული თურმეობითები იწარმოება მყოფადის ზმნურ ფორმებზე მეშველი ზმნის დართვით. აქაც, ისე როგორც აწმყოს თურმეობითებში, იუღვლის მხოლოდ მეშველი ზმნა, ოღონდ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი ზმნა და მასზე დართული მეშველი ზმნა ერთ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენენ, ერთ ცნებას გამოხატავენ. მაგალითად:

მყოფ. თურმ.I:	**ხატტდანრ „წაიკითხავს თკურმე“**
	ხარცდანრ „გაცვლის თურმე“...
მყოფ.თურმ.II:	**ხატტდანორ „წაიკითხავდა თურმე“**
	ხარცდანორ „გაცვლიდა თურმე“...
მყოფ.თურმ. III:	**ხატტდანორალ „წაიკითხავდა თურმე“**
	ხარცდანორალ „გაცვლიდა თურმე“...

გვარის კატეგორიის ტიპოლოგიური შედარება ნოვა-თუშურსა და ქართულ ენაში*

ჩვენი თემის მიზანია ქართულისა და ნოვათუშური ენის ზმნათა ერთი მორფოლოგიური კატეგორიის — გვარის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შედარება.

ოღონდ ჩვენ აქ ერთ სიძნელეს ვაწყდებით. საქმე ისაა, რომ ნოვათუშურში გვარის კატეგორია დღემდე შესწავლილი არ არის. უფრო მეტიც, მკვლევართა აზრით, ამ ენაში აღნიშნული კატეგორია საერთოდ არც არსებობს.

ჩვენ ამ აზრს ვერ გავიზიარებთ, რადგანაც ენაში არსებული ფაქტობრივი ვითარება ამგვარ შეხედულებას ვერ ამართლებს.

როგორც ცნობილია, ენათა ტიპოლოგიურ შედარებას წინ უნდა უძღოდეს შესადარებელ ენათა საფუძვლიანი აღწერითი ანალიზი. კვლევის ეს გზა მეთოდოლოგიურად აღიარებულია ენათმეცნიერებაში. აი რას ვკითხულობთ „ზოგადი ენათმეცნიერების" აკადემიურ გამოცემაში: „ტიპოლოგიური შედარება იწყება იქ, სადაც მთავრდება აღწერითი გამოკვლევა, რომლის ბუნებრივი გაგრძელებაც არის ტიპოლოგია" (3, 23).

აღნიშნული გარემოების გამო ჩვენ მოგვიწევს ნოვათუშური ენის გვარის კატეგორიის მორფოლოგიური ანალიზიც, სადაც სათანადო მასალის საფუძველზე ნაჩვენები იქნება ამ კატეგორიის არსებობა საკვლევ ენაში.

ბუნებრივია, დგება ასეთი საკითხიც: თუ ნოვათუშურ ენაში მართლაც არსებობს გვარის ჩამოყალიბებული მორფოლოგიური კატეგორია, როგორ მოხდა, რომ ის შეუმჩნეველი დარჩათ ამ ენის მკვლევრებს?

საქმე ის არის, რომ ის გრამატიკული ფორმანტი, რომელიც

---

* პირველად დაიბეჭდა 1984 წელს. იხ. კ. ჭრელაშვილი, „გვარის კატეგორიის ტიპოლოგიური შედარება ნოვა-თუშურსა და ქართულ ენაში", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.245. „ენათმეცნიერება".

გვარის, კერძოდ, ვნებითი გვარის მარკირად მიგვაჩნია, ლიტერატურაში ფიქსირებულია და გამოყოფილია, მაგრამ მისი მორფოლოგიური ფუნქცია არასწორად არის კვალიფიცირებული.

ამ ენის პირველმა მკვლევარმა იობ ცისკარიშვილმა, ვფიქრობთ, **შენიშნა გვარის კატეგორია**, მაგრამ რადგანაც მას არ გააჩნდა სათანადო ლინგვისტური მომზადება, ამიტომ ვერ შეძლო ილუსტრირებული ვნებითური ფორმების მორფოლოგიური ანალიზი. ის წერს: „წოვურში ზმნები იყოფიან მოქმედებითი და საშუალო გვარის ზმნებად" (4, 29). ამ დებულების საილუსტრაციოდ იმოწმებს შემდეგ მაგალითებს: **ბუც სელ-ლა** „ბალახი მწვანდება", **ხე ბაჭლა** „ხე იზრდება".

აქ ზმნებში გამოყოფილი -ლა ელემენტი (ავტორი მას არ გამოყოფს) ის გრამატიკული მორფემაა, რომელიც ვნებითი გვარის მნიშვნელობას გამოხატავს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

აღნიშნული ზმნური ელემენტი არც ი. დეშერიევს რჩება შეუმჩნეველი. ამასთან დაკავშირებით ის წერს: „ნებისმიერი ზმნისაგან -ალ//-ლ სუფიქსით იწარმოება ზმნა, რომელიც გამოხატავს უკუქცევით მოქმედებას, ე.ი. სუბიექტზე მიმართულ მოქმედებას" (5, 82).

როგორც ვხედავთ, დეშერიევი -ალ//-ლ სუფიქსს გვარის კატეგორიას არ უკავშირებს, თუმცა მისეული კვალიფიკაცია საანალიზო ელემენტისა არცთუ ისე უცხოა ვნებითი გვარის გრამატიკული მნიშვნელობისათვის.

მთავარი აქ მაინც ის არის, რომ ვნებითი გვარის **გამომხატველი გრამატიკული მორფემა -ლა//-ლ**[1] მკვლევართა მიერ შენიშნულია, კვალიფიცირებულია, თუმცა მათი იდენტიფიკაცია რეალურ ვითარებას კერ ასახავს.

ქვემოთ, შესაბამისი მაგალითების ანალიზის საფუძველზე,

---

1. უფრო სწორი ფორმაა -ლა და არა -ალ, როგორც ეს დეშერიევთან გვხვდება

ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ აღნიშნული მორფოლოგიური ელემენტის გრამატიკული ფუნქცია.

-ლა//-ლ ელემენტის მოქმედების არე მეტად ვრცელია. ის გაყვება დრო-კილოთა მთელ სისტემას. აღნიშნული გრამატიკული მორფემა აწარმოებს სიტყვაფორმებს როგორც რელატიური ზმნებისაგან, ასევე **აბსოლუტური ზმნებისაგან**. განსაკუთრებით საყურადღებოა აბსოლუტური ზმნებისაგან ვნებითის ფორმების წარმოება, რადგანაც **ამგვარი მოვლენა არ დასტურდება ქართველურ ენებშიც**, სადაც გვარის კატეგორია ფორმებით მდიდარია.

აღნიშნული ვითარების გამო, ალბათ, მიზანშეწონილიც იქნებოდა -ლა//-ლ ელემენტის გლობალური ლინგვისტური ანალიზი სხვა მონათესავე ენებში ანალოგიურ გრამატიკულ მოვლენებთან შეპირისპირების ფონზე, როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ ჭრილში, მაგრამ ამჯერად ამგვარი მასშტაბური კვლევა ჩვენი სტატიის მიზნის ფარგლებს სცილდება.

ჩვენ აქ ვიზღუდებით მხოლოდ ისეთი ზმნების მორფოლოგიური ანალიზით, რომლებშიც ნათლად არის გამოკვეთილი საძიებელი ელემენტის (-ლა//-ლ) გრამატიკული მნიშვნელობა. ეს კი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სარწმუნო გახდეს წოვათუშურ ენაში გვარის ჩამოყალიბებული მორფოლოგიური კატეგორიის არსებობა.

ქვემოთ საილუსტრაციო მაგალითებში ზმნურ ფორმებს ვიძლევით წინადადებაში. მარცხენა სვეტში წარმოდგენილია მოქმედებითი გვარის ფორმები, მარჯვნივ — შესაბამისი ვნებითები:

1. **შოთას ხენმაქრე ჴორ თეფსრ — ხენმაქრე ჴორ თეფს-ლა**
შოთა ხიდან ვაშლს აგდებს — ხიდან ვაშლი ვარდება
2. **ნანას ჯეთთ ეპწრ — ჯეთთ ეპწ-ლა**
დედა ძროხას წველის — ძროხა იწველება

3. ნანას ხინკალ ჰჲერჩრ — ხინკალ ჰჲერჩ-ლა

დედა ხინკალს ახვევს — ხინკალი იხვევა

როგორც აღვნიშნეთ, საკვლევი ელემენტი -ლა//-ლ დროკილოთა მთელ სისტემას გაჰყვება — აქტიურისა და პასიური კონსტრუქციების სინტაქსური კორელაცია ნაკვეთების მიხედვით ერთნაირია.

ამიტომ ჩვენ ამჯერად დავკმაყოფილდებით მხოლოდ აწმყოს ფორმების ანალიზით (III პირში). ჩვენი აზრით, ეს სრულიად საკმარისია -ლა//-ლ ელემენტის გრამატიკული მნიშვნელობის დასადგენად.

საილუსტრაციო მაგალითები წყვილ-წყვილადაა წარმოდგენილი. მარცხენა სვეტში მოცემული წინადადებები აქტიური შინაარსისაა; რადგანაც აქ ზმნა-შემასმენელი აქტიურ მოქმედებას გამოხატავს, ქვემდებარე **მოთხრობით ბრუნვაშია**, ხოლო პირდაპირი დამატება — **სახელობითში**.

მარჯვენა სვეტში წარმოდგენილ წინადადებებში **სუბიექტი-ქვემდებარე იკარგება**, რჩება მხოლოდ ობიექტი. ბუნებრივია, ეს კონსტრუქციები პასიური შინაარსისა იქნება, რადგანაც აქტიური კონსტრუქციის ვნებითში გადაყვანისას, როგორც წესი, სუბიექტი საერთოდ იკარგება (სემანტიკის დონეზე). ეს მოვლენა კი მიჩნეულია ვნებითი გვარის სინტაქსურ ნიშნად.

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, ანალოგიური ვითარება დასტურდება წოვათუშურ ენაშიც. მარჯვენა სვეტში წარმოდგენილ მაგალითებში საერთოდ არ იგულისხმება სუბიექტი.

ახლა გადავხედოთ ზმნა-შემასმენლის მორფოლოგიურ სტრუქტურასაც. როგორც ცნობილია, **გვარის კატეგორია თუ არსებობს ენაში, მაშინ ის ზმნაში მორფოლოგიურადაც მარკირებული უნდა იყოს.**

მართლაც, მარჯვენა სვეტის წინადადებებში სუბიექტის გა-

უჩინარებასთან ერთად ზმნა-შემასმენელი აუსლაუტში დაირთავს სუფიქსს -ლა. თუ გავითვალისწინებთ ამ ზმნური ფორმის პასიურ შინაარსს, რაც ქართული შესაბამისი თარგმანიდანაც კარგად ჩანს, კეთდება ლოგიკური დასკვნა, რომლის მიხედვითაც ზმნური სუფიქსი -ლა ვნებითი გვარის ფორმანტია.

ამგვარად, ქვემოთ მოყვანილი ზმნური ფორმების წყვილები ერთმანეთის მიმართ გრამატიკულ კორელაციას ქმნიან გვარის მიხედვით:

თეფსრ „აგდებს“ — **თეფს-ლა** „ვარდება“
ეპწრ „წველის“ — **ეპწ-ლა** „იწველება“
თეტრ „ჭრის“ — **თეტ-ლა** „იჭრება“
პჲევრ „ზელს“ — **პჲევ-ლა** „იზილება“
პჲერჩრ „ახვევს“ — **პჲერჩ-ლა** „იხვევა“

პირველი რიგის ზმნები მოქმედებითი გვარისანი არიან, მეორე — ვნებითისა.

მაშასადამე, ელემენტი **-ლა** გრამატიკული მორფემაა და აწარმოებს ვნებითი გვარის ფორმებს. ხოლო ზემოთ წარმოდგენილ ზმნათა წყვილები ერთმანეთის მიმართ გვარის კატეგორიის **კონვერსიული ფორმებია.**

როგორც ვხედავთ, **წოვათუშურ ენას გააჩნია გვარის ჩამოყალიბებული მორფოლოგიური კატეგორია.**

რა თქმა უნდა, გვარის კატეგორია ამ ენაში ისე მარტივი არ არის, როგორც ეს აქ არის წარმოდგენილი, გასარკვევი და შესასწავლია ჯერ კიდევ ბევრი რამ. მაგალითად, ილუსტრირებული ვნებითური ფორმები თარგმანის მიხედვით ერთპირიანია, მაგრამ კონტექსტის მიხედვით ისინი ორპირიანობის გაგებასაც იძლევა. ამ შემთხვევაში ისინი ქართულ ე-ნიან ვნებითს შეესატყვისებიან.

მაგალითად, იგივე ზმნური ფორმები სხვა კონტექსტში ასე წარმოგვიდგება:

1. **სოგო ჯორ ქორლე^{ნ} თეფს-ლა** — „მე ვაშლი ხელიდან მივარდება“

2. **სოგო დუჯ დოს თეტ-ლა** — „მე ბევრი შეშა მეჭრევინება“

3. **სოგო ბაჯჯრ ცომ ჰ^{ნ}ევ-ლა** — „მე დიდი ცომი მეზელინება“

ასეთი ლაბილური კონსტრუქციის ზმნები არ არის უცხო ნოვათუშური ენისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გვარის წარმოებასთან დაკავშირებით **ერთპირიანი დინამიკური შინაარსის ზმნები**. რადგანაც ვნებითური კონსტრუქციები იწარმოება მოქმედებითის კონსტრუქციებისაგან სუბიექტის გაუჩინარებით, ამიტომ ლოგიკურია, რომ ერთპირიან ზმნებს არ ექნებათ შესაბამისი ვნებითის ფორმები, ისე როგორც ეს ქართულშია. ერთპირიან ზმნებს ერთი პირი გააჩნიათ, ისიც სუბიექტი. აქედან პასიური კონსტრუქციის წარმოება გულისხმობს შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციიდან სუბიექტის დაკარგვას. ეს **კი უაზრობაა, რადგანაც შედეგად უპირო ზმნა უნდა მიგვეღო. უპირო ზმნა კი საერთოდ არ არსებობს.**

ასეთია საკითხის ლოგიკა.

მაგრამ, რაც უნდა **უცნაურად მოგვეჩვენოს,** ფაქტი ფაქტად რჩება — ნოვათუშური ენის ერთპირიანი ზმნებიც დაირთავენ ვნებითის **-ლა** სუფიქსს. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ რიგის ზმნებს და ვაჩვენებთ **-ლა** სუფიქსით ნაწარმოებ ზმნურ ფორმებს. ორივე რიგის ფორმათა შეპირისპირების ფონზე ნათლად გამოჩნდება ერთპირიან ზმნათა აქტიური და პასიური შინაარსი. აქტიური ზმნებისათვის ნიშანდობლივია ისიც, რომ სუბიექტი პირველ და მეორე პირში მოთხრობით ბრუნვაშია. ეს კი იმის ნიშანია, რომ ზმნური სემანტიკა აქტიურია. მაგალითად:

ას ლ̄ითხ „მე ვხტები“

აჰჲ ლ̄ითხ „შენ ხტები“

ო ლ̄ითხ „ის ხტება“

ეს ზმნები დაირთავენ -ლა სუფიქსს, ე.ი. ვნებითის ფორმანტს. მაგალითად:

სო ლეთხ-ლა
ჰთო ლეთხ-ლა
ო ლეთხ-ლა

ამ კონსტრუქციების სიტყვასიტყვითი თარგმნა ვერ ხერხდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ქართულს ამგვარი წარმოება არ გააჩნია. შინაარსი კი ასეთია: მე არ მინდა, მაგრამ ჩემდა უნებურად ვხტები (ასევე შენ და ის). აღნიშნული ზმნებით გამოხატულია ისეთი მოქმედება, რომელიც სუბიექტის ნებასურვილის გარეშე ხდება.

ამგვარი წარმოება ვნებითის ფორმებისა ერთპირიანი ზმნებისაგან ჩვეულებრივია:

ოჭუინ ცო ლეცე, მა ლაპნლა — „იმას არ უნდა, მაგრამ თამაშობს თავისი სურვილის გარეშე, თვითნებურად".

ან კიდევ: **ო ჭჰაღოშ ვუღ-ლა** „ის თავისდაუნებურად მაგრად ყვირის" და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, ვნებითი გვარი იწარმოება მოქმედებითი გვარისაგან: გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნა კარგავს სუბიექტს და პირდაპირი ობიექტი გამოდის მოქმედების ავტორად (აკ. შანიძე) და ობიექტადაც. ეს წესი სემანტიკურია და, ამდენად **ის უნივერსალურია**. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ის მოქმედებს წოვათუშურშიაც.

მაგრამ როგორ ავხსნათ აბსოლუტური ზმნებისაგან ვნებითის ფორმების წარმოება? ეს მეტად სპეციფიკური მოვლენაა და მასზე პასუხის გაცემა, ალბათ, მაშინ მოხერხდება, როცა გვარის კატეგორია მონოგრაფიულად დამუშავდება ამ ენაში, განსაკუთრებით კი ზმნის დინამიკურობისა და სტატიკურობის ურთიერთმიმართების პრობლემა. ამჯერად კი მხოლოდ

ზოგადი პასუხით შეიძლება დავკმაყოფილდეთ: წოვათუშურ ენაში ზმნათა დაპირისპირება **აქტიურობისა და პასიურობის** მიხედვით იმდენად მკვეთრია, რომ ერთპირიანი ზმნებიც კი **მორფოლოგიურ კორელაციას ქმნიან ამ მხრივ.**

მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა გვარის კატეგორიის ზოგადი სტრუქტურა წოვათუშურ ენაში, საფუძველი გვაქვს მისი ტიპოლოგიური შედარებისა ქართული ენის გვარის კატეგორიასთან.

გვარის კატეგორია არის ენის რთული სტრუქტურის ერთერთი შემადგენელი ფრაგმენტული სისტემა, რადგანაც **ტიპოლოგიურ ენათმეცნიერებაში ერთმანეთს უდარებენ მხოლოდ სისტემებს,** ამიტომ გვარის კატეგორიის, როგორც ფრაგმენტული სისტემების, შედარებითი ანალიზი ნებისმიერი ენის შესაბამის კატეგორიასთან მეთოდოლოგიურად სავსებით გამართლებულია.

რა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება და სხვაობა შეინიშნება, ერთი მხრივ, ქართულისა და, მეორე მხრივ, წოვათუშურის გვარის კატეგორიის ფრაგმენტულ სისტემებს შორის?

ამ საკითხზე პასუხის გაცემა წარმოადგენს ამ შრომის საბოლოო მიზანს.

დავიწყოთ მოქმედებითი გვარის ზმნებიდან.

როგორც ცნობილია, გვარის გრამატიკული კატეგორია გამოხატავს, ერთი მხრივ, გრამატიკულ და სემანტიკურ სუბიექტსა და, მეორე მხრივ, სამოქმედო ობიექტს შორის თანაფარდობას, ურთიერთმიმართებას. იმის მიხედვით, თუ როგორია მათ შორის მიმართება, **ზმნები იყოფიან ორ ჯგუფად — მოქმედებითად და ვნებითად. ვნებითი იწარმოება მოქმედებითი გვარის ფორმებისაგან.**

ქართული ზმნა მორფოლოგიურად მეტად მდიდარია. ეს სიმდიდრე თავს იჩენს გვარის კატეგორიის წარმოებაშიც (5, 280). ამ მხრივ ის წოვათუშური ენისაგან მკვეთრად განსხვავ-


დება. თუ ქართული ზმნა ვნებითში ოთხ ჯგუფს იძლევა: ი-ნიანს, ე-ნიანს, დ-ონიანს და უნიშნოს — წოვათუშური ზმნა ერთ ჯგუფს ქმნის, ყველა ზმნა ვნებითში ერთიანდება -ლა//-ლ მორფემის ქვეშ.

ქართული ზმნა **პოლიპერსონალურია**. ეს პოლიპერსონალიზმი ვლინდება ვნებითის ფორმებშიც. მაგალითად:


ის მე მიშენებს სახლს — მე მიშენდება სახლი

ის მე მიწერს ლექსს — მე მეწერება ლექსი და სხვ.

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, ზმნის პოლიპერსონალიზმი მორფოლოგიურად მარკირებულია როგორც აქტივის, ასევე პასივის ფორმებში ისე, რომ სუბიექტი და ობიექტი ორივე რიგის ფორმებში მორფოლოგიურად ასახულია. განსხვავებას ქმნის ვნებითის სათანადო ნიშნები **(-ე, -დ)**. როგორც აღვნიშნეთ, ვნებითის ფორმებისათვის ამოსავალია მოქმედებითი ზმნა. მისგან იწარმოება ვნებითის ყველა ფორმა. ეს ტრანსფორმაცია სქემატურად ასე გამოისახება:



ეს არის რთული მოდელი, რომელიც თავის თავში შეიცავს ორ მოდელს. პირველ მოდელს სამპირიანი ზმნები ქმნიან, მეორეს — ორპირიანი ზმნები.



მაგალითად ე-ნიანი:

მწყემსი ნადირს ცხვარს უმალავს→ ნადირს ცხვარი ემალება.


დ-ონიანი:

ხელოსანი სახლს უშენებს მეზობელს→ სახლი უშენდება მეზობელს.

უნიშნო:

ცეცხლი ბავშვს ხელებს უთბობს → ბავშვს ხელები უთბება ერთპირიანია. აქტიური ზმნები პასივში გადაყვანისას, როგორც ცნობილია, კარგავენ სუბიექტურ პირს და ზმნა ორპირიანი ხდება. ეს მორფოლოგიური დერივაცია კარგადაა ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან და აქ მის აღწერას აღარ შევუდგებით. იგივე პროცესი გვაქვს ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნებთანაც.

ორპირიანი ზმნებიც ვნებითში სამწევრიან მოდელს ქმნიან:



მაგალითად **ი-ნიანი ვნებითი:**

პოეტი ლექსს წერს → ლექსი იწერება

ხელოსანი სახლს ანგრევს → სახლი ინგრევა

დ-ონიანი ვნებითი

ხელოსანი სახლს აშენებს → სახლი შენდება

აგრონომი ეზოს ამწვანებს → ეზო მწვანდება

უნიშნო ვნებითი

ბუხარი ოთახს ათბობს → ოთახი თბება...

როგორც საილუსტრაციო მაგალითებიდან ჩანს, ქართული


ენა მდიდარია ვნებითის ფორმებით. ვნებითის მიხედვით ზმნები ოთხ მორფოლოგიურ ჯგუფს იძლევა.

როგორი ვითარება გვაქვს ამ მხრივ წოვათუშურ ენაში?

ვნებითის ფორმების წარმოების მხრივ წოვათუშურ ენაში გაცილებით უფრო მარტივი ვითარება გვაქვს. აქ გვარის კატეგორია ასეთ მოდელს იძლევა:

მოქმედებითი → ვნებითი (-ლა//-ლ)

როგორც ვხედავთ, მოქმედებითი გვარის ზმნებს ვნებითში მხოლოდ ერთი ფორმა შეესაბამება (-ლა//-ლ-თი ნაწარმოები). ეს ორი ელემენტი ფონეტიკური ვარიანტებია ერთმანეთის მიმართ. ოღონდ აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: წოვათუშურში ვნებითის ფორმები იწარმოება როგორც მოქმედებითი გარდამავალი ზმნებისაგან, ასევე გარდაუვალი ერთპირიანი ზმნებისაგან. თუ ამ ვითარებას გავითვალისწინებთ (ეს კი აუცილებელია), მაშინ ზემოთ წარმოდგენილი მოდელი მთლად ზუსტი ვერ იქნება. რეალურ ვითარებას უფრო ზუსტად ასახავს შემდეგი მოდელი:



ამგვარად, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით გვარის კატეგორია ქართულსა და წოვათუშურში სრულიად განსხვავებულ მოდელებს გვიჩვენებს. ქართულში გვარის კატეგორიის პარადიგმა რთულია, მრავალფეროვანია, ხოლო წოვათუშურ ენაში — მარტივი.

ეს სხვაობა უფრო შორს მიდის სინტაქსური კონსტრუქციების შედარებისას. თუ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნებს

სერიების მიხედვით სამი კონსტრუქცია აქვთ — **ნომინატიური, ერგატიული და დატიური,** ნოვათუშურის ზმნას მხოლოდ ერთი კონსტრუქცია აქვს — ერგატიული.

ასე რომ, სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვითაც წოვათუშური ენა განსხვავებულ სურათს იძლევა ქართულთან შედარებით.

ერთ თავისებურებასაც ავლენს წოვათუშური ენა. ვნებითის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით, ვნებითის ფორმას შეეწყობა ორი კონსტრუქცია — **ერგატიული და ნომინატიური.** თუ ზმნის შინაარსი გააზრებულია როგორც დინამიკური, მაშინ ზმნასთან შეწყობილი სუბიექტი მოთხრობითშია, ხოლო თუ პასიურად, მაშინ — სახელობითში. **ეს ლაბილური სინტაქსური კონსტრუქცია სპეციფიკური ნიშანია ამ ენისა.**

მაგალითად:

ას („მე" — ერგ.) ცო
სო („მე" — სახ.) ცო
} ხარც-ლა „მე არ შევიცვლები".

ას („მე" — ერგ.)
სო („მე" — სახ.)
} თეფსლა „მე ვვარდები".

ზმნის პასიურ ფორმათა ლაბილური კონსტრუქციების პრობლემა მეტად საინტერესოა და მასშტაბურ კვლევას მოითხოვს. ამჯერად კი ის ჩვენი კვლევის საზღვრებს სცილდება და ამიტომ მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

ლიტერატურა

1. Якобсон Р., Типологические исследования и их вклад в сравнительно- историческое языкознание, Новое в лингвистике, т. III М., 1963, стр. 97.

2. Рождественский Ю. В., Типология слов, М., 1969, стр. 31.

3. Общее языкознание, Методы лингвистических исследований, М., 1973, стр. 231.

4. Цискаров И., Краткая тушино-цовская грамматика, 1948, стр. 29 (ხელნაწერი)

5. შანიძე ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 280.

ქართულიდან ნასესხები ერთი სუფიქსი ბაცბურ (წოვა-თუშურ) ენაში*

ამჟამად ბაცბურ ენას აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად ორი სუფიქსი მოეპოვება. ესენია: -ოლ და -ლობ.[1] პირველი მხოლოდ ზედსართავებთან გვხვდება,[2] ხოლო მეორე — არსებითებთან. მაგალითად:

		-ოლ	
ღაზე^{ნ}	„კარგი"	ღაზ-ოლ	„კარგობა"
მოსსი^{ნ}	„ცუდი"	მოსს-ოლ	„ცუდობა"
ლაჴე^{ნ}	„მაღალი"	ლაჴ-ოლ	„სიმაღლე"
მაწრი^{ნ}	„ტკბილი"	მაწრ-ოლ	„სიტკბო"
ჯარჭი^{ნ}	„შავი"	ჯარჭ-ოლ	„სიშავე"
წეგე^{ნ}	„წითელი"	წეგ-ოლ	„სიწითლე"
ყაჰჲე^{ნ}	„მწარე"	ყაჰჲ-ოლ	„სიმწარე"
შორი^{ნ}	„განიერი"	შორ-ოლ	„სიგანე" და სხვ.

		-ლობ	
ჲაშრ	„და"	ჲაშ-ლობ	„დობა"
ვაშრ	„ძმა"	ვაშ-ლობ	„ძმობა"
ხი	„წყალი"	ხი-ლობ	„წყლობა"
მაჲჴ	„პური"	მაჲჴ-ლობ	„პურობა"
სტაკ	„კაცი"	სტაკ-ლობ	„კაცობა"
ნაჩხ	„ყველი"	ნაჩხ-ლობ	„ყველობა"
ჟაგნრ	„წიგნი"	ჟაგნ-ლობ	„წიგნობა"
დიკ	„ცული"	დიკ-ლობ	„ცულობა" და სხვ.

---

* პირველად დაიბეჭდა 1963 წელს. იხ. კ. ქრელაშვილი, „ქართულიდან ნასესხები ერთი სუფიქსი ბაცბურ ნოვა-თუშურ ენაში", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.96.

1. ი. დეშერევი აღნიშნული ფუნქციით გამოყოფს -ლლ//-ლლა სუფიქსს; Бацбийский язык, Москва, 1953, გვ. 60.

2. A. Schiefner, Versuch uber die Thusch-Sprache. St.-Petersbourg, 1856. გვ. 30, § 74.

ამგვარად, -ოლ და -ლობ სუფიქსების გამოყენების არე გარკვევითაა გამიჯნული ერთმანეთისაგან.

საყურადღებოა, რომ ჩაჩნურსა და ინგუშურს სათანადო კატეგორიის გამოსახატავად მხოლოდ ერთი სუფიქსი (-ლა/-ლ) მოეპოვებათ.[1] ეს გარემოება გვაფიქრებინებს -ლობ სუფიქსის მეორეულობას ბაცბურში. თუ ეს ასეა, მაშინ გასარკვევია აღნიშნული ფლექსიის მორფოლოგიური გენეზისი. ა. შიფნერის აზრით, ის უცხო სუფიქსია (entlehnten Suffixe).[2]

ავტორი სესხების წყაროს არ ასახელებს.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს ქართულიდან შესული სიტყვები, რომლებიც აბსტრაქტულობას -ობ სუფიქსით აწარმოებენ, მაგალითად:

მეზობელ	„მეზობელი“	მეზობლ-ობ	„მეზობლობა“
მეგობარ	„მეგობარი“	მეგობრ-ობ	„მეგობრობა“
მონ	„მონა“	მონ-ობ	„მონობა“
ვაჟკაც	„ვაჟკაცი“	ვაჟკაც-ობ	„ვაჟკაცობა“...

ა. შიფნერს ეს სუფიქსი, სრულიად საფუძვლიანად, ქართული -ობა სუფიქსის შემოკლებულ სახედ მიაჩნია. ამის შესახებ ის წერს: „Aus dem georgischen die Endung ob, die aus oba verkurzt ist“.[3]

ილუსტრირებულ მაგალითებში ნიშანდობლივია ის, რომ განყენებულ ცნებათა ამგვარი წარმოება მხოლოდ ნასესხებ არსებით სახელებზე ვრცელდება. საფიქრებელია, რომ ამ სიტყვებშივე იგრძნობოდა -ობ სუფიქსის გრამატიკული მნიშვნელობა, რამაც შეაპირობა საკუთრივ ბაცბურ სახელებშიც დამკვიდრებულიყო იგი.

1.Ц.К. Услар, Чеченскій языкъ, Тифлисъ. 1888, გვ. 11.

2. დასახ. შრომა, გვ. 30, § 77.

3. დასახ. შრომა, გვ. 30, § 76.

მართლაც, როგორც ბაცბურის სათანადო მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ნასესხებ სიტყვებთან შესული ქართული სუფიქსი **-ობ (← ობა)** მოქმედების სფეროს თანდათან იფართოებს და მკვიდრდება საკუთრივ ბაცბურ სახელებთანაც. ოღონდ, იმგვარად, რომ შესაბამის ბაცბურ სუფიქსს **-ოლ**-ს კი არ ენაცვლება, არამედ მასთან ერთად ფორმდება ერთ მთლიან სუფიქსში **-ლობ**-ში. აბსტრაქტულ სახელთა ამგვარი წარმოება რომ მეორეულია, ჩანს შიფნერისეული მაგალითებიდანაც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის არსებითი სახელები, რომლებიც განყენებულ ცნებას **-ოლ** სუფიქსით გამოხატავს (შიფნერის მიხედვით). მაგალითად:

დითხ	„ხორცი"	დითხ-ოლ	„ხორცობა"
ბადერ	„ბავშვი"	ბადრ-ოლ	„ბავშვობა"
დად	„მამა"	დად-ოლ	„მამობა"[1]

ამჟამად კი აღნიშნული სახელები შესაბამისი წარმოებისათვის **-ლობ** სუფიქსს იყენებენ, მაგალითად:

დითხ	„ხორცი"	დითხ-ლობ	„ხორცობა"
ბადერ	„ბავშვი"	ბადრ-ლობ	„ბავშვობა"
დად	„მამა"	დად-ლობ	„მამობა"

ამგვარად, აბსტრაქტულობის **-ლობ** სუფიქსი რთული შედგენილობისაა და მიღებულია საკუთრივ ბაცბურის **-ოლ** და ქართულიდან შესული **-ობ (← ობა)** სუფიქსების შეერთების გზით, ე.ი. **ლობ← ოლ+ობა**. ახალი, **-ობ** სუფიქსის დართვამ გამოიწვია ბაცბურ **-ოლ** სუფიქსის რედუქცია, ხოლო პირველმა,

1. დასახ. შრომა, გვ. 30, § 74.

თანახმად ბაცბურ ვოკალთა ფონეტიკური ბუნებისა,[1] მოიკვეცა კიდური ხმოვანი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ახალმა (-ლობ) და საკუთრივ ბაცბურმა სუფიქსმა (-ოლ) მოქმედების სფერო გაინაწილეს — პირველი დამკვიდრდა არსებით სახელებთან და მათგან ნაწარმოებ ზედსართავებთან, მეორე კი — საკუთრივ ატრიბუტივებს შერჩათ.

ჩვენ მიერ გაანალიზებული სუფიქსი -ლობ ინტერესს იწვევს ზოგადთეორიული თვალსაზრისითაც, რამდენადაც ჩვენ აქ საქმე გვაქვს ახალი სუფიქსის ჩამოყალიბების ფაქტთან.

1. რ. გაგუა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში, იკე, ტ. VIII, თბილისი, 1956 წ., გვ. 469.

მორფოლოგიური ინტერფერენციის შესახებ წოვათუშურში ენობრივი კონტაქტების თეორიის შუქზე*

ენათა კონტაქტებისა და ბილინგვიზმის პრობლემას, გარდა სოციალურისა, დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიული და ემპირიული ლინგვისტიკის თვალსაზრისითაც. ამის შესახებ ჯერ კიდევ ჰ. შუხარდტი წერდა: „იმ პრობლემებს შორის, რომლებსაც ამჟამად ამუშავებს ენათმეცნიერება, არც ერთი არ არის ისე მნიშვნელოვანი, როგორც ენათა შერევის პრობლემა. ეს პრობლემა პირველ რიგში გამონვლილვით იქ უნდა იქნეს შესწავლილი, სადაც არსებობს საუკეთესო პირობები ენათა შერევის პროცესებზე დაკვირვებისა და მისი მეცნიერული შესწავლისა" (1, 175).

ბილინგვიზმის ცნება ერთი შეხედვით თითქოს ნათელია, მაგრამ, როცა საქმე მის მეცნიერულ განმარტებაზე მიდგება, მაშინ თავს იჩენს რიგი სირთულეებისა, რომლებიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ეს, ალბათ, გამოწვეულია იმითაც, რომ ენათა კონტაქტების თეორია ამჟამად ფორმირების სტადიაში იმყოფება, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს ვ. როზენცვეიგი (2, 22).

რადგან ბილინგვიზმის ცნების შინაარსის მართებულ გაგებასთან შინაგან კავშირშია ინტერფერენციის მოვლენების ლინგვისტური ანალიზის მეცნიერული სიზუსტე, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენი გამოკვლევა დავიწყოთ აღნიშნული ცნების ინტერპრეტაციით.

თუმცა ამ ცნების მეცნიერული კვალიფიკაცია არცთუ ისე

---

* პირველად დაიბეჭდა 1977 წელს. იხ. კ. ჭრელაშვილი, „მორფოლოგიური ინტერფერენციის შესახებ წოვათუშურში ენობრივი კონტაქტების თეორიის შუქზე", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 187, „ენათმეცნიერება".

იოლი ჩანს. ამის თაობაზე აკი აღნიშნავს კიდეც ვ. ავრონინი: „ორენოვნება თავისი შინაარსით საკმაოდ რთული ცნებაა“ (3, 129).

ბილინგვიზმის ცნება დიდი ხანია ლინგვისტების, სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების ყურადღების ცენტრში დგას.

არის აზრი, რომ ბილინგვიზმი ფსიქოლოგიის ობიექტია, ზოგსაც სოციოლოგიის სფეროში გადააქვს იგი.

მაგრამ, რამდენადაც ბილინგვიზმი უმთავრესად ენობრივი მოვლენაა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ვლინდება ენობრივ ფაქტებში, ამდენად ის არსებითად ლინგვისტიკის, უფრო სწორად სოციოლინგვისტიკის ობიექტია (4, 6).

დავას იწვევს ორენოვნების ცნების გაგებაც. ზოგი ავტორი ფიქრობს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ლინგვისტური და სოციოლოგიური თვალსაზრისები ბილინგვიზმის ცნების განმარტებისას. პირველი გულისხმობს ორივე ენის საფუძვლიან ცოდნას, ხოლო მეორის მიხედვით აღნიშნული პირობა, ანუ ორივე ენის საფუძვლიანი ცოდნა, არაა აუცილებელი.

გრამატიკულ ინტერფერენციას მაშინ აქვს ადგილი, როცა **იდეალურ ბილინგვიზმთან** გვაქვს საქმე; ლექსიკურ ინტერფერენციისათვის კი არაა აუცილებელი მეორე ენის საფუძვლიანი ცოდნა.

ორენოვანი კოლექტივის მეტყველების კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარჩევას ცნებებისა „ცალმხრივი ორენოვნება“ და „ორმხრივი ორენოვნობა“ (5, 333).

ცალმხრივია ორენოვნება, როცა A ფლობს B ენას, ხოლო B-მ არ იცის A ენა. ორმხრივია ორენოვნობა, როცა A-მ იცის B ენა და B-მაც იცის A ენა.

საბჭოთა კავშირში ხშირი იყო მაგალითები ცალმხრივი ორენოვნებისა. ამის ერთ-ერთი მაგალითია წოვათუშური ენობრივი კოლექტივი.

წოვათუშების მთელი ენობრივი კოლექტივი ბილინგვები არიან, ე.ი. მთლიანად მასა ორივე სამეტყველო ენას საფუძვლიანად ფლობს. მაგრამ აქ ერთი კითხვა ისმის: როგორია თანაფარდობა ცოდნის მხრივ ორი ენისა, ერთი მხრივ, წოვათუშურისა, ხოლო, მეორე მხრივ, ქართულისა. ე.ი. წოვათუშები ორივე ენას თანაბრად ფლობენ, თუ ერთ-ერთ მათგანს დომინირებული როლი აკისრია.

ამ საკითხის მართებულ გაგებაზეა დამოკიდებული ქვემოთ წარმოდგენილი პოზიტიური ნაწილის მეცნიერული ღირებულება.

როგორ გავიგოთ ორი ენის თანაბარი ცოდნა?

ორი ენის თანაბარი ცოდნა მაშინ არის, როცა ერთი ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში ერთმანეთის გვერდით არსებობს ორი ენობრივი სისტემა და კომუნიკაციის დროს თავისუფლად და ბუნებრივად ენაცვლებიან ისინი ერთმანეთს. ვფიქრობთ, ასეთი ბილინგვიზმი აქვს მხედველობაში ა. როსეტის, როცა ის წერს: „საჭიროა განვასხვავოთ კიდევ მესამე შემთხვევა: როცა ორი ენობრივი სისტემა თანაარსებობს და ჩვენს ცნობიერებაში ქმნის ასოციაციათა ერთ სისტემას; ერთი ენის თითოეულ ელემენტს აქვს შესატყვისი მეორე ენაში. აქ გადასვლა ერთი სისტემიდან მეორეში ხდება თავისუფლად“ (6, 116).

ასეთ ბილინგვიზმს უწოდებენ **იდეალურ ბილინგვიზმს**. იდეალური ბილინგვიზმი გულისხმობს ორივე ენის მასობრივ, კოლექტიურ ცოდნას.

ბ. ჰავრანეკის აზრით, ტერმინი „ორენოვნობა“ ენის განვითარების კანონების შესწავლისას შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ იქ, სადაც ორ ენას მთელი კოლექტივი ფლობს თანაბარი ძალით: „ჩემი აზრით, ენის განვითარების შესწავლისას ტერმინი „ორენოვნება“ უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ კოლექტიური ორე-

ნოვნობის მიმართ, ე.ი. შემოვფარგლოთ ის იმ შემთხვევებით, როცა ერთ ენობრივ კოლექტივში (და არა მხოლოდ მის ცალკეულ წევრში) გვაქვს და გამოყენებულია ორი სხვადასხვა გრამატიკული სისტემა და ორი სხვადასხვა ლექსიკა" (7,96).

მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბილინგვურ სიტუაციაში ერთ-ერთი ენა მაინც დომინირებულია სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სხვა ფაქტორთა გავლენით. ასეთი შემთხვევა გვაქვს ცალმხრივ ბილინგვიზმში. ცალმხრივი ბილინგვიზმი კი, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, გულისხმობს A-ს მიერ B ენის ცოდნას, პირიქით კი გამორიცხულია.

აქედან გამომდინარე დგება საკითხი: რომელია დომინირებული ენა წოვათუშების ორენოვან კოლექტივში? ქართული თუ წოვათუშური?

ეს საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს. მთელი კოლექტივის მეტყველების ლინგვისტურ-ფსიქოლოგიური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდება დომინირებული ენის დადგენა.

თუ ჩვენ საშუალო და ახალგაზრდა თაობის მეტყველებას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ისინი მეტყველების პროცესში სრულიად ბუნებრივად, თავისუფლად, ძალდაუტანებლად გადაერთვებიან ერთი ენობრივი სისტემიდან მეორე ენობრივ სისტემაზე იმის მიხედვით, თუ აზრის შესაბამის სიტყვიერ სამოსელს რომელ ენაში უფრო ადვილად მიაგნებენ. ამ დროს საინტერესოა მოლაპარაკის **ფსიქოლოგიური განწყობაც**. ჩვენი აზრით, ისინი ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლისას არ გრძნობენ უცხო ენობრივ გარემოს. ხშირად წინადადების ნახევარი ქართული სიტყვებისაგან შედგება, ნაწილი კი — წოვათუშური სიტყვებისაგან. მათ ცნობიერებაში ეს ორი სხვადასხვა ენობრივი სისტემის ფრაგმენტები ისეა შედუღებული, შეკრული ერთ სინტაქსურ ერთეულში, რომ ასოცირდება როგორც ერთი ენობრივი მასალა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასაუბრო თემასაც. ზოგჯერ, თემისდა მიხედვით, კომუნიკაციის სიმძიმის ცენტრი ქართულზე მოდის, რადგან ამ ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სიუხვე და სოციალურ-კულტურული პირობები ამის საფუძველს იძლევა. აქედან გამომდინარე ვთქვათ, რომ ამჟამად წოვათუშების მეტყველებაში დომინანტობის პრეტენზია აქვს ქართულს. ამას გვაფიქრებინებს **ვაინრაიხის** გამონათქვამიც: „დომინირებულია ის ენა, რომელსაც თავისი ცხოვრების მოცემულ მონაკვეთზე უკეთესად ფლობს ადამიანი" (8, 53).

როგორც ჩანს, წოვათუშური ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელია ცალმხრივი, იდეალური, ანუ ადეკვატური ორენოვნება, რაც ძალზე საინტერესო მასალას იძლევა ინტერფერენციისა და კონვერგენციის ზოგადი საკითხების კვლევისთვისაც.

ბუნებრივია, ასეთი იდეალური ორენოვანი კოლექტივის მეტყველებაში ადგილი ჰქონდეს ინტერფერენციის მოვლენებს როგორც ფონეტიკის, ლექსიკის, ასევე გრამატიკის დონეზე. ჩვენი აზრით, მართალია ი. დეშერიევი, როცა წერს: „Нет такой сферы в структуре языка, которая была бы в таких случаях непроницаемой для воздействующего языка" (5, 112).

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ გამოჩენილი ფრანგი ენათმეცნიერის ა. მეიეს აზრიც: Грамматические системы двух языков... непроницаемы друг для друга (5, 112).

ქვემოთ წარმოვადგენთ მორფოლოგიური ინტერფერენციის ორ შემთხვევას წოვათუშურ ენაში.

თანამედროვე წოვათუშურ ენაში აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს ორი მორფემა: **-ოლ** და **-ლობ**. პირველი აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს ზედსართავი სახელებიდან, მეორე — არსებითი სახელებიდან.

მაგალითად:

	ღაზე^{ნ}	„კარგი“	ღაზ-ოლ	„კარგობა“
	ლაჭე^{ნ}	„მაღალი“	ლაჭ-ოლ	„სიმაღლე“
	წეგე^{ნ}	„წითელი“	წეგ-ოლ	„სიწითლე“
შდრ.	ᲓაშᲮ	„და“	Დაშ-ლობ	„დობა“
	ვაშᲮ	„ხმა“	ვაშ-ლობ	„ძმობა“
	ᲓოჰᲪ	„ქალი“	ᲓაჰᲪ-ლობ	„ქალობა“ და სხვ.

ამათ გვერდით წოვათუშურში დამკვიდრდა ქართულიდან შესული ლექსიკა შესაბამისი აბსტრაქტული კორელატებით, მაგალითად:

მეზობელ	„მეზობელი“	მეზობლ-ობ	„მეზობლობა“
მეგობარ	„მეგობარი“	მეგობრ-ობ	„მეგობრობა“
მონ	„მონა“	მონ-ობ	„მონობა“ და სხვ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთ ბილინგვურ კოლექტივში, როგორიც წოვათუშებია, ილუსტრირებულ აბსტრაქტულ სახელებში იმთავითვე იგრძნობოდა -ობ სუფიქსის გრამატიკული მნიშვნელობა, რამაც შემდგომ განაპირობა საკუთრივ წოვათუშურ სახელებშიც დამკვიდრებულიყო ის.

მართლაც, როგორც წოვათუშურის სათანადო მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ნასესხებ სიტყვებთან შესული ქართული სუფიქსი **-ობ (← ობა)** მოქმედების სფეროს თანდათან იფართოებს. ოღონდ იმგვარად, რომ შესაბამის წოვათუშურ სუფიქსს **-ოლ** კი არ ენაცვლება, არამედ მას ერწყმის და შედეგად ვიღებთ ახალ „რთულ“ სუფიქსს **-ლობ**.

ამგვარად, არსებითი სახელებიდან აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი მორფემა **-ლობ← ლ — ობ← ოლ — ობა**. ახალი **-ობა** სუფიქსის დართვამ გამოიწვია წოვათუშური **-ოლ** სუფიქსის რედუქცია.

განხილული მაგალითების სახით ჩვენს წინაა **მორფოლოგიური ინტერფერენციის** საინტერესო ფაქტი, რომელსაც ენათა კონტაქტების თეორიის თვალსაზრისით **უნიკალური** მნიშვნელობა ენიჭება.

სხვათა შორის, ტიპოლოგიურად ანალოგიური მორფოლოგიური ინტერფერენცია დასტურდება წახურულ ენაშიც (10, 277).

პრაღის სკოლის ცნობილი წარმომადგენელი **ბ. ჰავრანეკი** ენის იმანენტური განვითარების გვერდით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგან ფაქტორსაც, კერძოდ, მეორე ენის გავლენას, რაც ხდება ორენოვნობის შემთხვევაში. ის წერს: „მაგრამ მეორე მხრივ, არსებობს გარეგანი მოტივირება ენის განვითარებისა, და აქაც უცხოენობრივი გავლენა წარმოადგენს ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს“ (7, 95).

ამავე თვალსაზრისზე დგას **ა. მარტინეც**: „ჩემი აზრით, არ იქნება გადაჭარბებული იმის თქმა, რომ ენათა ურთიერთგავლენა არის ერთ-ერთი მძლავრი სტიმული ენობრივი ცვალებადობისა“ (12, 83).

როდესაც ენის სტრუქტურაში ჩნდება ახალი მოვლენა, მისი მიზეზი ან საკვლევი ენის შიგნით უნდა ვეძიოთ, ანდა მის გარეთ, მისი წარმოშობა განპირობებულია სხვა ენის გავლენით.

ენა სესხულობს არამარტო ლექსიკურ ერთეულებს, გრამატიკულ მორფემებს, არამედ ამა თუ იმ **მორფოლოგიური კატეგორიის** მოდელსაც, მასალას კი საკუთარს იყენებს. **ამ გზით ერთი ენის სტრუქტურა უახლოვდება მეორე ენის სტრუქტურას**. ეს კი ძალზე საინტერესო ფაქტი უნდა იყოს ენათა ინტერფერენციის თვალსაზრისით.

ამგვარ მოვლენათა რიგს განაკუთვნებენ არტიკლის კატეგორია ბულგარულში. არტიკლის მასალად ამ ენამ გამოიყენა საკუთარი, კერძოდ, ჩვენებითი ნაცვალსახელი, ხოლო მოდელი

ბერძნულია. ამის შესახებ ვ. გეორგიევი წერს: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ეპოქაში პოსტპოზიციური არტიკლი შეიქმნა ბერძნული განსაზღვრული არტიკლის მოდელის მიხედვით, მაგრამ ბულგარული ენის საკუთარი მასალიდან (11, 411).

ამგვარ მოვლენას შეიძლება ვუწოდოთ ინტერფერენცია გრამატიკულ დონეზე ან **გრამატიკული ინტერფერენცია**, შეიძლება **სტრუქტურული ინტერფერენციაც** ვუწოდოთ.

ქვემოთ წარმოვადგენთ გრამატიკული ინტერფერენციის მეორე შემთხვევას წოვათუშურ ენაში.

ნახური ენებიდან პირის კატეგორია მხოლოდ წოვათუშურ ენას მოეპოვება. აღნიშნული გრამატიკული კატეგორია აშკარად მეორეულია და მისი საბოლოო ფორმირება ჩვენ თვალწინ ხდება. პირის კატეგორიის ჩამოყალიბებამ ძირეულად შეცვალა ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა. თუ მანამდის ზმნა იცვლებოდა მხოლოდ გრამატიკული კლასის მიხედვით, ახლა ამას დაერთო პირის ნიშნების მიხედვითაც მისი ცვლა, რამაც ზმნა მორფოლოგიურად უფრო გაამდიდრა. ზმნაში ერთდროულად აღნიშნულია როგორც **ობიექტი**, ისევე **სუბიექტი**. ამდენად, **მონოპერსონალურიდან** მივიღეთ **პოლიპერსონალური** ზმნა.

გავეცნოთ მაგალითებს. საანალიზოდ ავიღოთ ისეთი ზმნები, რომლებიც კლასის ნიშნებს დაირთავენ, რადგანაც ამ რიგის ზმნებში ნათლად გამოჩნდება ზმნის **პოლიპერსონალური სტრუქტურა**.

პირის ნიშნებს, როგორც ცნობილია, დაირთავს I და II პირი, მესამე პირი ნულოვანი აფიქსით უპირისპირდება I და II პირს. პირის ნიშანი **გამოხატავს** როგორც **სუბიექტს**, ასევე **ობიექტს**.

პირის ნიშნებად გამოყენებულია შესაბამისი ნაცვალსახელები. თუ პირის ნიშანი ობიექტურია, მაშინ ზმნას უერთდება ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმა, რადგანაც

ობიექტი ნოვათუშურ ენაში ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია, ხოლო, როცა პირის ნიშანი სუბიექტურია, მაშინ პირის ნიშნად ფორმდება შესაბამისი ნაცვალსახელის ერგატიული ფორმა (თუ ზმნა **გარდამავალია**, ანდა **დინამიკურ** შინაარსს გამოხატავს). სტატიკურ ზმნებთან სუბიექტი სახელობითშია და პირის ნიშანიც სახელობითის ფორმით ერთვის მას.

პირის ნიშანს სუფიქსური პოზიცია უკავია, ხოლო კლასის ნიშანი პრეფიქსადაა წარმოდგენილი:

	მხოლობითი რიცხვი	
I პირი:	**ას სიმინდ დ-ივო-ს**	**ას მეჲჴ ← ჲ-აყო-ს**
	მე სიმინდს ვთესავ	მე პურს ვჭამ
II პირი:	**აჰჱ სიმინდ დ-ივო-ჰჱ**	**აჰჱ მეჲჴ ← ჲ-აყო-ჰჱ**
	შენ სიმინდს თესავ	შენ პურს ჭამ
III პირი:	**ოჴუს სიმინდ დ-ივრ**	**ოჴუს მეჲჴ ჲ-აყრ**
	ის სიმინდს თესავს	ის პურს ჭამს

პირველი ზმნის ფორმაში ზმნის (დ-ივო-ს: ჲ-აყო-ს) სუფიქსი **-ს** გამოხატავს სუბიექტს მხოლობით რიცხვში. ის მომდინარეობს პირველი პირის ნაცვალსახელიდან **სო** „მე“. რადგანაც ზმნა **დ-ივო-ს** არის გარდამავალი, ამიტომ სუბიექტი მას შეეწყობა ერგატივის ფორმით. I პირის ნაცვალსახელი **სო** ერგატივში იძლევა **-ას** ფორმას. ზმნასაც ის ამ ფორმით დაერთვის, მაგრამ ხმოვანფუძიან ზმნებთან ხდება აფიქსისეული ხმოვნის რედუქცია და რჩება მხოლოდ თანხმოვნითი ელემენტი **ს**.

ამრიგად, პირველი პირის ფორმაში (დ-ივო-ს, ჲ-აყო-ს) **-ს** არის სუბიექტის ნიშანი, ხოლო პრეფიქსები **დ-** და **ჲ-** გრამატიკული კლასის ნიშნებია და სათანადო ობიექტს გამოხატავენ.

II პირის ფორმებში (დ-ივო-ჰჱ, ჲ-აყო-ჰჱ) სუფიქსი **-ჰჱ** არის II

სუბიექტური პირის ნიშანი. გენეტურად ისიც, აგრეთვე უკავშირდება II პირის ნაცვალსახელს ⴠⴟⴝ „შენ". ეს ნაცვალსახელი ერგატივში გვხვდება ⴀⴠⴟ ფორმით. საანალიზო ზმნაც ამ ფორმით დაირთავს მას, ოღონდ აქაც, ისე როგორც I პირის ფორმასთან, ხდება სუფიქსისეული მორფემის ხმოვნის რედუქცია და პირის ნიშნად ფორმდება ხმოლოდ თანხმოვნითი ელემენტი -ⴠ.

დ- და ⴋ- პრეფიქსები აქაც სათანადო გრამატიკული კლასის ნიშნებია და ობიექტს აღნიშნავენ.

III პირი ნიშანს არ დაირთავს და ის ნულოვანი მორფემით უპირისპირდება I და II პირს.

როგორც ვხედავთ, **წარმოდგენილი ზმნების მორფოლოგიურ სტრუქტურაში ობიექტიცაა წარმოდგენილი (პრეფიქსის სახით) და სუბიექტიც.** ასეთი სტრუქტურა აქვს ამჟამად **ყველა ამ ტიპის ზმნას** წოვათუშურ ენაში.

აქ ფორმალურად ისეთივე მოდელთან გვაქვს საქმე პირის ნიშანთა ხმარების მხრივ, როგორიც ქართულშია ობიექტური წყობის ზმნებთან:

I პირი	მ-წერ-ს	მ-ხატავ-ს
II პირი	გ-წერ-ს	გ-ხატავ-ს
III პირი	წერ-ს	ხატავ-ს

პრეფიქსი ობიექტის ნიშანია, სუფიქსი კი სუბიექტისა, ისე როგორც წოვათუშურში.

ზმნაში S-ისა და O-ის განაწილების მოდელი ერთმანეთს ემთხვევა, ოღონდ სხვაობას ქმნის მოდელის შინაარსი პირების მიხედვით. თუ ქართულში სუბიექტი მესამე პირია, ხოლო ობიექტი I ან II პირი, წოვათუშურში სუბიექტია I ან II პირი, ხოლო ობიექტი მოყვანილი მაგალითების მიხედვით III პირია.

ეს სხვაობაც გამოწვეულია იმით, რომ წოვათუშურ ზმნებს მესამე პირში ნიშანი არა აქვთ.

ამ რიგის ზმნური ფორმები გვაქვს მხედველობაში, როცა წოვათუშური ენის **პოლიპერსონალიზმზე** ვლაპარაკობთ.

ეს ფორმები კი, მართლაც, ქართულის მსგავს სტრუქტურულ მოდელებს იძლევიან.

ანალოგიურ სტრუქტურულ სურათს იძლევა აღნიშნული ტიპის ზმნები მრავლობითშიც, მაგალითად:

	მრავლობითი რიცხვი	
I პირი	**ათხ სიმინდ დივო-თხ**	**ათხ მაჲჴ ჲ-აყო-თხ**
	ჩვენ სიმინდს ვთესავთ	ჩვენ პურს ვჭამთ
II პირი	**აჲშ სიმინდ დივუ-ჲშ**	**აჲშ მაჲჴ ჲ-აყუ-ჲშ**
	თქვენ სიმინდს თესავთ	თქვენ პურს ჭამთ
III პირი	**ოჴარ სიმინდ დ-ივრ**	**ოჴარ მაჲჴ ჲ-აყრ**
	ისინი სიმინდს თესავენ	ისინი პურს ჭამენ

მრავლობითი პირის ნიშნები გენეტურად აგრეთვე უკავშირდება შესაბამის ნაცვალსახელებს.

I პირის ნიშანი **-თხ** მომდინარეობს ნაცვალსახელისაგან **თხო** „ჩვენ“, მისი ერგატივის ფორმა იქნება **ათხ → თხ** რედუქციის შედეგად.

ასევე II პირის მორფემა **-ჲშ ← აჲშ** რედუქციის შედეგად II პირის ნაცვალსახელი მრავლობითში არის **შუ** „თქვენ“.

ჩვენ წარმოვადგინეთ ისეთი მაგალითები, სადაც პირის ნიშნით გამოხატულია სუბიექტი.

ახლა ვნახოთ, ზმნა ობიექტური პირის ნიშანს იძენს თუ არა. მოსალოდნელი იყო, რომ მრავალპირიან ზმნას ობიექტური პირის ნიშანი არ გაეჩინა, რადგანაც ობიექტი მორფოლოგიურად ისედაც გამოხატული იყო ზმნაში (გრამატიკული კლასის ნიშნით).

ობიექტური პირის ნიშნის გაჩენა გამოიწვევდა ორი მორფემის თავმოყრას ერთი და იმავე მნიშვნელობით.

მაგრამ, როგორც ჩანს, ლინგვისტური **ინტერფერენციის** პროცესი წოვათუშურ ენაში იმდენად **ძლიერი აღმოჩნდა,**

რომ ზმნამ ობიექტის გამოსახატავად დაირთო პირის ნიშანიც. შედეგად ის მივიღეთ, რომ პრეფიქსი და სუფიქსი ორივე ობიექტის მორფოლოგიური ელემენტებია, ოღონდ განსხვავებული გრამატიკული მნიშვნელობით.

აქ ერთმანეთს შეხვდა ძველი და ახალი ენობრივი კატეგორიები. ორივეს ერთდროული ფუნქცირება სინქრონულ ჭრილში **ჭარბია** ენის სტრუქტურის ეკონომიურობის თვალსაზრისით და მოსალოდნელია შემდგომში კლასის ნიშნის გრამატიკული ფუნქციის დასუსტება.

ამ ფაქტს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენი აზრით, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ქრონოლოგიური მიმართების თვალსაზრისით.

ვნახოთ მაგალითები:

	მხოლობითი რიცხვი	
I პირი	**ოჭუს სო ვ-აყო-სრ**	**ოჭუს სო ვ-ეხკო-სრ**
	ის მე მჭამს	ის მე მყიდის
II პირი	**ოჭუს ჰჲო ვ-აყო-ჰჲ**	**ოჭუს ჰჲ ო ვ-ეხკო-ჰჲ**
	ის შენ გჭამს	ის შენ გყიდის
III პირი	**ოჭუს ო ვ-აყრ**	**ოჭუს ჰჲო ვ-ეხკრ**
	ის მას ჭამს	ის მას ყიდის

ილუსტრირებული ზმნები ორპირიანი და გარდამავალია. სუბიექტი მესამე პირია, ბუნებრივია, თუ ზმნაში ის მორფოლოგიურად რეალიზებული არ არის, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ის მატერიალურად საერთოდ არ აღინიშნება.

მაშ რა მორფოლოგიური ფუნქციები ეკისრებათ ზმნაში წარმოდგენილ მორფემებს — ერთი მხრივ, პრეფიქსებს და; მეორე მხრივ, სუფიქსებს?

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ პრეფიქსები წოვათუშურში ამჟამად მოქმედი გრამატიკული კლასის კატეგორიის ნიშნებია, ამიტომაა, რომ პირთა მიხედვით ისინი არ იცვლებიან.

რაც შეეხება სუფიქსებს, ისინი ზმნის ახალი კატეგორიის — პირის კატეგორიის — მორფოლოგიური ნიშნებია, კერძოდ, I და II პირის ობიექტური ნიშნებია. III პირს კი არც ობიექტის პირის ნიშანი გააჩნია, ის კვლავ ნულოვანი აფიქსითაა წარმოდგენილი.

I ობიექტური პირის ნიშანია **სრ**, რომელიც მოდის I პირის ნაცვალსახელის **სო** „მე" სახელობითის ფორმიდან, II ობიექტური პირის ნიშანი კი არის **ჰრ**, რომელიც აგრეთვე შესაბამისი ნაცვალსახელის სახელობითის ფორმიდან მომდინარეობს.

როგორც ვხედავთ, სუბიექტური და ობიექტური პირების (I და II) მორფოლოგიურ ნიშანთა წყარო ერთი და იგივეა, მაგრამ მატერიალურად მაინც განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან.

მაგრამ აქ მთავარი მაინც სხვა არის: ქართული ენის ზმნის პიროვანი უღვლილების გავლენით წოვათუშური ზმნის მორფოლოგიურ სისტემაში კლასოვანი უღვლილების გვერდით ჩნდება პიროვანი უღვლილება. ეს **სტრუქტურული ინტერფერენცია** იმდენად ძლიერია, რომ ზმნაში მორფოლოგიურად დაკავშირებულ სახელს (ობიექტს) უჩნდება კიდევ ახალი, თუმცა განსხვავებული ფუნქციით, მორფემა.

როგორც ვხედავთ, გრამატიკული ინტერფერენცია წოვათუშურში ფაქტია. ბილინგვიზმის თეორიაში კი ამ რიგის მოვლენები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც „исходя преимущественно из проявления интерференции дается и определение билингвизма" (12, 15).

ლიტერატურა

1. Г. шухардт, Избранные статьи по языкознанию, М., 1950.

2. В. Ю. Розенцвейг, Основные вопросы теории языковых контактов, Новое в лингвистике, М., т. VI, 1972.

3. В. А. Аврорин, Проблемы изучения функциональной стороны языка, Ленинград, 1975.

4. Ю. Д. Дешериев, Проблемы двуязычия и многоязычия, М., 1972.

5. Ю. Д. Дешериев, Закономерности и развитие взаимодействия языков в советском обществе, М., 1966.

6. А, Росетти, Смешанный язык и смешение языков, Новое в лингвистике, М., т. VI, 1972.

7. Б. Гавранек, К проблематике смешения языков, Новое в лингвистике, т. VI , М., 1972.

8. Уриела Вайнрайх, Одноязычие и многоязычие, Новое в лингвистике, т. VI, М., 1972.

9. А. М. Асланов, О морфологической интерференции диалектов неродственных языков, сб. Проблемы двуязычия и многоязычия, М., 1972.

10. А. Мартине, Распространение языка и структурная лингвистика, Новое в лингвистике, т. VI, М., 1972.

11. В. Георгиев, К вопросу о балканском языковом союзе, Новое в лингвистике, т. VI, М., 1972.

12. Ю. Д. Дешериев, Развитие национально-русского двуязычия, М., 1976.

-ჩა- (-ჩუ-, -ჩო-) ელემენტის გენეზისისათვის ნახურ ენებში*

ნახური ენების ატრიბუტულ სახელთა ბრუნების სისტემაში (ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში) ბრუნვის ნიშანსა და სახელის ძირეულ ნაწილს შორის ვლინდება ელემენტი: -ჩა- (ინგუშურში), -ჩუ- (ჩაჩნურში), -ჩო- (ბაცბურში).

ჩაჩნურში

I. ზედსართავ სახელებთან

საზღვრულთან ერთად

სახ.	წიე⁵ ბაᵻრაჴ	ლეჴა ლამ
	„წითელი დროშა“	„მაღალი მთა“
ნათ.	წიე-ჩუ ბაᵻრაჴა	ლეჴა-ჩუ ლამა⁵
ერგ.	წიე-ჩუ ბაᵻრაჴო	ლეჴა-ჩუ ლამანო
მიც.	წიე-ჩუ ბაᵻრაჴანა	ლეჴა-ჩუ ლამანნა

დამოუკიდებლად ხმარებული

სახ.	წიენიგ „წითელი“	ლეჴანიგ „მაღალი“
ნათ.	წიე-ჩუ⁵	ლეჴა-ჩუ⁵
ერგ.	წიე-ჩუ-ო	ლეჴა-ჩუ-ო
მიც.	წე-ჩუ-ნნა	ლეჴა-ჩუ-ნნა

II. მიმღეობებთან

საზღვრულთან ერთად

სახ.	ᵻოშუ⁵ ქნიშქა	ᵻაზდე⁵ სთაგ
	„საკითხავი წიგნი“	„კაცი, რომელიც წერს“
ნათ.	ᵻოშუ-ჩუ ქნიშქი⁵	ᵻაზდე-ჩუ სთეგი⁵

* პირველად დაიბეჭდა 1977 წელს. იხ. კ. ჭრელაშვილი, „-ჩა (-ჩუ-, -ჩო-) ელემენტის გენეზისისათვის ნახურ ენებში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.93.

ერგ.	ɟოშუ-ჩუ ქნიშქო	ɟაზდე-ჩუ სთაგა
მიც.	ɟოშუ-ჩუ ქნიშქინა	ɟაზდე-ჩუ სთაგნა

დამოუკიდებლად ხმარებული

სახ.	ɟოშურგ	ɟაზდირიგ
	„მკითხველი"; „საკითხავი"	„საწერი; ის, ვინც წერს"
ნათ.	ɟოშუ-ჩუ⁶	ɟაზდე-ჩუ⁶
ერგ.	ɟოშუ-ჩო	ɟაზდე-ჩო
მიც.	ɟოშუ-ჩუ-ნნა	ɟაზდე-ჩუ-ნნა

ინგუშურში

I. ზედსართავ სახელებთან

საზღვრულთან ერთად

სახ.	სი̄ნა კადა	დოყყა წა
	„ლურჯი მატერია"	„დიდი სახლი"
ნათ.	სი̄ნა-ჩა კადა	დოყყა-ჩა წე⁶
ერგ.	სი̄ნა-ჩა კადა	დოყყა-ჩა წენო
მიც.	სი̄ნა-ჩა კადანა	დოყყა-ჩა წენნა

დამოუკიდებლად ხმარებული

სახ.	სი̄ნა „ლურჯი"	დოყყა „დიდი"
ნათ.	სი̄ნა-ჩუ	დოყყო-ჩუ
ერგ.	სი̄ნა-ჩო	დოყყო-ჩო
მიც.	სი̄ნა-ჩუ-ნნა	დოყყო-ჩუ-ნნა

II. მიმღეობებთან

საზღვრულთან ერთად

სახ.	ვეზა საგ „საყვარელი კაცი"
ნათ.	ვეზა-ჩა საგა
ერგ.	ვეზა-ჩო საგო
მიც.	ვეზა-ჩა საგა

დამოუკიდებლად ხმარებული

სახ.	ვეზარგ „საყვარელი“
ნათ.	ვეზა-ჩუ
ერგ.	ვეზა-ჩო
მიც.	ვეზა-ჩუ-ნნა

ბაცბურში (ნოვა-თუშურში)

I. ზედსართავ სახელებთან

საზღვრულთან ერთად

სახ.	წეგე ბაჲრაჴ	ლაჴე ლამ
	„წითელი დროშა“	„მაღალი მთა“
ნათ.	წეგე-ჩრ ბაჲრჴე	ლაჴე-ჩრ ლამუ
ერგ.	წეგე-ჩრ ბაჲრჴევ	ლაჴე-ჩრ ლამუვ
მიც.	წეგე-ჩრ ბაჲრჴენ	ლაჴე-ჩრ ლამუნ

საზღვრულის გარეშე

სახ.	წეგე „წითელი“	ლაჴე „მაღალი“
ნათ.	წეგ-ჩო	ლაჴე-ჩო
ერგ.	წეგ-ჩო-ვ	ლაჴე-ჩო-ვ
მიც.	წეგ-ჩო-ნ	ლაჴე-ჩო-ნ

II. მიმღეობებთან

საზღვრულთან ერთად

სახ.	ვიშუჲნრ კნათ	ლაპწინრ ბადერ
	„მწოლიარე ვაჟი“	„მოთამაშე ბავშვი“
ნათ.	ვიშუ-ჩრ კნათე	ლაპწი-ჩრ ბადრე
ერგ.	ვიშ-ჩრ კნათევ	ლაპწი-ჩრ ბადრევ
მიც.	ვიშუ-ჩრ კნათენ	ლაპწი-ჩრ ბადრენ

დამოუკიდებლად ხმარებული

სახ.	ვიშუჲნრ „მწოლიარე“	ლაპწინრ „მოთამაშე“
ნათ.	ვიშ-ჩორ	ლაჲპწ-ჩორ
ერგ.	ვიშ-ჩო-ვ	ლაჲპწ-ჩო-ვ
მიც.	ვიშ-ჩო-ნ	ლაჲპწ-ჩო-ვ

როგორც საილუსტრაციო მაგალითებიდან ჩანს, ზედსართავსა და მიმღეობას მსაზღვრელის როლში ბრუნვის ნიშნები არ მოეპოვებათ, ხოლო საზღვრულის გარეშე კი ისინი ბრუნვის ნიშნებს დაირთავენ.

ეგევე ელემენტი (-ჩუ-, -ჩო-) თავს იჩენს კუთვნილებით ნაცვალსახელებთანაც (ჩაჩნურსა და ბაცბურში):

	ჩაჩნური	ბაცბური
სახ.	საჲნიგ „ჩემი“	სე „ჩემი“
ნათ.	საჲ-ჩუ	სე-ჩორ
ერგ.	საჲ-ჩო	სე-ჩო-ვ
მიც.	საჲ-ჩუ-ნნა	სე-ჩო-ნ

-ჩო- ელემენტის გავრცელების არე ბაცბურში უფრო ფართოა, ვინემ მის მონათესავე ჩაჩნურსა და ინგუშურში. ბაცბურში ის ვლინდება ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელებთანაც:

სახ.	ხენე წა	ალი ბაკ
	„ხის სახლი“	„თივის ბაკი“
ნათ.	ხენე-ჩრ წენი	ალი-ჩრ ბაკე
ერგ.	ხენე-ჩრ წენივ	ალი-ჩრ ბაკევ
მიც.	ხენე-ჩრ წენინ	ალი-ჩრ ბაკენ

სპეციალურ ლიტერატურაში **-ჩა- (-ჩუ-, -ჩო-)** ელემენტის გენეზისი გარკვეული არ არის. მკვლევარნი მის შესახებ სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ. ბაცბური ენის ცნობილი მკვლევა-

რი ა. შიფნერი მას ზედსართავის განსაკუთრებულ მახასიათებელს („besonder Adjektivcharackteren") უწოდებს.[1]

ხოლო პ. უსლარი ამის შესახებ წერს:

„Во всех косвенных падежах, как единственного, так и множественного чисел, прилагательные, находясь непосредственно перед существительным, принимают окончание -чу".[2]

პ. უსლარი არაფერს ამბობს ამ ელემენტის (-ჩუ) მორფოლოგიური ფუნქციის შესახებ.

რ. გაგუას აზრით, „ჩო" მარცვლის ფუნქცია ან მნიშვნელობა (თუ ასეთი გააჩნია) უცნობია".[3]

ჩო ელემენტის შესახებ ი. დეშერიევი წერს:

„Во всех косвенных падежах един. и множ. чисел падежным аффиксом имени прилагательного рассматриваемого типа служит -ч".[4]

დ. იმნაიშვილი ინგუშური მასალის მიხედვით ელემენტ -ჩა-ს აკავშირებს ქართული -ში თანდებულის მნიშვნელობით ხმარებულ ჩუ სიტყვასთან, რომელიც ნახურ ენებში პრეპოზიციულ ფორმაში იხმარება და გვხვდება აგრეთვე პოსტპოზიციურ ფორმაშიც: „შეგვიძლია ვიფიქროთ, — წერს ავტორი, — რომ ეს „ჩუ" იგივე „ჩუ" სიტყვაა, რომელიც თანდებულადაც არის გამოყენებული, ზმნის საგარემოებო ფორმებშიაც გვხვდება და ზემოაღნიშნული ტიპის სიტყვებს (ე.ი. ატრიბუტულ სახელებს — კ.ჭ.) ირიბ ბრუნვებში ჩაერთვის ბრუნვის ფორმანტებსა და ფუძისეულ ნაწილს შორის".[5]

ბ. კიკვიძეს ბაცბური -ჩო- ელემენტი მიაჩნია ატრიბუტულ

---

1. A. Schiefner, Versuch uber die Thusch-Sprache, S.-Peterburg, 1856, გვ. 44, § 134.
2. П.К. Услар, Чеченский язык, Тифлис, 1888, გვ. 42.
3. რ. გაგუა, ძირითადი და ერთთანდებულიანი ბრუნვები ბაცბურში, თბილისი, 1943, გვ. 134.
4. Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык, Москва, 1953, გვ. 184.
5. დ. იმნაიშვილი, ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები ინგუშურში, 1940, გვ. 151.

სახელთა აუსლაუტისეული ბგერის (-*ნ) ფუნქციურ მონაცვლედ ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში. ამ უკანასკნელს კი ავტორი გენეტურად ჩვენებით ნაცვალსახელს უკავშირებს. „მაშასადამე, — ასკვნის ავტორი, — **-ჩო** წარმოშობით ნაცვალსახელური ფუძე უნდა იყოს".[6]

ამგვარ დასკვნას ზოგიერთი დამაბრკოლებელი გარემოება ახლავს:

1. **ავტორის ცდა, ზედსართავ სახელთა მაწარმოებელი (-ე[ნ]-)** გენეტურად ჩვენებით ნაცვალსახელთან (ე „ეს") დააკავშიროს, ნაკლებ სარწმუნო ჩანს, რადგანაც ჩვენებითი ნაცვალსახელი **ე←*ეს** და არა **ე←ენ,**[7] როგორც ამას ბ. კიკვიძე ვარაუდობს.

2. **-ჩო-** ელემენტის მიჩნევა სახელობითში წარმოდგენილი **-*ნ**-ბგერის ფუნქციურ მონაცვლედ პრინციპში გაუმართლებელია, რადგანაც ეს უკანასკნელი ერთი მთლიანი ფორმანტის **(-*ენ)** შემადგენელი ელემენტია და, როგორც მთლიანის ნაწილს, მას შეუძლებელია მორფოლოგიური ფუნქცია ჰქონდეს.

თუ იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული ვითარებიდან ამოვალთ, **-ჩა-** ელემენტის გენეტურად ნაცვალსახელურ ფუძედ მიჩნევა პრინციპში დასაშვები უნდა იყოს. მაგრამ ეს დაშვება ჰიპოტეზური იქნება მანამ, სანამ მას ნახური ენების სინამდვილეში ამოსავალი ენობრივი წყარო არ დაეძებნება.

ამგვარად, საკითხი დგას იმ ამოსავალი ნაცვალსახელური ძირის დადგენის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო **-ჩა-** (**-ჩუ-, -ჩო-**) ელემენტის წარმოშობას ატრიბუტულ სახელთა ბრუნების სისტემაში.

ამ მიმართულებით კვლევა-ძიების საფუძველს იძლევა მკვლევართა მიერ დაღესტნის რიგ ენათა ბრუნების სისტემაში

---

6. ბ. კიკვიძე, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1959, გვ. 114.

7. A. Schiefner, დასახ. შრ., გვ. 50, § 159.

დადასტურებული ნაცვალსახელური ძირებით დეტერმინირებული ფუძეები.[8]

ბუნებრივია, ნახური ენების მორფოლოგიურ სტრუქტურაშიც ვივარაუდოთ ანალოგიური ვითარება, როგორც გენეტურად ახლო მონათესავე ენებში, და აქედან ამოსვლით **-ჩა-** (**-ჩუ-**, **-ჩო-**) ელემენტი დავუკავშიროთ ნაცვალსახელოვან განსაზღვრებით ნაწევარს. მაგრამ ამ ანალოგიას მეცნიერული დამაჯერებლობა რომ მიეცეს, აუცილებელია ამ ენათა სინამდვილეში დადასტურდეს ნაცვალსახელი, რომელიც საფუძვლად დაედო საძიებელი ელემენტის (**-ჩა-**) წარმოშობას.

ამ თვალსაზრისით კვლევა-ძიების წარმოებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის **შარი**ⁿ (ბაცბური), **შიე**ⁿ (ჩაჩნური), **შე** (ინგუშური) აგებულებამ.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ნახურ ენათა **კუთვნილებით ნაცვალსახელებს საკუთარი ძირი არ გააჩნიათ და ისინი ნაწარმოები არიან შესაბამის პირთა და ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან ნათესაობითი ბრუნვის საშუალებით** (ა. შიფნერი, პ. უსლარი, მ. ნემიროვსკი, ი. დეშერიევი, რ. გაგუა).

ასე მაგალითად:

ბაცბური **სე**ⁿ „ჩემი"←**სა-ი**ⁿ. **სა-** დღევანდელი I პირის („**სო**") ამოსავალი ფორმაა. ფონეტიკური პროცესი **ა→ო** ისტორიულად დამახასიათებელი იყო ბაცბურისათვის.[9] **-ი**ⁿ ნათესაობითის ნიშანია. ასევე **ჰᲂ ე**ⁿ შენი← **ჰᲂ ა-ი**ⁿ, **თხე**ⁿ „ჩვენი"←**თხა-ი**ⁿ...

ანალოგიური ვითარება დასტურდება ჩაჩნურ-ინგუშურ ენებშიც.

ამისდაკვალად შეიძლება ვიფიქროთ, რომ III პ. კუთვნილებითი ნაცვალსახელის **შარი**ⁿ←**შარ-ი**ⁿ, სადაც **-ი**ⁿ ნათესაობითი

8. ევგ. ჯეირანაშვილი, კითხვითი ნაცვალსახელები ლეზგიური (კიურული) ჯგუფის ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, 1955, გვ. 33.
9. A. Schiefner, დასახ. შრ., გვ. 20, § 36.

ბრუნვის ნიშანია, ძირი უნდა იყოს **შარ.** ჩაჩნურსა და ინგუშურში ეს ნაცვალსახელი ამჟამად გამარტივებული სახით გვხვდება.

ჩაჩნურში: **შე^{ნ}←*შა-ი^{ნ}←*შარ-ი^{ნ}.**

ინგუშურში, როგორც წესი, ხმოვანს ნაზალობა დაუკარგავს: **შე←შე^{ნ}←შაი^{ნ}←შარ-ი^{ნ}.**

ამგვარად, **ნახური ენების ისტორიაში** (უნდა ვივარაუდოთ ნახურ ფუძეში) **დასტურდება ჩვენებითი ნაცვალსახელი შა'რ'**, რომელიც ამჟამად შემონახულია III პირის კუთვნილებით ნაცვალსახელში ძირის სახით.

შ ძირის შემცველი ნაცვალსახელი დასტურდება დაღესტნის რიგ ენებშიც.[10]

როგორც ირკვევა, მას ფართო გამოყენება ჰქონია იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ განვითარებაში. რიგ შემთხვევაში იგი მსაზღვრელი ნაწევრის როლშიც გამოდიოდა.[11]

საფიქრებელია, რომ **ის ამ ფუნქციით ნახურ ენებშიც იხმარებოდა** და ისტორიულად ატრიბუტივსა და შესაბამის სუბსტანტივს შორის ამგვარ კონსტრუქციას ქმნიდა:

ღაზე^{ნ} შა'რ' სტაკ (ბაცბ.) „კარგი იგი კაცი"

ბრუნების სისტემაში შესაბამისი ბრუნვების მიხედვით იცვლებოდა მსაზღვრელი ნაწევარი (**შა'რ'**) და სუბსტანტივი, ხოლო ატრიბუტივი უცვლელი რჩებოდა.

როგორც ჩანს, ნახური ენების ატრიბუტივთა ბრუნების სისტემაში ისტორიულად დასტურდება იმის მსგავსი ვითარება, რაც საერთოსლავური ენის ზედსართავ სახელთა ბრუნებიდან არის ცნობილი.[12]

მსაზღვრელნაწევრიანი წინადადების რღვევასთან ერთად მსაზღვრელი ნაწევრის ფუნქციური პოზიცია თანდათანობით სუსტდება და ბოლოს ქრება, ხოლო მისი ფორმა (**შა'რ'**) **ხელ-**

10. ეგგ. ჯეირანაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 350.

11. იქვე, გვ. 351.

12. A. Meiie, Общеславянский язык, Москва, 1951, гл. 357.

საყრელ ფონეტიკურ კონტექსტში (ბრუნვის ნიშანთა წინ) ატრიბუტივის ორგანულ ნაწილად იქცევა გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებით.

რა რიგის ფონეტიკური პროცესი იყო მოსალოდნელი მოცემულ პოზიციაში?

როგორც ცნობილია, ნახური ენების ატრიბუტივები ბოლოვდება ნაზალური ხმოვნებით. ამ უკანასკნელთა ნაზალობა შედეგია აუსლაუტისეული სონორი ბგერის (ნ) რედუქციისა.

ამრიგად, ისტორიულად ატრიბუტივთა აბსოლუტურ ბოლოში წარმოდგენილი იყო სონორი **ნ**. როცა მსაზღვრელი ნაწევარი (შა¹რ¹) ატრიბუტივის ორგანულ ელემენტად იქცა, **სონორი ბგერა (ნ) და შიშინა სპირანტი უშუალო კონტაქტში აღმოჩნდა.** სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ამგვარ პოზიციაში სპირანტები გვაძლევენ შესაბამის აფრიკატებს (resp. იბერიულ-კავკასიურ ენებში).[13] იგივე პროცესი დადასტურებულია ნახურ ენებშიც: ირჩი[ნ] (←ირში[ნ]) – „მახინჯი", ურც (←ურს) – „დანა", სტერჩი (←სტერში) – „ხარები"... (ჩაჩნური). ფსტარჩ (←ფსტარშ) – „ხარები", ფჰარჩ (ფჰ ჲარშ) – „ძაღლები", თაბაჲრჩ (←თაბაჲრშ) – „ჭედილები".[14]

ამგვარად, ვფიქრობთ, არსებობს ობიექტური საფუძველი, ატრიბუტივთა ბრუნების სისტემაში გამოვლენილი ელემენტი **-ჩა (-ჩუ-, -ჩო-) გენეტურად დავუკავშიროთ ნაცვალსახელურ შა¹რ¹ ძირს.**

ამოსავალი ხმოვანი (ა) დაცული აქვს ინგუშურს, ხოლო ჩაჩ-

---

13. შ. გაფრინდაშვილი, სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესია, 1955 წ., გვ. 29.

ს. ჟღენტი. ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 156; მისივე. ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 235; მისივე, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1949, გვ. 180; ბ.ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკ. პროცესები იბერ.-კავკ. ენებში, იბერ. კავკ. ენათმეცნ., ტ. IX-X, 1959, გვ. 77.

14. ბ. ქობალავა, დასახ. შრ., გვ. 7; კ. ჭრელაშვილი, -ბი სუფიქსი ბაცბურში, თსუ შრ. 1956, გვ. 45.

ნურსა და ბაცბურში მისი ფონეტიკური ვარიანტებია წარმოდგენილი.

ამრიგად, ნახური ენების **ისტორიულ-შედარებითმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა ჩვენებითი ნაცვალსახელი შაˈრ, რომელიც წინადადებაში მსაზღვრელი ნაწევრის ფუნქციას ასრულებდა** და ამით შესაძლებელი გახდა -ჩა (-ჩუ- -ჩო-) ელემენტის გენეზისის გარკვევა.

წოვა-თუშური ენის ზმნაში კლასის, რიცხვისა და პირის გრამატიკული კატეგორიების ფორმალური და სემანტიკური ურთიერთობის საკითხისათვის*

რიცხვის კატეგორია სახელისა და ზმნის საერთო კატეგორიაა. ასეა ეს ჩვენთვის ცნობილ მსოფლიოს უმრავლეს ენაში. იგივე დასტურდება იბერიულ-კავკასიურ ენებშიც.

მაგრამ ნახურ-დაღესტნურ ენებში ზმნა ისტორიულად რიცხვის კატეგორიის თვალსაზრისით ნეიტრალური ბუნებისა იყო, როგორც ეს ამჟამად უკვე დასაბუთებულად ითვლება სპეციალურ ლიტერატურაში.

როგორია ამ მხრივ ვითარება თანამედროვე წოვა-თუშურ ენაში?

წოვა-თუშური ენის ზმნა რიცხვის კატეგორიის თვალსაზრისით მრავალფეროვან და ძალზე საინტერესო სტრუქტურულ სურათს გვიჩვენებს. ამჟამად ერთმანეთის გვერდითაა მოცემული რიცხვის გამოხატვის სამი მორფოლოგიური ტიპი: **ნეიტრალური, გარდამავალი და უნიფიცირებული** (1,18).

ამჟამად ენაში ბატონდება უკანასკნელი ტიპი, მაგრამ რამდენადაც ენის განვითარების სხვადასხვა ქრონოლოგიური ეტაპი ერთმანეთის პარალელურადაც დასტურდება, ამდენად ამ ენის მონაცემებს, კონკრეტული მნიშვნელობის გარდა, ზოგადენათმეცნიერული ღირებულებაც აქვს, რამდენადაც აქ ჩვენ შეგვიძლია, ფაქტობრივ თვალი გავაყოლოთ ახალი მორფოლოგიური კატეგორიის ჩასახვის პროცესს და მის ჩამოყალიბებას.

წოვა-თუშური ენის ზმნის აღნიშნული თავისებურებანი შენიშნული აქვთ ამ ენის მკვლევრებს: ა. შიფნერს, ი. დეშერიევს,

---

* პირველად დაიბეჭდა 1979 წელს. იხ. კრებ. კ. ჭრელაშვილი, „წოვა-თუშური და ქართული ენის ლექსიკისა და მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხი", თბილისი — 1979.

რ. გაგუას, დ. იმნაიშვილს. ჩვენ მათ გამოკვლევებს ვითვალისწინებთ.

აღნიშნული საკითხი ცალკე, სპეციალურად დღემდე არავის შეუსწავლია. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ მიმართულებით მასალის ანალიზმა გამოავლინა და გვიჩვენა ქრონოლოგიური ეტაპები ზმნაში რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიის ევოლუციისა.

რიცხვის კატეგორიის წარმოების მიხედვით წოვა-თუშური ენის ზმნები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

1. ზმნები, რომლებიც კლასის ნიშნებს არ დაირთავენ და
2. ზმნები, რომლებიც კლასის ნიშნებს დაირთავენ.

ეს მეორე ჯგუფი თავის მხრივ შეიძლება ორ ქვეჯგუფად დავყოთ: ა) ერთპირიანი ზმნები და ბ) ერთზე მეტპირიანი ზმნები.

სანამ ზმნათა რიცხვის კატეგორიის მორფოლოგიურ ანალიზს შევუდგებოდეთ, საჭიროა, ჯერ აღვწეროთ ამ ენის ერთერთი მნიშვნელოვანი მორფოლოგიური კატეგორია, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში გრამატიკული კლასის კატეგორიას უწოდებენ. კვლევის აღნიშნული გზა გამართლებულია იმითაც, რომ თავდაპირველად **რიცხვის კატეგორიის ჩასახვა და ევოლუცია** ხდება აღნიშნული კატეგორიის გრამატიკული მორფემების **რეინტერპრეტაციის** გზით.

წოვა-თუშური ენისთვის, ისე როგორც მთის სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, დამახასიათებელია გრამატიკული კლასის კატეგორია. ამჟამად ეს არის ცოცხალი, მოქმედი მორფოლოგიური კატეგორია. არსი ამ კატეგორიისა იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილის საგნები, მოვლენები წოვა-თუშური ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში კლასიფიცირებულია, რაც შესაბამისად ასახულია გრამატიკული მორფემებით ზმნის სტრუქტურაში. საამისოდ გამოყენებულია ოთხი გრამატიკული მორფემა: **ვ-, ჲ-, ბ-, დ-**.

აქედან გამომდინარე, სამყაროს მოვლენები ამ ენობრივი კოლექტივისათვის ოთხ ძირითად ჯგუფში ერთიანდება. აღნიშნული მორფემების მიხედვით სახელთა დაჯგუფება ადვილია და ეს გასაგებიცაა, მაგრამ რა შინაგანი კავშირი აერთიანებს თითოეული ჯგუფის შიგნით სახელებს, რა აქვთ მათ საერთო ღირებულების თვალსაზრისით. ენათმეცნიერებაში ამის შესახებ დღემდე პასუხი არ არსებობს. **კლასიფიკაციის ობიექტური საფუძველი ჯერჯერობით ამოუხსნელია**. ეს იმიტომ, რომ აღნიშნული ცალკეული მორფემების ქვეშ ერთიანდება ისეთი საგნები და მოვლენები, რომელთაც ხშირად საერთო არაფერი აქვთ არც მნიშვნელობით და არც ფორმით.

მაგალითად, **ꙉ-** მორფემა გამოყენებულია ერთი მხრივ ქალის აღმნიშვნელ სიტყვებთან, ხოლო მეორე მხრივ — უსულო, ბუნებრივი საგნების თუ მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვებთან:

მაგალითად: **ꙉოჰ ꙉა** „ქალი არის“

ꙉოლ ꙉა „თივა არის“...

„ქალი“ და „თივა“, ეს ორი სრულიად სხვადასხვა ღირებულების მქონე სიტყვა, ზმნას უკავშირდება ერთი და იმავე გრამატიკული მორფემით.

როგორც აღვნიშნეთ, რიგი ზმნები მოკლებულია გრამატიკული კლასის კატეგორიას. ეს მოვლენა ძალზე საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით და სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ამ რიგის ზმნები ნეიტრალურნი არიან გრამატიკული კლასის კატეგორიის წარმოების თვალსაზრისით. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ სახელს ამგვარი ზმნები ერთგვაროვანი ფორმით ეწყობიან.

მაგალითად:

1. **გიორგის ჟაგნრ ხატტი**ნ — „გიორგიმ წიგნი წაიკითხა“
2. **ნანის ჟაგნრ ხატტი**ნ — „ნანიმ წიგნი წაიკითხა“

როგორც ვხედავთ, ილუსტრირებული ზმნური ფორმები არ დაირთავენ გრამატიკულ კლას-ნიშანს, რომელიც, როგორც წესი, ზმნის თავკიდურ პოზიციაში ვლინდება.

ამ რიგის ზმნები რიცხვისა და გრამატიკული კლასის კატეგორიისადმი ნეიტრალური ბუნებისანი არიან.

ზმნათა მეორე ჯგუფს გააჩნია გრამატიკული კლასის კატეგორია. ამ რიგის ზმნური ფუძეები თავკიდურ პოზიციაში დაირთავენ იმ სახელის მნიშვნელობის შესაბამის მორფემას, რომელიც მის სინტაგმატურ ცალს შეადგენს.

ზმნის სინტაგმატურ ცალებს ქმნის სუბიექტი და ობიექტი. სუბიექტის და ობიექტის მორფოლოგიური მიმართება ზმნასთან მკაცრადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან: თუ ზმნა ერთპირიანია, მაშინ მასში სუბიექტია ასახული, ხოლო ზმნა თუ ერთზე მეტპირიანია, მაშინ — ობიექტი (2, 3, 7).

განვიხილოთ ჯერ პირველი რიგის მაგალითები, ე.ი. ერთპირიანი ზმნები, სადაც გრამატიკული კლასის ნიშანი სუბიექტს გამოხატავს. საილუსტრაციო მასალა წარმოვადგინოთ მხოლობითსა და მრავლობითში. შეპირისპირების საფუძველზე ნათელი გახდება ზმნის უნარი და საშუალება რიცხვის გამოხატვისა გრამატიკულ დონეზე.

ერთპირიანი ზმნები

პირველი გრამატიკული კლასის სახელები

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1.	**კნათუ ვ-ათხუ** „ვაჟი ტირის“	**კნათი ბ-ათხუ**
2.	**კნათუ ვ-აღრ** „ვაჟი მოდის“	**კნათი ბ-აღრ**

ამ ორი რიგის ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზი საფუძველს გვაძლევს, გამოვყოთ პრეფიქსები – მხოლობითში **ვ-**, ხოლო მრავლობითში **ბ-**.

ბუნებრივია, აქ საკითხი დგება ვ- და ბ- მორფემების გრამატიკული მიმართებისა.

ამ საკითხს დავუბრუნდებით, როცა განვიხილავთ მეორე რიგის ზმნურ ფორმებსაც, ე.ი. ისეთ ზმნებს, რომელთა მორფოლოგიურ სტრუქტურაშიც ასახულია არა სუბიექტი, არამედ ობიექტი. მხედველობაში გვაქვს ორპირიანი და სამპირიანი ზმნები.

მეორე გრამატიკული კლასის სახელები

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1.	**ნან ჲ-აღრ** „დედა მოდის“	**ნან-ი დ-აღრ**
2.	**ნან ჲ-ათხჳ** „დედა ტირის“	**ნან-ი დ-ათხჳ...**

მეორე კლასის სახელებთან რიცხვის მიხედვით ზმნებში მონაცვლეობენ **ჲ-** და **დ-** პრეფიქსები.

ანალოგიური საკითხი დგება მათი გრამატიკული მიმართების შესახებაც, რაც ზემოთ ვ- და ბ- პრეფიქსებთან დაკავშირებით.

მესამე გრამატიკული კლასის სახელები

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1.	**დო^ნ ბ-აღრ** „ცხენი მოდის“	**დუჲ დ-აღო**
2.	**დო^ნ ბ-იკე^ნ** „ცხენი წაიყვანა“	**დუჲ დ-იკე^ნ...**

როგორც ვხედავთ, მესამე კლასის სახელებთან რიცხვის მიხედვით ზმნაში მონაცვლეობენ **ბ-** და **დ-** პრეფიქსები.

განხილულ სამივე ჯგუფის მაგალითებში სუბიექტს მხოლობითში შეესაბამება ერთი პრეფიქსი, ხოლო მრავლობითში სხვა პრეფიქსი და ვიღებთ რიცხვის მიხედვით აფიქსთა შეფარდებით ასეთ მოდელს:

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I კლ.	**ვ-**	**ბ-**
II კლ.	**ჲ-**	**დ-**
III კლ.	**ბ-**	**დ-**

მხოლობით რიცხვში დადასტურებული ვ-, ჲ-, ბ- სამეცნიერო ლიტერატურაში ინტერპრეტირებულია როგორც **გრამატიკული კლასის ნიშნები. ეს ინტერპრეტაცია დავას არ იწვევს**, მაგრამ შესაძლებელია, სადავო იყოს ანალოგიური კვალიფიკაცია მეორე რიგის: **ბ-, დ-, დ-** აფიქსებისა.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ აფიქსთა მეცნიერული ინტერპრეტაციისას მეთოდოლოგიურად მართებული გზაა, ამოვიდეთ მხოლობითისა და მრავლობითის ფორმათა შეპირისპირებიდან, მოდელის მიხედვით — ჰორიზონტალური შეპირისპირებიდან. ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით, მაშინ საანალიზო აფიქსთა ფუნქცია იქნება, გამოხატოს **ზმნის სტრუქტურაში სუბიექტის მრავლობითი რიცხვი**. ეს აზრი ჩვენ უფრო მოკრძალებულად გამოვთქვით სხვა ნაშრომშიც (6, 332).

სამეცნიერო ლიტერატურაში მეორე რიგის აფიქსები ინტერპრეტირებულია, როგორც **გრამატიკული კლასის ნიშნები მრავლობითში** (2, 3).

ახლა განვიხილოთ რელატიური ზმნები. როგორც აღვნიშნეთ, ამ რიგის ზმნებში მორფოლოგიურად გამოხატულია მხოლოდ ობიექტი, სუბიექტი ზმნაში არ აღინიშნება. ეს მოვლენა ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამიტომ, როცა ამგვარი ზმნების რიცხვის კატეგორიაზეა მსჯელობა, ბუნებრივია, ივარაუდება ობიექტის მრავლობითობა, რადგანაც კვლევის მოცემულ დონეზე ზმნის მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები ობიექტის აღმნიშვნელი მორფემის მონაცვლეობით უპირისპირდება ერთმანეთს. მაგალითად:

მხ. რიცხვი

1. **ნანას კნათ ვ-იკე**ნ „დედამ ვაჟიშვილი წაიყვანა“
2. **ჲაშას ვაშრ ვ-აგი**ნ „დამ ძმა ნახა“...

მრ. რიცხვი

1. **ნანას კნათი ბ-იკე^{ნ}** „დედამ ვაჟიშვილები წაიყვანა“
2. **ჲაშას ვაჟარ ბ-აგი^{ნ}** „დამ ძმები ნახა“...

როგორც ვხედავთ, ობიექტის რიცხვის მონაცვლეობის მიხედვით ზმნაში დასტურდება პირველი გრამატიკული კლასის ნიშანთა შეფარდება: **ვ-ბ.**

როცა ობიექტი მეორე გრამატიკულ კლასს განეკუთვნება, მაშინ შესაბამისი მორფემები რიცხვის მიხედვით განსხვავებულ მიმართებას ავლენენ. მაგალითად:

მხ. რიცხვი

1. **ნანას ჲაშრ ჲ-იკე^{ნ}** „დედამ და წაიყვანა“
2. **ვაჰჲოვ ნან ჲ-აგი^{ნ}** „ბიჭმა დედა ნახა“

მრ. რიცხვი

1. **ნანას ჲაჟარ დ-იკე^{ნ}** „დედამ დები წაიყვანა“
2. **კნათივ ნანი დ-აგი^{ნ}** „ვაჟებმა დედები ნახეს“...

ილუსტრირებულ წინადადებებში ზმნა რიცხვის მიხედვით იძლევა პრეფიქსთა მონაცვლეობას: **ჲ-დ.**

მესამე სახის სახელებთან ზმნა პრეფიქსთა განსხვავებულ მონაცვლეობას იძლევა მხოლობითსა და მრავლობითში. მაგალითად:

მხ. რიცხვი

1. **დადას დო^{ნ} ბ-იკე^{ნ}** „მამამ ცხენი წაიყვანა“
2. **დადას დო^{ნ} ბ-აგი^{ნ}** „მამამ ცხენი ნახა“...

მრ. რიცხვი

1. **დადას დუჲ დ-იკე^{ნ}** „მამამ ცხენები გარეკა“
2. **დადას დუჲ დ-აგი^{ნ}** „მამამ ცხენები ნახა“

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, ზმნა მხოლობითში **ბ-** პრეფიქსს დაირთავს, მრავლობითში კი **დ-**ს.

შეიძლებოდა, რიცხვის მიხედვით ზმნურ პრეფიქსთა ამგვარი მონაცვლეობის მაგალითები კიდევ გაგვემრავლებინა, მაგ-

რამ, ჩვენი აზრით, დამოწმებული მასალაც სავსებით საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ გრამატიკული კლასის მორფემები ერთი და იმავე სახელის ფარგლებში იცვლება მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის შესაბამისად.

მთლიანობაში კი ვიღებთ საკვლევ მორფემათა მხოლობითსა და მრავლობითში შეფარდებათა ასეთ მოდელს:

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I კლ.	ვ-	ბ-
II კლ.	ჲ-	დ-
III კლ.	ბ-	დ-

როგორც ვხედავთ, აბსოლუტურ და რელატიურ ზმნათა სათანადო მოდელები ერთმანეთს ემთხვევა.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს **ფორმალური იგივეობრიობა არ უდრის გრამატიკულ იგივეობრიობას**, რადგანაც პირველ შემთხვევაში აღნიშნული მორფემები სუბიექტის ნიშნებია, ხოლო მეორე შემთხვევაში კი — ობიექტისა. მატერიალურად ერთი და იგივე ოდენობა ერთსა და იმავე პოზიციაში კონტექსტის მიხედვით გამოხატავს სხვადასხვა მნიშვნელობას.

ზმნის მხოლობითი რიცხვის ფორმებში რომ აღნიშნული პრეფიქსები გრამატიკული კლასის კატეგორიის მორფემებია, დავას არ იწვევს და მათი გრამატიკული ფუნქცია დიდი ხანია დადგენილია.

შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს მრავლობითში წარმოდგენილი ზმნური პრეფიქსების მორფოლოგიური ფუნქცია. ამ მიმართულებით საინტერესო დაკვირვებას იძლევა რ. გაგუა: „იმის გამო, რომ სახელი (სუბიექტი) მრავლობითსა და მხოლობით რიცხვში ხანდახან სხვადასხვა კლასის ნიშანს მო-

ითხოვს, კლასის ნიშანი მეტ-ნაკლებად რიცხვის გამომხატველადაც გვევლინება" (2,129).

პრინციპულად ამ სწორ დასკვნაში შეიძლებოდა ასეთი კორექტივი შეგვეტანა — **მარტო სუბიექტი კი არ მოითხოვს რიცხვის მიხედვით ზმნაში სხვადასხვა კლასის ნიშანს, არამედ ობიექტიც.** ის ფაქტი, რომ სახელის (S, O) რიცხვის მიხედვით ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა იცვლება, უთუოდ იმაზე მიუთითებს, რომ შესაბამისი მორფემები **ინდიფერენტულნი არ არიან რიცხვის კატეგორიის მიმართ.** მაშასადამე, წოვა-თუშური ენის განვითარების შინაგანი ტენდენცია იქითკენაა წარმართული, რომ გაარჩიოს ზმნაში მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები. საამისოდ ის იყენებს გრამატიკული კლასის ფორმანტებს. ასე რომ, მრავლობითში ზმნური პრეფიქსები თავისთავში ითავსებს **ერთდროულად ორ გრამატიკულ ფუნქციას — გრამატიკული კლასისა და მრავლობითისა. ამ მოვლენას ენათმეცნიერებაში გრამატიკულ ომონიმიას უწოდებენ.**

რიცხვის კატეგორიის ფორმირების პროცესი უფრო სრულყოფილი ხდება მას შემდეგ, რაც დაიწყო პირის კატეგორიის ჩასახვა წოვა-თუშური ენის ზმნაში. როგორც ცნობილია, ამ ენაში გრამატიკული კლასის კატეგორიის გვერდით ახლად ყალიბდება პირის კატეგორია, ამის შედეგად ვიღებთ ენობრივად ფრიად საყურადღებო მოვლენას. ზმნა ერთდროულად დაირთავს როგორც გრამატიკული კლასის ნიშანს, ასევე პირის ნიშანსაც. პირველს უკავია პრეფიქსული პოზიცია, ხოლო მეორე სუფიქსად ფორმდება. ასე რომ, ზმნას ერთდროულად დაერთვის ორი მორფემა, რომლებიც სინტაქსურად მასთან დაკავშირებულ ერთსა და იმავე სახელს გამოხატავს, ე.ი. **ერთი სახელი ზმნაში ორი მორფემითაა წარმოდგენილი.** რა თქმა უნდა, აღნიშნული წესი ვრცელდება მხოლოდ იმ ზმნებზე, რომლებიც გრამატიკული კლასის ნიშნებს დაირთავენ.

პირის ნიშნებად ზმნაში ფორმდება შესაბამისი ნაცვალსახელები. სათანადო ფორმანტებს დაირთავს I და II პირი, ხოლო III პირი ნულოვანი აფიქსით უპირისპირდება I და II პირს. ამდენად, როცა პირის ფორმანტებზეა საუბარი, იგულისხმება I და II პირები.

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პირის ნიშნით გამოიხატება როგორც სუბიექტი, ასევე ობიექტი. შესაბამის მაგალითებს ქვემოთ წარმოვადგენთ.

როგორ ხდება ნაცვალსახელების ფორმირება პირის ნიშნებად?

აქ პირველ რიგში უნდა გავარჩიოთ ნაცვალსახელთა **სახელობითისა და ერგატივის ფორმები.** თუ ნაცვალსახელით გამოხატული სუბიექტი ერგატივშია, მაშინ ის პირის ნიშნად ფორმდება აღნიშნული ბრუნვის ფორმით, ხოლო თუ სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია, მაშინ პირის ნიშნად სათანადო ნაცვალსახელის სახელობითი ვარიანტი გვექნება. სუბიექტი კი წოვა-თუშურში ან ერგატივშია, ან სახელობითში. **ობიექტი ყოველთვის სახელობითშია.**

ამასთან დაკავშირებით დგება ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც: რა კრიტერიუმი უდევს საფუძვლად ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების დიფერენციაციას?

აღნიშნული ორი კონსტრუქციის არსებობა შეპირობებულია ზმნათა **სტატიკური** და **დინამიკური** შინაარსით. სტატიკურ ზმნათა სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია, ხოლო დინამიკურ ზმნასთან — ერგატივში.

ამ წესს ექვემდებარება მხოლოდ I და II პირი, ხოლო III პირი ამ მხრივ განსხვავებულ ჩვენებას იძლევა. მესამე სუბიექტური პირი გარდამავალ ზმნასთან ერგატივშია, ხოლო გარდაუვალ ზმნებთან — სახელობითში. აქ არ ვითვალისწინებთ აღქმა-მგრძნობელობის გამომხატველი ტიპის ზმნებს (verba

sentiendi), რადგანაც ამჯერად ჩვენი ყურადღების ცენტრშია პირის ნიშნების ანალიზი და მესამე პირი კი მოკლებულია ამგვარ აფიქსებს, ამიტომ მათ შესახებ საუბარს აღარ ვაგრძელებთ.

საილუსტრაციო მასალა, სადაც ნაჩვენებია ზმნის პირიანი ფორმები, დალაგებულია სტატიკური და დინამიკური ზმნების მიხედვით ცალ-ცალკე.

სტატიკური ზმნები

I პ. **ვიშუ-სრ** „ვწევარ“	**ჯევაღე-სრ** „ვზივარ“
II პ. **ვიშუ-ჰჲრ** „წევხარ“	**ჯქვაღე-ჰჲრ** „ზიხარ“
III პ. **ვიშუ** „წევს“	**ჯევაღუ** „ზის“

პირველი პირის ნაცვალსახელია **სრ** „მე“, ხოლო მეორე პირისა — **ჰჲრ** „შენ“. მოყვანილ მაგალითებში ზმნური ფორმები დაირთავენ შესაბამის პირის ნაცვალსახელებს და მათთან ერთიანობაში გამოხატავენ სათანადო პირს. რადგანაც წოვა-თუშურ ენაში აუსლაუტში ხმოვანს აქვს სუსტი პოზიცია, ამიტომ ნაცვალსახელური ხმოვანი სუსტდება და იძლევა შესაბამის რედუცირებულ სახეს: **სო→სრ. ჰჲო→ჰჲრ.**

ახლა ვნახოთ შესაბამისი მრავლობითის ფორმები იმავე ზმნებისა:

I პ. **ბიფშუთხრ** „ვწევართ“	**ჯებახკეთხრ** „ვსხედვართ“
II პ. **ბიფშუშუ** „წევხართ“	**ჯებახკეჲშუ** „სხედხართ“
III პ. **ბიფშუ** „წვანან“	**ჯებახკჳ** „სხედან“

საანალიზო ზმნური ფორმები მრავლობითის I და II პირში დაირთავენ **-თხრ** და **შუ** სუფიქსებს. ესენი სხვა არაფერია, თუ არა I და II პირთა ნაცვალსახელური ფორმები მრავლობითში: **თხო** — ჩვენ, **შუ** — თქვენ. ეს სუფიქსები ერთდროულად ორ მორფოლოგიურ ფუნქციას ასრულებენ — **პირისა და რიცხვისა.**

აქ ტიპოლოგიურად ისეთივე სტრუქტურულ მოდელთან

გვაქვს საქმე, როგორც ქართულში ზმნის მესამე პირის ფორმებთან მრავლობით რიცხვში ან რუსულში სამივე პირთან, სადაც შესაბამისი ფორმანტები პირსაც აღნიშნავენ და რიცხვსაც.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ერთპირიან დინამიკურ ზმნებთან. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ პირის ნიშანი შესაბამისი ნაცვალსახელის **ერგატიული ბრუნვის** ფორმიდან მომდინარეობს.

როგორც ცნობილია, ერთპირიანი დინამიკური შინაარსის ზმნებთან ნაცვალსახელით გამოხატული სუბიექტი წოვა-თუშური ენის ზმნასთან ყოველთვის ერგატივის ბრუნვაში დგას (I პ. და II პ.). მაგალითად:

	მხ. რ.	მრ. რ.
I პ.	**ვაღოს (←ვაღო-ას)** „მოვდივარ“	**ბაღო-თხ (←ბაღო-ათხ)** „მოვდივართ“
II პ.	**ვაღოჰ(←ვაღო-აჰ)** „მოდიხარ“	**ბაღუ-ჲშ (←ბაღო-აჲშ)** „მოდიხართ“
III პ.	**ვაღრ** „მოდის“	**ბაღრ** „მოდიან“

I პ.	**ხიც-ას** „ვჯდები“	**ხიბჟ-ათხ** „ვსხდებით“
II პ.	**ხიც-აჰ** „ჯდები“	**ხიბჟ-აჲშ** „სხდებით“
III პ.	**ხიც** „ჯდება“	**ხიბჟ** „სხდებიან“

როგორც ვხედავთ, მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები (I და II პ.) ერთმანეთს უპირისპირდებიან დაბოლოებით. ეს სუფიქსები პირის ნიშნებია, რომლებიც პირთან ერთად რიცხვსაც გამოხატავენ. მესამე პირი რიცხვის თვალსაზრისით ნეიტრალურია.

ახლა ვნახოთ, რა ვითარება გვაქვს **რელატიურ ზმნებთან**. ამ რიგის ზმნებთან სინტაგმატურ მიმართებაშია როგორც სუბიექტი, ასევე ობიექტი; გრამატიკულად კი რეალიზებულია **მხოლოდ ობიექტი**. ესაა სპეციფიკური და ძალზე საინტერესო

მოვლენა, რომელიც აერთიანებს ამ ნიშნის მიხედვით ყველა იმ ენას, სადაც აღნიშნული კატეგორია ცოცხალია და დღესაც ფუნქცირებს.

პირის კატეგორიის ჩასახვასთან დაკავშირებით ზმნის მორფოლოგიური **სტრუქტურა ძირეულად იცვლება**, კერძოდ, რელატიურ ზმნებში ობიექტის გარდა სუბიექტიც აღინიშნება სათანადო აფიქსით. თუ ობიექტი პრეპოზიციური ნიშნით რეალიზდება, სუბიექტს ზმნის პოსტპოზიციური ადგილი უკავია.

მოვიყვანოთ სათანადო საილუსტრაციო მაგალითები:

მხ. რ.	მრ. რ.
I პ. **ას ქოთამ დ-ჩივნ-ას**	**ათხ ქოთმი დ-ავდინ-ათხ**
„მე ქათამი დავკალი“	„ჩვენ ქათმები დავხოცეთ“
II პ. **აჰო ქოთამ დ-ჩივნ-აჰო**	**აჲშ ქოთმი დ-ავდინ-აჲშ**
„შენ ქათამი დაკალი“	„თქვენ ქათმები დახოცეთ“
III პ. **ოჴუს ქოთამ დ-ჩევი^{6}**	**ოჴარ ქოთმი და-ვდიე^{6}**
„მან ქათამი დაკლა“	მათ ქათმები დახოცეს“...

და ა.შ.

საილუსტრაციო ზმნურ ფორმებში ასახულია როგორც ობიექტი (პრეფიქსით), ასევე სუბიექტი (სუფიქსით). ეს მოვლენა ახალია და ჩასახვის პროცესშია, რადგანაც ზმნის პირიანი და უპირო ფორმები ამჟამად პარალელურად ფუნქცირებს, **თუმცა პირიანი ფორმების დომინირებული ძალა ამჟამად უკვე აშკარად იგრძნობა.**

ამგვარად, ჩვენ თვალწინ ხდება ახალი მორფოლოგიური კატეგორიის — პირის კატეგორიის ჩამოყალიბება. რასაც ძირეული გარდაქმნა შეაქვს ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში, კერძოდ: ა) აბსოლუტური ზმნა იქცევა რელატიურად მორფოლოგიის დონეზე. ბ) ზმნა იძენს მეორე, ახალ კატეგორიას, რადგანაც შესაბამისი პირის ნიშნები გამოხატავენ რიცხვსაც.

აქ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაც იჩენს თავს — პირის ნიშნით ობიექტიც გადმოიცემა და სუბიექტიც.

როგორ ხდება მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა?

საქმე ისაა, რომ ობიექტის აღმნიშვნელი სახელი ყოველთვის სახელობითშია. ამიტომ ნაცვალსახელური პირის ნიშანი, რომელიც ზმნაში ობიექტის წარმომადგენელია, **ფორმდება სახელობითის ფორმით**, ხოლო იგივე ნაცვალსახელური პირის ნიშანი, როცა ის სუბიექტის გამომხატველია ზმნაში, წარმოდგენილია **ერგატივის ბრუნვის ფორმით.**

ამრიგად, პირის კატეგორიის გაჩენასთან ერთად ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში ჩამოყალიბდა ახალი გრამატიკული მორფემები, ესენია:

სტატიკურ ზმნებთან

	მხ. რ.	მრ. რ.
I პ.	**-ს ჶ**	**-თხჶ**
II პ.	**-ჰჲჶ**	**-შჳ**
III პ.	**-0**	**-0**

დინამიკურ ზმნებთან

	მხ. რ.	მრ. რ.
I პ.	**-ს, -ას**	**-თხ, -ათხ**
II პ.	**-ჰჲ, -აჰჲ**	**-შ, -აჲშ**
III პ.	**-0**	**-0**

I და II პირში მორფემათა ორ-ორი ვარიანტი შეპირობებულია ფონეტიკური პოზიციით. თუ ზმნის ფუძე ხმოვნით ბოლოვდება, მაშინ აფიქსისეული ხმოვანი რედუცირდება, ხოლო თანხმოვნიან ფუძესთან **სათანადო აფიქსი წარმოდგენილია სრული სახით.**

ზმნათა მრავლობითის ფორმებში წარმოდგენილი აფიქსები **გამოხატავენ როგორც პირის, ისე რიცხვის კატეგორიას.**

ჩვენ ამ სტატიის დასაწყისში ვთქვით, რომ რიცხვის კატეგორიასთან დაკავშირებით წოვა-თუშური ენის ზმნები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ა) ზმნები, რომელნიც გრამატიკული კლასის ნიშანს არ დაირთავენ და ბ) ზმნები, რომლებიც გრამატიკული კლასის ნიშნებს დაირთავენ. ჩვენ განვიხილეთ მეორე ჯგუფის ზმნები რიცხვის კატეგორიის თვალსაზრისით და წარმოვადგინეთ ორი ქრონოლოგიური ეტაპი. პირველი, როცა ზმნა რიცხვის მიხედვით ცვლის გრამატიკული კლასის ნიშანს, ე.ი. ადგილი აქვს გრამატიკული კლასის გამომხატველი მორფემის **მორფოლოგიურ რეინტერპრეტაციას**.

მეორე ეტაპზე ზმნა იჩენს პირის ნიშნებს და რიცხვის გამოხატვაც ამ გრამატიკულ ელემენტებს ეკისრებათ. ამ ეტაპზე ზმნის **მორფოლოგიური მექანიზმი** უფრო იტვირთება და მეტი ექსპრესიულობით ხასიათდება.

ახლა განვიხილოთ პირველი ჯგუფის ზმნები, ე.ი. ის ზმნები, რომლებიც **გრამატიკულ კლას-კატეგორიას არ განარჩევენ**.

სანამ წოვა-თუშური ზმნა პირის კატეგორიას გაიჩენდა, რა თქმა უნდა, ამ ჯგუფის ზმნები **რიცხვის მიმართ ნეიტრალური ბუნებისანი** იყვნენ, რადგანაც ენის განვითარების ამ ეტაპზე რიცხვის მიხედვით ზმნურ ფორმათა დაპირისპირება ემყარებოდა გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშანთა მონაცვლეობას, ეს უკანასკნელნი კი ამ რიგის ზმნებს არ გააჩნდა.

როგორ იცვლება ვითარება პირის ნიშნების გაჩენასთან დაკავშირებით?

პირის ნიშნებს ყველა ზმნა იგუებს, მათ შორის უკლასნიშნო ზმნებიც. ამიტომ პირის კატეგორიის ჩასახვასთან დაკავშირებით აღნიშნულ ზმნათა მორფოლოგიური სტრუქტურა ძირეულად შეიცვალა — განსაკუთრებით ხაზგასასმელია აქ ის გარემოება, რომ **ზმნა სუბიექტსა და ობიექტს მორფოლოგიურად დაუკავშირდა**. თუ ამ რიგის ზმნები წოვა-თუშური

ზმნის ევოლუციის პირველ ეტაპზე ნეიტრალური ბუნებისა იყო გრამატიკული კლასის, პირისა და რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით, მეორე ქრონოლოგიურ ეტაპზე (ე.ი. როცა ზმნამ პირის ნიშნები გაიჩინა) მათ ერთბაშად გაიჩინეს ორი მორფოლოგიური კატეგორია — **პირისა და რიცხვისა.**

მაგალითად:

	მხ. რ.	მრ. რ.
I პ.	**ხეტტო-ს** „ვკითხულობ“	**ხეტტო-თხ** „ვკითხულობთ“
II პ.	**ხეტტო-ჰხ** „ჰკითხულობ“	**ხეტტუ-ჲშ** „კითხულობთ“
III პ.	**ხეტტრ** „კითხულობს“	**ხეტტრ** „კითხულობენ“

იგივე ზმნა განვითარების პირველ ეტაპზე გვიჩვენებდა ასეთ პარადიგმას (რომელიც სპორადულად ამჟამადაც იხმარება).

	მხ. რ.	
I პ.	**ას ხეტტრ**	„მე ვკითხულობ“
II პ.	**აჰხეტტრ**	„შენ კითხულობ“
III პ.	**ოჴუს ხეტტრ**	„ის კითხულობს“

	მრ. რ.	
I პ.	**ათხ ხეტტრ**	„ჩვენ ვკითხულობთ“
II პ.	**აჲშ ხეტტრ**	„თქვენ კითხულობთ“
III პ.	**ოხარ ხეტტრ**	„ისინი კითხულობენ“

და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ზმნა სამივე პირის მხოლობითსა და მრავლობითში ერთი და იმავე ფორმითაა წარმოდგენილი; ის არ იცვლება არც გრამატიკული კლასის, არც პირის და არც

რიცხვის მიხედვით. ზმნის ამ თვისებას **უწოდებენ ნეიტრალურს**. ამ პარადიგმაში ჯდება წოვა-თუშური ენის ყველა უკლასნიშნო ზმნა.

მაგრამ, როცა ზმნამ საერთოდ პირის ნიშანი გაიჩინა, მაშინ ამ რიგის ზმნებიც აღნიშნული მორფემებით უკვე განარჩევენ რიცხვისა და პირის კატეგორიებს მორფოლოგიურად, როგორც ეს ჩანს ზემოთ ილუსტრირებული ზმნების პირიანი ფორმებიდან.

ამრიგად, წოვა-თუშურ ენაში პირის, რიცხვისა და გრამატიკული კლასის კატეგორიები ავლენენ მჭიდრო შინაგან გრამატიკულ კავშირს, რაც **შესაბამის მორფემათა ომონიმურ შინაარსში გამოიხატება**.

ამჟამად ენაში მიმდინარეობს მათი ფუნქციური სტატუსის შეთავსებადობის ლინგვისტურად საინტერესო პროცესი, რასაც თეორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით უთუოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენი გამოკვლევა ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. ძალზე შეკუმშულადაა გადმოცემული ზმნური კატეგორიების გრამატიკული კლასის, პირისა და რიცხვის გრამატიკული ინვენტარის ერთიანობა, მორფოლოგიური ფუნქციების განაწილება (მხედველობაში გვაქვს პირისა და კლასის ნიშნების ფუნქციები რელატიურ ზმნებში), პირის ნიშანთა გენეზისი, ერგატიული და ნომინატური კონსტრუქციების დაპირისპირება ზმნის დინამიკური და სტატიკური შინაარსის მიხედვით (resp. I და II პირებთან).

აქ აღძრული თითოეული საკითხი ცალკე მონოგრაფიულ დამუშავებას მოითხოვს.

ლიტერატურა

1. ნ. ანდღულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი, 1968.

2. რ. გაგუა,ზმნის ცვლა გრამატიკული კლას-კატეგორიის მიხედვით ბაცბურ ენაში, იკე, IV, თბილისი,. 1952, გვ. 129.

3. დ. იმნაიშვილი — პირის კატეგორიის საკითხისათვის ნახური (ჩაჩნური) ჯგუფის ენათა ზმნაში, იკე, XVI, თბილისი, 1968, გვ. 192.

4. ი. ცერცვაძე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის საშუალებანი ანდიურ ზმნებში, იკე, VI, თბილისი, 1954, გვ. 435.

5. არნ. ჩიქობავა, პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით. ენიმკის მოამბე, ტ. X, თბილისი, 1941, გვ. 55.

6. კ. ჭრელაშვილი, მრავლობითი რიცხვის გამოხატვის საშუალებანი ბაცბურ ენაში, იკე, ტ. XII, თბილისი, 1960, გშვ. 321.

7. კ. ჭრელაშვილი, გრამატიკული კლასების რაოდენობის შესახებ წოვა-თუშურ ენაში, ორიონი, თბილისი, 1967, გვ. 332.

8. Ю.Д. Дешериев, Бацбийский язык, М., 1954 г.

9. Ю.Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков, М., 1963 г.

10. A. Schiefner, Versuch uber die Thusch, Sprache. S.T. Peterburg, 1856.

მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა გენეზისის საკითხისათვის ბაცბურში*

ბაცბურ ენას სახელთა მრავლობითი რიცხვის რამდენიმე მანარმოებელი მოეპოვება. ა. შიფნერი შრომაში „Versuch uber die Thusch-Sparche oder die khistische Mundart in Thuschetien" (St Petersburg, 1856) ამ კატეგორიის შემდეგ ფორმანტებს გამოყოფს:

1. -ი

მხოლ. რ.	ლარკ	„ყური"	მრავლ. რ.	ლარკ-ი
	დად	„მამა"		დად-ი
	ქოკ	„ფეხი"		ქოკ-ი

2. -ში

მხოლ. რ.	ყაინ	„მოხუცი"	მრავლ.რ.	ყაინ-ში
	წაინ	„სუფთა"		წაინ-ში
	ყუილ	„ქურდი"		ყუილ-ში
	თეყინრ	„მახვეწარი verehrend",		თეყნი-ში

3. -იშ

მხოლ. რ.	მარ	„ქმარი"	მრავლ.რ.	მარ-იშ
	ყო	„ყვავი"		ყო-იშ
	ტოტ	„ხელი"		ტოტ-იშ
	ქოხ	„ქოხი"		ქოხ-იშ

4. -ნი

მხოლ. რ.	ზორა	„ყოჩაღი"	მრავლ. რ.	ზორა-ნი
	თიში	„ძველი"		თიშ-ნი
	გაგა	„კვერცხი"		გაგ-ნი
	ქარსა	„საბელი"		ქარს-ნი

* პირველად დაიბეჭდა 1960 წელს. კ. ჭრელაშვილი, „მრავლობითი რიცხვის ფორმანტთა გენეზისის საკითხისათვის ბაცბურში", იკე, ტ.XII, 1961.

5. -ბი

მხოლ. რ.	ჴერ	„ქვა“	მრავლ. რ.	ჴერ-ბი
	თურ	„ხმალი“		თარ-ბი
	ქუდ	„ქუდი“		ქად-ბი
	ო	„ის“		ო-ბი
	ი	„ეს“		ი-ბი

6. -მი

მხოლ. რ.	დოკ	„გული“	მრავლ. რ.	დაკ-მი
	ქორთ	„თავი“		ქორთ-მი
	ჭოჭ	„პირი“		ჭაჭ-მი
	ნა (←წენ)	„სახლი“		წენ-მი
	ბოს	„ფერი“		ბას-მი

7. -არ

მხოლ. რ.	ვაშო	„ძმა“	მრავლ. რ.	ვაჟ-არ
	Დაშო	„და“		Დაჟ-არ
	გაზა	„თხა“		გაზ-არ

8. -აᲓრჩ (←არჩი)

მხოლ. რ.	ჴაიუჴ	„მტრედი“	მრავლ. რ.	ჴაჴ-აირჩ
	დახკო	„თაგვი“		დახკ-აირჩ
	კოიტ	„კატა“		კოტ-აირჩ
	ფჰჲიტ	„ბაყაყი“		ფჰჲიტ-აირჩ
	ბუი	„მუშტი“		ბუვ-აირჩ

9. -რჩ (←არჩი)

მხოლ. რ.	ჩა	„დათვი“	მრავლ. რ.	რ. ჩა-რჩ
	ფსტუ	„ხარი“		ფსტა-რჩ
	ფჰჲუ	„ძაღლი“		ფჰჲა-რჩ[1]

რ. გაგუას მოსაზრებით ბაცბურ სახელებში მრავლობითი რიცხვის რამდენიმე აფიქსი გამოიყოფა:[1]

1. იხ. აეტორის დასახ. შრომა, გვ. 34-35.

-იშ

-ში

-არ || აარჩ(←არი)

-ბი

-ი

-აარჩ || ერჩ(←არჩი)[1]

ი. დეშერიევი მრავლ. რიცხვის შედარებით უფრო მეტ ფორმანტებს გამოყოფს. ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ პარაგრაფში ის ჩამოთვლის სათანადო აფიქსებს და იქვე იძლევა შესაბამის საილუსტრაციო მასალასაც:

-ი	მხოლ. რ.	დად „მამა"	მრავლ. რ.	დად-ი
-ნი		ზღვე „სხვენი"		ზღვე-ნი
-იშ		ყა „ცოდვა"		ყა-იშ
-ბი		ჴერ „ქვა"		ჴერ-ბი
-არ		გაზა „თხა"		გაზ-არ
-აირ		ჰიკ „ტარი"		ჰიკ-აირ
-უირ		დიკ „ცული"		დაკ-უირ
არჩ//აირჩ		ქოჯ „ცოცხი"		ქოჯ-აირჩ
-არჩუი		უისთხ „ცხვარი"		უისხთ-არჩუი
-რშ		ჴა „ღორი"		ჴა-რშ
-უი		კილ „ქუთუთო"		კილ-უი
-ივნი		ხა „ბარკალი"		ხა-ივნი
-აილჩ		კურ „ბოლი"		კურ-აილჩ[2]

ამრიგად, მკვლევარნი ბაცბური ენის სახელებში გამოყოფენ მრავლობითის შემდეგ მაწარმოებლებს:

---

1. რ. გაგუა, „ძირითადი და ერთთანდებულიანი ბრუნვები ბაცბურში" (სადისერტაციო შრომა), 1943 წ., გვ. 75.

2. Ю.Д. Дешериев. Бацбийский язык, Москва, 1953 г.

ა. შიფნერი	რ. გაგუა	ი. დეშერიევი
-ბი	-ბი	-ბი -უირ
-ი	-ი	-ი -აილჩ
-იშ	-იშ	-იშ -არჩუი
-ში	-ში	— -უი
-მი	—	— -ივნი
-ნი	—	-ნი
-არ	-არ ‖ აᲯრᾱ(←არი)	-არ
-აᲯრჩ(←არჩი)	-აᲯრჩ ‖ -ერჩ(←არჩი)	-აირჩ ‖ არჩ
-რჩ	-რჩ	—
-რშ	-რშ	-რშ
	-აირ	

ისმის კითხვა: მრავლობითი რიცხვის აფიქსთა ეს სიუხვე უძველესი ვითარების ამსახველია, თუ პირიქით, უნდა ვივარაუდოთ, რომ განვითარების პროცესი მარტივიდან რთულისაკენ მიიმართებოდა.

წინამდებარე წერილში მოცემულია ცდა, პასუხი გაიცეს ამ კითხვაზე.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბაცბურსა და, საერთოდ, ნახური ჯგუფის ენებს **ისტორიულად სახელთა მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად მხოლოდ -იშ აფიქსი გააჩნდა.** ამჟამად ბაცბურში მისი გავრცელების არე მეტად შეზღუდულია, ხოლო ჩაჩნურსა და ინგუშურში კვლავაც ფართო გამოყენება აქვს მას, თუმცა იქაც იგრძნობა ტენდენცია მისი გაუჩინარებისა.[1]

ამგვარია ზოგადი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს მაწარმოებელთა ისტორიულ-შედარებითი ანალიზიდან.

1. დ. იმნაიშვილი, ძირით. და თანდებ. ბრუნვები ინგუშურსა და ჩაჩნურში. ენიმკის მოამბე, ტ. XII, 1942 წ., გვ. 212.

-ბი აფიქსი, როგორც უკვე გვქონდა შემთხვევა გაგვერკვია, რთული შედგენილობისაა: -ბი←ბ-ი←ბ-იშ. აქვე იქნა დადგენილი, რომ -ბ გენეტურად კლასის ნიშანია, ხოლო -ი საკუთრივ -იშ აფიქსის ნაშთია, თანხმოვნითი ელემენტის დაკარგვით მიღებული.[1] აღნიშნული (-ბი, -ი) აფიქსები სახელთა გარკვეულ წყებასთან დამკვიდრდა.

მაგრამ ბაცბურში არსებობს წყება სახელებისა, რომელთა ფუძეც ისტორიულად -რ ბგერით ბოლოვდებოდა. ამ ელემენტის ფუნქცია ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. პირობითად ამ რიგის სახელებს ვუწოდებთ რ-ფუძიან სახელებს. -რ-ს პოზიცია აუსლაუტში ძალზე სუსტი ყოფილა. ამიტომ, როგორც კი ის ასეთ პირობებში მოხვდებოდა, იკარგებოდა. საამისო ხელსაყრელი მდგომარეობა კი სახელობითშია, სადაც სახელი საერთოდ წმინდა ფუძითაა წარმოდგენილი. მაგრამ, როგორც კი -რ-ს პოზიცია შეიცვლებოდა, კერძოდ, რაიმე აფიქსის დართვისას, ის თავის ადგილს იკავებდა სიტყვაში. ეს მოვლენა ამჟამადაც მოქმედია რიგ სიტყვებთან.

მაგალითად, სახელობითშია: წე „ცეცხლი", შო „წელიწადი".

შდრ.	ერგატივი	წარ-ავ	შარ-ავ
	ნათესაობ.	წარ-ი^{ნ}	შარ-ი^{ნ}
	მიცემითი	წარ-ნ	შარ-ნ

აქ რომ -რ ფუძისეულია და ამ სიტყვათა ისტორიული ფუძეები წარ, შარ არის, ეჭვს გარეშეა.[2]

სრულიად ბუნებრივია, რომ სახელობითის მრავლობითში -იშ ფორმანტის წინაც აღდგეს ფუძისეული -რ. მართლაც, მრავლობითში გვექნება:

---

1. კ. ჭრელაშვილი, -ბი სუფიქსი ბაცბურში, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ. ტ. 63, 1956 წ., გვ. 345.

2. წარ ფუძეს აღადგენს პროფ. არნ. ჩიქობავაც. იხ. ენათმეცნ. ინსტიტ. VI (XII) სამეცნიერო სესია, თეზისები, 1955 წ. გვ. 20.

წარ-იშ „ცეცხლები“ შდრ. მხ. წე
შარ-იშ „წლები“ შო

მაგრამ ყოველთვის ასე სახეუცვლელად როდი ემიჯნება ფორმანტი -იშ და ფუძისეული ელემენტი -რ ერთმანეთს. ზოგჯერ მათ შორის ადგილი აქვს ფონეტიკურ პროცესებს, რის შედეგადაც ენა ფორმანტების ახალ ვარიანტებს იძენს.

რა ფონეტიკური პროცესები ხდება, კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო სიტყვებში?

1. მრავლობითობის ფორმანტის (-იშ) ხმოვნითი ელემენტი (-ი) გადადის ფუძეში და ფუძისეულ ხმოვანთან ერთად ქმნის დიფთონგს. ხოლო -რ-სთან უშუალო კონტაქტში მოხვედრილი სპირანტი -შ იძლევა აფრიკატ ჩ-ს.

ხმოვანთა ფუძეში გადასმა და აქედან დიფთონგის წარმოქმნა დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია ბაცბურისათვის, რომელიც შენიშნული აქვს ჯერ კიდევ ა. შიფნერს,[1] ხოლო დაწვრილებით შესწავლილი და დაზუსტებული — რ. გაგუას.[2]

არც მეორე მოვლენა — სონორებთან მეზობლობაში სპირანტების აფრიკატიზაცია — ჩანს უცხო·იბერიულ-კავკასიური ენებისათვის.[3]

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ჯერ გავაანალიზოთ ისეთი მაგალითი, სადაც აუსლაუტის -რ ამჟამადაც შემონახულია მხოლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში. ასეთად გამოგვადგება სიტყვა მასორ „ფსიტი“, რომლის ამოსავალი ფუძეც უნდა იყოს მასარ (შდრ. ქისტური მასარ „ფსიტი“, ა→ო სხვა შემთხვევებშიც დასტურდება ბაცბურში). მრავლობითში იქნება **მასაჩრჩ**. როგორც ვხედავთ, მრავლობითში გადაყვანისას

---

1. იხ. ა. შიფნერის დასახ. შრ., გვ. 35, § 95.
2. რ. გაგუა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში. იბერ. კავკ. ენათმეცნ. ტ. VIII, 1956 წ., გვ. 469.
3. შ. გაფრინდაშვილი, სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში (თეზისები). ენათმეცნ. ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესია, 1955 წ., გვ. 29.

სახელი დაირთავს **-ჩ** ბგერას და ფუძეში იჩენს დიფთონგს. ცხადია, ეს ორივე მოვლენა რიცხვის კატეგორიასთანაა დაკავშირებული. აქ პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას მიიქცევს ფუძისეული დიფთონგი, რომელიც ბაცბურში მეორეულ მოვლენას წარმოადგენს და პოზიციურ ცვლილებათა შედეგად მიიღება ჩვეულებრივ,[1] დიფთონგის კომპონენტი **-ჲ(←ი)** გადასმულია ფუძის ბოლოდან. რა ადგილი უნდა სჭეროდა მას სიტყვის მრავლობითის ფორმაში? ჩვენი აზრით, მისი ადგილი ჩანს ფუძესა და **ჩ** ბგერას შორის. ა. შიფნერი ფიქრობს, რომ ის აბსოლუტურ ბოლოდან უნდა იყოს გადმოსული.[2] ა. შიფნერის ეს მოსაზრება დასაშვებად მიაჩნია რ. გაგუასაც.

ამგვარად, ჩვენი დაშვებით **მასარ** სიტყვის მრავლობითის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო **მასარიჩ** (→**მასაჲრჩ**). თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ რიცხვის ნიშანი ყოფილა **-იჩ**. ასეთი ფორმანტი კი აღნიშნული კატეგორიისათვის ნახური ჯგუფის ენებმა საერთოდ არ იცის. თუ გავითვალისწინებთ რიგ იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებულ **სპირანტთა აფრიკატიზაციის პროცესს წინამავალ სონორებთან მეზობლობაში**, მაშინ ცხადი გახდება, რომ ჩვენთვის საინტერესო ფორმანტისეული **ჩ←შ**, ე.ი. **იჩ←იშ**. რა თქმა უნდა, პროცესი **შ←ჩ** მოხდა მას შემდეგ, რაც **-იშ** აფიქსის ხმოვნითი ელემენტი გადავიდა ფუძეში და **შ** აღმოჩნდა ფუძისეულ **რ**-სთან უშუალო მეზობლობაში.

ამგვარად:

მასაჲრჩ←მასაჲრშ←მასარ-იშ.

ჩვენი დაშვება სინამდვილეს რომ უნდა ასახავდეს, ამას მხარს უჭერს ქისტურიც, სადაც ამოსავალი ფორმა დღესაც შემონახულია:

---

1. რ. გაგუა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VIII, 1956 წ., გვ. 472.
2. იხ. ავტორის დასახ. შრომა, გვ. 34, § 90.

მხოლ. რ. **მასარ** „ფსიტი“, მრავლ. რ. **მასარ-აშ**.

2. განხილული მაგალითებისგან განსხვავებით, რიგ სიტყვებთან ისტორიულად ფუძისეული **-რ** ელემენტი მოეკვეცა ფუძეს და შეერწყო მრავლობითობის **-ჩ(←შ)** ბგერას:

მხოლ. რ.	ფსტუ „ხარი“	მრავლ. რ.	ფსტა-**რჩ**
	ფჰჲუ „ძაღლი“		ფჰჲა-**რჩ**

-რჩ აფიქსის **-რ** ელემენტი რომ ისტორიულად ფუძისეული უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფუძეები მხოლობითში, სადაც აღნიშნული ბგერა ფუძის შემადგენლობაშია წარმოდგენილი:

ერგ.	ფსტარ-ავ	ფჰჲარ-ავ
ნათ.	ფსტარ-ი^{5}	ფჰჲარ-ი^{5}
მიც.	ფსტარ-ნ	ფჰჲარ-ნ^{1}

მაშასადამე, მკვლევართა მიერ გამოყოფილი მრ. რ. ფორმანტი **-რჩ** გენეტურად რთული შედგენილობისა ყოფილა; მისი პირველი ელემენტი **(-რ)** ფუძისეულია, ხოლო **ჩ←შ**. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, საკუთრივ რიცხვის ფორმანტია. გასარკვევია მისი ხმოვნითი ელემენტის **(-ი)** ბედი, ვინაიდან იგი არც ფუძეშია წარმოდგენილი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, და აღარც აფიქსში.

3. ერთი ჯგუფის **რ-** ფუძიან სახელებში **-რ** ბგერის მოკვეცის პროცესი იმდენად შორს წასულა, რომ ფუძეში მისი აღდგენა ვეღარ ხერხდება. აქ ის მორფოლოგიურ ერთეულშია ინტეგრირებული და მის შემადგენელ ელემენტადაა ქცეული. ასეთი სიტყვებია:

а. **თაუბუ** „ჭედილა“ მრ. რ. **თაბაჲრჩ**

ცოკალ **თაბაჲრჩა**^{5} დითხ დაყოშ სორო ჭედაღერ — მელია ჭედილების ხორცის ჭამით სოროში იჯდა.

1. ამ სიტყვებთან **-არ** ელემენტი ფუძისეულად მიაჩნია რ. გაგუასაც: ძირითადი და ერთთანდებულიანი ბრუნვები ბაცბურში, 1943 წ., გვ. 103.

ჰხ'ათხ **თაბაჲრჩ** ლახკი[5] — წინ ჭედილები გაირეკა.[1]

b. **ტჰირ** „ვარსკვლავი" მრ. რ. **ტჰერაჲლჩ**

ტჰერაჲლჩ გუდალ~ე[5] — ვარსკვლავები გამოჩნდა.[2]

c. **ბჰორწ** „მგელი" მრ. რ. **ბჰარაწაჲლჩ**

„ბჰარწაჲლჩ ჴარწდალი[5] ჟელჩუღაა — მგლები დაერივნენ ცხვარში".[3]

მოყვანილ მაგალითებშიც ივარაუდება იგივე ფონეტიკური პროცესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ანალოგიურ შემთხვევაში ზემოთ.

თუ სახელობითის მხოლ. და მრავლ. რიცხვის ფორმათა შეპირისპირებიდან ამოვალთ, მაშინ ბუნებრივია **-აჲრჩ** კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც მრავლობითობის ფორმანტი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დიფთონგიზაციის პროცესის მეორეულობას ბაცბურში და ამასთანავე განხილულ **მასაჲრჩ** „ფსიტები" და **ფსტარჩ** „ხარები" ტიპის მაგალითებში მრავლობითის ფორმის ჩამოყალიბების ისტორიას, მაშინ ცხადი გახდება, რომ აფიქსი **-აჲრჩ←არ-იშ**, სადაც პირველი ელემენტი **(-არ)** ფუძის კუთვნილებაა.

ამრიგად, სიტყვის **ბჰორწ** „მგელი" მრავლობითობის წარმოების პროცესი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ბჰარწაჲლჩ←ბ*ჰარწაჲლშ←ბ*ჰარწალ-იშ (**-ალ←არ**, ძირისეულ **-რ** ბგერასთან დისიმილაციის გზით).

ჩვენ მიერ აღდგენილი ფორმა **ბჰარწალ-იშ** რომ ისტორიულად რეალურია, ამას ადასტურებს ქისტურის დღევანდელი მონაცემებიც:

მხოლ. რ. ბრარძ „მგელი", მრავლ. რ. ბრრძულ-აშ.

4. გარდა განხილული მაგალითებისა, ბაცბურში გვხვდება **რ**-ფუძიან სახელთა ერთი წყება, სადაც მრავლობითობის

1. რ. გაგუას მიერ ჩაწერილი ტექსტები (ხელნაწერი), 1942 წ., გვ. 88, 127.
2. Ю.Д. Дешериев, Бацбийский язык, 1953 г., стр. 356.
3. ა. ყაზბეგი, „ელისო", თარგმანი დ. ქადაგიძისა, გვ. 1 (ხელნაწერი).

მანარმოებელ ფორმანტთა ევოლუცია სხვა გზით წარიმართა, რის შედეგადაც ენაში ჩამოყალიბდა ახალი მორფოლოგიური ვარიანტი რიცხვის ფორმანტისა, თუმცა ამოსავალი მასალა იგივე იყო, რაც სხვა შემთხვევებში: **ძირი+არ+იშ**.

მაგალითად:

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
ნშაპ „ძილი“	ნშაპ-აᲹრ
Ჹოპყ „ნაცარი“	აპყ-აᲹრ
Ჹოფსტ „მინა“	აფსტ-აᲹრ
პშენტრ „ნეკნი“	პშენტ-აᲹრ
დიკ „ცული“	დაკ-აᲹრ
ჯა „ორთქლი“	ჯან-აᲹრ
იშ „ხმა“	აშ-აᲹრ
ნუს „რძალი“	ნას-აᲹრ
ნიტტ „ჭინჭარი“	ნატტ-აᲹრ
ნოტყ „ჩირქი“	ნატყ-აᲹრ

როგორც ვხედავთ, ეს სიტყვები მრავლობითში დაირთავენ **-აᲹრ** აფიქსს. მკვლევართა მიერ იგი კვალიფიცირებულია რიცხვის კატეგორიის ფორმანტად. სახელობითის ფორმათა შეპირისპირებიდან სხვაგვარი დასკვნა არც გაკეთდება. რ. გაგუას აზრით, **აᲹრ←არი**, რაც ლოგიკურად ჩანს, **-არ**, ჩვენი აზრით, აქაც ფუძის კუთვნილება უნდა იყოს. ამ შემთხვევაშიც უნდა მივმართოთ ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ჩვენებას მხოლობით რიცხვში:

ერგ.	ნათეს.	მიც.
ნშაპარ-ვ	ნშაპრ-ი^{ნ}	ნშაპარ-ნ
აპყარ-ვ	აპყრ-ი^{ნ}	აპყარ-ნ
აფსტარ-ვ	აფსტრ-ი^{ნ}	აფსტარ-ნ
პშენტერ-ვ	პშენტრ-ი^{ნ}	პშენტერ-ნ

დაკარ-ვ	დაკრ-ი^{5}	დაკარ-ნ
ჯანარ-ვ	ჯანრ-ი^{5}	ჯანარ-ნ
აშარ-ვ	აშრ-ი^{5}	აშარ-ნ
ნატტარ-ვ	ნატტრ-ი^{5}	ნატტარ-ნ
ნატყარ-ვ	ნატყრ-ი^{5}	ნატყარ-ნ

მაშასადამე, **-აჲრ←არი←არ-ი (←არ-იშ)**, **-ი** კი, როგორც გარკვეულია, **-იშ** აფიქსის ნაშთია. უფრო ნათელი რომ იყოს ამ სიტყვათა მრავლ. რიცხვის ფორმანტის ევოლუცია, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, სადაც ფიქსირებული იქნება გარდამავალი საფეხურები:

ნჩაპაჲრ←*ნჩაპარ-ი←*ნჩაპარ-იშ

ჯანაჲრ←*ჯანარ-ი←ჯანარ-იშ

პჩენტაჲრ←*პჩენტარ-ი←*პჩენტარ-იშ...

ბაცბურის ახლო მონათესავე ჩაჩნური ენა ზემოთ აღნიშნულ სახელთა მრავლობითს ამჟამად აწარმოებს ისევე, როგორც ამას ბაცბურისათვის ისტორიულად ვვარაუდობთ. ამდენად, ჩაჩნურის ჩვენებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის საინტერესო საკითხის გადასაჭრელად:

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
ნაბ „ძილი“	ნაბარ-აშ
ჯე „ორთქლი“	ჯენერ-აშ
პიენდ „ნეკნი“	პენდარ-აშ...

მრავლობითში გამოვლენილი **-არ** ელემენტი ისევე, როგორც ბაცბურში, ფუძისეულია. შდრ. მხოლობითის ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფორმები:

ერგ.	ნათეს.
ნაბარ-ურ	ნაბარ-ი^{5}
დაგარ-ურ	დაგარ-ა^{5}

ჯენერ-ურ ჯენერ-ი^{ნ}...[1]

5. განსახილველი დაგვრჩა **რ**-ფუძიან სახელთა უკანასკნელი ჯგუფი, სადაც მრავლობითობის თავდაპირველი ფორმანტი **-იშ** მთლიანად მოკვეცილია, ხოლო მისი ფუნქცია დაეკისრა მის წინამავალ ფუძისეულ **-არ** ელემენტს. ამჟამად ფუძეში **-არ** ელემენტის რაიმე კვალი აღარ ჩანს. ამდენად, მოქმედი ნორმების თვალსაზრისით, ის დამოუკიდებელი მორფოლოგიური ოდენობაა:

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
ვაშრ „ძმა“	ვაჟ-**არ** (←*ვაჟ-არ-იშ)
Ძაშრ „და“	Ძაჟ-**არ** (←*Ძაჟ-არ-იშ)
გაზა^{ნ} „თხა“	გაზ-**არ** (←*გაზ-არ-იშ)
საგ „ირემი“	საგ-**არ** (←*საგ-არ-იშ)
ჰᲔახ „ჯიხვი“	ჰᲔახ-**არ** (→*ჰᲔახ-არ-იშ)

მაგრამ თუ მონათესავე ენათა მონაცემებს გავითვალისწინებთ და საკითხს ისტორიული თვალსაზრისით გავაშუქებთ, მაშინ აშკარა გახდება, რომ ამ სახელებსაც მრავლობითი რიცხვის მანარმოებლად **-იშ** აფიქსი ჰქონიათ. ხოლო **-არ** ელემენტი იმავე რიგის ოდენობაა, რაც **-არჩ, -ᲐᲫრჩ** და **-ᲐᲫრ** აფიქსებში. ამ მხრივ, ჩაჩნური ენის მასალა დოკუმენტურად გვაწვდის ამოსავალი ვითარების ფაქტებს:

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
ვაშა „ძმა“	ვეჟირ-იᲫ (←*ვეჟირ-იშ)
Ძიშა „და“	Ძიჟირ-იᲫ (←*Ძიჟირ-იშ)
გაზა^{ნ} „თხა“	გეზერ-იᲫ (←*გეზირ-იშ)

როგორც ვხედავთ, ჩაჩნურს მრავლობითი რიცხვის ფორმანტის **(-იშ)** მხოლოდ თანხმოვნითი ელემენტი **(-შ)** დაუკარგავს, მაგრამ იმავე პ. უსლარის მონოგრაფიაში „Чеченский

1. ჩაჩნურ მაგალითებს ვიმოწმებთ პ. უსლარის მონოგრაფიაზე „Чеченский язык“ დართული ლექსიკონის მიხედვით.

язык" ვხვდებით ჩვენთვის საინტერესო მაგალითებს, სადაც **-იშ** ფორმანტი სრული სახითაა წარმოდგენილი ზემოთ მოყვანილ მაგალითებთან:

სე^{ნ} დიქიჩუ **ვეჟირიშნა** „ჩემს კეთილ ძმებს"

სე^{ნ} დიქიჩუ **ჲიჟირიშნა** „ჩემს კეთილ დებს"[1]

ან კიდევ ჩვენ მიერ ჩეჩნურ გაზეთში დადასტურებულ მაგალითში:

გეზარშც „თხებთან".[2]

6. **-არ** აფიქსთან დაკავშირებით სპეციალურ შესწავლას მოითხოვს მესამე პირის მითითებითი ნაცვალსახელები, სადაც ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში რიცხვის ფორმანტად გვევლინება **-არ**, მაშინ როდესაც იმავე შემთხვევებში სახელობითი იძლევა **-ბი** ფორმანტს:

მხოლ. რ. **ო** „ის"	**ე** „ეს"		**ი** „ეგ"
მრავ. რ. ო-**ბი** „ისინი"	ე-**ბი** „ესენი"		ი-**ბი** „ეგენი"
შდრ.			
ერგ. ოჴ-**არ** (←*ოჴ-**არ**-ვ),			
	ეჴ-არ (←*ეჴ-**არ**-ვ),		იჴ-**არ** (←*იჴ-**არ**-ვ)
ნათ. ოჴ-**რ**-ი^{ნ}	ეჴ-**რ**-ი^{ნ}		იჴ-**რ**-ი^{ნ}
მიც. ოჴ-**არ**-ნ	ეჴ-**არ**-ნ		იჴ-**არ**-ნ

ჩვენს ხელთ არსებული ნახურ ენათა მასალის მიხედვით, რაიმე კვალი **-იშ** აფიქსისა აღნიშნულ მაგალითებთან არ დასტურდება. ივარაუდება, რომ აქ ის დაკარგულია.

7. აქვე უნდა დავუმატოთ ერთი გამონაკლისის შესახებაც: ზემოთ დადასტურებული აფრიკატიზაციის პროცესი ბაცბურში ბოლომდე გატარებული არ ჩანს:

ჴა „ღორი" მრავლ. რ. ჴა-**რშ**

---


1. ჰ. უსლარის დასახ. შრ., გვ. 42, 49.

2. გაზეთი „ყინჽ ჲეგამან ბაირაჴ", 1955 წ., 29 XII, N 26.

ამ მხრივ ჩაჩნური უფრო თანმიმდევრულობას ავლენს:

ჰხაჴა „ღორი", მრავლ. რ. — ჰხაჴა-რჩი[1]

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან გამოირკვა, მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელთა ერთი ჯგუფი: **-არჩ, -აჲრჩ, -აჲრ, -არ** საერთო წარმოშობისაა; ფუძისეულ **-არ** ელემენტისა და **-იშ** ფორმანტის კომბინაციით მიღებული მორფოლოგიური ვარიანტებია:



8. ა. შიფნერი მრავლობითის მაწარმოებლად, გარდა აღნიშნულისა, გამოყოფს აგრეთვე **-მი** აფიქსსაც:

მხოლ. რ.	დოკ „გული"	მრავლ. რ.	დაკ-მი
	ჭოჭ „პირი"		ჭაჭ-მი
	ქორთ „თავი"		ქორთ-მი
	წა „სახლი"		წენ-მი
	ბოს „ფერი"		ბას-მი...

იგი რთული შედგენილობისა უნდა იყოს: **მი←მ-ი(←*მ-იშ)**. შდრ. ჩაჩნური:

მხოლ. რ.	დუოგ „გული"	მრავლ. რ.	დეგნ-იშ
	წა „სახლი"		წიშნუ-ოშ
	ბუოს „ფერი"		ბესნ-იშ

სადაც ბაცბური **-მ**-ს ადგილას **-ნ** ვლინდება, ხოლო რიცხვის ნიშანი **(-იშ)** სრული სახითაა წარმოდგენილი. ცხადია, აქ **-ნ** ფუძის კუთვნილებაა. ბუნებრივია, მისი მონაცვლე **-მ** ბგერაც ბაცბურში იმავე რიგისა იყოს. შესაძლებელია, რიგ შემთხვევაში **მ←ბ**. ამას გვაფიქრებინებს პარალელური ფორმები:

1.П. Услар, Чеченскій языкъ, 1888 г., стр. 222.

ბას-მი || ბას-ბი „ფერები“
წენ-მი || წენ-ბი „სახლები“

ფონეტიკური პროცესი **ბ→მ** დადასტურებულია დაღესტნის ზოგიერთ ენაშიც.[1]

ამრიგად, **-მი** რიგ შემთხვევებში **-ბი**-ს მორფოლოგიური ვარიანტი ჩანს, რიგ შემთხვევაში კი ის შესაძლებელია ანალოგიითაც იყოს გადასული.

რ. გაგუას **-მ(←ამ)** ფუძის კუთვნილებად მიაჩნია.[2]

9. მრავლობითში გამოვლენილი ზოგიერთი ელემენტის ფორმანტისეულად მიჩნევა ზოგჯერ ენობრივი ფაქტის არა სწორი გაგებიდან გამომდინარეობს. მაგალითად, ა. შიფნერი და ი. დეშერიევი მრავლ. რ. სხვა ფორმანტების გვერდით გამოყოფენ **-ნი**-საც. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი სახელი ბაცბურში, ჩვეულებრივ, ზედსართავი სახელი, ბოლოვდება ნაზალური ხმოვნით. ეს უკანასკნელი მიღებულია აბსოლუტურ ბოლოში **-ნ** სონორის დასუსტების შედეგად, რომელიც თავის რეფლექსს ნაზალობის სახით ტოვებს წინამავალ ხმოვანში. რაიმე აფიქსის დართვისას ის კვლავ თავის ადგილს იკავებს სიტყვის სტრუქტურაში როგორც ფუძისეული ელემენტი. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მკვლევარს, რომელთაც **-ნ (-ნი)** ფორმანტად მიაჩნიათ.

ზედსართავ სახელთან დაკავშირებით რ. გაგუას ნაჩვენები აქვს, რომ **ნ** ფუძის კუთვნილებაა.[3]

მაგალითად სიტყვებში:

მხოლ. რ. გაგა[5] „კვერცხი“ მრავლ. რ. გაგნ-ი (←*გაგან-ი)

---

1. შ. გაფრინდაშვილი, სახელთა მრავ. რიცხ. ფორმების წარმოება დარგუულსა და ლაკურში, იბერ. კავკ. ენათმეცნ. ტ. V, 1953 წ., გვ. 248. ტ. გუდავა, მესამე გრამატიკული კლასის ნიშნის ერთი ვარიანტი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში, იბერ. კავკ. ენათმეცნ., ტ. IV, 1952 წ., გვ. 135.
2. რ. გაგუა, ძირით. და ერთთანდ. ბრუნვები ბაცბურში (სადისერტ. შრ.), 1943 წ., გვ. 100.
3. იქვე. გვ. 111.

ქარსა[6] „საბელი“ ქარსნ-ი (←*ქარსან-ი)
წეგე[6] „წითელი“ წეგნ-ი (←*ნეგენ-ი)...

ცხადია, ნ ნაზალური ხმოვნის დაშლის შედეგადაა მიღებული და მას არავითარი კავშირი არა აქვს რიცხვის ფორმანტთან.

10. გარდა ამ განხილული აფიქსებისა, ი. დეშერიევთან ვხვდებით კიდევ რამდენიმე აფიქსს, რომლებიც არაა წარმოდგენილი სხვა მკვლევრებთან. ეს აფიქსებია:

-უირ, -აილჩ, -არჩუი, -უი, -ივნი.

ვფიქრობთ, არც ერთი ამ აფიქსთაგანი არ შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელ ფორმანტებად. მაგალითად, **-უირ** აფიქსი ჩვენ ვერ დავადასტურეთ. მაგალითი, რომლის მიხედვითაც ავტორი მას გამოყოფს, პარალელურ **-ადრ** ფორმასაც იძლევა.

აფიქსი **-აილჩ(←აირჩ)** ფუძისეულ **-რ** ბგერასთან დისიმილაციის გზით. ეს შენიშნული აქვს ჯერ კიდევ ა. შიფნერს. ამდენად, მისი ცალკე აფიქსად გამოყოფა გამართლებული არა ჩანს.

11. **-არჩუი** იშვიათად გვხვდება. აქ საქმე უნდა გვქონდეს **ორმაგ აფიქსთან: -არჩუი←არჩ-უ-ი.** პირველი **(-არჩ)** და მესამე **(-ი)** ელემენტი რიცხვის აფიქსებია. ხმოვანი **-უ** მათი გამყოფია. რიცხვის ფორმანტის **(-ი)** წინ **-უ** სხვა შემთხვევაშიც ჩნდება ხოლმე, სადაც მას რაიმე მორფოლოგიური დანიშნულება არ უჩანს. მაგალითად, ქართულიდან შესულ სიტყვაში:

მხოლ. რ. **კედელ** „კედელი“ მრავლ. რ. **კედლ-უ-ი**

ცხადია, აქ **-უ-** ბგერას ვერც ფუძეს მივაკუთვნებთ და ვერც აფიქსს.

ორმაგი აფიქსის გამოყენების შემთხვევები მრავლ. რიცხვში დადასტურებულია ლაკურში:

მხ. რ. თუჩან „მაღაზია“ მრავლ. რ. თუჩან-თ || თუჩან-თ-რუ
ხ~ჲი „მტრედი“ ხ~ჲი-რუ || ხ~ჲი-რუ-ლთ[1]

---

1. И. Абдуласв, Образование множественного числа имен в лакском языке (სადიპლ. შრ.), 1957 წ., გვ. 35.

ანალოგიური ვითარებაა ტაპანთურში:

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
აჰჲ ჹ-ს „ხბო“	აჰჲა-რ || აჰჲა-რ-ქØა
არფჹ-ს „ყმანვილი“	არფა-რ || არფა რ-ქØა[1]

და აშხარულში:

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
აწჹ-ს „ჩიტი„	აწჹ-რა//აწჹ-რა-ქØა
ასჹს „ხბო“	ასა-რა//ასა-რა-ქØა[2]

მკვლევართა აზრით, მრავლობითის ამგვარი წარმოება მეორეულია.

12. რაც შეეხება **-უჲ** აფიქსს, ის მხოლოდ სუსტ **ო**-ზე დაბოლოებულ სახელებთან გვხვდება. მრავლობითის **-ი** ფორმანტის წინ ის გასრულხმოვნდება და მასთან ასიმილაცია იძლევა **-უჲ**-ს.

მაგალითად:

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
სოკო „სოკო“	სოკუ-ჲ (←*სოკო-ი)
ჩაკო „სკამი“	ჩაკუ-ჲ (←*ჩაკო-ი)
კილო „კილო“	კილუ-ჲ (←*კილო-ი)

მაშასადამე, **-უი←ოი←ო-ი (←*ო-იშ)**, რომლის პირველი ელემენტიც (-უ) ფუძის კუთვნილებაა.

13. **-ივნი** უფრო სწორად **-ჲვნი** სულ რამდენიმე სიტყვასთან გვხვდება მრავლობითში:

მხოლ. რ.		მრავლ. რ.	
	ხა „ბარკალი“		ხა-ჲვნი
	ტა „ბეჭი“		ტა-ჲვნი
	ფხა „ძარღვი“		ფხა-ჲვნი

---

1. ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, 1944 წ., გვ. 74.
2. ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, 1954 წ., გვ. 57.

მრავლობითში გამოვლენილი აფიქსი (-ჲვნ̃) რთული შედგენილობისაა: -ჲვნ̃←ვნ-ი(←*ვნ-იშ). პირველი ელემენტი -ვნ ფუძის კუთვნილებაა.

შდრ. მხოლობითის ფორმები:

ერგ.	ფხავნ-ივ	ტავნ-ივ	ხავნ-ივ
ნათ.	ფხავნ-ი^{ნ}	ტავნ-ი^{ნ}	ხავნ-ი^{ნ}
მიც.	ფხავნ-ინ	ტავნ-ინ	ხავნ-ინ


ამრიგად, ისტორიულად რიცხვს მხოლოდ -ი (←*იშ) გამოხატავდა, ხოლო -ვნ ფუძეს ეკუთვნოდა.

საერთოდ, **ფუძის გაცვეთა სახელობითში დამახასიათებელი ტენდენციაა ნახური ჯგუფის ენებისათვის.** ამიტომ სახელობითის მიხედვით სიტყვის ანალიზი რეალური ვითარების სრული გათვალისწინებისათვის საკმარისი არ არის.

-არ-იშ, ჲვნ (←*ვნ-ი), -უი და -ჲჲრ (←*არ-ი) აფიქსების რიცხვის ერთიან ფორმანტებად მიჩნევა ისეთივე შეცდომა იქნებოდა, როგორც, მაგალითად, მეგრულში -ლ-ეფ-ისა სიტყვებთან: **ჯიმა, მუმა, დიდა...**

ჩვენ განვიხილეთ მკვლევართა მიერ ბაცბურ ენაში გამოყოფილი მრავლ. რიცხვის ყველა მაწარმოებელი. გამოირკვა, რომ რიგი მათგანი ნაირნაირ ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად მიღებული ვარიანტებია, ხოლო ზოგი მაწარმოებლის დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფა კი სიტყვის მცდარი მორფოლოგიური ანალიზის შედეგია. რა თქმა უნდა, სტატიკური გრამატიკის თვალსაზრისით, ზოგი აფიქსი დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ერთეულად ჩაითვლება ამჟამად. მაგრამ ისტორიულად მათ ამგვარ კვალიფიკაციას ვერ მივცემთ. ამოსავალში მრავლ. რიცხვის მხოლოდ ერთი აფიქსი (-იშ) დასტურდება ბაცბურში (წოვა-თუშურში).

სქემატურად ეს შეიძლება ასე გამოისახოს:



ХРОНОЛОГИЧЕСКИЕ ТИПЫ СПРЯЖЕНИЯ ГЛАГОЛОВ БАЦБИЙСКОГО ЯЗЫКА И ВОПРОС „ПОЛИПЕРСОНАЛИЗМА" В ПЛАНЕ СТРУКТУРНО-ТИПОЛОГИЧЕСКОГО СОПОСТАВЛЕНИЯ С ГРУЗИНСКИМ ПОЛИПЕРСОНАЛЬНЫМ ГЛАГОЛОМ*

Язык, как известно, является сложной иерархической системой, состоящей из следующих подсистем: фонологической, морфологической, лексической и синтаксической. Из означенных подсистем (или уровней) в процессе исследования можно выделить микросистемы или фрагментные системы. Под этими понятиями подразумеваются: система склонения, система спряжения, система категории лица, система категории грамматических классов и др.

Целью настоящей работы является представить системную характеристику категории грамматических классов, бытующую в современном бацбийском языке и, в особенности, весьма интересную трансформацию морфологической структуры глаголов, вызванную **возникновением категории лица** в бацбийском языке.

Под трансформацией морфологической структуры глагола подразумевается процесс перехода **„моноперсонального"** глагола в **„полиперсональный"**.

Структурно-типологическое описание данного языкового явления, на наш взгляд, имеет особое значение с точки зрения современной теоретической лингвистики.

Таким образом, в данной статье мы ограничиваемся морфологической характеристикой только одной фрагментной сис-

---

* პირველად დაიბეჭდა 1982 წელს. იხ. „წელიწდეული", ტ.IX.

темы, что с точки зрения методологии типологического языкознания вполне оправдано и закономерно тем более, что „в настоящее время исследователи стараются типологически охарактеризовать не какой-либо язык в целом, а **отдельные подсистемы** или **уровни языка**".[1]

Категория грамматических классов в настоящее время является одной из главных морфологических категорий горских иберийско-кавказских языков, в том числе и нахских языков.

Лингвистическая характеристика указанной морфологической категории представлена во многих исследованиях, поэтому мы здесь не будем подробно останавливаться на ее детальном анализе. Мы представим только существенные моменты, определяющие сущность данной категории в той мере, в какой они необходимы для достижения цели, поставленной в этой статье.

В настоящее время категория грамматических классов функционирует только в глаголах и именах прилагательных. Но имеются факты и того, что она исторически была характерна и для других частей речи (имен существительных, имен числительных и др.).

С самого начала необходимо отметить одно важное обстоятельство: дело в том, что в большей части глаголов и имен прилагательных, предполагаемая морфема грамматического класса не встречается. Этот факт, на наш взгляд, требует учета и специального изучения, что безусловно **даст ключ для решения проблемы закономерности распределения имен по грамматическим классам.**

Итак, ныне в бацбийском языке наряду с грамматической категорией класса функционирует категория лица, вследствие

---

1 Э. А. Макаев, Сравнительная, сопоставительная и типологическая грамматика ВЯ, М., №1, с. 11.

чего сформировался новый тип спряжения — **лично-классный**. Этому варианту спряжения хронологически предшествовал другой, который, в свою очередь, подразделялся на три подтипа: 1. Классное спряжение, 2. Бесклассное спряжение и 3. Смешанное спряжение.

I. КЛАССНОЕ СПРЯЖЕНИЕ

Спряжение глаголов с классными морфемами может быть разделено на две основные группы: а) спряжение субъектно-классных непереходных глаголов; б) спряжение объектно-классных переходных глаголов.

Выделенные группы отличаются друг от друга тем, что в первой группе грамматический формант класса обозначает именно **субъект** (ведь такие глаголы вообще не имеют объекта), а во второй — **объект**. Субъект в глаголах второй группы вообще не выражается (подразумевается в системе классного спряжения).

а) Примеры субъектно-классных непереходных глаголов:

1. stạḳ v-aγǒ „человек идет", jašǒ j-aγǒ „сестра идет", doⁿ b-a γǒ „лошадь идет", bader d-aγǒ „ребенок идет"
2. Vašo v-aṭiⁿ „брат убежал" jašǒ j-aṭiⁿ „сестра убежала" qa b-aṭi-ⁿ „свинья убежала" □ujx d-aṭiⁿ „ягненок убежал"
3. dad v-išeⁿ „отец лег" johъ j-išeⁿ „девочка легла"
4. jett b-išeⁿ "корова легла" ḳaç d-išeⁿ "щенок лег"

Все префиксы в приведенных примерах выражают субъект. Те же префиксы в переходных глаголах выражают объект.

б) Примеры объектно-классных переходных глаголов:

1) dadas simind d-iveⁿ „отец кукурузу посеял"; dadas ḳiṭr j-iveⁿ „отец огурцы посеял"; dadas qor b-iveⁿ "отец яблоко

посадил"; 2) as dad phъe v-iḳeⁿ „я отца в деревню повез"; nanas voh̄ъ meqmak v-illeⁿ „мать сына на тахту положила"; 3) vašas žagnŏ ⌐aḳujn mak d-illeⁿ брат книгу на скамейку положил"; jašas kaniz gaguju mak j-illeⁿ „сестра виноград на колени положила"; ḳoṭes ese qer b-illeⁿ „Котэ здесь камень положил" и др.

Как уже отмечалось, в переходных глаголах префиксы, (т. е. классные форманты v-, b-, j-, d-) обозначают объекты.

Таким образом, в глаголах типа классного спряжения морфологически обозначается только один актант — субъект или объект, дистрибуция которых строго определена. В позиции анлаута в непереходных глаголах те же морфемы относятся к объекту. **Это правило функционирует без исключения.**

II. БЕСКЛАССНОЕ СПРЯЖЕНИЕ

Как уже было отмечено, в большинстве глаголов не употребляются классные экспоненты. Спряжение таких глаголов существенно отличается от спряжения глаголов с классными морфемами. Глаголы такого рода меняются только по временам, а внутри — в пределах временных форм, они представлены только одной словоформой. К примеру:

I. as (я),	atx (мы)	xeṭṭŏ
II. ahъ (ты),	ajš (вы)	
III. oqus (он),	oqar (они)	

Глагол „xeṭṭŏ" по контексту имеет следующие значения: читаю, читаешь, читает: читаем, читаете, читают.

Как видим, одной форме глагола xeṭṭŏ бацбийского языка в русском языке соответствуют шесть форм того же глагола.

То же самое повторяется и в других временных формах, а временными формами бацбийский язык богат.[2]

Спряжение глаголов данного типа назовем бесклассным спряжением.

---

2 Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык, М., 1953, с. 88.

III. СПРЯЖЕНИЕ ГЛАГОЛОВ СМЕШАННОГО ТИПА

Наряду с рассмотренными двумя типами спряжения глаголов классного и бесклассного можно выделить еще один тип. К этому типу относятся те глаголы, которые в настоящем времени не присоединяют классных показателей, а в других временных формах имеют соответствующие классные форманты. Глаголы данного типа образуют третий тип спряжения, который назовем спряжением смешанного типа. Например:

в наст. вр.

as (я),	atx (мы)		(разделяю,
ahɔ (ты),	ajš (вы)	aqǒ	разделяешь...)
oqus (он),	oqar (они)		

в прошед. вр.

as (я),	atx (мы)		
ahɔ (ты),	ajš (вы)	d-eqiⁿ	(разделил...)
oqus (он),	oqar (они)		

Все эти типы спряжения функционировали в бацбийском языке до возникновения категории лица. Схематически это можно представить следующим образом:



Возникновение категории лица

